

ანდრო ბიწაძე — მეცნიერი და პიროვნება

გამომცემლობა “ინტელექტი”
2012



აკადემიკოსი ანდრო ბინაძე

წიგნი მომზადდა და გამოიცა პროფესორ ჯონდო შარიქაძის ძალისხმევით. ჯ.შარიქაძე 2006 წელს ანდრო ბიჭაძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომის ორგანიზატორიც იყო, რისთვისაც მისი ოჯახი უღრმეს მადლობას უხდის.

ა. ა. ბიჭაძის მიერ ბიძაშვილისთვის გამოგზავნილი წერილიდან: «От меня передай, пожалуйста, низкий поклон г-ну Джондо за то, что он делает в память о моём отце и твоём дяде.

2011.05.24”

რედაქტორი: მერი ბიჭაძე

ISBN 978-9941-440-05-2

ანდრო ბიწაძე — ცხოვრება და მოღვაწეობა

ანდრო ბიწაძე დაიბადა 1916 წლის 9 (ახ. სტ. 22) მაისს ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფ. ცხრუკვეთში. მისი მშობლები იყვნენ ვასილ ალექსის ძე ბიწაძე და მარიამი, იმავე მაზრის სოფ. წასრელი მიხეილ ბრეგვაძის ქალიშვილი.

პირველდაწყებითი განათლება ა. ბიწაძემ სოფ. ცხრუკვეთის ორკლასიან სკოლაში მიიღო, შემდეგ სწავლა განაგრძო ჭიათურის საშუალო სკოლაში, რომელიც მისი მოსწავლეობის ბოლო წელს პედაგოგიურ ტექნიკუმად გადაკეთდა. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ 1932-1935 წლებში მათემატიკას და ფიზიკას ასწავლიდა ჭიათურის რაიონის სოფლებში.

1935 წ. ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1940-1943 წლებში მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტი იყო. 1944 წ. პროფესორ ი. ვეკუას ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1944-1948 წლებში ა. ბიწაძე თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია, 1948-1951 წლებში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახ. ინსტიტუტის დოქტორანტი. 1951 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (კონსულტანტი მ. ა. ლავრენტიევი); 1951-1959 წლებში ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია, 1958 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

1959-1971 წლებში ა. ბიწაძე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებაში მუშაობდა; იყო მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ნოვისიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

1969 წ. ა. ბიწაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

1971-1994 წლებში ა. ბიწაძე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეა, 1971-1978 წლებში — მოსკოვის საინჟინრო ფიზიკის ინსტიტუტის კათედრის გამგე, 1979-1983 წლებში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი და მეცნიერ-ხელმძღვანელი; 1983 წლიდან გარდაცვალებამდე მოსკოვის ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი იყო.

ა. ბიწაძე გარდაიცვალა 1994 წლის 9 სექტემბერს მოსკოვში.

აქ მოტანილი მშრალი სტრიქონების მიღმა დიდი პიროვნების მეტად საინტერესო და ცხოვრება და შემოქმედება დგას.

ცხოვრების ეს გზა ვასილ და მარიამ ბიწაძეების დიდ ოჯახში დაიწყო. ეს ოჯახი სოფელში ერთ-ერთ ყველაზე შეძლებულად ითვლებოდა. ცხრუკვეთში დღესაც იხსენებენ, რომ ვასილ ბიწაძეს “სოფლის მენახვერეს” ეძახდნენ ზემო იმერეთის პირობაზე მისი დიდი მამულებისა და კარგად აწყობილი, სოფლის დოვლათით სავსე მეურნეობის გამო. ვასილის ბაბუის, საწერეთლოში “დიდ გოგიად” ცნობილი ყმა გლეხის ზედსახელი თავისთავად იმაზე მეტყველებს, როგორი არაორდინარული

პიროვნება იყო იგი, რაკი აღნაგობით არცთუ დიდი ზომების კაცს ასე შეარქვეს. ზეპირი გადმოცემის თანახმად ბატონს, საჩხერელ წერეთელს, მის ოჯახში საქეიფოდ თავადები და იმერელ ბაგრატიონთა ოჯახის წევრებიც კი მოყავდა, იმდენად ეამაყებოდა “გაკეთებული (ზემოიმერული დიალექტით — შეძლებული, მდიდარი) გლეხი” თავის სათავადოში. მას სამი ვაჟი დარჩა, რომელთა ახალგაზრდობაშიც ბატონ-ყმობა “გადავარდა”. უმცროსი ვაჟი, ალექსი, ბატონი ანდროს ბაბუა, საზრიანი და ჭკვიანი კაცის სახელით იყო ცნობილი. მას პირველს შემოუტანია ცხრუკვეთში იმ დროისთვის ახალი საყოფაცხოვრებო ნივთები: ნავთის ლამპა, ფიანსის ჭურჭელი... ვასილს და მარიამს დიდი ოჯახი ჰქონდათ: საკუთარი რვა შვილის გარდა მათთან ცხოვრობდნენ ვასილის ძმის, პირველ მსოფლიო ომში დაღუპული აბელის ქვრივი და ქალიშვილი. 30-იან წლებში ვასილ ბიწაძე “განაკულაკეს” (გადასახლებას გადაურჩა), თუმცა ამის შემდეგაც ღირსეულად განაგრძო ცხოვრება: ვაჟებს განათლების მიღებაში დაეხმარა, ქალიშვილები და ძმისშვილი კარგ ოჯახებში გაათხოვა; იმ დუხჭირ წლებში ყველა მეზობელს გაჭირვებაში მისი დახმარების იმედი ჰქონდა, მათ შორის იმთავც, ვინც მისი “განაკულაკების” ორგანიზატორები იყვნენ და ვისაც “ახალმა ცხოვრებამ” იმედები, რბილად რომ ვთქვათ, არ გაუმართლა. ანდრო ყველაზე უმცროსი შვილი იყო. უფროსი შვილები მშობლებს მხარში ედგნენ და ბატონი ანდროს აღზრდაში დიდი წვლილი შეიტანეს. ზემოიმერეთის ღვთივკურთხეულმა სანახებმა, სადაც ბატონმა ანდრომ ბავშვობა გაატარა, მასში სილამაზის მძაფრი შეგრძნება და სრულყოფისკენ სწრაფვის სურვილი შვა, რაც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე შერჩა. ამ ფასდაუდებელი თვისებების კვალი მის შემოქმედებასაც ატყვია მკაცრ მათემატიკურ ფორმულებსა და მსჯელობებშიც კი.

თხუთმეტი წლის ასაკში ჭიათურის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ბატონი ანდრო ფიზიკას და მათემატიკას ასწავლიდა. მისი სწრაფვა ცოდნისკენ დაუოკებელი იყო, ამ მხრივ ყველა ბარიერს იღებდა, ენობრივსაც კი. ბავშვობაში ჭიათურის სკოლის შესანიშნავი მასწავლებლებისგან კარგად ნასწავლი რუსულის გარდა ფრანგულ ენასაც დაეუფლა მათემატიკური ტექსტების დედანში გაცნობის მიზნით. უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე გამორჩეული სტუდენტი იყო. მეგობრები მის უპირატესობას აღიარებდნენ და დიდად აფასებდნენ მასში ნათელ ნიჭს, და საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნელობას. პედაგოგებიც დიდად აფასებდნენ მის ნიჭს, მათ ასეთ სტუდენტთან საუბარი გამოცდებზეც კი დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა.

ბატონი ანდროს სამეცნიერო ინტერესების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნ. მუსხელიშვილის სახელგანთქმული სემინარის თემატიკამ. ასპირანტობის წლებში იგი ამ სემინარის აქტიური მომხსენებელი იყო. სწორედ მაშინ, ომის მძიმე წლებში მოამზადა საკანდიდატო დისერტაცია. საინტერესო ფაქტია, რომ იმ წლებში სსრკ-ს სულ 50 ასპირანტი ჰყავდა სტალინური სტიპენდიანტი და ა. ბიწაძე ერთ-ერთი მათგანი იყო.

ბატონი ანდრო არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ მეცნიერული მუშაობით. შეძენილი ცოდნის სხვისთვის გაზიარების მოთხოვნილებამ ის შესანიშნავ პედაგოგად აქცია. მას მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შეუწყვეტია პედაგოგიური მუშაობა. მისი ცეცხლოვანი და დამაჯერებელი სიტყვა, ღრმაშინაარსიანი და გამართული მეტყველება ბევრს დღესაც კარგად ახსოვს.

ა. ბიწაძის მეცნიერულმა საქმიანობამ მიიქცია აკად. მ. ა. ლავრენტიევის ყურადღება. ამან განაპირობა მოსკოვის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დოქტორანტურაში შემდგომი საქმიანობა. აქ გამოჩნდა მისი ფართო

ჰორიზონტი და დიდი შესაძლებლობები. ის ყოველთვის კრიტიკულად უდგებოდა დამკვიდრებულ შეხედულებებს, ირჩევდა კვლევის არასტანდარტულ ობიექტებს და ხშირად სამეცნიერო საზოგადოებისთვის სრულიად მოულოდნელი, თითქმის დაუჯერებელი ფაქტები წარუდგენია. ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა ცნობილი მეცნიერის მიერ სპეციალური თეორიის აგებითაც კი დაგვირგვინდა. სადოქტორო დისერტაციაში შერეული ტიპის განტოლებებისთვის დასმულ ამოცანებს მან ისეთი მოხდენილი გადაწყვეტა მოუწავს, რომ მ. ა. ლავრენტიევმა, სიმკაცრით განთქმულმა შემფასებელმა, ნატიფად მიიჩნია და თავის მონოგრაფიაშიც კი შეიტანა. ბატონი ანდროს პირველი მონოგრაფია იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ მაშინვე ითარგმნა რამდენიმე ენაზე, მათ შორის ჩინურზეც. ეს თარგმანი მისი პეკინში მიწვევის მთავარი მიზეზი გახდა. მისმა ლექციებმა დიდი ინტერესი გამოიწვია, მრავალი ჩინელი მათემატიკოსი დააინტერესა მის მიერ შეთავაზებულმა თემატიკამ. ბატონმა ანდრომ ჩინეთში საკუთარი მოღვაწეობის ნათელი კვალი 80-იანი წლების მიწურულს იხილა, როცა მისმა ჩინელმა მოწაფეებმა და მიმდევრებმა მასწავლებელს 20 წლის შემდეგ თავისებური ანგარიში ჩააბარეს.

მოსკოვში მოღვაწეობის პერიოდში ბატონი ანდროს შესახებ სავსებით ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრი. იგი აღიარეს ავტორიტეტულ მკვლევარად მათემატიკის სხვადასხვა მომიჯნავე დარგში, მკაცრ და სამართლიან ექსპერტად. მისი სიტყვა აინტერესებდათ და ანგარიშს უწევდნენ ყველა დონეზე. ამიტომაც არავის გაკვირვებია, როდესაც იგი 42 წლის ასაკში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბატონი ანდრო ყოველთვის აქტიური იყო, რაც განსაკუთრებით ციმბირში მუშაობის წლებში გამოვლინდა. მან დიდი შრომა დახარჯა ნოვისიბირსკის აკადემიქალაქის დაფუძნებაში და განვითარებაში, ციმბირის ახალგაზრდა სამეცნიერო მათემატიკური კადრების მომზადებაში. სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობა მისთვის ციმბირშიც განუცალკევებელი იყო; ერთდროულად ხელმძღვანელობდა ფუნქციათა თეორიის განყოფილებას მათემატიკის ინსტიტუტში და ამავე დასახელების კათედრას ნოვისიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი სემინარები და ლექციები თავიდანვე პოპულარული იყო. ბიწამის ცნობილი სემინარი უხვად იზიდავდა დამწყებ თუ მხცოვან გამოცდილ სპეციალისტებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ამ სემინარზე ახალგაზრდები სამეცნიერო კვლევის ჩვევებს იძენდნენ, უფროსები კი ცოდნასა და გამოცდილებას იმდიდრებდნენ. ამას ხელს ბიწამის, როგორც ხელმძღვანელის, განსაკუთრებული ხელწერა უწყობდა. ის იმდენად მარტივად და გასაგებად წარმოაჩინდა კვლევის ობიექტებს და შედეგებს, რომ მსმენელებს თავისთავად უჩნდებოდათ მათი გაღრმავების და გავრცობის სურვილი. აქ ისმებოდა უამრავი ახალი აქტუალური პრობლემა და შეფასება ეძლეოდა მრავალ თანამედროვე შედეგს. ბიწამისეული სემინარის ეს სტილი უცვლელი იყო, სადაც არ უნდა ჩატარებულყო ეს სემინარი, ნოვისიბირსკის უნივერსიტეტში, სტეკლოვის სახ. ინსტიტუტში მოსკოვში თუ ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში თბილისში. მისი ბუნება ვერ ეგუებოდა ადამიანში ორჭოფობას და სხვის მიერ გაკვალული ბილიკის ბრმად გაყოლას. იგი ყველასგან დაბრკოლებათა გადალახვის საკუთარი გზების მოძიებას მოითხოვდა. ყოველივე ეს განსაკუთრებულ ხიბლს აძლევდა ა. ბიწამის გვერდით მუშაობას და ამიტომაც არის მისი მოწაფეებისა და მიმდევრების გუნდი ასე მრავალრიცხოვანი. ბევრი მათგანი შეიძლება სულაც არ დასწრებია მის სემინარებს, მაგრამ თავს მაინც მის მოწაფედ თვლის, რადგან ამ თემატიკას მისი

მონოგრაფიებიდან ეზიარა. მისი წიგნები, სტატიები და მონოგრაფიებიც იმავე სულისკვეთებით იყო შექმნილი, სემინარებზე რომ სუფევდა. მისი მაღალგემოვნებიანი ლიტერატურული სტილი, სხარტი და ლაკონური სიტყვა, საგნის ყოველხრივ გააზრებული წარმოჩენა მხოლოდ მის ნაშრომებს კი არ ატყვია. ბატონი ანდრო ბევრისთვის სასურველი რედაქტორი იყო. ისინი თვლიდნენ, რომ ა. ბიწაძის მაღლიანი კალმით მათი ნაშრომები კეთილშობილდებოდნენ.

შინაარსის გადმოცემის ბატონი ანდროსთვის დამახასიათებელი სტილი მხოლოდ მის მათემატიკურ ნაშრომებში არ იგრძნობა. თუნდაც რად ღირს სქილუმენია ფამარის (ერისქალობაში თამარ მარჯანიშვილი, კოტე მარჯანიშვილის და) შესახებ დაწერილი ნარკვევი, რომელიც ქართულ პრესაში გამოქვეყნდა რამდენიმე წლის წინ. ბატონი ანდრო ამ სტილს ნ. მუსხელიშვილს უმაღლოდა. მოწიწებული იყო მისი დამოკიდებულება საკუთარი მასწავლებლების მიმართ. შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, რომ საკადრისი პატივი არ მიეგო მათი ხსოვნისთვის. მისი ფენომენური მეხსიერება იტევდა ინფორმაციას უამრავ ისტორიულ და თანამედროვე მოვლენაზე, მრავალ ღირსეულ პიროვნებაზე. პროფესიონალის დონეზე შეეძლო ესაუბრა ხელოვნების, ლიტერატურის, ისტორიის მრავალ სხვადასხვა საკითხზე. განსაკუთრებული ინტერესით უდგებოდა თავისი მშობლიური ქვეყნის ისტორიას; გულით უყვარდა სამშობლო. სწორედ ამ სიყვარულმა დააწერინა:

“თუ ვერ მოვესწრო, დავუბრუნდე მე ჩემს მიწა-წყალს,
შენს მკერდს მოწყვეტილს ჩრდილოეთში ამომხდეს სული,
დედასამშობლოვ, გევედრები, გთხოვ, დამიჯერო,
შენს სადიდებლად, მხოლოდ შენთვის ძგერდა ეს გული!”

ახდა ბატონი ანდროს ეს წინათგრძნობა. ამჟამად ურნა მისი ფერფლით საქართველოდან შორს, მოსკოვის დონის მონასტრის პანთეონის კოლუმბარეუმში განისვენებს.

ჯონდო გვაზავა, სერგო ხარიბეგაშვილი,
ჯონდო შარიქაძე

УСПЕХИ МАТЕМАТИЧЕСКИХ НАУК

АНДРЕЙ ВАСИЛЬЕВИЧ БИЦАДЗЕ
(к семидесятилетию со дня рождения)

22 мая 1986 г. исполнилось 70 лет члену-корреспонденту АН СССР и академику АН ГрузССР Андрею Васильевичу Бицадзе.

А. В. Бицадзе принадлежат первоклассные научные достижения по теории краевых задач для эллиптических уравнений и систем, по теории уравнений смешанного и смешанно-составного типа, по теории гиперболических систем, по теории многомерных сингулярных интегральных уравнений, по теории нелокальных краевых задач, а также по теории квазилинейных уравнений и систем частных производных, моделирующих многие явления, возникающие в естествознании, физике и технике.

А. В. Бицадзе родился в селе Цхруквети Чиатурского района Грузинской ССР¹ и после окончания в 1931 г. Чиатурского педагогического техникума несколько лет преподавал математику и физику в сельских школах Чиатурского района.

С 1935 по 1940 г. А. В. Бицадзе был студентом физико-математического факультета Тбилисского государственного университета, который закончил с отличием по специальности «математика».

В 1940 г. А. В. Бицадзе поступил в аспирантуру Тбилисского математического института АН ГрузССР, после окончания которой стал работать в том же институте и одновременно вёл педагогическую работу в Тбилисском государственном университете.

В 1948 г. Андрей Васильевич был зачислен в докторантуру Математического института им. В. А. Стеклова АН СССР и после защиты в 1951 г. докторской диссертации стал старшим научным сотрудником МИАН СССР.

В 1958 г. А. В. Бицадзе за выдающиеся научные достижения был избран членом-корреспондентом АН СССР, а в 1969 г. действительным членом АН ГрузССР.

С 1959 по 1971 г. А. В. Бицадзе работал в сибирском отделении, где он возглавлял отдел общей теории функций Института математики СОАН СССР и одновременно заведовал кафедрой теории функций в Новосибирском государственном университете.

В июле 1971 г. по решению президиума АН СССР А. В. Бицадзе был переведён в Москву на должность заведующего отделом дифференциальных уравнений в частных производных Математического института им. В. А. Стеклова АН СССР.

С июля 1971 г. по настоящее время Андрей Васильевич возглавляет указанный отдел МИАН СССР, с сентября 1984 г. работает профессором МГУ.

¹ Тогдашнего Шорапанского уезда Кутаисской губернии

Кроме того, А. В. Бицадзе в течение ряда лет возглавлял кафедру высшей математики в Московском инженерно-физическом институте и в 1979-1983 гг. был научным руководителем Института прикладной математики имени И. Н. Векуа (в Тбилиси).

Фундаментальный вклад внесён А. В. Бицадзе в теорию эллиптических систем. Для эллиптической системы на плоскости он доказал фредгольмовость задачи Дирихле, нётеровость задачи Пуанкаре и получил формулу для индекса задачи Пуанкаре.

В 1948 г. А. В. Бицадзе опубликовал замечательную работу, в которой было установлено, что, в отличие от одного уравнения в случае системы уравнений, требование равномерной эллиптичности, вообще говоря, не гарантирует ни фредгольмовости, ни нётеровости задачи Дирихле (как при наличии, так и при отсутствии у соответствующего характеристического уравнения кратных корней).

А. В. Бицадзе было введено условие слабой связности эллиптической системы, обеспечивающее для этой системы фредгольмовость задачи Дирихле, нётеровость задачи Пуанкаре и нормальную разрешимость по Хаусдорфу общей краевой задачи.

А. В. Бицадзе принадлежат выдающиеся результаты по теории уравнений смешанного и составного типов. Принципиальное значение имеет обнаруженная им некорректность постановки задачи Дирихле в областях, где рассматриваемое уравнение является уравнением смешанного типа, и отыскание первых корректных постановок краевых задач при наличии замкнутых линий изменения типа в двумерных областях, а также корректных постановок краевых задач для модельных уравнений смешанного типа в многомерных областях.

А. В. Бицадзе впервые обнаружил, что наличие у гиперболического уравнения параболического вырождения вызывает некорректность в постановке классических задач.

Он установил, что даже такая классическая задача, как характеристическая задача Гурса, оказывается, вообще говоря, некорректно поставленной для гиперболической системы второго порядка (даже при отсутствии у неё параболического вырождения), при этом оказывают влияние коэффициенты системы при младших производных.

Большой вклад внёс А. В. Бицадзе в теорию многомерных сингулярных интегральных уравнений, увязав эту теорию с фундаментальными задачами теории уравнений в частных производных (такими, как многомерная задача с наклонной производной и др.).

В 1969 г. была опубликована открывшая новое научное направление совместная работа А. В. Бицадзе и А. А. Самарского, посвящённая изучению эллиптических уравнений с нелокальными краевыми условиями (условия типа Бицадзе и А. А. Самарского).

Большой цикл работ Андрея Васильевича посвящён отысканию решений и выяснению структурных свойств решений широкого класса квазилинейных уравнений и систем в частных производных, моделирующих многие физические явления и включающих в себя уравнения Максвелла – Эйнштейна, уравнения ферромагнетизма, уравнения калибровочных полей и другие.

Большой интерес имеют и работы А. В. Бицадзе, опубликованные в 1986 г. и посвящённые установлению связи между решениями задач Дирихле и Неймана для гармонических функций в областях специального вида, а также исследованию

интегральных уравнений Фредгольма первого рода со слабыми сингулярностями (с ядрами Неймана).

Яркая и многогранная научная деятельность Андрея Васильевича Бицадзе сочетается с большими достижениями в педагогической работе: он создал большую и авторитетную научную школу, насчитывающую 13 докторов и свыше 30 кандидатов физико-математических наук, написал заслуживавшие всеобщее признание учебники «Уравнения математической физики» и «Основы теории аналитических функций».

Заслуги Андрея Васильевича высоко оценены: он награждён орденом Ленина, орденом Октябрьской революции, двумя орденами трудового красного знамени, он является Лауреатом премии имени акад. Н. И. Мусхелишвили, заслуженным деятелем науки Грузинской ССР, почётным гражданином города Чиатура. Полный список работ А. В. Бицадзе см. в журнале «Дифференциальные уравнения», 1986, т. 22, № 12.

Андрей Васильевич полон энергии, новых творческих замыслов. Пожелаем ему новых выдающихся свершений, доброго здоровья и счастья.

**М. И. Вишик, А. А. Дородницын, В. А. Ильин,
А. А. Самарский, С. Л. Соболев, А. Н. Тихонов**

ОТЗЫВ

о научных трудах кандидата в действительные члены (в академики)
АН СССР Бицадзе Андрея Васильевича

А. В. Бицадзе является выдающимся специалистом в области современного математического анализа, автором свыше семидесяти опубликованных работ, в том числе трёх монографий.

В цикле работ по теориях уравнений в частных производных эллиптического типа впервые были выявлены структурные свойства решений линейных эллиптических систем второго порядка с двумя независимыми переменными и с их помощью исследованы задачи Дирихле, Неймана, Пуанкаре и др. Установленный им факт нарушения нормальной разрешимости задачи Дирихле для классов равномерно эллиптических систем вызвал многочисленные исследования в этой области как в нашей стране, так и за рубежом.

А. В. Бицадзе обогатил трудами первостепенного значения сравнительно мало исследованную область дифференциальных уравнений в частных производных смешанного типа. После первых фундаментальных работ итальянского математика Ф. Трикоми в двадцатых годах нашего столетия по уравнениям смешанного типа, из-за принципиальных трудностей на пути исследования уравнений смешанного типа, в этом направлении в научной литературе более или менее существенные результаты в течение почти четверти века отсутствовали. С конца сороковых годов началась интенсивная разработка теории уравнений смешанного типа сперва у нас в СССР, в США и во Франции, а затем и повсеместно. В этой теории основополагающее значение имеют принадлежащие А. В. Бицадзе три результата: 1) установление существования и единственности решения обобщённой задачи Трикоми, 2) доказательство некорректности задачи Дирихле для уравнений смешанного типа, 3) отыскание корректной постановки краевых задач для уравнений смешанного типа в многомерных областях и разработка методов их решения.

Широко известны также исследования А. В. Бицадзе по сингулярным интегральным уравнениям. Здесь следует отметить построенную им теорию классов многомерных интегральных уравнений с особыми ядрами Коши и исследование тесно с ними связанной задачи с наклонной (косой) производной для гармонических функций в многомерных пространствах.

За тематикой, результатами и стилем научных исследований А. В. Бицадзе с живым интересом следят как известные специалисты, так и математическая молодёжь. Среди его непосредственных учеников более сорока докторов и кандидатов физико-математических наук, успешно ведущих научно-исследовательскую работу во многих научных центрах нашей страны и за рубежом (Болгария, Вьетнам, ГДР и др.).

Андрей Васильевич Бицадзе обогатил современный математический анализ трудами первостепенного значения и является достойным кандидатом в действительные члены Академии наук СССР по специальности «математика».

9 октября 1972 года

Академик *подпись* (А. Н. Тихонов)

Академик *подпись* (В. С. Владимиров)

КИСТОЧКА ЗОЛОТОГО РУНА²

Прошло полтора десятилетия, с тех пор, как профессор Андро Бицадзе покинул наш мир и науку. Но до сих пор в России, в Московском Университете, в МИФИ, где он работал последние годы жизни, и в других ВУЗах бывшего СССР студенты продолжают учиться по его книгам. И не только там. По его книгам учатся в Англии, Франции, Германии и других странах Европы, где он когда-то выступал с лекциями и где работают его ученики. За много тысяч километров отсюда, в Америке, где мэтр никогда не был, по его книгам учится его внучка – и её товарищи. И книги его до сих пор перепечатываются совсем на другом конце планеты, в сердце Азии – Сингапуре, где он тоже никогда не был...

О вкладе профессора Бицадзе в мировую науку можно говорить много, но об этом много лучше нас говорят его книги, ученики и коллеги.

Мы же попробуем окинуть беглым взглядом его долгую и непростую жизнь.

Она началась 90 лет назад на крепком крестьянском дворе в Имерети, где будущий профессор Бицадзе впитал в себя воздух, сердце и дух родного края. Потом была средняя школа в г. Чиатура, где учителя привили талантливому мальчику любовь к книгам, наукам и смелым экспериментам. Очень жаль, что в памяти автора этих строк не сохранились имена тех учителей, которые в далекие 20-е годы, служа в маленькой провинциальной школе, выписывали со всего мира передовые научные журналы и учили детей так, что простые крестьянские мальчики и девочки могли изобретать батареи, по-новому решать геометрические задачи, составлять новые формулы... Со слов отца мы знаем, что так было! И скромные уездные учителя воспитывали учёных. Бережно выращивали таланты, стараясь сохранить интеллектуально-культурную основу Грузии.

Древние говорили о Грузии как о стране таинственного золотого руна. А чем же могло быть это золотое руно? Неужели речь шла только лишь о позолоченных овечьих шкурках? Вряд-ли так... Археологи не нашли пока никаких позолоченных овечьих шкурок и едва-ли найдут, наверное, потому что не это имелось в виду, когда говорили о золотом руне. Золотое руно это – люди Грузии. Ее таланты, которых она дарила миру. Не всякие страны, не всякие народы дарят человечество большим количеством талантливых ученых, писателей, художников. Грузия, однако, рождала таких людей. Но родиться талантом или гением недостаточно. Талант надо вырастить, не дать ему погибнуть. Не протратить его за мелко-прагматическими заботами... И выращивать таланты начинали такие вот уездные школы и служившие в них педагоги, которые создавали и преумножали своими руками, авторитетом, добрым сердцем легендарное золотое руно...

Потом в жизни отца появился город Тбилиси. И там, в одном из самых молодых университетов Европы – Тбилиском университете - продолжали тогда ковать золотое

² წერილი, რომელიც ანდრეი ანდროს ძე ბიჭაძემ გამოაგზავნა მამის 90 წლისთავის აღსანიშნავ სხდომაზე წასაკითხად.

руно. Именно там академик Мусхелишвили помог молодому, горячему, никому ещё неизвестному и быть может с чьей-то точки зрения излишне прямолинейному имеретинскому парню стать студентом математического факультета... Последующие годы другие замечательные профессора Тбилисского университета шлифовали талант молодого учёного. Потом были годы работы в Тбилисском Математическом Институте, а в 1948 году решением вышестоящих инстанций мой отец был направлен в Москву – центр советской империи, в составе которой находилась тогда и Грузия. Империи нужны были грузинские таланты, и она получила очередную готовую кисточку золотого руна.

С тех пор жизнь отца была в значительной степени связана с Россией.

В 1959 году он был послан в Сибирь – среди тех, кому судьбой было доверено поднимать с нуля сибирское отделение Академии Наук СССР. Потом вернулся в Москву. В конце 70-х попытался вернуться в Грузию, но... это уже была другая страна. Совсем не та, откуда он уезжал. Это был не край золотого руна, а «Грузинская ССР» – с другим стилем жизни, другим отношением к делу и друг к другу и, к большому сожалению прежде всего для себя, мой отец не смог вписаться в это новое общество. По возвращении в Москву, отец написал очень печальное стихотворение о путнике, который вернулся в край отцов, чтобы быть им отвергнутым....

Прожив десятилетия в России, А. Бицадзе всегда оставался грузином; верным сыном своей родины. Своему сыну с раннего детства передал он подробные знания по истории Грузии, которые тогда не были доступны даже в грузинских школах. Росшему в России А. Бицадзе-младшему были известны такие имена как Баграт III и Давид Агмашенебели, Илья Чавчавадзе и Ной Жордания, – все то, чему не учили в советских школах как в России, так и в Грузии, чтобы заставить людей забыть о том, кто они такие, откуда взялись и где их корни. Скажу больше того... Мой отец испил до дна горькую чашу того, что означало быть грузином в России – по крайней мере после 1953 года. Сейчас многие из нас знают о незаконных арестах грузин и лиц грузинского происхождения в России, о грязной антигрузинской кампании в российской прессе. Но все это не возникло вдруг и ниоткуда. Как человек, проживший много лет в России, и как сын своего отца, могу сказать: всё началось в 1953 году, когда большевики отвели ненависть российского народа от себя на ту страну, из которой вышел диктатор Сталин. Многие из тех, кто низкопоклонничал перед тираном вплоть до его смерти, стали после этой смерти жестоко мстить его «соплеменникам». Увы, ничего не поделаешь... Такова психология рабов... Кремль охотно брал знания, квалификацию, умственный потенциал грузин. Пользовался «золотым руном», не считая нужным ничего давать взамен. Даже элементарного уважения...

Андро Бицадзе видел все это. Очень переживал происходившее. Особенно тяжело он переживал трагические события в Грузии в первые годы после обретения долгожданной свободы: гражданскую войну, национальную катастрофу 1992-93 гг., потерю территорий, этнические чистки грузин в Абхазии, проведённые с активной помощью России, которой он и многие другие коллеги отдали свои знания и труд. Единственное, в чём отец находил утешение, была его наука, его работа, его ученики...

Его мозг постоянно рождал новые идеи, оригинальные решения сложнейших задач. А. Бицадзе написал много книг и подготовил десятки докторов наук, профессоров математики и смежных дисциплин. Он не жалел времени, которое уделял своим аспирантам и докторантам. Порой они сутками пребывали в доме у мэтра, разбирая с ним теорию, с перерывами на обед и короткие прогулки по лесу. Иногда мэтр бывал с ними резковат, ругал за ошибки или непунктуальность, но... после этих занятий они в короткие сроки блестяще защищали диссертации и делали карьеры.

А. Бицадзе никогда не прекращал научных экспериментов. Даже в самые трудные времена, борясь с последней стадией тяжёлой болезни, им планировалось написание новых теоретических работ; издание новых книг...

Следует также сказать, что профессор Бицадзе был человеком энциклопедически образованным. Помимо основной сферы деятельности – математики, он великолепно знал историю и литературу, писал стихи, хорошо разбирался в живописи и архитектуре. Знал языки: помимо родного грузинского он в совершенстве владел русским и французским, а к концу жизни мог читать лекции и на английском.

Выше было уже много сказано о том, что знал и умел профессор Андро Бицадзе. Справедливости ради надо упомянуть и о том, чего он не умел. Он не умел воровать идеи. Он не умел, да так и не научился брать и давать взятки и прочие подношения... Он не умел прислуживать власть имущим и говорить в нужное время нужные комплименты «нужным людям». Многие коллеги его всё это умели. Они научились не только брать взятки, но даже воровать идеи у собственных учеников, создав среди части современных молодых людей искаженный образ ученого. Знаете, есть сегодня мнение о том, что «каждый ученый у кого-то что-то когда-то украл», что конечно очень стыдно... За долгие годы жизни в СССР Андро Бицадзе таким вещам не научился, да и в мыслях не имел учиться такому. Он также в отличие от многих советских людей своего времени, не научился доносить на коллег в тайную полицию, плести интриги, делать подлые провокации, бить из-за угла и в спину... Известно, что по крайней мере дважды в течение своей жизни отец отказался от сотрудничества с КГБ, притом что во второй раз ему было обещано в качестве награды полное членство в Академии Наук СССР.

Власти также никогда не простили учёному того, что он был в числе авторов

Сегодня прошло много лет после смерти Андро Бицадзе, но его продолжают вспомнить во многих странах мира. Но навверное наилучшей памятью об учёном, наиценнейшей данью уважения к нему будет сделать так, чтобы его любимая и единственная родина Грузия снова смогла выращивать, выковывать бесценное золотое руно. Находить, поднимать и выращивать таланты. Великих людей, которые будут творить прекрасное на благо своей родины и всего человечества. Которые смогут сделать лучше как Грузию, так и , быть может, весь мир.

Андрей Бицадзе, профессор политологии и истории, университета Калгари, Канада

ანდრო ბიწაძემ დატოვა მოგონებები სათაურით “**ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შვილო (ავტობიოგრაფიული ჩანაწერები)**”. ირონიული გამონათქვამი — მემუარები ის ცხოვრებაა, რომლის გატარებაც ავტორს უნდოდაო, მეტად თუ ნაკლებად ყველა ასეთი სახის ჩანაწერს ახასიათებს (ამისი მაგალითია ი. ერენბურგის «Люди, годы, жизнь»). დიდი ფრანგი კომპოზიტორის ჰ. ბერლიოზის “მემუარების” რუსული თარგმანის გამოცემის (Гектор Берлиоз, «Мемуары», государственное музыкальное издательство, Москва, 1962) წინ წამძღვანებულ სტატიაში «Мемуары» Берлиоза и он сам» ვკითხულობთ: «...достоверность некоторых эпизодов «Мемуаров» подвергается музыковедческой критикой сомнению – не только вследствие смещений памяти, часто свойственных мемуаристам, но из-за крайней субъективности восприятия многих явлений, присущей Берлиозу». ფრანგი მუსიკათმცოდნე ადოლფ ბოშო სამტომიან მონოგრაფიაში “ჰექტორ ბერლიოზი” (პარიზი, 1906 — 1913) “მემუარებში” მოყვანილ ზოგიერთ ეპიზოდს ავტორის ფანტაზიას მიაწერს («Адольф Бошо на основании разнородных документов утверждает, что всё рассказанное до сих пор в этой главе является плодом необузданного воображения Берлиоза...» — ციტატა ზემოთმოყვანილი გამოცემის “შენიშვნებიდან”). ამ ნაკლისგან არც ეს “ავტობიოგრაფიული ჩანაწერები” შეიძლება იყოს დაზღვეული, დიდ გავლენას ახდენს საბჭოთა წყობის დროს საყოველთაოდ სავალდებულო და აუცილებელი კონიუნქტურაც. ამიტომ ამ მოგონებებს შემოკლებით, ავტორის ცხოვრების იმ ფაქტების გადმოცემით გთავაზობთ, რომლებიც ძირითადად ავტორისავე პირად არქივში დაცული ოფიციალური დოკუმენტების ასლებით ან რამდენიმე სანდო მოწმის ჩვენებით დასტურდებიან.

სქოლიოებში მოყვანილი შენიშვნები რედაქტორს ეკუთვნის (ლექსების შენიშვნების გარდა, რაც თვით ავტორს ეკუთვნის).

რა ლამაზია, თვალწარმტაცი ნაქერალას, სურამისა და მესხეთის ქედებით შემოზღუდული ზემო იმერეთი, მაღალ კლდოვან ნაპირებიანი მდინარეებით, ჩანჩქერებითა და ნაკადულებით დასერილი მისი მთები, ტყით მოსილი გორაკები და მათზე საკერველივით მიკერებული, გამრჯე მარჯვენით დამუშავებული მიწის პატარ-პატარა ნაკვეთები, სავსე ყურმნით, სიმინდით, ხეხილით. მთისა და ზღვის შეზავებული ჰავით ბუნებას ეს მხარე ისე შეუმკია, რომ აქ მოზინადრე ცოცხალი არსებები — ცხოველი თუ მცენარე მოკლებულია შხამს, გესლს, ბოროტებასა და მანკიერებას. აქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობს ხალხი მშრომელი, ჯანსაღი, ლამაზი, სტუმართმოყვარე, მტრებთან ბრძოლაში გულადი, შეუპოვარი და შემმართველი. მტერს რაღა უნდოდა ამ მიუვალ ადგილებშიო, გაკვირვებით იკითხავს მკითხველი, მაგრამ გასაკვირი ამაში არაფერია, აქაურობას კარგად ატყვია ქვის, ბრინჯაოსა და, რაღა თქმა უნდა, რკინის ხანათა ნიშნები. ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ ოთხივე მიმართულებიდან — აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან დაძრწოდნენ ზემო იმერეთზე გავლით კავკასიაში შემოსული ბრბოები, მარცვადნენ აქაურ მოსახლეობას, ანადგურებდნენ მის სახლ-კარს და სანახებს, შეურაცყოფდნენ მის ღირსებას. ამიტომ გამოუკვეთიათ ზემოიმერელთა წინაპრებს მიუვალ კლდეებში ქვაბები, სამალავები, კომკები და ციხეები; ტაძრები და მონასტრებიც კი იმ ვარაუდით აუგიათ, რომ საჭიროების შემთხვევაში თავშესაფრად, სიმაგრედ გამოდგომოდათ.

სოფელი ცხრუკვეთი ერთ-ერთი ძველი დასახლებაა ზემო იმერეთში. რამდენიმე საუკუნეა, ბიწაძეების გვარს მოუკიდებია აქ ფეხი, ახლა კი ამ გვარს თითქმის მთელი სოფელი დაუკავებია. აქვეა რამდენიმე მოსახლე გველესიანი, ტატიშვილი, ფხალაძე³, წერეთელი და ჭარელიძე. ძნელი გასარკვევია ამ გვართა წარმომავლობა. ამბობენ, რომ ბიწაძეები მოსულან ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული სოფლიდან — ბიწათიდან, ზოგი კი ფიქრობს, რომ გარკვეული ნათესაობა უნდა იყოს ამ გვარსა და ისეთ ოსურ გვარებს შორის, როგორცაა ბიწაევი, ბიწიევი, ბიწოევი და ა. შ. აქაური წერეთლები თურმე ადრე მოძღვრიშვილებად იწოდებოდნენ, მათზე საჩხერელი თავადი წერეთლები ბატონობდნენ, შემდეგ კი როგორღაც აზნაურობა მიუღიათ და წერეთლებად დაწერილან. გველესიანები, ფხალაძეები და ჭარელიძეები წერეთლებს მსახურებდნენ, თუმცა ჭარელიძეები რაჭის ერისთავის ციცი ჭარელის შთამომავალნი უნდა იყვნენ, იმ ციცისა, რომელსაც XIV საუკუნის დასასრულს ჩხეიძეებმა ერისთავობა წაართვეს, თვალეები დათხარეს და ცოლ-შვილიანად გაყიდეს.

როგორც ჩანს, ცხრუკვეთში ბატონყმობას მკვიდრად ვერ გაუდგამს ფესვები. იმერეთის მეფის სოლომონ მეორის ცბიერ სახლთუხუცესს ზურაბ წერეთელს და მის ვაჟს გრიგოლს რამდენჯერმე უცდიათ ბიწაძეები ყმებად გაეხადათ, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ⁴. ძველთაგანვე ცხრუკვეთი საკმაოდ მდიდარი სოფელი ყოფილა, მის

³ გადმოცემის თანახმად სოფელი ერთ-ერთი ჭირიანობის დროს მთლიანად ამოწყვეტილა. ამის შემდეგ აქ პირველად ფხალაძეები დასახლებულან, რომლებიც, როგორც ამბობენ, საეკლესიო გლეხები იყვნენ (ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ სოფელში არსებული ორივე ეკლესიის ახლოს ამ გვარის განსახლებაა).

⁴ აქ ა. ბიწაძე ცდება. ბიწაძეები საჩხერელი თავადი წერეთლის ყმები იყვნენ, თუმცა სიამაყე არც ყმობაში აკლდათ და ბატონს მხოლოდ შეთანხმების ფარგლებში ემორჩილებოდნენ, რაც “მართებთად”. ა. ბიწაძის ბავშვობაში და ჭაბუკობაში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო მისი ბაბუის უფროსი ძმა გარსევანი (გარდაიცვალა 30-იანი წლების დასაწყისში), რომლის მონათხრობები ბატონყმობის დროინდელ მის ახალგაზრდობაზე კარგად ახსოვდა ვასილ ბიწაძის უფროს ვაჟს _ სერგოს.

მცხოვრებთა შორის ვერ შეხვდებოდით მპარავს, ყაჩაღს, ფიზიკურად ან სულიერად მახინჯს. მისი მკვიდრნი, როგორც საერთოდ ზემო იმერლებს ჩვევიათ, უფრთხილდებოდნენ პატიოსნებას, მაღლა აყენებდნენ პირად ღირსებას, იყვნენ ამაყნი, მაგრამ მათი სიამაყე თავხედობაში და თავმომწონეობაში არ გადადიოდა. ღირსებად მიიჩნევდნენ შრომის სიყვარულს და სტუმართმოყვარეობას.

გასული საუკუნის ბოლოს ერეკლე მეორეს ალა-მაჰმად-ხანთან ბრძოლაში მისახმარებლად იმერეთიდან წარგზავნილ მოლაშქრეთა შორის რამდენიმე ბიწაძეც ყოფილა, მაგრამ სარდალ ზურაბ წერეთლის ღალატით მოტყუებულ ლაშქარს სამარცხვინოდ პირი უბრუნებია და ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. უფრო უარესიც, ზურაბ წერეთელსა და მის აზნაურებს თბილისის დაცემის შემდეგ ქართლის ჯარის გადარჩენილი ნაწილების ცალკეული ჭრილობებით დასუსტებული და მოქანცული მეზრძოლები ზემო ქართლში შეუპყრიათ, განუიარაღებიათ და ახალციხის საფაშოში გაუყიდიათ. თურმე მათ მიაყოლეს ვინმე სიმონიკა ბიწაძეც, რომელსაც უცდია, წინ აღდგომოდა ზურაბ წერეთლის ამ ბოროტებას. სარდალ წერეთლის ქართველი ერის წინაშე ამ უდიდესი დანაშაულის მხილება სურდა ოსე გაბაშვილს (ბესიკის ძმას), მაგრამ გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელმა მას ცილი დასწამა, რუსეთის მთავრობას ჩრდილოეთში გადაასახლებინა და იქ სული ამოხადა. ზოგიერთი ისტორიკოსის წყალობით ეს დანაშაული დღესაც მიჩქმალული ან უარყოფილია, მაგრამ ფაქტი, ისიც ისტორიული, ჯიუტია, დადგება დრო და იჩენს თავს.

XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში რამდენიმე აზნაურ წერეთელს ცხრუკვეთიდან კარგი სასკოლო განათლება მიუღია და ამ საქმეში მათ ბიწაძეებიც აყოლიან. XX საუკუნის დამდეგს ცხრუკვეთში მოსახლე ბიწაძეების გვარიდან თითქმის ყველა წიგნიერი ყოფილა, მათ შორის ვასილ ალექსის ძე ბიწაძის დიდი ოჯახიც⁵.

დედაჩემს სურდა, სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე შეესულიყავი...

⁵ა. ბიწაძის ბაბუის ალექსი ბიწაძის, შემდეგ მისი შვილის ვასილის ოჯახი სოფლის ერთ-ერთი გამორჩეული ოჯახი იყო (ვასილს იმერული იუმორით “სოფლის მენახვერეს” ეძახდნენ). გასაბჭოების დროს მიწების ჩამორთმევის (“განკულაკების”) შემდეგაც კი ოჯახმა ღირსეული მდგომარეობა შეინარჩუნა და მატერიალურად ყოველნაირად უწყობდა ხელს ა. ბიწაძეს, სანამ თვითონ შეძლებდა თავის უზრუნველყოფას. მისი “უკიდურესი სიღარიბე” და “ნახევრად მშვიერი” არსებობა, რაზედაც აქამდე აპელირებენ მისი “კეთილისმსურველნი”, მხოლოდ ბინძური მითია. თავისი ბავშვობისა და ადრეული სიჭაბუკის დროინდელ მამის ოჯახზე ა. ბიწაძე “ჩანაწერებში” ორჯერ წერს, მაგრამ პირველი, ადრინდელი წლების ჩანაწერი ბოლო წლების ჩანაწერიდან რადიკალურად განსხვავდება პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად, თუმცა ბავშვობა რომ მისი “ცხოვრების ტკბილი ზმანება” (მისი ლექსის სათაური) იყო, ეს მოტივი რჩება (როგორც რვა შვილიდან უმცროსს, ანებივრებდნენ). ამ პერიოდის შემდეგ მამის ოჯახს საერთოდ აღარ ახსენებს. 900 თაბახის ფურცელზე დაწერილ “ჩანაწერებში” დანაწებით წერს თავისი სიმამრის (ძალიან ღირსეული კაცის, მაღალჩინოსანი სამხედრო პირის) და შვილის სიდედრის გარდაცვალებაზე, მაგრამ ნახსენებიც არ აქვს არც მშობლების (თუმცა აქვს ლექსი – “დედის გარდაცვალებაზე”), არც ორი ძმისა და ოთხი დის გარდაცვალება (ერთ-ერთი მათგანი, 23 წლის ელენე 1931 წელს კომკავშირლების მხეცობის მსხვერპლი გახდა იმის გამო, რომ მღვდლის, სოფელზე დიდად მოამაგე დეკანოზ იოსებ წერეთლის სოფლიდან გასახლების წინააღმდეგ წავიდა), არც მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ დისშვილს, უფროსი დის ვაჟს, ვასილის პირველ შვილიშვილს იხსენებს.

“სამედიცინოზე შესვლა ძალიან ძნელია, დედა, ნუ გეწყინებათ შენ და მამაჩემს, თუ თქვენს სურვილს ვერ შევასრულებ”⁶.

“...შენს სურვილს ჩვენ წინ ვერ აღვუდგებით, წადი შენი გზით, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შვილო!” — ასე დამლოცა დედამ...

1935 წლის 1 აგვისტოდან 25 აგვისტომდე აბარებდნენ მისაღებ გამოცდებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იმ წელს უგამოცდოდ არავის არ ღებულობდნენ. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე შემსვლელთ 8 გამოცდა უნდა ჩაებარებინათ — მათემატიკაში (წერა, ზეპირი), ფიზიკაში, ქიმიაში, ქართულ ენაში (წერა, ზეპირი), სკპ(ბ) ისტორიაში და სამოქალაქო ისტორიაში. სექტემბერში 40 ქულით ჩამრიცხეს თსუ-ს სტუდენტად. ჩარიცხულთა შორის ამდენივე ქულა ჰქონდათ აგრეთვე 5 სტუდენტს — თინა შარაშენიძეს, ქეთო ორჯონიკიძეს, გიორგი ქსენოფონტოვს (მელიქიშვილს), მერი იანქოშვილს და ელენე იმერლიშვილს. ასე დაიწყო სტუდენტობის პერიოდი ჩემს ცხოვრებაში.

1929-30 სასწავლო წლის ბოლოს თბილისის უნივერსიტეტი დაიხურა და მის ნაცვლად შეიქმნა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის: საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტი, ამიერკავკასიის ინდუსტრიალური ინსტიტუტი, ამიერკავკასიის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი, სამედიცინო ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი და ა. შ. 1933 წელს საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე კვლავ აღადგინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც დაიწყო სპეციალისტების მომზადება ფიზიკასა და მათემატიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, გეოგრაფიასა და გეოლოგიაში, ეკონომიკაში, იურისპრუდენციაში, ფილოლოგიაში, ისტორიაში და სხვ. სტუდენტთა კონტინგენტი ყოველწლიურად მატულობდა. 1935 წლის 850 სტუდენტი ჩაირიცხა, მათ შორის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე — 140 სტუდენტი 4 სპეციალობით 4 ჯგუფად დაყოფილი: 144ა (მათემატიკის სპეციალობით), 144ბ (მექანიკის სპეციალობით), 145 (გეოფიზიკისა და ასტრონომიის სპეციალობით) და 146 (ფიზიკის სპეციალობით). სპეციალური დისციპლინები მათემატიკასა და ფიზიკაში ცალ-ცალკე ეკითხებოდათ 144ა, 144ბ და 145, 146 ჯგუფებს. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი იყო სახელგანთქმული მათემატიკოსი ნ. მუსხელიშვილი, ხოლო ფაკულტეტის პედაგოგიური პერსონალი 18 ერთეულისგან შედგებოდა, რომელთა შორის პროფესორის თანამდებობა ეკავათ ნ. მუსხელიშვილს, ლ. გოკიელს, ა. ხარაძეს და რ. ხუციშვილს. მექანიკა-მათემატიკის სპეციალობის სტუდენტებს პირველ კურსზე ლექციებს გვიკითხავდნენ: ლ. გოკიელი (მათემატიკურ ანალიზში), ა. ხარაძე (უმაღლეს ალგებრაში), კ. სულაქველიძე, ხოლო მის შემდეგ ი. მეცხვარიშვილი (ანალიზურ გეომეტრიაში). შესაბამისად პრაქტიკული მეცადინეობები მიყავდათ დ. გამყრელიძეს, პ. ზერაგიას და თ. ცხადაიას. პირველ კურსზევე ზოგადი ფიზიკა მხოლოდ მექანიკა-მათემატიკის სპეციალობის სტუდენტებს გვეკითხებოდა (დოცენტი დ. გორდაძე).

⁶ თავის სპეციალობად მათემატიკის არჩევის თაობაზე ა. ბიწაძე ასე ყვებოდა: “მე ზავშობაში პოეტობა მინდოდა, ბუნებით ფილოლოგი ვარ, როცა ჩემი პირველი ლექსები ჩემს უფროს ძმას ვაჩვენე, გაიღიმა და მითხრა, _ ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ ჯობია, კაცმა პირველ რიგში სხვა საქმე აკეთოს, იყოს, მაგალითად, კარგი ინჟინერი ან კარგი მათემატიკოსი. _ მაშინ ნახავ, თუ მე კარგი მათემატიკოსი არ გამოვიდე! _ დავიქადე მე”. როგორც თვითონ ამბობდა, დაუჯერა მასზე 15 წლით უფროს ძმას და გონების მთელი შესაძლებლობები მათემატიკისკენ მიმართა.

მათემატიკური ანალიზის პირველ ნაწილში “ანალიზი I”-ის სახელწოდებით ქართულ ენაზე მხოლოდ 2 სახელმძღვანელო არსებობდა: ა. რაზმაძის “მათემატიკური ანალიზის შესავალი” (უკვე ქცეული ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად) და ლ. გოკიელის “დიფერენციალური აღრიცხვა”. ლ. გოკიელის ლექციები არსებითად განსხვავდებოდა აღნიშნულ სახელმძღვანელოებში მოცემული მასალისგან როგორც სტილით, ისე შინაარსითაც. ანალიზურ გეომეტრიაში კითხულობდნენ ზუსტად ისე, როგორც ეს მოცემული იყო ნ. მუსხელიშვილის “ანალიზური გეომეტრიის კურსში”. ეს წიგნი რეკომენდებული იყო ძირითად სახელმძღვანელოდ ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობის სტუდენტებისთვის საბჭოთა კავშირის ყველა უნივერსიტეტში. თსუ-ს სტუდენტებს ხელთ ჰქონდათ აღნიშნული წიგნის ა. ხარაძისეული ქართული თარგმანი, შესრულებული მაღალ პედაგოგიურ და მეცნიერულ დონეზე. საკმარისად ცუდი მდგომარეობა იყო უმაღლესი ალგებრის სწავლების საქმეში. ა. ხარაძის “დეტერმინანტთა თეორიის საფუძვლები” და მლოძევესკის “უმაღლესი ალგებრის საფუძვლები” ძალზე მოძველებულ წიგნებად იყვნენ მიჩნეული და არც იშოვებოდნენ. ამის გამო თუ რაიმე სხვა მიზეზით ალგებრის კურსი ა. ხარაძემ ისე ააგო, რომ მხოლოდ წრფივი ალგებრის ელემენტებით და მესამე და მეოთხე ხარისხის ერთუცნობიანი განტოლებების ამოხსნათა ცხადი გამოსახულებით შემოიფარგლა. ალგებრის კურსის გარეთ დარჩა მატრიცთა, ჯგუფთა და რგოლთა თეორიების არა მარტო ელემენტები, არამედ ძირითადი ცნებებიც კი. ანალიზური გეომეტრიის კურსის ათვისებაში წარმატებები განაპირობა ნ. მუსხელიშვილის უკვე აღნიშნული წიგნის ქართულმა თარგმანმა. ამ წიგნის რუსული და ქართული ვარიანტები ძალზე ხელსაყრელი გამოდგა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც რუსულ ენას არ ვფლობდით და ამ ხარვეზის შევსების სურვილი გვქონდა. რთული და ძნელი აღმოჩნდა ლ. გოკიელის კურსი “ანალიზი I”. მთელი პირველი სემესტრი (5 სთ ლექცია, 4 სთ პრაქტიკული ვარჯიში ყოველკვირეულად) დასჭირდა ნამდვილ რიცხვთა დედეკინდის (განაკვეთის) თეორიას. მხოლოდ 6 ლექცია მიეძღვნა ზღვრის, ცვლადი სიდიდის, ფუნქციისა და უწყვეტობის ცნებებს. ლ. გოკიელის ლექციებში მოცემული მასალა სინამდვილეში შეგნებულად ვერც ერთმა სტუდენტმა ვერ აითვისა. მდგომარეობას ართულებდა ხშირი ფილოსოფიური ჩანართები ლ. გოკიელის ლექციებში. სტუდენტები დააბნია იმ გარემოებამ, რომ, მაგალითად, ნატურალური, მთელი, რაციონალური და ნამდვილი რიცხვი 5 სრულიად სხვადასხვა ბუნებისაა; მუდმივი და ცვლადი სიდიდეების გაგების საქმეში სტუდენტები დააბრკოლა ლ. გოკიელის სიტყვებმა იმის შესახებ, რომ “მუდმივი შეიძლება იყოს მხოლოდ ფუნქცია, ფუნქცია კი ცვლადი სიდიდეა სხვა ცვლად სიდიდეზე დამოკიდებული...” და ა. შ. პირველი სემესტრის ბოლოს 144ა და 144ბ ჯგუფებიდან სტუდენტთა 15% გაირიცხა. ძნელი გასაგები იყო, თუ სტუდენტთა შორის ვინ იყო ნიჭიერი, ძლიერი და ვინ უნიჭო, სუსტი. მაგალითად, სტუდენტებს კ. ჩხოტუას და ი. სიმონიას თავი ისე მოჰქონდათ, თითქოს ისინი იყვნენ მათემატიკური ანალიზის შემქმნელები, მეორე სემესტრში კი სტუდენტთა სიაშიც არ აღმოჩნდნენ. ნათქვამი სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ლ. გოკიელის კურსი დაბალი ღირსების იყო, პირიქით, ეს კურსი იყო ღრმა, სერიოზული და თუ მისი ათვისება სტუდენტებს გაუძნელდათ, რომ იტყვიან, “ერთი ჭირი მარგებელია”, ვინც შეძლო კრიზისული მდგომარეობის დაძლევა, შემდგომ მას შეეძლო მიეჩნია, რომ უნივერსიტეტს უსათუოდ დაამთავრებდა. ზოგადი ფიზიკის კურსი ფაქტიურად “ჩავარდა”, ამის მიზეზი ალბათ ის იყო, რომ გ. გორდაძე პირველი ლექციიდან დაწყებული კურსის აგების დროს სისტემატიურად იყენებდა უმაღლესი მათემატიკის მთელ აპარატს,

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები ჯერ მას არ ფლობდნენ. ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ საჭიროდ სცნო უკვე მეორე კურსზე ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ყველა სპეციალობის სტუდენტებისთვის ზოგადი ფიზიკის ხელახლა წაკითხვა. ეს საქმე ითავა მოსკოვიდან ხანგრძლივი მივლინების შემდეგ დაბრუნებულმა დოცენტმა მ. მირიანაშვილმა, ის ლექციებს კითხულობდა ფრთხილად, ანგარიშს უწევდა სტუდენტთა ცოდნის დონეს მათემატიკურ დისციპლინებში და ყოველნაირად ცდილობდა, არ მოწყვეტოდა მეცნიერულ თანამედროვეობას ფიზიკაში. სასურველმა შედეგამც არ დააყოვნა, მსმენელებმა მ. მირიანაშვილის ლექციები ისე კარგად აითვისეს, რომ ზოგად ფიზიკაში მათმა ცოდნამ “ფრიადი” ან “კარგი” შეფასება მიიღო. ლ. გოკიელის ლექციებიც თანდათან მისაწვდომი გახდა მეორე კურსის სტუდენტებისთვის დისციპლინაში სახელწოდებით “ანალიზი II”. შემდგომ კურსებზე ლექტორთა შემადგენლობაც დისციპლინების შესაბამისად შეიცვალა. დიფერენციალური გეომეტრიის ერთსემესტრიანი კურსი კარგად ააგო დოცენტმა ა. რუხაძემ. მეორე კურსის მეორე სემესტრში გამოცხადდა ლექციების კურსი ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებში და თეორიულ მექანიკაში. პირველს კითხულობდა დოცენტი ი. ვეკუა, მეორეს — დოცენტი დ. დოლიძე, სხვადასხვანაირად, მაგრამ ორივე დიდი მონდომებითა და ინტერესით. სტუდენტები აღტაცებაში მოყავდათ ი. ვეკუას ლექციებს.

თითქმის ტრაგიკული აღმოჩნდა მესამე კურსის მეორე სემესტრი. საგაზაფხულო სესიაზე გატანილი იქნა 7 დისციპლინა: ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებები, თეორიული მექანიკა, კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორია, ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორია, ზოგადი ფიზიკა, გეოფიზიკა და ლენინიზმი, თანაც ყოველი ორ- და სამსემესტრიანი კურსისგან შედგებოდა. შვიდივე საგნის ჩაბარება შეუძელი მხოლოდ მე, ისე, რომ 6 საგანში ჩემი ცოდნა “ფრიადზე” იქნა შეფასებული, მეშვიდე საგანში — კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიაში კი ა. ხარაძემ “დამაკმაყოფილებელი” დამიწერა. ამ საქმეში თავს დაზარალებულად არ ვთვლიდი და არც ლექტორს ვუცხადებდი პრეტენზიებს, რომელიც არც თუ ისე იშვიათად გარეგნული ეფექტის გავლენით აფასებდა სტუდენტის ცოდნას. გვიან სწორედ ამ საგანში გავხდი რუსულ ენაზე დაწერილი ერთ-ერთი სახელმძღვანელოს ავტორი. ეს წიგნი ახლა საზღვარგარეთ რამდენიმე ენაზეა გადათარგმნილი. სხვა დროსაც აღმოვჩენილვარ ისეთ ვითარებაში, რომელიც ჩემს ახლობლებს “უსამართლობად” მიაჩნდათ, მაგრამ თავს ვიმედოვნებდი სიტყვებით — “ცხოვრება არასოდეს არ მანებივრებდა”, კარგადაა ნათქვამი რუსულ ანდაზაში — «На то щука, чтобы карась не дремал».

1939-40 სასწავლო წლის დასასრულს სახელმწიფო გამოცდებზე 5 დისციპლინა გაიტანეს: ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებები, კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორია, ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორია, ზოგადი ფიზიკა და მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები. ყველა ეს საგანი სულ 2 კვირის განმავლობაში “ფრიადზე” ჩავაბარე, ყოველ მათგანში გამომცდელებმა განსაკუთრებული დამატებითი შეფასება მისცეს ჩემს ცოდნას, ხოლო სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ [შემადგენლობა: ნ. მუსხელიშვილი (თავმჯდომარე), ი. ვეკუა, ვ. კუპრაძე, რ. ხუციშვილი, ი. კვარცხავა (ფაკულტეტის დეკანი), ი. მელქაძე] რეკომენდაცია მომცეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში სპეციალობით “თეორიული მათემატიკა”.

როგორც გამოიკვია, ჯერ კიდევ 1940 წლის ადრე გაზაფხულზე ფაკულტეტის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ინიციატივით განაწილებული ვყოფილვარ მათემატიკის მასწავლებლად გალის რაიონის სოფელ ბარლებში; ამის გამო საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკი მ. მალრაძე კატეგორიულად აღუდგა წინ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებას ჩემს მიმართ. მიუხედავად ამისა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა როგორც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად სცნო ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე ჩემი დაშვება.

1940 წლის ოქტომბერში ჩატარდა მისაღები გამოცდები თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში. გამოცხადებული იყო 3 ადგილი — 2 თეორიულ მათემატიკაში და 1 გამოთვლით მათემატიკაში. პირველ 2 ადგილზე რეკომენდაციები გვქონდა მე და ბიბი (იოთამ) ქარცივაძეს, მესამე ადგილზე — ისაკი ლაფაურს⁷, რომელმაც თსუ-ს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი 1939 წელს დაამთავრა და უკვე ერთი წლის განმავლობაში მათემატიკის ინსტიტუტის გამოთვლითი მათემატიკის განყოფილებაში მუშაობდა პროფესორ შ. მიქელაძის ხელმძღვანელობით. მათემატიკა და ფილოსოფია “ფრიადზე” ჩავაბარე, რუსული და ფრანგული ენები — “კარგზე” და 20 ბალიდან 18 მოვაგროვე. ამდენივე ბალი ჰქონდათ ბიბისაც და ისაკისაც. ოქტომბრის ბოლოს ორივე ჩაირიცხა ასპირანტურაში, ჩემი ჩარიცხვა კი იმ გარემოებამ შეაფერხა, რომ არ მქონდა ჯარში გაწვევის ვადის გადადების ცნობა. ასეთი ცნობის გაცემა მხოლოდ თსუ-ს სპეცნაწილს შეეძლო, რადგან 1940 წლის გამოშვების სტუდენტებს ვადა 1940 წლის ბოლომდე გვქონდა გადადებული თბილისის უნივერსიტეტის ხაზით. უნივერსიტეტის სპეცნაწილის მაშინდელმა ხელმძღვანელმა საჭირო ცნობა არ მომცა. ი. ქარცივაძის ჯარში გაწვევა უვადოდ იყო შეჩერებული იმის გამო, რომ მისი მშობლები 1937 წელს იყვნენ რეპრესირებულნი, ი. ლაფაურს კი უნივერსიტეტში სწავლის დროს უმცროსი ლეიტენანტის სამხედრო წოდება ჰქონდა მინიჭებული და წვევამდელად აღარ ითვლებოდა. კვლავ ნ. მუსხელიშვილმა ითავა ჩემი ასპირანტურაში ჩარიცხვა. მან რაიონის სამხედრო კომისარს მიმართა ოფიციალური წერილით, რომელშიც აცნობებდა, რომ “ა. ბიწაძემ ბრწყინვალედ დაასრულა 1940 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჩააბარა გამოცდები სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ასპირანტურაში და ფრიად სასურველია მისი სამხედრო აღრიცხვაზე რაც შეიძლება სწრაფად აყვანა და ჯარში გაწვევის ვადის სამი წლით (ასპირანტურის დამთავრებამდე) გადადება”. სამხედრო კომისარმა ნ. მუსხელიშვილის ეს თხოვნა დააკმაყოფილა და 1940 წლის ნოემბრის დამდეგს ჩამრიცხეს თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში. ცოტა მოგვიანებით იმავე ინსტიტუტის ასპირანტურაში რიცხვთა თეორიის სპეციალობით მიიღეს პ. კოლონიაც. სამეცნიერო საბჭომ მეცნიერ-ხელმძღვანელებად დაუმტკიცა: ი. ქარცივაძეს — ნ. მუსხელიშვილი, ი. ლაფაურს — შ. მიქელაძე, პ. კოლონიას — ა. ვალფიში, მე კი ჯერ-ჯერობით მეცნიერ-ხელმძღვანელის გარეშე დავრჩი. რთული აღმოჩნდა, გადაეწყვიტათ საკითხი, თუ ვისთვის დაევალებინათ ეს საქმე, ვ. კუპრადისთვის, რომელიც მაშინ ინსტიტუტის დირექტორი იყო, თუ ი. ვეკუასთვის, რომელიც დირექტორის მოადგილის თანამდებობას ასრულებდა. სიძნელე თითქოს ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან მაშინ მიღებული იყო, რომ მეცნიერ-

⁷ ი. ლაფაური მეორე მსოფლიო ომიდან არ დაბრუნებულა.

ხელმძღვანელს ერთდროულად ორზე მეტი ასპირანტის აყვანის უფლება არ ჰქონდა. ვ. კუპრაძე უკვე ხელმძღვანელობდა ერთ დასწრებულ ასპირანტს — ნ. ვეკუას და ერთ დაუსწრებელ ასპირანტს — გ. ხახუბიას, ი. ვეკუას დასწრებული ასპირანტები იყვნენ ბ. ხვედელიძე და დ. ხარაზოვი, ნ. მუსხელიშვილი კი, როგორც ვთქვი, იყო ასპირანტი ი. ქარცივაძის ხელმძღვანელი და დოქტორანტი ლ. მაღნარაძის მეცნიერ-კონსულტანტი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ასპირანტურაში ჩემი ხელმძღვანელობა დროებით ვ. კუპრაძესა და ი. ვეკუას⁸ დაევაღათ.

1940 წლის შემოდგომიდან ნ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით ყოველკვირეულად იკრიბებოდა ერთი კომპლექსური ცვლადის ანალიზურ ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანებისა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სემინარი, ამ სემინარის მუშაობაში თავიდანვე სხვებთან ერთად ჩავერთეთ მე და ი. ქარცივაძეც. ბევრი დრო მჭირდებოდა საკანდიდატო მინიმუმის მოსამზადებლად, განსაკუთრებით რუსულ და ფრანგულ ენებში, ბიბი კი ორივე ამ ენას კარგად ფლობდა. 1941 წლის დამდეგს წარმადგინეს სტალინის სახელობის სტიპენდიაზე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ხაზით და მოუთმენლად ველოდი პასუხს მოსკოვიდან.

1941 წლის 22 ივნისს დაიწყო დიდი სამამულო ომი. სამხედრო მობილიზაცია შეეხო ყველა ასპირანტს ი. ქარცივაძის გარდა. 1941 წლის 7 ივლისს მეც მობილიზაციით გამაგზავნეს თელავის სამეთაურო სამხედრო სკოლაში. იმის გამო, რომ 1930-31 წლებში ფეხი სერიოზულად მექონდა დაზიანებული, სამხედრო სკოლაში არ მიმიღეს, დამიდგინეს შემოსაზღვრული ვარგისიანობა და ღრმა ზურგში სამხედრო ვალდებულების მოსახდელად გამამწყესეს. 1941 წლის ივლისის ბოლოს რიგით მწერლად ვმუშაობდი ვაზიანში განლაგებულ მეთაურ საწყობში. სწორედ ამ დროს მოვიდა მოსკოვიდან ცნობა იმის შესახებ, რომ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სტალინურ სტიპენდიანტი დოქტორანტთა და ასპირანტთა სია, სადაც მეც აღმოვჩნდი. მაშინ მოქმედი კანონის ძალით სტალინური სტიპენდიანტი დოქტორანტები და ასპირანტები სამხედრო მობილიზაციას არ ექვემდებარებოდნენ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საიდუმლო განყოფილებამ ეს რაიონის სამხედრო კომისარიატს შეატყობინა და 1941 წლის აგვისტოს დამდეგს არმიიდან დემობილიზებული ასპირანტურას დავუბრუნდი.

სექტემბერში კვლავ განახლდა ნ. მუსხელიშვილის სემინარის სხდომები, სადაც სამჯერ ზედიზედ ჩემი მოხსენებები მოისმინეს დრეკადობის თეორიის ბრტყელი საკონტაქტო ამოცანების კვადრატურებში ამოხსნის შესახებ. მოხსენებები ნ. მუსხელიშვილს მოსწონდა და მიიჩნია, რომ ჩემს მიერ სემინარზე მოხსენებული შედეგები იმსახურებენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ “მოამბეში” გამოქვეყნებას. დავთანხმდი მხოლოდ ერთი შედეგის გამოქვეყნებაზე, სასწრაფოდ გავაფორმე და რუსულ ენაზე ქართული რეზიუმეთი დაბეჭდეს ჟურნალის 1942 წლის მეხუთე ნომერში. ეს იყო ჩემი პირველი გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომი. მე ჯერ კიდევ 1938 წელს შევასრულე ერთი გამოკვლევა, რომელიც არაზომად ფუნქციის აგებას ეძღვნებოდა. ამის შესახებ მოხსენებაც წავიკითხე სტუდენტთა სამეცნიერო წრის სხდომაზე. ლ. გოკიელმა მიზანშეწონილად სცნო ამ შრომის გამოქვეყნება,

⁸ ა. ბიწაძის საკანდიდატო დისერტაციის ხელით საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილ ეგზემპლარზე მისი ხელით მიწერილია: “ხელმძღვანელი პროფ. ილია ვეკუა”.

მაგრამ ამაზე უარი განვაცხადე იმ მოტივით, რომ მეთოდი, რომლის საშუალებითაც მაგალითები ავაგე, არ იყო ორიგინალური.

საკანდიდატო დისერტაციები დაიცვეს ჯერ ბ. ხვედელიძემ და დ. ხარაზოვმა, შემდეგ კი — მე და ი. ქარცივაძემ. ჩქარა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციები დაიცვეს გ. ჭოლოშილიმა, დ. დოლიძემ, ნ. ვეკუამ, ა. რუხაძემ, ვ. ჭელიძემ და ა. ჩახტაურმა.

1943 წლის შემოდგომაზე ასპირანტურაში ყოფნის 3 წელი მისრულდებოდა და ასპირანტურის ვადის დამთავრებამდე ერთი თვით ადრე თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოში დასაცავად წარვადგინე ჩემი საკანდიდატო დისერტაცია. საბჭომ დაადგინა, ამ დისერტაციის ოპონენტობა ეთხოვათ ნ. მუსხელიშვილისა და მ. ლავრენტიევისთვის. 1941 წლის ოქტომბრიდან მ. ლავრენტიევი როგორც უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი და კიევის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი აღნიშნულ ორგანიზაციებთან ერთად ურალში იყო ევაკუირებული. მან მხოლოდ 1944 წლის დეკემბერში შეიტყო თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება, გამოსულიყო ჩემი დისერტაციის ოფიციალურ ოპონენტად, მაგრამ ექვი გამოთქვა, რომ ომის გამო ალბათ ვერ შეძლებს მისი ქართველი კოლეგების თხოვნის დაკმაყოფილებას. ამის შემდეგ ნ. მუსხელიშვილიმა კვლავ შეკრიბა სამეცნიერო საბჭო და მიიღეს გადაწყვეტილება, ჩემი საკანდიდატო დისერტაციის მეორე ოპონენტად ბ. ხვედელიძე დაენიშნათ. დაცვას 100-მდე კაცი ესწრებოდა. განსაკუთრებით მოელოდნენ ოფიციალური ოპონენტის ნ. მუსხელიშვილის გამოსვლას. მან სულ მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ ჩამოაყალიბა ძირითადი შედეგები საკანდიდატო დისერტაციიდან, მაღალი შეფასება მისცა, მაგრამ მაინც მისაყვედურა სიტყვებით:

“ადგილ-ადგილ ავტორი სიტყვამუნწი სჩანს, ზოგიერთი დამტკიცება ისე შეკუმშულად მოიყვანა დისერტაციაში, რომ მისი გაგება მაღალკვალიფიციურ მკითხველსაც კი გაუჭირდება; მე ამით სრულიადაც არ მსურს, ჩრდილი მივაყენო ასპირანტის, სტალინური სტიპენდიანტის ესოდენ მაღალხარისხოვან გამოკვლევას, რომლის საფუძველზეც ის სავსებით იმსახურებს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხს”.

ბ. ხვედელიძის რეცენზიაც მაღალ შეფასებას აძლევდა ნაშრომს. ერთ რამეში მანაც მისაყვედურა:

— ანდრო ბიწაძე რამდენიმე ადგილზე წერს, — “ამის ანალოგიური შედეგები ადრე იყო მიღებული ერთი განტოლების შემთხვევაში ილია ვეკუას და სხვების შრომებში”. რა თქმა უნდა, საჭირო იყო, ასე დაეწერა, — “ჩვენი შედეგები ანალოგიურია იმ შედეგებისა, რომლებიც ერთი განტოლების შემთხვევაში მიღებული იყო ილია ვეკუას და სხვების მიერ”.

საპასუხო სიტყვაში მე მივიღე ყველა შენიშვნა, საბოლოო სიტყვაში კი მადლობა მოვახსენე ჩემს მეცნიერ-ხელმძღვანელს ასპირანტურაში და ოფიციალურ ოპონენტებს. საიდუმლო კენჭისყრის შედეგად ერთხმად მომანიჭეს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1945 წლის ზაფხული დ. კვესელავასთან, დ. დოლიძესთან და თ. მარუაშვილთან ერთად გავატარე სტუმრად აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში ყანობილზე. ყველას უკვირდა, რომ ყანობილზეც მუდამ ვმუშაობდი, უცხოურ მათემატიკურ ჟურნალებს ვარჩევდი და თანაც მეტად რთულ გამოთვლებს ვაწარმოებდი. თბილისში დაბრუნებულმა უჩვეულო დაღლილობა შევიგრძენი. ამას დაემატა სასწავლო დატვირთვა უნივერსიტეტში, 36 სთ ლექცია ყოველკვირეულად.

გვიან შემოდგომაზე შევნიშნე, რომ ვიღაც თვალყურს მადევნებდა, გატეხეს ჩემი სამკუთხა ოთახი პლენხანოვის გამზირზე მეცნიერებათა აკადემიის საერთო საცხოვრებელში, წაიღეს როტო- და ფოტოასლები რამდენიმე მეცნიერული ნაშრომისა გერმანულ და ინგლისურ ენებზე (მე ოთახში სხვა არაფერი გამაჩნდა მოსაპარი). ვერ გავიგე, ვის ან რისთვის დასჭირდა ყველაფერი ეს. 1946 წლის 1 იანვარს დღისით კარზე კაკუნით შემომესმა, გავაღე კარი და რას ვხედავ, ნახევრად სამხედრო ფორმაში ჩაცმული ვიღაც უცხო ახმახი პირდაპირ შემოიჭრა ოთახში და გადამეხვია:

“ო! როგორც იქნა, გიპოვე. როგორა ხარ, ბიჭო! იტალიის ალპებიდან დაბრუნებულს როგორ შეგხვდნენ?”

“უკაცრავად, მე თქვენ ვერ გიცანით, ხუმრობთ ალბათ!”

“როგორ თუ ვხუმრობ, განა დაგავიწყდა, რომ მე ის მეკავშირე ვარ, რომელსაც დავალებული ჰქონდა, თქვენი პარტიზანული რაზმი ძირითადი ძალების გასამაგრებლად წამეყვანა, მუსოლინიზე რომ “ვნადირობდით”?

“უკაცრავად, მე არც პარტიზანად ვარ ნამყოფი და არც იტალიაში მიბრძოლია, მგონი, შეგეშალეთ ვიღაცაში!”

“როგორ, განა ანდრო ბიწაძე არა ხარ? გაიხსენე, ბიჭო, ტყვეობა, ჩრდილო იტალია, პარტიზანობა, მუსოლინის ჩამოხრჩობა!”

ამან მთლად ამირია გზა-კვალი, ვიფიქრე, ან მე ვარ ავად, ან ეს კაცი იგდებს თავს-მეთქი.

“აბა, ახლავე გადით ოთახიდან...”

ამის შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა და გაზეთ «Заря Востока»-ში გამოქვეყნდა წერილი იმის შესახებ, თუ როგორ ჩამოახრჩვეს პარტიზანებმა მუსოლინი იტალიის მთებში. პარტიზანთა შორის დასახელებული იყო ვინმე ანდრო ბიწაძეც. ამ რთულ ვითარებაში რჩევის მისაღებად მივმართე ერთ ჩემს ძალიან ახლოვებულ ადამიანს — გრიშა ბიწაძეს⁹, რომელიც იმ დროს აჭარის ასსრ პროკურორად მუშაობდა ბათუმში და თბილისში არც თუ იშვიათად ჩამოდიოდა. გამოირკვა, რომ გარდა მათემატიკოს ანდრო ბიწაძისა არსებობს სხვა ანდრო ბიწაძეც, თვალუეთელი მეწისქვილის როსტომ ბიწაძის უმცროსი შვილი, რომელიც 1942 წელს ტყვედ აღმოჩნდა, იტალიაშიც მოუხდა ყოფნა, ომის შემდეგ “შემოწმება” გაიარა, პარტიზანად ცნეს და საქართველოს ერთ-ერთ რაიონში შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით მუშაობდა. ეძებდნენ თურმე სწორედ ამ ანდრო ბიწაძეს, იპოვეს, დააპატიმრეს და 25 წლით გადაასახლეს¹⁰.

⁹ გრიგოლ (გრიშა) სამსონის ძე ბიწაძე, ა. ბიწაძის ნათლის შვილი, ცნობილი იურისტი, 30-იან წლებში თსუ-ს პრორექტორი იყო სამეურნეო დარგში. იმ დროის თაობის სტუდენტები მას დიდი მადლიერების გრძნობით იხსენიებდნენ, ვინც მიმართავდა, არავის არ ეუბნებოდა უარს ფინანსურ დახმარებაზე, განსაკუთრებით პერიფერიებიდან ჩამოსულ ხელმოკლე ახალგაზრდებს. სწორედ მათმა კეთილგანწყობამ გადაარჩინა დაპატიმრებას, როდესაც მაშინდელ პლენხანოვის გამზირზე ფილარმონიის საზაფხულო დარბაზში შეკრებილი ლიანგი ყველა დაკავებულის გამოყვანას სტვენითა და ღრიანცელით ხვდებოდა; როცა ის გამოიყვანეს, დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა (ამ შეკრებულობას ესწრებოდა ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი, ა. ბიწაძის მომავალი რძალი, მისი უფროსი ძმის სერგოს ცოლი თამარ გოგსაძე). ომის შემდეგ 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გ. ბიწაძე საქართველოს სსრ გენერალური პროკურორის პირველ მოადგილედ მუშაობდა.

¹⁰ საინტერესო იქნებოდა ამ ანდრო როსტომის ძე ბიწაძის შესახებ ოფიციალური დოკუმენტების გაცნობა, მაგრამ ჩვეულებრივი მოქალაქისთვის ისიც არაა ცნობილი როგორ შეიძლება და საერთოდ შესაძლებელია თუ არა ეს. სოფელ თვალუეთში უმეტესობას ის არ ახსოვს. როგორც ვასილ ბიწაძის უფროსი ვაჟის უახლოესი მეგობრის შვილებმა გადმოგვცეს, მათ ბავშვობაში (60-იან წლებში) სოფელ თვალუეთში იყო მშენებელი ხელოსანი (მათი სახლის მშენებლობაზეც უმუშავნია) – მართლაც როსტომ მეწისქვილის ვაჟი ანდრო ბიწაძე, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში ცალი ფეხი დაკარგა, მისი შვილიშვილი ახლაც თვალუეთში ცხოვრობს. ყოველ შემთხვევაში იმ დროს ასეთი “შემოწმებები” და,

ასეთ ვითარებაში ჩემთვის, შეუძლებელია, რაიმე იმაზე უკეთესი ყოფილიყო, ვიდრე მოსკოვში დოქტორანტურაში წასვლა. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კადრების განყოფილებამ ოფიციალურად აცნობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, რომ 1948 წლიდან იხსნება ორწლიანი დოქტორანტურა წარმოებისგან მოწყვეტით და ერთი დაკავებული საშტატო ერთეულის ხელფასის შენარჩუნებით მომავალი დოქტორანტისთვის. ამის შესახებ ნ. მუსხელიშვილმა 1947 წლის მაისში ოფიციალურად განაცხადა თბილისის ა. რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, რომელსაც ყველა უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მათ შორის მეც ვესწრებოდი.

“ამ გაზაფხულზე მე საუბარი მქონდა აკადემიკოს მიხეილ ლავრენტიევთან, რომელიც ჩვენთან თბილისში იმყოფებოდა, როგორც ვლადიმერ ჭელიძის სადოქტორო დისერტაციის ერთ-ერთი ოპონენტი. ის ძალზე დაინტერესებულია ანდრო ბიწაძის თემატიკით და თუ ამხანაგი ანდრო გაბედავს, თავს იდოს დოქტორანტის ფრიად საპატიო და მძიმე მოვალეობა, მაშინ მის გაგზავნას დოქტორანტურაში ჩვენ წინ არ უნდა აღვუდგეთ!” — განაცხადა ნ. მუსხელიშვილმა.

“ვუყაროთ კენჭი! ვინაა მომხრე, ჩვენი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ანდრო ბიწაძე მივლინებული იქნას სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ორწლიან დოქტორანტურაში, გთხოვთ, აწიოთ ხელი! ვინ არის წინააღმდეგი? არავინ! თავი ვინ შეიკავა? ორმა”.

მოსკოვიდან სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კადრების სამმართველომ თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის დირექციას დაავალა, მოემებნათ ჩემთვის მეცნიერ-კონსულტანტი, ურომლისოდაც დოქტორანტურაში არ ჩამრიცხავდნენ. ამ დროს თბილისში დასასვენებლად იმყოფებოდა აკადემიკოსი მ. ლავრენტიევი, რომელმაც ნ. მუსხელიშვილის თხოვნით ქალაქის ფურცლის ერთ გვერდზე დაწერა ჩემი მეცნიერული შრომების დახასიათება თანხმობით, ეტვირთა მეცნიერ-კონსულტანტის მოვალეობა. მართალია, მ. ლავრენტიევი ძირითად სამუშაოზე კიევში იმყოფებოდა, მაგრამ შეთავსებით ფუნქციათა თეორიის განყოფილებას განაგებდა სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში და სრული უფლება ჰქონდა ამ ინსტიტუტის დოქტორანტის მეცნიერ-კონსულტანტი ყოფილიყო. მოსკოვმა თანხმობა განაცხადა, გაეფორმებინათ მ. ლავრენტიევი ჩემს მეცნიერ-კონსულტანტად და ა. რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექციას ოფიციალურად შეატყობინა, რომ დოქტორანტი მივლინებული იქნეს სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში 1948 წლის 1 იანვრიდან. ეს მოხდა 1947 წლის დეკემბრის დამდეგს.

რკინიგზის ბილეთი 1948 წლის 14 იანვრისთვის ვიშოვე და საერთაშორისო ვაგონით მოსკოვს გავემგზავრე. მატარებლამდე მხოლოდ ერთმა — თ. ცხადაიამ გამაცილა და აღმითქვა, რომ ტელეგრაფით შეატყობინებდა გვანჯი მანიას მოსკოვში, რომ სადგურზე შემხვდეს და ცოტა ხნით მაინც შემიკედლოს ღამის გასათევად. 17

ფაქტიურად, შანტაჟი უცხო ხილი არ გახლდათ. ამ ეპიზოდმა ა. ბიწაძეზე იმდენად დამთრგუნავდა იმოქმედა, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ღრმა პროსტრაციაში ჩავარდა, ოთახიდანაც კი არ გამოდიოდა [განმარტება: ПРОСТРАЦИЯ (позднелат. პროსტრაცია, от лат. პროსტერნო – разрушаю), устаревшее, недостаточно четкое мед. понятие, обозначающее крайнюю степень изнеможения, расслабленности, упадка психич. активности. Возникает при тяжёлых инфекц. заболеваниях, отравлениях, чрезмерном истощении, после внезапных нервных потрясений. БСЭ, т. 21, 1975], ამ მდგომარეობიდან გ. ბიწაძის ინფორმაციამ გამოიყვანა. ა. ბიწაძის ცხოვრების ეს ეპიზოდი გახდა იმ გესლიანი ჭორის საფუძველი, რასაც დღემდე “სიამოვნებით” ავრცელებს მისი ზოგიერთი ნაცნობი.

იანვარს დღის მეორე ნახევარში თბილისი — მოსკოვის მატარებელი კურსკის ვაგზალზე გაჩერდა. ბაქანზე მართლაც შემხვდა გ. მანია, ჩემი თანაკურსელი თსუ-ში და იმ დროს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტი მათემატიკური სტატისტიკის სპეციალობით ცნობილ პროფესორ ნ. სმირნოვთან. გ. მანიამ რანდენიმე დღით შემიკვდლა, შემდეგ კი შევეცადე, ბინა მეშოვა მეცნიერებათა აკადემიის ხაზით. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექციამ 29 იანვარს დაუშვა ბრძანება ჩემი დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ. სტიპენდიის ნაცვლად შემინარჩუნეს უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ხელფასი 2500 მანეთი თვეში თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის ხაზით. თბილისიდან ჩამოტანილი ფული მალე გამითავდა, ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტიდან კი ჩემთვის ხელფასის გამოგზავნას არავინ ჩქარობდა. ასე გასტანა 1948 წლის ბოლომდე. მხოლოდ ნ. მუსხელიშვილის ჩარევის შედეგად მივიღე 30 ივნისს თბილისიდან სამი თვის — იანვრის, თებერვლისა და მარტის ხელფასი. ნ. მუსხელიშვილს ჩემი გასაჭირი ვუამბე მოსკოვში, როცა ის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობაში ღებულობდა მონაწილეობას და ერთ თავისუფალ საღამოს სასტუმრო "მოსკოვში" მიმიღო იმის გასაგებად, თუ როგორ მიმდინარეობდა ჩემი, როგორც დოქტორანტის სამეცნიერო მოღვაწეობა. დოქტორანტურაში ჩემი მუშაობით განსაკუთრებით კმაყოფილი იყვნენ აკადემიკოსები ი. პეტროვსკი და ს. სობოლევი, რომელთა სემინარმა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში 4-ჯერ მოისმინა ჩემი მოხსენებები. ამ მოხსენებებში მოყვანილი ორიგინალური შედეგები 2 პატარა სტატიის სახით გავაფორმე და წარვადგინე: ერთი — ჟურნალში «Доклады АН СССР», მეორე — ჟურნალში «Успехи математических Наук».

1948 წლის ივნისში მ. ლავრენტიევი ესტუმრა მოსკოვს და მოითხოვა ჩემი ნახევარი წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში. ანგარიში სწრაფად გავაფორმე წერილობით და მივუტანე სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში მ. ლავრენტიევს. ის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის აკადემიკოს მ. კელდიშის თანდასწრებით გაეცნო ანგარიშს, მ. კელდიშის კაბინეტში დაფასთან გამოცდაც კი მომიწყო, ხოლო შედეგების თაობაზე მითხრა, რომ ხვალ დილით იმავე კაბინეტში გამოვცხადებულიყავი. ხვალინდელი დღეც დადგა, მიმიღეს მ. ლავრენტიევმა და მ. კელდიშმა და განმიცხადეს, რომ ჩემი სადოქტორო დისერტაციის თემა ელიფსური სისტემების შესახებ არაა აქტუალური და საჭიროა, რომ მოვიფიქრო, შემიძლია თუ არა ეს თემა შევცვალო უფრო აქტუალური თემით — “შერეული ტიპის განტოლებები”. რადგან შერეული ტიპის განტოლებებში მე სამეცნიერო მუშაობა არასდროს არ მიწარმოებია, ვითხოვე, ჩემთვის სექტემბრამდე მოეცათ დრო ამ საკითხის გადასაწყვეტად. ამ დროისთვის გავეცანი არსებულ არც თუ ისე ფართო ლიტერატურას შერეული ტიპის განტოლებების შესახებ და სექტემბერში დავეთანხმე მ. ლავრენტიევსა და მ. კელდიშს სადოქტორო დისერტაციის თემის გამოცვლაზე. ნახევარი წლის დამაბული მუშაობის შემდეგ კვლავ გამოვცხადდი მ. ლავრენტიევთან, რომელიც ძირითად სამუშაოზე კიევიდან უკვე მოსკოვში იყო გადმოყვანილი. 1949 წლის ოქტომბერში მ. კელდიშის სემინარზე სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. მოხსენებებით ტრიკომის ამოცანის შესახებ გამოვედი ცნობილი სპეციალისტების მ. კელდიშის, ს. ხრისტიანოვიჩის, მ. ლავრენტიევის, ა. დოროდნიცინის, ფ. ფრანკლის და სხვათა წინაშე. 1950 წლის თებერვალში — ჟურნალში «Доклады АН СССР» გამოვიდა ჩემი სტატიები — ერთი ცალკე და ერთიც მ. ლავრენტიევთან თანაავტორობით შერეული ტიპის განტოლებების შესახებ. ორივე სტატია დასაბეჭდად წარდგენილი იყო 1949 წლის შემოდგომაზე. ამას

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმის გამო, რომ ჩემს სტატიაში მოცემული იყო შერეული ტიპის განტოლებებისთვის ფრიად საჭირო ერთი ახალი პრინციპი. 1950 წლის მაისის თვეში ეს პრინციპი ორმა ფრანგმა მათემატიკოსმაც იპოვა, მაგრამ ჩემი შრომა ადრე იყო დაბეჭდილი და ამის გამო აღნიშნული შედეგი ახლა “ბიწადის პრინციპის” სახელით არის ცნობილი. წელიწადნახევრის განმავლობაში ჩატარებული ნაყოფიერი შრომის შედეგად გავაფორმე ჩემი სადოქტორო დისერტაცია თემაზე «К Проблема уравнений смешанного типа» და წარვადგინე დასაცავად სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე. გარეშე რეცენზიის დასაწერად ნაშრომი გაუგზავნეს აკადემიკოს ი. პეტროვსკის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ოფიციალურ ოპონენტებად კი დამინიშნეს აკადემიკოსები მ. კელდიში, ს. სობოლევნი და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ტიხონოვი. დისერტაციასთან დაკავშირებით 4 მოხსენება გავაკეთე ი. პეტროვსკის, ს. სობოლევნი და ა. ტიხონოვის სემინარზე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 2 მოხსენება — მ. კელდიშის სემინარზე სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. ი. ვეკუას დაინტერესდა ჩემი მეცნიერული შედეგებით, უნდოდა, ჩემს დისერტაციას პირადად გაცნობოდა. 1951 წლის აპრილის თვე ი. ვეკუამ მოსკოვში გაატარა და შესაძლებლობა მომეცა, მას ხშირად შევხვედროდი.

1951 წლის გაზაფხულზე შედგა ჩემი სადოქტორო დისერტაციის დაცვა სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. კარგი რეცენზიებით გამოვიდნენ მ. კელდიში და ს. სობოლევნი. მაღალი შეფასება მისცეს სადისერტაციო ნაშრომს ი. პეტროვსკიმ და ა. ტიხონოვმაც.

მ. კელდიშის რეცენზიაში ნათქვამი იყო:

“...კუმშვადი გაზის მოძრაობის საკითხები ბგერის სიჩქარეზე გავლის შემთხვევაში მათემატიკურად მოდელირდება შერეული ტიპის განტოლებათა ტერმინებში. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოძრაობის გამოკვლევა უაღრესად საჭიროა, ჯერ-ჯერობით არ არსებობს შერეული ტიპის განტოლებათა დამაკმაყოფილებელი თეორია. სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი განტოლებებისთვის სასაზღვრო ამოცანების შესწავლა ნაწილობითწარმოებულიან განტოლებათა¹¹ თეორიის ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელში ჩატარებული მეცნიერული კვლევა-ძიება ალბათ ისევე გაამდიდრებს მათემატიკურ ანალიზს, როგორც ელიფსურ და ჰიპერბოლურ განტოლებათა პრობლემები ამდიდრებდნენ მას გასულ საუკუნეში. სწორედ შერეული ტიპის განტოლებებისთვის სასაზღვრო ამოცანების შესწავლის საქმეში მიიღო ფუნდამენტური შედეგები თავის სადოქტორო დისერტაციაში ა. ბიწამემ. ამ დისერტაციამ მნიშვნელოვნად დასძრა წინ შერეული ტიპის განტოლებათა თეორია. დიდ მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს ავტორის მიერ მიღებული შედეგები და მის მიერ მეცნიერებაში შემოტანილი მეთოდები. ეს დისერტაცია განეკუთვნება თანამედროვე მათემატიკის განსაკუთრებული მნიშვნელობის მიმართულებას, რომლის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება ძალზე დიდია. მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი დისერტაციის საფუძველზე ანდრო ბიწამე იმსახურებს მისთვის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას”.

ს. სობოლევნი გამოსვლაშიც ასეთივე შეფასება იყო მოცემული:

¹¹ ტერმინი “ნაწილობითწარმოებულიანი განტოლებები” ბოლო წლების ჩანაწერებში შეცვლილია – “კერძოწარმოებულიანი განტოლებები”.

“...ანდრო ბიწაძემ თავისი სადოქტორო დისერტაცია მიუძღვნა თანამედროვე მათემატიკის უდავოდ მეტად აქტუალურ საკითხებს და შეიცავს შერეული ტიპის განტოლებათა თეორიის ახალ საინტერესო ფაქტებს. კარგი იქნებოდა, მას ეს საკითხი უფრო ფართოდ დაესვა, მაგრამ ის, რაც მან უკვე გააკეთა, უეჭველად წარმოადგენს მაღალხარისხოვან წვლილს მეცნიერებაში. ავტორის კვლევის მეთოდი ემყარება ფუნქციათა თეორიას, რამაც მას საშუალება მისცა, მოხდენილად გადაეწყვიტა მის წინაშე მდგარი მეცნიერული საკითხები. საინტერესოა, გამოირკვეს, რამდენადაა შესაძლებელი ავტორის მიერ მიღებული შედეგების შემდგომი განზოგადება, რასაკვირველია, ყველაფერი იმის გამოყენებით, რაც მან უკვე მიიღო.

ყველაფერი აქ ნათქვამი სრულიადაც არ ამცირებს დოქტორანტის დამსახურებას, რომელმაც მიიღო შესანიშნავი შედეგი, აშკარა მაჩვენებელი მისი მეცნიერული სიმწიფისა.

მიმაჩნია, რომ ანდრო ბიწაძეს უნდა მიენიჭოს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, რომელსაც ის სავსებით იმსახურებს”.

ა. ტიხონოვმაც, მართალია, მისაყვედურა თემატიკის ადგილის მკაფიოდ განსაზღვრის საქმეში სიძუნწის გამოჩენის გამო, მაგრამ დასასრულს აღნიშნა:

“...მიუხედავად ჩემს მიერ გაკეთებული შენიშვნისა დისერტაციის თემატიკის საერთო განხილვის თვალსაზრისით, მიმაჩნია, რომ ავტორმა შეასრულა დიდი და მნიშვნელოვანი შრომა შერეული ტიპის განტოლებებში, რის გამოც ის იმსახურებს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს”.

კამათში მონაწილეობა მიიღეს დამსწრეთაგან ი. ფრანკლმა და ა. დოროდნიცინმა. ფარული კენჭისყრით ერთხმად მომანიჭეს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. თბილისიდან მოსალოცი დეპუტები გამომიგზავნეს ი. ვეკუამ, ნ. მუსხელიშვილმა და ნ. ვეკუამ.

სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი თუმცა თანამშრომლების რაოდენობის მიხედვით არ არის მრავალრიცხოვანი, მაგრამ ის საყოველთაოდ ცნობილი მათემატიკური დაწესებულებაა ისე, რომ საბჭოთა კავშირში მნიშვნელოვან მათემატიკურ გამოკვლევათა ძირითადი ნაწილი სწორედ ამ ინსტიტუტშია შესრულებული. გარდა ყოველდღიური მეცნიერული საქმიანობისა, რის გამოც თბილისიდან მოსკოვში გადმომიყვანეს, აქტიურად ვაგრძელებდი მუშაობას ჩემს სადოქტორო დისერტაციაში წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად. ჩემი სადოქტორო დისერტაციის დაცვის ერთი წლით ადრე შერეული ტიპის განტოლებებში მეცნიერული მუშაობა დაიწყო ჟუკოვსკის აკადემიის დოცენტმა კ. ბაბენკომ. ის ახლო ურთიერთობაში იყო აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ლ. სედოვთან, რომლის შუამდგომლობითაც სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დოქტორანტი გახდა. მის კონსულტანტად ითვლებოდა მ. კელდიში. ჩემსა და კ. ბაბენკოს შორის ერთგვარად შეჯიბრებაც კი წარმოებდა სამეცნიერო ხაზით. ჩვენს მოხსენებებზე ყოველთვის ცხარე კამათი იმართებოდა. ლ. სედოვს არ მოვწონდი და ყოველთვის სურდა, ჩემი სიფიცხე ჩემსავე სავენებლად გამოეყენებინა. ამ გზით ლ. სედოვმა ნაწილობრივ შეძლო ჩემს ობიექტურობაში მ. კელდიშის დაეჭვება. როცა ჩემი დისერტაციის ერთ-ერთმა ოფიციალურმა ოპონენტმა მ. კელდიშმა მაღალი შეფასება მისცა ჩემს ნაშრომს, იქვე დასძინა, რომ სხვა მეთოდებით დისერტაციაში წამოჭრილ საკითხებს სხვა მათემატიკოსებიც სწავლობენო. მას, რა თქმა უნდა, მხედველობაში კ. ბაბენკო ჰყავდა. ჩემი სადოქტორო დისერტაციის დაცვის ერთი წლის შემდეგ იმავე საბჭოს სხდომაზე ფიზიკა-მათემატიკის მეცნი-

ერებათა დოქტორის ხარისხი მოიპოვა კ. ბაბენკომაც. მის ოფიციალურ ოპონენტებად გამოვიდნენ ს. სობოლევი, ი. ვეკუა და ლ. სედოვი. მ. კელდიშმა მე და კ. ბაბენკოს წინადადება მოგვცა, სადოქტორო დისერტაციები სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომების ერთ ტომში დაგვებეჭდა რაც შეიძლება ჩქარა, იმ მიზნით, რომ ორივე სტალინურ პრემიაზე წარვედგინეთ. ჩემი ნაშრომი დასაბეჭდად 1952 წლის ზაფხულში გადავეცი, კ. ბაბენკომ კი ჯერ თითქოს დაავიანა, შემდეგ კი თავისი სადოქტორო დისერტაციის დაბეჭდვაზე უარი განაცხადა. ის მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ მოსკოვის მათემატიკურ საზოგადოებას თავისი ნაშრომის შინაარსი მოახსენა და თავისი მოხსენების ანოტაცია ჟურნალში «Успехи математических Наук» გამოაქვეყნა. 1953 წლის გაზაფხულზე სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომებში ცალკე ტომის სახით გამოქვეყნდა ჩემი სადოქტორო დისერტაცია სახელწოდებით — «К Проблеме уравнений смешанного типа».

1952 წლის ივნისში სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე მ. ვიშიკმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე “მძლავრად ელიფსური სისტემები”. როგორც თვითონ დისერტანტმა, ისე მისმა ოპონენტებმა რამდენჯერმე მოიხსენიეს 1948 წელს ჟურნალში «Успехи математических Наук» გამოქვეყნებული ჩემი შრომა, რომელშიც ნაჩვენები იყო, რომ განტოლებათა სისტემის შემთხვევაში თანაბარი ელიფსურობის პირობა ერთი თანაბრად ელიფსური განტოლებისგან განსხვავებით არ უზრუნველყოფს საერთოდ აღებული სისტემისთვის დირიხლეს კლასიკური ამოცანის ფრედჰოლმურობას. ეს ნაშრომი გახდა მთელ რიგ გამოკვლევათა საფუძველი ელიფსური სისტემების შესახებ, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთაც. ამ მიმართულებით იყო შესრულებული მ. ვიშიკის ნაშრომიც.

1953 წელს ღია წესით სტალინური პრემიების მინიჭება არ შემდგარა. 1954 წელს გამოცხადდა, რომ წარმოებს მეცნიერული შრომების წამოყენება 1953 წლის სტალინური პრემიების მოსაპოვებლად. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ განიხილა ეს საკითხი და 1953 წლის განმავლობაში მეცნიერული მიღწევების საფუძველზე წამოყენებულ კანდიდატთა შორის დაგვასახელეს ა. კუროში, ა. ხინჩინი, ო. ლადიჟენსკაია და მე. ფარული კენჭისყრით სამმა უკანასკნელმა 13-დან 7-7 ხმა მივიღეთ და ამით სამივე წარგვადგინეს პრემიის მოსაპოვებლად. ჩემს წამოყენებას წინ აღუდგნენ პ. ალექსანდროვი და ლ. პონტრიაგინი. სტალინური პრემიების მათემატიკისა და მექანიკის სექციის თავმჯდომარე მაშინ მ. ლავრენტიევი იყო. სტალინური პრემიების სახელმწიფო კომიტეტმა პრემიები მოგვანიჭა ო. ლადიჟენსკაიას და მე, მაგრამ როცა საკითხი კომიტეტის გადაწყვეტილების დამტკიცებაზე დადგა, სსრკ კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ ნ. ხრუშჩოვის ინიციატივით მიიღეს გადაწყვეტილება სტალინური პრემიების ლიკვიდაციის შესახებ.

1955-56, 1956-57 სასწავლო წლების განმავლობაში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ვკითხულობდი ლექციების კურსს სახელწოდებით “ნაწილობითწარმოებულისანი დიფერენციალური განტოლებების რამდენიმე კლასი”. ჩემს ლექციებს რეგულარულად ესწრებოდა არანაკლებ 50 მსმენელისა. 1956 წელს ბულგარეთის მათემატიკური საზოგადოებიდან მივიღე მიწვევა, მოხსენებით გამოვსულიყავი ბულგარეთის მათემატიკოსთა პირველ ყრილობაზე. ყრილობა 1956 წლის ოქტომბერში შედგა. მის მუშაობაში საბჭოთა კავშირიდან ვმონაწილეობდით ს. სობოლევი (დელეგაციის უფროსი), ა. პოსტნიკოვი

და მე. წავიკითხე მოხსენება თემაზე “ნაწილობითწარმოებულიან ელიფსურ განტოლებათა სისტემები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მძლავრად ელიფსურობის პირობას”. ყრილობაში მონაწილეობდა არანაკლებ 40 საზღვარგარეთელი მათემატიკოსი, ზოგიერთი მათგანი ახლოს გავიცანი და შემდეგაც გავაგრძელე მათთან მეცნიერული ურთიერთობა.

1957 წლის ზაფხულში ფინეთში (ჰელსინკი) შედგა საერთაშორისო სიმპოზიუმი ფუნქციათა თეორიაში. მის მუშაობაში 25 საბჭოთა მათემატიკოსი მონაწილეობდა. დელეგაციას მეთაურობდა მ. ლავრენტიევი, სამეცნიერო-ტურისტულ ჯგუფს — ბ. შაბატი. დელეგაციაში ი. ვეკუას, ა. გელფონდს, ა. შაგინიანს, ა. მერგელიანსა და დ. მარკუშევიჩთან ერთად ვიმყოფებოდი მეც. ყველა ჩვენთაგანი სამეცნიერო მოხსენებით გამოვიდა სიმპოზიუმზე. აქ ახლოს გავიცანი დასავლეთის ქვეყნების ცნობილ მათემატიკოსებს, — რ. ნევანლინას, ფ. ნევანლინას, ლ. ალფორსს, კ. ხეიმანს, ს. სტოილოვს და სხვებს. ჰელსინკიში საბჭოთა მათემატიკოსების დელეგაციამ 10 დღე დაჰყო. მასპინძლებმა ორი ბანკეტი მოაწყვეს, ერთი — სიმპოზიუმის დღეებში, მეორე კი — იმ საღამოს, როცა სიმპოზიუმი დამთავრდა.

ჰელსინკიდან დაბრუნების შემდეგ გავიდა 2 თვე და მე, როგორც საბჭოთა მათემატიკოსების დელეგაციის წევრი, გავემგზავრე დრეზდენს (გდრ) სრულიად გერმანიის (როგორც გდრ-ის, ისე გფრ-ის) წლიურ მათემატიკურ ყრილობაზე, პლენარული მოხსენებით. დელეგაციაში შევდიოდით: პ. ალექსანდროვი (დელეგაციის უფროსი), პ. ნოვიკოვი, ვ. გლუშკოვი, ვ. მასლენიკოვა და მე. პ. ალექსანდროვმა დაინახა, თუ როგორი ყურადღებით მოისმინეს ჩემი მოხსენება, პ. ნოვიკოვმაც შემაქო, მაგრამ პ. ალექსანდროვმა ვ. გლუშკოვისა და პ. ნოვიკოვის თანდასწრებით მაინც განაცხადა, — “ჩემს თვალში ანდრო ბიწაძე უფრო პარტიული მუშაკია, ვიდრე მათემატიკოსი”.

გერმანელ მათემატიკოსებს ბლიაშკვს, ჰოლდერს, კრეზერს, ჰასსეს, კელერს მე ჯერ კიდევ 1956 წელს შევხვდი მოსკოვში სრულიად საკავშირო მათემატიკოსთა ყრილობაზე. ახალი მეცნიერული შედეგებით ისინი ძალზე ჩამორჩებოდნენ საბჭოთა მათემატიკოსებს. გარეგნული შეხედვით გერმანელებს თითქოს პირად, ოჯახურ ცხოვრებაშიც დაბნეულობა ემჩნეოდათ. საბჭოთა მათემატიკოსების დელეგაციამ დრეზდენის შემდეგ ბერლინში დაჰყო სამი დღე. ირგვლივ ჯერ კიდევ ნანგრევებით იყო გარსშემორტყმული ცალკეული შენობები. ბრეტის თეატრში ვნახე “კავკასიური ცარცის წრე”. გერმანულ სპექტაკლში კავკასიელი ქალის პერსონაჟი ჰარამხანიდან გამოსულს ჰგავდა. ამ სპექტაკლში არც ის მომეწონა, რომ საქართველოს დროშა თეთრი (წმინდა) გიორგის გამოსახულებით უნიჭო მებრძოლებს ეკავათ ხელში.

სკკპ XX ყრილობის შემდეგ მთავრობის დადგენილებით კვლავ აღადგინეს ლენინური პრემიები, შეიქმნა ლენინური პრემიების კომიტეტი, დაყოფილი სექციებად. მათემატიკისა და მექანიკის სექციის თავმჯდომარედ დაინიშნა ი. ვინოგრადოვი, მდივნად — მე. 1957 წლის აპრილში ლენინური პრემია მათემატიკაში ნაშრომისთვის — “სიტყვების პრობლემა ჯგუფთა თეორიაში” მიენიჭა პ. ნოვიკოვს. ამავე წლის მეორე ნახევარში დაიწყო სამზადისი ლენინური პრემიების მორიგი მინიჭებისთვის. კულუარებში ლენინური პრემიაზე წარსადგენად ყველაზე მისაღებ კანდიდატებად ასახელებდნენ ი. პეტროვსკისა და ნ. ბოგოლიუბოვს. იმ დროს საკმარისად გახმაურდა ი. პეტროვსკის გამოკვლევა “ზღვრულ ციკლთა” შესახებ. ეტყობა, ბევრი მათემატიკოსი დააინტერესა ი. პეტროვსკის ამ სტატიაში. აქა-იქ გაისმა ხმა, რომ

ამ სტატიაში მოყვანილი ძირითადი თეორემა მცდარია. ი. პეტროვსკისთან დაახლოებულმა მათემატიკოსებმა ო. ოლეინიკმა და მ. ვიშიკმა გამაფრთხილეს, რომ ი. პეტროვსკის მიაჩნია, რომ მისი გამოკვლევის წინააღმდეგ დაგდებული ხმების წყარო მე ვარ. ასეთ შემთხვევაში აღარ მსურდა ლენინური პრემიების კომიტეტის მათემატიკისა და მექანიკის სექციის მდივნად დარჩენა. სწორედ ამ დროს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმიდან შემომთავაზეს ერთი წლით სამეცნიერო მივლინებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში წასვლა, რაზედაც დაუყოვნებლივ დავთანხმდი.

1957 წლის 1 ოქტომბერს პეკინში ჩავფრინდი. აეროდრომზე შემხვდნენ პეკინის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი ჰუა ლოგენი, ამავე ინსტიტუტის მათემატიკური ფიზიკის კათედრის გამგე უ სინმო, მოსკოვში ასპირანტურადამთავრებული ჯოუ იულინი, ფინ კანი და ბევრი სხვა ახალგაზრდა ჩინელი მათემატიკოსი. მომცეს შესანიშნავი ნომერი პეკინის გარეუბანში ახლახან აშენებულ ევროპულ სასტუმროში სახელწოდებით “მეგობრობა” და დღის მეორე ნახევრიდან ჩამრთეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსებიდან 8 წლისთავისადმი მიძღვნილ სახალხო ზეიმში, რაც შუალამემდე გაგრძელდა. ჩინელი კოლეგების თხოვნით ყოველკვირეულად 8 საათს ვკითხულობდი 2 სალექციო კურსს — ნაწილობითწარმოებულთან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიას და ფუნქციონალური ანალიზისა და ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენებებს მათემატიკურ ფიზიკაში. გარდა ამისა კიდევ ერთი დღე მქონდა გამოყოფილი კონსულტაციების ჩასატარებლად. დიდი მონდომებით შევუდექი ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, ყოველი ლექციის რუსულ ტექსტს ერთი კვირით ადრე გადავცემდი მათემატიკის აკადემიის დირექციას ისე, რომ მომავალი ლექციის როტოპრინტული ასლები რუსულ ენაზე და ჩინურ იეროგლიფებში ლექციის მსმენელებს უკვე ხელთ ჰქონოდათ. პირველად ჩინელები ერთმანეთში მერეოდნენ, მაგრამ ჩქარა ზუსტად ვარჩევდი ვარჩევდი ერთმანეთისგან ჩემს მსმენელებს, რომელთა რაოდენობა ყოველ ლექციაზე ხუთასს აღემატებოდა. ჩემს ლექციებს უსმენდნენ ახალგაზრდა და უკვე ხანში შესული მათემატიკოსებიც. კონსულტაციების შედეგად გამოირკვა, რომ ახალგაზრდა ჩინელ მათემატიკოსთა შორის ბევრი იყო მაღალი მათემატიკური ინტელექტის მქონე. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა დუნი, რომელმაც სულ რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩემი ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევა შეასრულა. ერთ შრომაში მან ააგო მარტივი მაგალითები, რომლებიც უჩვენებდნენ ცნობილი ამერიკელი მათემატიკოსების პროტერისა და გარაპედიანის ე. წ. ტრიკომის ამოცანის მრავალგანზომილებიან არეებში განზოგადებისადმი მიძღვნილ გამოკვლევათა მცდარობას. თავის მეორე შრომაში დუნმა ამოხსნა ფუნქციათა თეორიის რიმან-ჰელბერტის სასაზღვრო ამოცანის ის შემთხვევა, რომელიც განსაკუთრებული სირთულის გამო დიდხანს ღიად იყო დარჩენილი. ამ შრომის ხელნაწერი ავიაფოსტით გავუგზავნე ი. ვეკუას თხოვნით, ნ. მუსხელიშვილის ან მ. ლავრენტიევის წარდგინებით სასწრაფოდ დაებეჭდათ «Доклады АН СССР»-ში. ი. ვეკუამ პასუხი დააყოვნა. მე მას ტელეფონით პეკინიდან მოსკოვში დავუკავშირდი და შევიტყვე, რომ ი. ვეკუას მოწაფემ, პოლონელმა მათემატიკოსმა ბ. ბოიარსკიმ ი. ვეკუას თხოვნით შეამოწმა დუნის ხელნაწერის შინაარსი და თვითონაც იპოვა აღნიშნული ამოცანის ამოხსნის ახალი მეთოდი. მე ეს მეწყინა და სასწრაფოდ მივიღე ზომები,

დუნის სტატია ჩინურ ჟურნალ “მეცნიერულ რეკორდებში” დაბეჭდილიყო. ისე მოხდა, რომ დუნისა და ბ. ბოიარსკის სტატიები ერთდროულად დაბეჭდეს.

ლექციებისა და კონსულტაციების დროს მოცემული შეკითხვებიდან ვხედავდი, რომ ჩინელები თეორიულ საფუძვლებს ამზადებდნენ ატომური იარაღისა და რაკეტული ტექნიკის ჩინური ვარიანტის შესაქმნელად. 1957 წლის ნოემბრის ბოლოს ჩინეთში დაიწყო კამპანიები “ბელურებთან საბრძოლველად” და “დიდი ნახტომის” ცხოვრებაში გასატარებლად. ამასთან დაკავშირებით მათ მედუნმა წამოისროლა ლოზუნგები “კრიტიკის ცეცხლში გავატაროთ ყველა, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა პოსტი უკავია მას” და “დაე, გაიშალოს ასი ყვავილი, გაჩაღდეს შეჯიბრება მეცნიერთა შორის”. ეს ლოზუნგები თითქოს პროლეტარიატის დიქტატურის ლიბერალიზაციისადმი იყო მიმართული და მათ საფუძვლად ედო ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი წერილი “პროლეტარიატის დიქტატურის ცდის შესახებ”, რაც სკკპ XX ყრილობაზე ი. სტალინის კულტის გამომჟღავნებას ეძღვნებოდა. ამ ლოზუნგების შესაბამისად პეკინში სახლიც კი არ დარჩენილა, რომლის კედლებზეც ყოველდღე არ ყოფილიყო გამოკრული დიდი იეროგლიფიანი აფიშები (ტაძიბაო), რომლებშიც კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ ყველა კომუნისტს, განსაკუთრებით კი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას. სადამოობით ქუჩებში ბრბოები დაძრწოდნენ. ხშირი გახდა უბედური შემთხვევებიც. პეკინში მყოფ საბჭოთა სპეციალისტებს ჩინელ თანამგზავრთა გარეშე სასტუმროდან გასვლის ნებას ადარ გვაძლევდნენ. 1957 წლის 31 დეკემბერს ადრე დილით ჩემთან სასტუმროში მოვიდა ჰუა ლოგენი ფინ კანის თანხლებით, რომელსაც ოფიციალური მთარგმნელის როლი უნდა შეესრულებინა. ჰუა ლოგენმა გაშალა გაზეთი “ჟენმინჟიბაო” — ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო და მის პირველ გვერდზე თითოთ მაჩვენა ერთი იეროგლიფი, რომელიც შეიძლება ქართულად ასე ითარგმნოს — “კმარა”. ამ დღიდან მოკიდებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შეურიგებელი ბრძოლა გაჩაღდა “მემარჯვენე ელემენტებთან”; გზადაგზა “მემარცხენე ელემენტებსაც” უტევდნენ. დაწესებულებებში ყოველდღე ატარებდნენ კრებებს, სადაც ულმობლად ამჟღავნებდნენ სახალხო რესპუბლიკის “მტრებს”. დაწესებული იყო სასჯელის 7 ფორმა, პირველი დახვრეტას გულისხმობდა, უკანასკნელი კი — შორეულ სოფლებში გადასახლებას “ხელახალი აღზრდის” მიზნით. ასახელებდნენ ანონიმურ მთავარ დამნაშავეს, რომელიც უფლებამოსილია სახელმწიფოში და ყველაფერი კაპიტალიზმის გზით მიყავს. თვითკრიტიკით გამოსვლაზე აიძულებს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დენ სიაოპონი და ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გო მოჟო. ძალზე შეშინებული აღმოჩნდა პროფესორი ჰუა ლოგენიც, რომელიც ოფიციალურად დაშვებული დემოკრატიული ლიგის პოლიტიკურში შედიოდა. როცა ჰუა ლოგენს მათემატიკის ინსტიტუტში აკრიტიკებდნენ, მან განაცხადა, რომ მის საქმიანობას კარგად იცნობს საბჭოთა სპეციალისტი ა. ბიწაძე და მას შეუძლია, თქვას, მავნებელია თუ არა პეკინის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის საქმიანობაო. პეკინში საბჭოთა საელჩოს უფროსმა მრჩეველმა მეცნიერებისა და კულტურის ხაზით ჩინეთში მომუშავე ყველა საბჭოთა სპეციალისტი გაგვაფრთხილა, არ ჩავრეოდით ჩინეთში მიმდინარე პოლიტიკურ კამპანიაში. ამით ავიცილე თავიდან ის უსიამოვნება, რაც, შესაძლოა, შემხვედროდა, თუ ჰუა ლოგენის დაცვით გამოვიდოდი.

ახალი 1958 წელი დიდი ზეიმით აღვინიშნეს პეკინში მომუშავე საბჭოთა და სხვა სოციალისტური ქვეყნების სპეციალისტებს. ზეიმს ესწრებოდნენ ჯოუ ენლაი და მისი მეუღლე დენი (დენ სიაოპინის და). იანვრის შუა რიცხვებში პეკინს “ჰონკონგის გრიპი” მოედო. ბევრი საბჭოთა სპეციალისტი გახდა ავად. მე თითქოს “ბედი მწყალობდა” და დიდხანს გრიპი არ შემყრია, მაგრამ თებერვლის დამდეგს ამ საშინელი სენით შეპყრობილი ლოგინად ჩავვარდი. ევროპული მედიცინა ჩემს დაავადებასთან საბრძოლველად უძლური აღმოჩნდა. ჩინელმა კოლეგებმა მირჩიეს, ჩინური მედიცინით მკურნალობის ჩატარების ნება მიმეცა, ჩვენს საელჩოში კი “ჩინური მედიცინის” გაგონებაც არ სურდათ. ორი დღის განმავლობაში ჩემი ტემპერატურა 40 გრადუსზე ძირს არ დაწეულა. ასეთ მდგომარეობაში დავთანხმდი ჩინური მედიცინის გამოყენებით მკურნალობაზე. წამალი, რომლითაც მკურნალობა დამიწყეს, მწერების, ქვეწარმავლებისა და მცენარეთა ნარჩენებისგან შედგენილი ნარევის ნახარში იყო. ხარშავდნენ დღეში სამჯერ ნახარშის მიღების წინ ისე, რომ ავადმყოფს თბილი უნდა დამელია. მოხდა თითქოს “სასწაული”, ორი დღის შემდეგ გრიპის ნიშნებიც კი ვერ აღმოაჩინეს ჩემს ორგანიზმში “ევროპული მედიცინის” წარმომადგენელმა ექიმებმა.

თებერვლის შუა რიცხვებიდან ჩინეთში პოლიტიკური კამპანიები შენელდა. ისევე როგორც ნოემბერში ახლაც დამრთეს ნება, ჩემზე მომაგრებული შავი ფერის ავტომანქანა “ლინკოლნით” ნებისმიერი მიმართულებით მესეირნა პეკინიდან არაუმეტეს ასორმოცდაათი კილომეტრისა. პეკინიდან ამ რადიუსში მრავალი საინტერესო ძეგლი და ფლორითა და ფაუნით მდიდარი ადგილია: იმპერატორთა საფლავები, ჩინეთის დიდი კედელი, პარკი “იჰეიუან”, მრავალი ბუდისტური, კონფუციანური და წარმართული ტაძარი თუ სალოცავი. ასეთ გასეირნებებს კარგად ვუთავსებდი ყოველდღიურ საქმიანობას.

1958 წლის მარტის დამდეგს მოსკოვიდან სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. ნესმეიანოვმა გამომიგზავნა დეპეშა — “გთხოვთ დაგვეთანხმოთ, კენჭი იყაროთ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვაკანტურ ადგილზე ციმბირის განყოფილების ხაზით”. შემდეგ აკადემიის ფიზიკისა და მათემატიკის განყოფილების აკადემიკოსი მდივნის მ. ლავრენტიევის ანალოგიური შინაარსის დეპეშაც მივიღე, ვუპასუხე, რომ მარტის შუა რიცხვებში დავბრუნდები მივლინებიდან მოსკოვს და მაშინ გავცემ პასუხს. ამის შესაბამისად ჩინელებს განვუცხადე, რომ იძულებული ვარ, სამსახურებრივი საქმის გამო ვადაზე ადრე დავბრუნდე პეკინიდან სამშობლოში. მასპინძლებს ეს ეწყინათ, მაგრამ თანხმობა მომცეს და თან შემომთავაზეს, 2 კვირის განმავლობაში ჩინეთის სხვა ადგილებიც დამეთვალაიერებინა, წამეკითხა თითო-ოროლა მოხსენება დიდ სამეცნიერო ცენტრებში, თანაც დამესვენა და მარტის მეორე ნახევარში გავმგზავრებულიყავი მოსკოვს. ამაზე თანხმობა მივეცი და პეკინის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თანხლებით შევუდექი მოგზაურობას ჩინეთის ტერიტორიაზე. ჩვენს განკარგულებაში იყო ნებისმიერი ტრანსპორტი. პირველად გეზი შანხაის მიმართულებით ავიღეთ, რამდენიმე საათს გზად ნანკინში შევჩერდით სუნ იატსენის სარკოფაგის სანახავად, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა; სხვა მხრივაც ნანკინს ჩემზე შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ერთი დღე-ღამის შემდეგ შანხაიში აღმოვჩნდით. რკინიგზის სადგურზე შეგვხვდნენ შანხაის მათემატიკოსთა წარმომადგენლები სუ ბოჩინის მეთაურობით. მას ჯერ კიდევ ბულგარეთიდან ვიცნობდი. სუ ბოჩინი, შანხაის ფუდანის უნივერსიტეტის პრორექტორი, სპეციალობით გეომეტრი იყო. მაღალი კლასის სასტუმროში მომათავსეს. მეორე დღეს მოისმინეს ჩემი სამეცნიერო

მოხსენება კუმშვადი სითხის (აირის) ტრანსზონალური მოძრაობის მათემატიკური საფუძვლების შესახებ. მოხსენებას უამრავი მსმენელი ყავდა. სადამოს შანხაის ოპერის დადგმა მაჩვენებს, მეორე დილით შავ ბუდისტთა ტაძარი დამათვალეირებინეს, სადამოს მატარებლითვე ხანჯოლში გამისტუმრეს. სანჯოლ ზღვის მახლობლად ულამაზესი ტბის სიკვამლე ნაპირებზე გაშენებული, ირგვლივ მუდამმწვანე გორაკებით გარშემორტყმული ქალაქია მილიონზე მეტი მცხოვრებით. ჩინელები ამბობენ, — თუ ცაზე სამოთხეა, მაშინ დედამიწაზე სიჯოლ და ხანჯოლაო. აქაც აღმოჩნდნენ მათემატიკოსები, რომლებმაც მთხოვეს, მოხსენებით გამოვსულიყავი. ეს თხოვნაც შევასრულე. მთვარიან ღამეს მომიწყვეს სიკვამლე ტბაზე ნავით გასეირნება. ნავს, რომლებსაც სტუმრები და მასპინძლები მოვყავდით, გარკვეულ მანძილზე მოყვებოდა ნავი, რომელშიც ჩინეთის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ გამოყოფილი “დაცვა” იმყოფებოდა. სასტუმროში გვიან დავბრუნდით, დილიდან კი ხანჯოლს დათვალეირებას შევუდექით. ამ ულამაზეს ბუნებას უხსოვარი დროიდან არანაკლებ ღამაში ადამიანები შეხიზნებიან. ხანჯოლს მკვიდრნი მკვეთრად გამოირჩევიან თავისი სილამაზით სხვა ჩინელებისგან, მათ თითქოს მოთეთრო ბრინჯაოს ფერი აქვთ, სახის ნაკვთები სწორი, ტანად, რომ იტყვიან, ლერწამს გვანან. ხანჯოლს მიდამოები სავსეა ისტორიული და რელიგიური ძეგლებით. აქ ხშირად შეხვდებით უცხოელ ტურისტებს, რომლებსაც ჰონკონგის ვიზით მოუხერხებიათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მოგზაურობა.

ხანჯოლდან გუანჯოლში (კანტონში) გავფრინდით მე და ჩემი თანამგზავრი. გუანჯოლს ყველაზე დიდი ქალაქია ჩინეთში შანხაის შემდეგ. აქაც აეროდრომზე შეგვხვდა გუანჯოლს უნივერსიტეტის მათემატიკოსთა 8 წარმომადგენელი, მათ შორის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი. ქალაქში ჩემთვის შესანიშნავი სამოთახიანი ნომერი იყო გამზადებული კომფორტაბელურ სასტუმროში. მასპინძლებმა შემომთავაზეს, ერთად გვესადილა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოდან ქვეწარმავლებისგან დამზადებული კერძებით სახელგანთქმულ რესტორანში სახელწოდებით “გველთა სამეფო”. ამაზე სიამოვნებით დავეთანხმე, ჩემმა პეკინელმა თანამგზავრმა კი თავი შეიკავა, თუმცა იძულებული იყო, თან მხლებოდა როგორც სტუმარს. რესტორანს რამდენიმე სართული ეკავა წყალუხვი მდინარის პირას აშენებულ ცათამბჯენში. კლიენტებს წინასწარ გვაჩვენეს ოქროსფერ მავთულწულში მოთავსებული ცოცხალი ქვეწარმავალი. სამი გველისგან უნდა მოემზადებინათ პირველი კერძი, — წვნიანი და მეორე კერძი — “დრაკონი ფენიქსით”. სიტყვა “დრაკონი” გველის აღმნიშვნელი ტერმინი იყო, “ფენიქსი” — ჩვეულებრივი წიწილასი. ერთი საათის შემდეგ მდინარის მხარეზე მეოთხე სართულის აივანზე გაშალეს სუფრა. მაგიდაზე მოიტანეს ჩინური სასმელები და სხვადასხვა ფერის ქრიზანთემის ყვავილის ფურცლებით სავსე ორი დიდი მათლაფა. სამი გველისგან მომზადებულ წვნიანს ოხშივარი ასდიოდა სასიამოვნო სუნით. პეკინელი თანამგზავრი სუფრას არ მოუჯდა, რადგან გველის ხსენებაზეც კი გული ერეოდა. მე და სხვა ჩინელ მასპინძლებს მიმტანებმა ფაიფურის შესანიშნავ თეფშებზე დაგვისხეს წვნიანი, ზედ ქრიზანთემის ყვავილის ფურცლები დააყარეს, გაამოთო, გვითხრეს და გავიდნენ. წვნიანი სიამოვნებით მივირთვით. სანამ მეორე კერძს მოიტანდნენ, ვარდისფერი ღვინით რამდენიმე სადღეგრძელო შევსვით ფრანგულ ენაზე, ცოტა შევისვენეთ, აივნიდან მდინარის მოპირდაპირე მხარის აყვავებულ გორაკებს მოვავლეთ თვალი და მიმტანები მოვიხმეთ. “დრაკონი ფენიქსით” ცალ-ცალკე თეფშებით შემოიტანეს. ვიკითხე, კერძის მცირე ნაჭერთა შორის რომელი იყო გველისგან დამზადებული. დეკანმა მკითხა, მე რომელი ნაჭრები მომწონდა ყველაზე

მეტად. “მოყვითალო ფერის ნაჭრები”, — იყო ჩემი პასუხი. “აი, სწორედ ეგაა გველისგან დამზადებული”, — განმიმარტა მან. ამის გაგონებაზე თითქოს ელდა მეცა, ის-ის იყო, პირღებინება ამიტყდებოდა, მაგრამ ღვინით სავსე ჭიქას წავავლე ხელი და ხმის ამოუღებლად დავცალე. ამის შემდეგ ყველაფერი ნორმაში ჩადგა. დღის მეორე ნახევარი ქალაქის დათვალიერებას მოუხდა. კვირა საღამო იყო და ქუჩები სავსე იყო ფერად-ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი ჩინელებით (პეკინში ყველა ჩინელი უნიფორმაში ჩაცმული დადიოდა, როგორც საქმის დღეს, ისე უქმეზე). მოსეირნეთა შორის მე ჩემი მომცრო ტანით და ჩემი პეკინელი თანმხლები გულივერს ვგავდით ლილიპუტებს შორის (სამხრეთის ჩინელები შავი გარეგნობისა და დაბალი ტანის არიან). სასტუმროში შებინდებისას დავბრუნდით, ვივახშმეთ და შემდეგ დიდ ოთახში მაჩვენეს ჭერში ჩამოკიდებული გამჭვირვალე ფერის, კონუსური ფორმის სუდარა, რომელშიც ღამით უნდა გავხვეულიყავი, რათა ძილის დროს მოსკიტებისგან მეხსნა თავი. ღრმა ძილისგან ქვემეხების გრიალმა გამომადვილა. სამხრეთის ბნელ ცას ანთებული ჭურვები სერავდნენ. ამ დროს ჩემს ოთახში დაცვის წარმომადგენლები (ქალი და მამაკაცი) შემოვიდნენ, მითხრეს, რომ ეს კანონადაა, რომელიც ყოველ ღამით წარმოებს ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებისა და ტაივანზე მოკალათებულ ჩინელ გამცემელთა სამხედრო შენაერთებს შორის და სასტუმროში მცხოვრებთათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს. დაცვა გავიდა და ძილი განვაგრძე. დილით ადგილობრივი დროით 10 საათზე გუანჯოუს უნივერსიტეტში სამეცნიერო მოხსენება გავაკეთე, შემდეგ კი ქალაქის ღირსშესანიშნავი ძეგლების დათვალიერებას შევუდექი. საღამოს შემომთავაზეს რამდენიმე დღით კუნძულ ხაინანზე გასეირნება სპეციალური კატერით, მაგრამ ამაზე ვერ დავთანხმდი, რადგან მოსკოვში გამგზავრებას ვჩქარობდი. გუანჯოუს უნივერსიტეტის რექტორმა, “კონფუციანური ფილოსოფიის” სპეციალისტმა, პატივსაცემად გამოსამშვიდებელი ვახშამი გამიმართა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. გუანჯოუს უნივერსიტეტი უზარმაზარ ბაღშია განლაგებული; მისი შენობები კედლების გარეშეა, ბოძებზე დაყრდნობილი, სახურავებით, რომლებიც მხოლოდ მზის მცხუნვარებისა და წვიმისგან თავდასაცავადაა საჭირო. რექტორმა განაცხადა, რომ სტუმრის პატივსაცემად დღევანდელი გამასპინძლება განსაკუთრებულია. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანმა შეაწყვეტინა სიტყვებით, — ვშიშობ, რომ ასეთი გამასპინძლება სტუმარს მისი მობრძანების დღეს მოვუწყვეთო. რექტორმა ხელი გააქნია, — ვიცი ეგ ყველაფერიო, თქვა და თანაც მიმტანებს ანიშნა, გამასპინძლებას შედგომოდნენ. შემოიტანეს კვლავ ოქროსფერ მავთულწნულში მოთავსებული გველები, ამარჩევინეს 7 გველი, მათ შორის ყველაზე დიდი ჭერზე ჩამოშვებულ ჯაჭვს თავით მიამაგრეს, საოპერაციო დანით გველთა ყასაბმა ცოცხალი გველი გაფატრა, ამოუღო ნაღველა, თოკის მარყუქით ნაღვლის სავალი ჩაკეტა და რექტორს მიაართვა. რექტორმა ვარდისფერი ღვინით სავსე ჭიქები მოითხოვა, ვერცხლისფერი ნემსით გაჩხვლიტა გველის ნაღველა და ყოველ ჭიქაში ნაღვლის სითხის 5-5 წვეთი ჩაუშვა. ღვინომ უცნაურად იცვალა ფერი, ლალისფერი გახდა. ამ სასმისებით დაიღია მეგობრობის სადღეგრძელო. ვახშამი ღამის 11 სთ-ზე დამთავრდა.

მეორე დღეს დილით მე და ჩემი პეკინელი თანამგზავრი გუანჯოუდან თვითმფრინავით პეკინს გავემგზავრეთ. პეკინში უკვე ემზადებოდნენ ჩემთან გამოსამშვიდობებლად. ჩემი ლექციების კურსის ჩინური გამოცემისთვის 4000 იუანი შემომთავაზეს, მაგრამ უარი განვაცხადე, ისედაც დიდი ხელფასი მეძლეოდა პეკინში მუშაობის ასანაზღაურებლად (700 იუანი თვეში). ახლა საჩუქრის სახით

შემომთავაზეს გასამრჯელო — კაკლის ხისგან გაკეთებული საძინებელი გარნიტური. ამაზეც უარი ვუთხარი. ჩინელებმა საბჭოთა საელჩოს სთხოვეს, გასამრჯელო რაიმე სახით მიმეღო. საბჭოთა ელჩმა იუდინმა მიმიხმო და მითხრა, — თქვენი საქმეა, როგორც გსურთ, ისე მოიქეცითო.

პეკინიდან მოსკოვს გამგზავრების წინა დღეს ჯოუ ენლაიმ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის მედალი გადმომცა, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა კი — მადლობის სიგელი სპეციალური წერილით, რომელშიც მაღალი შეფასება ეძლეოდა ჩემს მოღვაწეობას ჩინეთში. ამ ორი დოკუმენტის ზუსტი ქართული თარგმანი:

ჩინეთის მეცნიერებათა აკადემია
მადლობის სიგელი

ამხანაგო ანდრო ვასილის ძე ბიწაძე!

მაღალი ინტერნაციონალური სულისკვეთებით, მდიდარი მეცნიერული ცოდნით, თავდადებული შრომით თქვენ უდიდესი დახმარება აღმოგვიჩინეთ ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების წინსვლის საქმეში.

ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის სახელით ამის გამო მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მადლობა!

ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გო მოჟო
8 მარტი, 1958 წ., პეკინი

ჩინეთის მეცნიერებათა აკადემია

დიდად პატივცემულო ძვირფასო ანდრო ვასილის ძე ბიწაძე!

თქვენ მიიღეთ ჩვენი მოწვევა, დახმარება აღმოგვიჩინათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გასაშლელად ნაწილობითწარმოებულნიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში, მობრძანდით ჩვენს ქვეყანაში და წარმატებით იმუშავეთ 1957 წლის ოქტომბრიდან 1958 წლის მარტამდე.

მრავალმხრივ და ღრმად გაგვაცანით თანამედროვე მდგომარეობა ნაწილობითწარმოებულნიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში, თქვენს მოხსენებებში ჩვენს მეცნიერებს დაუსვით 20 ახალი საკვლევით თემა, კონსულტაციების დროს ახალგაზრდა მათემატიკოსებს მიეცით კიდევ 10 თემა, რაც ჩინელ სპეციალისტთა მეცნიერული კვლევის გეგმას განსაზღვრავს მომავალში. უდავოა, რომ ამ თემათა ერთობლიობა მოიცავს თანამედროვე მათემატიკის მეტად მნიშვნელოვან საკვლევ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტას ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის პროგრესი საჭიროებს.

თქვენს მიერ ჩვენთვის წაკითხული, ჩინურ ენაზე 70000 იეროგლიფით ჩაწერილი ლექციათა კურსი ჩქარა გამოიცემა სერიით — “მათემატიკის მიღწევები” და უსათუოდ დიდ როლს შეასრულებს ჩვენს ქვეყანაში ნაწილობითწარმოებულნიან დიფერენციალურ განტოლებათა კვლევის საქმეში.

თქვენ დიდი ძალა და ენერგია მოანდომეთ ახალი მეცნიერული კადრების ზრდას ჩვენს ქვეყანაში. თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით ახალგაზრდა ჩინელმა მათემატიკოსებმა უკვე მიიღეს ახალი მაღალხარისხოვანი მეცნიერული შედეგები, რომელთაგან 6 უკვე დაიბეჭდა საჟურნალო სტატიების სახით.

დიდია თქვენი როგორც უშუალო, ისე არაპირდაპირი გავლენა მთელი ჩვენი ქვეყნის მათემატიკოსებზე მათი მეცნიერული თემატიკის განსაზღვრისა და დამუშავების საქმეში.

თქვენი ლექციებიდან, თქვენი კონსულტაციებიდან, თქვენი გამოსვლებიდან მეცნიერული კამათის დროს მსმენელებმა წარმატებით მიიღეს ჭეშმარიტი წარმოდგენა მეცნიერებაზე.

თქვენ ყველა დაგვარწმუნეთ იმაში, რომ მათემატიკა ადამიანთა საწარმოო პრაქტიკის დასაკმაყოფილებლადაა შექმნილი, რომ ის საზოგადოებასთან ერთად ვითარდება და მუდამ მის სამსახურშია, რომ ბუნების დიალექტიკა განსაზღვრავს რეალურ სამყაროში მიმდინარე პროცესების შესწავლის მეთოდთა დიალექტიკურ შინაარსს.

თქვენ ყოველთვის პირუთვნელად აკრიტიკებდით ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში მათემატიკური კვლევის, ჩვენს ქვეყანაში მათემატიკის სწავლების არსებულ სტილს, გვებმარებოდით ახალი, სწორი სტილის შემუშავებაში.

თქვენი ინტერნაციონალური სულისკვეთება გადაედო ჩინელ მათემატიკოსებს. ამას მნიშვნელობა აქვს საერთოდ ყველა ჩინელისთვის.

დიდად პატივცემულო ამხანაგო ანდრო ვასილის ძე ბიწაძე! ჩვენ არასდროს დავივიწყებთ იმ დიდ დახმარებას, რომელიც თქვენ აღმოგვიჩინეთ მუშაობაში. გულწრფელად გისურვებთ ჯანმრთელობას, ყოველგვარ სიკეთეს და შემდეგ წარმატებებს!

ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გო მოჟო
8 მარტი, 1958 წ., პეკინი

მარტის ბოლოს უკვე მოსკოვში ვიყავი. აეროდრომზე მეგობრები შემხვდნენ, მომილოცეს სამშობლოში დაბრუნება და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩევა.

მაისის თვეში გაირკვა, რომ სხვა მათემატიკოსებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიმეღო ედინბურგში მიწვეულ მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში. ამას არ მოველოდი იმის გამო, რომ ი. ვინოგრადოვი, რომელიც საბჭოთა მათემატიკოსების ეროვნულ კომიტეტს თავმჯდომარეობდა, ჩემით უკმაყოფილო იყო. ედინბურგის კონგრესი 1958 წლის აგვისტოში შედგა. ნაწილობითწარმოებულთან დიფერენციალურ განტოლებებს მიძღვნილ კონგრესის სექციაში გამოვედი მოხსენებით “დირიხლეს ამოცანის არაკორექტულობა შერეული ტიპის განტოლებებისთვის შერეულ არეებში”. მოხსენებას ბევრი მათემატიკოსი დაესწრო. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში რამდენჯერმე გამოვიდნენ სიტყვებით შერეული ტიპის განტოლებათა თეორიის ისეთი ცნობილი სპეციალისტები, როგორც იყვნენ ფ. ტრიკომი, ბუზემანი, ტომოტიკა, გუდერლეი და სხვები. რადგან ჩემი მოხსენება დღის პირველ ნახევარში სექციის უკანასკნელი მოხსენება იყო, შესაძლო გახდა, კამათი თითქმის ერთი საათის განმავლობაში გაგრძელებულიყო. ბოლოს მოკამათებებაცა და მსმენელებიც დარწმუნდნენ ჩემი მეცნიერული შედეგების სისწორეში და მომილოცეს ეს გამარჯვება. მე კონგრესის რიგითი მონაწილე ვიყავი. საბჭოთა დელეგაციას და ტურისტულ ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ ი. ვინოგრადოვი, ნ. ბოგოლიუბოვი და ე. მიშჩენკო. როცა მათამდეც მივიდა ცნობები ჩემი მოხსენების შესახებ, პირველი ორი მათგანის რეაქცია აშკარად დადებითი იყო, მესამემ კი ეს აინუნშიც არ ჩააგდო. მეორე დღეს ე. მიშჩენკო

ლ. პონტრიაგინისა და ი. შაფარევიჩის კომპანიაში შემხვდა. არც ერთმა მათგანმა რეაქცია არ გაუკეთა ჩემს მისალმებას, განსაკუთრებით ზიზღით მიყურებდა ი. შაფარევიჩი. კიდევ კარგი, რომ ჩემი მოხსენების შესახებ ი. ვეკუას ნ. მუსხელიშვილისთვის ყველაფერი ეცნობებინა და მან სიხარულით მომილოცა გამარჯვება.

ედინბურგსა და მის მიდამოებში საბჭოთა მათემატიკოსებს ბევრი მუზეუმი, გამოფენა და ისტორიული ძეგლი დაგვათვალისწინებინეს. დასამახსოვრებელი იყო კონგრესის მონაწილეთა გემებით კოლექტიური გასეირნება ატლანტის ოკეანის შოტლანდიის სანაპიროზე. ბრწყინვალედ ჩაატარეს ინგლისელებმა სტუმრების მიღება ნეპერის სახლ-მუზეუმში. დასკვნითი ბანკეტის დროს სტუმრები მაღალ დონეზე მიგვიღო ედინბურგის ჰერცოგმა, დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ II-ის მეუღლემ. ლონდონში სამი დღე-ღამე მოგვიწია ყოფნა. დიდი ბრიტანეთის სურათების გალერეა, ლონდონის მუზეუმი, ვესტმინსტერის სააბატო, ტაუერი, პარლამენტი, სანთლების ფიგურების გალერეა და, ვინ მოთვლის, რამდენი საინტერესო ადგილის დათვალიერება შევძელით ამ ხნის განმავლობაში. ვესტმინსტერის სააბატოში განსაკუთრებული პატივისცემით მოვინახულეთ ისააკ ნიუტონის საფლავი. სანთლების ფიგურების გალერეაში კარგად იყო წარმოდგენილი დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა ფიგურები, ცენტრში — ი. სტალინი თანამებრძოლებით, ხელმარჯვნივ — რუზველტი, ხელმარცხნივ — ჩერჩილი. მეოთხე დღეს საუზმის შემდეგ საბჭოთა მათემატიკოსების დიდი ჯგუფი ლონდონიდან საბჭოთა საოკეანო კომფორტაბელური გემით — “ბალტიკა” სამშობლოში გამოემგზავრა. გზაში 5-5 საათით გემმა ღუზა ჩაუშვა კოპენჰაგენისა და სტოკჰოლმის ნავსადგურებში. კოპენჰაგენამდე ჩვენთან ერთად იმგზავრა ცნობილმა დანიელმა მათემატიკოსმა ჰარალდ ბორმა, ნილს ბორის ძმამ. სტოკჰოლმში ანდერსენის ზღაპრებიდან ცნობილი ადგილები მოვინახულეთ, შემდეგ სკაგერაკისა და კატეგატის სრუტეების გავლით ჩვენი გემი მთელი დღე მოუნდა ბალტიის ზღვით ლენინგრადამდე მისვლას, გზაში კი მოწმენდილი დილით ულამაზესი ციხე-ქალაქი ზღვაში — კრონშტადტი ვიხილეთ.

ლენინგრადელი მათემატიკოსები თავიანთ ქალაქში დარჩნენ, დანარჩენები კი საკუთარ ქალაქებს დავუბრუნდით. მე მივლინებით გავემგზავრე ნოვოსიბირსკს. იქ გავეცანი ჩემს მომავალ ახალგაზრდა კოლეგებს, რამდენიმე სამეცნიერო მოხსენება გავაკეთე იმ მათემატიკოსებთან, რომლებიც მომავალი ციმბირის განყოფილების მათემატიკის ინსტიტუტის საფუძველი უნდა გამხდარიყვნენ. ათი დღე გავატარე მ. ლავრენტიევთან. კარგად გავეცანი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების განვითარების პერსპექტივებს, ამასთან ერთად მ. ლავრენტიევს გავაცანი ჩემი გადაწყვეტილება ოჯახის შექმნის თაობაზე. მ. ლავრენტიევმა ყველაფერი ეს მოიწონა, მამა-შვილურად რამდენიმე რჩევა-დარიგება მომცა.

ჩინეთში მოსკოვიდან რეგულარულად ვლებულობდი ჩემი მომავალი მეუღლის ნინას¹² წერილებს. ნინა 1957 წლის აგვისტოში სოჭაში “პრავდის” სახელობის სანატორიუმში გავიცანი. ნინას და ჩემი ქორწინების რეგისტრაცია 1958 წლის 18 ოქტომბერს მოსკოვში მოხდა.

1959 წლის სექტემბერში გამოცდების წარმატებით ჩატარების შედეგად ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის ერთადერთ, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის

¹² ნინა ალექსანდრეს ასული ბადერკო (ქორწინებაში — ბიწამე); ეს ა. ბიწამის მეორე ქორწინება იყო. პირველ მეუღლეს რენატა გენკელს ქორწინებიდან მალე გაეყარა. მასთან შვილი არ შექმნია.

სახელწოდების ფაკულტეტზე, I კურსზე 150 სტუდენტი ჩაირიცხა ფიზიკის, მათემატიკისა და ქიმიის სპეციალობებით. ამასთან ერთად 75 სტუდენტის შემადგენლობით დაკომპლექტდა ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობის II კურსის ნაკრები — 3 ჯგუფი საბჭოთა კავშირის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების იმ წარჩინებული სტუდენტებით, რომლებმაც სწავლის გაგრძელება ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტში ისურვეს. ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტისკენ ახალგაზრდობის ლტოლვას ხელი შეუწყო ჯერ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარის მ. ლავრენტიევის, შემდეგ კი — ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორის ი. ვეკუას გამოსვლამ გაზეთ «Правда»-ში და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებებით. მე ბევრი ვიზრუნე, რომ რაც შეიძლება კარგად ამეგო ანალიზური გეომეტრიის კურსი I კურსის სტუდენტებისთვის და ანალიზის კურსი — II კურსის სტუდენტებისთვის. იმის გამო, რომ უნივერსიტეტს შენობა არ ჰქონდა, პირველ წელს ის საშუალო სკოლის II და III სართულებზე იყო განთავსებული. სექტემბერში შეუდგნენ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის აშენებას. იმ დროს აკადემიურ ქალაქში დასრულებული იყო მხოლოდ ჰიდროდინამიკის ინსტიტუტისა და საშუალო სკოლის შენობები. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების პრეზიდიუმის წევრები ჯერ კიდევ ქალაქ ნოვოსიბირსკში ცხოვრობდნენ, მხოლოდ მ. ლავრენტიევი, მისი რამდენიმე მოწაფე და მე ვცხოვრობდით მომავალი აკადემიური ქალაქის ერთ ქოხში (ლავრენტიევის ქოხში) და ხის სამ ბარაკში, მაღაზიას, წყალსადენსა და ტრანსპორტს მოკლებულნი. I ოქტომბერს ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის სტუდენტები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოდან დაბრუნდნენ, მოთავსდნენ საერთო საცხოვრებელში და შეუდგნენ მეცადინეობას. I კურსზე ანალიზის კურსი მიჰყავდათ პ. ბელინსკის და ი. რეშეტნიაკს, ანალიზური გეომეტრია — მე, უმაღლესი ალგებრა — ოვსიანნიკოვს, ფიზიკის კურსს კითხულობდა ჩირიკოვი; II კურსზე ანალიზის კურსი მიმყავდა მე, ფიზიკის კურსი კი — ძირითადად ჩირიკოვს, ხოლო როდესაც გ. ბუდკერი მოსკოვიდან ნოვოსიბირსკში სტუმრად ჩამოდიოდა, — ამ უკანასკნელს (როგორც ამბობდნენ, ჩირიკოვი ლექციებს გ. ბუდკერის კონსპექტებით კითხულობდა). ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას ასრულებდა ბ. სოლონოუცი; თავიდან მათემატიკის ერთი კათედრა დაარსდა, რომლის გამგის მოვალეობას მე ვასრულებდი.

ნოემბრის დამდეგს მოსკოვს გავფრინდი ცოლ-შვილის ნოვოსიბირსკში ჩამოსაყვანად. იმ დროისთვის აკადემიურ ქალაქში უკვე დამთავრებული იყო 3 სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ერთი მათგანის მეორე სართულზე ჩვენ სამოთახიანი ბინა გამოგვიყვეს. 1959 წლის 9 ნოემბერს მე და ნინა 2 თვისა და 11 დღის ვაჟით მოსკოვიდან ნოვოსიბირსკის აკადემიურ ქალაქში გადავსახლდით. ნოემბრის დასასრულს ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტში უცხო ენათა კათედრა გაიხსნა. კათედრის გამგედ ნინა მიიწვიეს.

ციმბირის განყოფილების მათემატიკის ინსტიტუტში სათავეში ჩავუდექი თანამედროვე მათემატიკური ანალიზის მნიშვნელოვანი საკითხებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სემინარს. 1959 წლის შემოდგომაზე მოსკოვში გამომცემლობა «Наука»-მ დაბეჭდა ჩემი მონოგრაფია «Уравнения смешанного типа», რომელიც სულ რაღაც ორ კვირაში გაიყიდა. ნაწილობითწარმოებულნი დიფერენციალურ განტოლებათა ზოგიერთი კლასის შესწავლა, რაც ჯერ კიდევ თბილისში დავიწყე, მეტად აქტუალური გახდა. ამაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდი 1959 წლის შემოდგომაზე ბუქარესტში ნაწილობითწარმოებულნი დიფერენციალურ განტოლებათა თეო-

რიისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელზედაც ერთსაათიანი შეკვეთილი მოხსენებით გამოვედი თემაზე “ელიფსური სისტემებისთვის ნორმალურად ამოხსნადი სასაზღვრო ამოცანების შესახებ”. აქ ერთხელ კიდევ შევხვდი იტალიელ მათემატიკოსს ფ. ტრიკომის, რუმინელ მათემატიკოსებს სტოილოვს, მოისილს, თეოდორესკუს, ახლოს გავიცანი ცნობილი ახალგაზრდა ევროპელი მათემატიკოსები ლიონსი, მალგრანჟი, სტამპაქია, ჟილისი და სხვები. სიმპოზიუმის დამთავრების შემდეგ მასპინძლებმა სტუმრები დასასვენებლად 5 დღით ქალაქ ბრაშოვოს მახლობლად მთებში წაგვიყვანეს. რუმინელებს ამ ადგილებში შესანიშნავი დასასვენებელი სახლები, პანსიონატები და სასტუმროები აქვთ. გამოსამშვიდობებელი ბანკეტი ერთ-ერთ სასტუმროსთან არსებულ რესტორანში მოგვიწვეეს. სუფრას 50 კაცი უხდა. სალაპარაკო ენად ფრანგული გამოაცხადეს, მაგიდის ხელმძღვანელად კი ფ. ტრიკომი აირჩიეს. ფ. ტრიკომი ახოვანი, ლამაზი და თანაც ტკბილად მოსაუბრე ადამიანი იყო. ზოგიერთ უცხოელ ახალგაზრდა მათემატიკოსს ფ. ტრიკომის მისამართით ხუმრობით კვიმატიანი სიტყვების თქმა უნდოდა. საქმე იმაში იყო, რომ სიმპოზიუმზე ტრიკომის მეცნიერული დამსახურება რამდენიმე მოხსენებაში აღნიშნეს. მოწიწებით მოვიხსენიე ის ჩემს მოხსენებაშიც. ხნიერი მათემატიკოსისადმი ასეთი პატივისცემა როგორღაც ეჩოთირათ მალგრანჟსა და ჟილისს. ბანკეტზე სიტყვა ჟილისმა მოითხოვა და წარმოთქვა:

“სიმპოზიუმზედაც და ბანკეტზედაც დიდი პატივისცემა ხვდა წიად ფრანჩესკო ტრიკომის. მინდა შემოგთავაზოთ მისი სადღეგრძელო იმის გამო, რომ მე ის რომის პაპს მაგონებს”.

“რატომ რომის პაპს”? — გაისმა ხმა მაგიდის წევრთა შორის.

“იმიტომ, რომ რომის პაპს ყველა კათოლიკე პატივისცემის ნიშნად “პაპას” ეძახის, მისი საკუთარი შვილები კი ასეთნაირად მიმართვისგან თავს იკავებენ”.

ჟილისის ეს სიტყვები ისე უნდა გაეგოთ, რომ თითქოს იტალიელი მათემატიკოსები ფ. ტრიკომის აინუნშიც არ აგდებენ იმ დროს, როდესაც არაიტალიელი მათემატიკოსები ქება-დიდებათ იხსენიებენ. ამის გამო ფ. ტრიკომი სახეზე წამოწითლდა, შეიჭმუხნა და მცირე პაუზის შემდეგ თვითონაც წარმოთქვა სადღეგრძელო:

“ამ სასმისით გთავაზობთ ჟილისის სადღეგრძელოს იმის გამო, რომ ის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მღვდელს მაგონებს”.

“რატომ წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მღვდელს”? — გაისმა კითხვა.

“იმიტომ, რომ მიყრუებული სოფლის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მღვდელი რომ ნამდვილად მღვდელია, ეს მარტო მისმა სამწყსომ იცის, როცა ის სხვა სოფელში გამოჩნდება, არაფრად არ აგდებენ, მღვდლადაც კი არ მიიჩნევენ”, — დაასრულა სადღეგრძელო ფ. ტრიკომიმ.

ამის გამო ახლა პ. ჟილისის მეგობარი მალგრანჟი გაწიწმატდა და სადღეგრძელოს წარმოსათქმელად სიტყვა მოითხოვა. მისი სადღეგრძელო იმდენად უწმაწური გამოდგა, რომ ყველა აიძრია. გამოსავალი კვლავ თამადამ მოძებნა.

“ახლა ნება მომეცით, წარმოვთქვა იმ ახალგაზრდის სადღეგრძელო, რომელმაც ახლახან დაამთავრა თავისი სიტყვა. მისი გვარი ყოველთვის მავიწყდება. ლ... ლ...”

“მისი გვარი ლ-ზე არ იწყება, მალგრანჟია”.

“ო! დიახ, მალგრანჟის სადღეგრძელო, იმის გამო, რომ მისი გვარი დიდი ფრანგი მათემატიკოსის ლაგრანჟის გვარს მაგონებს”.

“ლაგრანჟს მალგრანჟთან რა საერთო აქვს”? — შეეკითხნენ თამადას.

“მაღგრანჟი ალბათ “მოვეზ ლაგრანჟს” (“უბედურ ლაგრანჟს” ფრანგულად) უნდა ნიშნავდეს და სწორედ ამიტომაც საჭირო, შევიბრალოთ და ვადღეგრძელოთ”.

ფ. ტრიკომის ამ სიტყვებს აპლოდისმენტი მოჰყვა. რამდენიმე წუთის შემდეგ სუფრაზე კვლავ მხიარულება გამეფდა. ბანკეტი ნაშუადამევს დამთავრდა.

ოქტომბრის ბოლოს უკვე ნოვისიბირსკში ვიყავი. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდა ციმბირის განყოფილება მეტად საპატიო სტუმარს ელოდა. შორეული აღმოსავლეთიდან ნოვისიბირსკში გზად აპირებდა შეჩერებას სსრკ კპ ცკ-ს პირველი მდივანი ნ. ხრუშჩოვი. მას აეროდრომზე საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების მთელი შემადგენლობა დახვდა. სტუმარი საოლქო კომიტეტის აგარაკზე მოათავსეს. მეორე დღეს მან მშენებლობის პროცესში მყოფი აკადემიური ქალაქის დათვალიერება დაიწყო. სასტუმროს პროექტის დათვალიერების დროს ძირითად მომხსენებლად მ. ლავრენტიევის პირველი მოადგილე ს. ხრისტიანოვიჩი გამოვიდა:

“იმის გამო, რომ კომუნიკაციები არ გაიჭიმოს და ტერიტორიაც დაიზოგოს, სასტუმრო 16 სართულიანი იქნება”, — თანაც ჯოხით მიუთითა სასტუმროს მაკეტზე.

ნ. ხრუშჩოვმა ს. ხრისტიანოვიჩს უეცრად ჯოხი ხელიდან გამოსტაცა. “კი მაგრამ, ამ უზარმაზარი ციმბირის მიწაზე დედალ-მამალ დათვებს ერთმანეთის მოძებნა უძნელდებათ და თქვენ ტერიტორიის დაზოგვის მიზნით ამერიკული კათამბჯენების აშენება გინდათ?” — სთქვა და ჯოხი მაკეტის შუა სართულს დაარტყა.

ს. ხრისტიანოვიჩი შეშინდა, მშენებლობის მთავარ ინჟინერს გრიგოლ ჩხეიძეს სთხოვა, ნ. ხრუშჩოვისთვის აკადემიური ქალაქის მშენებლობის თაობაზე ახსნა-განმარტება მიეცა. გ. ჩხეიძემ დაიწყო:

“იმის გამო, რომ ციმბირში ცივი ქარი იცის, გადავწყვიტეთ, უარი გვეთქვა სწორ ქუჩებზე და, აი, ასე მიხვეულ-მოხვეული ქუჩები შეგვექმნა”.

ამან კიდევ უფრო გამოიყვანა ნ. ხრუშჩოვი წონასწორობიდან, მაგრამ ჯერ კიდევ თავს იკავებდა. როცა გ. ჩხეიძემ ციმბირის მშენებლობისთვის ყველაზე ხელსაყრელ მასალად აგური გამოაცხადა, ნ. ხრუშჩოვმა დაიყვირა:

“რა თავს იგდებს ეს ქართველი ინჟინერი! აგურ-აგურ აწყობით როდის დაამთავრებთ აკადემიური ქალაქის მშენებლობას, ამხანაგო კობელებ!” — მიმართა ახლა ნოვისიბირსკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს.

“საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ჩვენს მხარეში მშენებელთა შესანიშნავი სამხედრო ქვედანაყოფები ჰყავს, რომლებმაც, დიდი ხანია, მსხვილი ბლოკებით სახლების მშენებლობა აითვისეს...” — სთქვა კობელებმა.

“გიბრძანებთ, ორივემ, ლავრენტიევმაც და კობელებმაც დაუყოვნებლივ მოიწვიოთ მშენებელთა სამხედრო პოლკები საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ხაზით...” — ამის შემდეგ ნ. ხრუშჩოვმა უარი განაცხადა მის პატივსაცემად საოლქო კომიტეტის აგარაკზე მოწყობილ ბანკეტს დასწრებოდა, ჩაჯდა დაჯავშნულ ავტომანქანაში და აეროდრომისკენ გაემართა.

აკადემიური ქალაქში ნ. ხრუშჩოვის სტუმრობას გარკვეული შედეგი მოჰყვა. ქ. ნოვისიბირსკის სამოქალაქო სამშენებლო ტრესტები “განდევნეს” აკადემიური ქალაქის სამშენებლო ობიექტებიდან და თანდათან მათი ადგილების დაკავებას მშენებელთა სამხედრო ბატალიონები და პოლკები შეუდგნენ. იქ, სადაც დაწყებული იყო აგურის სახლების მშენებლობა, სწრაფად დაიწყეს მათი დასრულება და

შეუდგნენ ბლოკების ქარხნის მშენებლობას. მხოლოდ ერთ ადგილზე დატოვეს გ. ჩხეიძისეული მიხვეულ-მოხვეული ქუჩა, ყველა დანარჩენი “ლარში ამოღებულივით” გაასწორეს. ხელი არ ახლეს მხოლოდ ცალკეული კოტეჯების მშენებლობას, გადაწყვიტეს, კუსტარული წესით გაეგრძელებინათ. გეგმით აკადემიის წევრებისთვის 22 კოტეჯი უნდა აეშენებინათ. ადგილი, სადაც ჩემთვის გათვალისწინებული კოტეჯი უნდა აშენებულიყო, გ. ჩხეიძემ ქართული გემოვნებით შეარჩია. ეს იყო ობის ზღვიდან რამდენიმე ასეული მეტრით დაშორებული მწვანე გორაკი. მშენებლობის ტემპი დააჩქარეს, რადგან ჩემი ოჯახი აკადემიური ქალაქის “აბორიგენად” ითვლებოდა და ცხოვრების პირობების მკვეთრად და სასწრაფოდ გაუმჯობესებას საჭიროებდა.

მომავალ აკადემიურ ქალაქსა და ობის “ზღვას” შორის რკინიგზა “ტურკსიბი” გადის. თვით ობის ზღვა ობის ჰიდროელექტროსადგურისთვის აშენებული წყალსაცავია. ზღვის სიგრძე 200 კმ-ს აღემატება, სიგანე 100 კმ-ია. ამ ზღვამ უამინდობის დროს საშინელი ღელვა იცოდა და ტალღები დიდი სისწრაფით ანგრევდნენ ნაპირებს “ტურკსიბის” გასწვრივ. გასაგებია, რომ ამ საფრთხის წინაშე იდგა აკადემიური ქალაქის ტერიტორიაც. რკინიგზელებს ყველაზე მოსახერხებლად “ტურკსიბის” ხაზის ობის ზღვის ნაპირებიდან ასეული კმ-ის მანძილზე გადატანა მიაჩნდათ. თუ ეს გეგმა განხორციელდებოდა, მაშინ აკადემიური ქალაქის მშენებლობაც სხვა ადგილზე უნდა გადაეტანათ და უკვე დახარჯული რამდენიმე ასეული მილიონი მანეთი ამით წყალში იქნებოდა გადაყრილი. მ. ლავრენტიევმა მიგვიხმო გ. ჩხეიძე და მე და თავისი დარდი გაგვიზიარა აკადემიური ქალაქის მშენებლობის საქმეში წამოჭრილი დაბრკოლების გამო.

გ. ჩხეიძე დიდი გამოცდილებისა და გამჭრიახი გონების ინჟინერი იყო. ის თითქმის 30 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. ვ. აჟაევის რომანში «Далеко от Москвы» (“მოსკოვიდან შორს”) ინჟინერ ბერიძის პროტოტიპი სწორედ გ. ჩხეიძე გახლდათ. დიდი სამამულო ომის დროს გ. ჩხეიძემ ირისკა სახალინსა და შორეული აღმოსავლეთის საზღვაო ნაპირს შორის გამდინარე თათრის სრუტის ფსკერზე ნავთობსადენი მილების განლაგება, რითაც ომის მსვლელობისას ძირითადი გარდატეხა მოხდა საწვავი მასალით ფრონტის უზრუნველყოფის საქმეში. თანაც გ. ჩხეიძე უშიშარი პიროვნება იყო. როცა აღნიშნულ რისკზე მიდიოდა, გააფრთხილეს, რომ თუ სახელმწიფოს ამით ზარალი მიადგებოდა, ი. სტალინი არ დაინდობდა. ამ საშიშროებას ის არ მოერიდა და გაიმარჯვა კიდეც. ამის ფონზე გ. ჩხეიძისთვის ნ. ხრუმჩოვის მუქარა კოლოს ნაკბენსაც კი არ შეედრებოდა. ახლა პირველი, რაც გ. ჩხეიძეს თავში მოუვიდა, იყო აზრი, რომ ნაპირის ნგრევაში ობის “ზღვის” ტალღებისთვის ხელი არ შეეშალათ, გარკვეული ტერიტორიის ჩაყლაპვის შემდეგ სანაპირო ფსკერის დამრეცილობა ისე შემცირდებოდა, რომ ნაპირის ნგრევის პროცესი ბუნებრივად ჩაცხრებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემსა და გ. ჩხეიძეს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

“ბატონო გრიგოლ! ხომ არ აჯობებდა, ისეთი ღონისძიება ჩაგვეტარებინა, რომ ობის ზღვის დღევანდელი სანაპიროს ზოლში, აკადემიურ ქალაქს რომ აკრავს, ხელოვნურად შეგვემცირებინა წყლის სიღრმე და ამით ახლავე წაგვერთმია ობის ზღვისთვის აკადემიურ ქალაქის ტერიტორიის მიტაცების შესაძლებლობა?”

ამ წინადადებაზე გ. ჩხეიძე ჩააფიქრა, შემდეგ შეჭმუხვნილი ჭადარაშერთული შავი წარბები გაშალა და თქვა:

“ყოჩაღ! მართალს ამბობ, კარგი იდეაა, მაგრამ როგორ მოვიქცეთ, რომ მისი განხორციელება რაც შეიძლება იაფი დაჯდეს?”

“1958 წლის გაზაფხულზე მე და მიხეილ ლავრენტიევმა ერთად ფეხით დავიარეთ ობისა და მდინარე ინიას შესართავიდან ზემოთ რამდენიმე ათეული კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, რომელიც უხსოვარ დროში შექმნილი დიუნებითაა დაფარული. შეგვიძლია, სწორედ ამ ადგილებიდან დიუნების მასალა, სილა და ხრეში დიდი დიამეტრის მილებით ინიას წყალნარევის სახით თვითდინებით მოვიყვანოთ ობის ზღვის სანაპიროზე და სულ რამდენიმე თვის განმავლობაში სანაპირო ზოლის ფსკერი ისე გავაკდებო, რომ ტალღებს სასაზრდოო წყლის მასალა გამოეღევა და ნაპირის ნგრევა შეწყდება...”

“ამასთან ერთად აკადემიური ქალაქის მოსახლეობა შესანიშნავ პლაჟს მიიღებს!” — დაასრულა ჩემი წინადადება გ. ჩხეიძემ. ამ საუბრის შესახებ მან საღამოს უკვე შეატყობინა მ. ლავრენტიევს, მიმიწვიეს ლავრენტიევის ქოხში, ერთხელ კიდევ აწონდაწონეს საქმის ვითარება და გადაწყვიტეს საპროექტო ორგანიზაციების სასწრაფოდ ჩართვა წამოჭრილი საკითხის საფუძვლიანად შესასწავლად. ამის შემდეგ სამი თვეც არ გასულა სამუშაო პროექტის შემუშავებამდე. 1960 წლის გაზაფხულზე, გაიხსნა თუ არა ყინულისგან მდინარე ინია, წყალნარევი სილა და ხრეში უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა ობის ზღვის ჩრდილო სანაპიროსკენ. შუა ზაფხულში ზღვამ უკან დაიხია და 40 კმ-ის მანძილზე უკვე თანდათან გამოიკვეთა პლაჟის კონტური, გამოჩნდნენ ობის ზღვაში მობანავეთა პირველი ხალხმრავალი ჯგუფები აკადემიური ქალაქიდან და ნოვოსიბირსკიდან. ეს სახელმწიფოს 6 მილიონი მანეთი დაუჯდა იმ დროს, როდესაც “ტურკსიბისა” და აკადემიური ქალაქის გადაადგილების შემთხვევაში სახელმწიფოს 150 მილიონი მანეთის გაღება მაინც დაჭირდებოდა.

1960 წელს დაარსდა სამეცნიერო ჟურნალი სახელწოდებით «Сибирский математический журнал», რომლის მთავარი რედაქტორი იყო ა. მალცევი, რედაქტორის მოადგილე კი — მე. ამ ჟურნალის ავტორიტეტი თავიდანვე იმდენად შესამჩნევი გახდა, რომ ეს იყო პირველი საბჭოთა მეცნიერული ჟურნალი მათემატიკაში, რომელიც პარალელურად ინგლისურად ითარგმნებოდა და ამერიკის შეერთებულ შტატებში იბეჭდებოდა.

1960 წლის ნოემბერში აღინიშნა მ. ლავრენტიევის დაბადებიდან 60 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით სპეციალურად ჩატარდა საკავშირო სიმპოზიუმში სახელწოდებით “მათემატიკისა და მექანიკის პრობლემები”. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ნ. ბოგოლიუბოვი, მ. კელდიში, ა. დოროდნიცინი, ს. სობოლევი, ს. ხრისტიანოვიჩი, ა. მალცევი, ი. ვეკუა და სხვები. ერთსაათიანი მოხსენებით გამოვედი მეც. მიუხედავად პედაგოგიური და საზოგადოებრივი დატვირთვისა ინტენსიურად ვეწეოდი მეცნიერულ მოღვაწეობას და ახალი შედეგებიც მქონდა. იმ დროს ჩემი კვლევის ობიექტს შერეულ-შედგენილი ტიპის განტოლებები შეადგენდნენ. იუბილე დიდი ბანკეტით დამთავრდა. ყველა მოელოდა, რომ 60 წლისთავთან დაკავშირებით მ. ლავრენტიევს სოციალისტური გმირის წოდებას მიანიჭებდნენ, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

1961 წლის თებერვალში ნ. მუსხელიშვილის დაბადებიდან 70 წლისთავის შესრულების გამო თბილისში შედგა მათემატიკური ანალიზისა და მისი გამოყენებისადმი მიძღვნილი საკავშირო სიმპოზიუმი. აქაც ერთ-ერთ მომხსენებლად ვიყავი მიწვეული. სიმპოზიუმი მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარდა, მის მუშაობაში 300-მდე სპეციალისტი მონაწილეობდა, მათ შორის მ. ლავრენტიევი, ს. სობოლევი, ი. ვეკუა, პ. კოჩინა და სხვები. თბილისელებს თითქმის არც ერთი პლენარული მოხსენება არ გაუკეთებიათ. ეს ძალზე ანაღვლებდა ნ. მუსხელიშვილს. გვისაყვედურა

კიდევ ი. ვეკუას და მე იმის გამო, რომ საქართველოს მოვწყდით და სიმპოზიუმის მუშაობაში ვმონაწილეობდით როგორც ნოვოსიბირსკელები. გარეგნულად კაცი იფიქრებდა, რომ თბილისის მათემატიკოსებს შორის არამც თუ ზავი, არამედ დიდი მეგობრობა სუფევდა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო.

1961 წლის მარტის დამდეგს შედგა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წლიური კრება. მთავარი სწავლული მდივნის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მეც მივიღე მონაწილეობა. ეს იყო აკადემიურ კრებაზე ჩემი გამოსვლის ერთადერთი შემთხვევა. ამ გამოსვლაში აღვნიშნე, რომ მას შემდეგ, რაც აკადემიას სანატორიუმები და დასავენებელი სახლები ჩამოართვეს, აკადემიის თანამშრომლების (მათ შორის აკადემიის წევრებისაც) სანატორიული მკურნალობისა და დასვენების შესაძლებლობა ძალზე შეზღუდული აღმოჩნდა. ეს გამოსვლა სასტიკად გააკრიტიკეს აკადემიის წევრებმა ხვოსტოვმა, ასტაუროვმა და მთავარმა სწავლულმა მდივანმა ა. ტოპჩიევმა კი. მარცხი მოჰყვა ერთ ჩემს ინიციატივასაც. ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ორგანიზაციების დავალებით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. კოსიგინის სახელზე შევადგინე წერილი, რომელშიც დასაბუთებული იყო თხოვნა, რომ ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტი უფლებების მიხედვით გაეთანაბრებინათ ისეთ უმაღლეს სასწავლებლებთან, როგორცაა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოსკოვის საინჟინრო ფიზიკური ინსტიტუტი და მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი. წერილს ხელს აწერდნენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარე მ. ლავრენტიევი და სსრკ უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების მინისტრი ვ. ელიუტინი. იმ პრივილეგიებში, რომლებზედაც წერილში იყო ლაპარაკი, შედიოდა ნებართვა მისაღები გამოცდების 1 ივლისიდან ჩატარების შესახებ და სტუდენტებისთვის გაძლიერებული სტიპენდიების დანიშვნა. სამწუხაროდ ა. კოსიგინმა ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა.

1961 წლის მაისის ბოლოს ჩემმა პატარა ოჯახმა საცხოვრებლად შესანიშნავად მოწყობილი ცალკე კოტეჯი მიიღო. სადამოშობით ჩვენი ხშირი სტუმრები იყვნენ მ. ლავრენტიევი და მისი მეუღლე ვერა ევგენიევნა. ჯერ კიდევ მაისისა და ივნისის მიჯნაზე მ. ლავრენტიევის ინიციატივით აკადემიური ქალაქის ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი სამეცნიერო-ტურისტული მივლინებით გაემგზავრა პარიზში. მ. ლავრენტიევი იქაც არ გვაკლებდა მზრუნველობას მე და ნინას. პარიზის უმაღლეს საკვლევ ინსტიტუტში რამდენიმე სამეცნიერო მოხსენება გავაკეთე. ჩემს მოხსენებებს ესწრებოდნენ ცნობილი მეცნიერები ლერე, მონტელი, ოპენჰაიმერი, დიდონე, ლიონსი, ჟერმენი, პერესი და სხვები. ჩემი დასკვნითი მოხსენების შემდეგ ბანკეტი მოაწყვეს ლუქსემბურგის ბაღის ერთ-ერთ რესტორანში. ჩემს გარდა საბჭოთა მეცნიერების მხრიდან ბანკეტს ესწრებოდნენ მ. ლავრენტიევი და პ. ბელინსკი. მეორე დღეს პარიზის აკადემიის მორიგ სხდომაზე წარგვადგინეს მ. ლავრენტიევი და მე, რის შესახებაც მოთავსებული იყო ინფორმაცია პარიზის გაზეთებში და პარიზის აკადემიის ყოველკვირეულ ჟურნალში. 16 დღის განმავლობაში ნინამ და მე დავათვალიერეთ პარიზის მრავალი ღირსშესანიშნაობა, ვნახეთ რამდენიმე სპექტაკლი თეატრებში.

1961 წლის გვიან გაზაფხულზე მოსკოვიდან ნოვოსიბირსკში ოჯახით გადმოსახლდა ა. მალცევი. მასაც კარგი მოწყობილი ცალკე კოტეჯი მისცეს. ციმბირის განყოფილების მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის განყოფილებაში, რომელსაც ა. მალცევი ხელმძღვანელობდა, ბევრმა ნიჭიერმა მათემატიკოსმა მოიყარა თავი. ახლო ურთიერთობა დამყარდა ჩემსა და ა. მალცევს შორისაც.

მ. ლავრენტიევის ინიციატივით აკადემიურ ქალაქში ეწყობოდა შეხვედრები კულტურის სხვადასხვა დარგების წარმომადგენლებთან, მუსიკოსებთან, კომპოზიტორებთან, მომღერლებთან, მწერლებთან, თეატრის მუშაკებთან და სხვ. ასეთი შეხვედრა 1961 წელს ორჯერ მოეწყო, გვიან გაზაფხულზე და ადრე შემოდგომაზე. ორივე ამ შეხვედრას დაესწრო ცნობილი კომპოზიტორი დ. შოსტაკოვიჩი. პირველი შეხვედრის დროს ბანკეტის დაწყებამდე ს. სობოლევმა დ. შოსტაკოვიჩი, ცნობილი დირიჟორი ბუხბინდერი, მომღერალი ქალი — სსრკ სახალხო არტისტი მიასნიკოვა და სხვები ინსტიტუტში მიიწვია, აჩვენა “სასწაული”, რომელსაც ელექტრული გამომთვლელი მანქანა M-20 ახდენდა. პროგრამისტებს შეადგენინა სსრკ ჰიმნის პროგრამა და სტუმრებს მოასმენინა, როგორ ასრულებს ამ ჰიმნს M-20. დ. შოსტაკოვიჩმა ჯერ ყურადღებით მოუსმინა ჰიმნის დასაწყისს, მაგრამ შემდეგ მისმა სახემ თანდათან მრისხანე გამომეტყველება მიიღო, თვალი მიავლ-მოავლო იქაურობას და სამანქანო დარბაზიდან გავიდა. “თუ თქვენ გგონიათ, რომ რომ თქვენი გამომთვლელი მათემატიკური მანქანის ბგერათა კაკოფონია საბჭოთა კავშირის ჰიმნია... ძალიან ცდებით. კიდევ კარგი, რომ კომპოზიტორობაზე არ აცხადებთ პრეტენზიას”.

1962 წლის მაისში ლონდონის სამეფო საზოგადოების მიწვევით სამი კვირით დიდ ბრიტანეთში ვიმყოფებოდი სამეცნიერო მივლინებით. სამეფო საზოგადოება წარმომადგენლობითი ხასიათის დაწესებულებაა, ის დაყოფილი არაა ცალკეულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებად და ლაბორატორიებად. სამეცნიერო ქვედანა-ყოფები განთავსებულია უნივერსიტეტებში ან მსხვილ საწარმოო თუ სამხარეო-საწარმოო გაერთიანებებთან და კომპლექსებთან. მიუხედავად ამისა, სამეფო საზოგადოების გავლენა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა დაგეგმვისა და შესრულების საქმეში დიდია. სამეფო საზოგადოების წევრი არამც თუ არ ღებულობს სამეცნიერო წოდების გასამრჯელოს, არამედ მოვალეა, თვითონ გადაიხადოს საწევრო გადასახადი; მაგრამ როცა ის უნივერსიტეტში ან რომელიმე სხვა სამეცნიერო დაწესებულებაში მუშაობს, მაშინ მისი ხელფასი საგრძნობლად აღემატება იმავე თანამდებობის სხვა მეცნიერის ხელფასს, რომელიც სამეფო საზოგადოების წევრი არაა. ამის გამო დიდ ბრიტანეთში სამეფო საზოგადოების წევრი მეცნიერის მოღვაწეობის მეტად მაღალი დაფასებაა. სამეფო საზოგადოების კანცელარიას სულ რამდენიმე ათეული თანამშრომელი ყავს, ხოლო მის პრეზიდენტს საზოგადოების წევრთაგან ირჩევენ 2 წლის ვადით და ისიც მხოლოდ ერთი ვადით. იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა დიდი ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების პრეზიდენტის პოსტი გამოწვევის სახით 2 ვადით (ე. ი. 4 წლით) ეკავა ფიზიკოსს ჯ. ჯ. ტომსონს.

ჰიტროუს აეროდრომზე შემხვდა სამეფო საზოგადოების 2 წარმომადგენელი და მთარგმნელი. მომთავსეს სამეფო სასტუმროს სამოთახიან ფემენბელურ ნომერში და დაწვრილებით გამაცნეს დიდ ბრიტანეთში ჩემი მუშაობის გეგმა. მთარგმნელი, ყოფილი საზღვაო ოფიცერი, მათემატიკოსი არ იყო. რუსულ ენას კარგად ფლობდა, რადგან მის მეუღლეს, ემიგრაციაში მყოფი ცნობილი რუსი საფინანსო მაგნატის იპატოვის ქალიშვილს ოჯახში სალაპარაკო ენად ინგლისურთან ერთად რუსულიც გაეხადა.

დიდ ბრიტანეთში ჩემი მეცნიერული ტურნე გლაზგოს უნივერსიტეტიდან დაიწყო. მაშინ ამ უნივერსიტეტის რექტორი იყო დედოფალ ელისაბედ II-ის და მარგარეტი. აღსანიშნავია, რომ სრულიად არაა სავალდებულო, დიდი ბრიტანეთის

უნივერსიტეტის რექტორი მეცნიერი იყოს. ის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისგან შორსაა და მთელი წლის განმავლობაში შეიძლება ერთხელ თუ ესტუმროს უნივერსიტეტს. ძველი უნივერსიტეტები დაყოფილია კოლეჯებად, რომლებსაც სათავეში უსათუოდ მეცნიერები უდგანან. სწორედ კოლეჯთა ხელმძღვანელები ადგენენ იმ საბჭოს, რომელიც პასუხს აგებს უნივერსიტეტის მუშაობაზე, რექტორის სახელით გამონახავს მატერიალურ და ფინანსურ საშუალებებს უნივერსიტეტის ნორმალური საქმიანობის უზრუნველსაყოფად. გლაზგოს უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო და პოლიტექნიკურ ქვედანაყოფთა გაერთიანებულ სხდომებზე 2 მოხსენება გავაკეთე. ამ მოხსენებების მაღალ დონეზე ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ცნობილი შოტლანდიელი მეცნიერი, მათემატიკისა და მექანიკის სპეციალისტი სნედონი, რომლის რედაქტორობითაც იმ დროს ინგლისურად უკვე ითარგმნა ჩემი მეორე მონოგრაფია «Уравнения смешанного типа» და მას დასაბუქდად ამზადებდა გამომცემლობა “Пергамონ პრესს”. სნედონმა სახლშიც მიმიწვია, გამაცნო თავისი ოჯახი — მეუღლე და ორი ვაჟი. ერთი დღე შოტლანდიის მთებშიც გავატარეთ, მოვინახულეთ ცნობილი ტბები ლოხ-ლომენი და ლოხ-ნესი. ლოხ-ნესის ტბაში მაშინ ამერიკელ მყვინთავთა ექსპედიცია ამაოდ ეძებდა საქვეყნოდ გახმაურებელ ურჩხულს. მესამე დღეს გლაზგოს უნივერსიტეტის მათემატიკოსებმა და რუსული ენის მასწავლებლებმა გამოსამშვიდობებელი საღამო გამიმართეს ერთ-ერთი მასწავლებლის ბინაზე, შემდეგ დილით კი ჩემს მთარგმნელთან ერთად მატარებლით ოქსფორდს გავემგზავრე, სადაც ოქსფორდის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტში მოხსენებით უნდა გამოვსულიყავი. დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა ცნობილი მათემატიკოსი, ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრი ტიტჩმარში. მოხსენებას საკმაოდ ბევრი მსმენელი დაესწრო, მათ შორის ტიტჩმარშიც. სწორედ ჩემი აღნიშნული მოხსენებების შემდეგ დაინტერესდნენ ოქსფორდელი მათემატიკოსები სპექტრალური ამოცანით შერეული ტიპის ოპერატორებისთვის. ოქსფორდის უნივერსიტეტის საცხოვრებელ შენობაში თავის ბინაზე მიმიღო ტიტჩმარშიმე მეუღლისა და ორი ქალიშვილის თანდასწრებით.

მთელი დღე დამჭირდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დასათვალიერებლად. საღამოს უნივერსიტეტის ახალგაზრდა ლექტორებთან ერთად დავესწარი ბახის მუსიკის კონცერტს ქალაქის მთავარ ტაძარში. კონცერტი მართლაც რომ შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

ოქსფორდიდან ჩემი წასვლის დღეს უნივერსიტეტის სტუდენტთა გაფიცვა დაიწყო. გაფიცვა იმით იყო გამოწვეული, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ რამდენიმე სტუდენტი ქალი გარიცხა. ამის ფორმალურ მიზეზად მიჩნეული იყო ის გარემოება, რომ 1962 წლის დასაწყისიდან ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტი ქალები შარვლებით დადიოდნენ ლექციებზე და საუნივერსიტეტო ეკლესიებში გამართულ საკულტო საღამოებზე.

ოქსფორდიდან რამდენიმე საათში მე და ჩემი მთარგმნელი კემბრიჯს ვესტუმრეთ. ლონდონში შედგენილი გეგმის მიხედვით კემბრიჯის უნივერსიტეტის წმინდა იოანეს კოლეჯში და წმიდა სამების კოლეჯში (ტრინიტი კოლეჯი) 2 სამეცნიერო მოხსენება უნდა წამეკითხა. კემბრიჯის უნივერსიტეტის რექტორის პოსტი მაშინ უინსტონ ჩერჩილს ეკავა, წმინდა იოანეს კოლეჯში კი მათემატიკური ფიზიკის კათედრას სახელგანთქმული ფიზიკოსი დირაკი განაგებდა. წარსულშიც ამ კათედრას ისეთი დიდი მეცნიერები ხელმძღვანელობდნენ, როგორც იყვნენ ისააკ ნიუტონი, ჯეიმს მაქსველი და სხვები. წმიდა სამების კოლეჯი ჰქონდათ დამთავრებული ნიუტონს, ადმირალ ნელსონს, ბაირონს, მაქსველს, ჩერჩილს, დირაკს

და სხვებს. მთელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით ვემზადებოდი ინგლისის ამ უძველეს უნივერსიტეტში ჩემი მისიის შესასრულებლად და მსმენელებიც ლექციებით კმაყოფილნი დარჩნენ. კემბრიჯში 5 დღე დავყავი. სპეციალური მიწვევით ვესტუმრე ქალთა და წმინდა ეკატერინეს კოლეჯებს. ქალთა კოლეჯს ხელმძღვანელობდა ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრი მათემატიკოსი ქალი მერი კარტრაიტი, რომელსაც კარგად ვიცნობდი ჯერ კიდევ მოსკოვიდან, დრეზდენიდან და ედინბურგიდან. ინგლისის პრესაში ჩემი მივლინების შესახებ რამდენიმე წერილი დაიბეჭდა. პირველ მოკლე წერილში “ნოვოსიბირსკელი წითელი პროფესორი” მიწოდეს და თანაც დასძინეს, — ვნახოთ, რა მეცნიერული სიახლით წარსდგება ის ინგლისის მათემატიკური საზოგადოებრიობის წინაშე. შემდეგ წერილებში უკვე საკმარისად მაღალი შეფასება მისცეს ჩემს მოხსენებებს გლაზგოსა და ოქსფორდში. მ. კარტრაიტის გადაწყვეტილებას, მივეწვიე ქალთა კოლეჯში, როგორც შემდეგ გამოირკვა, უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მეცნიერული. საქმე იმაში იყო, რომ 60-იანი წლების დასაწყისში ჰიპების მოძრაობა დასავლეთ ევროპაში სტუდენტი ახალგაზრდობის მომემარცხენეო მოძრაობას დაუახლოვდა. ოქსფორდელ სტუდენტ ქალთა მიმართ სოლიდარობის ნიშნად გაიფიცა კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტობაც. რამდენიმე დღის განმავლობაში კემბრიჯის უნივერსიტეტის ქალთა კოლეჯის სტუდენტები უკლებლივ წითელ შარვლებში გამოწყობილნი მიდი-მოდიოდნენ უნივერსიტეტის დაწესებულებებში. მ. კარტრაიტმა მიმართა თავის გოგონებს და შეატყობინა, რომ ქალთა კოლეჯში სტუმრად იწვევს თავის კარგ ნაცნობს, საბჭოთა მათემატიკოსს ა. ბიწაძეს, ვისთანაც ოფიციალური შეხვედრის შემდეგ გაიმართება საერთო სადილი და სტუმარი ცუდი შთაბეჭდილებით წავა, თუ ისინი გაფიცვასა და წითელი შარვლით სიარულს არ შეწყვეტენ. სტუდენტმა გოგონებმა მოიწონეს, რომ მათ საბჭოთა პროფესორთან შეხვედრას უწყობენ, დათანხმდნენ, რომ გაფიცვას შეწყვეტენ და წითელ შარვლებსაც გაიხდიან, თუ შეხვედრაზე დასწრების ნებას მისცემენ არა სტუდენტის უნიფორმაში, არამედ თავიანთ ტანსაცმელში გამოწყობილებს. ამ კომპრომისზე კოლეჯის ხელმძღვანელობა წავიდა და კემბრიჯში ყოფნის მეოთხე დღეს დილიდან ჩემი მთარგმნელითურთ სპეციალური შავი ფერის მსუბუქი ავტომანქანით, რომლის საჭესთან მძლოლი ქალი იჯდა, სასტუმროდან ქალთა კოლეჯში წამიყვანეს. კემბრიჯის უნივერსიტეტის ქალთა კოლეჯი გარშემორტყმულია გალავნით, აქვს მწვანე ეზო მასზე გამავალი პატარა არხით. კოლეჯი განთავსებულია ქვის რამდენიმე ორ- და სამსართულიან ძველებურ სახლში. სტუდენტი გოგონები ძირითადად აქვე ცხოვრობენ. აქვე აქვთ ოცამდე სალექციო და სამუშაო დარბაზი ბიბლიოთეკითურთ. მთავარ ლექციებს სტუდენტი გოგონები კემბრიჯის უნივერსიტეტის სხვადასხვა კოლეჯში ისმენენ. გალავნის შესავალთან შემხვდა პროფესორის მანტიაში გამოწყობილი ქალი, — ლედი სქვირლი, სპეციალობით მათემატიკოსი, რომელსაც კოლეჯის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობა ეკავა. ჩემს თანამგზავრ მთარგმნელს კოლეჯის ტერიტორიაზე შესვლის უფლება არ მისცეს. ლედი სქვირლის თანხლებით კოლეჯის უფროსის მ. კარტრაიტის რეზიდენციაში მიმიყვანეს. მ. კარტრაიტი კოლეჯის უფროსის ფორმაში იყო ჩაცმული, თავზე სპეციალური ფორმის ქუდი ეხურა. მოკლედ გამაცნეს კემბრიჯის უნივერსიტეტის ისტორია, რომელიც 1209 წლიდან იწყება, აღნიშნეს რომ ქალთა კოლეჯიც საკმარისად ძველია, მაგრამ უნივერსიტეტზე უმცროსი, მაჩვენეს რამდენიმე კაბინეტი და ბინა სტუდენტი გოგონებისთვის და ბოლოს დიდ დარბაზში მიმიწვიეს გოგონებთან შესახვედრად.

300-მდე დასაჯდომადგილიანი დარბაზი სავსე იყო სხვადასხვა ფერის ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონებით. როცა 12 პროფესორი ქალის თანხლებით დარბაზის სცენაზე ავედი, მისალმების ნიშნად ყველა ფეხზე ადგა და აპლოდისმენტებით შეგვხვდა. მ. კარტრაიტმა ინგლისურ ენაზე წარმოთქვა ხუთწუთიანი სიტყვა, რომელშიც მოკლედ დაახასიათა მეცნიერული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის, დამსწრეთ გააცნო ქართველი პროფესორის ვინაობა და კოლეჯის ხელმძღვანელობის სურვილი, შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმით წარემართათ. გოგონებმა თავიდან დაიმორცხვეს, მაგრამ ჩქარა გაყოჩაღდნენ და უამრავი შეკითხვა “დამაყარეს”:

“მართლა სამოც გრადუსზე დაბალი ყინვა იცის ციმბირში”?

...

“წარმოშობით თქვენ ქართველი ბრძანდებით. ნუთუ მართლა ციმბირში ცხოვრება გირჩევნიათ, ვიდრე საქართველოში”?

...

“ინგლისურ ოჯახში ვაჟის დაბადება უფრო უხარიათ, ვიდრე ქალის. საბჭოთა კავშირში როგორ უყურებენ ამ საკითხს? ამბობენ, რომ თქვენს ქვეყანაში ოჯახი, როგორც ასეთი, არ არსებობსო, მართალია ეს”?

...

“ბევრს წერენ ქალთა ემანსიპაციის შესახებ საბჭოთა კავშირში. რაში გამოიხატება მამაკაცებისა და ქალების თანასწორობა თქვენს ქვეყანაში”?

...

“გწამთ თუ არა ღმერთი”?

...

ბევრს სურდა შეკითხვების მოცემა, მაგრამ მ. კარტრაიტმა გაცემული პასუხები პოლიტიკურ აგიტაციად მიიჩნია და ამჯობინა, სადილობამდე ქალთა კოლეჯის ამ დაწესებულების დაარსების დროიდან დაწყებული ხელმძღვანელთა პორტრეტები გამეცნო.

ქალთა კოლეჯიდან დღის სამ საათზე გამოვედი. გალავნის კარებამდე კოლეჯის მასწავლებლებმა და სტუდენტმა გოგონებმა გამომაცილეს, იქიდან კი მთარგმნელთან ერთად მ. კარტრაიტის ავტომანქანით წავედით წმინდა ეკატერინეს კოლეჯში, სადაც ოთხი საათისთვის დანიშნული იყო მეცნიერული საუბარი ამ კოლეჯის მათემატიკოსებთან. საუბარს ახალგაზრდა მეცნიერებთან ერთად ესწრებოდნენ ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრები, მათემატიკოსები ჰოჯი და ათია. სწორედ ამ საუბრის შემდეგ დაინტერესდა ათია ინდექსის პრობლემით ელიფსური ოპერატორებისთვის. საუბრის დამთავრების შემდეგ ათიამ კოლეჯის უფროსის კაბინეტში მიმწვია, სადაც ჭიქა შერთო გამიმასპიდლდნენ, შემდეგ კი კოლეჯის მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთო ვახშამზე მიმიწვიეს. სასადილო დიდი დარბაზი იყო, სადაც ხის შიშველი მაგიდები და სკამები იყო ჩამწკრივებული. პროფესორთა ტრაპეზი 10 სმ-ით მაღლა იყო აწეული სტუდენტთა ტრაპეზთან შედარებით. პროფესორები ერთ გრძელ მაგიდას უსხდნენ, რომლის ცენტრალურ ადგილას კოლეჯის უფროსი იჯდა, მან მარჯვნივ გვერდით მომისვა. ვახშამი კოლეჯის უფროსმა გახსნა ლოცვის სიტყვებით: “სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმინდისათა... ამინ!” — ლათინურ ენაზე. ყველამ ფეხზე ადგომით მოისმინა. პროფესორებს ცალკე საფასურით თითო ჭიქა ღვინის დალევაც შეეძლოთ, თუ ისურვებდნენ, მაგრამ ამის მსურველი ცოტა იყო. ვახშამს არ ესწრებოდა ჰოჯი, რადგან ის მე და ათიას გველოდებოდა თავის ბინაზე გვიან სავახშმოდ. ჰოჯთან

სტუმრობის დროს დავრწმუნდი, რომ ათია, მართალია, თავს ლიბანელ არაბად ასალებდა, მაგრამ პირწავარდნილი სიონისტი იყო. დილით რამდენიმე საათით სტუმრად ვიყავი კავენდიშის ლაბორატორიაში, რომელსაც მაშინ ფიზიკისა და მექანიკის დარგებში ცნობილი მეცნიერი, ლედი სქვირლის მეუღლე ჯეფრი ტეილორი განაგებდა.

კემბრიჯიდან მე და ჩემი თარჯიმანი სამი დღით დასასვენებლად ავტომანქანით შექსპირის მშობლიურ ქალაქ სტრატფორდ-ონ-ეივონს გაგვამგზავრეს. გზა სპეციალურად გაგვიმრუდეს მალბოროს საჰერცოგოს იმ სოფელზე გავლით, სადაც უინსტონ ჩერჩილი დაიბადა. ქალაქ სტრატფორდის სასტუმროში, სახელწოდებით “წითელი მერანი”, მხოლოდ ჩემთვის იყო გამოყოფილი ცალკე ნომერი, ჩემს თარჯიმანს კი კერძო ბინაზე უნდა ეცხოვრა. სამი დღე სავსებით საკმარისი აღმოჩნდა დასასვენებლად, თანაც მე დიდად კმაყოფილი დავრჩი შექსპირის თეატრის სპექტაკლით “ჭირვეულის მორჯულება”, ვანესა რედგრეივის მონაწილეობით.

შექსპირის ქალაქიდან მატარებლით გავემგზავრეთ ინგლისის ყველაზე სამხრეთით მდებარე ზღვისპირა ქალაქ საუთჰემპტონს, სადაც უნივერსიტეტში ერთი მოხსენება უნდა გამეკეთებინა თემაზე “სინგულარული ინტეგრალური განტოლებები მრავალგანზომილებიან არეებში”. ეს უნივერსიტეტი ინგლისის სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდაა და თავისი სტრუქტურით ახალ უნივერსიტეტებს მოგვაგონებს. იქაური პროფესორები და სტუდენტები ვალდებულნი არ არიან, უნიფორმაში ჩაცმულნი დადიოდნენ.

მოხსენების შემდეგ საუთჰემპტონის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანმა ვინჩესტერში თავის აგარაკზე ვახშმად მიმიწვია. ვინჩესტერსა და მის მიდამოებში მრავალი მდიდრული აგარაკია. დეკანის აგარაკი გამწვანებულ ბაღში ჩადგმული ხის უზარმაზარი სახლი იყო. ვახშმის სუფრას დეკანისა და მისი მეუღლის გარდა კიდევ 16 სტუმარი უსხდა. მარჯვნივ დამისვეს პატარა ტანის გამხდარი ხნიერი მანდილოსანი, მარცხნივ — თარჯიმანი. ხნიერი მანდილოსანი და მის მარჯვნივ მჯდარი ახალგაზრდა სტუმარი განსაკუთრებული ყურადღებით მისმენდნენ, როცა რუსულად ვლაპარაკობდი, თარგმნის დროს კი ვახშამს შეექცეოდნენ. გვიან სუფრაზევე გამოირკვა, რომ ხნიერი მანდილოსანი თეთრი ემიგრანტი გრაფინია იდიტა თედორეს ასული სოლოგუბი, — დენიკინის არმიის გენერალ სოლოგუბის, რომელიც სამოქალაქო ომის დროს ცარიცინის მისადგომებზე მოკლეს, მეუღლეა. გრაფინიას ხელმარჯვნივ იჯდა მისი უმცროსი ვაჟი სერგი, ვინჩესტერის ერთ-ერთი საშუალო სკოლის რუსულის მასწავლებელი. როგორც გამოირკვა, დედა-შვილი სუფრაზე შემთხვევით არ მოხვედრილან. მათთვის ცნობილი გახდა, რომ საუთჰემპტონის უნივერსიტეტში სამეცნიერო მოხსენებით გამოვიდა ქართული წარმოშობის საბჭოთა პროფესორი, რომელიც ვახშამზე ესტუმრება იმ ინგლისელი გოგონას მშობლებს, ვისაც რუსულ ენას სერგი სოლოგუბი ასწავლის. სტუმრად მყოფ უცხო პროფესორთან შეხვედრის სურვილი დედა-შვილ სოლოგუბებს ვახშამზე მოწვევით შეუსრულეს. ჩემთან საუბარში ისინი არ მალავდნენ კომუნისტური წყობილებისადმი თავიანთ მტრულ განწყობილებას, მაგრამ შორეული სამშობლოს ამბები აინტერესებდათ. ადრე ვერ წარმოედგინათ, რომ რუსეთი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებასაც კი შეძლებდა, მაგრამ ნაცისტურ გერმანიასა და მილიტარისტულ იაპონიაზე გამარჯვების შემდეგ მისი სამხედრო ძლიერება მათ თვალში უკვე ეჭვს აღარ იწვევდა. ამაცობდნენ იმით, რომ პირველი ადამიანი, ვინც კოსმოსში გაფრინდა, რუსი იური გაგარინი იყო. სოლოგუბებს ნათესაური კავშირი ჰქონიათ გაგარინების გვართან და

აინტერესებდათ, პირველი კოსმონავტი ენათესავებოდა თუ არა მათ. ორმოცდაოთხი წლის განმავლობაში ემიგრაციაში მყოფთ სამშობლოში დაბრუნების არავითარი იმედი აღარ ჰქონდათ, მაგრამ რუსულ ენას, რუსულ კულტურას არ ივიწყებდნენ და, როგორც თვითონაც აღნიშნეს, ინგლისშიაც რუსებად დარჩნენ და რუსებადვე დაასრულებდნენ თავიანთ ცხოვრებას. საქართველოსა და ქართველებთან მათი დამოკიდებულება, როგორც სჩანდა, კარგი იყო. თქვეს, — ძალიან დავალებული ვართ გენერალ ლევან ჩიჩუასგან, რომელმაც ჩვენი, მისი მეგობრის მეუღლისა და სამი ვაჟის ემიგრაციაში გამგზავრება ითავა და გარდაცვალებამდეც კი ჩვენს საკეთილდღეოდ ზრუნავდაო.

ვახშმის შემდეგ ღამე საუთჰემპტონის სასტუმროში გავათიე, დილით კი მატარებლით ლონდონს დავბრუნდი. იმავე სასტუმროში მომათავსეს, სადაც მივლინების პირველ დღეებში ვცხოვრობდი. მივლინების გეგმით კიდევ 2 მოხსენება უნდა წამეკითხა ინგლისში, სახელდობრ ლონდონის უნივერსიტეტის მთავარ (საიმპერიო) კოლეჯში, სადაც მათემატიკური ანალიზის კათედრას ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრი ვილი კურტ ჰეიმანი განაგებდა. აქ ზედიზედ ორ დღეს შედგა ჩემი მოხსენებები თემაზე “ზოგიერთი არაფრედჰოლმური ამოცანა ჰარმონიული ფუნქციებისთვის მრავალგანზომილებიან არეებში”. მსმენელებმა ყურადღებით მოისმინეს მოხსენებები და საინტერესო სჯა-ბაასიც გამართეს მათში განხილული სამეცნიერო საკითხების გარშემო. დარჩენილი 6 დღის განმავლობაში ლონდონში ბევრი საინტერესო ადგილი დამათვალიერებინეს. მომეცა ლონდონის ეროვნული მუზეუმის, სურათების გალერეათა და ტაუერის იშვიათი ექსპონატების უფრო დაწვრილებით გაცნობის საშუალება. მთელი დღე დავეყავი ლონდონის ბოტანიკურ ბაღში. ლონდონის სამეფო საზოგადოების პრეზიდენტის ინიციატივით დავესწარი ბენჯამენ ბრიტენის ოპერის “მეფე პრიამოსის” პრემიერას სამეფო საოპერო თეატრში. ინგლისელები მუსიკით თითქოს მაინცდამაინც არ არიან გატაცებულნი, მაგრამ ლონდონს მუსიკის მოყვარულთა უზარმაზარი გუნდი ჰყავს, რომელშიც მაშინ ბარიტონით მღეროდა ჩემი მასპინძელი ჰეიმანი. სწორედ მისი რეკომენდაციით ერთ საღამოს მოვისმინე ამ გუნდის შესანიშნავი კონცერტი, რომლის პროგრამაში კერძოდ შედიოდა სერგეი პროკოფიევის კანტატა «Александр Невский», რამდენიმე რუსული რომანსი და პარაშას არია მუსორგსკის ოპერიდან «Сорочинская ярмарка» ცნობილი ემიგრანტი რუსი მომღერალი ქალის ოდა სლობოდსკაიას შესრულებით. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ოთხმოც წლამდე იყო მიღწეული, ოდა სლობოდსკაია შესანიშნავად მღეროდა და მსმენელებმა მადლობის ნიშნად კიდევ დააჯილდოვეს მქუხარე ოვაციებით და შეძახილებით “ბრავო, ბრავო”.

ჩემი “მუდმივი” თანამგზავრი ინგლისში, თარჯიმანი, გვარად ჰაჩინი, ლონდონის გარეუბანში ცხოვრობდა. ერთ საღამოს მან ბინაზე მიმიწვია და თავის მეუღლესა და ქალიშვილებს — სიუზენს და ნინას გამაცნო. სიუზენი უკვე კოლეჯს ამთავრებდა, ნინა კი ჯერ პატარა იყო და გოგონათა სკოლაში სწავლობდა. დედის გავლენით ქალიშვილები რუსულ ენას კარგად ფლობდნენ.

მოსკოვში გამომგზავრების წინა საღამოს ლონდონის სამეფო საზოგადოებამ გამოსამშვიდობებელი ვახშამი გამართა. სტუმართა შორის იყო რუსი ქიმიკოსი გ. ბორესკოვი, რომელიც იმ დროს მივლინებით იმყოფებოდა ლონდონში.

ინგლისი მუდამ წვიმიან და ბურუსიან ქვეყნად მქონდა წარმოდგენილი, მაგრამ მთელი სამი კვირის განმავლობაში, რაც ინგლისში მივლინებით ვიყავი, ყოველი დღე მზიანი გამოდგა. იშვიათად თუ მენახა დასავლეთ ევროპაში ისეთი მწვანე ქალაქი, როგორც ლონდონია. ერთხელ ჰაიდ-პარკშიც გავისეირნე, სადაც ინგლისელები

პოლიტიკურ მიტინგებსა და კრებებს აწყობენ, უფრო ხშირად კი შაბათობით და კვირაობით მზიან ამინდში მწვანე გაზონებზე წვანან და ისვენებენ. ყველაზე კარგი საჩუქარი, რომელიც ლონდონში სამი წლის ანდრიუმასთვის¹³ ვიყიდე, იყო იაპონიაში დამზადებული მექანიკური სათამაშო, ჰიმალაის დათვი, რომელიც ბოთლიდან ჭიქაში ასხამდა რძეს და მიირთმევდა. ეს სათამაშო ისე კარგად იყო გაკეთებული და ისე მოეწონა ანდრიუმას, დღემდე არ იშორებს.

უზარმაზარია განსხვავება პარიზელებსა და ლონდონელებს შორის. პარიზის ცენტრალურ ბულვარებზე და ქუჩებში მოსეირნეთა სიმღერები, ჟრიამული და შემახილები ავსებს ადამიანის სმენას, ლონდონელები ისე წყნარად, უხმაუროდ დასეირნობენ, რომ ყველა ყრუ-მუნჯი გეგონებათ. ასეთი შთაბეჭდილებით გამოფრინდი ლონდონიდან. ჩემთან ერთად სამშობლოში ბრუნდებოდა მწერალი კორნეი ჩუკოვსკი, რომელსაც იმ დღეებში კემბრიჯის უნივერსიტეტში საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭეს.

სამი დღის შემდეგ მოსკოვიდან ნოვოსიბირსკს გავერინდი. ინგლისში ჩემი ყოფნის დროს აკადემიურ ქალაქში მოიწვიეს ციმბირის მათემატიკური საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელმაც ა. მალცევი საზოგადოების პრეზიდენტად აირჩია, მე კი — ვიცე-პრეზიდენტად. ა. მალცევის წინადადებით ივნისის ბოლოს შედგა ციმბირის მათემატიკური საზოგადოების მორიგი სხდომა, რომელზედაც მოისმინეს ჩემი მოხსენება ინგლისში მივლინების შესახებ.

1962 წლის ზაფხულის დასასრულს სტოკჰოლმში შედგა მათემატიკოსთა მორიგი საერთაშორისო კონგრესი. სსრკ-დან გაიგზავნა დელეგაცია და სამეცნიერო-ტურისტული ჯგუფი 40 მათემატიკოსის შემადგენლობით. სადირექტივო ორგანოებმა დელეგაციის ხელმძღვანელობა მ. ლავრენტიევს დაავალეს, სამეცნიერო-ტურისტული ჯგუფის კი — მე. ეს მძიმე ტვირთად დამაწვა, მაგრამ უარის შემთხვევაში კონგრესის მუშაობაში, სადაც ჩემი მეცნიერული მოხსენებით გამოსვლა იყო დაგეგმილი, მონაწილეობის მიღების საშუალება აღარ მექნებოდა. ლ. პონტრიაგინსა და მის მეუღლეს არ მოსწონდათ, რომ ჯგუფის ხელმძღვანელად მე ვიყავი დანიშნული. არც პ. ალექსანდროვი და ა. კოლმოგოროვი იყვნენ კმაყოფილი იმით, რომ საბჭოთა მათემატიკოსების დელეგაციას მ. ლავრენტიევი ხელმძღვანელობდა, სამეცნიერო-ტურისტულ ჯგუფს — მისი მოწაფე ა. ბიწაძე. მ. ლავრენტიევი, ს. სობოლევი და ი. ვეკუა კონგრესის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე გაემგზავრნენ სტოკჰოლმს მათემატიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოების საანგარიშო კრებაში მონაწილეობის მისაღებად. მე მათ ერთი დღით გვიან შევუერთდი და გადაცეცი სადირექტივო ორგანოების მითითება ორ საკითხთან დაკავშირებით:

1. თუ საბჭოთა მათემატიკოსებს შესთავაზებდნენ საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის პოსტს, მის დასაკავებლად ს. სობოლევსა და ი. ვეკუას დაესახელებინათ მ. ლავრენტიევი.

2. მ. ლავრენტიევს მათემატიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელობისთვის მორიგი საერთაშორისო კონგრესის ჩატარების ადგილად შეეთავაზებინა სსრკ.

¹³ ანდრეი ანდროს ძე ბიწაძე (შინაურობაში _ ანდრიუმა), ა. ბიწაძის ერთადერთი ვაჟი, პოლიტოლოგი, პროფესორი, ამჟამად ცხოვრობს კანადაში.

სტოკჰოლმის კონგრესის გახსნას და ფილდის პრემიების გადაცემას დაესწრნენ შვეციის მეფე გუსტავ ადოლფ მეექვსე მეუღლით და შვილიშვილით — ტახტის მემკვიდრით. მათემატიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს მ. ლავრენტიევი. მორიგი კონგრესის მოწვევის ადგილის დადგენის თაობაზე სიტყვა მისცეს მ. ლავრენტიევს. მის წინადადებას 1966 წელს მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესის მოსკოვში ჩატარების შესახებ აუდიტორია მქუხარე ტაშით შეხვდა. კონგრესის მუშაობის დამთავრების წინა საღამოს ქალაქ სტოკჰოლმის მერმა მეფის სახელით ბანკეტი მოაწყო, უკანასკნელი დღე კი კონგრესის დახურვის ცერემონიას მიემდგნა.

კონგრესის დამთავრების მეორე დღეს საბჭოთა მათემატიკოსების დელეგაცია სამშობლოში დაბრუნდა, სამეცნიერო-ტურისტული ჯგუფი კი ტურისტული მარშრუტით სტოკჰოლმიდან გაემგზავრა სამდინარო გემით “დიანა”, რომელიც გოტა-არხის გავლით შვედეთის სამხრეთ ქალაქ გიოტებორგში მიცურავდა. ეს ზღაპრული მგზავრობა 3 დღე-ღამე გაგრძელდა. გიოტებორგში მთელი დღე სურათების გალერეის დათვალიერებას დაუთმეთ, საღამოს მატარებლით სტოკჰოლმს დავბრუნდით, იქიდან კი მოსკოვში გავფრინდით.

1962 წელს მიიღეს გადაწყვეტილება აკადემიურ ქალაქში 1963 წლის აგვისტოში ნაწილობითწარმოებულნიან დიფერენციალურ განტოლებებში სსრკ — აშშ-ის სიმპოზიუმის ჩატარების შესახებ. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ი. ვეკუა, მოადგილედ — მე.

მიუხედავად იმისა, რომ მ. ლავრენტიევს, ს. სობოლევსა და ი. ვეკუას ნაწილობითწარმოებულნიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში თავის დროზე მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდათ შეტანილი, ციმბირში გადასვლის შემდეგ მათმა სამეცნიერო თემატიკამ მიმართულება შეიცვალა:

მძიმე ადმინისტრაციულ მუშაობასთან ერთად მ. ლავრენტიევი აქტიურად შეუდგა ისეთი გამოყენებითი მნიშვნელობის მათემატიკური პრობლემების შესწავლას, როგორცაა მიმართულ აფეთქებათა თეორია და პრაქტიკა, აფეთქების გამოყენებით სხვადასხვა სახის ლითონთა შედუღება და ა. შ. ის აქტიურად მონაწილეობდა ქალაქ ალმა-ათას ღვარცოფებისგან დაცვის მიზნით მედეოს მაღალმთიანი კაშხალის მიმართულებითი აფეთქების მეთოდით მშენებლობაში, რაც ბრწყინვალედ დაგვირგვინდა. მ. ლავრენტიევი ყურადღებიდან არ უშვებდა ჰიდროდინამიკის იმ პრობლემების შესწავლას, ურომლისოდაც შეუძლებელია ხელოვნურ თანამგზავრთა და საერთოდ კოსმოსურ კვლევათა თეორია და პრაქტიკა. მისი უშუალო მზრუნველობით შეიქმნა ჰიდროქვემეხები და იმპულსური ჰიდროწნეხები ბ. ვოიცეხოვსკის ლაბორატორიაში.

მაიას ძეგლთა წაკითხვის საქმეში ფიასკოს შემდეგ ს. სობოლევს კვლევის ძირითად ობიექტად იქცა კუბატურის ფორმულების აგება. ამ მიმართულებით მის მიერ მიღებულმა შედეგებმა ჯერად ინტეგრალთა რიცხვითი გამოთვლის საკითხში სამწუხაროდ დღემდეც კი ვერ პოვეს გამოყენება.

ი. ვეკუა ტენზორული აღრიცხვის გამოყენებით გარსთა მათემატიკური თეორიის ახალი ვარიანტების დამუშავებას შეუდგა.

ნაწილობითწარმოებულნიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლა წარმოებდა მათემატიკის ინსტიტუტის ფუნქციათა თეორიის განყოფილებაში ჩემი ხელმძღვანელობით. ამ განყოფილებაში მიღებულმა შედეგებმა მრავალგანზომილებიან არეებში შერეული ტიპის ნაწილობითწარმოებულნიან დიფერენციალურ განტოლებათა და ელიფსურ სისტემათა

თეორიაში საერთაშორისო მასშტაბით მიიპყრო ყურადღება. ჯგუფთა თეორიის მეთოდებით ნაწილობითწარმოებულიან განტოლებათა ცალკეული კლასების ამოხსნების აგებაზე ჰიდროდინამიკის ინსტიტუტში წარმატებით მუშაობდა მათემატიკოსების ჯგუფი ლ. ოვსიანნიკოვის ხელმძღვანელობით.

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო დაწესებულებებში და უმაღლეს სასწავლებლებში ყველგან, სადაც გეგმით გათვალისწინებული იყო ნაწილობითწარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიის პრობლემურ საკითხებზე მუშაობა, გაჩაღდა მზადება სსრკ — აშშ-ის სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. 1963 წლის გაზაფხულზე უკვე ცნობილი გახდა, რომ ამ სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად აშშ-დან ნოვოსიბირსკს ესტუმრებოდნენ ცნობილი მათემატიკოსები კურანტი, ფრიდრიხსი, ალფორსი, ლაქსი, ნირენბერგი, ბერგმანი, ზიგმუნდი, კალდერონი, მოზერი, პროტერი, სპენსერი, ზინგერი, მორი, შეხტერი და სხვები. საბჭოთა კავშირის მხრიდან სიმპოზიუმზე მოხსენებით გამოვედით ი. ბერეზანსკი, მე, ა. დეზინი, ი. გელფანდი, ვ. ივანოვი, ვ. ილინი, მ. კრასნოსელსკი, მ. კრეინი, ლ. კუდრიავევი, ო. ლადიჟენსკაია, მ. მ. ლავრენტიევი, ს. მიხლინი, ს. ნიკოლსკი, ო. ოლეინიკი, ი. რეშეტნიაკი, მ. სალახიტდინოვი, ა. სამარსკი, ს. სობოლევი, ა. ტიხონოვი, მ. ვიშიკი, ი. ვეკუა, ბ. ლევიტანი და სხვები.

სიმპოზიუმის მუშაობაში ასეთი ცნობილი სპეციალისტების მონაწილეობამ როგორც სსრკ-ის, ისე აშშ-ის მხრიდან განაპირობა ის დიდი წარმატება, რომელიც მას წილად ხვდა. სიმპოზიუმზე ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ რიგი პრობლემებისა, რომელთაგან ერთ-ერთი — არაფრედჰოლმური ტიპის სასაზღვრო ამოცანები ელიფსურ განტოლებათა და ელიფსური სისტემებისთვის კარგად იყო წარმოდგენილი კერძოდ ციმბირის განყოფილების მათემატიკის ინსტიტუტის ფუნქციათა თეორიის განყოფილებაშიც. სწორედ ამ განყოფილებაში მიღებულ მაღალ მეცნიერულ შედეგებს მისცა მაღალი შეფასება აშშ-ის დელეგაციის ხელმძღვანელმა, სახელგანთქმულმა მეცნიერმა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საზღვარგარეთელმა წევრმა რიჩარდ კურანტმა გაზეთ «Известия»-ს კორესპონდენტისთვის მიცემულ, გაზეთის მიერ სიმპოზიუმის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებულ ინტერვიუში.

ნოვოსიბირსკში სიმპოზიუმის დამთავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო ასოციაციამ ნ. მუსხელიშვილის მეცნიერული დამსახურებისადმი პატივისცემის ნიშნად საერთაშორისო სიმპოზიუმი მოიწვია თბილისში. ნოვოსიბირსკიდან სიმპოზიუმის მუშაობაში ვმონაწილეობდით ი. ვეკუა და მე. ამ სიმპოზიუმის დროს ტრიკომის, ფიკერას, ლერესა და ჩემს შორის გამართული საუბრები მეტად საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა. როგორც სიმპოზიუმით, ისე ნ. მუსხელიშვილისა და მისი მეცნიერული სკოლის მიერ სტუმრებისთვის მოწყობილი საინტერესო ექსკურსიებითა და გამასპინძლებით ყველა აღფრთოვანებული დარჩა.

1963 წლის ზაფხულზე ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების დროს მათემატიკის საგნობრივი კომისიის თავმჯდომარედ რეკომენდებული ვიყავი მე. ყველა კარგად ხედავდა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გამეფებულ პროტექციას. რამდენადაც დარწმუნებული ვიყავი რეკომენდატორთა გულწრფელობაში და თანაც ფიქრადაც არ მომდიოდა, რომ ამ საქმეში საფრთხე მომელოდა, უყოყმანოდ დავთანხმდი საგამოცდო კომისიის მუშაობისთვის ხელმძღვანელობის გაწევარზე; მაგრამ მოხდა ისე, რომ იმ აბიტურიენტთა რაოდენობა, ვისაც პროტექტორები

ყავდათ, აღემატებოდა უნივერსიტეტში მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტს, რის გამოც პროტექტორმა გამომცდელებმა საგამოცდო ნიშნები აუწიეს თავიანთ პროტექციებს და ნიშნები დააკლეს უპროტექციო აბიტურიენტებს. ამ გარემოებამ იძულებული გამხადა, გამომცდელთა ერთი მესამედისთვის აღარ მიმეცა მისაღებ გამოცდებში მონაწილეობის უფლება, რაც ზოგიერთმა ჩემი მხრიდან გადაჭარბებულ სიმკაცრედ მიიჩნია. გამომცდელთა ერთ მესამედში მოხვდნენ ს. სობოლევის სიძე ლ. საბინინი, პ. კოჩინას, ი. რაბოტნოვის, ს. ხრისტიანოვიჩის რამდენიმე თანამშრომელი და სხვები¹⁴.

კომპლექსური ცვლადის ანალიზურ ფუნქციათა თეორიის სავალდებულო კურსის გარდა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტში უფროს კურსთა სტუდენტებისთვის და ციმბირის განყოფილებაში მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკებისთვის ვკითხულობდი სპეციალურ კურსს სახელწოდებით “სასაზღვრო ამოცანების მეორე რიგის ელიფსური ტიპის განტოლებებისთვის”. ამ კურსის საფუძველზე დავეწერე მესამე მონოგრაფია, რომელიც 1966 წელს გამომცემლობა «Наука»-მ გამოაქვეყნა მოსკოვში. მალე ეს წიგნი ინგლისურ ენაზე დაბეჭდა გამომცემლობა “Норდჰოლანდ”-მა.

1966 წლის 22 მაისს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებამ ჩემი დაბადების 50 წლისთავი აღნიშნა. ოფიციალურ საიუბილეო სხდომაზე, რომელიც შესავალი სიტყვით მ. ლავრენტიევმა გახსნა, მეცნიერული მოხსენება თვით მე გავაკეთე, შემდეგ სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა წარმომადგენლები გამოვიდნენ მისასალმებელი სიტყვებითა და საიუბილეო მისამართებით: ციმბირის განყოფილების მათემატიკის ინსტიტუტის, სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის, არც ა. რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტს დავიწყებია თავისი ყოფილი თანამშრომელი, მშობლიური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი... მრავალ სხვა სამეცნიერო კოლექტივის მისალმებასა და საიუბილეო მისამართს შორის, რომელთა რაოდენობა ასს აღემატება, მეტად ორიგინალურია ერთი მათგანი, რომელიც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ისტორიის, ფილოლოგიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის კოლექტივმა გამომიგზავნა:

“...არქეოლოგები და ისტორიკოსები თქვენი დიდი მადლიერი არიან ძვირფასი რჩევებისთვის ნატიფი და რთული პრობლემების შესწავლის საქმეში, კერძოდ პალეოლითის ეპოქის გამოსახულებათა გაშიფვრაში, იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც სახვითი ხელოვნებისა და მათემატიკის უძველეს საწყისებს შეეხებიან. ეს ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან საერთო ამოცანების გადასაწყვეტად მათემატიკის კონტაქტების ნათელი მაგალითია...”

ჟურნალებმა «Сибирский математический журнал» და «Дифференциальные уравнения» გამოაქვეყნეს წერილები ჩემი მეცნიერული შემოქმედების შესახებ პორტრეტებით.

¹⁴ 1965 წლის ზაფხულში ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტში მათემატიკის სპეციალობით მისაღები გამოცდები ჩააბარა და ჩაირიცხა ა. ბიწამის ცოლისდა, მოსკოვის ერთ-ერთი, მუსიკალური პროფილის მქონე საშუალო სკოლის ოქროს მედლით კურსდამთავრებული ელენა ალექსანდრეს ასული ბადერკო, რომელმაც უნივერსიტეტის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ დისერტაცია დაიცვა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ა. ბიწამეს სარკასტული და ოდნავ ცინიკური იუმორით ნათქვამიც აქვს: «А как это случается, что в университет для особо одарённых попадают только родственники?»

1965-66 წლებში საბჭოთა კავშირში მათემატიკის ხაზით 2 მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა — მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესი მოსკოვში და ფუნქციათა თეორიის პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია ერევანში. მოსკოვის კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა არ მიმიღია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩემს თავმჯდომარეობას ნაწილობითწარმოებულნიან დიფერენციალურ განტოლებათა სექციის ერთ-ერთ სხდომაზე, ერევანში კი შეკვეთილი სექციური მოხსენებით გამოსვლას.

ერევნის კონფერენციის მუშაობაში მრავალი უცხოელი და საბჭოთა მათემატიკოსი მონაწილეობდა, მათ შორის მათემატიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი დე რამი და ვიცე-პრეზიდენტი მ. ლავრენტიევი. ახალგაზრდა მათემატიკოსებს ამ კონფერენციაზე წინა თაობების მათემატიკოსების მიმართ გამომწვევი პოზიცია ეკვეთათ. ბანკეტზე, რომელიც კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა სევანის ტბის პირას შესანიშნავ რესტორანში მოაწყო, მ. ლავრენტიევმა წარმოთქვა ახალგაზრდა მათემატიკოსების სადღეგრძელო, რომელსაც შემდეგი იგავი წაუშმძღვარა:

“ქურდი დიდოსტატი და მისი შეგირდი.

ერთ ქალაქში “მოღვაწე” ქურდ დიდოსტატს შეგირდი მიაბარეს. 3 წლის განმავლობაში წვრთის შემდეგ შეგირდმა დამოუკიდებლობა მოინდომა, მაგრამ მასწავლებელმა მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგან არ მიაჩნდა, რომ ქურდობის საქმეში ის ჯეროვნად იყო გაწაფული. ადრე გაზაფხული იყო, მაგრამ ქალაქში ძალზე ცხელოდა. დიდოსტატი თავისი შეგირდითურთ ერთ დილას ტყეში დასასვენებლად წავიდა. მდინარის პირას ისადილეს და ხეების ჩრდილში წამოწვნიან დასაშუადღებლად. დიდოსტატმა ხის ტოტები დაკვირვებით შეათვალიერა და შეგირდს უთხრა:

“საქო-ჯან! აბა ერთი აი იმ ხის ტოტებს შეხედე და მითხარი, რა შენიშნე იქ ფოთლებში?”

საქომ (ასე ეძახდნენ შეგირდს) ხის ტოტები ჩათვალიერა და უპასუხა:

“ბატონო, იქ ბუდესა ვხედავ”.

“რა ფრინველი ზის ბუდეში, საქო-ჯან?”

“გვრიტი, ბატონო”.

“შენ ამბობ, რომ ქურდობაში გაწაფული ხარ, არა?”

“დიახ, ბატონო”.

“მაშ, თუ ასეა, აბა ადი ხეზე და გვრიტს ბუდიდან ერთი კვერცხი ისე ამოაცალე, რომ არ გაფრინდეს”!

საქო ხეზე ფრთხილად აცოცდა, ტოტებს მიუახლოვდა, მაგრამ სანამ ხელით ბუდეს მიწვდებოდა, გვრიტი გაფრინდა.

“ეგაა, ქურდობაში გაწაფული ვარო, რომ სთქვი, საქო-ჯან? რას იზამ, ჩამოდი ხიდან”!

საქო ხიდან ჩამოვიდა და დიდოსტატს ბუზღუნით მიმართა:

“ბატონო! ცოტა კიდეც მოვიცადოთ აქა, გვრიტი ბუდეს დაუბრუნდება და, აბა, მაჩვენე, როგორ ამოაცლი მას ბუდიდან კვერცხს ისე, რომ მან ეს ვერ შეიტყოს”!

“კარგი, საქო-ჯან, მოვიცადოთ”.

ერთი საათის შემდეგ გვრიტი მართლაც დაუბრუნდა ბუდეს და დააჯდა თავის კვერცხებს. ქურდმა დიდოსტატმა ჯერ ფეხსაცმელები გაიძრო, შემდეგ კოსტუმი გაიხადა, ქუდი მოიხადა, პირჯვარი გადაიწერა და დიდი სიფრთხილით ავიდა ხეზე,

სულგანაბული მიუახლოვდა ბუდეს და რიგრიგობით ორი კვერცხი (გვრიტი ორ კვერცხს დებს სეზონში) ისე ამოიღო ბუდიდან, რომ დედა-გვრიტი არც კი შენძრეულა. კვერცხები პერანგის ჯიბეში ჩაიდო, ისევე ფრთხილად ჩამოვიდა ძირს, ღრმად ამოისუნთქა და საქოსკენ მოუბრუნებლად თქვა:

“საქო-ჯან! გაიგე, როგორ უნდა ქურდობა?” — პასუხი ვერ მიიღო, მობრუნდა და რას ხედავს: არც საქო, არც ფეხსაცმელები, არც კოსტუმი და არც ქუდი აღარსადა სჩანან. ბევრი ეძება დიდოსტატმა საქო, მაგრამ მის ასავალ-დასავალს რომ ვერ მიაკვლია, გული იმით დაიმშვიდა, რომ შეგირდმა ქურდობაში აჯობა. გაუმარჯოს ახალგაზრდა მათემატიკოსებს!” — დაასრულა თავის სიტყვა მ. ლავრენტიევმა.

მ. ლავრენტიევის გამოსვლას სინქრონულად თარგმნიდნენ ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. სადღეგრძელო-იგავი მსმენელებს ძალიან მოეწონათ.

1969 წლის ოქტომბერში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. მუსხელიშვილმა მომმართა წინადადებით, კენჭი მეყარა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) ვაკანტურ ადგილზე. მ. ლავრენტიევთან ამ საკითხის თაობაზე კონსულტაციის შემდეგ ეს წინადადება დიდი კმაყოფილებით მივიღე. 2 თვის შემდეგ ნ. მუსხელიშვილმა ნოვოსიბირსკში შემდეგი ოფიციალური წერილი გამომიგზავნა:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი¹⁵
12 დეკემბერი, 1969 წ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ა. ბიწაძეს
პატივცემულო ანდრია,

პატივი მაქვს, გაცნობოთ, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ გაითვალისწინა თქვენი თვალსაჩინო ღვაწლი მეცნიერებაში და 1969 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე აგირჩიათ თქვენ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

გისურვებთ ახალ წარმატებებს თქვენს შემდეგ სამეცნიერო მუშაობაში.

აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი

წერილს თან ერთვოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1969 წლის 12 დეკემბრის საერთო კრების დადგენილების ამონაწერი.

გვიან შევიტყვე უფრო დაწვრილებით ცნობები იმის შესახებ, რომ ფიზიკა-მათემატიკის განყოფილების 9 ნამდვილი წევრიდან ხმა მომცა 7-მა, აკადემიის საერთო კრებაზე კი — 51 ნამდვილი წევრიდან 48-მ.

1969 წელს მათემატიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის აღმასკომმა წინადადება მომცა, 1970 წელს მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე ნიცაში (საფრანგეთი) გამოვსულიყავი 50 წუთიანი სექციური (შეკვეთილი) მოხსენებით თემაზე “არაფრედჰოლმური ელიფსური სასაზღვრო ამოცანები” და ინტენსიურად შევუდექი სამზადისს. ასეთ ვითარებაში თბილისიდან მივიღე წერილი:

Академия наук Грузинской ССР¹⁶

¹⁵ წერილი დაბეჭდილია ოფიციალურ ბლანკზე

¹⁶ წერილი დაბეჭდილია ოფიციალურ ბლანკზე

20 марта 1970 г.

Академику АН Грузинской ССР А. В. Бицадзе
Глубокоуважаемый Андрей Васильевич,

От имени АН Груз. ССР обращаюсь к Вам с просьбой переехать на постоянную работу в Тбилиси.

Мы уверены в том, что Ваша работа здесь будет чрезвычайно полезна для дальнейшего развития математических исследований в Грузии, где имеется значительное число молодых, талантливых математиков, которые под Вашим руководством, несомненно, достигнут выдающихся результатов.

Мы просим Вас занять должность Зав. Отделом в Тбилисском Математическом институте, которая будет создана специально для Вас.

Желательно, чтобы вы переехали сюда как можно скорее.

Мы гарантируем Вам представление соответствующей квартиры. К сожалению, я не могу в данный момент с полной уверенностью указать срок, когда квартира будет готова; этот будет, во всяком случае, не позднее текущего года. Как только срок готовности квартиры выяснится, я сообщу Вам.

С глубоким уважением Н. Мусхелишвили

ამ წერილის მიღებიდან მეორე დღეს კვლავ მივიღე ნ. მუსხელიშვილის წერილი, რომლის მთელი ტექსტი მისი ხელით იყო დაწერილი:

20.3.1970

Дорогой Андрей Васильевич,

Извините меня, что я несколько запоздал с официальным письмом. Я хотел сообщить Вам точный срок готовности Вашей квартиры. К сожалению, я пока этого не смог.

Мне лишь гарантировали, что квартира будет готова в текущем году. Но есть большая надежда, что это будет не позднее сентября. Как только это выяснится, я напишу Вам.

Одновременно я отправил официальное письмо М. А. Лаврентьеву.

Не нужно ли официальное письмо насчёт Нины Александровны?

Сердечный привет Нине Александровне и Вам.

Ваш Н. Мусхелишвили

მ. ლავრენტიევმა მიიღო ნ. მუსხელიშვილის წერილი ნოვოსიბირსკიდან თბილისში მუდმივ სამუშაოზე ჩემს გადასვლის თაობაზე და როგორც ოფიციალური დოკუმენტი განსახილველად გაიტანა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების პრეზიდიუმის სხდომაზე. 1976 წლის 16 თებერვალს ნ. მუსხელიშვილს დაბადებიდან 80 წელი უსრულდებოდა. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მ. კელდიშის აზრით საიუბილეო კომიტეტს სათავეში მ. ლავრენტიევი უნდა ჩადგომოდა, მან კი თავმჯდომარის მოადგილეობა მე შემომთავაზა. ჩვენს გარდა საორგანიზაციო კომიტეტში შევიდა საქართველოს 7 წარმომადგენელი. მ. ლავრენტიევის წინადადებით მე დოკუმენტურად უნდა დამესაბუთებინა ნ. მუსხელიშვილისთვის სოციალისტური შრომის გმირის მეორედ მინიჭების მიზანშეწონილობა. საიუბილეო თარიღამდე 8 თვე იყო დარჩენილი და საჭირო დოკუმენტები რაც შეიძლება ჩქარა უნდა წარგვედგინა მთავრობაში განსახილველად. 1970 წლის მაისის დასასრულისთვის უკვე მზად იყო ნ.

მუსხელიშვილის სამეცნიერო, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის დახასიათება.

ამასობაში ნ. მუსხელიშვილსა და ჩემს შორის კვლავ გრძელდებოდა მიწერ-მოწერა.
ნ. მუსხელიშვილი მწერდა:

Тбилиси 6.6.1970

Дорогой Андрей Васильевич,

Наконец я могу написать Вам нечто определённое насчёт Вашей квартиры. Вчера я говорил с Ш. Е. Бухрашвили (председателем Тбилисполкома). Он подтвердил, что получил указание от В. П. Мжаванадзе относительно Вашей квартиры и что он, разумеется, его выполнить. Однако определённого срока он указать сейчас не может. Он считает (и я с ним согласен) что Вам следует в ближайшее время приехать сюда, чтобы обсудить все возможные варианты. Поэтому я рекомендую Вам приехать в Тбилиси возможно скорее взяв командировку прочтения докладов (или одного доклада) в нашем матем. Институте (на любую тему). Настоящее письмо Вы можете рассматривать как официальное предложение. Командировка, разумеется, будет оплачена нами. Насчёт трудоустройства Нины Александровны мы поговорим тогда же. Было бы хорошо, чтобы Вы захватили основные документы, её касающиеся.

О сроке Вашего приезда телеграфируйте мне или Манджавидзе; телеграфируйте также приедете Вы один, или с Ниной Александровной.

Сердечный привет Нине Александровне и Вам.

Ваш Н. Мухелишвили

საპასუხო წერილში ნ. მუსხელიშვილს ვატყობინებდი იმის შესახებ, რომ მ. ლავრენტიევის ინიციატივით სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში მორიგ, 1970 წლის არჩევნებზე გათვალისწინებული იქნება ციმბირის განყოფილების ხაზით ერთი ადგილი მათემატიკაში ჩემთვის, მაგრამ ამ ადგილზე კენჭისყრის სურვილი არ მაქვს იმის გამო, რომ უკვე გადავწყვიტე ციმბირიდან წასვლა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა აღძრა საკითხი ინსტიტუტში ჩემს დასაბრუნებლად ახლად გახსნილი განყოფილების გამგის თანამდებობაზე. ამ საკითხზე ი. ვინოგრადოვს ჰქონდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის ნ. ბოგოლიუბოვის მხარდაჭერა, მოსკოვში ბინის საკითხი კი საკმარისად ადვილად წყდებოდა. შემდეგ, ჩემი აზრით, მოსკოვიდან თბილისში გადასვლა უფრო გამიადვილდებოდა. ნ. მუსხელიშვილი მწერდა:

Президент Академии наук Грузинской ССР¹⁷

27 июня 1969

Дорогой Андрей Васильевич,

Ваше письмо из Москвы от 21 июня получил лишь вчера.

Конечно, очень желательно, чтобы Вы переехали прямо сюда, без временного пребывания в Москве.

¹⁷ წერილი დაბეჭდილია ოფიციალურ ბლანკზე. თარიღად აღნიშნულია 1969 წ., მაგრამ რადგან თვითონ ჩანაწერებში მითითებულია 1970 წ. და მოვლენებიც ამას იუწყებიან, როგორც ჩანს, შეცდომაა.

Относительно Вашего трудоустройства с 1 сентября никаких затруднений не будет. Я предлагаю Вам (на первое время) занять в Математическом институте должность заведующего отделом, который будет создан специально для Вас. Название отдела мы согласуем с Вами. Отдел будет укомплектован за счёт некоторых сотрудников других отделов, а также за счёт Ваших сотрудников по Новосибирску, которые захотят переехать с Вами сюда; для этих последних на первое время мы сможем выделить лишь 2-3 единицы, т. к. со штатами у нас очень туго.

Мы все очень рады Вашему переезду сюда и возлагаем на Вас большие надежды.

Конечно и Университет будет очень рад видеть Вас своим сотрудником (по совместительству), в качестве заведующего кафедрой.

Я уверен также, что трудоустройство Нины Александровны будет произведено без задержек.

Примерно 8-9 июля я приеду в Москву (на сессию Верховного Совета) и там встречу с И. Н. Векуа, с которым мы уточним некоторые вопросы.

Насчёт квартиры для Вас я обращусь в самые высшие органы Республики и надеюсь, что этот вопрос будет урегулирован в приемлемые сроки.

Сердечный привет

Ваш Н. Мусхелишвили

1970 წლის ზაფხულის დასასრულს ნიცაში შეიკრიბა მათემატიკოსთა მორიგი საერთაშორისო კონგრესი, რომლის მუშაობაში 200-მდე საბჭოთა მათემატიკოსი მონაწილეობდა. დელეგაცია წარმოდგენილი იყო 17 საბჭოთა მათემატიკოსით, რომელთა შორის იყვნენ მ. ლავრენტიევი (დელეგაციის უფროსი), ნ. მუსხელიშვილი (მეუღლით), ი. ვეკუა (მეუღლით), გ. მარჩუკი, ლ. პონტრიაგინი (მეუღლით) და ა. შ. საბჭოთა მათემატიკოსების უდიდესი უმრავლესობა კონგრესზე დელეგირებული იყო 2 სამეცნიერო-ტურისტული ჯგუფის სახით; ორივე ჯგუფის ხელმძღვანელობა მევალებოდა მე. ტურისტთა შორის იყვნენ კერძოდ ა. კოლმოგოროვი და ს. სობოლევნი. მოსკოვში საინსტრუქციო შეკრებაზე ა. კოლმოგოროვმა პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ სამეცნიერო-ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელობა მე უნდა გამეწია, მაგრამ მისი პროტესტი არ მიიღეს. პირველ ჯგუფში შემავალ მათემატიკოსებს გზად 2 დღე-ღამის განმავლობაში პარიზში შეჩერება მოუწიათ. უმრავლესობისთვის ასეთი მოკლე დროის განმავლობაშიც კი პარიზის დათვალიერება შთამბეჭდავი გამოდგა. ნიცაში სამეცნიერო-ტურისტული ჯგუფების წევრები ქალაქის აღმოსავლეთით აღმართულ მაღალ გორაზე სახელწოდებით “ბე დე ზანჟ” ნიცის უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში მოათავსეს, დელეგატები კი — ქალაქის ერთ-ერთ სასტუმროში. საბჭოთა მოხსენებებს კონგრესზე დიდი წარმატება ხვდათ წილად. ჩემი მოხსენების შემდეგ საბჭოთა მათემატიკოსების ჯგუფი ს. სობოლევნი, ო. ოლეინიკის, გ. მარჩუკისა და ჩემი შემადგენლობით ჟან ლერემ ნიცის მახლობლად თავისი მამის აგარაკზე მიგვიწვია და გაგვიმასპინძლდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნიცა ისტორიულად ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მარგალიტად ითვლება, მისი მიმდებარე აქვატორია ძალიან უსუფთაოა. თუ ამ ადგილებში ზღვაში ვინმე ბანაობდა, ის უსათუოდ ამერიკელი ან საბჭოთა მათემატიკოსი იყო, როგორც კონგრესის დანარჩენი მონაწილენი ამბობდნენ. კონგრესის მონაწილენი დიდად კმაყოფილნი დარჩნენ ექსკურსიებით მონაკოში,

ზღვის სანაპიროზე მდგარი პიკასოს სახელოსნოსა და შაგალის სახლ-მუზეუმის დათვალიერებით.

1970 წლის შემოდგომაზე ს. სობოლევმა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ვაკანტურ, ციმბირის განყოფილებისთვის განკუთვნილ ადგილზე წამოაყენა ა. ბოროვკოვის, ა. შირშოვის, ი. ერშოვისა და ჩემი კანდიდატურები. მე ამაზე არ დავთანხმდი იმ ფორმალური მოტივით, რომ ჩემი კანდიდატურა სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტმა უკვე წამოაყენა მათემატიკაში ნამდვილი წევრის საერთო ადგილზე. არჩევნებზე ციმბირის განყოფილებისთვის მათემატიკაში განკუთვნილი ადგილი ვერ აითვისეს, ხოლო საერთო ვაკანტურ ადგილზე არჩევნების დროს, მართალია, პირველ ტურში ამომრჩეველთა ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა მივიღე (ნ. მუსხელიშვილი ავადმყოფობის გამო არჩევნებში მონაწილეობას არ ღებულობდა), მაგრამ შემდგომ ტურში აკადემიკოსად ამ ადგილზე აირჩიეს ვ. ვლადიმეროვი.

თბილისში მუდმივ სამუშაოზე ჩემი გადასვლის საკითხს თითქოს ვიღაც განგებ ამუხრუჭებდა. 1970 წელი იწურებოდა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს მ. კელდიშს კი საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა არაფერს არ ატყობინებდა იმის შესახებ, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ ნ. მუსხელიშვილისთვის სოციალისტური შრომის გმირის მეორედ მინიჭების თაობაზე, მათგან დამოუკიდებლად კი სსრკ მთავრობაში წინადადებით შესვლის უფლება არ ჰქონდა. 1971 წლის იანვარში მ. ლავრენტიევი ამ საკითხთან დაკავშირებით მოსკოვში შეხვდა ვ. მჟავანაძეს და დარწმუნდა, რომ ნ. მუსხელიშვილი ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ვერ გახდებოდა. ამ აზრს იზიარებდა მ. კელდიშიც.

თებერვლის დამდეგს მეცნიერული მივლინებით თბილისში ჩავედი. ნ. მუსხელიშვილთან საუბრის დროს დავრწმუნდი, რომ თბილისში ჩემი გადაყვანის საქმე გარკვეულ წინააღმდეგობებს წააწყდა. ნ. მუსხელიშვილი მაინც დარწმუნებული იყო ამ საქმეში ვ. მჟავანაძის მხარდაჭერაში და წინადადება მომცა, დაუყოვნებლივ მიმემართა ვ. მჟავანაძისთვის წერილით და აქვე, თბილისში დავლოდებოდი პასუხს.

ნ. მუსხელიშვილის ეს რჩევა მივიღე და სპეციალური წერილით მივმართე ვ. მჟავანაძეს:

“საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს

ამხანაგ ვასილ პავლეს ძე მჟავანაძეს

დიდად პატივცემულო ბატონო ვასილ,

ამ წერილით მოგმართავთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1947 წლიდან, პროფესიით მათემატიკოსი, მეცნიერი მუშაკი, დაბადებული 1916 წელს ჭიათურის რაიონის (იმ დროისთვის შორაპნის მაზრის) სოფელ ცხრუკვეთში ანდრო ვასილის ძე ბიწაძე.

1940 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ 1948 წლის იანვრიდან მიმავლინა მოსკოვში სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დოქტორანტურაში თბილისის ა.

რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობისა და ხელფასის შენარჩუნებით. სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ 1951 წლიდან მე საქართველოში მუდმივ სამუშაოზე გადმოსვლის სურვილი მქონდა და მაქვს დღემდე. 1951 წელს ამ სურვილის განხორციელება არ მოხერხდა იმის გამო, რომ საჭიროებამ მოითხოვა სამუშაოდ გადავსულიყავი (როგორც მკვლევარი მათემატიკოსი) მოსკოვში. აღნიშნულ სამუშაოზე ჩემი მოსკოვში გადაყვანა მოხდა 1951 წლის სექტემბერში სათანადო სამეცნიერო დაწესებულებათა შუამდგომლობის საფუძველზე საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით, რასაც თან მოჰყვა სათანადო საცხოვრებელი ფართის გამოყოფა და მოსკოვში გაწერა დაუყოვნებლივ. 1953 წელს აკადემიკოსების ი. ვინოგრადოვისა და მ. ლავრენტიევის თხოვნის საფუძველზე გადაყვანილი ვიყავი სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ახალ ღია სამეცნიერო თემაზე სამუშაოდ. 1958 წელს ამირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად მათემატიკის დარგში და ამის შესაბამისად გადამიყვანეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ხაზით ქ. ნოვოსიბირსკში მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგისა და ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგის თანამდებობაზე.

1966 წელს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ (აკადემიის წარდგინების საფუძველზე) სათანადო შეფასება მისცეს ჩემს სამეცნიერო მოღვაწეობას და სწორედ ამის შემდეგ სულ ჩქარა სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ (აკად. ი. ვინოგრადოვმა) წინადადება მომცა დავბრუნებულიყავი მათთან სამუშაოდ. ამაზე მე თავი შევიკავე და შევეცადე მჭიდრო კავშირი დამემყარებინა ნ. მუსხელიშვილისა და ი. ვეკუას მხარდაჭერით საქართველოს მათემატიკურ დაწესებულებებთან ყოველწლიური მივლინებებით ნოვოსიბირსკიდან და თანაც გამომენახა შესაძლებლობა ნოვოსიბირსკიდან პირდაპირ თბილისში მუდმივ სამუშაოზე გადმოსასვლელად. ჩემი სამეცნიერო მოხსენებებისა და ლექციების ციკლები გამიზნული იყო იმისთვის, რომ შესაძლო წვლილი შემეტანა მათემატიკურ მეცნიერებაში საქართველოში. 1969 წლის დეკემბერში ამირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად მათემატიკის დარგში. თითქოს ამის საპასუხოდ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ხელმძღვანელობამ, ჩემთან შეუთანხმებლად, შესძლო გაეხსნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) ვაკანსია მათემატიკაში, ნავარაუდევო ჩემთვის. მე უარი განვაცხადე კენჭი მეყარა ამ ვაკანსიაზე იმის გამო, რომ არჩევნების დადებით შედეგს ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა ჩემი საბოლოოდ ციმბირში დარჩენა, რისი სურვილიც მე არ მქონდა (ამით სრულიადაც არ მინდა იმის თქმა, რომ ჩემი აღნიშნულ ვაკანსიაზე არჩევა გარანტირებული იყო).

მე და ჩემს მეუღლეს ნინა ალექსანდრეს ასულ ბიწაძეს (1924 წელს დაბადებულს, ეროვნებით ბელორუსს, ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის უცხო ენების კათედრის გამგეს, მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს) სურვილი გვაქვს გადმოვიდეთ საქართველოში სამუშაოდ. სამწუხაროდ, 1963 წელს ჩვენი მოსკოვის ბინა დავუბრუნეთ სახელმწიფოს, რაც თურმე სრულიადაც არ იყო აუცილებელი, რადგან ბინის ჯავშანი იყო უვადო. ჩვენი საცხოვრებელი ფართობი ნოვოსიბირსკში 100 კვ. მ რაოდენობით ცალკე კოტეჯის სახით არ შეიძლება გაიცვალოს სხვა ფართობზე ნოვოსიბირსკის გარეთ. კოპერატიული გზით ბინის შეძენის შესაძლებლობა ჩვენ არა გვაქვს.

მე და ჩემს მეუღლესაც ძალიან კარგად გვესმის ის გარემოება, რომ მუშაობის და ცხოვრების ისეთი პირობები, როგორც პარტიამ და მთავრობამ შეგვიქმნა ნოვოსიბირსკში, სხვაგან არსად არ გვექნება. მიუხედავად ამისა, თუ საქართველოს სამეცნიერო ან სასწავლო დაწესებულებათა შუამდგომლობის შემთხვევაში რესპუბლიკის ხელმძღვანელობა სასურველად სცნობს ჩვენს თბილისში სამუშაოდ გადმოყვანას და ამას არ მოჰყვება პირობების მკვეთრად გაუარესება¹⁸, გარწმუნებთ, რომ ჩვენი ასაკის შესატყვისად ყველა ზომას მივიღებთ, სარგებლობა მოვუტანოთ იმ საქმეს, რომელსაც მოგვანდობთ.

აკადემიკოს მ. ლავრენტიევთან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე ვიმედოვნებ, რომ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობა ჩემი და ჩემი მეუღლის ციმბირიდან წამოსვლას წინ არ აღუდგება.

პატივისცემით ა. ბიწაძე

კვირა, 7 თებერვალი 1971 წელი, ქ. თბილისი¹⁹

9 თებერვალს ეს წერილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. გოგიჩაიშვილის ხელით ჩემი თხოვნით ადრესატს გადაეცა. წერილზე პასუხს ველოდი თბილისში, სადაც ერთი კვირის შემდეგ ნ. მუსხელიშვილს უნდა ვსტუმრებოდი მისი დაბადების 80-ე წლისთავთან დაკავშირებით.

1971 წლის 1 თებერვალს დღის გაზეთებმა დაბეჭდეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება ნ. მუსხელიშვილის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ, სადამოს კი იუბილარმა ბინაზე წვეულება გადაიხადა. სტუმართა შორის იყვნენ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მოწინიძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კპ ცეკას კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხიკვიშვილი, ი. აბაშიძე, ს. დურმიშიძე, ნ. ვეკუა, ა. ხარაძე, რ. გამყრელიძე და სხვები. მათ შორის მეც (ი. ვეკუა, როგორც შემდეგ გამოირკვა, უღონოდ გრძნობდა თავს და ბინიდან ვერ გამოდიოდა).

თებერვლის ბოლომდე ველოდი თბილისში ვ. მჟავანაძის სახელზე გაგზავნილი ჩემი წერილის პასუხს, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ ყველაზე მეტ იმედებს ისევ ი. ვინოგრადოვზე ვამყარებდი, რომელმაც ოფიციალური წერილით მიმართა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს თხოვნით, სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგედ ჩემი დამტკიცების ნება დაერთოთ.

1971 წლის 12 მაისს ფოსტიდან გადმომცეს ბარათი შემდეგი წერილით:

Президиум Сибирского отделения Академии наук СССР¹⁹

ПОСТАНОВЛЕНИЕ

5 мая 1971 г.

№203

г. Новосибирск

Об изменении состава членов

Сибирского отделения АН СССР

¹⁸ როგორც ა. ბიწაძე ამბობდა, თბილისის აღმასკომის თავმჯდომარესთან მისი ვიზიტის დროს შ. ბუხრაშვილს სკამზე დაჯდომაც კი არ შეუთავაზებია (“ის იჯდა, მე კი ფეხზე ვიდექი”), ოროთახიანი ბინა დაპირდა და “მოწყალედ” დაამატა, რომ ბინა “ვაკეს და საბურთალოს არ გაცილდება”.

¹⁹ წერილი დაბეჭდილია ოფიციალურ ბლანკზე

Президиум Сибирского отделения Академии наук СССР ПОСТАНОВЛЯЕТ:

1. Согласно §12 Устава СО АН СССР рекомендовать Общему собранию Сибирского отделения Академии наук СССР вывести из состава членов Сибирского отделения члена-корреспондента АН СССР Бицадзе Андрея Васильевича в связи переходом его на другую работу за пределы Сибири.

2. За активное участие в создании Новосибирского научного центра и многолетнюю плодотворную научную и научно-исследовательскую деятельность объявить члену-корреспонденту АН СССР Бицадзе Андрею Васильевичу благодарность.

Председатель Сибирского отделения АН СССР

академик М. А. Лаврентьев

Зам. Главного учёного секретаря Президиума СО АН СССР

к. т. н. А. К. Романов

1971 wlis 20 agvistas akademiur qalaqSi Cems saxelze movida Semdegi werili:

АКАДЕМИЯ НАУК²⁰

Союза Советских Социалистических Республик

10 августа 1971 г.

Члену-корреспонденту АН СССР БИЦАДЗЕ А. В.

Глубокоуважаемый Андрей Васильевич!

Указом президиума Верховного Совета СССР от 20 июля 1971 г. № 1931 VIII Вы награждены орденом Ленина за большие заслуги в развитии советской науки и техники, внедрении результатов исследований в народное хозяйство, способствовавших успешному выполнению пятилетнего плана народного хозяйства СССР.

Президиум Академии наук СССР поздравляет Вас с правительственной наградой и желает здоровья, счастья и дальнейших творческих успехов.

Президент Академии наук СССР

академик М. В. Келдыш

И. о. главного учёного секретаря

Президиума Академии наук СССР

Член-корреспондент АН СССР Г. К. Скрыбин

1971 წლის 1 სექტემბრიდან მუშაობა დავიწყე კვლავ სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში ამჯერად უკვე განყოფილების გამგის თანამდებობაზე.

1972 წლის გაზაფხულზე მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკური ინსტიტუტის დირექციამ მიმიწვია პროფესორად და მომმართა თხოვნით, შეთავსებით დამეკავებინა ამ ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგის თანამდებობა. რამდენადაც ერთი ადმინისტრაციული თანამდებობა უკვე მეკავა, საჭირო გახდა საინჟინრო-ფიზიკური ინსტიტუტის წინადადებაზე ყოფილიყო სსრკ უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების მინისტრისა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის

²⁰ წერილი დაბეჭდილია ოფიციალურ ბლანკზე

ნებართვა. რექტორატმა შეძლო ამ თანხმობის მიღება და მეც შევუდექი შეთავაზებულ თანამდებობაზე მუშაობას.

მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკური ინსტიტუტში უმაღლესი მათემატიკის კათედრის საქმიანობა არსებით გარდაქმნას საჭიროებდა. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო მისი ისეთი ახალი კადრებით შევსება, რომლებიც წარმატებით ეწეოდნენ სამეცნიერო მოღვაწეობასაც. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მათემატიკაში სასწავლო პროგრამების გადახალისებას იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებსაც ცხოვრება ინჟინერ-ფიზიკოსებს უყენებდა.

ორივე ამ საკითხის გადაჭრა ძნელი აღმოჩნდა, მაგრამ წარმატებები ამ საქმეში განაპირობა რექტორატის კათედრისადმი სრულმა ნდობამ და მხარდაჭერამ. კათედრის ძირითად თანამშრომლებად მიიღეს 12 ახალგაზრდა მათემატიკოსი, რომლებმაც 1972 წელს წარმატებით დაიცვეს საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის 8 თანამშრომელს ამ კათედრაზე შეთავსებით მუშაობის ნება დართეს.

პროგრამების გადასახალისებლად ჩატარებული მუშაობა განიხილეს ინსტიტუტის მეთოდურ კონფერენციაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ინსტიტუტის ყველა კათედრის წარმომადგენლები და საბჭოთა კავშირის წამყვან უმაღლეს სასწავლებელთა მათემატიკის კათედრების გამგეები. ამ კონფერენციის შემდეგ კიდევ უფრო დაზუსტდა და დაიხვეწა ის პროგრამები, რომლებიც ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად დაამტკიცა და შეიყვანა ძალაში. მე ვითავე ამ პროგრამის საფუძველზე მათემატიკური ფიზიკის განტოლებათა კურსის შემუშავება და მისი რეალიზაცია.

1972 წლის ზაფხულზე ფინეთის ქალაქ იუვასკიულში შედგა ფუნქციათა თეორიისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მუშაობაში საბჭოთა კავშირიდან ვმონაწილეობდით მ. ლავრენტიევი, ი. ვეკუა, პ. ბელინსკი და მე. ერთსაათიანი შეკვეთილი მოხსენებით გამოვედი მხოლოდ მე. კონფერენციის მონაწილეებს ზეგეგმით აჩვენეს მ. ლავრენტიევის მიერ წადებული მეცნიერულ-პოპულარული ფილმი, რომელშიც გადაღებული იყო მიმართული აფეთქების გამოყენება სხვადასხვა შრომატევად სამუშაოთა შესრულებაში, ლითონთა შედუღებაში და ა. შ. ფილმს და მ. ლავრენტიევის კომენტარებს სადემონსტრაციო დარბაზში მყოფნი დიდი ინტერესით შეხვდნენ.

1971 წლის შემოდგომაზე საქართველოს ფილარმონიის შენობაში შედგა ნ. მუსხელიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. მ. ლავრენტიევის შესავალი სიტყვის შემდეგ იუბილარს მიესალმა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადასცა ვ. მჟავანაძემ. გულთბილი იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მ. კელდიშის გამოსვლა. იუბილეს დღეებში რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა ნ. მუსხელიშვილისადმი მიძღვნილი რამდენიმე წერილი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ყოველთვიურმა მეცნიერულ-პოპულარულმა ჟურნალმა “მეცნიერება და ტექნიკა” თავის IX ნომერში დაბეჭდა ჩემი წერილიც:

“ჩვენი დროის უდიდეს მეცნიერთა არც თუ ისეთ მრავალრიცხოვან რიგებში საპატიო ადგილი უკავია ქართველი ხალხის სასახელო შვილს ნიკო მუსხელიშვილს.

ამ მაღალი ნიჭის, ნათელი გონებისა და დაუშრეტელი ენერჯის მქონე ადამიანის მეცნიერულმა მოღვაწეობამ უწყვეტ სხეულთა მექანიკასა და მათემატიკურ ანალიზში

დიდი ხანია საერთაშორისო აღიარება პოვა და დიდების შარავანდედით შემოსა მისი სახელი.

მსოფლიოს ხალხთა რამდენიმე აკადემიის წევრი, ცნობილი ძველი უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, საერთაშორისო და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ნიკო მუსხელიშვილი დღეს აღიარებულია ზუსტ მეცნიერებათა ჭეშმარიტ კლასიკოსად.

როდესაც ნიკო მუსხელიშვილი მათემატიკასა და მექანიკაში საერთაშორისო და საკავშირო ყრილობების თუ კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობს, ის ყოველთვის დამსწრეთა ყურადღების ცენტრშია. ბევრ ცნობილ მეცნიერს ესახელება მასთან ფოტოსურათის გადაღება ან მასთან ერთად კინომოყვარულთა სახელდახელოდ გადაღებულ ფილმებში.

ეს მკვირცხლი, ენამახვილი და მეტად თავაზიანი ადამიანი ფართო საზოგადოებაშიც კი, არამეცნიერული ვითარების დროს, ყოველთვის საინტერესო და მიმზიდველია.

ნიკო მუსხელიშვილი, ეს ის პიროვნებაა, რომლის სახელის გაგონება ან რომელთაგან შეხვედრა ყოველთვის სასიამოვნო და სასურველია. აი, რატომ სურს ყველას მისი ჯანმრთელობა და დღეგრძელობა.

ნიკო მუსხელიშვილის ისევე როგორც ყველა დიდი ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენაა და მომავალი თაობებისთვის სამაგალითო და მისაბამია.

ნიკოს დედა — დარია ალექსანდრეს ასული საგინაშვილი — ფრიად განსწავლული და ქართული კულტურის მოყვარული ქალი, მამა — ივანე ლევანის ძე მუსხელიშვილი — მაღალი რანგის ცნობილი სამხედრო ინჟინერი ქართველ თავადაზნაურთა წოდებას ეკუთვნოდნენ...

სანკტ-პეტერბურგის სახელგანთქმული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენლის ნიკო მუსხელიშვილის საქართველოში მუდმივ სამუშაოზე გადმოსვლას (1920 წელი) დაუფასებელი მნიშვნელობა ჰქონდა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის.

ნიკო მუსხელიშვილს გიორგი ნიკოლაძეს, ანდრია რაზმაძესა და არჩილ ხარაძესთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში მათემატიკური კულტურის დანერგვის ფრიად საჭირო და საპატიო საქმეში. მის მიერ 40 წლის წინათ დაწერილი ლექციების კურსი ანალიზურ გეომეტრიასა და თეორიულ მექანიკაში ისე მაღალ მეცნიერულ და თანაც მოსწავლე ახალგაზრდობისთვის მისაწვდომ დონეზეა, რომ ამ დარგებში დღეისთვის არსებულ კურსთა შორისაც კი მათ სამართლიანად უკავიათ ერთ-ერთი პირველი ადგილი.

ჯერ კიდევ ბავშვობის დროს მე ბევრი რამ კარგი მსმენია ნიკო მუსხელიშვილზე, მაგრამ ის პირველად ვნახე 1935 წლის სექტემბერში, როდესაც თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტად ჩამრიცხეს. იმ დროს ნიკო მუსხელიშვილი ამ ფაკულტეტის დეკანი იყო. დეკანთან მისვლა მე არ მიცდია და ამას არც ვსაჭიროებდი, მაგრამ ყველა სტუდენტმა იცოდა, რომ ნიკო მუსხელიშვილის ნახვა სრულიად ადვილი იყო, რადგან დეკანატის კარზე ნაჩვენებ საათებში ის ყოველთვის დაუგვიანებლად მოდიოდა სამსახურში და თავაზიანად ღებულობდა მთხოვნელებს. სტუდენტებს გვიკვირდა კიდევ, რა სასჯელიც არ უნდა დაედო ნიკო მუსხელიშვილს სტუდენტისთვის (რასაკვირველია, ყოველთვის იყვნენ სტუდენტები, რომლებიც საკადრის სასჯელს იმსახურებდნენ), მასთან საუბარში ის

არამცთუ ხმას არ აუწევდა, არამედ დასჯილს მამა-შვილური დარიგებით მშვიდად ისტუმრებდა დეკანატიდან.

ისე მოხდა, რომ ნიკო მუსხელიშვილს ჩვენი ნაკადის სტუდენტებისთვის არც ერთი ლექცია არ წაუკითხავს, მაგრამ მის სახელს ყოველთვის მოწიწებით ვიხსენიებდით. ნიკო მუსხელიშვილის კარგად ცნობილ ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოებს რომ თავი დავანებოთ, ის რად ღირდა, რომ ყველა ჩვენგანი ოცნებობდა, როგორმე ხელთ ეგდო და გადაეწერა მისი ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა თეორიის ხელნაწერი ლექციები, წაკითხული თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტებისთვის.

1935 წლის გვიან შემოდგომაზე მათემატიკისა და მექანიკის სპეციალობათა 144ა და 144ბ ჯგუფის სტუდენტებს შეხვედრა მოგვიწყვეს ნიკო მუსხელიშვილთან. გვთხოვეს, ჯერ სტუდენტებს გველაპარაკა იმის შესახებ, თუ რატომ ავირჩიეთ დასახელებული სპეციალობანი, ან რა იყო ჩვენი ოცნების საგანი. ამ შეხვედრაზე მეც გამოვედი და აღვნიშნე, რომ “მათემატიკა მიზიდავს მისი შინაგანი ლოგიკური სიმკაცრითა და სილამაზით”. დამსწრე ახალგაზრდათა შორის ზოგიერთმა ეს სიტყვები, ალბათ სამართლიანად, მეტიჩრობაში ჩამომართვა და დამცინავად შემომხედა. გარდა სტუდენტებისა, სიტყვებით გამოვიდნენ ჩვენი ფაკულტეტის ასისტენტები და ასპირანტები. შეხვედრის დასასრულს სულ რამდენიმე სიტყვით მოგვმართა ნიკო მუსხელიშვილმა. იმ სიტყვების ზუსტად აღდგენა დღეს ჩემთვის შეუძლებელია, მაგრამ მათი ძირითადი შინაარსი სამუდამოდ დამრჩა მეხსიერებაში ასეთი სახით: მათემატიკოსები ისევე, როგორც სხვა დარგის სპეციალისტები, მოწოდებულნი არიან შემოქმედებითი შრომისთვის. ასეთ შრომას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც შემოქმედების პროცესთან განუყრელადაა დაკავშირებული პირადი სიამოვნების შეგრძნება. თუ შრომის ნაყოფი საჭირო აღმოჩნდება მეცნიერებისთვის, მაშინ ეს საერთო სახალხო საქმისთვის სამსახურია და ამის შეგნებას შემოქმედის სიამოვნება აღმაფრენაში გადაყავს.

ამ შეხვედრის შემდეგ სულ ჩქარა ნიკო მუსხელიშვილი ძირითად სამუშაოზე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში გადაიყვანეს.

ეს ის დრო იყო, როცა ნიკო მუსხელიშვილმა უწყვეტ სხეულთა მექანიკის მის სახელთან დაკავშირებული მეცნიერული მიმართულება — დრეკადობის მათემატიკური თეორიის ძირითადი ორგანოზომილებიანი ამოცანები — დასრულებულად მიიჩნია და თანამედროვე მათემატიკური ანალიზის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ახალი მიმართულების — ფუნქციათა თეორიის წრფივ სასაზღვრო ამოცანათა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის შექმნის სამზადისს შეუდგა.

30-იანი წლების საქართველოში ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა კუთხეში, ხასიათდებოდა შინაპოლიტიკური ბრძოლის გამწვავებით, რამაც მეცნიერებისა და კულტურის ზოგიერთ უბანზე დროებითი, მაგრამ მაინც საგრძნობი შეფერხება გამოიწვია. ნიკო მუსხელიშვილის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სწორედ ეს პერიოდი ითვლება ქართული მათემატიკური სკოლის მკვეთრი აღმავლობის დასაწყისად. ამ დროს ნიკო მუსხელიშვილის ინიციატივით ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდა მათემატიკოსები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით რამდენიმე წლით მიავლინეს მოსკოვისა და ლენინგრადის მათემატიკურ სამეცნიერო ცენტრებში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით თბილისში ფართოდ გაიშალა ღრმა მეცნიერული სემინარული მუშაობა მათემატიკური ფიზიკის ისეთ დარგებში, როგორცაა დრეკადობის თეორია, ნაწილობითწარმოებულიან დიფერენციალურ

განტოლებათა თეორია, ინტეგრალურ განტოლებათა თეორია და ა. შ. ამ ღონისძიებათა განხორციელებას შედეგად ის მოჰყვა, რომ სულ ჩქარა ათზე მეტმა ქართველმა მათემატიკოსმა მოიპოვა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხები და უკვე შესაძლებელი გახდა თბილისში მათემატიკისა და მექანიკის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერული თემატიკის გადრმავევა და გაფართოება.

1940 წლის შემოდგომაზე ნიკო მუსხელიშვილმა თბილისის მათემატიკის ინსტიტუტთან ჩამოაყალიბა სამეცნიერო-კვლევითი სემინარი ფუნქციათა თეორიის წრფივ სასაზღვრო ამოცანათა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის პრობლემურ საკითხებზე. თითქმის მთელი წლის განმავლობაში ამ სემინარის სხდომებზე განუწყვეტლივ გამოდიოდა ნიკო მუსხელიშვილი მის მიერ 30-იანი წლების ბოლოს ამ მიმართულებით მიღებული ფრიად მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ და თანაც მსმენელთა ყურადღების ცენტრში აქცევდა ჯერ კიდევ გადაუჭრელ რთულ მეცნიერულ საკითხებს, რომელთაგან ზოგიერთი იმ დროს მისთვისაც კვლევითი მუშაობის საგანი იყო.

დიდი სამამულო ომის წლებში ნიკო მუსხელიშვილის პირადი თავდადებული მეცნიერული შემოქმედების მაგალითით აღფრთოვანებულმა თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის კოლექტივმა ბრწყინვალე მეცნიერული შედეგები მიიღო, რომელთაგან დიდი ნაწილი რეგულარულად ხსენდებოდა ზემოაღნიშნულ სემინარს და ჯეროვანი მეცნიერულ-კრიტიკული განხილვის შემდეგ იბეჭდებოდა ჩვენი ქვეყნის წამყვან მათემატიკურ სამეცნიერო ჟურნალებში. ასე იქმნებოდა ნიკო მუსხელიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით თანამედროვე მათემატიკის უმნიშვნელოვანესი დარგი, რომელიც დღეს ანალიზურ ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანებისა და სინგულარული ინტეგრალური განტოლებების თეორიის სახელწოდებითაა ცნობილი.

23 წელზე მეტია, რაც საქართველოდან საკმარისად მოშორებით მომიწია ყოფნა, ამ ხნის განმავლობაში ხშირად არა, მაგრამ ყოველ წელს ორჯერ თუ არა, ერთხელ მაინც მიხდება ნიკო მუსხელიშვილთან შეხვედრა მოსკოვსა და თბილისში. მე ყოველთვის მოხიბლული ვარ მისი საქმიანობით, ზნეობრივი სიწმინდით, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით და, რაც მთავარია, მხნეობით იმ დაბრკოლებათა დამლევს პროცესში, რომლებიც სამწუხაროდ არც თუ იშვიათად თან სდევს დიდი ადამიანების მოღვაწეობას.

1971 წლის 16 თებერვალს ნიკო მუსხელიშვილს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. წელთა მსვლელობამ, მართალია, მასაც და ჩვენც, მის მოწაფეებსა და მოწაფეთა მოწაფეებს თმები გაგვიჭაღარავა, მაგრამ ერთი რამ მაინც სასიხარულოა: ნიკო მუსხელიშვილი დღესაც არა მარტო ცხოველი ინტერესით ადევნებს თვალყურს თანამედროვე მეცნიერების განვითარების მსვლელობას, არამედ ამ განვითარების პროცესის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა”.

1972 წლის მარტში 2 დღის განმავლობაში ნ. მუსხელიშვილის თხოვნით მასთან ვიმყოფებოდი თბილისში. მასპინძელმა საიდუმლოდ გამანდო თავისი გადაწყვეტილება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის შესახებ. მეორე დღეს ნ. მუსხელიშვილმა წამიკითხა თავისი წერილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე, რომელშიც დამაჯერებლად იყო დასაბუთებული მისი პრეზიდენტის თანამდებობიდან განთავისუფლების მიზანშეწონილობა და თანაც ამ ადგილზე რეკომენდაციას უკეთებდა ი. ვეკუას კანდიდატურას.

რამდენიმე თვის შემდეგ შედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო, პრეზიდენტისა და პრეზიდიუმის არჩევნებისადმი მიძღვნილი კრება. სიტყვა წინადადებისთვის მიეცა ვ. მუჟაანაძეს, რომელმაც კრებას გააცნო ცენტრალურ კომიტეტში ნ. მუსხელიშვილის შესული განცხადების შინაარსი და ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაცია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად ი. ვეკუას ასარჩევად. დახურული კენჭისყრის შედეგად გამოირკვა, რომ ი. ვეკუას კანდიდატურას ხმა მისცა ყველა ნამდვილმა წევრმა გარდა ერთისა. ამავე კრებამ ღია კენჭისყრით საპატიო პრეზიდენტად აირჩია ნ. მუსხელიშვილი. სამწუხაროდ ისე მოხდა, რომ ნ. მუსხელიშვილი აკადემიის პრეზიდიუმში არ აირჩიეს, ის მხოლოდ თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორად დარჩა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, არამეცნიერულ, არაოფიციალურ ვითარებაში ნ. მუსხელიშვილი მეტად ენამახვილი ადამიანი იყო, მაგრამ მის ხუმრობას ოხუნჯობასთან და მით უმეტეს ცინიზმთან არაფერი საერთო არ ჰქონდა.

მეცნიერებათა აკადემიის პირადი შემადგენლობა — ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები როგორც წესი ცნობილი მეცნიერებია. მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედების ისეთი არამეცნიერული დარგების თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორცაა ლიტერატურა, ხელოვნება, და ა. შ. გაერთიანებულნი არიან მწერალთა კავშირში, სამხატვრო აკადემიაში, კომპოზიტორთა კავშირში და სხვ., ზოგიერთ მათგანს მეცნიერებათა აკადემიაშიც ირჩევენ. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად თავის დროზე არჩეულნი იყვნენ მ. შოლოხოვი, ლ. ლეონოვი, კ. ფედინი და ა. შ. ეს ტენდენცია მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიებშიც გავრცელდა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად არჩეულნი იყვნენ გ. ტაბიძე, დ. არაყიშვილი, ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია, გ. ლეონიძე, ი. აბაშიძე, დ. შენგელაია და გ. აბაშიძე.

ნ. მუსხელიშვილი ყოველთვის ცდილობდა, შემთხვევითი პირები არ ყოფილიყვნენ არჩეულნი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში და ნაწილობრივ ამას კიდევაც აღწევდა. არჩევნების ჩატარების შემდეგ ის ზოგჯერ ვიწრო წრეში ხუმრობით იმეორებდა ხოლმე უკვე არჩეულ ნამდვილ წევრთა შესახებ სათანადო სპეციალისტთა შორის გავრცელებულ ხმებს. როცა კ. გამსახურდია 1944 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს, ნ. მუსხელიშვილმა იხუმრა:

“მწერალთა კავშირში ლექსი გამოუთქვამს ვიღაცას, —
“კანდიდს თუ არ გამსახურდი, კოსტაო,
ვერ ჰპოვ რიგებს აკადემიკოსთაო,
სოსოსავით დაგჭირდება მოცდაო;
ასე არის, რა ვქნათ, ჩემო კოსტაო”!

გ. ლეონიძესაც გამოუთქვეს ლექსი მისსავე კოლეგებმა:

“კარგი ლირიკოსი,
ცოტა კრიტიკოსი,
ქმარი ფეფიკოსი,
მამა თინიკოსი,
რითვინაო აკადემიკოსი”?

დიდი სამამულო ომის შემდეგ გამართულ წინასაარჩევნო კრებაზე ერთმა ამომრჩეველმა ნ. მუსხელიშვილს გულწრფელად უთხრა:

“Николай Иванович, ძალიან კარგი კაცი ბრძანდებით, მაგრამ თქვენი ერთი რამე არ მესმის”.

“სახელდობრ რა, ხომ ვერ მეტყვით?”

“ის, რომ პრეზიდენტობაზე უარს არ ამბობთ”.

“თქვენ მიგაჩნიათ, რომ აუცილებელია, უარი ვთქვა?”

“როგორ არ მიმაჩნია, როცა პრეზიდენტ ტრუმენისა და პრეზიდენტ ტიტოს ძაგება წამდაუწუმ მესმის”.

“მე მაგათ თანამდებობებს არავინ მთავაზობს, თორემ უსათუოდ ვიტყვოდი უარს”, — უპასუხა ნ. მუსხელიშვილმა.

1960 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მორიგი არჩევნების ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე მოსკოვიდან თბილისში საერთაშორისო ვაგონით მიემგზავრებოდნენ ნ. მუსხელიშვილი, კ. გამსახურდია და ი. აბაშიძე. ერთ კუპეში მყოფი კ. გამსახურდია და ი. აბაშიძე ქეიფობაში ატარებდნენ მგზავრობას. დილით, როცა მატარებელი საქართველოს ტერიტორიაზე შევიდა, ნ. მუსხელიშვილი თავის კუპედან გამოვიდა ფანჯრიდან გაჰყურებდა საქართველოს მთა-ველთა მშვენიერებას. ამ დროს ი. აბაშიძეც გამოვიდა თავის კუპედან, დაინახა ნ. მუსხელიშვილი, მივიდა მასთან და დილა მშვიდობისა უსურვა. საპასუხო მისალმების შემდეგ ნ. მუსხელიშვილმა ჰკითხა:

“ირაკლი, ხმა ხომ კარგადა გყავს?”

ი. აბაშიძე ცოტა შეიშმუნა და უპასუხა:

“ბატონო ნიკო, ქართულად აგრე არ იტყვიან, ხმა როგორ გაქვთო, ამბობენ”.

“ირაკლი, მე ეგ კარგად ვიცი, მაგრამ რამდენიმე დღეში აკადემიაში არჩევნები უნდა ჩავატაროთ და მე მხედველობაში კონსტანტინე გამსახურდია მყავს, რომლის ხმასაც თქვენთვის ალბათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება”.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ნ. მუსხელიშვილმა ღიმილით უთხრა მოსაუბრეს. სწორედ მაშინ აირჩიეს აკადემიკოსად ი. აბაშიძე.

1969 წლის არჩევნების დროს ერთ ვაკანტურ ადგილზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში წამოაყენეს ი. ანდრონიკოვისა და დ. შენგელაიას კანდიდატურები. ყველას, მათ შორის ნ. მუსხელიშვილსაც, ეგონა, რომ აღნიშნულ ადგილზე ი. ანდრონიკოვს აირჩევდნენ, მაგრამ აირჩიეს დ. შენგელაია. ამბობდნენ, რომ ამაში გადამწყვეტი როლი კ. გამსახურდიამ ითამაშა. არჩევნების შემდეგ ის პრეზიდენტთან მივიდა:

“Николай Иванович! ღმერთი, რჯული, მე ირაკლი ანდრონიკოვის გაშავება ამ არჩევნებზე არ მინდოდა, მაგრამ...”

“მაგრამ მაინც გააშავეთ, ხომ?”

“არა, ბატონო! მე რისი გამშავებელი ვარ. განყოფილების გამგეს უბრალოდ შეკითხვა მივეცი: “როცა ამხანაგი ანდრონიკოვი მოსკოვის პროფკავშირთა სვეტებიან დარბაზში გამართულ კონცერტში მონაწილეობას მიიღებს, თუ ის ჩვენი აკადემიის წევრად აირჩიეს, კონფერანსიე მისი ნომრის გამოცხადების დროს, საინტერესოა, როგორ იტყვის, — “თქვენს წინაშე გამოვა რსფსრ დამსახურებული მოღვაწე” თუ “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი”-მეთქი. ეს იყო და ეს”.

“ამხანაგო კონსტანტინე! მართლაც შეიძლება არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც თქვენ ალბათ მაგ საქმეში ბრალი არ მიგიძღვით. ამას წინათ ჩვენმა იურისკონსულტმა ა. საგინაშვილმა მითხრა, — “ერთმა მეგრელმა კაცმა თოკზე გამობმული ცხენი მოიპარა და როცა დაიჭირეს, სასამართლოში განაცხადა, — მე თოკი ვიპოვე გზაში და წავიღე, რა ვიცოდი, ჩემო ბატონო, რომ მას ცხენი მოყვებოდაო”. თურმე ეს განცხადება საკმარისი აღმოჩნდა, ცხენის ქურდი მკაცრად

არ დაესაჯათ. მე მგონი, თქვენი პოზიცია ამ საქმეში არაა უარესი, ვიდრე იმ მეგრელი კაცის”.

მკითხველმა არ იფიქროს, რომ აქ დასახელებულ სახელგათქმულ ადამიანებს ნ. მუსხელიშვილი პატივს არ სცემდა. პირიქით, მაგრამ სადაც ის სპეციალისტი არ იყო, უხეშად არ ერეოდა ადამიანთა ურთიერთობაში და მხოლოდ ხუმრობით ცდილობდა ყველას დარწმუნებას, რომ როცა საქმე აკადემიას ეხება, მას განურჩეველი პოზიციის დაკავება არ შეშვენის. როგორც წესი, მისი ხუმრობა მორალის სიწმინდის დასაცავად იყო გამიზნული. 1956 წელს ნ. მუსხელიშვილმა, როგორც სკკპ XX ყრილობის მონაწილემ, მოისმინა ნ. ხრუშჩოვის მოხსენება ი. სტალინის კულტის შესახებ. თავის გამოსვლაში ნ. ხრუშჩოვმა კერძოდ აღნიშნა, რომ ი. სტალინი იმასაც კი არ მოერიდა, რომ მეცნიერებს მოქრთამვის მიზნით საკუთარი აგარაკები, ავტომანქანები აჩუქა და დიდი ხელფასი დაუნიშნაო. მოხსენების შემდეგ ყრილობათა სასახლის ფოიეში რამდენიმე თავის კოლეგასთან საუბარში გართულ ნ. მუსხელიშვილს ერთმა საკმარისად მაღალი თანამდებობის პირმა მიმართა:

“Николай Иванович! როგორ მოხდა, რომ ი. სტალინს ქრთამს ართმევდით ჩვენი სახელგანთქმული მეცნიერები”?

“ქრთამის ამდებები ჩვენ არ ვართ, მაგრამ ამხანაგ სტალინისთვის როგორ გვეთქვა უარი”? — ღიმილით უპასუხა ნ. მუსხელიშვილმა.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის არჩევნების დროს პრეზიდიუმის შემადგენლობაში ნ. მუსხელიშვილს ყოველთვის ერთხმად ირჩევდნენ, გარდა ერთი შემთხვევისა, როცა ერთი ხმა წინააღმდეგ მიიღო. როცა ამ არჩევნების შედეგები გამოცხადდა და შესვენება მოეწყო, მეცნიერთა სახლის ფოიეში აკადემიკოსთა პატარა ჯგუფში მდგარ ნ. მუსხელიშვილთან ერთი აკადემიკოსი მივიდა:

“Николай Иванович! ამჯერად ერთი წინააღმდეგი რომ გყავდათ, უდავოა, ეს თქვენ იყავით, თორემ სხვა ვინ იკადრებდა, თქვენთვის ხმა არ მოეცა”?

“რამდენადაც მახსოვს, სხვა შემთხვევებში აკადემიის პრეზიდიუმის არჩევნებს თქვენ არ ესწრებოდით. არა მგონია, ამაში ვცდებოდე, რადგან მე ჩემი თავის წინააღმდეგი არასოდეს ვყოფილვარ”. მოსაუბრე ჯერ ვერ მიხვდა ნ. მუსხელიშვილის გადაკრულ სიტყვებს, შემდეგ გონს მოვიდა და იქაურობას მოშორდა.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ უმაღლესი საბჭოს წინასაარჩევნო კამპანიის დროს ნ. მუსხელიშვილი და მისი ნდობით აღჭურვილი პირი კახეთის ერთ-ერთ რაიონში ამომრჩევლებს შეხვდნენ. კრების შემდეგ მას და მის სტუმარს ბანკეტი მოუწყვეს. სადღეგრძელოებში ნ. მუსხელიშვილის მისამართით შესანიშნავი სიტყვები წარმოთქვეს. ერთმა ხნიერმა გლეხმა თამადის ნებართვით დეპუტატობის კანდიდატს კითხა:

“ბატონო ნიკო, ხომ არ შეიძლება გაგვაგებინოთ, რას აკეთებთ ისეთს, რომ თქვენს სახელს ყველა ქება-დიდებათ იხსენიებს”?

“ამაზე, მგონი, ყველაზე უკეთესად ჩემს ნდობით აღჭურვილ პირს შეუძლია გითხრათ”.

ნდობით აღჭურვილი პირი არ დაიბნა, აიღო ხელში სუფრის დანა, ოდნავ გალუნა, შემდეგ ხელი გაუშვა და თქვა:

“ხედავთ? მე დანა ოდნავ გავლუნე და გავუშვი თუ არა ხელი, ის კვლავ გასწორდა. სხეულთა ასეთ საიდუმლოებებს სწავლობს დრეკადობის თეორია, რომლის უდიდესი სპეციალისტია ჩვენი დეპუტატობის კანდიდატი”.

“მე კი მეგონა, რომ ნ. მუსხელიშვილი მართლა სერიოზული მეცნიერია. ის, რაც თქვენა ბრძანეთ, ამხანაგო ნდობით აღჭურვილო პირო, ჩვენც ვიცით”.

მდგომარეობა ნ. მუსხელიშვილმა შეამსუბუქა ხუმრობით:

“სინდისს გეფიცებით, მე მართლა სერიოზული კაცი ვარ. არასერიოზულობა მაშინ გამოვიჩინე, როცა ნდობით აღჭურვილ პირს თქვენს წინაშე ჩემს მეცნიერულ საქმიანობაზე ლაპარაკის ნება მივეცი”.

იყო დრო, როცა ნ. მუსხელიშვილს “არაკჩვევშინაში” დასდეს ბრალი. სწორედ იმ კრებაზე, სადაც ეს მოხდა, ერთმა მათემატიკოსმა ვითომდა ბრალდებულის დასაცავად განაცხადა:

“ნ. მუსხელიშვილი არაკჩვევს არა ჰგავს. ის მხოლოდ იმაშია დამნაშავე, რომ ხელს უწყობდა მეცნიერებათა აკადემიაში არაკჩვევის რეჟიმის შექმნას...”

ამ მათემატიკოსს ყოველთვის მხარს უჭერდა ა. ხარაძე. კრების დამთავრების შემდეგ ა. ხარაძე შევიდა პრეზიდენტის კაბინეტში, დაინახა, რომ ნ. მუსხელიშვილს მისი მეგობრები დამამშვიდებელ სიტყვებს ეუბნებოდნენ და თვითონაც უთხრა:

“ამხანაგო ნიკო! მე ვიცი, შენ ალბათ ჩემზედაცა ხარ ნაწყენი იმის გამო, რომ დღევანდელ თქვენს მოწინააღმდეგეთა შორის აღმოჩნდა ადამიანი, რომელსაც მე ყოველთვის ვიცავ. არა მგონია, რომ მის შეფასებაში ვცდებოდი, მაგრამ ყველაფერი ამჯერად სხვების გავლენით მოიმოქმედა. ხომ გაგიგონია ქართული ანდაზა — ხარი ხართან დააბი...”

“...და ორი ხარი იქნებაო, არჩილ, არა”? — დაასრულა არჩილის წინადადება ნ. მუსხელიშვილმა.

ერთხელ ნ. მუსხელიშვილი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში მიიწვიეს, საზეიმო ვითარებაში გადასცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატიო მუშაკის წიგნაკი და თანაც უთხრეს, ამ ცერემონიას თვითონ მინისტრი ვერ ესწრება, რადგან ერთი საგანგებო საქმის გამოა წასულიო.

“ხომ არ ნიშნავს ეს, რომ მეც მასთან უნდა წავიდე ამავე საგანგებო საქმის გამო”? — იკითხა ნ. მუსხელიშვილმა ხუმრობით.

ოქტომბრის რევოლუციის წლისთავთან დაკავშირებულ, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ მოწყობილ მიღებაზე ერთი ცნობილი მეცნიერის მეუღლე ნ. მუსხელიშვილთან მივიდა:

“ძალიან სასიამოვნოა, რომ აქ თქვენ გნახეთ, Николай Иванович. ჩემი მეუღლე უღონოდაა და ვერ შეძლო, ამ მიღებას დასწრებოდა. ხმას კი უვრცელებენ, რომ ის უკმაყოფილოა, აკადემიის პრეზიდენტობას რომ არ სთავაზობენ”.

“ამით ალბათ იმის თქმა გსურთ, რომ თქვენს მეუღლეს პრეზიდენტობა არა სურს”, — დაურთო ნ. მუსხელიშვილმა.

“როგორ გეკადრებათ, პრეზიდენტობა ვის არა სურს, მაგრამ სანამ თქვენ ცოცხალი ბრძანდებით...”

“თუ ფიქრობთ, რომ უკანასკნელ თქვენს სიტყვებს ჩემს სადღეგრძელოდ მივიღებ და მაღლობასაც მოგახსენებთ, ძალიან სცდებით. O, sancta simplicita~!²¹ — ჩაურთო ლათინურად ნ. მუსხელიშვილმა.

ნ. მუსხელიშვილის უკმაყოფილო ერთმა მეცნიერმა მას ძაგება დაუწყო საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირთან. ამ უკანასკნელმა ყველაფერი ეს ნ. მუსხელიშვილს გაანდო:

“ამას წინათ ერთმა თქვენმა კოლეგამ ისე გაძაგათ ჩემთან, რომ მთლად მიწასთან გაგასწორათ”.

²¹ “ო, წმინდაო უბრალოება”, _ იან ჰუსის სიტყვები, როდესაც მის დასაწვავ კოცონს ერთმა დედაბერმა ფიჩხი დააყარა.

“თქვენ რა უპასუხეთ?”

“მე ვუთხარი, თქვენ ალბათ ერთი ოცი წლით მაინც ხართ ნიკო მუსხელიშვილზე უმცროსი, მოიცადეთ და ვინ იცის, იქნებ მის მერე თქვენც გახდეთ-მეთქი აკადემიკოსი”.

“მან ალბათ სწორად გაიგო თქვენი პასუხი, არა?”

“დიახ, სწორად გაიგო, მაგრამ იცით, რა მითხრა?”

“არა, არ ვიცი”!

“მითხრა, ნიკო მუსხელიშვილი მარტო აკადემიკოსის წოდების გამო ხუთიათას მანეთს ღებულობს და მას რა მოკლავს ამის შემდეგ”.

“მე მგონი, სწორად უთქვამს. მაგისთანა ადამიანებს რეგალიები სიცოცხლეს უხანგრძლივებენო, ამბობენ”, — დაასრულა საუბარი ნ. მუსხელიშვილმა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრი, შემდგომში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ნ. მუსხელიშვილის სახელს ატარებს, პირველად შექმნილი იყო ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტთან ისე, რომ მისი დირექტორი ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ უნდა ყოფილიყო, ამ თანამდებობაზე კი გ. მანიას ასახელებდნენ. ნ. მუსხელიშვილმა ჯერ თანხმობა მისცა ამ კანდიდატურას, მაგრამ შემდეგ გ. მანია თავის კაბინეტში გამოიძახა და უთხრა:

“ამხანაგო მანია! ამ ადგილზე თქვენ ვერ დაგნიშნავთ”!

“აბა ვინ გინდათ, დანიშნოთ, Николай Иванович”?

“ვინ და დავით კვესელავა”.

“ალბათ იმიტომ, რომ მას ცეკაში უჭერენ მხარს, არა?”

“დიახ, თქვენ მართალს ბრძანებთ”.

“ისეთი ვინ ჰყავს ცეკაში დავით კვესელავას, რომ მისთვის ასე იდებთ თავს?” — იკითხა გ. მანიამ. ნ. მუსხელიშვილმა რუსულად უპასუხა:

«Разве вы не знаете, что у него в ЦК брат?»

იმის გამო, რომ ნ. მუსხელიშვილის მიერ წარმოთქმული ბგერა “რ” “ლ”-ს წააგავდა, გ. მანიამ თავი გადააქნია და ასე უპასუხა:

«Не ожидал, Николай Иванович, что вы, такой серьезный человек, тоже считаетесь с блатом», — და აღშფოთებული გავიდა კაბინეტიდან.

როცა ნ. მუსხელიშვილის ინიციატივა ჩემი თბილისში სამუშაოდ გადაყვანის თაობაზე უშედეგოდ დამთავრდა, მან რამდენიმე ქართველი კოლეგის თანდასწრებით მითხრა:

“ანდრო, ახლა, როგორც ხედავთ, არაფერი არ გამოგვივიდა, მაგრამ მომავალში მაინც შეეცადეთ, დაუბრუნდეთ სამშობლო მხარეს”!

“თუ მომავალშიც ასეთი წინააღმდეგობა აღიმართება ჩემს წინაშე ამ საქმეში, მაშინ რაღა აზრი აქვს ჩემი ცდის კვლავ გამეორებას”?

“აზრი როგორ არ აქვს. განა არ იცით, რომ საქართველოში ძალიან კარგი დასაფლავება იციან”?! — ნაღველნარევი ღიმილით მიპასუხა ნ. მუსხელიშვილმა.

მკითხველს შეიძლება ზედმეტად მოეჩვენოს აქ მოყვანილი ანეკდოტური ფაქტები ნ. მუსხელიშვილის ბიოგრაფიიდან, მაგრამ ამით მსურდა, მეჩვენებინა ის უბრალოება, რომელიც თან ახლდა ამ დიდი მეცნიერისა და ადამიანის ღრმა შინაარსიან ცხოვრებას.

მას შემდეგ, რაც ნ. მუსხელიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობიდან განთავისუფლდა და უკვე აქტიურად აღარ მონაწილეობდა საორგანიზაციო და საზოგადოებრივ საქმიანობაში, ფიზიკური

მოდუნება და ასაკი დაეტყო. მიუხედავად ამისა, ბოლომდე შერჩა ნათელი აზროვნების უბადლო უნარი. 1976 წლის 16 ივლისს უეცრად შეწყდა მისი მაჯისცემა. სამარესთან მის ნეშტს შემდეგი სიტყვებით გამოვესალმე:

“მვირფასო ნიკო! თქვენი მრავალრიცხოვანი მოწაფეების, თქვენს მიერ მშობლიური მზრუნველობით, სათნოებითა და სიყვარულით შექმნილი და საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანილი სამეცნიერო სკოლის დავალებით მძიმე ტვირთად მხვდა, უკანასკნელი, გამოსათხოვარი სიტყვით მოგმართოთ. თქვენ სასახელოდ განვლეთ ცხოვრების ხანგრძლივი, ღრმაშინაარსიანი და ლამაზი გზა. რა დიდხანსაც არ უნდა გეცოცხლათ, თქვენს სიკვდილს უდიდეს უბედურებად მივიჩნევდით და აი სწორედ ახლა, ასე უეცრად ეს უბედურება თავს დაგვატყდა. თქვენი სახით დღეს მსოფლიო მეცნიერების ცოცხალ კლასიკოსთა რიგებს გამოაკლდა ბრწყინვალე წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებას გამოეცალა ერთ-ერთი საიმედო და მძლავრი ბურჯი, ქართველმა ხალხმა დაკარგა ქართული მეცნიერების მთავარსარდალი.

თქვენ ამ ქვეყნიდან ისე წახვედით, რომ არამც თუ ვალი არ წაგყოლიათ, არამედ ყველა დავალებული დავრჩით თქვენს წინაშე. თქვენს მიერ შექმნილი, ახლა მეტად საჭირო და თანაც დიდი მომავლის მქონე მეცნიერული მიმართულებები თანამედროვე მათემატიკასა და მექანიკაში, თქვენი მეცნიერული მონოგრაფიები, რომლებიც მსოფლიოს ხალხთა ყველა დიდ ენაზეა გადათარგმნილი და სპეციალისტთა სამაგიდო წიგნებად ქცეული, თქვენი პირმშო — ქართული მათემატიკური სკოლა განაპირობებენ თქვენს უკვდავებას. დღეიდან თქვენ ეკუთვნით არა მარტო ისტორიას, არამედ ჩვენს აწმყოსა და კიდევ უფრო მეტად — მომავალს. უდავოა, რომ მეცნიერთა მომავალი თაობები განუწყვეტლივ განაგრძობენ მეცნიერულ სჯა-ბაასს თქვენთან, თითქოს ცოცხალთან, ჰპოვებენ თქვენს შემოქმედებაში სათანადო რჩევა-დარიგებებს, უტყუარ დიდმნიშვნელოვან ფაქტებს, შემდგომი კვლევა-ძიების საფუძვლებს... დღეს მთაწმინდის მიწა მიიბარებს თქვენს ნეშტს ნიშნად იმისა, რომ ქართველი ხალხის გულში სამარადისოდ დაიმკვიდროთ ბინა. მშვიდობა თქვენს ნეშტს ასე ამაგდარო, ყველასთვის სასიყვარულო და ჭეშმარიტად დიდო ადამიანო”.

ნიკო მუსხელიშვილის დაკრძალვას დაესწრო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო ე. შევარდნაძის მეთაურობით. დაკრძალვის შემდეგ სამგლოვიარო ცერემონიაში მონაწილე ჩამოსულ სტუმრებს ვახშმით გაუმასპინძლდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი. სუფრას ი. ვეკუა ხელმძღვანელობდა.

21 ივლისს დილის რეისით მოსკოვს გავფრინდი. თვითმფრინავში მოსვენებას არ მაძლევდა ფიქრი იმის შესახებ, რომ დიდ მეცნიერსა და ადამიანთან ერთად დავკარგე უმთავრესი იმ ძალთაგან, რომელნიც თბილისთან მაკავშირებდნენ.

ნ. მუსხელიშვილის გარდაცვალებამდე 3 თვით ადრე ქალაქ დარმშტადტში (გფრ) შედგა საერთაშორისო სიმპოზიუმი სახელწოდებით “ფუნქციათა თეორიის მეთოდები ნაწილობითწარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებებში”, რომლის მუშაობაში საბჭოთა კავშირიდან ვმონაწილეობდით ი. ვეკუა, ვ. კუპრაძე, ა. ჯურაევი და მე. ერთსაათიანი შეკვეთილი მოხსენებით საბჭოთა კავშირიდან მხოლოდ მე გამოვედი თემაზე “არაწრფივ ნაწილობითწარმოებულიან განტოლებათა ერთი კლასის შესახებ”. სასიამოვნო იყო ის გარემოება, რომ მომხსენებელთა უდიდესმა ნა-

წილმა ძირითად წყაროთა შორის მოწიწებით დაასახელა ნ. მუსხელიშვილის შრომები. სიმპოზიუმზე გამოტანილ მოხსენებებში არაერთხელ დაიმოწმეს ი. ვეკუას და ჩემი ნაშრომებიც.

დარმშტადტი ისტორიულად ჰესენის სამთავროში შედიოდა. ამ ქალაქის შემოგარენთა დასათვალისწინებლად მასპინძლებმა ექსკურსია მოგვიწყვეს. გვაჩვენეს ფეოდალური ეპოქის ციხე-სიმაგრე, ხის პატარა ეკლესია და “მკვდარ ხეთა პარკი”.

ციხე-სიმაგრე არაფრით არ გამოირჩეოდა შუა საუკუნეების გერმანული სადავდაცვო ნაგებობებისგან, რომელიც დაქსელილია სამალავებით, სანადიმო დარბაზებით, საიდუმლო გასავლელი ხვრელებით, დილეგით, თავის დროს ჯალათებისთვის განკუთვნილი საწამებელი იარაღებისა და მოწყობილობების კომპლექტებით სავსე ოთახით.

გორაკზე მდგარი ეკლესია 1919 წელს აუგიათ რუსული მართლმადიდებლური რელიგიური ნაგებობისთვის დამახასიათებელი სტილით. მისი მთავარი შესასვლელის მაღლა მოთავსებულია ზეთური ფერწერით შესრულებული ქალის ზედა ტანის პორტრეტი თავზე ორეოლით²². რამდენიმე წუთით ნახატს გაკვირვებული შევცქეროდი. ეს შენიშნეს ი. ვეკუამ, მისმა მეუღლემ თამარმა, ვ. კუპ-რამემ, ა. ჯურაევმა და ექსკურსიამძღოლმა და ისინიც შემომიერთდნენ. 1975 წლის შემოდგომაზე უზბეკეთში ყოფნის დროს მე და ჩემს მეუღლეს ნინას ხივის ყოფილი ემირის სასახლე და იქვე მოთავსებული მუზეუმი დაგვათვალისწინებინეს. გვიჩვენეს ამ მუზეუმის დახურული ფონდიც, რომელშიც სხვა ექსპონატთა შორის 1913 წელს იტალიელი მხატვრის მიერ ზეთის საღებავებით შესრულებული რუსეთის უკანასკნელი მეფის ნიკოლოზ მეორის ოჯახის წევრებისა და რასკუტინის პორტრეტებია მოთავსებული. ეს ყველაფერი გავიხსენე და ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ჰესენის მართლმადიდებლური ეკლესიის მთავარი შესასვლელის თავზე მოთავსებულ ნახატზე რუსეთის დედოფალი ალექსანდრა იყო გამოსახული. ამის თაობაზე ჩემს მიერ გამოთქმული აზრი სასაცილოდაც არ ეყოთ ჩემს კოლეგებს, სანამ ექსკურსიამძღოლმა არ მოგვახსენა, რომ “ეკლესია, რომელსაც ჩვენ ვათვალისწინებთ, აგებულია ჰესენის მთავრის ასულის (პრინცესას), რუსეთის იმპერატორის მეუღლის ალექსანდრას სულის საოხად, რომელიც მოწამეობრივი სიკვდილის შემდეგ სამშობლოში (ჰესენში) წმინდანად შერაცხეს და სწორედ მისი სახეა გამოსახული პორტრეტზე, რომელსაც ყურადღება მიაქცია საბჭოთა პროფესორმა”.

უცნაურად გამოიყურებოდა “მკვდარ ხეთა პარკი”, რომლის ტერიტორია სხვადასხვა ფორმის მუდამ მწვანე ხეების გაიშვიათებულ ტყეს ეკავა. ჩვენი დათვალისწინების ობიექტი სუროთი გარსშემორტყმული უკვე დამხრჩვალნი, მაგრამ ჯერ კიდევ ფეხზე მდგარი ხეები იყო, რომელთა შორის იელისა და როდოდენდრონის სხვადასხვა სახეობათა ჯგუფ-ჯგუფად გაბნეული ბუჩქები ყვაოდნენ. ამ პარკის შემხედვარეს გამახსენდა ბიჭვინთა, რომლის რელიქტური ფიჭვის ყოველ ხეს სურო შემოხვევია და ორი სხვადასხვა მცენარის ეს “სიმბიოზი” იქაურ მეტყველებს ფიჭვისთვის სასარგებლოდაც კი მიაჩნიათ.

ექსკურსიის შემდეგ ცოტა შევისვენეთ და რამდენიმე ავტობუსით მდინარე რაინის მთიანი ნაპირების დასათვალისწინებლად წაგვიყვანეს. უკვე ყვავილობდნენ ამ მდინარის გასწვრივ მთების ფერდობებზე შეფენილი ვენახის ზვრები. მზის ჩასვლისთანავე მექანიკური მოწყობილობების გამოყენებით ზვრებში ჩამწკრივებულ

²² ორეოლი (ლათ. aureolus _ მოოქროვილი; corona aureola _ მოოქროვილი გვირგვინი) _ რელიგიურ ხელოვნებაში შარავანდის გამოსახვა წმინდანის გარშემო.

ვაზებს კაპრონის საბურავები ჩამოაცვეს, რადგან ამინდის პროგნოზით მევენახეები ღამით სეტყვას მოელოდნენ. ამის მოწმეს მიკვირდა, რატომ მიაჩნიათ საქართველოში დასეტყვისგან საშიში პლანტაციების დაცვის ასეთი წესის გამოყენება საზარალოდ!

ვახშამი საკმაოდ მდიდარი რაინელი მეღვინის სარდაფში გაგვიმართეს. საბჭოთა და პოლონელი მათემატიკოსები ერთ სუფრას ვუსხედით. გემრიელ საჭმელებთან ერთად დასაჭაშნიკებლად 12 სხვადასხვა ფერისა და გემოს ღვინო მოგვართვეს. მერიქიფე ქალები სტუმართა სასმელ ჭიქებს ყოველი ჭაშნიკის წინ ავსებდნენ. თითოეულ მაგიდაზე იდგა ვერცხლისფერი საკმარისად დიდი თასი. მეზობელ მაგიდასთან მსხდომ სტუმრებს თვალი გადავაველე და მივხვდი, რომ ვისაც ჭიქიდან ღვინის მთლიანად შესმა არ სურს, შეუძლია ჭიქაში დარჩენილი ღვინო მაგიდაზე მდგარ ვერცხლისფერ თასში დაცალოს, ჭაშნიკის პროცესიდან არ გამოვიდეს და თანაც სიმთვრალე თავიდან აიცილოს. მეც სწორედ ასე ვიქცეოდი მიუხედავად იმისა, რომ ამის გამო ა. ჯურაევისგან შენიშვნა მუჯღუგუნის სახით მივიღე, ი. ვეკუა კი ყოველი ჭაშნიკის წინ ირიბულად მიყურებდა. ვახშმის დასასრულს ჩვენი მაგიდის ყველა წევრი ი. ვეკუას მეუღლის თამარისა და ჩემს გარდა მთვრალი აღმოჩნდა.

ამავე 1976 წლის ივლისის დამდეგს მე და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, უკრაინის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი ი. ა. მიტროპოლსკი ვმონაწილეობდით პირველი პანაფრიკული მათემატიკური კონგრესის მუშაობაში, რომელიც მაროკოს დედაქალაქ რაბათში შედგა. ამ კონგრესის 3000 მონაწილეთაგან 2000 აფრიკელი მათემატიკოსი იყო. ბევრმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მათ მიერ კონგრესზე გამოტანილი მეცნიერული შედეგები ნ. მუსხელიშვილის მეთოდების გამოყენებით მიიღეს. პირველი პანაფრიკული მათემატიკური კონგრესი მრავალმხრივ იყო საინტერესო. კონგრესის მუშაობაში საფრანგეთიდან 300-მდე მათემატიკოსი მონაწილეობდა. მრავალრიცხოვანი იყო საფრანგეთის ოფიციალური დელეგაციაც, რომელსაც საფრანგეთის მათემატიკური საზოგადოების იმდროინდელი თავმჯდომარე კაანე მეთაურობდა. ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ფრანგი მათემატიკოსის ჟან ლერეს მოხსენება საშუალო სკოლაში მათემატიკის სწავლების შესახებ. ჟ. ლერე დასაბუთებულად უარყოფდა საშუალო სკოლებში მათემატიკის სწავლებისას აბსტრაგირებისკენ მისწრაფებას, ყოვლად გაუმართლებლად მიიჩნევდა “ზურბაკიზმით” გატაცებას საერთოდ მათემატიკის სწავლების დროს.

გათვალისწინებული იყო, კონგრესის გახსნას დასწრებოდა მაროკოს მეფე ჰასან მეორე, რომელმაც კონგრესის ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფინანსება ითავა, მაგრამ იმის გამო, რომ ამ საქმეში კონგოსა და ტუნისის წვლილი მის წვლილს გაცილებით აღემატებოდა, კონგრესის გახსნაზე დასწრებას ატლასის მთებში სანადიროდ წასვლა ამჯობინა. ეს გადაწყვეტილება ჰასან მეორემ კონგრესის გახსნამდე ორი საათით ადრე მიიღო, როცა გაიგო, რომ ამ ცერემონიაზე მისი დასწრების შემთხვევაში უსათუოდ უნდა წაეკითხათ კონგოს სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის მისალმება კონგრესისადმი. რამდენადაც მაროკოს მეფე კონგრესის გახსნაში აღარ მონაწილეობდა, ეს მისალმება დელეგაციათა მეთაურებს მხოლოდ წერილობითი დოკუმენტის სახით დაგვირიგეს.

კონგრესის დახურვისას არააფრიკელი სახელმწიფოების მათემატიკოსთა დელეგაციების დავალებით მოკლე სიტყვით გამოვედი ფრანგულ ენაზე. კონგრესის დახურვის ცერემონია და ჩემი გამოსვლა ტელევიზიით იყო ტრანსლირებული.

რამდენადაც საფრანგეთი აფრიკის ჩრდილო, ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ სახელმწიფოებზე თავისი გავლენის შენარჩუნებას ცდილობს, ყველაფერს აკეთებს

იმისთვის, რომ ამ სახელმწიფოებში მეცნიერული კვლევისა და სასკოლო განათლების საქმე საფრანგეთში აღზრდილ, ფრანგული ორიენტაციის მქონე ზანგური წარმოშობის მესვეურთა ხელში აღმოჩნდეს. ეს აშკარად ჩანდა იმ მიღების დროსაც, რომელიც საფრანგეთის საელჩომ საფრანგეთის სამფლობელოში მოაწყო კონგრესის მონაწილეთათვის. ეს ულამაზესი ადგილი რაბათის ჩრდილოეთით მდებარე, ფლორითა და ფაუნით მდიდარი ნაკრძალია. ი. მიტროპოლსკისა და ჩემს მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა საფრანგეთის ელჩი მაროკოში. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევდა შეღებულ ქერათმიანი, ბალზაკურ ასაკს მიტანებული ქალი, რომელიც ფრანგულ ენასთან ერთად შესანიშნავად ფლობდა რუსულ ენასაც. ეს ქალი გახლდათ ცნობილი ექიმის აბრამ (ალექსანდრე) სოლომონის ძე ზალმანოვის ქალიშვილი ნადია, იმ ზალმანოვისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში მთავარ საკურორტო სამმართველოსა და ტუბერკულოზთან ბრძოლის სახელმწიფო კომისიას მეთაურობდა, შემდეგ ოჯახითურთ საფრანგეთში გადასახლდა და იქ 1964 წელს 89 წლის ასაკში გარდაიცვალა. ელჩი, მისი მეუღლე და ნადია ჩვენი ქვეყნის მიმართ გარეგნულად მეტად ლოიალურად იყვნენ განწყობილნი, მაგრამ აფრიკის ხალხთა “კულტურულ მოქცევაში” როგორც ადრე, ისე ახლაც და მომავალშიაც საფრანგეთის გავლენის უპირატესობისთვის ბრძოლის აუცილებლობას მაინც არ მალავდნენ. უხაროდან, რომ კონგრესზე დილით ჩატარებულ არჩევნებში მათემატიკოსთა საერთაშორისო კავშირის აფრიკის სექციის ხელმძღვანელობაში — აფრიკის მათემატიკოსთა ეროვნულ კომიტეტში ფრანგული ორიენტაციის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს, თუმცა არჩეულთა შორის საბჭოთა ორიენტაციის რამდენიმე მათემატიკოსიც აღმოჩნდა.

მუდამ მწვანე მცენარეებში ჩაფლული მაროკოს დედაქალაქი რაბათი ატლანტის ოკეანის ნაპირას პატარა გორაკებზეა შეფენილი. მისი მოსახლეობა ნახევარ მილიონზე ცოტა მეტია. ქალაქის შენობათა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მაროკოს მეფის ჰასან მეორის ხუთსართულიანი სასახლე. არავის არ აქვს უფლება (მათ შორის უცხო სახელმწიფოს საელჩოებსაც) ამ ქალაქში ორსართულიანზე მაღალი შენობა ჰქონდეს. ასე დაუწესებია ჰასან მეორის მამას მუჰამედ მეხუთეს. ამ უკანასკნელის სახელობის მეჩეთი მისი სამართურთ უცხო ქვეყნების დელეგაციებს კონგრესის დაწყებიდან მესამე დღეს კოლექტიურად დაგვათვალიერებინეს. მეჩეთში გამართული მუსულმანური რელიგიური ცერემონიის დამთავრების შემდეგ გვთხოვეს, შთაბეჭდილებათა წიგნში რამდენიმე სიტყვა ჩაგვეწერა. ი. მიტროპოლსკიმ ქართული ანდაზა, — “ყვავს ბახალა მოუკვდა და ბუს მიუგდო, დიდი თავი გაქვს და შენ იტირეო”, გაიხსენა და მაიძულა, ეს მძიმე მოვალეობა მე მომეხადა, შთაბეჭდილებათა წიგნში ასეთი წარწერა დავტოვე ქართულ ენაზე:

“მარადიულობა თქვენს ხსოვნას, მეორე მსოფლიო ომის დროს მაროკოს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელგანთქმულო მეთაურო მუჰამედ მეხუთევე!

მათემატიკოსთა პირველ პანაფრიკულ კონგრესზე საბჭოთა დელეგაციის სახელით: ა. ბიწამე”

კონგრესის დამთავრების შემდეგ მე და ი. მიტროპოლსკი კიდევ 2 დღე დავრჩით მაროკოში. საბჭოთა საელჩოს ავტომანქანით დაგვათვალიერებინეს მაროკოს ატლანტის ოკეანის სანაპირო რაბათიდან კასაბლანკამდე. მზიანი ამინდი იდგა და მომაჯადოებლად გამოიყურებოდნენ სანაპირო, მასზე მიმდებარე სუბტროპიკული ველები და კიდევ უფრო შორს ცადაზიდული ატლასის მთები მუდამთოვლიანი

მწვერვალებით. კასაბლანკა თავისი ორმილიონიანი მოსახლეობით აფრიკის სანაპიროს მთავარი საოკეანო ნავსადგურია. რაბათთან შედარებით მისი შენობები თვალს ცათამბჯენებად ეჩვენებიან. წარსულში ქალაქის ცენტრალური ნაწილი “მედინა”²³ დღესაც ძველებურად გამოიყურება თავისი მდიდრული მაღაზიებით, მეჩეთებით, ჯურღმულებით. ქუჩები და მაღაზიები სავსეა სხვადასხვა ქვეყნის მეზღვაურებით. ყოველგვარ მუსიკალობას მოკლებული რაბათის შემდეგ აქ მუდამ ისმის მუსიკა და სიმღერები სხვადასხვა ჰანგზე. ჩვენი მანქანის მძღოლმა შემოგვთავაზა, გაგვეგრძელებინა გზა კასაბლანკადან სამხრეთის მიმართულებით, მაგრამ რადგან იმ დროს დასავლეთი საქარის გამო სამხედრო შეტაკებები ხდებოდა ალჟირსა და მაროკოს შორის, კასაბლანკელმა პოლიციელებმა გვირჩიეს, ხელი აგველო ამ განზრახვაზე. აფრიკის ამ ნაწილში შექმნილი საომარი ვითარების გამო მაროკოს მთავრობამ ალჟირელ მათემატიკოსებს კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მიღების უფლება არ მისცა. საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასაც აეკრძალა კონგრესზე მათემატიკოსთა დელეგაციის გაგზავნა აპარტეიდის პოლიტიკის გამო.

დაბრუნების წინა დღე თავისუფალი გვქონდა და მე და ი. მიტროპოლსკი დიდხანს ვსეირნობდით რაბათის ქუჩებში. წიგნის მაღაზიები სავსე იყო პოლიტიკური, მხატვრული, მეცნიერული და ბულვარული ლიტერატურით სხვადასხვა ენაზე, მათ შორის რუსულზეც. მოქანცულებმა საღამოს ადრე დავიძინეთ, მეორე დღეს დილით სამშობლოში დავბრუნდით.

ნ. მუსხელიშვილის დაკრძალვაზე ჩემი თბილისში ყოფნის დროს, როგორც ჩემმა მეუღლემ შემატყობინა, ტელეფონით დაერეკა მ. ა. ლავრენტიევს და ეთხოვა, თბილისიდან დაბრუნებისთანავე მას დაეკავშირებოდა. 1975 წლის გვიან შემოდგომიდან მ. ა. ლავრენტიევს უკვე აღარ ეკავა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარისა და ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობები. მ. ა. ლავრენტიევი “საპატიო თავმჯდომარედ” დარჩა და მოსკოვში 1976 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა.

თბილისიდან დაბრუნებისთანავე ტელეფონით დავუკავშირდი მ. ა. ლავრენტიევს, რომელმაც წინადადება მომცა, ერთად მოგვენახულებინა მ. ვ. კელდიში, რომელიც ქალაქგარეთ კუნცევოში კრემლის საავადმყოფოში იმყოფებოდა. 25 ივლისს კარგი დარი იდგა და სწორედ ამ დღეს მ. ა. ლავრენტიევი და მე მ. ვ. კელდიშს ვესტუმრეთ. საავადმყოფოს ტყე-პარკში სეირნობის დროს მათ მოკლედ ვუამბე ნ. მუსხელიშვილის მთაწმინდაზე დაკრძალვის ცერემონიაზე, ორივე მათგანს მოკლედ გავაცანი ჟ. ლერეს მოხსენების შინაარსი და მის გარშემო გამართული კამათის მსვლელობა ივლისის დასაწყისში მათემატიკოსთა პანაფრიკულ კონგრესზე რაბათში. გარდა ამისა იმის გამო, რომ 1972-76 წლების განმავლობაში უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის მათემატიკაში ტელეკურსების საბჭოს მუშაობას ვხელმძღვანელობდი, იძულებული ვიყავი, 4 წლის განმავლობაში ყურადღების ცენტრიდან არ გამეშვა მათემატიკის სწავლების საქმე საშუალო სკოლაში და ვიცი, როგორ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ბოლო წლებში ჩვენი აბითურიენტები. იქნებ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ახალგაზრდობის მისწრაფება ფიზიკა-მათემატიკური და ტექნიკური მეცნიერებისკენ საგრძნობლად შენედა.

²³ არაბ. “მადინა” – ქალაქი

ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის ხანგრძლივ გზაზე პატივისცემა არსად ისე არ შემიგრძნია, როგორც მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკურ ინსტიტუტში. ეს გამოიხატებოდა არა მარტო ყოველწლიურად საპატიო სიგელებით დაჯილდოებაში თუ მადლობების ოფიციალურ გამოცხადებაში, არამედ ყოველდღიურ საქმიან კონტაქტში ამ დაწესებულების სტუდენტებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან და ხელმძღვანელობასთან. არასდროს არ დამავიწყდება მისი სტუდენტებით, ასპირანტებითა და ახალგაზრდა მეცნიერებით სავსე აუდიტორიები. პასუხისმგებლობას, სიხალისეს, ძალასა და ენერჯიას მმატებდა ის ყურადღება, რომლითაც ისინი ჩემს ლექციებს ისმენდნენ.

ჯერ კიდევ ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტში მუშაობის დროს დავრწმუნდი, რომ ახალ სასკოლო პროგრამებსა და ახალ სახელმძღვანელოებზე გადასვლის თუ სხვა უფრო ღრმა მიზეზების გამო გარკვეული შეფერხებები ხდებოდა საშუალო სკოლებში მათემატიკის სწავლებაში, რისი გამოძახილიც უდავოდ იგრძნობოდა უმაღლეს სასწავლებლებში. თანაც ამან გამოიწვია სამარცხვინო ფაქტი — რეპეტიტორთა და პროტექტორთა მასობრივი გამოჩენა სასკოლო-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. სწორედ ამ მოვლენებთან შებრძოლების მიზნით 1972 წლის შემოდგომაზე მე დავეთანხმე ტელეგადაცემებისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის თხოვნას, სათავეში ჩავდგომოდი მეთოდურ საბჭოს, რომელსაც უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის მათემატიკაში ტელეკურსების მუშაობა მაღალ დონეზე უნდა განეხორციელებინა. ამ საქმის მნიშვნელობა და საჭიროება ჩემთვის აშკარა გახდა მის შემდეგ, რაც ყოველწლიურად საბჭოს მისამართით გამოგზავნილ ათასობით წერილში ტელემსმენელები მადლობას უცხადებდნენ ტელეკურსების წამყვან ლექტორებს.

10 სექტემბერს, პარასკევს შედგა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკური განყოფილების ბიუროს გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა ა. ნ. კოლმოგოროვის მოხსენება ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ. სხდომას ესწრებოდნენ: ბიუროს ყველა წევრი მ. ა. ლავრენტიევისა და ა. ი. შირშოვის გარდა, განყოფილების ზოგიერთი წევრი (მათ შორის მეც), რამდენიმე პასუხისმგებელი მუშაკი სსრკ და რსფსრ განათლების სამინისტროებიდან და ა. ნ. კოლმოგოროვის მიერ სპეციალურად მოწვეული მათემატიკის 7 დამსახურებული მასწავლებელი მოსკოვიდან და მოსკოვის ოლქიდან.

ა. ნ. კოლმოგოროვმა თავისი მოხსენება შემდეგი თეზისების გარშემო ააგო: 1) ცხოვრებამ უარყო მათემატიკაში სასკოლო პროგრამების აგების ძველი პრინციპი და მის საფუძველზე შედგენილი სახელმძღვანელოები, 2) ფიზიკა-მათემატიკური სკოლების თითქმის 20 წლის პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ბავშვებს შესწევთ თანამედროვე მათემატიკის ათვისების უნარი, დაწყებული პირველი კლასიდან, 3) ძველი პროგრამებით მათემატიკის სწავლება არა თუ აფერხებს, არამედ კიდევაც ახშობს მოწაფეთა მათემატიკური აბსტრაგირებისადმი მისწრაფებას, 4) ახალი პროგრამებით სწავლების შედეგად ადვილად ხდება მათემატიკური ნიჭის დროულად გამოვლინება ისე, რომ ასეთი ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს უკვე საშუალო სკოლაში ექმნებათ მეცნიერულ-კვლევით მუშაობაში ჩაბმის შესაძლებლობა, 5) ახალი პროგრამებით მუშაობას მხოლოდ ის აფერხებს, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა არ ფლობს მათემატიკას იმ მოცულობით, რომელსაც ახალი პროგრამები მოითხოვენ, 6) რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს მასწავლებელთა გადამზადება ახალი

პროგრამების შესაბამისად, ხოლო ვინც ამ პროცესის წარმატებით გავლას ვერ შეძლებს, მათემატიკის მასწავლებლის თანამდებობიდან უნდა განთავისუფლდეს.

მოხსენებაში მოცემულ აღნიშნული თეზისების გაშუქებას თავიანთ გამოსვლებში აქტიურად დაუჭირეს მხარი დამსახურებულმა მასწავლებლებმა. განათლების მინისტრის გ. ა. პროკოფიევის სახელით წარმოთქმულ სიტყვაში მისმა მოადგილემ მკვეთრად დაუჭირა მხარი ა. ნ. კოლმოგოროვის ყველა წინადადებას და თანაც ეს ისეთი ტონით გააკეთა, რომ თითქოს ამ საკითხების გარშემო სჯა-ბაასის გაგრძელება საჭიროც აღარ იყო. გარეგნულადაც კი შეიმჩნეოდა, რომ განყოფილების ბიუროს წევრებზე როგორც მოხსენებამ, ისე მისი განხილვის დასაწყისში გამოსული სტუმრების სიტყვებმა აშკარად უარყოფითი შთაბეჭდილება დასტოვეს. ხანმოკლე პაუზა მ. ვ. კელდიშმა დაარღვია:

“თუ მინისტრმა — ამხანაგმა პროკოფიევმა ყველაფერი, რაც აქ მოგვახსენეთ, დასაბუთებულად სცნო, მაშინ მე აღარ ვიცი, ჩვენგან რა უნდა?”

“სასურველია, სსრკ მეცნიერებათა აკადემია საქმის კურსში იყოს, ჩვენ მეტი არაფერი გვინდა”, — უპასუხა მინისტრის მოადგილემ.

“მაშინ მე მსურს, გავიგო კოლმოგოროვისგან, წაიკითხა ახალი პროგრამები და სახელმძღვანელოები, თუ წაუკითხავად დართო მისი სახელის გამოყენების ნება მათ ავტორთა კოლექტივს?” — კვლავ იკითხა მ. ვ. კელდიშმა. ამ კითხვამ გარკვეული გამოცოცხლება შეიტანა სხდომის მსვლელობაში. ამით განაწყენებულმა ა. ნ. კოლმოგოროვმა იკითხა:

“რა საბუთით ეპარებათ ეჭვი ამხანაგებს, რომ მე ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების ერთ-ერთი ავტორი არა ვარ?”

“იმიტომ, რომ ისეთი კვალიფიკაციის მათემატიკოსი, როგორც კოლმოგოროვია, შეუძლებელია, ასეთი არამეცნიერული პროგრამებისა და მდარე სახელმძღვანელოების ავტორად მივიჩნიოთ”, — განმარტა მ. ვ. კელდიშმა.

ამ ადგილზე ა. ა. დოროდნიცინისა და ა. ნ. ტიხონოვის რეპლიკებიდან ჩანდა, რომ ისინი სავსებით ეთანხმებოდნენ მ. ვ. კელდიშის შეხედულებებს.

“რა მორალური უფლება აქვს ახლახან გამოსულ ამხანაგს, ჩრდილი მიაყენოს წამყვან მათემატიკოსთა მრავალი წლის კოლექტიური შემოქმედების შედეგად შემუშავებულ პროგრამებსა და მათ საფუძველზე შედგენილ სახელმძღვანელოებს?” — იკითხა ერთ-ერთმა დამსახურებულმა მასწავლებელმა.

“მე არ ვიცი, რომელ წამყვან მათემატიკოსებზეა აქ ლაპარაკი, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ მათი “შემოქმედების” ნაყოფის უვარგისობაში იმ გარემოებამ დამარწმუნა, რომ ჩემი შვილიშვილი ამ პროგრამებით გათვალისწინებულ მასალას ვერ ითვისებს ჩემი დახმარებითაც კი”.

“თქვენ ისეთი ვინა ხართ, რომ მაგით გაგვაკვირვოთ?” — შეუტია მ. ვ. კელდიშს დამსახურებულ მასწავლებელთა შორის ყველაზე ახალგაზრდამ.

“სამწუხაროა, რომ აქ დამსწრე ზოგიერთმა ამხანაგმა არ იცის, რომ შეურაცხყოფას აყენებს ჩვენი დროის უდიდეს მათემატიკოსს, თანამედროვე კოსმონავტიკის მთავარ თეორეტიკოსს, აკადემიკოს მსტისლავ ვსევოლოდოვიჩ კელდიშს”, — განმარტა ნ. ნ. ბოგოლიუბოვმა. მ. ვ. კელდიშის ხსენებაზე სტუმრები შეკრთნენ, უფრო მეტიც, გაფითრდნენ.

“ყველაზე სავალალო ისაა, რომ როცა ჩემი შვილიშვილისთვის კოლმოგოროვის სახელმძღვანელოდან სავარჯიშოდ მიცემულ ამოცანას გავეცანი, დავრწმუნდი, რომ ის სწორად არაა შედგენილი და თანაც ეს შემთხვევა ერთადერთი როდია”, — წარმოთქვა თავისებური სიდინჯითა და დამაჯერებლობით მ. ვ. კელდიშმა.

“ჩემს შვილიშვილებთან ერთად მათი გაკვეთილების გარჩევისა და მომზადების პროცესში მეც სწორედ ისეთივე შთაბეჭდილება დამრჩა ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე როგორც მსტისლავ ვსევოლოდოვიჩს”, — დაუმატა ნ. ნ. ბოგოლიუბოვმა. ეს აზრი თავიანთ გამოსვლებში დაადასტურეს ა. ა. დოროდნიცინმა და ა. ნ. ტიხონოვმაც.

“იმ მეცნიერთა შორის, ვისაც კოლმოგოროვის პროგრამები მოსწონთ, ვის დაგვისახელებდა აკადემიკოსი სობოლევია”? — იკითხა ლ. ს. პონტრიაგინმა.

“საბჭოთა კავშირის მათემატიკოსთაგან ეს პროგრამები ძალიან მოსწონდა ლიაპუნოვს. ამ პროგრამებით აღტაცებულნი არიან გნედენკო და მარკუშევიჩი”, — უპასუხა ს. ლ. სობოლევმა ლ. ს. პონტრიაგინს.

“უცხოელი მათემატიკოსებიდან ვინაა აღტაცებული ამ პროგრამებით”? — კვლავ იკითხა ლ. ს. პონტრიაგინმა.

“საკმარისია, დავასახელოთ პარიზის აკადემიის წევრი და ჩვენი აკადემიის საზღვარგარეთელი წევრი ჟან ლერე. ამაში რომ არ ვცდები, დადასტურება შეუძლია ამხანაგ ბიწამეს”.

ამ სხდომამდე სულ რამდენიმე დღის წინ ჟ. ლერესგან პარიზიდან მივიღე ზემოთ უკვე აღნიშნული, რაბათში გაკეთებული მისი მოხსენების ტოპოგრაფიული ტექსტი ფრანგულ ენაზე 5 ამონაბეჭდის სახით და პატარა წერილი, რომელშიც ის მთხოვდა, გამოგზავნილი ამონაბეჭდებიდან 4 საბჭოთა მათემატიკოსების ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის ი. მ. ვინოგრადოვის, ა. ნ. კოლმოგოროვის, ნ. ნ. ბოგოლიუბოვისა და ს. ლ. სობოლევისთვის დამერიგებინა. რადგან ს. ლ. სობოლევმა კამათში მონაწილეობის მისაღებად გამომიწვია, ოთხივე ამონაბეჭდი სხდომაზე მყოფ ადრესატებს გადავეცი და თანაც ნ. ნ. ბოგოლიუბოვს, რომელიც ძალიან კარგად ფლობს ფრანგულ ენას, ვთხოვე, ამ სხდომაზევე რუსული თარგმანის სახით წაეკითხა ჟ. ლერეს მოხსენების შინაარსი. ნ. ნ. ბოგოლიუბოვმა ეს დიდი წარმატებით შეასრულა 45 წუთის განმავლობაში.

ამავე საკითხის უფრო დეტალურად განსახილველად მოგვიანებით 1979 წლის შემოდგომაზე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკურმა განყოფილებამ ი. პროხოროვის ხელმძღვანელობით ჩაატარა სპეციალური გაფართოებული სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ყველა დაინტერესებულ უწყებათა 200-მდე წარმომადგენელი. მოხსენებით გამოვიდა კვლავ ა. ნ. კოლმოგოროვი, თანამოხსენებით კი — ა. ნ. ტიხონოვი. კამათში გამოსულთა უმრავლესობამ მკვეთრად გააკრიტიკა ა. ნ. კოლმოგოროვის მეთაურობით შედგენილი სასკოლო პროგრამები და სახელმძღვანელოები მათემატიკაში. ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლებაში შექმნილი მდგომარეობის შესწავლისა და ამ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის სათანადო ღონისძიებათა შესამუშავებლად განყოფილების სხდომის გადაწყვეტილებით შეიქმნა 3 კომისია ი. მ. ვინოგრადოვის, ა. ნ. ტიხონოვისა და ა. ნ. კოლმოგოროვის ხელმძღვანელობით.

ჩემი ცხოვრების ძირითადი მიზნის — მათემატიკური სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის შესახებ მოგონებებში არაფერს არ ვწერ. ამაზე წარმოდგენა შეიძლება შეექმნას მხოლოდ სპეციალისტს სამეცნიერო ლიტერატურაში დაბეჭდილი ჩემი შრომების საფუძველზე. გარკვეული ქრონოლოგიური მიმდევრობით აქ მოყვანილი ფაქტები ძალზე ზოგადი ფორმით ასახავენ ჩემი დროის მათემატიკოსთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ჯერ კიდევ 1975 წლის დასასრულს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიწვევით მონაწილეობა უნდა მიმეღო კარლ ფრიდრიხ გაუსის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომის მუშაობაში, რომელიც 1977 წლის დასაწყისში უნდა შემდგარიყო ბერლინში. ამ დროისთვის მე უკვე ვამთავრებდი ფარდობითობის ზოგადი თეორიის აინშტაინის განტოლებათა სისტემის ერთი ვარიანტის ზუსტი აგებისადმი მიძღვნილ ჩემს გამოკვლევას. მიღებული შედეგები 1976 წლის ოქტომბრის ბოლოს მოსკოვში ნაწილობრივ მოვახსენე ა. ნ. ტიხონოვის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმს.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილებით 1972 წლიდან დავალეული მქონდა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მათემატიკოსებს შორის მათემატიკურ ანალიზში თანამშრომლობის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა საბჭოთა კავშირის მხრიდან. ეს თანამშრომლობა კარგად წარმართა, თუმცა პირადად მე შესაძლებლობა არ მქონდა, რეგულარულად მიმეღო მონაწილეობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამ მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებში მიუხედავად იმისა, რომ სათანადო მიწვევებს ყოველთვის დროულად ვღებულობდი.

1877 წლის იანვარში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის უცხო ქვეყნებთან ურთიერთობის სამმართველომ აკადემიის პრეზიდიუმის მითითებით მომთხოვა მონაწილეობის მიღება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაგეგმილ 2 მეცნიერულ ღონისძიებაში: უდიდესი გერმანელი მათემატიკოსის კ. ფ. გაუსის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო საიუბილეო სხდომებში 1977 წლის 21-22 აპრილს ბერლინში და ელიფსური ტიპის განტოლებებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმში 1977 წლის 10-15 ოქტომბერს ქალაქ როსტოკში.

1977 წლის 19 აპრილს გაუსის საიუბილეო ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად ბერლინში გაფრინდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია ა. ნ. ტიხონოვის (დელეგაციის ხელმძღვანელი), ა. ვ. პოგორელოვის, ვ. ა. კრატის, ა. ნ. პუმპოვის, ბ. ი. დევიატოვის (დელეგაციის მდივანი) და ჩემი შემადგენლობით. 21 აპრილს საიუბილეო სხდომის პირველ ნაწილში გერმანულ ენაზე გამოვედი შეკვეთილი მოხსენებით თემაზე “მაქსველ-აინშტაინის განტოლებათა ზუსტი ამოხსნების აგება”. საიუბილეო დღეებში გერმანულ მეცნიერთა მოხსენებებიდან ბევრი საინტერესო, ადრე ჩემთვის მიუწვდომელი ცნობები შევიტყვე კ. ფ. გაუსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. XIX საუკუნის ეს უდიდესი მათემატიკოსი ალექსანდერ ჰუმბოლდტს მიაჩნდა იმ ტიტანად, რომელმაც მათემატიკის გამოყენებით რევოლუცია მოახდინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ისეთ დარგებში, როგორცაა ფიზიკა, ასტრონომია, გეოდეზია, გეომაგნეტიზმი და ა. შ. მამამისი, სასკოლო განათლებას ოდნავ ნაზიარები ბრაუნშვაიგელი კალატოზი, ქვაფენილების დაგებითა და მეზალობით გაჭირვებით ძლივს არჩენდა თავის პატარა ოჯახს, ხოლო საშინაო საქმეებით მუდამ დაკავებული დედა დამარცვლით კითხულობდა გერმანულ ენაზე გოტური ასოებით დაბეჭდილ ტექსტებს, წერას კი სრულიად ვერ ახერხებდა. ალბათ ანეკდოტს უფრო ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს გადმოცემები იმის შესახებ, რომ 3 წლის კარლ ფრიდრიხმა მამას მისი და ქვაფენილის დამგებ მის თანამშრომელთა ხელფასების ცხრილში დაშვებული შეცდომები გაუსწორა, ხოლო 9 წლის ასაკში მომენტალურად აჯამებდა ნატურალურ რიცხვთაგან შედგენილ პროგრესიებს. დოკუმენტურად დადასტურდა ცნობა, რომ ფილოლოგიასა და მათემატიკაზე ერთნაირად შეყვარებულმა ახალგაზრდა გაუსმა მოულოდნელად უპირატესობა მათემატიკას მიაჩიქა და ის თავისი შემოქმედების ძირითად ობიექტად

აქცია. სამყაროს მათემატიკური სურათის შექმნის საქმეში ალბათ არც ერთ მეცნიერს იმდენი არ გაუკეთებია, რამდენიც გაუსს. გეტინგენის “შვიდეულში” (რომელშიაც, სხვათაშორის, ფიზიკოსი ვებერი და ძმები გრიმები შედიოდნენ) ცისკრის ვარსკვლავად ანათებდა გაუსის სახელი. გაუსის ფუნდამენტური შრომების გარეშე წარმოდგენილია თანამედროვე მათემატიკის ისეთი დარგები, როგორცაა რიცხვთა თეორია, ალგებრა, ანალიზი, გეომეტრია, გამოთვლითი მათემატიკა, ალბათობათა თეორია და მათემატიკური სტატისტიკა. თუმცა გაუსს მეცნიერული სკოლის მამამთავრად არ თვლიდნენ, მაგრამ სახელგანთქმული მათემატიკოსები რიმანი და დედეკინდი და კარგად ცნობილი ასტრონომი ენკე მას თავის საყვარელ მასწავლებლად მიიჩნევდნენ. დიდი ოჯახის (4 ვაჟისა და 2 ქალის) მამას კ. ფ. გაუსს მატერიალურად უძნელდებოდა ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ამის გამო პრინციპში მიიღო რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წინადადება სანკტ-პეტერბურგში სამუშაოდ გადასვლაზე, სადაც აკადემიის წევრებისთვის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის შესანიშნავი პირობები იყო შექმნილი. როცა ამის შესახებ პატარ-პატარა სახელმწიფოებად დაქუცმაცებული გერმანიის გავლენიანმა მესვეურებმა შეიტყვეს, სწრაფად გაუუმჯობესეს ფინანსური მდგომარეობა გაუსის ოჯახს, რის შედეგადაც ის გეტინგენს უკვე აღარ გაცილებია.

მეცნიერებაში განსაკუთრებული დამსახურების ნიშნად გაუსი რუსეთის საიმპერიო აკადემიამ ერთხმად აირჩია თავის წევრ-კორესპონდენტად 1802 წლის 31 იანვარს და საპატიო წევრად — 1824 წლის 24 მარტს.

გაუსის დაბადებიდან 200 წლისთავზე საიუბილეო კომიტეტმა დააწესა მაისენის ფაიფურისგან დამზადებული მედალი სიგელითურთ. 1977 წლის 21 აპრილს დიდად კმაყოფილი ვიყავი იმით, რომ მეცნიერთა შორის, ვისაც წილად ხვდა ეს მეტად საპატიო ჯილდო, მეც აღმოვჩნდი.

1977 წლის 2 დეკემბერს თბილისში თავის ბინაზე ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ი. ვეკუა. საკავშირო პრესაში გამოქვეყნებული ნეკროლოგი ი. ვეკუას შესახებ, რომელსაც პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად რამდენიმე ცნობილი მეცნიერიც აწერდა ხელს (ქართველი მეცნიერებიდან ხელს აწერდნენ ა. ნ. თავხელიძე და ე. კ. ხარაძე), ჩემს მიერ იყო შედგენილი. დაკრძალვას ვესწრებოდი, როგორც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციის წევრი. ი. ვეკუა დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში ნ. მუსხელიშვილის გვერდით.

1978 წლის განმავლობაში გეგმით გათვალისწინებული იყო, მონაწილეობა მიმელო 3 საერთაშორისო მეცნიერულ ღონისძიებაში: მათემატიკოსთა ჰელსინკის საერთაშორისო კონგრესში, ლეონ ლიხტენშტაინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კოლოქვიუმში ლაიპციგში და ბანახის ცენტრის საშემოდგომო სემესტრში ნაწილობითწარმოებულთან დიფერენციალურ განტოლებებში ვარშავაში.

2 აგვისტოს ი. მ. ვინოგრადოვმა მიმიხმო თავის კაბინეტში და გამაცნო შემდეგი წერილის შინაარსი:

02.08.1978

Директору Ордена Ленина Математического
института им. В. А. Стеклова академику
ВИНОГРАДОВУ И. М.

Глубокоуважаемый Иван Матвеевич!

В Президиуме Академии наук Грузинской ССР хорошо известно, что вы неизменно интересовались судьбами математической науки в Грузии и лично способствовали её развитию у нас.

За последние годы нас постигли тяжёлые утраты, которые не могут не оказать отрицательного влияния на дальнейшее состояние математических исследований в республике, если не прибегнуть к особым мерам.

В качестве одной из таковых мы хотели бы теснее связать с нашими математиками члена-корреспондента АН СССР Андрея Васильевича Бицадзе, состоящего в составе действительных членов АН Грузинской ССР. При этом руководящие органы республики готовы предложить ему руководство Институтом прикладной математики им. И. Н. Векуа при Тбилисском гос. университете, по совместительству, в случае Вашего согласия.

Обращаюсь к Вам с просьбой разрешить чл.-корр. АН СССР Андрею Васильевичу Бицадзе совместить с основной работой в вверенном Вам институте работу в Тбилиси.

Президент АН Грузинской ССР
академик АН ГССР

Е. К. Харадзе

ამასთან ერთად ი. მ. ვინოგრადოვმა შემომთავაზა მისი საპასუხო წერილის წაკითხვა:

Академия наук СССР²⁴
ОРДЕНА ЛЕНИНА
МАТЕМАТИЧЕСКИЙ ИНСТИТУТ
имени В. А. Стеклова

05.09.1978 г. 111102

Президенту АН Грузинской ССР академику Е. К.
Харадзе

Глубокоуважаемый Евгений Кириллович!

Я полностью поддерживаю Ваше предложение о привлечении к более активной работе в Грузии члена-корреспондента АН СССР А. В. Бицадзе, в частности, о назначении его директором Института прикладной математики им. И. Н. Векуа по совместительству.

Поэтому при переговорах с официальными инстанциями Вы можете опираться на мою поддержку.

С уважением

Директор Математического института АН СССР

²⁴ წერილი დაბეჭდილია ოფიციალურ ბლანკზე

ჩემი თანხმობის შემდეგ ეს წერილი დაუყოვნებლივ გაეგზავნა ადრესატს.

1978 წლის 15-23 აგვისტოს გაიმართა ყველაზე დიდი სამეცნიერო ფორუმი, რომელიც ოდესმე ჩატარებულა ფინეთში — მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესი. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ 5000-მდე მათემატიკოსი. საბჭოთა კავშირი ამ კონგრესზე წარმოდგენილი იყო 15 დელეგატისა და (დელეგაციის მეთაური ლ. ს. პონტრიაგინი) და 60 მეცნიერ-ტურისტის სახით (ტურისტულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ნ. მ. ოსტიაწუ).

მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესებს საკმარისად ხანგრძლივი ტრადიცია აქვთ. პირველად ასეთი კონგრესი 1897 წელს ციურიხში შედგა, მეორედ კი — 1900 წელს პარიზში. პარიზის კონგრესზე დ. ჰილბერტი გამოვიდა შემაჯამებელი მოხსენებით, რომელშიც ჯერ კიდევ გადაუჭრელი, შემდეგში “ჰილბერტის პრობლემების” სახელით ცნობილი პრობლემები წამოაყენა. ამავე კონგრესზე მიიღეს ასეთი ღონისძიებების პერიოდულად, ყოველი 4 წლის შემდეგ ჩატარების გადაწყვეტილება. ეს წესი ორი მსოფლიო ომის სახით კაცობრიობაზე თავდამტყდარმა უბედურებამ დაარღვია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იუნესკოსთან შეიქმნა მათემატიკოსთა საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესების მოსამზადებლად სპეციალურ საკონსულტაციო კომიტეტებს ნიშნავს. 1974 წელს შექმნილ საკონსულტაციო კომიტეტში შედიოდნენ აშშ 2 წარმომადგენელი და სსრკ, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთის, საფრანგეთის და ფინეთის თითო წარმომადგენელი. ამ კომიტეტმა დაგეგმა ჰელსინკის კონგრესი 19 სექციის (პანელის) სახით, რომლებიც თანამედროვე მათემატიკის ყველა დარგს მოიცავდნენ. ჰელსინკის კონგრესის პლენარულ და სექციურ სხდომებზე მოხსენებების წასაკითხად მოწვეული იყო 137 მომხსენებელი.

მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესებზე წარმოებს ე. წ. ფილდსის მედლებით დაჯილდოება იმ ახალგაზრდა მათემატიკოსებისა, რომლებმაც განსაკუთრებული წარმატება მოიპოვეს მათემატიკური კვლევის საქმეში. რამდენადაც ნობელის პრემია მათემატიკოსებისთვის განკუთვნილი არაა, მათემატიკაში შესრულებული დიდი აღმოჩენების აღსანიშნავად დაწესებულია უმაღლესი საერთაშორისო ჯილდო, იმის გათვალისწინებით, რომ დაჯილდოებული მათემატიკოსის ასაკი 40 წელს არ უნდა აღემატებოდეს. 1924 წელს კანადის ქალაქ ტორონტოში ჩატარებულ მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე კანადელმა მათემატიკოსმა ჯონ ჩარლზ ფილდსმა, რომელიც კონგრესის მუშაობას ხელმძღვანელობდა, წამოაყენა წინადადება, ყოველ მორიგ კონგრესზე სპეციალური ჯილდო დაწესებულიყო. ეს წინადადება 1932 წელს ფილდსის გარდაცვალების შემდეგ მიიღეს. სწორედ ამ დროიდან დაწესდა ფილდსის მედალი. საკითხს, თუ ვის უნდა მიენიჭოს ფილდსის მედალი, წყვეტს საკონსულტაციო კომიტეტი. ჰელსინკის კონგრესზე გადაიკა ფილდსის ოთხი მედალი ფულადი პრემიით. მედლები მიანიჭეს პიერ დელინს (ბელგია), ჩარლზ ფეფერმანს (აშშ), ქვილინს (საფრანგეთი) და გ. მარგულისს (სსრკ). მიიღეს დადგენილება მორიგი კონგრესის პოლონეთში ჩასატარებლად.

ჰელსინკიდან მოსკოვში დაბრუნებისთანავე იძულებული ვიყავი, სასწრაფოდ შემეკრიბა ბანახის ცენტრის 1978 წლის შემოდგომის სემესტრის მოსამზადებელი კომიტეტი მოსკოვში. 16 სექტემბერს გავემგზავრე ვარშავაში, სადაც 18 სექტემბერს დილის 10 საათზე 15 წუთზე დაიწყო სემესტრის მუშაობა ჩემი მოხსენებით თემაზე “ტალღური მოძრაობები ცვლადი სიმკვრივიანი სითხის ზედაპირზე”. იმის გამო,

რომ საბჭოთა კავშირში ბევრი საქმე მელოდებოდა, სემესტრის ხელმძღვანელობა გადავეცი ადგილობრივ კომიტეტს ჩემი მოადგილის პროფესორ ბ. ბოიარსკის მეთაურობით და ოქტომბერში დავბრუნდი სამშობლოში.

საქართველოდან არაფერი არ ისმოდა ჩემი თბილისში შეთავსებით მუშაობის თაობაზე და გადავწყვიტე, შემდეგი წერილი გამეგზავნა თბილისში:

Первому секретарю ЦК КП Грузии товарищу
Шеварднадзе Э. А.

Дорогой Эдуард Амвросиевич!

В апреле 1978 г. Академик Харадзе Е. К. сообщил мне ваше мнение о целесообразности усиления моих научных контактов с математическими научными учреждениями Грузии, на что я сразу дал своё согласие. Убедённый в том, что Ваше мнение искренне поддерживают ряд ведущих математиков и математическая молодёжь Грузии, я взял на себя инициативу обсуждать с академиком Е. К. Харадзе и с ректором ТГУ профессором Д. И. Чхиквишвили вопрос об отыскании формы моего активного участия в математической жизни республики.

В начале лета указанные выше ответственные товарищи предложили мне занять пост директора Института прикладной математики ТГУ, пока по совместительству. Хотя я всегда избегал административных должностей, но на этот раз моё согласие было получено. В связи с этим с первого июля я оставил работу по совместительству в Московском инженерно-физическом институте, а уйти со своей основной работы заведующего отделом уравнений в частных производных Математического института им. В. А. Стеклова, куда был переведён в 1971 г. из Новосибирска по особому решению Президиума АН СССР, я морально не вправе без подходящей замены.

На просьбу академика Е. К. Харадзе на имя директора Математического института им. В. А. Стеклова АН СССР академика Виноградова И. М., чтобы мне было разрешено совмещать свою работу в Тбилиси имеется положительный ответ. Однако, Президиум АН СССР не может оформить моё совместительство без письменной санкции вышестоящих органов.

Создавшееся положение своей неопределённостью вызывает значительные трудности в моей работе, что заставляет меня обратиться к Вам с настоящим письмом.

С глубоким уважением А. Бицадзе

16. X. 1978 г.

Москва

1978 7-9 დეკემბერს ლაიპციგში ცნობილი მათემატიკოსის ლეონ ლიხტენშტაინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო საზეიმო კოლოქვიუმზე გამოვედი მოხსენებით თემაზე “სითხეში ტალღების გავრცელების მათემატიკური საკითხები”.

29 დეკემბერს დღის 12 საათისთვის სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. კ. ალექსანდროვმა თავის კაბინეტში გამომიძახა თბილისში შეთავსებით ჩემი მუშაობის თაობაზე და გამაცნო წერილი:

АКАДЕМИЯ НАУК²⁵

Союза Советских Социалистических Республик

25.12.78

Президенту Академии наук Грузинской ССР

академику АН Грузинской ССР Е. К. Хорадзе

Глубокоуважаемый Евгений Кириллович!

В соответствии с постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 12 мая 1962 года Академия наук СССР может разрешить члену-корреспондента АН СССР Бицадзе А. В. Чтение лекций в Тбилисском государственном университете и оказание помощи в проведении научно-исследовательских работ в Институте прикладной математики им. И. Н. Векуа при Тбилисском государственном университете на срок одного года.

Другой возможности решить поставленный Вами вопрос не имеется, т. к. постановлением Совета Министров СССР от 10 декабря 1959 г. ¹¹³⁶⁷ совместительство может быть разрешено только в пределах одной местности (город, населённый пункт), где работник находится на основной работе.

О вашем решении просьба сообщить.

Президент Академии наук СССР

академик

А. П. Александров

იმავე დღეს, 29 დეკემბერს საქართველოს სსრ წარმომადგენლობის ჯავშნით შევიძინე თვითმფრინავის სამგზავრო ბილეთი მოსკოვიდან თბილისამდე 1979 წლის 1 იანვრისთვის. ახალ 1976 წელს მოსკოვში შევხვდი, 1 იანვარს კი თბილისში გავემგზავრე. 31 წლის შემდეგ ვბრუნდებოდი, ნახევრად, მაგრამ მაინც ვბრუნდებოდი ჩემს საყვარელ სამშობლოში — საქართველოში. მაგონდებოდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ა. ალექსანდროვის ამ რამდენიმე დღის წინ მის კაბინეტში ნათქვამი სიტყვები — ჩრდილოეთში გატარებული 31 წელი, ეს თითქმის მთელი თქვენი ცხოვრებაა, ახალ სამუშაოზე სიფრთხილე გამოიჩინეთო. გამახსენდა სიტყვები კ. ბალმონტის ერთი ლექსიდან:

«Я был повсюду, опять в России,
Опять тоскую и снова о ней,
Поля родные, поля седые,
Я к вам вернулся, зачем, зачем!?!..»

თბილისის აეროვაგზალზე რამდენიმე ნაცნობი მათემატიკოსი შემხვდა. ქალაქი თოვლით იყო დაფარული თანაც ძალზე ყინავდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 1979 წლის 2 იანვრის ბრძანებით შეთავსებით 0,5 განაკვეთზე დამნიშნეს ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი ხელმძღვანელის, დირექტორის თანამდებობაზე. უნივერსიტეტის რექტორმა დ. ჩხიკვიშვილმა თავაზიანად მიმიღო და ახალ სამუშაოზე ყოველგვარი დახმარება აღმიქვა. მიღებას ესწრებოდნენ 2 პრორექტორი,

²⁵ წერილი დაბეჭდილია ოფიციალურ ბლანკზე. წერილში ე. კ. ხარაძის გვარი ზუსტად ასეა დაბეჭდილი (Хорадзе).

უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი და ჩემი 2 მოადგილე. ამის შემდეგ შევუდექი ინსტიტუტში შექმნილი მდგომარეობის შესწავლას, მისი ქვეფანაყოფების — ლაბორატორიების, განყოფილებების პირად შემადგენლობებთან შეხვედრებს. ამას თითქმის იანვრის მთელი თვე დაჭირდა. ინსტიტუტის 372 თანამშრომლიდან 6 მეცნიერებათა დოქტორი და 42 მეცნიერებათა კანდიდატი იყო, რომლებიც ყოველწლიურად 40-მდე სტატიას ბეჭდავდნენ (მეტ ნაწილს ინსტიტუტის გამომცემლობაში). ამ სტატიების შინაარსი ავტორის გარდა თითქმის არავინ არ იცოდა, მაგრამ ისინი უდავოდ ქმნიდნენ ინსტიტუტის მეცნიერულ სახეს. მთელი დაწესებულება ერთმანეთისგან მოწყვეტილი 3 ქვედანაყოფის კონგლომერატი იყო. მეცნიერული კვლევისთვის გამოზნული იყო 8 თეორიული განყოფილებისგან შედგენილი ქვედანაყოფი, 7 განყოფილება 4 ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანისგან შედგენილ პარკს ემსახურებოდა, დანარჩენი 7 განყოფილება მათემატიკური უზრუნველყოფისა და პროგრამირების საკითხებით იყო დაკავებული. სამანქანო დროის ნაწილი გარედან მოსული მომხმარებლებისთვის დაეთმოთ, ყოველკვირეულად რამდენიმე საათი კი ინსტიტუტში პროგრამათა 2 პაკეტის შექმნისთვის იყო განკუთვნილი. გამომთვლელი მანქანები პასპორტით ნავარაუდევო სამუშაო საათების ნახევარსაც კი ვერ ითვისებდნენ და დარბაზებში უქმად იდგნენ მიყრილ-მოყრილი, ნაგვად ქცეული გამოუსადეგარი საგნებით გარსშემორტყმულნი.

1979 წლის მარტის შუა რიცხვებში დავბრუნდი მოსკოვს ჩემს ძირითად სამუშაოზე. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექციამ ამ დროიდან დაწყებული ნება დამრთო, მთელი 1979 წლის ნახევარი თვეგამოშვებით თბილისში ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად გამომეყენებინა.²⁶

1980 წლის 15 ოქტომბერს მათემატიკურმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა, 80 წელს მიტანებულ ასაკში გარდაიცვალა ჩვენი დროის დიდი მეცნიერი და მეცნიერების გამოჩენილი ორგანიზატორი მ. ა. ლავრენტიევი.

მიხეილ ალექსის ძე ლავრენტიევი XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი გახლდათ. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა 20-იანი წლების დამდეგს დაიწყო. მამამისი ალექსი ლავრენტის ძე ლავრენტიევი ოქტომბრის გადატრიალებამდე ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი იყო მექანიკის დარგში. ის ქორწინების გარეშე შვილი იყო რუსეთში ყველაზე უფრო გამოჩენილი წარმომავლობის მამისა,

²⁶ ამის შემდგომ ა. ბიწაძეს ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში მისი მეცნიერ-ხელმძღვანელად ყოფნის პერიოდში ინსტიტუტის მეცნიერული საქმიანობა ძალიან მუხნად აქვს მოხსენებული, ძირითადად “ჩანაწერები” ამ ინსტიტუტში აზვავებულ დიდ და მცირე ინტრიგებს ეხება და ამკარადაა იმის მცდელობა, ეს ფაქტები წამკითხველს მხოლოდ თავისთვის სასურველი ინტერპრეტაციით მიაწოდოს, რაც იმდენად ტენდენციურად და, რბილად რომ ვთქვათ, არასწორად აქვს მოცემული (რასაც იმ დროს ინსტიტუტში მომუშავე ნებისმიერი თანამშრომელი ამკარად შეამჩნევს), რომ მათი აქ მოყვანისგან თავს ვიკავებთ, “ჭორის დონის” ეფექტი რომ არ გამოვიდეს. სიცოცხლის ბოლო წლებში ამ ფაქტებს თვითონაც სხვა შეფასებას აძლევდა. მაგალითად, პიროვნებას, რომელსაც თავისი წასვლის შემდეგ დირექტორად დანიშვნაზე თავგამოდებით აძლევდა რეკომენდაციას და რომელმაც ამ დანიშვნის შემდეგ ინსტიტუტის ე. წ. “პირველი განყოფილების” ბოლო გამგესთან ერთად ა. ბიწაძესთან დაკავშირებული ყველა ოფიციალური დოკუმენტი გაანადგურა, ე. ი. ინსტიტუტში მისი ყოფნის “ყველა კვალი მოსპო”, ხმასაც აღარ სცემდა.

რომელმაც მისი კანონიერ მემკვიდრედ გაფორმება ვერ შეძლო, მაგრამ მემჩანური²⁷ წარმოშობის დედამ არა მხოლოდ უმაღლესი განათლება მიაღებინა, არამედ საზღვარგარეთ სწავლაც კი გააგრძელებინა, რის შედეგადაც ის თვალსაჩინო მეცნიერი გახდა. გვარი “ლავრენტიევ” მამის სახელიდანაა აღებული, ასე რომ ლავრენტიევების მეტად გავრცელებულ გვართან საერთო არაფერი არ აქვს. ალექსი ლავრენტიევის ოჯახს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ცნობილი მათემატიკოსის ნ. ლუზინის ოჯახთან. ორივე ეს ოჯახი მ. ლავრენტიევის ბავშვობისას ცხოვრებას ევროპის ცნობილ კურორტებზე ატარებდა. ის ფაქტი, რომ მიხეილ ლავრენტიევი ყრმობიდან მათემატიკით იყო გატაცებული, უთუოდ მამისა და ნ. ლუზინის გავლენას უნდა მიეწეროს. 1919 წელს ალექსი ლავრენტიევი ოჯახით ყაზანიდან მოსკოვში გადმოსახლდა, სადაც ნ. ლუზინისა და დ. ეგოროვის მხარდაჭერით მოსკოვის უნივერსიტეტში მექანიკის კათედრის გამგეობა მიიღო, შვილი მიხეილი კი ყაზანის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მათემატიკის განყოფილებიდან მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე გადმოიყვანა. აქ მ. ლავრენტიევი ჩქარა აღმოჩნდა იმ ახალგაზრდა მათემატიკოსების წრეში, რომლებსაც თავი მოეყარათ ნ. ლუზინისა და დ. ეგოროვის გარშემო. მისი მეცნიერული მისწრაფების საგანი თავიდან სიმრავლეთა თეორია და ტოპოლოგია იყო. 20-იანი წლების II ნახევრიდან აღნიშნული წრის ლიდერი გახდა ნ. ლუზინი, მის მოწაფეებად კი მ. ლავრენტიევთან ერთად — პ. ურისონი, ა. ალექსანდროვი, ვ. სტეპანოვი, დ. მენშოვი, ა. კოლმოგოროვი, ნ. ბარი, ვ. ნემიცკი, მ. კელდიში, ა. ხინჩინი, ა. ტიხონოვი და სხვები. რუს მათემატიკოსთა ეს ჯგუფი მაშინ “ლუზიტანიას” სახელით იყო ცნობილი, უფრო მოგვიანებით კი მოსკოვის მათემატიკური სკოლის სახელწოდება მიიღო. 20-იანი წლების ბოლოს უკვე რამდენიმე მეცნიერული შრომის ავტორი მ. ლავრენტიევი ხანგრძლივი მეცნიერული მივლინებით პარიზში იმყოფებოდა. პარიზში დაიბეჭდა მისი პირველი მონოგრაფია “უნიკალანტური ფუნქციების შესახებ”, იქვე გაეცნო და დაუახლოვდა თავის მომავალ მეუღლეს ვერა ევგენიევნას, რომელიც მოგვიანებით მისი ქალ-ვაჟის დედა გახდა. 30-იანი წლების დასაწყისიდან მ. ლავრენტიევი უკვე მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორია და თანაც ხელმძღვანელ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა ЦАГ-ში ს. ჩაპლიგინთან ერთად. ამ დროიდან ის იმ ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფის მეთაური გახდა, რომელთაგან თავისი ნათელი ნიჭით ყველაზე მეტად გამოირჩეოდა მ. კელდიში. 1936-37 წლებში მ. ლავრენტიევი საქართველოში მოღვაწეობს, კითხულობს ლექციებს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ბინა კი გელათში აქვს. სწორედ გელათში შეასრულა მან თავისი უნიკალური გამოკვლევა გაზის ჭავლური ნაკადის შესახებ. ამ დროიდან მოყოლებული მ. ლავრენტიევი საქმიან და თანაც მეგობრულ ურთიერთობაშია ნ. მუსხელიშვილთან. 1939 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებული არჩევნების დროს აკადემიკოსის 2 ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატთა შორის, მართალია, უძლიერესად მ. ლავრენტიევი იყო მიჩნეული, მაგრამ აირჩიეს ა. კოლმოგოროვი და ს. სობოლევი, სამაგიეროდ იმავე წელსვე მ. ლავრენტიევი უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს და მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს, რის გამოც ის ოჯახითურთ კიევში გადავიდა მუდმივ სა-

²⁷ რუსული სიტყვა «мещанин» სულაც არაა იმ მნიშვნელობის, რაც მას კომუნისტმა იდეოლოგებმა “მიაკერეს”, ნიშნავს “ადგილობრივ, მკვიდრ მცხოვრებს”, ე. ი. “მოსახლეს”, “მოქალაქეს”, როგორც ფრანგული “ბოურგუის” ან გერმანული “Bürger”.

მუშაოზე. ი. ვინოგრადოვმა მას შეუნარჩუნა სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ფუნქციონირების თეორიის განყოფილების გამგეობა. 1941 წლის თებერვალსა და მარტში მ. ლავრენტიევი მეცნიერული მივლინებით იმყოფებოდა თბილისში, სადაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გახსნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა. მისმა მოხსენებებმა დიდი შთაბეჭდილება დატოვეს თბილისელ ახალგაზრდა მათემატიკოსებზე. სწორედ ამ დროს მოხდა ჩემი პირველი შეხვედრა მ. ლავრენტიევთან. დიდი სამამულო ომის პერიოდში მ. ლავრენტიევმა ძალიან ბევრი რამ გააკეთა არმიის თანამედროვე საბრძოლო იარაღით აღჭურვის საქმეში. კერძოდ მის სახელთანაა დაკავშირებული ე. წ. კუმულიატურული ჭურვების შექმნა, რამაც მტრის ჯავშანტექნიკის განადგურებაში დაუფასებელი როლი შეასრულა. 1946 წელს მ. ლავრენტიევი ერთხმად აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად მათემატიკაში, 1949 წლის შემოდგომიდან კიევიდან მოსკოვში გადმოიყვანეს, ჯერ ზუსტი მექანიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორად, შემდეგ კი — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-მათემატიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად. დაუფასებელია მისი როლი საბჭოური ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების შექმნაში. 1957 წლის მარტიდან მ. ლავრენტიევი სათავეში ჩაუდგა საინიციატივო ჯგუფს, რომელიც მოწოდებული იყო “დიდი მეცნიერების შესაქმნელად ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში”. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაარსდა ახლა სახელგანთქმული სამეცნიერო ცენტრი — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილება, რომლის თავმჯდომარე და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო 1975 წლამდე.

დიდი მეცნიერი, მეცნიერების დიდი ორგანიზატორი, ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერთა ქომაგი, — ასეთი სახით შევიდა მ. ა. ლავრენტიევი მეცნიერების ისტორიაში.

1975 წლიდან სიცოცხლის დასასრულამდე მ. ლავრენტიევი მოსკოვში იმყოფებოდა. მისი გარდაცვალება მსოფლიო მეცნიერების უმძიმესი დანაკლისი იყო. კრემაციის შემდეგ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოწყობილ გახსენების ვახშამზე ა. ალექსანდროვის თხოვნით წარმოთქმულ სიტყვაში გულწრფელად დავახასიათე მ. ლავრენტიევის დიდებული ცხოვრება. ამ სიტყვის დასასრულს ჩემთან ვერა ევგენიენა მოვიდა და გულაჩყუებული დედა-შვილურად მეამბორა მადლობის ნიშნად.

ი. ვეკუას დაბადებიდან 75-ე წლისთავთან დაკავშირებით 1982 წლის 21-23 აპრილს თბილისში შედგა საკავშირო სიმპოზიუმი, მიძღვნილი ნაწილობითწარმოებულნი დიფერენციალური განტოლებებისა და მათი გამოყენებისადმი. მის მუშაობაში მონაწილეობდა ბევრი ცნობილი სპეციალისტი ჩვენი ქვეყნიდან და საზღვარგარეთიდან, მათ შორის ა. დოროდნიცინი, ს. ნიკოლსკი, ა. სამარსკი, ა. ტიხონოვი და სხვ. სიმპოზიუმი გაიხსნა ჩემი მოხსენებით “ი. ვეკუას ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა”. მოხსენებაში შევეცადე, გამეკეთებინა იმ პერიოდის ვრცელი ანალიზი, რომელშიც ამ დიდ მეცნიერს უხდებოდა მოღვაწეობა:

“შემოქმედებითი აზრის განვითარების ყოველ საფეხურზე მათემატიკის მეცნიერების დონის სიმაღლეს შემდეგი 3 ძირითადი ამოცანის გადაწყვეტის პროცესში მიღწეული წარმატებები განაპირობებს: ახალი მათემატიკური ფაქტების

აღმოჩენა, კვლევის ახალი მეთოდების შემუშავება და მათემატიკური ფაქტებისა და მეთოდების მეცნიერების სხვა არამათემატიკურ დარგებში დანერგვა.

ყოველი დიდი მათემატიკური აღმოჩენა ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში მათემატიკოსთა არაერთი თაობის დაუღალავი კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია. ამ ფაქტის აღიარება სულაც არ ნიშნავს მათემატიკოსის პიროვნული როლის დაკნინებას. პირიქით, მხოლოდ მათემატიკოსთა კოლექტივს ძალუმს პირველი უტყუარი შეფასება მისცეს ამ კოლექტივის წევრთა დამსახურებას. თანაც აწმყოში ჭეშმარიტი ნაამაგარი, შეუძლებელია, დავიწყებას მისცეს მყობადმა. ამიტომაც, რომ მკვლევარის სახელის სიდიდისა თუ სიდიადის კრისტალიზაცია მომდევნო თაობებში ხდება.

ილია ვეკუას თითქმის 50 წლის მეცნიერული ნამოღვაწარი მათემატიკოსთა 4 თაობის თვალში დიდების შარავანდედით მოსავს მის სახელს.

ერთგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა ექვივალენტური რეგულარიზაციის შესაძლებლობის დადგენით, ფუნქციათა თეორიის ზოგადი წრფივი სასაზღვრო ამოცანის ამომწურავი შესწავლით, ნაწილობითწარმოებულიანი ელიფსური დიფერენციალური განტოლებებისთვის ახალი ტიპის სასაზღვრო ამოცანების ფართო კლასის ამოხსნადობის კრიტერიუმების აღმოჩენით ილია ვეკუამ დააფუძნა მათემატიკური ფიზიკის მეტად მნიშვნელოვანი დარგი — ნორმალურად ამოხსნად ელიფსურ სასაზღვრო ამოცანათა თეორია, რომელიც თანამედროვე მათემატიკაში კვლევის ერთ-ერთ ცენტრალურ მიმართულებად არის აღიარებული.

ილია ვეკუას გამოკვლევები, მიძღვნილი პირველი რიგის ელიფსური ტიპის სისტემების ამოხსნების ბუნების შესწავლისადმი, საფუძვლად უდევს განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიას, რომელიც თავისი სიღრმით, სილამაზითა და ზოგადმეცნიერული თუ პრაქტიკული საჭიროების თვალსაზრისით უკვე კლასიკურ თეორიად არის მიჩნეული. ელიფსური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა ამოხსნების ზოგად კომპლექსურ წარმოდგენებზე და სასაზღვრო ამოცანების შესასწავლად მათ გამოყენებაზე ამ 45 წლის წინათ გამოაქვეყნა. აღსანიშნავია, რომ ეს შრომები, რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მეტ გამოხმაურებას პოულობს მათემატიკოსთა სამყაროში.

ილია ვეკუას მათემატიკურ აღმოჩენებს დიდი მნიშვნელობა აქვს უწყვეტ სხეულთა მექანიკის საკვანძო პრობლემების გადაწყვეტაში. ამის ბრწყინვალე დადასტურებას იძლევა დრეკად გარსთა თეორიის სპეციალისტისთვის კარგად ცნობილი ერთი ვარიანტი, რომელიც განუყრელადაა დაკავშირებული ილია ვეკუას სახელთან.

ილია ვეკუას მეცნიერულმა აღმოჩენებმა მათემატიკური მეცნიერების საგანძურში მყარი და თანაც მეტად საპატიო ადგილი დაიკავა, რითაც მათი ავტორის სახელმა ჭეშმარიტად დაიმსახურა ქება-დიდების გამომსახველი მაღალი ეპითეტი. ყველაფერი ეს რომ ილია ვეკუას ნათელი გონების, ელვარე ნიჭის და თავდადებული შემოქმედებითი შრომის ნაყოფია, ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ თვალს გადავავლებთ მისი ცხოვრების ამსახველ ძირითად მომენტებს.

ილია ვეკუა დაიბადა 1907 წლის 23 აპრილს საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის სამურზაყანოს (ახლანდელი გალის რაიონის) სოფელ შემელეთში. მისმა მხნე და გამრჯე მშობლებმა ნესტორმა და ლიზამ დიდი და სოფლის პირობაზე საკმარისად კულტურული ოჯახი შექმნეს.

დაწყებითი განათლების მიღება ილიას პირველი მსოფლიო ომის, რევოლუციებისა და სამოქალაქო ომის წლებში მოუხდა. ზუგდიდის საშუალო სკოლაში იგი მათემატიკამ აზრთა მწყობრი ლოგიკური მსვლელობის შინაგანი სილამაზით

გაიტაცა. ამიტომაც სრულიად არ იყო შემთხვევითი ილია ვეკუას არჩევანი — 1925 წლის შემოდგომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი გამხდარიყო.

თბილისის უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1929 წელს ილია ვეკუა იწყებს მუშაობას გეოფიზიკურ ობსერვატორიაში თბილისის მახლობლად სოფელ კარსანში.

20-იანი წლების დამლევს და 30-იანი წლების დამდეგს თბილისში ტექნიკური სასწავლებლების ქსელის მკვეთრმა ზრდამ ბუნებრივად შექმნა მაღალი კვალიფიკაციის მათემატიკოსთა სამეცნიერო კადრების მომზადების საქმის თვითდინებიდან გეგმაზომიერ გზაზე გაყვანის აუცილებლობა.

1930 წლის შემოდგომაზე ილია ვეკუა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტია ლენინგრადში, სადაც ძველი სანკტ-პეტერბურგის სახელგანთქმული მათემატიკური სკოლის ბრწყინვალე ტრადიციებს ღირსეულად განაგრძობდნენ იმ დროს უკვე ცნობილი საბჭოთა მათემატიკოსები: ივან ვინოგრადოვი, ალექსეი კრილოვი, ნიკოლაი გუნტერი, ნიკოლაი კორინი, ვლადიმირ სმირნოვი და სხვები.

დრეკადობის მათემატიკური თეორიის განვითარებაში 20-იანი წლებიდან მოკიდებული მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის ნიკო მუსხელიშვილის მეცნიერულ იდეებსა და კვლევის მეთოდებს. მის მიერ ამ მიმართულებით დასმული მათემატიკური პრობლემები ბევრი ახალგაზრდა მათემატიკოსის სამეცნიერო მოღვაწეობის საგნად იქცა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. ილია ვეკუას პირველი ორიგინალური მეცნიერული გამოკვლევებიც სწორედ ნიკო მუსხელიშვილის მეცნიერული ინტერესების სფეროშია შესრულებული. 1933 წელს ლენინგრადიდან დაბრუნებისთანავე ილია ვეკუა შეუდგა მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის უნივერსიტეტში. მას მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის ორგანიზაციაში.

თეორიული და გამოყენებითი მათემატიკის მეცნიერულ-კვლევით მიმართულებათა შორის ილია ვეკუას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ელიფსური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა თეორიას. ჯერ კიდევ ადრე კარგად იყო ცნობილი ბიჰარმონიული განტოლების და ელიფსური ტიპის მეორე რიგის განტოლებათა ამოხსნების ზოგადი წარმოდგენები. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგები იყო მიღებული 30-იანი წლების II ნახევარში თბილისში ს. ბერგმანისა და პ. ზერაგიას შრომებში. 30-იანი წლების ბოლოს ილია ვეკუა შეუდგა ელიფსურ განტოლებათათვის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის ახალი მეთოდის შექმნას.

40-იანი წლების I ნახევარი ქართული მათემატიკური სკოლის ყველაზე უფრო ინტენსიური და ნაყოფიერი შემოქმედების პერიოდად ითვლება. დღევანდელ ქართველ მათემატიკოსთა უფროსი თაობის გამირული შრომის შედეგად სწორედ ამ დროს თბილისში შეიქმნა, კერძოდ, ფუნქციათა თეორიის წრფივ სასაზღვრო ამოცანათა და ერთგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა დასრულებული თეორია. ამ წლების განმავლობაში ქართული მათემატიკური სკოლის მეთაურს ნიკო მუსხელიშვილს გვერდით ედგა ილია ვეკუა და ორივენი საერთო ხელმძღვანელობასთან ერთად თავიანთი პირადი თავდადებად შრომით ახალგაზრდა მათემატიკოსებს მეცნიერული შემოქმედების საუკეთესო ჩვევებს უნერგავდნენ.

საკუთარი გამოკვლევების დიდ ნაწილს ილია ვეკუამ თავი მოუყარა მონოგრაფიაში “ელიფსური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები”, რომლის საფუძველზე მას 1950 წელს სტალინური პრემია მიენიჭა.

ილია ვეკუას მეცნიერულმა დამსახურებამ მაღალი შეფასება მიიღო ჯერ კიდევ მაშინ, როცა საკმაოდ ახალგაზრდა იყო, — 1943 წელს ილია ვეკუა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს, ხოლო 3 წლის შემდეგ — ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ილია ვეკუა წარმატებით უთავსებდა ორგანიზატორულ საქმიანობას. ის იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანი და პრორექტორი, ხოლო შემდეგ — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე, უფრო გვიან კი — აკადემიკოს-მდივანი. ამავე დროს ის პარალელურად ხელმძღვანელობდა გეომეტრიის კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და თეორიული მექანიკის კათედრას — თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში.

1951 წლის გვიან შემოდგომაზე ილია ვეკუა სამუშაოდ და საცხოვრებლად გადავიდა მოსკოვში, ცენტრალური აეროჰიდროდინამიკური ინსტიტუტის (ЦАГИ) თეორიული ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე. აქ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მოსკოვის ფიზიკურ-ტექნიკურ ინსტიტუტში თეორიული მექანიკის კათედრის გამგის, ხოლო მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში — დიფერენციალურ განტოლებათა კათედრის პროფესორის თანამდებობაზე.

ილია ვეკუა მოსკოვში წარმატებით აგრძელებს პირველი რიგის დიფერენციალურ განტოლებათა ელიფსური სისტემების ზოგადი თეორიის აგების მიზნით ჯერ კიდევ თბილისში დაწყებულ სამეცნიერო გამოკვლევას. ამ მიმართულებით სულ მალე მოსკოვის ცენტრალურ მათემატიკურ ჟურნალებში ზედიზედ აქვეყნებს ფუნდამენტურ ნაშრომებს, რომლებშიც მიღებული შედეგები, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დღეს საფუძვლად უდევს განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიას.

ილია ვეკუას მოღვაწეობის მოსკოვის პერიოდი მისი მეცნიერული მოღვაწეობის საერთაშორისო აღიარებაა. მის მიერ მიღებული შედეგები მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ საქვეყნოდ ცნობილ მათემატიკოსთა მონოგრაფიებსა და მიმოხილვითი ხასიათის ვრცელ ნაშრომებში.

მოსკოვში, ისევე როგორც თბილისში, სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ილია ვეკუა წარმატებით უთავსებს ადმინისტრაციულ მუშაობას ჯერ ზუსტი მექანიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს მიხეილ ლავრენტიევის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში, ხოლო შემდეგ — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს ივან ვინოგრადოვის მოადგილედ.

ილია ვეკუას მეცნიერული და ორგანიზატორული მოღვაწეობა მოსკოვში მაღალ შეფასებას იმსახურებს. მას ჯერ კიდევ 1954 წელს ირჩევენ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-მათემატიკის განყოფილების ბიუროს წევრად, ხოლო 1958 წლის მარტში — ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად.

1959 წელს ილია ვეკუა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების პრეზიდენტის ბიუროს წევრად არჩევისა და ახლად დაარსებული ნოვოსიბირსკის

სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დანიშვნის გამო ოჯახიანად ნოვოსიბირსკში გადადის.

ციმბირში ილია ვეკუა გვევლინება არა მარტო როგორც დიდი მეცნიერი, არამედ დიდი მეცნიერული საქმიანობის დიდი ორგანიზატორიც, მან მიხეილ ლავრენტიევთან, სერგეი სობოლევთან და სერგეი ხრისტიანოვიჩთან ერთად დიდი ღვაწლი დასდო ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მსოფლიო მნიშვნელობის მსხვილი სამეცნიერო ცენტრის შექმნის საქმეს. მისი გამორული თაოსნობის ნაყოფი, სრულიად ახალი ტიპის უმაღლესი სასწავლებელი — ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი სულ რაღაც 3 თუ 4 წლის განმავლობაში მეცნიერული კადრების მომზადების ნამდვილი სამჭედლო გახდა.

ციმბირში ყოფნის წლები ილია ვეკუას მოღვაწეობის ნამდვილი აპოთეოზის პერიოდად გადაიქცა. მეცნიერების განვითარებისა და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადების საქმეში დიდი დამსახურებისთვის ის 1961 წელს ლენინის ორდენით დააჯილდოვეს, ხოლო 1963 წელს მონოგრაფიის — “განზოგადებული ანალიზური ფუნქციები” — საფუძველზე ლენინური პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება მიანიჭეს. ამ პერიოდში ის მათემატიკოსთა მთელი რიგი საერთაშორისო სამეცნიერო შეხვედრების (კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და კონგრესების) აქტიური მონაწილე და ორგანიზატორია.

1965 წლის მარტში ილია ვეკუა თბილისში დაბრუნდა. ის ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყო, ხოლო შემდეგ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

1977 წლის 2 დეკემბერს უდროოდ შეწყდა მისი მაჯისცემა.

ილია ვეკუა მაღალი მოქალაქეობრივი და სულიერი ღირსების ადამიანი იყო. განუკურნებელ სენთან შერკინებული ის გამორულად აგრძელებდა მეცნიერულ კვლევა-ძიებას და კიდევ შეძლო, დაესრულებინა დრეკად გარსთა მათემატიკური თეორიის ერთი ვარიანტი, რომელიც მის ახლახან გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში შევიდა.

ღირსეულად დაფასდა ილია ვეკუას ღვაწლი: დაჯილდოებული იყო სოციალისტური შრომის გამორის ოქროს ვარსკვლავით და ლენინის 5 ორდენით, იყო რამდენიმე საზღვარგარეთული აკადემიისა და სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი, ბევრი რამ გაკეთდა მისი სახელის უკვდავსაყოფად. ამ დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის დაბადების 75 წლისთავს საქართველოს ტელევიზიამ მიუძღვნა სპეციალური გადაცემა, რომელიც მე მიმყავდა. გადაცემაში მონაწილეობდნენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები, აკადემიკოსები ა. დოროდნიცინი, ს. ნიკოლსკი, ა. სამარსკი, ა. ტიხონოვი. ოთხივე მათგანმა დიდი სიამოვნებით მოიგონეს მნიშვნელოვანი მომენტები ილია ვეკუასთან ურთიერთობაში. მეტად შთამბეჭდავი იყო ს. ნიკოლსკის გამოსვლა, რომელშიაც მან ასახა ილია ვეკუასთან თანამშრომლობა 1954-59 წლებში, როცა ისინი ორივენი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის ივან ვინოგრადოვის მოადგილეებად მუშაობდნენ. ეს წლები შეადგენდნენ აღნიშნული ინსტიტუტის მძაფრი მეცნიერული აღმავლობის პერიოდს, რაც მნიშვნელოვნად განპირობებული იყო ამ ინსტიტუტის დირექციის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების შეთანხმებული მუშაობით. ამ დროის გარკვეულ მონაკვეთში მე ინსტიტუტის პარტიული ბიუროს მდივანი ვიყავი.

1983 წლის იანვარი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სანატორიუმ «Южкое»-ში გავატარე. უკანასკნელ ხანებში დაინტერესებული ვიყავი კალიბრულ ველთა განტოლებების ზუსტი ამოხსნებით და კიდევაც ვიპოვე ასეთ ამოხსნათა ახალი კლასი. ამ შედეგებით დავაპირე გამოსვლა ივნისის ბოლოს საერთაშორისო სიმპოზიუმზე კარლ-მარქს-შტადტში²⁸ (გდრ) ჩემთვის განკუთვნილ ერთსაათიან მოხსენებაში.

თებერვალში უკვე თბილისში აღმოვჩნდი. ძალიან კმაყოფილი დავრჩი იმით, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული წოდება მომენიჭა.

ივნისის ბოლოს 9 საბჭოთა მათემატიკოსისგან შემდგარი დელეგაცია მონაწილეობდა ზემოხსენებული სიმპოზიუმის მუშაობაში კარლ-მარქს-შტადტში. დელეგაციის ხელმძღვანელის მოვალეობას მე ვასრულებდი. კარლ-მარქს-შტადტში წაკითხული ჩემი სამეცნიერო მოხსენება შევაგვსე ახალი შედეგებით და შევუდექი მზადებას ვარშავაში გასამგზავრებლად მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე.

ამ კონგრესზე საბჭოთა კავშირიდან 200, მათ შორის საქართველოდან 10, მათემატიკოსისგან შემდგარი დელეგაცია გააგზავნეს. მე დელეგაციაში შევდიოდი როგორც მოსკოველი მათემატიკოსი. დელეგაცია საკმაოდ კარგად იყო დაკომპლექტებული, დელეგატთა საგრძნობ ნაწილს ცნობილი მათემატიკოსები შეადგენდნენ. ვარშავაში საგანგებო მატარებლით გავემგზავრეთ. ჩემი მოხსენება ქვესექციაში იყო დანიშნული. კონგრესის ხელმძღვანელობამ დიდი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა. ამას ხაზგასმით აღნიშნავდნენ როგორც სოციალისტური, ისე კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლები. კონგრესის დასკვნითი ნაწილიც კარგად დამთავრდა. მათემატიკოსთა მორიგი საერთაშორისო კონგრესის ჩატარება გადაწყდა აშშ-ში 1986 წელს.

29 აგვისტოს ვარშავიდან მოსკოვს კვლავ საგანგებო მატარებლით დავბრუნდით, 30 აგვისტოს კი მე თბილისს გავემგზავრე თვითმფრინავით. ჯერ კიდევ აგვისტოს შუა რიცხვებში ინსტიტუტს მეცნიერებათა აკადემიიდან მოსვლოდა იმის შესახებ, რომ 31 აგვისტოს მოხდება ნ. მუსხელიშვილის ძეგლის გახსნა. პირადად ჩემთვის ამის შესახებ მიწვევა არავის არ გამოუგზავნია, მაგრამ მე ჩემი ინიციატივით დავესწარი ამ მნიშვნელოვან ცერემონიას. ძეგლი ხელოვნების არც თუ ისე მაღალ დონეზე შესრულებული მომეჩვენა. სახელდახელოს აღმართულ ტრიბუნაზე მიიწვიეს ყველა აკადემიკოსი ჩემს გარდა. ე. ხარაძე თითქოს ვერც კი მამჩნევდა დამსწრეთა შორის. ძეგლს საბურავი ამხანაგმა ე. შევარდნაძემ ჩამოხსნა და თანაც მეტად გულთბილი სიტყვები მიუძღვნა ნ. მუსხელიშვილის ხსოვნას.

ნ. მუსხელიშვილის ვაჟმა გურამმა თავის ბინაზე სუფრა გაშალა. სტუმართა შორის მთავრობიდან ვ. სირაძე და დ. ჩხიკვიშვილი იყვნენ, აკადემიის ხელმძღვანელობიდან — ე. ხარაძე და ე. სეხნიაშვილი. სუფრას ე. სეხნიაშვილი თამადაობდა. შემოთავაზებულ სადღეგრძელოში მე ხაზგასმით აღვნიშნე ნ. მუსხელიშვილის დიდი ღვაწლი მსოფლიოს მეცნიერებაში, მისი ფასდაუდებელი ამაგი საქართველოში საუკეთესო მეცნიერული ტრადიციების დამკვიდრების საქმეში.

მხოლოდ უძლურთ არ შესწევთ უნარი, შეიგნონ და დააფასონ მძლავრ წინამორბედთა ღვაწლი. გასაგებია, რომ შეუძლებელია არასპეციალისტთა თვალში ნათელი მოჰფინო მეცნიერების რიგ დარგებში მიღწეულ წარმატებებს. მეცნიერების ერთ-ერთი ასეთი დარგი სწორედ მათემატიკაა. ის ადამიანთა საწარმოო საქმიანობის

²⁸კარლ-მარქს-შტადტს გერმანიის გაერთიანების შემდეგ დაუბრუნდა ძველი სახელი _ Chemnitz.

ისტორიული პროცესის ნაყოფია, საზოგადოებასთან ერთად ვითარდება და ყოველთვის საზოგადოების სამსახურშია. დიდი მეცნიერული აღმოჩენა ან მნიშვნელოვანი ტექნიკური გამოგონება მათემატიკოსთა გარეშე წარმოუდგენელია. მათემატიკური მეცნიერების განვითარების დონის სიმაღლე ქვეყნის ზოგადი კულტურის, მისი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების ერთგვარი მაჩვენებელიცაა. ამიტომაც, რომ მათემატიკა ძირითად სასკოლო დისციპლინათა ჯგუფს განეკუთვნება. უმაღლეს სკოლაშიც ის წამყვან როლს ასრულებს არა მარტო მათემატიკური, არამედ საბუნებისმეტყველო, ტექნიკური, ეკონომიკური და ზოგიერთი ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტების მომზადების საქმეში.

თუ ძველ ეგვიპტელთა, ინდოელებსა და ჩინელებს მათემატიკაზე არც თუ ისე სრული წარმოდგენა გვაქვს, სამაგიეროდ ისტორიამ კარგად შემოგვინახა ანტიკური ეპოქის დიდი მეცნიერების — თალესის, პითაგორას, არქიმედეს, ევკლიდეს, დიოფანტეს და სხვების სახელები, მათი მათემატიკური აღმოჩენები და თხზულებები. მათემატიკური მეცნიერების საგანძურში საგრძნობი წვლილი შეიტანეს არაბთა მოძრაობის მომდევნო კულტურული აღმავლობის პერიოდის და აღორძინების (რენესანსის) ეპოქის მათემატიკოსებმაც (ალ-ბირუნის, ალ-ხორეზმის, ომარ ხაიამის, ლეონარდო და ვინჩის, ტარტალიას, კარდანოს).

ცნობილია, რომ საბაზრო ეკონომიკური ფორმაციის გარიჟრაჟი მეცნიერებისა და ტექნიკის მკვეთრი აღმავლობით ხასიათდებოდა. თუ ადრე მათემატიკური კვლევის არეალი მუდმივ სიდიდეებს — რიცხვებს (არითმეტიკა), ელემენტარულ ფიგურებს (პლანიმეტრია და სტერეომეტრია) და მარტივ განტოლებებს (ალგებრა) მოიცავდა, XVII, XVIII და XIX საუკუნეების მათემატიკოსთა ყურადღების ცენტრში ცვლადი სიდიდეები — ფუნქციები და მათზე სრულიად ახალი ბუნების ოპერაციები აღმოჩნდნენ. დეკარტის, ნიუტონის, ლაიბნიცის, ეილერის, კოშის, გაუსისა და ბევრი სხვა იმდროინდელი ევროპელი მათემატიკოსის გენიალურ გამოკვლევათა საფუძველზე შეიქმნა ე. წ. უმაღლესი მათემატიკა, რომელიც მოიცავდა ანალიზურ გეომეტრიას, დიფერენციალურ და ინტეგრალურ აღრიცხვას, დიფერენციალურ გეომეტრიას, ვარიაციათა აღრიცხვისა და დიფერენციალურ განტოლებათა თეორიის ელემენტებს. ამ ვითარებამ განაპირობა XIX საუკუნის დიდი აღმოჩენები ალგებრასა და გეომეტრიაში, დაკავშირებული აბელის, გალუას, ლობაჩევსკის, რიმანის, ბოიასის და გაუსის სახელებთან.

XIX საუკუნის დასასრულამდე მათემატიკური თეორიების, იდეებისა და მეთოდების რაოდენობა ჯერ კიდევ იმდენად დიდი არ იყო, რომ მძლავრი ინტელექტის მქონე ერთსა და იმავე მათემატიკოსს იმდროინდელი მათემატიკის თითქმის ყველა დარგში მოღვაწეობა არ შეძლებოდა. XX საუკუნის დასაწყისიდან ამ მხრივ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ფიზიკის, მექანიკისა და ტექნიკის დარგებში მათემატიკის როლის გაძლიერებამ გამოიწვია მათემატიკური მეცნიერების სწრაფი წინსვლა, ბევრი ახალი მათემატიკური დარგის წარმოშობა და მათემატიკოსთა რიგების საგრძნობი ზრდა. მათემატიკაში, ისევე როგორც კულტურის ბევრ სხვა დარგში შემოქმედებითი მოღვაწეობის მატერიალური უზრუნველყოფა მეცენატური ფორმიდან საზოგადოებრივ, სახელმწიფო ფორმებში გადავიდა. ტექნიკურად მოწინავე ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებში თავი მოიყარა გარკვეული მიმართულებით მომუშავე, ერთი და იმავე მეცნიერული იდეების მქონე მრავალმა მათემატიკოსმა. მათემატიკოსთა ზოგიერთ ასეთ გაერთიანებას მისი დიდი სამეცნიერო ღვაწლის შესაბამისად მსოფლიო მეცნიერულმა აზრმა მათემატიკური სამეცნიერო სკოლის სახელი მიანიჭა. გასაგებია, რომ ერთი და იმავე სამეცნიერო

სკოლის მოღვაწეების ტერიტორიულად ერთმანეთთან სიახლოვე სრულიადაც არაა აუცილებელი. მათემატიკის ისტორიაში უჭკნობი სახელი მოიხვეჭა ფრანგულმა მათემატიკურმა სკოლამ (ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა და სიმრავლეთა თეორიაში), გეტინგენის (გფრ) მათემატიკურმა სკოლამ (მათემატიკურ ანალიზში), სანკტ-პეტერბურგის მათემატიკურმა სკოლამ (რიცხვთა, ალბათობათა და მოძრაობის მდგრადობის ანალიზურ თეორიებში), მოსკოვის მათემატიკურმა სკოლამ (ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა და სიმრავლეთა თეორიაში). აღნიშნული სკოლები მათემატიკის ისტორიაში შევიდნენ მათი ფუძემდებელი დიდი მათემატიკოსების ლებეგის, ჰილბერტის, ჩებიშევისა და ლუზინის მეცნიერული სკოლების სახელით.

ქართველი ხალხი მსოფლიოს იმ ხალხთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც არა მარტო ფიზიკური არსებობა შეინარჩუნეს, არამედ გარკვეული წვლილი შემატეს მსოფლიო კულტურას. ამაზე ნათლად მეტყველებენ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის მთებსა და კლდეებში შეჭრილ ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები, მცხეთის ჯვარი; სვეტიცხოვლის, გელათის, ალავერდის, ნიკორწმინდის და სხვა ქართულ ტაძართა სიმტკიცე და მშვენიერება, სულიერი კულტურის ბევრი შესანიშნავი ქართული ძეგლი. უდავოა, რომ ყველა ეს ქმნილება შესაბამისი ეპოქის მათემატიკაში მათი ავტორების შემოქმედებით განსწავლას მოითხოვდა. სამწუხაროდ ისტორიამ არ შემოგვინახა ძველი დროის ქართველ მათემატიკოსთა სახელები. მათ ვერ ვხვდებით უფრო გვიანდელ საუკუნეთა ისტორიაშიც.

მაღალი კვალიფიკაციის მათემატიკური კადრების მომზადების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის პირველ ქართულ უმაღლეს სასწავლებელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მის მათემატიკურ (საბუნებისმეტყველო) დარგზე მათემატიკურ დისციპლინებში თავიდანვე მაღალ დონეზე კითხულობდნენ ლექციებს შესანიშნავი ტრადიციების მქონე სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებში აღზრდილი და იქვე მეცნიერულ წრთობაგამოვლილი უნიჭიერესი მათემატიკოსები: ანდრია რაზმაძე, ნიკო მუსხელიშვილი, გიორგი ნიკოლაძე და არჩილ ხარაძე. მათვე შექმნეს მათემატიკური ანალიზის, ანალიზური გეომეტრიის, თეორიული მექანიკის, დიფერენციალური გეომეტრიისა და ალგებრის ორიგინალური სახელმძღვანელოები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა.

ანდრია რაზმაძისა და გიორგი ნიკოლაძის უდროოდ გარდაცვალება ქართული მეცნიერული საზოგადოების, განსაკუთრებით კი ქართველი მათემატიკოსების აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო. ამ მძიმე ვითარებაში ფასდაუდებელი როლი შეასრულა ნიკო მუსხელიშვილმა. მან საქართველოში უმაღლესი მათემატიკური განათლებისა და მათემატიკური სამეცნიერო კვლევის საქმის სათავეში ჩადგომა იტვირთა.

ჯერ კიდევ 20-იანი წლების დასაწყისში სრულიად ახალგაზრდა ნიკო მუსხელიშვილი უკვე ცნობილი მეცნიერი იყო. 1922 წელს ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებულმა მისმა პირველმა მონოგრაფიამ — “კომის ტიპის ინტეგრალთა გამოყენებები მათემატიკურ ფიზიკაში” სპეციალისტთა მაღალი შეფასებები დაიმსახურა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

დიდი ხანია, ადამიანებმა შენიშნეს მყარ სხეულთა შესანიშნავი თვისება — მათი ელასტიურობა ანუ დრეკადობა. სწორედ ამ თვისების კარგად ცოდნა უდევს საფუძვლად ყველა სახის საინჟინრო სამუშაოს, სადაც მყარ სხეულებს იყენებენ. ამის გამოა, რომ მოძღვრება სხეულთა დრეკადობის შესახებ — დრეკადობის თეორია გამოყენებითი მათემატიკის ერთ-ერთ მთავარ დარგად ითვლება. დიდ მათემატიკურ სიმწიფეებთან აღმოჩნდა დაკავშირებული ამ თეორიის ბევრი საინტერესო ამოცანის

ამოხსნა. ნიკო მუსხელიშვილმა თავისი პირველი მეცნიერული შრომები სწორედ დრეკადობის მათემატიკურ თეორიას მიუძღვნა. ამ მიმართულებით მან თავის მასწავლებელ გური კოლოსოვთან ერთად მიიღო მეტად მნიშვნელოვანი ფორმულები, რომლებიც დღეს კოლოსოვ-მუსხელიშვილის ფორმულების სახელითაა ცნობილი. განსაკუთრებით პერსპექტიული აღმოჩნდა ნიკო მუსხელიშვილის მიერ შექმნილი დრეკადობის ორგანოზომილებიან ამოცანათა თეორიის ძირითადი მეთოდები. ნიკო მუსხელიშვილის პირველად 1933 წელს გამოქვეყნებული მეორე მონოგრაფიის — “დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ამოცანა” — წინასიტყვაობაში მისი ავტორის მეცნიერულ შედეგებს გამოყენებითი მათემატიკის დიდმა სპეციალისტმა, გემთმშენებელმა ალექსი კრილოვმა სრულიად დამსახურებული უმაღლესი შეფასება მისცა. ამ წიგნის მეორე გამოცემამ 1941 წელს სსრკ პირველი ხარისხის სტალინური პრემია მოიპოვა, დღეისთვის კი მისი 7 გამოცემა არსებობს (მათ შორის 3 უცხო ენაზე).

20-იანი წლების ბოლოს ბევრი ახალგაზრდა საბჭოთა და უცხოელი მათემატიკოსი გაიტაცა ნიკო მუსხელიშვილის მეცნიერულმა იდეებმა დრეკადობის თეორიაში. სულ ჩქარა ისინი ნიკო მუსხელიშვილის მოწაფეები თუ მიმდევრები გახდნენ და წარმატებით ჩაებნენ მუშაობაში. ამას თან მოჰყვა 30-იანი წლების II ნახევარში დრეკადობის მათემატიკური თეორიის მეცნიერული სკოლის ჩამოყალიბება ნიკო მუსხელიშვილის მეთაურობით. სკოლის აქტიურ მოღვაწეთა შორის შესაძლოა დავასახელოთ: გიორგი ბუხარინოვი, სოლომონ მიხლინი (ლენინგრადი), ილია ვეკუა, ალექსი გორგიძე, ამბროსი რუხაძე (თბილისი), სურაბაი გჰოში (ინდოეთი), ჰარი პორიცკი, ივან სოკოლნიკოვი (აშშ), გური სავინი (კიევი), არმან სტივენსონი (ინგლისი), დავით შერმანი (მოსკოვი).

30-იანი წლების ბოლოს ნიკო მუსხელიშვილს სამეცნიერო მოღვაწეობის საქმეში გვერდით ამოუდგა იმდროინდელ ქართველ მათემატიკოსთა პლეადის ბრწინვალე წარმომადგენელი ილია ვეკუა, რამაც ბუნებრივად გამოიწვია ნიკო მუსხელიშვილის მეცნიერული სკოლის საკვლევო თემატიკის გაფართოება და გაღრმავება მათემატიკის ისეთ დარგებში, როგორცაა კომპლექსური ცვლადის ანალიზურ ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანები, ერთგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორია, ელიფსური ტიპის კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორია, განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორია და გარსთა თეორიის აქტუალური პრობლემები.

1940 წლის შემოდგომიდან თბილისის მათემატიკის ინსტიტუტში ნიკო მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობა დაიწყო ყოველკვირეულმა სამეცნიერო სემინარმა. თუ პირველი წლის განმავლობაში ამ სემინარის სხდომებზე თავიანთ მიღებულ შედეგებზე სამეცნიერო მოხსენებებით ძირითადად ნიკო მუსხელიშვილი და ილია ვეკუა გამოდიოდნენ, უკვე 1941 წლის შემოდგომიდან არაერთხელ მოისმინეს ნიკოლოზ ვეკუას, ვახტანგ ჟღენტის, დავით კვესელავას, ლევან მაღნარაძის, იოთამ ქარცივამის, დავით ხარაზოვის, ბორის ხვედელიძისა და ამ წერილის ავტორის სამეცნიერო მოხსენებები. სემინარის მუშაობაში ასევე მონაწილეობდნენ თევდორე გახოვი (ორჯონიკიძე), ზაიდ ხალილოვი (ბაქო) და სხვები.

დიდი სამამულო ომის წლებში ნიკო მუსხელიშვილის გარშემო შეკრებილ მათემატიკოსთა უმნიშვნელოვანეს მიღწევად ითვლება ანალიზურ ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანების და ერთგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის შექმნა. ნიკო მუსხელიშვილი თავისი მესამე

მონოგრაფიის — “სინგულარული ინტეგრალური განტოლებები” (1945 წ.) წინასიტყვაობაში აღნიშნავს: “წიგნის დაწერას ბიძგი მისცა თბილისის მათემატიკური ინსტიტუტის სემინარზე 1040-42 წლებში წაკითხულმა ჩემმა მოხსენებებმა. სემინარის მონაწილეთა რიგი შედეგების, განსაკუთრებით კი ილია ვეკუას საუკეთესო შრომების გავლენით არსებითად შეიცვალა იმ საკითხების წრე, რომლებზედაც მე განზრახული მქონდა მუშაობა და შემოდგომა აღნიშნო დიდი და თანაც გასაგები კმაყოფილების გრძნობით, რომ ამ წიგნის შინაარსის დიდი ნაწილი განხილული უნდა იქნეს, როგორც ჩემთან და ილია ვეკუასთან ერთად თბილისის მათემატიკური ინსტიტუტის ახალგაზრდა თანამშრომელთა კოლექტიური მუშაობის შედეგი”. ნიკო მუსხელიშვილის გამოკვლევებმა, შესულმა ამ მონოგრაფიაში, 1946 წელს სსრკ სტალინური პრემია მოიპოვა.

ნიკო მუსხელიშვილის ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიებთან ერთად მისი მეცნიერული სკოლის წარმომადგენლებს ბევრი სხვა ღირსშესანიშნავი მეცნიერული ნაშრომი ეკუთვნის, რომელთა შორის პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ თევდორე გახოვის “სასაზღვრო ამოცანები (1963 წ.), ილია ვეკუას “ელიფსურ განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები” (1948 წ.) და “განზოგადებული ანალიზური ფუნქციები” (1959 წ.), ნიკოლოზ ვეკუას “სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემები” (1950 წ.), ვიქტორ ივანოვის “მიახლოებითი მეთოდების თეორია და მისი გამოყენება სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა რიცხვითი ამოხსნების ასაგებად” (1968 წ.), აპოლონ კალანდიას “დრეკადობის ბრტყელი თეორიის საკონტაქტო ამოცანები” (1976 წ.), ზიგფრიდ პრესდორფის “სინგულარულ განტოლებათა რამდენიმე კლასი” (1979 წ.), ბორის ხვედელიძის “კომის ტიპის ინტეგრალთა მეთოდი ერთი კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის წყვეტილ სასაზღვრო ამოცანებში” (1975 წ.). ზოგ მათგანს მინიჭებული აქვს ლენინის, სსრკ, ბელორუსიის სსრ, საქართველოს სსრ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიები, “მოდესტო პანეტის” საერთაშორისო ოქროს მედალი, ზოგი კი თარგმნილია მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ენაზე.

ყოველივე ეს უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ ნიკო მუსხელიშვილის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია მსოფლიო მნიშვნელობის ერთ-ერთი მძლავრი მეცნიერული სკოლა. დღეისთვის ამ სკოლის საკვლევო თემატიკა კიდევ უფრო ფართოდაა გაშლილი, მის მოღვაწეთა რიცხვი მთელ მსოფლიოში იმდენად დიდია, რომ ყველა მათგანის გვარის დასახელებაც კი შორს წაგვიყვანდა. ერთი მაინც ხაზგასმით უნდა ითქვას: როგორც ყოველთვის, დღესაც ნიკო მუსხელიშვილის მეცნიერული სკოლის ნიშანდობლოვი თვისებაა საკვლევო თემის ფუნდამენტურობა და მიღებული სამეცნიერო შედეგების მნიშვნელოვანი გამოყენებითი (პრაქტიკული) ღირებულება.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ სახელწოდებათა — “ქართული მათემატიკური სკოლა”, “თბილისის მათემატიკური სკოლა” — ქვეშ ძირითადად ნიკო მუსხელიშვილის მეცნიერული სკოლა იგულისხმება.

მსოფლიოში სახელგანთქმული სპეციალისტები დამაჯერებლად ამტკიცებენ, რომ ნიკო მუსხელიშვილის მეცნიერული ნამოღვაწარი არამც თუ არ მიეცემა დავიწყებას და არ იქცევა სამუზეიმო ექსპონატად, არამედ მუდამ მომქმედ ჩაუქრობელ ცეცხლად ენთება ყველა თაობის მკვლევართა შემოქმედებაში მათემატიკასა და მის მოსაზღვრე დარგებში.

ზოგიერთ თბილისელ მათემატიკოსთან (პ. ზერაგია, ბ. ხვედელიძე, გ. მანია და სხვ.) შეხვედრის დროს მიმანიშნეს, რომ უახლოეს ხანებში თბილისში ჩემს მუშაობასთან დაკავშირებით მოსალოდნელია გადამწყვეტი ცვლილებები.

16 ოქტომბერს მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკური ინსტიტუტის პროფესორს, წიგნის — “მათემატიკური ფიზიკის განტოლებათა ამოცანების კრებული” — ჩემს თანაავტორს დ. ფ. კალინიჩენკოს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. ეს თარიღი მან ბანკეტით აღნიშნა რესტორან “პრადამი”. ბანკეტს მეც ვესწრებოდი. მის 100-მდე სტუმარს შორის იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ე. პ. ველიხოვის თანაშემწე ვ. ფ. კულეშოვი, დ. კალინიჩენკოს სტუდენტობის დროინდელი ამხანაგი, რომელიც მაგიდასთან ჩემს გვერდით აღმოჩნდა. ვ. კულეშოვმა საიდუმლოდ გამანდო, რომ საქართველოდან ჩემს წინააღმდეგ რამდენიმე საჩივარია შესული სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ა. პ. ალექსანდროვის სახელზე. ერთ-ერთ მათგანში, რომელსაც ხელს აწერდნენ ა. რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლები რ. ჭიჭინაძე და გ. ჯავახიშვილი, მითითებულია, რომ ა. ბიწაძის შეთავსებით მუშაობა თბილისში გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორად საბჭოთა კანონმდებლობას ეწინააღმდეგება. მომჩივნებისთვის შეუტყობინებიათ, რომ ა. ბიწაძე იმ კატეგორიის მეცნიერთა რიგებს ეკუთვნის, ვისთვისაც ასეთი შეთავსება გამონაკლისის სახით დასაშვებია. არ ვიცი, ამ პასუხს დაჯერდებიან თუ არა თქვენი თბილისელი მომჩივნებიო, მითხრა ვ. კულეშოვმა.

АКАДЕМИЯ НАУК²⁹

Союза Советских социалистических Республик

04.03.83 110105-6711

Председателю Совета Министров Грузинской ССР
Картвелишвили Д. Л.

Глубокоуважаемый Дмитрий Леванович!

В соответствии с постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 12 мая 1962 года ¹⁴⁴¹ Академия наук СССР разрешает члену-корреспонденту АН СССР Бицадзе А. В. Чтение лекций в Тбилисском государственном университете и оказание помощи в проведении научно-исследовательских работ в Институте прикладной математики им. И. Н. Векуа при Тбилисском государственном университете в 1983-1984 гг.

Президент Академии наук СССР
академик

А. П. Александров

20 ნოემბრიდან კვლავ თბილისში ვაგრძელებდი სამეცნიერო-ადმინისტრაციულ მოღვაწეობას. 2 დეკემბერს ნინამ დამირეკა მოსკოვიდან და შემატყობინა, რომ გადაუდებელი საქმის გამო მეძებს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. პ. ალექსანდროვი და ითხოვს, რაც შეიძლება სასწრაფოდ დავუკავშირდე თბილისიდან ტელეფონით. იმავე დღეს ბევრი ვეცადე, ტელეფონით დამერეკა ა. პ. ალექსანდროვისთვის, მაგრამ არაფერი არ გამომივიდა. 3 დეკემბერს ეს კავშირი,

²⁹ წერილი დაბეჭდილია ოფიციალურ ბლანკზე

როგორც იქნა, დავამყარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის კაბინეტიდან მთავრობის ტელეფონით.

დღის სამ საათზე დავწერე 2 განცხადება თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის, მეცნიერი ხელმძღვანელის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ, ერთი — თსუ-ს რექტორის ვ. ოკუჯავას, მეორე კი — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის დ. ჩხიკვიშვილის სახელზე, ორივე განცხადებას დავურთე ერთი და იგივე შინაარსის მქონე ახსნა-განმარტებითი ბარათი. მასში აღვნიშნე, რომ 3 დეკემბერს ვესაუბრე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ა. პ. ალექსანდროვს ტელეფონის საშუალებით თბილისიდან მოსკოვში, მან შემატყობინა, რომ ხუთმა პიროვნებამ თბილისიდან შეიტანა საჩივარი სსრკ პარტიული კონტროლის კომისიაში თბილისში შეთავსებით ჩემი მუშაობის თაობაზე. მომჩივნებს ეს უკანონოდ მიაჩნიათ, მოითხოვენ ჩემს მოხსნას თბილისში დაკავებული თანამდებობიდან და პასუხისგებაში მიცემას იმ ზარალის გამო, რაც მე ვითომდა სახელმწიფოს მივაყენე ხელფასის ნახევარი განაკვეთის ყოველთვიური მიღებით (გარდა შვებულების პერიოდისა). ამასთან ერთად ა. პ. ალექსანდროვმა მითხრა, რომ ასეთ ვითარებაში არჩევანს მოკლებული ვარ და აუცილებელია, დაუყოვნებლივ გავითავისუფლო თავი თბილისში დაკავებული თანამდებობიდან. ვ. ოკუჯავამ ჩემი თხოვნა სასწრაფოდ დააკმაყოფილა, დ. ჩხიკვიშვილმა კი მის სახელზე დაწერილი ჩემი განცხადება ვ. ოკუჯავას გადასცა. ამგვარად ჩემი განთავისუფლება თბილისში შეთავსებით დაკავებული თანამდებობიდან სულ რაღაც ერთი საათის განმავლობაში მოხდა.

ჯერ კიდევ 1984 წლის გაზაფხულზე კუბის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა მარიო სილვამ სპეციალური წერილით სთხოვა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის განყოფილების სწავლულ მდივანს, ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორს აკადემიკოს ნ. ნ. ბოგოლიუბოვს 1985 წლის თებერვალ-მარტში ჩემი 2 კვირით ჰავანაში მივლინება სამეცნიერო მოხსენებების წასაკითხად და მეცნიერული კონსულტაციების ჩასატარებლად. ნ. ბოგოლიუბოვმა თანხმობა განაცხადა და აღძრა შუამდგომლობა აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს წინაშე ჩემი საზღვარგარეთ მივლინების დროულად გაფორმებაზე.

24 თებერვალს თვითმფრინავით მოსკოვიდან ჰავანას გავემგზავრე. ლუქსემბურგსა და შენონში თითო საათიან შეჩერებებით ჩვენმა თვითმფრინავმა მანძილი მოსკოვიდან ჰავანამდე 17 საათში დაფარა. განთიადზე უკვე ჰავანის საჰაერო ვაგზალზე ვიმყოფებოდი. სათანადო საბაჟო შემოწმების შემდეგ გავედი მოსაცდელ დარბაზში, სადაც მომღიმარი ანდრე ფრაგელა მელოდებოდა. საცხოვრებლად ბინა მომცეს კუბის მეცნიერებათა აკადემიის სასტუმროში, რომელიც ყოფილი ბურჟუაზიული კუბის პრეზიდენტის XX საუკუნის დასაწყისის სასახლეშია მოთავსებული.

სანამ სამეცნიერო მუშაობას შევუდგებოდი, 2 დღის განმავლობაში ფრაგელას თანხლებით რამდენიმე მნიშვნელოვან კულტურულ და ისტორიულ ძეგლს გავეცანი. აქ ყველაფერი საინტერესო იყო ჩემთვის. სასტუმრო, სადაც მე ვცხოვრობდი, მოთავსებულია ჰავანის ძველ ნაწილში ბულვარ პრადოს მიდამოში. ჰავანა — 2 მილიონიანი მოსახლეობის მქონე, მსოფლიოში ეს ულამაზესი ქალაქი გაშენებულია მექსიკის უბის სამხრეთი სანაპიროს გასწვრივ რამდენიმე ათეული კმ-ის სიგრძეზე,

აშშ-ის სამხრეთ სანაპიროდან, ფლორიდიდან (მაიამიდან) სულ რაღაც 180 კმ-ით დაშორებული. მისი ძველი ნაწილი ეკვრის ჰავანის ნავსადგურს, რომლის ნაპირზედაც აღმართულია ციხე-სიმაგრე ელ-მორო. ბულვარ პრადოს მიდამოებში მრავალი ისტორიული ძეგლია. თვალს ხიბლავს XVIII-XIX საუკუნეების ესპანური არქიტექტურული სტილის ნაგებობები. პრადოზე გამოდის XX საუკუნის დასაწყისში აგებული ეროვნული კაპიტოლიუმის უზარმაზარი სასახლე, რომელიც ძალიან წააგავს ვაშინგტონის კაპიტოლიუმს. ახლა ამ შენობაში მოთავსებულია კუბის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, სამეცნიერო ბიბლიოთეკა და რამდენიმე ინსტიტუტი. კაპიტოლიუმის ახლოს მდებარეობს ყოფილი ბურჟუაზიული კუბის პრეზიდენტთა რეზიდენცია. აქედან ახლოსაა კუბის ხელოვნების მუზეუმი — კაზ-მულ სახვით ხელოვნებათა სასახლე. ძველი ჰავანა კოლონიური ხანის ნამდვილი ნაკრძალია თავისი 900-მდე ობიექტით. დასავლეთის მიმართულებით ბულვარი პრადო გადადის ზღვის სანაპიროში, რომელიც მალეკონის სახელითაა ცნობილი. მალეკონს ეკვრის XX საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში გაშენებული რაიონები ვედადო და მირამარა ცათამბჯენებითა და ლამაზი საცხოვრებელი სასახლე-აგარაკებით. ვედადოს გორაკზე დგას ჰავანის უნივერსიტეტის რამდენიმე შენობა. 1728 წელს დაარსებული ჰავანის უნივერსიტეტი დღეს უმაღლესი განათლების სპეციალისტთა და მეცნიერულ კადრთა სამჭედლოა.

ჩემი მეცნიერული კონსულტაციებით კუბელი მათემატიკოსები თითქმის ყოველდღიურად სარგებლობდნენ როგორც კუბის მათემატიკის ინსტიტუტისა და ჰავანის უნივერსიტეტის შენობებში ამისთვის გამოყოფილ კაბინეტებსა და ლაბორატორიებში, ისე მეცნიერთა სახლშიც. უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე, კუბელ მათემატიკოსთა სემინარზე წავიკითხე 3 მეცნიერული მოხსენება. ჩემს საჯარო მოხსენებას კუბელ მათემატიკოსთა საზოგადოების სხდომაზე 100-ზე მეტი მსმენელი დაესწრო. კუბის ტელევიზიის წარმომადგენლებმა გააკეთეს ჩემი გამოსვლის ვიდეოჩანაწერი, რომელიც მოხსენების წაკითხვიდან ერთი კვირის შემდეგ კუბის ტელევიზიამ აჩვენა სპეციალურ გამოშვებაში. კუბელებს ბევრი მეტად ნიჭიერი მათემატიკოსი ჰყავთ, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ანდრე ფრაგელა, სპეციალისტი ნაწილობითწარმოებულიან განტოლებათა თეორიაში და თანამედროვე ფუნქციონალურ ანალიზში. კუბელ მეცნიერთა დიდ ნაწილს სამეცნიერო სკოლა საბჭოთა კავშირში აქვს გავლილი, ბევრ მათგანს ცოლად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეროვნების ქალიშვილები ჰყავთ. კერძოდ, ანდრე ფრაგელას მეუღლე მოლდაველი ქალია, სახელად ლიუდმილა, რომელსაც ახლა კუბელები ლაურად უხმობენ. თავისუფალ დროს ზღვის სანაპიროზე ან მუზეუმებსა და თეატრებში ვატარებდი. ჰავანელთა პლაჟები ქალაქიდან აღმოსავლეთით რამდენიმე ათეული კმ-ითაა დაშორებული. მათ შორის ყველაზე ლამაზი და მოსახერხებელია “სანტა მარია” და “ვარადერო”. მასპინძლებმა მომთავსეს ვარადეროს შესანიშნავ სასახლეში, რომელიც რევოლუციამდე ამერიკელ მულტიმილიონერ დიუპონს აუშენებია. იქ ჩემთან ერთად იყვნენ ანდრე, ლაურა და ლაურიტა ფრაგელები. რამდენიმე კუბელმა კოლეგამ საცხოვრებელ ბინებზეც მიმიწვია. ძალზე სასიამოვნო იყო ჩემი ვიზიტი ა. ფრაგელასა და რ. კასტროს ოჯახებში. რაფაელ კასტრო თავისი მეუღლით (მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის ბარმინის ქალიშვილი) და ვაჟით მშობლების სახლში ცხოვრობენ მირამარის უბანში. რაფაელ კასტროს მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოსკოვის უნივერსიტეტში მოუპოვებია, ახლა ასისტენტად მუშაობს ჰავანის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე. მისი მამა — ისიც რაფაელ კასტრო კუბის II საჰაერო-სანაოსნო კომპანიის ხელმძღვანელია, დედა —

ბასკის ქალი ესპანეთიდან, ამჟამად პენსიონერია. ოჯახში სამი მამაკაცია, სამივეს სახელი რაფაელია — ბაბუა რაფაელი, მამა რაფაელი და შვილიშვილი რაფაელი. ბაბუა რაფაელი ახალგაზრდობაში მფრინავი ყოფილა და ერთხანს ფიდელ კასტროს თვითმრფინავზე შტურმანი იყო. 60-იანი წლების დასასრულს და 70-იანი წლების I ნახევარში რაფაელ კასტრო კუბის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას ასრულებდა. ჩემთან საუბარში მან ბევრი რამ მომითხრო. ის კარგად იცნობდა აწ განსვენებულ ცნობილ ქართველ მეცნიერებს თეოფანე ფარნას ძე დავითაიას და გიორგი კონსტანტინეს ძე სულაქველიძეს. დავითაიას მონაწილეობითაა შედგენილი კუბის გეოგრაფიული რუკა, რომლის ბადალი მთელ ამერიკაში არ მოიპოვება. რაფაელ კასტრო რამდენჯერმე თბილისშიც ყოფილა სტუმრად თავის მეგობრებთან დავითაიასა და სულაქველიძესთან და ამას ის დღესაც სიამოვნებით იგონებს.

10 მარტს თვითმრფინავით ჰავანადან მოსკოვს დავბრუნდი. ჩემს მიერ კუბაში ჩატარებულ საქმიანობას კუბის რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებმა მაღალი შეფასება მისცეს ჩვენი ქვეყნის სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებისთვის გაგზავნილ სპეციალურ წერილებში. მათ საფუძველზე სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექციამ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს გაუგზავნა სპეციალური დოკუმენტი.

10 აგვისტოს მივიღე უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების ბეჭდვითი ორგანო “სამშობლოს”¹⁷ (660) ეგზემპლარი, რომლის VI გვერდზე მოთავსებულია ჩემი პორტრეტი აკადემიკოს ბ. ხვედელიძისა და პროფესორ ჯ. გვაზავას წერილით — “წლები, აღსავსე ღწვით და ძიებით” — ჩემს 70 წლისთავთან დაკავშირებით, საიუბილეო გადაჭარბებით. ეს წერილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოში — “კომუნისტშიაც” დაიბეჭდა უმნიშვნელო ცვლილებებით.

1987 წლის 23 აპრილის აღსანიშნავად მთხოვეს, მოკლე წერილი დამეწერა ი. ვეკუას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მისი სიცოცხლის უკანასკნელი წლების განმავლობაში. მისი შინაარსი:

“დიდ სამეცნიერო-ორგანიზატორულ მუშაობასთან ერთად ილია ვეკუა წარმატებით აგრძელებდა მოსკოვსა და ნოვოსიბირსკში დაწყებულ გამოკვლევებს გარსთა მათემატიკურ თეორიაში. ამასთან ერთად ის ამუშავებდა სახალხო მეურნეობისთვის მნიშვნელოვან სამშენებლო მექანიკის ამოცანების რიცხვითი ამოხსნების მეთოდებს. ამ მიმართულებით მიღებული შედეგების შესახებ წაიკითხა მოხსენებები საერთაშორისო სიმპოზიუმებზე იუვასკიულში (1972 წ., ფინეთში) და დარმშტატში (1976 წ., გფრ) და სხვა თავყრილობებზე. აღნიშნული ფორუმების მუშაობაში მონაწილეობის პატივი წილად ხვდა ამ სტრუქტურების ავტორსაც. იგი მოწმეა, თუ რა დიდი ინტერესით ხვდებოდნენ სპეციალისტები ილია ვეკუას გამოსვლებს. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ილია ვეკუა ინტენსიურად და მეტად ნაყოფიერად მუშაობდა გარსების მათემატიკური თეორიისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაზე. ის გრძნობდა, რომ ახლოვდებოდა მისთვის ტრაგიკული აღსასრულის ჟამი, და არ უნდოდა, ამ მონოგრაფიაზე მუშაობა სხვას დაესრულებინა.

სამეცნიერო საზოგადოებამ მისი გარდაცვალების შემდეგ დიდი ინტერესით მიიღო ეს ნაშრომი, დასტამბული სახელწოდებით — “გარსთა თეორიის სხვადასხვა

ვარიანტების აგების ზოგიერთი მეთოდი”, რომელსაც სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ის რუსულიდან ინგლისურ ენაზეც ითარგმნა და ლონდონში გამოსცეს 1985 წ.³⁰

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ ქართული ისტორიული, ფიზიოლოგიური და მათემატიკური სამეცნიერო სკოლების საერთაშორისო აღიარებით. ამ სკოლებთან მრავალი სახელგანთქმული მეცნიერის სახელია დაკავშირებული. მათ რიცხვს უთუოდ მიეკუთვნება ილია ვეკუა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მეცნიერების განვითარებაში.

ეკლიანი და ძნელია დიდ მეცნიერთა ცხოვრების გზა. მეცნიერთა ახალი თაობების წარმომადგენლებმა ცოტა რამ იცინა მათი ცხოვრების გასაჭირითა და დრამატიზმით აღსავსე პერიოდებზე. მათდამი მიძღვნილ ბიოგრაფიულ და სხვა სახის ნაწარმოებებში ძირითადი ყურადღება მიპყრობილია მხოლოდ მნიშვნელოვან მეცნიერულ შედეგებზე, რაც მემკვიდრეობად დარჩა მეცნიერებს.

მეცნიერული შემოქმედება ილია ვეკუას დიდ სიხარულს ანიჭებდა. ეს რომ არა, ალბათ ძნელი იქნებოდა, გადაეტანა ის ტკივილები, რომლებიც უსამართლოდ მიაყენეს მას და არა ერთგზის. ილია ვეკუას სახელი დღეს ჩვენი დროის დიდ მეცნიერთა რიგებშია მიჩნეული. ამ მხრივ მრავლის მთქმელია ის გარემოება, რომ 1978 წელს მოსკოვში გამომცემლობა «Наука»-მ დასტამბა სტატიების კრებული სახელწოდებით — კომპლექსური ანალიზი და მისი გამოყენებები”, მიძღვნილი ილია ვეკუას 70 წლისთავისადმი. მის 95 ავტორთა შორის 58 უცხოელია. იუბილარს ბედმა არ არგუნა ამ კრებულის ხილვა”.

1986 წლის სექტემბერში საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტიდან მივიღე კასეტა მაგნიტური ჩანაწერით, რომელშიც აღბეჭდილია ჩემი 70 წლისთავისადმი მიძღვნილი რადიოგადაცემის მონტაჟი. გადაცემაში მონაწილეობა მიუღიათ ელენე იმერლიშვილს, ელენე ობოლაშვილს, ბ. ხვედელიძესა და ჯ. გვაზავას. მონტაჟი ეკუთვნის ჟურნალისტ ნანული ჭავჭავანიძეს.

სექტემბერში პლენარული მოხსენებით გამოვედი მათემატიკური ფიზიკისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სკოლის მონაწილეთა წინაშე ვარნაში (ბულგარეთი). ვარნის საერთაშორისო სკოლის მუშაობაში საბჭოთა კავშირიდან ჩემთან ერთად მონაწილეობდნენ პროფესორები ბორისოვიჩი (ვორონეჟიდან), ვრაგოვი (ნოვოსიბირსკიდან) და ჩერნოუსკო (მოსკოვიდან). განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეს ჩემს მიმართ ჩემმა ბულგარელმა მეგობრებმა გიორგი კარატოპრაკლიევმა და ნედიუ პოპივანოვმა. ბულგარეთის ცენტრალური ორგანოების (სოფიიდან) მითითებით მოეწყო ბულგარეთის მეცნიერული ახალგაზრდობის წარმომადგენელთა შეხვედრა საერთაშორისო სკოლის მონაწილეებთან. შეხვედრა კითხვა-პასუხის ხასიათს ატარებდა. სწარმოებდა ამ შეხვედრის სინქრონული (პირდაპირი) გადაცემა ბულგარეთის ტელევიზიით. დასკვნითი სხდომის დამთავრების შემდეგ გაიმართა ბანკეტი საერთაშორისო სკოლის მონაწილეთა პატივსაცემად. ვარნადან მოსკოვში გამოფრენის წინა საღამოს გ. კარატოპრაკლიევსა და ნ. პოპივანოვის მიწვევით დავესწარი ბოშათა საესტრადო წარმოდგენას ვახშმით. ზღვის პირას, ღია

³⁰ თარგმანი ეკუთვნის თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელს, ინგლისური ენის სპეციალისტს ციცილო ვიქტორის ასულ გაბესკირიას. გამომცემლობიდან ასეთი შეფასება მოვიდა:

The translation gives almost no cause for remarks. It was a great pleasure to have to do with the work, carried out so flawlessly, with exceptional beauty and perfection.

Brigitte Buckley, Editor,
Pitman Advanced Publishing Program

ცის ქვეშ განთავსებულ ბაღში ბულგარელ ბოშათა ანსამბლის სიმღერებმა და ცეკვებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს.

გასული წლის მაისში კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის დირექციამ სტეკლოვის ინსტიტუტის დირექციას ფხენიანში რამდენიმე საბჭოთა მათემატიკოსის მივლინება სთხოვა. ჯერ კიდევ სექტემბრის თვეში დაკომპლექტდა დელეგაცია ჩემი, ვ. ი. ბლაგოდატსკისა და ნ. გ. მარჩუკის შემადგენლობით, მაგრამ მისი ფხენიანში მივლინება 1987 წლის მარტამდე შეყოვნდა.

საბჭოთა მათემატიკოსების დელეგაცია მოსკოვიდან ფხენიანს 1987 წლის 15 მარტს გაფრინდა. დანიშნულების ადგილზე 10 საათის შემდეგ აღმოვჩნდით. ფხენიანის მახლობლად აეროდრომის სადგურზე შეგვხვდნენ მასპინძლებისა და საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები. მოგვათავსეს კარგად მოწყობილი სასტუმროს ცალკე ნომრებში. გამოგვიყვეს 2 თანმხლები (კორეელი მათემატიკოსები — ქალი და ვაჟი).

საბჭოთა დელეგატები 2-2 სამეცნიერო მოხსენებით გამოვედით სათანადო სპეციალობის კორეელ მათემატიკოსთა წინაშე. ჩავატარეთ კონსულტაციები ახალგაზრდა კორეელი მათემატიკოსებისთვის. მე გამოსვლა მომიხდა კორეელი ფართო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე თემაზე — “მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და თანამედროვე მათემატიკა” ორსაათიანი მოხსენებით, რომელიც “ცოდნის” სასახლის დიდ დარბაზში შედგა. 10 დღის განმავლობაში შესაძლებლობა მოგვეცა, ნაწილობრივ მაინც შეგვექმნოდა წარმოდგენა კორეაში მათემატიკური მეცნიერების მდგომარეობაზე და ამ სახელმწიფოს მოსახლეობის საქმიანობასა და ცხოვრებაზე.

ჩრდილო კორეის უმაღლესი განათლების მსხვილ ცენტრთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავიათ კიმ ირ სენის სახელობის ფხენიანის უნივერსიტეტსა და ფხენსონის საბუნებისმეტყველო-ტექნიკურ უნივერსიტეტს. ეს უკანასკნელი ფხენიანიდან 40 კმ-ით დაშორებულ, წიწვიანი ტყეებით დაფარულ ხეობაშია განლაგებული თანამედროვე მოწყობილობებით აღჭურვილ ლამაზ შენობებში. მისი სამეცნიერო ბაზები მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი ინსტიტუტებია, შეფენილი ამავე ხეობის ფერდობებზე, მათ შორის მათემატიკის ინსტიტუტი გამოთვლითი ცენტრით.

1985 წლის იანვარში მივიღე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კარლ ვაიერშტრასის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ მატტესის მიწვევა, 1986 წლის განმავლობაში ჩემთვის ხელსაყრელ დროს 10 დღით ვსტუმრებოდი ბერლინს და გერმანელ მათემატიკოსთა წინაშე გამოვსულიყავი რამდენიმე მეცნიერული მოხსენებით ჩემი სამეცნიერო თემატიკის ფარგლებში. ჩემგან დამოუკიდებელი მიზნების გამო ამ ღონისძიების განხორციელება ვერ მოხერხდა, 1987 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის მიჯნაზე კი მთელი გდრ ზეიმობდა ბერლინის დაარსებიდან 750 წლისთავს. ამის გამო შემოდგომის დასაწყისიდანვე ითვალისწინებდნენ საქმიან (არასაზეიმო) ვითარებაში სტუმრების მიღებას. ამის შესაბამისად ჩემი მიწვევის თაობაზე გერმანელთა თხოვნის (განმეორებით) მიღება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობამ დასაშვებად მიიჩნია და დაიწყო ჩემი საზღვარგარეთ

მივლინების საქმის გაფორმება. ამავე დროს ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიამ და ბულგარეთის მათემატიკოსთა საზოგადოებამ დაბეჯითებით მთხოვეს, ლექციებით გამოვსულიყავი 1987 წლის სექტემბრის დასასრულსა და ოქტომბრის დამდეგს საერთაშორისო სამეცნიერო სკოლის მონაწილეთა წინაშე ქალაქ ვარნაში. სადირექტივო ორგანოებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ჩემი მონაწილეობა ამ ორივე ღონისძიებაში. ოფიციალურად შემატყობინეს, რომ დაგეგმილია ჩემი სამეცნიერო მივლინებები 1987 წლის 21 სექტემბრიდან 27 სექტემბრამდე ბერლინს, ხოლო 28 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე კი — ბერლინიდან პირდაპირ ვარნას. ასეთ მაღალ დონეზე მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს ბიუროკრატიულმა აპარატმა ყველაფერი გაართულა და გააძნელა. სათანადო საბუთები მხოლოდ 18 სექტემბერს (პარასკევს) საღამოს 9 საათზე გადმომცეს და თანაც გამაფრთხილეს, რომ დანიშნულების ყოველ პუნქტში აეროპორტში შემხვდებიან როგორც მასპინძელთა, ისე საელჩოთა წარმომადგენლები, რომლებსაც დეპეშებით საჭირო შეტყობინებები დაეგზავნათ.

თვითმფრინავით (აერობუსით) მოსკოვიდან ბერლინის მიმართულებით 21 სექტემბრის დილის 8 საათსა და 55 წუთზე გავემგზავრე. გაფრენის მომენტიდან 2 საათისა და 10 წუთის შემდეგ თვითმფრინავი ბერლინის შიონფელდის აეროდრომზე დაეშვა და ყველაფერი თითქმის გერმანული "აკურატობით" წარიმართა, გარდა ერთი გარემოებისა — აეროპორტში არავინ არ შემხვდა. რამდენიმე საათის შემდეგ გადავწყვიტე, აეროპორტის ცნობათა ბიუროსთვის მიმემართა. საბედნიეროდ იქ მომუშავე გერმანელი ქალიშვილები ტელეფონით დაუკავშირდნენ როგორც გდრ-ის მეცნიერებათა აკადემიას, ისე საბჭოთა საელჩოს. ორივე მხარემ შეიცხადა შექმნილი მდგომარეობა, ჩვენ პროფესორ ბიწაძეს 23 სექტემბრისთვის ველოდითო. ამის შემდეგ სულ რამდენიმე ათეული წუთის შემდეგ კარლ ვაიერშტრასის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და თეორიული განყოფილების გამგე შტეფან რემპელი შიონფელდში მოვიდნენ და ავტომობილით თავიანთ ინსტიტუტში წამიყვანეს. დაიწყო ჩემი ოფიციალური შეხვედრა ინსტიტუტის დირექტორ პროფესორ მატტესთან, რაც 3 საათს გაგრძელდა. შეხვედრის ასეთი ხანგრძლივობის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ჩემთვის სასტუმროს მოძებნა ბერლინში მეტად გაგრძელდა და როგორც გამოირკვა, შეუძლებელიც კი გახდა. ბინა მიმიჩინეს ბერლინიდან საკმაოდ მოშორებით კურორტ ცოიტენში განთავსებულ აკადემიურ სასტუმროში. ამ ათიოდე წლის წინათაც სწორედ აქ მომიწია ცხოვრებამ. ცოიტენის ხმელთაშუა მიდამო აკვატორიას უკავია მდინარე შპრეეს შენაკადებითა და ტბებით. იდგა თბილი შემოდგომა. ცოიტენის აგარაკების ხმელეთის ნაწილი სავსე აღმოჩნდა მსხმოიარე ხეხილითა და ბუჩქებით, მწვანე მდელოებითა და ყვავილებით მოფენილი, აკვატორიები კი — სავსე გედებით, მრავალი გარეული ბატითა და იხვით, თოლიებით და კიდევ, ვინ მოთვლის, რა დასახელების ფრინველით. მასპინძლობითაც კარგად გამოიჩინეს თავი ჩემმა გერმანელმა კოლეგებმა.

22 სექტემბრიდან ჩემი მივლინება საქმიან ვითარებაში შევიდა: კვლავ შეხვედრა პროფესორ მატტესთან და დოქტორ შტეფან რემპელთან, შემდეგ კი — სადილი ბერლინის ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში. გადაწყდა 23 სექტემბერს მოხსენებით გამოსვლა ბერლინელ მათემატიკოსთა წინაშე.

23 სექტემბერს დღის 11 საათზე შედგა ჩემი მეცნიერული მოხსენება კარლ ვაიერშტრასის მათემატიკის ინსტიტუტში თემაზე "პოლიჰარმონიული ფუნქციების

შესახებ". მოხსენების შემდეგ გამართული კამათიდან გამოირკვა, რომ გერმანელი მათემატიკოსები ჩემს მიერ განხილული საკითხებით დაინტერესდნენ. მათ შორის ზოგიერთმა ახალგაზრდა მეცნიერმა ამ საკითხებზე კვლევითი მუშაობის დაწყების სურვილიც კი გამოთქვა.

23 სექტემბერი საკმარისად მძიმე გამოდგა. ჯერ ერთი — ცოიტენიდან გადმოსახლება სასტუმრო "ბეროლინაში".³¹ დღის მეორე ნახევარში მასპინძელთა თხოვნით მონაწილეობა მივიღე მათემატიკის ინსტიტუტში გამართულ სჯა-ბაასში, რომელიც მიემდგინა დასავლეთ გერმანელი ავტორის მონოგრაფიას ეილერის განტოლების შესახებ. მონოგრაფიაში ლაპარაკია ეილერ-ჰუსონ-დარბუს განტოლების ზოგიერთი ამოხსნების შესახებ ტოპოლოგიურ-ალგებრული თვალსაზრისით.

ამავე დღეს სასტუმროში დაბრუნებისთანავე შევუდექი მუშაობას ბერძენი მათემატიკოსის ჯ. რასიასის რედაქტორობით 1986 წელს ლაიპციგში "ტოიბნერის ტექსტის" სერიაში გამოსულ კრებულზე — "შერეული ტიპის განტოლებები" — რეცენზიის დასაწერად. ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს საერთაშორისო ჟურნალის

"Zeitschrift für Analysis und ihre Anwendungen" მთავარმა რედაქტორმა პროფესორმა კლიოტერმა სპეციალური წერილით მთხოვა, როგორც შერეული ტიპის განტოლებათა სპეციალისტს და როგორც ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრს, ამ რეცენზიის დაწერა. გამოირკვა, რომ ეს წერილი გაიგზავნა თბილისს, სადაც მე გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა მეკავა 1979-1983 წლების განმავლობაში. თბილისიდან წერილი 17 სექტემბერს, ბერლინში გამგზავრებამდე 4 დღით ადრე გადმომცეს. რეცენზიას ჩემგან სექტემბერში ელოდნენ და იძულებული ვიყავი, ეს ვადა დამეცვა. 24 სექტემბრის დილისთვის რუსულ ენაზე დაწერილი ჩემი რეცენზია უკვე მზად მქონდა.

რეცენზიაში აღვნიშნე, რომ თანამედროვე მათემატიკის პერსპექტიული მეცნიერული მიმართულებებით შესრულებული მნიშვნელოვანი ნაშრომების "ტოიბნერის ტექსტის" სერიით ცალკეული კრებულების სახით დროული გამოცემა მისასალმებელი და მხარდასაჭერია პირველ რიგში თვით მათემატიკოსთა მხრივ.

ძნელი და კეთილშობილური მისია ითავა პროფესორმა ჯ. რასიასმა, — შეეგროვებინა შერეულ განტოლებათა თეორიაში უკანასკნელ წლებში შესრულებული ცალკეული გამოკვლევები და თავისივე რედაქტორობით კრებულის სახით გამოეცა. მე ვიცოდი, რომ ჯ. რასიასმა საგანგებო თხოვნით დროულად მიმართა განტოლებათა თეორიის აღნიშნულ დარგში მომუშავე სპეციალისტებს ყველა ქვეყანაში. სამწუხაროდ ბევრი მათგანი არ გამოეხმაურა. მიუხედავად ამისა კრებული მაინც გამოიცა. მასში 30 მათემატიკოსის 23 ნაშრომია მოთავსებული.

გასაკვირველი არაფერია იმაში, რომ მეცნიერულ კრებულში შესული სტატიები ყველა ერთნაირად ვერ პასუხობს ასეთ კრებულებს წაყენებულ მოთხოვნილებებს. ამჯერადაც ასე მოხდა. ლ. ჩიბრიკოვას, ნ. პლემანსკის, ა. კოჟანოვისა და ს. მიხლინის სტატიები თუმცა ინტერესს მოკლებულნი არ არიან, მაგრამ მათ თითქმის არაფერი აქვთ საერთო შერეული ტიპის განტოლებებთან. ამ 30-40 წლის წინათ შესრულებულ გამოკვლევებიდან დღეს კარგად ცნობილ მნიშვნელოვან შედეგებს შერეული ტიპის განტოლებათა თეორიიდან მიუძღვნეს თავიანთი წერილები კ. ბაბენკომ, დ. ს. დონგმა, მ. ი. ჩიმ, ა. ჩერნოვმა (ამ ავტორმა ხეირიანად ვერც კი გაიგო დიდი ხნის წინათ გუდერლეის, ტომოტიკასა და ტამადას მიერ მიღებული შედეგები), კრახტმა, კრაისციგმა. აშკარად პრეტენზიას მოკლებულია პოდგაჩოვის სტატიაში გაკეთებული

³¹ ბეროლინა (Berolina) _ ბერლინის ლათინიზებული სახელწოდება. ეს სასტუმრო ახლა აღარ არის.

განცხადება იმის შესახებ, რომ მან დაასაბუთა ტრიკომის ტიპის ამოცანის კორექტულობა მრავალგანზომილებიან არეში მის მიერვე შემოთავაზებული განტოლების შემთხვევაში.

მაღალ დონეზე შესრულებული შერეული ტიპის განტოლებათა თეორიის ტრადიციულ, უკვე კლასიკურად მიჩნეულ მიმართულებებით შესრულებული გამოკვლევები. მათ შორის უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ჯ. რასიასის, ე. ამიხტის, რ. ვაინახტის, ბარანცევის, ჩიუ ჩუნ ჩანგის, ჩაო ჰაო გაუს, ა. კუმინის, ა. ნახუშევის, ს. ნოჩილას, ქსიპუასა და ჩენ დექუანის მიერ მიღებული, მათსავე სტატიებში შესული ახალი შედეგები.

ამ უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი გამოკვლევები იქნა შესრულებული შერეული ტიპის განტოლებათა თეორიის ზოგიერთი სხვა ახალი მიმართულებებითაც: მრავალგანზომილებიანი ამოცანები, შერეული ტიპის ოპერატორთა სპექტრალური თეორია და სხვა. ამ გამოკვლევათა ავტორთაგან სამწუხაროდ ზოგი არ გამოეხმაურა ჯ. რასიასის ინიციატივას სარეცენზიო კრებულის გამოცემის თაობაზე, დანარჩენებმა კი სხვადასხვა მიზეზის გამო არაფერი არ იცოდნენ აღნიშნული ინიციატივის შესახებ.

24 სექტემბერს დილის 10 საათზე სასტუმროში მომაკითხა კარლ ვაიერშტრასის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა მიხაელ ბარანოვსკიმ, დავალებული აქვს თან მახლდეს ბერლინში გასასეირნებლად და მაღაზიებში ზოგიერთი ჩემთვის საჭირო ნივთის შესაძენად. მას წარმოდგენაც კი არ აქვს, რომ მისი გვარი რუსეთში ძალიან გავრცელებული იყო. მათ შორის ზოგს აზნაურის წოდებაც კი ჰქონდა. საკმარისად ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე იყო რევოლუციამდელ რუსეთში ტუგან ბარანოვსკი.

ბერლინის ქუჩები დილიდანვე ხალხმრავალია. მათ შორის გერმანელი ცოტაა. ხშირად ისმის საუბარი სლავურ (პოლონურ, ჩეხურ, სლოვაკურ, სერბულ და სხვ.) ენებზე.

გერმანელები სანიმუშო დისციპლინის ხალხია. დილის 6 საათისთვის საცხოვრებელ სახლთა ყოველ ფანჯარაში მოჩანს სინათლე, საღამოს 10 საათზე იშვიათად თუ შენიშნავთ შუქს გერმანელის ბინაში.

გდრ-ში თანამედროვე მათემატიკის თითქმის ყველა დარგში სწარმოებს მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოები. ჩემი მეცნიერული თემატიკა წარმოდგენილია ახალგაზრდა საკმაოდ მძლავრი მათემატიკოსების ჯგუფით, რომელსაც ვ. შულცე და შ. რემპელი ხელმძღვანელობენ.

ამ ერთი კვირის განმავლობაში ჩემი დაკვირვებების შედეგად დავრწმუნდი, რომ ბერლინელები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირში მიმდინარე ცვლილებების მიმართ როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და კულტურულ დარგებში. ამის შესახებ ჩემთან ძირითადად ცნობილი მეცნიერები საუბრობდნენ, ახალგაზრდები კი ასეთ საუბრებს მდუმარებით ადევნებდნენ თვალყურს. ამ უკანასკნელთ, როგორც სჩანს, ბევრი რამ არ მოსწონთ, რაც მათ სამშობლოში და მის მოკავშირე ქვეყნებში ხდება. ქუჩებში სეირნობისას ჩემი თანმხლები ახალგაზრდა მათემატიკოსები ჩემს ყურადღებას აქცევდნენ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მათ უკმაყოფილებას იწვევენ (ბერლინის კედელი, საბჭოთა სამხედრო პირები ბერლინის ქუჩებში და სხვა). მათში განსაკუთრებულ უსიამოვნებას იწვევენ ბერლინის მაღაზიები, გამოტენილი არაგერმანული წარმოშობის მასობრივი მყიდველებით, რომლებიც თავისი ქვეყნების ბონებად ქცეული ფულით პირველი მოხმარების უამრავ საგნებს იძენენ. ლუთერმა დავრდომილთა და ობოლთა შეწყალება

შთაგვინერგა, მაგრამ რამდენ ხანს უნდა ვარჩინოთ ჩენი შრომით ეს უცხოელი ჯანმრთელი მუქთახორებიო, ხშირად მეუბნებოდნენ გერმანელები.

26 სექტემბერს დღის 3 საათზე სასტუმროში მომაკითხეს პროფესორმა შ. რემპელმა და მისმა მეუღლემ — სანდომიანი გარეგნობის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალმა, პროფესიით ფილოლოგმა და 2 შვილის დედამ. ერთად დავათვალიერეთ ძველი ბერლინის ახლად გახსნილი არქეოლოგიური მუზეუმი, რომელიც წმინდა ნიკოლოზის ტაძარშია განლაგებული. სწორედ ამ ტაძრის დაარსებიდან ითვლის ბერლინი 750 წელს. 1945 წელს ნანგრევებად ქცეული ეს შენობა შესანიშნავად აღუდგენიათ და მასში მოუთავსებიათ არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბერლინსა და მის მიდამოებში აღმოჩენილი მატერიალური კულტურის უამრავი ძეგლი. რას არ ნახავთ აქ — ძველ მანუსკრიპტებს, საბრძოლო საჭურველს, საოჯახო ნივთებს, ნუმიზმატიკის ნიმუშებს (ოქროს, ვერცხლის, სპილენძის ფულს) და ა. შ. მუზეუმი ბერლინის 750 წლისთავის აღნიშვნის დღეებში გახსნეს.

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ძველი ბერლინის მიდამოს დათვალიერებას შევუდექით. შ. რემპელის მეუღლეს ასპირანტურა მოსკოვის უნივერსიტეტში გაუვლია 60-იანი და 70-იანი წლების მიჯნაზე და საკმარისად კარგად იცნობს ჩვენს ქვეყანას მის მოსახლეობას. ცოლიც და ქმარიც კარგად ფლობენ რუსულ ენას. მათ დიდი დაინტერესება გამოიჩინეს საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებით და მათი ინიციატორების, განსაკუთრებით მ. გორბაჩოვისა და ე. შევარდნაძის ბიოგრაფიებით. მე შეძლებისდაგვარად შევეცადე მათი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას, რაც გამოიხატა ფრაუ რემპელის სიტყვებში — თქვენთან ამ საუბარმა ჩვენი კეთილი განწყობილება ამ ორი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის მიმართ კიდევ უფრო განგვიმტკიცაო.

მასპინძელთა ყურადღება მივაქციე იმ ფაქტს, რომ ბერლინის ქუჩებში, სასტუმროებში და რესტორნებში ახლო აღმოსავლეთელი, აფრიკელი და სამხრეთ ამერიკელი უამრავი სტუმარია, ძირითადად მამაკაცები, რომლებიც საკმარისად თავაშვებულად იქცევიან, განსაკუთრებით ევროპელ ქალებთან. რემპელებმა განმარტეს, რომ ყველა მათგანი ვალუტის მფლობელია, დასავლეთ ბერლინიდან აღმოსავლეთში თითქმის უვიზოდ გადმოდიან და ვალუტასაც აქ ტოვებენო. რაც შეეხება ევროპული გარეგნობის ქალებს, რომლებიც ამ ვიგინდარა მამაკაცებთან ხელგაყრილი დასეირნობენ და რესტორნებში ყელზე ეხვევიან, დააკვირდით და დარწმუნდებით, რომ მათ შორის უმრავლესობა საბჭოთა ტურისტიაო.

27 სექტემბერს დღის 11 საათზე სასტუმრო “ბეროლინაში” ჩემს გასაცვილებლად მოვიდნენ ზემოთ ჩემგან არაერთხელ მოხსენიებულნი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი მატტესი და ინსტიტუტის თეორიული განყოფილების გამგე რემპელი. მათი მეოხებით ყველა ყველა ფორმალიზმი სწრაფად იქნა შესრულებული და “ინტერფლუგის”³² საკმაოდ მოძველებული თვითმფრინავით (ИЛ-18) ზუსტად დანიშნულ დროს — 13 საათზე შიონეფელდის აეროპორტიდან გეზი ბულგარეთისკენ ავიდე. თვითმფრინავის ეკიპაჟი გერმანელებისგან შედგებოდა. მგზავრების მომსახურება მაღალ დონეზე იყო, ჩვენებური პირველი კლასის ბილეთის მქონე მგზავრის მომსახურებას არ ჩამოუვარდებოდა. 3 საათის შემდეგ ბულგარეთის დროით 17 საათზე ჩვენი თვითმფრინავი დიდი ოსტატობით დასვეს სოფიის აეროდრომზე. აქაც საბაჟო ფორმალიზმი ძალზე გამარტივებული აღმოჩნდა. სულ რაღაც 10-15 წუთის შემდეგ მივიღე ჩემი ხელბარგი და ქალაქში გავედი.

³² გდრ-ის აეროკომპანია

ყვავილებით შემხვდნენ ჩემი მეგობარი ბულგარელი კოლეგები პროფესორების გ. კარატოპრაკლიევისა და ნ. პოპივანოვის მეთაურობით. სოფიაში გ. კარატოპრაკლიევის ბინაზე ვიმყოფებოდი 27 სექტემბრის 17 საათიდან 28 სექტემბრის 10 საათსა და 15 წუთამდე. საღამოს მასპინძლებმა დამათვალისწინებინეს სოფიის ახალი ღირსშესანიშნავი ადგილები. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ტოდორ ჟივკოვის აწ განსვენებული ქალიშვილის ლიუდმილა ჟივკოვას სახელობის კულტურის სასახლემ და მშვენივრად გამწვანებულმა მისმა შემოგარენმა. 28 სექტემბერს დილის 10 საათსა და 15 წუთზე ბულგარეთის დროით გ. კარატოპრაკლიევთან ერთად სოფიიდან ვარნას გავფრინდით. დანიშნულ ადგილზე 35 წუთის შემდეგ ვიყავით. აეროდრომიდან ვარნელმა მასპინძლებმა წაგვიყვანეს ვარნის მახლობლად ოთხსართულიან შენობაში, სადაც ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის შემოქმედების სახლია მოთავსებული. სწორედ ამ შენობაში იყო დაგეგმილი არაწრფივ კერძოწარმოებულის განტოლებათა თეორიისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო სკოლა-სემინარის გახსნა. ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად უცხოელ მათემატიკოსთა რაოდენობა 50-ს, ბულგარელებისა კი 100-ს აღემატებოდა.

სკოლა-სემინარის მუშაობა 29 სექტემბერს დილის 9 საათზე დაიწყო. სამეცნიერო მოხსენებებით გამოვიდნენ ჩემი ძველი ნაცნობები: ლ. გორდინგი (შვეიცია), ბ. ბოიარსკი (პოლონეთი), ჟ. ნეჩა (ჩეხოსლოვაკია), ო. ლადიჟენსკაია (ლენინგრადი), ვ. მატროსოვი (ირკუტსკი), ს. კურდიუმოვი (მოსკოვი), ვ. ზახაროვი (ჩერნოგოლოვკა), ი. ბერეზანსკი (კიევი) და სხვები. მე გამოვედი შეკვეთილი 50 წუთიანი მოხსენებით თემაზე “არაწრფივ კერძოწარმოებულის განტოლებათა ზოგიერთი კლასის ზუსტი ამოხსნების აგება”. მე ამ თემაზე მეცნიერულ კვლევა-ძიებას 1972 წლიდან ვეწეოდი და ასეთი დასახელების მოხსენებებით (რა თქმა უნდა, სრულიად ახალი შინაარსის) არაერთხელ გამოვსულვარ სხვადასხვა მათემატიკურ თავყრილობებზე. ჩემს მოხსენებას პლენარულ სხდომაზე სკოლა-სემინარის ყველა მონაწილე დაესწრო. მოხსენებისთვის საჭირო ყველა მათემატიკური ფორმულა გამჭვირვალე (ცელულოზის) ფურცლებზე ამოვწერე და მოხსენების გაკეთებისას შუქამრეკლავი ელექტრომანქანის საშუალებით ეკრანზე გადატანილი გამოვიყენე, რამაც ჩემი გამოსვლის დროს 50 წუთის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი ახალი მეცნიერული ფაქტის მოყვანის საშუალება მომცა.

სკოლა-სემინარის მუშაობაში უმრავლესობას, ბუნებრივია, ახალგაზრდა მათემატიკოსები შეადგენდნენ. ბევრი მათგანის მოხსენებამ ჩემზე მნიშვნელოვანი შთაბეჭდილება დატოვა.

30 სექტემბერს 20 საათზე სკოლა-სემინარის სხდომათა დარბაზში შედგა ცნობილი მოსკოველი სპეციალისტის, რადიო-ელექტრონიკის ინსტიტუტის ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელის, პროფესორ ე. გოდენკოს მოხსენება — “ექსტრასენსორულ მოვლენათა შესწავლა ფიზიკური მეთოდებით”. მოხსენება ფრიად საინტერესო, მასზე დასწრება კი ხალხმრავალი აღმოჩნდა. მომხსენებელს თვით მოხსენების პროცესში, რომელიც 4 საათს შესვენების გარეშე გაგრძელდა, განუწყვეტლივ აძლევდნენ შეკითხვებს. კამათში გამოსულთა უმრავლესობა ოპოზიციაში ჩაუდგა მომხსენებელს, რამდენადაც, როგორც თვითონ აღნიშნეს, მკურნალობენ ექსტრასენსების მიერ ჩატარებული პროცედურებით, ასე, მაგალითად, ო. ლადიჟენსკაიამ აღნიშნა, რომ პირადად იცნობს ცნობილ ლენინგრადელ ექსტრასენს ქალს კულაგინას, ყველაფერი მისი “ექსტრასენსობიდან” ჯერ-ჯერობით

გამოუცნობ, მაგრამ დიდმნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნია და უკვირს, რომ მას ასე დაუმსახურებლად აკრიტიკებენ იმის ნაცვლად, რომ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ სახელმწიფოებრივ დონეზე. ო. ლადიჟენსკაიას მხარი აუბა ვ. ზახაროვმაც (ორივე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები არიან). მომხსენებელს ექსტრასენსების მომხრეებისთვის მედიცინის თვალსაზრისით წინა-აღმდეგობის გაწევა არ უცდია, მაგრამ სლაიდების გამოყენებით ეკრანზე განმეორებით აჩვენა ჩატარებული ექსპერიმენტების მსვლელობა და თვით ამ ექსპერიმენტებიდან უშუალოდ გამოტანილი დასკვნები. მოხსენებაზე მყოფთა დიდი ნაწილი ღამის პირველ საათამდე არ დაიშალა, გარს შემოერთყა მომხსენებელს და ვინ რაზე არ ილაპარაკა — საიქიოს არსებობაზე, სულების გადასახლების აუცილებლობაზე, მკითხავების, ორაკულების, ჰოროსკოპთა შემქმნელების საიდუმლოებებზე და ა. შ.

2 ოქტომბერს გ. კარატოპრაკლიევმა და ი. დიმოვსკიმ მე და ო. ა. ლადიჟენსკაიას ვარნიდან რუმინეთამდე დობრუჯის ჩათვლით ავტომანქანით ბულგარეთის შავი ზღვის სანაპიროს დათვალიერება შემოგვთავაზეს. ეს წინადადება სიამოვნებით მივიღეთ. მრავალი შთაბეჭდილებით დავბრუნდით ვარნას. საღამოს 9 საათზე სკოლის მონაწილეთათვის გაიმართა ბანკეტი, სადაც ბულგარელებმა გამასპინძლების უბადლო ნიმუში გვიჩვენეს.

3 ოქტომბერს საღამოს თვითმფრინავით ვარნიდან მოსკოვს დავბრუნდი.

1988 წლის მარტში ქართული გაზეთის “კომუნისტის” პასუხისმგებელმა რედაქტორმა ნუგზარ ფოფხაძემ მთხოვა, დამეწერა წერილი თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან 70 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად. დიდხანს ვიფიქრე, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება, შევასრულო ეს თხოვნა სამშობლოდან განდევნილმა. გადავწყვიტე, ამ ღირსშესანიშნავ თარიღს წერილით გამოვხმაურებოდი, რომლის ასლი აქ მომყავს.

ცოდნის, განსწავლის მშობლიური დიდი ტაძარი

ისტორიის ქართული და უცხოური წყაროებიდან, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული მატერიალური კულტურის ძეგლებიდან მკაფიოდ ჩანს, თუ რატომ მიაკუთვნებენ ქართველებს უძველესი კულტურის მქონე ხალხთა რიგებს. დახვეწილი, ლამაზი ფორმის ქართული ანბანი, ღრმა შინაარსიანი ძველი ქართული დამწერლობა მეტყველებენ იმაზე, თუ ძველთაგანვე რა დიდი ყურადღება ექცეოდა საგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოში, ამ საქმიანობის გარეშე ხომ წარმოდგენილი იქნებოდა მეცნიერების, ლიტერატურის, სამშენებლო ტექნიკის, ხელოვნების ის მაღალი დონე, რომელმაც საქართველოს მთებსა და კლდეებში შეჭრილ ციხე-ქალაქთა და ტაძართა სიმტკიცე და სიმშვენიერე, მათში შერწყმული ჩუქურთმების, ჭედურობათა და ფერწერის უბადლო ნიმუშები განაპირობა. სწავლა-განათლების დანერგვას ემსახურებოდნენ სამონასტრო სასწავლებლები, განლაგებულნი როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის გარეთ — ათონში, სინას მთაზე, იერუსალიმში, პეტრიწონში³³ და სხვ. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა უმაღლეს განათლებასა და მეცნიერულ კვლევა-ძიებასაც. თავის დროზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ კოლხეთის აკადემიად წოდებული ფაზისის ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა, გრემის, გელათისა და იყალთოს აკადემიები. ალბათ ჭეშმარიტებასთან ახლოს უნდა მივიჩნიოთ ცნობილ მეცნიერთა აზრი ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და ქართველი მოაზროვნის პეტრე იბერის პიროვნებათა იდენტურობის თაობაზე.

განსაკუთრებით მაღალ დონეს მიაღწია საერთო საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობამ ქართველი ხალხის ისტორიის ოქროს ხანად წოდებულ XII და XIII საუკუნეებში. სამწუხაროდ მონგოლთა შემოსევამ უკულმა დაატრიალა საქართველოს ბედი. მან ჯერ სახელმწიფოებრივი მთლიანობა დაკარგა, შემდეგ კი, პატარ-პატარა სამეფოებად და სამთავროებად დაქუცმაცებული, სპარსეთის, ოსმალეთის და მათი გავლენის ქვეშ მოქცეული ჩრდილო კავკასიის მომთაბარე ტომების ვასალიც კი გახდა. ფრთები შეეკვცა საქართველოში ცოდნისა და განათლებისადმი საყოველთაოდ ცნობილ მისწრაფებას. ამას თან მოჰყვა საქართველოს ტერიტორიაზე სწავლა-განათლების ცენტრების მოშლა და განადგურება. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხის ავბედობის ისეთ მძიმე პერიოდშიც კი, როგორც XVII-XVIII საუკუნეები იყო, იტალიაში საგანგებოდ წარგზავნილი არაერთი ქართველი ჭაბუკი ცოდნას ეუფლებოდა რომის კათოლიკურ კოლეგიაში. ჟამთა სიავეს თან მოჰყვა სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვანი შეფერხება, რიგ მაღალგვაროვან ქართულ ოჯახთა გადასახლება ჩრდილოეთში, XVIII საუკუნის დასასრულიდან კი უკვე ფიზიკურად განადგურების თავიდან ასაცილებლად,

³³ ახლანდელი ბაჩკოვო ბულგარეთში

საქართველოს სამეფოებისა და სამთავროების ერთმორწმუნე ჩრდილოეთელ მეზობელ რუსეთთან შეერთება. ამან გამოიწვია ისლამური სახელმწიფოების საქართველოში შემოსევათა თანდათანობითი შენელება და თანაც სამწუხაროდ თვით საქართველოს თვითმპყრობელური რუსეთის კოლონიად გადაქცევა. თავიდან თითქოს გარკვეული პრივილეგიები მისცეს სამეფო დინასტიებისა და დიდგვაროვან თავად-აზნაურთა ზოგიერთ ოჯახს, მაგრამ მოგვიანებით ბევრი მათგანი რუსეთის იმპერიის ჩრდილოეთ გუბერნიებში გადაასახლეს. რუსეთში გადახვეწილმა ბევრმა ახალგაზრდამ შეძლო უმაღლესი განათლების მიღება რუსეთის სამეცნიერო ცენტრებში, დასავლეთ ევროპაში და სამშობლოს გარეთ თავი გამოეჩინა სამხედრო, პოლიტიკურ და სამეცნიერო სარბიელზე. ისინი არ ივიწყებდნენ სამშობლოს და შესაძლებლობისდაგვარად ზრუნავდნენ მის საკეთილდღეოდ. ამან დადებითი ნაყოფი გამოიღო, სულიერად და მატერიალურად თითქოს მოღონიერდა საქართველოს მოსახლეობა, მაგრამ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა დასჯამ კვლავ შეანელა ქართველი ხალხის კულტურული აღორძინება. აღნიშნულ შეთქმულებაში მონაწილეთაგან არადიდგვაროვანი წარმოშობის, მაგრამ სახალხო საქმისთვის ყველაზე უფრო გულშემატკივართაგან ს. დოდაშვილს, ს. რაზმაძესა და ფ. კიკნაძეს გადასახლება და საპყრობილეში ამოხდათ სული.

საშუალო საუკუნეების შემდეგ უმაღლესი განათლების ფორმათა შორის ყველაზე უფრო გავრცელებული აღმოჩნდა საუნივერსიტეტო განათლება. აკადემიის სახელწოდება შემორჩათ სამხედრო, სამხატვრო და სასულიერო სასწავლებლებს.

საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის, კერძოდ უნივერსიტეტის დაარსებაზე ოცნებობდა და ზრუნავდა გასულ და მიმდინარე საუკუნეთა თითქმის ყველა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე, მაგრამ ამ საქმის მოგვარებას კატეგორიულად წინ აღუდგა მეფის რუსეთის მთავრობა ორი მოტივით: 1. რუსეთის სინამდვილეში უნივერსიტეტები რევოლუციური მოძრაობის კერებს წარმოადგენდნენ და კიდევ ერთი ახალი უნივერსიტეტის, ისიც პერიფერიაში, გახსნა მისთვის მიზანშეწონილი არ იყო. 2. პერიფერიაში მოსახლე ხალხები, ნებით თუ მათი ნების გარეშე რუსეთთან შეერთებულნი, იმდენად გონებაჩლუნგად მიაჩნდათ, რომ მათ უმაღლესი განათლების ღირსადაც კი არ მიიჩნევდნენ.

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ღირსეულ მოღვაწეთა შორის ვხვდებით ქართველ მეცნიერებსაც: თ. ბაგრატიონს — საიმპერატორო აკადემიის საპატიო წევრს, გამოჩენილ კავკასიოლოგს და ეთნოგრაფს, დ. ჩუბინაშვილს — სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს, ქართველოლოგსა და ეთნოგრაფს, პ. ბაგრატიონს — საიმპერატორო აკადემიის ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიების ხელმძღვანელს, ს. დავითაშვილს — საიმპერატორო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, ი. თარხნიშვილს — რუსეთის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსს, მსოფლიოში სახელგანთქმულ ფიზიოლოგს, დ. ბაქრაძეს — საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ცნობილ არქეოლოგსა და ისტორიკოსს, ვ. პეტრიაშვილს — ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის პროფესორს ქიმიის დარგში, ხოლო უკანასკნელ წლებში ამავე უნივერსიტეტის რექტორს და სხვ. ისინი გამოირჩეოდნენ მაღალი ინტელექტისთვის დამახასიათებელი ინტერნაციონალური დიდბუნებოვნებით და თანაც არ ივიწყებდნენ სამშობლოს, ფიქრობდნენ მის ჭირ-ვარამზე, ცხოველი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეს, ხელს უწყობდნენ მათ შორის ნიჭით განსაკუთრებით გამორჩეულთა სამეცნიერო ასპარეზზე გასვლას. აღნიშნულ

მეცნიერთა მშობლიური ზრუნვის შედეგად რუსეთის რიგ სასწავლო თუ სამეცნიერო ცენტრებში, იქ, სადაც მათი გავლენა გადაწვდებოდა, აღიზარდა ქართველ მეცნიერთა მთელი პლეადა: ი. ჯავახიშვილი, გრ. წერეთელი, ი. ყიფშიძე, ი. თიკანაძე, ა. მაჭავარიანი, ს. ვირსალაძე, ა. შანიძე, ნ. მუსხელიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, შ. ნუცუბიძე, ლ. ანდრონიკაშვილი, ი. აბულაძე, ა. ბენაშვილი, ე. თაყაიშვილი (სანკტ-პეტერბურგში), პ. მელიქიშვილი, ი. მოსეშვილი, ს. გოგიტიძე, ვ. ჟღენტი, ს. ავალიანი, ი. ბერიტაშვილი (ოდესაში), ა. ნათიშვილი, ს. ამირეჯიბი, გ. ახვლედიანი, ალ. წერეთელი (ხარკოვში), კ. კეკელიძე (კიევში), ა. რაზმაძე, ა. ხარაძე, ალ. ჯავახიშვილი, გ. ღამბარაშვილი (მოსკოვში) და სხვ. მათივე რეკომენდაციით არაერთი ქართველი მეცნიერი იქნა მომზადებული დასავლეთ ევროპის სამეცნიერო ცენტრებშიც.

სწორი არ იქნებოდა, გამორჩევით ცალკეული მოღვაწეებისთვის მიგვეწერა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის შექმნის იდეა. ასეც რომ მოვქცეულიყავით, მათი სია ძალზე დიდი გამოვიდოდა. კარგად ცნობილია, რომ ეს იდეა გასული საუკუნეებიდან მოდის, XIX საუკუნის დასასრულიდან კი განსაკუთრებით იჩინა თავი. ყველას კარგად ესმოდა, რომ უმაღლესი სასწავლებლისთვის საჭიროა მაღალი კვალიფიკაციის კადრები (პროფესურა), სათანადო მოწყობილობებით აღჭურვილი ნაგებობები და თვით სასწავლებლის მოვლა-პატრონობისთვის აუცილებელი ფინანსური სახსარი. როგორც უკვე აღინიშნა, პროფესურის მომზადება წარმატებით მიმდინარეობდა, ნ. ცხვედაძისა და ს. კლდიაშვილის დაუფასებელი ამაგით საუნივერსიტეტო კორპუსის მშენებლობა 1903 წლისთვის დამთავრდა, ფინანსური სახსრების გამოძებნა კი ძალზე გაჭირდა.

პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი რომ უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო, ეს ეჭვს არ იწვევდა მისი შექმნის ინიციატორთა შორის, ი. ჯავახიშვილის (სანკტ-პეტერბურგში) და პ. მელიქიშვილის (ოდესაში) მეთაურობით. მსჯელობის ობიექტი გახდა მეფის რუსეთში უნივერსიტეტის სტატუსი, რომლის მიხედვითაც თვითმპყრობელობის პოლიციური აპარატი უფლებამოსილი იყო, უნივერსიტეტების პროგრესულ-რევოლუციურ ძალებთან საბრძოლველად გამოეყენებინა ნებისმიერი საშუალებები, მათ შორის უხეში ძალაც კი. გადაწყდა, თბილისის პირველი უმაღლესი სასწავლებლისთვის თავისუფალი უნივერსიტეტის სტატუსი მიეცათ. ამ წინადადების დასასაბუთებლად საკმარისია, გავიხსენოთ, თუ რას წერდა 1917 წლის 25 აგვისტოს გაზეთი «Одесские новости»: «ნოვოროსიის უნივერსიტეტს მოუწევს, გამოემშვიდობოს მის გამოჩენილ, დამსახურებელ პროფესორთაგან ერთს — პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილს, რომელიც თბილისში გადადის საცხოვრებლად და, რაც მთავარია, თბილისში თავისუფალი უნივერსიტეტის ორგანიზაციის საქმეში მონაწილეობის მისაღებად. პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილის ოდესასთან განშორებას ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები დიდი სინანულით ხვდებიან...» რუსული სახელწოდების «Вольный университет» ქართულ ექვივალენტს — “თავისუფალი უნივერსიტეტი” — ვხვდებით ი. ჯავახიშვილის წერილებშიც თბილისის უნივერსიტეტის დაარსების თაობაზე.

სახელწოდება “თავისუფალი უნივერსიტეტი” საკმაოდ ფართოდ გაიგებოდა. ასე მაგალითად, “თავისუფალი უნივერსიტეტის” სტატუსით უნივერსიტეტის რექტორატისა და სამეცნიერო საბჭოს გარდა არავის (მათ შორის მთავრობის აპარატიდანაც) არ ჰქონდა საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩარევის უფლება. ამ უფლებას მოკლებული იყო “საქართველოს საუნივერსიტეტო საზოგადოებაც”, რომელიც მოწოდებული იყო, მზრუნველობა გაეწია თბილისის ახალგაზრდა უნივერსიტეტისთვის თავისუფალ შემოწირულებათა შეგროვების გზით.

საქართველოს დემოკრატიული (მენშევიკური) რესპუბლიკის პირობებში თბილისის უნივერსიტეტის აღნიშნული სტატუსი ილუზორული აღმოჩნდა. ასეთი სტატუსით დასავლეთ ევროპის ზოგიერთი უნივერსიტეტი სარგებლობდა ძველად. 40-იან წლებში, II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დასავლეთ ბერლინის ერთ-ერთმა უნივერსიტეტმა მიიღო “თავისუფალი უნივერსიტეტის” სტატუსი, სინამდვილეში კი დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერისა და ნატო-ს სამხედრო ხასიათის შეკვეთებს ასრულებს და მათ ხარჯზე არსებობს.

უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორთა ჯგუფმა ი. ჯავახიშვილის, პ. მელიქიშვილის, ი. ყიფშიძის, დ. უზნაძის, ა. რაზმაძის, ა. შანიძის, კ. კეკელიძის, გ. ახვლედიანის, შ. ნუცუბიძისა და ფ. გოგიჩაიშვილის შემადგენლობით 1918 წლის 13 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება თავისუფალი უნივერსიტეტის სტატუსით უმაღლესი სასწავლებლის შექმნაზე და რექტორად აირჩია პ. მელიქიშვილი. 1918 წლის 26 იანვარს³⁴ საზეიმო ვითარებაში გამოცხადდა თბილისის უნივერსიტეტის გახსნა. მისმა რექტორმა პ. მელიქიშვილმა საპროგრამო სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მოწოდებულია, მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის ეროვნული კადრები, რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან ხალხის საკეთილდღეოდ რესპუბლიკის წიაღისეული სიმდიდრის ათვისებას, თანაც თავიანთ წვლილს შეიტანენ ფუნდამენტურ მეცნიერებათა საგანძურში და ამით მოიხდიან ინტერნაციონალურ ვალს კაცობრიობის წინაშე. მის ერთადერთ ფაკულტეტს სახელწოდებით “სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი” რამდენიმე თვის შემდეგ დაემატა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. 1918 წლის 3 სექტემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს დადგენილებით თბილისის უნივერსიტეტის სტატუსი შეიცვალა და მას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი მიენიჭა. მიუხედავად ამისა რესპუბლიკის მაშინდელ სახელმწიფო აპარატს არ შეეძლო ზრუნვა ამ ერთადერთი უმაღლესი სასწავლებლის საკეთილდღეოდ. უნივერსიტეტის ასეთ მძიმე პირობებში პ. მელიქიშვილმა მიზანშეწონილად მიიჩნია, სათავეში ჩადგომოდა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ქიმიურ სპეციალობებში და მისი რეკომენდაციით 1919 წლის 12 ოქტომბერს რექტორად აირჩიეს ი. ჯავახიშვილი. ამ დროისთვის საკმაოდ გაძლიერდა უნივერსიტეტის პროფესურა. უნივერსიტეტის დამაარსებელთა ჯგუფს გვერდში ამოუდგნენ ა. ბენაშვილი, ს. ავალიანი, გ. ჩუბინაშვილი, ე. თაყაიშვილი, ი. აბულაძე და სხვები.

მრავალფეროვანი იყო სტუდენტთა შემადგენლობა და სასურველი იყო, პროფესურაც მრავალფეროვანი ყოფილიყო. აი, რას წერდა 1920 წლის არდადეგებთან დაკავშირებით ი. ჯავახიშვილს რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელი კ. კეკელიძე:

16.IX.20

ქ. თბილისი

“მვირფასო ბ. ივანე!

ბოდიშს ვიხდი, რომ ამდენი ხანია არაფერი შეგატყობინეთ... აქაური ამბები ასეთია: A. ეკონომიური ვითარება. როგორც გწერდით კალაშნიკოვმა დიდი აუდიტორიის გეგმა წარმოადგინა...

³⁴ დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს (ძველი სტილით)

ბ. სასწავლო ნაწილი. სტუდენტების ჩარიცხვა უკვე დავამთავრეთ. ეხლა ვღებულობთ ამიერკავკასიის სტუდენტების თხოვნას. ქონებას ამ უნივერსიტეტისას უკვე ვიბარებთ... რაც შეეხება პროფესორთა მოწვევას, ეს საქმე ჯერ არ დამთავრებულა არც საექიმო და არც საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. მან ვაჩქარებ, მაგრამ ვინ აირჩიონ, როდესაც ასარჩევი არა ჰყავთ... რუსეთიდან ჩამოვიდა მუსხელიშვილი და ასათიანი, ღამბარაშვილი მოდისო; წერეთელი კავკავში³⁵ ზის და როგორც სამინისტროში მითხრეს, კიროვს განკარგულება გაუცია გამოშვების შესახებ. ეხლა მახარაძე³⁶ მიდის მოსკოვს და იმას ნოე ცინცაძესთან ერთად კიდევ განუმეორე თხოვნა ყოველივე ღონე იხმაროს სხვების გამოგზავნის შესახებ. ვალოტესის შესახებ ცნობა არ მოსულა ჯერ, არც ვაგნერისაგან, რომელიც ცხადია სოჭაში ყოფილა.

გერმანიის ელჩს დრუფიცს, რადიო გაგზავნიეთ უკვე გერმანიაში, გვპირდება — ჩვენი სურვილი დაკმაყოფილებული იქნება, მაგრამ, როგორც ჩანს, მიწერ-მოწერით ბევრს ვერას გავხდებით, საჭიროა საგანგებოდ კაცის გაგზავნა; ნოე ცინცაძემ მითხრა: წარმოადგინეთ ხარჯთაღრიცხვა საზღვარგარეთიდან პროფესორის მოწვევისა და უეჭველად გავიყვანთ მთავრობაშიო, დიდს იმედს იძლევა. მიხაკო წერეთელი აქ არის. მეტად ცუდს გუნებაზეა. მე მეეჭვება, რომ მან ასეთ სულიერ განწყობილებაში ნაყოფიერი მუშაობა შესძლოს. დაჟინებით თხოულობს ერთი წლით საზღვარგარეთ გაშვებას, სადაც ჩვენი საჭიროების მოგვარებას გვპირდება.

დღეს თუ ხვალ ბ. აკაკის³⁷ ქუთაისში ვაგზავნი იქაურ გიმნაზიიდან შეპირებული წიგნების გადმოსატანად...

სოციალისტური დელეგაცია... უნივერსიტეტს ინახულებს, მხოლოდ ერთი ვიცით — ეხლავე თუ პროვინციიდან დაბრუნების შემდეგ, ყოველ შემთხვევაში ვცადოთ ჯეროვნად მივიღოთ და ვაჩვენოთ «товарищам», რუსები რომ იტყვიან. ასეთია ჯერ-ჯერობით ჩვენი ცხოვრება და მდგომარეობა.

...

თქვენი მუდამ ერთგული კ. კეკელიძე”.

აღსანიშნავია, რომ თბილისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ 1918 წელს მიიღო გადაწყვეტილება, საზღვარგარეთ სამეცნიერო ცენტრებში სტაჟირების მიზნით უნივერსიტეტის ხარჯზე გაეგზავნათ სტუდენტები და ახალგაზრდა მასწავლებლები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სწავლაში და სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. ამასთან ერთად უნივერსიტეტმა ითავა დახმარების გაწევა უკვე საზღვარგარეთ მყოფი იმ ქართველი სტუდენტებისთვისაც, რომლებიც წარმატებით ეუფლებოდნენ მეცნიერებას დასავლეთ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში. ორივე ეს ჯგუფი არც თუ ისე მცირერიცხოვანი იყო. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გ. ელიავა, ა. ნიკურაძე, ი. ნიკურაძე, მ. ყაუხჩიშვილი, შ. ცინცაძე, გ. ნანეიშვილი, მ. ახმეტელი, დ. იაშვილი, გ. ნიორაძე, ს. ბუაძე და სხვები.

1919 წელს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს გამოეყო სამკურნალო ფაკულტეტი. ამ ფაკულტეტმა დიდად შეუწყო ხელი სამედიცინო სამსახურის მაღალ

³⁵ ა. ბიწამის არქივში დაცულ ამ წერილის ხელნაწერ ასლში აქ წერია: “(თუ კავკავში = ფ. ს.)”. ეს შენიშვნა ალბათ ამ ინიციალების პატრონს ეკუთვნის, ვინც სავარაუდოდ ა. ბიწამეს ასლი მიაწოდა. აქ მთლიანად მოყვანილია ეს ასლი მისივე ორთოგრაფიით.

³⁶ ეს გერასიმე მახარაძე უნდა იყოს, დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის ელჩი რუსეთში (მოსკოვს). = ფ. ს. (ეს და შემდგომი შენიშვნა თვით ფ. ს.-ს აქვს სქოლიოში ჩამოტანილი).

³⁷ ეს ა. შანიძეა! ფ. ს.

დონეზე დაყენებას რესპუბლიკაში. პროფესორების ს. ამირეჯიბის, ა. ალადაშვილის, ს. ვირსალაძის, ი. თიკანაძის, ს. გოგიტიძის, გ. მუხაძის, ა. მაჭავარიანის მეთაურობით სწორედ თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მასწავლებლებმა და სტუდენტებმა თავდადებული მუშაობა ჩაატარეს “ისპანკის” (1918 წ.), შავი ჭირის (1920 წ.), პარაზიტული ტიფებისა და ქოლერის (1921-22 წწ.) საქართველოს ტერიტორიაზე ლიკვიდაციის საქმეში. მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის თბილისის უნივერსიტეტში ახლად გახსნილ აგრონომიულ (1921 წ.), პოლიტექნიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ (1922 წ.) ფაკულტეტებს საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღორძინებაში.

თბილისის ახალგაზრდა უნივერსიტეტისთვის თავიდანვე დამახასიათებელი იყო როგორც სასწავლო პროცესის, ისე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მაღალი დონე იმდროინდელი მეცნიერების თითქმის ყველა დარგში. მეცნიერული ზრდის ფორმალურ მაჩვენებელს — სამეცნიერო ხარისხების მოპოვებასაც ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა. თბილისის უნივერსიტეტს მხოლოდ ზოგიერთ დარგში (მაგალითად, ენათმეცნიერებაში, მედიცინაში, ისტორიაში) ჰქონდა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების შესაძლებლობა რამდენიმე ახალგაზრდა მეცნიერმა ეს ხარისხი ადგილზე მოიპოვა, ზოგმა კი საზღვარგარეთ მივლინებით წასვლა და მაღალი პრესტიჟის მქონე სამეცნიერო ცენტრებში სადოქტორო დისერტაციების დაცვა გადაწყვიტა. მაგალითად, ა. რაზმაძემ და გ. ნიკოლაძემ 20-იანი წლების II ნახევარში მოიპოვეს მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი პარიზის სორბონის უნივერსიტეტში.

20-იანი წლების დასაწყისში თბილისის უნივერსიტეტმა მიიღო საპატიო დოქტორის (honoris causa) წოდების მინიჭების უფლება და 20-იანი წლების დასაწყისშივე თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორთა შორის ვხედავთ მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერებს ნ. კონდაკოვს, დ. ლენგს, ფ. დ'ერლის, ჰანს ფოხტს, ა. ზაინკოვსკის და სხვებს. უნივერსიტეტში თავიდანვე დიდი ყურადღება ექცეოდა ორიგინალური სახელმძღვანელოების შედგენას ქართულ ენაზე. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ის ვიწრო ეროვნული ინტერესებით შემოიფარგლა. პირიქით, მისი კოლექტივისთვის დამახასიათებელი იყო ინტერნაციონალიზმი. ამ კოლექტივში ვხედავთ არაქართული ეროვნების ისეთ გამოჩენილ წარმომადგენლებს, როგორც იყვნენ არტურ ლაისტი, მ. პოლიევქტოვი, ნ. კოლესნიკოვი, ს. ნევაშინი, ლ. მელიქსეთბეგი, ი. ანფილოვი, ვ. ვორონინი და სხვები.

20-იანი წლების I ნახევარში თბილისის უნივერსიტეტის მიღწევებში, რაც დღესაც მისაბამია, დიდია ი. ჯავახიშვილისა და პ. მელიქიშვილის პირადი დამსახურება, მნიშვნელობა იმ ავტორიტეტისა, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ როგორც უნივერსიტეტის კოლექტივში, ისე მთელ რესპუბლიკაში და მის საზღვრებს გარეთ არსებულ სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებში.

სამწუხაროდ ისე მოხდა, რომ ი. ჯავახიშვილი 1926 წელს იძულებული გახდა, რექტორის თანამდებობიდან გადამდგარიყო და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ-კონსულტანტად გადასულიყო. ამ დროისთვის თბილისის უნივერსიტეტში 40-მდე პროფესორი და 200-ზე მეტი მასწავლებელი (დოცენტი, ლექტორი და ასისტენტი) მოღვაწეობდა, პირველ გამოშვებათა სპეციალისტები უკვე აქტიურად ჩაებნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მათ შორის ს. ჯანაშია, შ. ამირანაშვილი, კ. ბაქრაძე, ვ. თოფურია, ა. ჩიქობავა და სხვები საპროფესოროდ მოსამზადებლად უნივერსიტეტის კათედრებზე დატოვეს. თბილისის უნივერსიტეტის ცხოვრებაში

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1926 წელს ცნობილი ფრანგი ფიზიკოსისა და საზოგადო მოღვაწის პოლ ლანჟევენის თბილისში სტუმრობას. ცხოველი ინტერესით შეხვდა უნივერსიტეტის კოლექტივი მის ლექციებს როგორც ფიზიკის, ისე პოლიტიკურ მეცნიერებათა ხაზით.

რესპუბლიკაში გაჩაღებულმა სოციალისტურმა მშენებლობამ მოითხოვა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მასობრივი მომზადების აუცილებლობა, რის დასაკმაყოფილებლადც საჭირო გახდა უნივერსიტეტიდან ჯერ პოლიტექნიკური (1928 წ.), შემდეგ კი სასოფლო-სამეურნეო (1929 წ.) და სამედიცინო (1930 წ.) ინსტიტუტების გამოყოფა. სამწუხაროდ ამ პროცესს შეეწირა თვით უნივერსიტეტი; საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ 1930 წელს მას ლიკვიდაცია გაუკეთა. ეს გამოწვეული იყო არა იმდენად ობიექტური მიზეზებით, რამდენადაც ნიჰილისტური განწყობილებით, რაც იმ დროს საუნივერსიტეტო განათლების მიმართ რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ლიდერებს შორის სუფევდა. ამ განწყობილებას არ იზიარებდნენ უნივერსიტეტის კეთილდღეობაზე მზრუნავი ისეთი პარტიული და საბჭოთა მოღვაწეები, როგორც იყვნენ ლ. ქართველიშვილი (1896-1937), მარიამ ორახელაშვილი (1887-1937), მ. კახიანი (1893-1937), ლ. ლოლობერიძე (1896-1937), თ. ლლონტი (1882-1937) — თსუ-ს რექტორი 1926-1928 წლებში, მ. ტოროშელიძე (1880-1937) — თსუ-ს რექტორი 1928-1931 წლებში, ლ. აღნიაშვილი (1897-1937) — თსუ-ს რექტორი 1932-1935 წლებში, კ. ორაგველიძე (1898-1937) — თსუ-ს რექტორი 1935-1937 წლებში და სტაჟირების შემდეგ დასავლეთ ევროპიდან უკვე სამშობლოში დაბრუნებული პროფესორები გ. ელიავა (1892-1937), გ. ნანეიშვილი (1894-1937), შ. ცინცაძე (1900-1937) და სხვ.³⁸ სამწუხაროდ მათი გავლენა არ აღმოჩნდა საკმარისი უნივერსიტეტის შესანარჩუნებლად. ასეთ პირობებში საზღვარგარეთიდან სამშობლოში აღარ დაბრუნებულან ცნობილი მეცნიერები ა. ნიკურაძე (ფიზიკოსი, ატომური ენერგეტიკის კომიტეტის თავმჯდომარე გერმანიაში), ი. ნიკურაძე (ჰიდრომექანიკის სპეციალისტი, პრანდტლის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ბერლინში), მ. ყაუხჩიშვილი (მანქანათმშენებელი ინჟინერი, სიმენსის საწარმოო ფირმის იტალიის ფილიალის დირექტორი) და ა. შ.

საუნივერსიტეტო განათლების მნიშვნელობის სწორად გაგების, მისდამი ახალგაზრდობის დაუოკებელი მისწრაფების შედეგად 1933 წელს თბილისის უნივერსიტეტი კვლავ აღსდგა და დაიკავა თავისი საპატიო და მეტად საპასუხისმგებლო ადგილი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებელთა ქსელში, რომელიც გარდა ზემოთ უკვე დასახელებული ინსტიტუტებისა მოიცავდა რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო, სატყეო-საინჟინრო, სამშენებლო საინჟინრო, პედაგოგიურ, სტომატოლოგიურ, ფარმაცევტულ ინსტიტუტებს, სამხატვრო აკადემიასა და კონსერვატორიას.

³⁸ როგორც აშკარად ჩანს, ა. ბიწაძე აქ მხოლოდ 1937 წლის ცნობილი მოვლენების დროს რეპრესირებულ პირებს ასახელებს, ამ წერილის დაწერის დროს მიღებული კონიუნქტურის შესაბამისად. თუმცა მათ შორის საკმაოდ სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციისა თუ მეცნიერული აზროვნების პიროვნებები იყვნენ. მარტო 1924 წ. გამოსვლების ჯალათი ლ. ლოლობერიძე რად ღირს! ჭიათურაში სწავლის დროს ა. ბიწაძის უახლოესი კარის მეზობელი, მასთან თანმეზობელი ვლადიმერ გიორგის ძე აბდუშელიშვილი გარდაცვალებამდე ძრწოლვით იგონებდა, როგორც წაიყვანა ბებია ჯერ მხოლოდ 5 წლის ბიჭი (თვით ა. ბიწაძე იმ დროს 8 წლის იქნებოდა) ზესტაფონსა და ჭიათურას შორის სოფელ რკვიასთან, აჩვენა რკინიგზის რელსებზე დაყენებული სისხლიანი ჩაკეტილი ვაგონები, სავსე გარედან მხეცურად დახვრეტილი გვამებით, ქვეშ კი სისხლის გუბეებს ბუზები დახვეოდნენ, და დაუბარა, არასდროს დავიწყებოდა ბოლშევიკების ეს ამაზრზენი დანაშაული (ლ. ლოლობერიძის ერთ-ერთი "საქმენი საგმირონი").

მკითხველი უკვე შენიშნავდა, რა დიდი უბედურება დაატყდა თავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 1937-38 წლებში — უდროოდ შეწყდა ბევრი გამოჩენილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერის მგზნებარე სიცოცხლე. ამ პერიოდის მძვინვარე რეპრესიები არ ასცდათ პროფესორთა შორის ისეთ დეაწლმოსილთაც, როგორებიც იყვნენ შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ვ. ბერიძე, ვ. კოტეტიშვილი, გრიგოლ და ალექსანდრე წერეთლები, რ. ხუციშვილი, მ. ზანდუკელი და მრავალი სხვა. საკმარისად დაზარალდა სტუდენტი ახალგაზრდობაც. აღსანიშნავია, რომ ასეთ მძიმე პირობებშიც კი უნივერსიტეტი ართმევდა თავს მის დანიშნულებას. მრავლდებოდა მეცნიერთა რიგები. მის წიაღში აღმოცენდნენ მათემატიკისა და მექანიკის, ფიზიოლოგიის, გეოლოგიისა და გეოგრაფიის, ფიზიკისა და გეოფიზიკის, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები. 1938 წელს უნივერსიტეტის დაარსებიდან 20 წლის თავზე მის 66 პროფესორთა შორის 40 მეცნიერებათა დოქტორი იყო, ხოლო სტუდენტთა კონტიგენტი 5000-ს აღემატებოდა. უნივერსიტეტის გამომცემლობამ კი 21 ორიგინალური სახელმძღვანელო და მონოგრაფია გამოუშვა. მათ შორის მსოფლიო აღიარება ჰპოვეს ნ. მუსხელიშვილის "Applications des intégrales analogues a celles de Cauchy a quelques problèmes de la Physique Mathématique" (1922 w.) და d. uznaZis "Gewichstäuchung und ihre Analoge (Psich. Forschung)" (1931 წ.) მონოგრაფიებმა. 1939 წლის 25-29 მაისს ჩატარდა თსუ სტუდენტთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია, რომელმაც მოისმინა 125 სამეცნიერო მოხსენება. ზედმეტი არ იქნება, დავასახელოთ მოხსენებები, რომლებსაც ამ სტრუქტურის ავტორი ესწრებოდა: "უძრავი წერტილის მეთოდი ანალიზში" (ი. ქარცივაძე), "რეზერვორდის ატომი" (ვ. ჭავჭავაძე), "სპექტრალური კანონზომიერება და ბორის ატომი" (ი. ნანობაშვილი), "სითბოტევადობის ქვანტური თეორია" (ო. შენგელაია), "ნებისმიერი არჩევის პრინციპის როლი მათემატიკაში" (ა. ბიწაძე), "1812 წლის რუსეთ-საფრანგეთის ომი" (გ. ქსენოფონტოვი-მელიქიშვილი), "შამილი და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მთიულეთში" (ვ. გუჩუა), "ენათა კონცეფტუალური კლასიფიკაცია სპერისა" (თ. შარაშენიძე), 'უწყვეტელისა და კავშირებითი პირველის ურთიერთობისთვის ძველ ქართულში" (რ. გაგუა). 1940 წლიდან ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ თბილისისა და ლვოვის სახელმწიფო უნივერსიტეტები. საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრა ლვოვის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა დელეგაცია უნივერსიტეტის რექტორის ბანახის მეთაურობით. წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა შეხვედრამ დელეგაციაში შემავალ მათემატიკოსთა ჯგუფთან ბანახის, შაუბერის და ზარიცკის შემადგენლობით. სასურველია, მკითხველმა იცოდეს, რომ ეს ის ბანახი და შაუბერია, რომელთა სახელებიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი მათემატიკის ისტორიაში.

თბილისის უნივერსიტეტის მაღალი ღირსების მაჩვენებელი გახდა ის გარემოება, რომ 1941 წლის თებერვალში გახსნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 15 დამფუძნებელ აკადემიკოსთა შორის უნივერსიტეტის 13 პროფესორი იყო, თვით აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა ბირთვის კი უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები შეადგენდნენ.

1941-45 წლებში სამამულო ომის დაწყებიდანვე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა საგრძნობი ნაწილი იარაღით ხელში გამირულად იბრძოდა ჩვენი დიდი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. ბევრი მათგანი დაეცა სამკვდო-სასიცოცხლო ბრძოლებში

და ვერ მოესწრო გამარჯვების ზეიმს. ქვეყნისთვის ამ მძიმე წლების განმავლობაშიაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებდა აქტიურ, ინტენსიურ, ნაყოფიერ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი მსოფლიოში აღიარებულ სამეცნიერო სკოლებს მათემატიკასა, ფიზიოლოგიასა, ფსიქოლოგიასა, ისტორიასა და ენათმეცნიერებაში. ამ სკოლების არსებობის არც თუ ისე გრძელი პერიოდის განმავლობაში დარს არა ერთხელ მოჰყოლია ავდარიც. მათ მახლობლად, ზოგჯერ მის შიგნითაც იყვნენ არც თუ ისე უნიჭო, განდიდების მანიით შეპყრობილი მეცნიერები, რომლებსაც პირადი წარუმატებლობა სხვის წარმატებათა ფონზე შურითა და ბოროტებით უვსებდა სულსა და გულს, მიმართავდნენ ყველა ხერხს, მორალურ პოლიტიკურ შანტაჟსაც კი, რათა მწყობრიდან გამოეყვანათ, მეცნიერებისგან ჩამოეშორებინათ, გაენადგურებინათ კიდევ მათგანვე “მეტოქედ” მიჩნეული ნიჭიერი კოლეგები და ამით გზა გაეხსნათ პირადი დაუშსახურებელი კარიერის მისაღწევად. ისინი ებრძოდნენ თავიანთ ერთდროს “საყვარელ” მასწავლებლებსაც კი. ამდაგვარი უპრინციპო “ბრძოლის” პირველი სუსხი 1936-37 წლებში მოხვდა ქართველ ისტორიკოსთა მეთაურს ი. ჯავახიშვილს. მას საჯარო თითქოს ბრალდებად წაუყენეს ის გარემოება, რომ “არ სურს ან არ შეუძლია ისტორიული მატერიალიზმის პრინციპებით გაიაზროს ქართველი ერის ისტორია” და დაუშვებლად მიიჩნიეს მისი კონტაქტი სტუდენტ ახალგაზრდობასთან. უმწიკვლო მეცნიერს ამის შემდეგ ისლა დარჩენოდა, საბოლოოდ გაეწყვიტა ისედაც უკვე შესუსტებული კავშირი მის მიერ სასოებით შექმნილ უნივერსიტეტთან. 40-იანი წლების დასასრულს არანაკლები განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა ი. ბერიტაშვილიც. ეს ის დრო იყო, როდესაც საბჭოთა ბიოლოგიურ მეცნიერებაში მოკალათდა და “გამარჯვებას” ზეიმობდა ცრუ მეცნიერთა ჯგუფი. ი. ბერიტაშვილს “იდეალიზმში” დასდეს ბრალი იმ მეცნიერულ დავაში, რომელიც მას 20-იანი წლებიდან მოკიდებული ჰქონდა ი. პავლოვთან და რომელიც არასდროს მეცნიერებაში მიღებული პოლემიკის ფარგლებს არ გასცილებია. 1949 წელს ი. ბერიტაშვილი გადააყენეს მის მიერვე შექმნილი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის პოსტიდან. მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდა დ. უზნაძეც. 50-იანი წლების დასაწყისში ქართველ მათემატიკოსთა ჯერი დადგა. იყო ნ. მუსხელიშვილისა და ი. ვეკუას მეცნიერული ავტორიტეტის შელახვისა და მათთვის სრულიად უსაფუძვლოდ ადმინისტრაციული და პარტიული სასჯელის დადების ცდა.

ქართული მათემატიკური სკოლის მთელ შემადგენლობას მისი მეთაურის ნ. მუსხელიშვილის გარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. როგორც ცნობილია, ნ. მუსხელიშვილის შემდეგ ამ სკოლის ყველაზე უფრო ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო ი. ვეკუა — ლენინის და სტალინის სახელმწიფო პრემიათა ლაურეატი, მსოფლიოს მრავალ სამეცნიერო დაწესებულებათა წევრი და საპატიო დოქტორი. მან 1930 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ წარმატებით გაიარა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა ა. კრილოვის ხელმძღვანელობით ლენინგრადში და 1933 წლიდან თბილისის უნივერსიტეტში განვლო მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის გზა დოცენტიდან რექტორამდე. 1951 წლის დასასრულს თბილისში უკვე “მსჯავრდადებული” ი. ვეკუა რუსეთში წავიდა

საცხოვრებლად და სამუშაოდ.³⁹ მოსკოვში მას მეცნიერული შემოქმედების საუკეთესო პირობები შეუქმნეს და სულ რამდენიმე წლის შემდეგ ზენიტში ავიდა მისი, როგორც მეცნიერისა და მეცნიერების ორგანიზატორის ავტორიტეტი. 1958 წლის დასასრულიდან ი. ვეკუა იდგა ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში სრულიად ახალი ტიპის უმაღლესი სასწავლებლის — ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზატორთა რიგებში და მისი პირველი რექტორი იყო 7 წლის განმავლობაში. ის იმ გამოჩენილ მეცნიერთა ჯგუფში შედიოდა, რომელსაც წილად ხვდა, “საფუძველი დაედო საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ ნაწილში დიდი მეცნიერებისთვის”. ეს ის დრო იყო, როდესაც როცა ჩვენს ქვეყანაში მეცნიერებისა და სასკოლო განათლების წინსვლის პროცესს ერთგვარი მოდუნება დაეტყო. უმაღლესი სკოლა იზოლირებული აღმოჩნდა აკადემიურ და სხვა საუწყებო მეცნიერებათაგან და ამით უმაღლესი განათლების პროცესი განუცხოვდა მისი თანამედროვე მეცნიერული კვლევის პროცესისგან. გამონაკლისის სახით ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტს მიეცა საკუთარი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ისე შემუშავების უფლება, რომ საუნივერსიტეტო განათლებისა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ინსტიტუტებში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი პროცესების შერწყმა. 20-ზე მეტი აკადემიური საუწყებო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის საბაზო ინსტიტუტებად გამოცხადდა. სტუდენტები პირველი კურსიდანვე ებმებოდნენ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში და ამით სამეცნიერო დაწესებულებები საჭირო კადრებს იმზადებდნენ. ამან ხელი შეუწყო მეცნიერების წინსვლის პროცესს ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში.

საქართველოს სსრ პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის თხოვნის საფუძველზე ცენტრალურმა სადირექტივო ორგანოებმა მიზანშეწონილად ცნეს ი. ვეკუას სამშობლოში დაბრუნება და ის 1965 წლიდან თბილისში მოღვაწეობდა ჯერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველ ვიცე-პრეზიდენტად, 1966 წლიდან კი — თბილისის უნივერსიტეტის რექტორად. თბილისის უნივერსიტეტის ზუსტად იმავე გზით წარმართვა, როგორც ეს ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტში ხდებოდა, “კანონის დარღვევად” ჩაითვლებოდა. ამიტომ აქ ი. ვეკუამ სხვა ტაქტიკა გამოიხატა — ზემდგომი ორგანოების დახმარებით იმას მიაღწია, რომ თბილისის უნივერსიტეტთან შეიქმნა პრობლემური ლაბორატორიები, რომლებიც შემდეგ გამოყენებითი მათემატიკისა და მაღალი ენერჯიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები გახდნენ.

1968 წელს მთელმა რესპუბლიკამ აღნიშნა მშობლიური უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავი. ქართველი ხალხის ამ ზეიმში მსოფლიოს 100-მდე ძველი უნივერსიტეტის წარმომადგენელი მონაწილეობდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად არჩევის გამო ი. ვეკუა გადადგა უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან, მაგრამ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ზრუნვას არ აკლებდა მშობლიურ უმაღლეს სასწავლებელს.

დღეს კაცობრიობა შევიდა მისი განვითარების ისეთ ფაზაში, რომელშიც მეცნიერების როლი სულ უფრო და უფრო მზარდი ხდება. ამის შესაბამისად ღრმავდება მეცნიერების შინაარსი და მისი კვლევის მეთოდები, რომელთა ათვისების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე სპეციალისტის წარმოდგენა. ამ გარემოებამ

³⁹ როგორც იმდროინდელი სიტუაციის მომსწრენი ამბობენ, ი. ვეკუას მოსკოვს სასწრაფოდ გადასვლა იმით იყო გამოწვეული, რომ მის სიცოცხლესაც კი საფრთხე ემუქრებოდა გახმაურებული ე. წ. “მეგრელების საქმის” გამო.

გამოიწვია უმაღლესი სკოლის დანიშნულებისა და მის მიერ სპეციალისტთა მომზადების მეთოდების რადიკალური განახლება. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდის მიერ მომავალი სპეცილობის არჩევასაც კი. შესაძლოა, აქ დაშვებული შეცდომა აბითურიენტისთვის მომავალში საბედისწერო გამოდგეს, ვერ აუღოს ალღო, ვერ შეისისხლხორცოს არჩეული სპეციალობის შინაარსი, უფრო მეტიც, შეიძულოს თავისი სპეციალობა, რომელიც მისთვის უფხო იყო და რომელსაც ის სერიოზულად ვერასოდეს ვერ დაეუფლება. მომავალშიც კვლავ საშიში იქნება “დიპლომირებული” სპეციალისტი, რომელიც პროფესიას არ ფლობს. ასეთი “სპეციალისტის” სულს ავსებს შურის გრძნობა “მეტოქის” მიმართ, რაც, როგორც ზევით უკვე ითქვა, არ შეიძლება, შემოქმედებითი პროცესის საფრთხედ არ მოგვევლინოს. ისევე როგორც ჩვენი ცხოვრების სხვა სფეროში მეცნიერებაშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საჯაროობის, გულწრფელი პირდაპირობის პრინციპს. წინამდებარე წერილის შედგენისას ავტორი ამ პრინციპის გამოყენებას ცდილობდა.

წელს თბილისის უნივერსიტეტს 70 წელი შეუსრულდა. რაღა ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით იყო საჭირო მანკიერი მოვლენების გამოაშკარავებაო, შეიძლება გვისაყვედუროს მკითხველმა. ავტორი დარწმუნებულია იმაში, რომ ეს უთუოდ საჭირო იყო. სიმართლე ყოველთვის და ყველგან საჭიროა, სიმართლე ის მახვილია, რომლითაც კეთილი იმარჯვებს ბოროტზე.

ა. ბიწაძე

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
15.04.1988 მოსკოვი

ჩემი ეს წერილი გაზეთმა “კომუნისტმა” 17 ივლისს 1988 (20207)-ში დაბეჭდა უმნიშვნელო ცვლილებებით. შემოდგომაზე კი დიდი დავიდარაბა გადამხდა თავს — მძიმე ავადმყოფობა.

საავადმყოფოში გადმომცეს სერგო ღურმიშიძის 2 წერილი, აი, ეს წერილებიც:
მვირფასო ანდრო,

თქვენმა შეკითხვამ ჩვენი პრეზიდენტის სხდომაზე: ვაგრძელებ თუ არა მოგონებების წერას, ახალი სურვილები აღმიძრა.

გადავწყვიტე მოვამზადო მეორე წიგნი “წარსულის ეპიზოდებისა”, რომელშიაც შევლენ აკაკი შანიძე, ნიკო ბერძენიშვილი, პეტრე ქომეთიანი, მიხეილ ბოკუჩავა და სხვ.

ამასთან დაკავშირებით გთხოვთ შემდეგს: ა) დამრთო ნება დავწერო წერილი “ანდრო ბიწაძე;” ბ) დამეხმაროთ და მომაწოდოთ ბიოგრაფიული ცნობები ქართულ ენაზე; გ) გამოყოთ ვინმე თქვენი მოწაფეებიდან, რომელიც გამიწევს, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციებს; დ) წაიკითხოთ საბოლოოდ გამზადებული მასალა და გაუკეთოთ რედაქცია.

უმორჩილესად გთხოვთ მიპასუხოთ, თქვენი ნებართვისა და დახმარების შესახებ მარად თქვენი ერთგული
სერგი ღურმიშიძე

12.09.88

პატივცემულო ანდრო,

რამდენიმე თვის წინათ მე გამოგიგზავნეთ წერილი. მიიღე თუ არა არ ვიცი, თურმე მაშინ ავად იყავით. გთხოვდით ორ რამეს: მოგეცათ ნება დამეწერა თქვენზე წერილი (მოგონებების მეორე წიგნს ვწერ) და მოგეწოდებიათ ზოგიერთი მასალა, მოგემაგრებიათ რომელიმე თქვენი მოწაფე, რომ დამხმარებოდა. გამზადებულ მასალას, რა თქმა უნდა, წინასწარ, ვიდრე წიგნში შევიტანდი, თქვენ წაიკითხავდით.

თუ მიპასუხებთ დიდი მადლობელი ვიქნები. კეთილი სურვილებით
შენი სერგო ღურმიშიძე⁴⁰

17.11.88

დეკემბრის დამდეგს თბილისიდან მივიღე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მდივნის ჯუმბერ ლომინაძის წერილი, რომელიც მხოლოდ ერთ ფრაზას შეიცავდა: “წარმოადგინეთ 1988 წლის ანგარიში”. ასეთი კატეგორიული მოთხოვნა ჩემთვის გასაკვირი არ იყო, მაგრამ საინტერესოა, ვის რად უნდა აკადემიის წევრთა მუშაობის ანგარიში იმ დროს, როცა მეცნიერული შემოქმედება ასე მოდუნებულია? პასუხი ამ წერილზე არ დავაყოვნე და საქართველოში გავაგზავნე ჩემი პირადი მუშაობის ანგარიში ასეთი შინაარსით:

ОТЧЁТ

Члена-корреспондента АН СССР БИЦАДЗЕ Андрея Васильевича за 1988 год.

Научно-исследовательскую работу вёл по теме: «Построение точных и приближённых (численных) решений классов уравнений в частных производных, моделирующих явления, изучаемые в физике, естествознаний и технике», Государственный регистрационный 10187.0015740 (план 1988 года).

⁴⁰ წერილები მოყვანილია ზუსტად ისე, როგორც ორიგინალშია.

За отчётный период мною исследована вторая краевая задача для уравнения $\Delta^n U(x) = 0$ в b -мерных областях $A^{m+1,h}$, $m > 1$, $n \geq 2$, и построены формулы обращения классов сингулярных интегральных уравнений, встречающихся в теории контактных задач.

Полученные результаты опубликовал в виде трёх работ в журналах: Дифференциальные уравнения, т. 24, 1246-15 (1988), Доклады АН СССР, т. 301, 16, т. 303, 12 (1988).

Выступил с научными пленарными докладами на международной конференции по уравнениям в частных производных в Хольцхау (ГДР) в апреле 1988 г. И на заседании Всесоюзной молодёжной школы по уравнениям математической физики и вычислительной математики в Ташкенте (СССР) в мае 1988 г.

Руководил работой двух научно-исследовательских семинаров в Математическом институте им. В. А. Стеклова АН СССР и на факультете ВМ и К в Московском государственном университете.

Возглавлял бюро философско-методологического семинара при Математическом институте им. В. А. Стеклова АН СССР. Был членом трёх учёных советов.

Входил в редколлегии трёх научных журналов (в том числе одного международного).

Международное книжное издательство «Гордон и Брич» опубликовало на английском языке мою монографию “შომე ჩლასსეს ოვ პარტიალ დიფერენტიალ ექუატიონს”.

Член-корреспондент АН СССР,

Академик ГССР

А. В. Бицадзе

6.12.1988

Москва

1989 წლის იანვარში მივიღე ჩემი ჩინელი მოწაფეების წერილები. მათი შინაარსი მეტად საინტერესოა. ძალიან სურთ, რამდენიმე თვით ჩინეთში მიმიწვიონ. ქვემოთ მომყავს რამდენიმე თარგმანი ამ წერილიდან:

“გამარჯობათ, დიდად პატივცემულო პროფესორო ანდრო ბიჭაძე! გთხოვთ, შორეული პეკინიდან მიიღოთ თქვენი მეცნიერული მიმდევრებისა და მოწაფეთა სალამი საუკეთესო სურვილებით. ბევრი მათ შორის, რომლებიც თქვენს ღრმა მეცნიერულ ლექციებს ისმენდა პეკინში 50-იან წლებში, ახლა გამოჩენილი მეცნიერი და მათემატიკურ სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელია.

ამ წერილს გწერთ თქვენი დიდი მეგობრის უ სინმოს დავალებით. მე პირადად ვმუშაობ შერეული ტიპის განტოლებათა თეორიაში. ჩვენმა ინსტიტუტმა სადირექტივო ორგანოებისგან მიიღო პეკინში თქვენი მოწვევის ნებართვა. ახლა საჭიროა, მოგვეხმაროთ თქვენი ჩვენთან მოზრმანების თარიღის დაზუსტებაში. თანაც კარგი იქნება, წინასწარ მოგვაწოდოთ თქვენი მეცნიერული მოხსენებების თემები. თქვენ არა მარტო პეკინელი, არამედ სხვა დიდი ქალაქების მათემატიკოსების სასურველი სტუმარი იქნებით 2 თვით მაინც. ყველა ხარჯი გაღებული იქნება ჩინეთის მთავრობისგან.

დიდი პატივისცემით, ცზი სინჰუა

12 დეკემბერი, 1988 წ. პეკინი

P. შ. ამ რამდენიმე დღის წინათ ალბათ მიიღებდით თქვენი ყოფილი მოწაფის (მოსკოვის უნივერსიტეტში 1952-53 წლების განმავლობაში) ემმა ტიხონოვას წერილს. ემმა ჩემი დაა. მისი ჩინური სახელია ცზი სინლინ და ახლა აქ, პეკინში პენსიონერია”.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში კონსულტაციების შემდეგ ჩინელებს გავუზავნე ჩემი თანხმობა 1989 წლის განმავლობაში 2 თვით მათთან სტუმრობაზე.

ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიამ მთხოვა, მოკლე დახასიათება გამეზავნა გიორგი კარატოპრაკლიევის მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ. ეს უკანასკნელი ახლა ბულგარეთის მათემატიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერია. ბულგარეთში გავაგზავნე წერილი:

О научном творчестве Каратопраклиева Г. Д.

В 1962 г. академик М. А. Лаврентьев обратил моё внимание на рукопись тогда ещё совсем молодого болгарского математика Г. Д. Каратопраклиева, в которой был замечен существенный пробел в исследованиях ряда математиков по задаче известного шведского математика Гелерстедта для уравнений смешанного типа с двумя независимыми переменными. В этой и последующих своих работах, представленных в «Доклады АН СССР» М. А. Лаврентьевым, Г. Д. Каратопраклиев дал исчерпывающее решение указанной задачи. За этим последовал целый цикл работ Г. Д. Каратопраклиева: Доклады АН СССР: т. 149, ¹⁶ (1963), т. 150, ¹¹ (1963), т. 151, ¹⁶ (1963), т. 158, ¹² (1964), т. 188, ¹⁶ (1969), т. 193, ¹⁶ (1970); Дифференциальные уравнения, т. 5, ¹¹ (1969); ლევ. რომაინ მატკ. აკად. ღმლ, т. 15, ¹⁴ (1970), в которых получено значительное продвижение существовавшей теории задачи Трикоми и её обобщений, связанных с запросами механики и геометрии.

Начиная с 50-х гг. диапазон прикладных задач, допускающих моделирование в терминах уравнений смешанного типа в многомерных областях значительно расширился. Большую озабоченность вызвали определение ареала лучевого, терминального и механического разрушений в результате атомного и водородного взрывов, установление пределов устойчивости крылья при трансзвуковом полёте в атмосфере и др. Однако, вывод приёмлемых моделей уравнений смешанного типа, а также сформулировка и исследование задач, корректно поставленных для них, столкнулись с принципиальными трудностями. В исследования в этом направлении наряду со специалистами из СССР, США, КНР, Японии и т. д. В 70-х гг. включился и Г. Д. Каратопраклиев. В результате тщательного изучения структурных и качественных свойств решений трёхмерных и многомерных уравнений и систем смешанного типа ему удалось найти целые классы правильно поставленных задач и доказать теоремы существования и единственности их решения в различных функциональных пространствах. Специалистам сегодня хорошо известны полученные здесь результаты Г. Д. Каратопраклиева, опубликованные в его работах: Доклады АН СССР: т. 208, ¹³ (1973), т. 230, ¹⁴ (1976), т. 239, ¹² (1978); Дифференциальные уравнения, т. 8, ¹¹ (1972), т. 13, ¹¹ (1977), т. 18, ¹¹ (1982), т. 23, ¹¹ (1987). Об этих результатах я знаю высокие мнения О. К. Фридрикса (США), Гу Чаохао (КНР), Шнейдера (ФРГ) и др. Я являюсь также свидетелем живого интереса со стороны слушателей, присутствовавших на докладах Г. Д. Каратопраклиева на разных международных форумах специалистов.

Считаю, что творческая деятельность Г. Д. Каратопраклиева заслуживает самой высокой оценки.

Член-корреспондент АН СССР, академик АН Грузинской ССР, советник при дирекции Математического института им. В. А. Стеклова АН СССР А. В. Бицадзе

2 марта 1989 г., Москва

9 აპრილს, კვირას, ნაშუადღევს ბინაზე მომინახულა ჩემი ყოფილი ასპირანტის ნინო ხატიაშვილის⁴¹ მეუღლემ — დათომ, რომელიც სწორედ ამ დღეს თბილისიდან

⁴¹ ეს ყოფილი ასპირანტი ა. ბიწაძის 90 წლისთავის აღსანიშნავ სხდომაზე არც კი მივიდა, რომ 1,5 საათის განმავლობაში იქ თუნდაც უბრალოდ ყოფნით მისი ხსოვნისთვის პატივი მიეგო (ასევე მოიქცა მეორეც – მ. მუსხელიშვილი); ინსტიქტი ეყო, მიუსვლელობის “მიზეზებზე” არ ელაპარაკა. საერთოდ საქართველოში უმრავლესობა, ვის სამეცნიერო ხარისხზე ა. ბიწაძემ თავგამოდებით იზრუნა ხელმძღვანელობით თუ ოპონენტობით (საბჭოთა დისერტაციის “ოპონენტის” ფუნქცია ხომ ნამდვილად “ოპონირება” კი არა, ამ დისერტაციის “გაყვანა” იყო), მას შემდეგ, რაც “თავისას გაინადლებდნენ”, უკეთეს შემთხვევაში ისე იქცეოდნენ, ვითომ ა. ბიწაძე მათ ცხოვრებაში არც არსებობდა (“მაყუთის მკეთებელ” დაჯგუფებებში მოკალათებული მისი შორეული ნათესავები და უბრალოდ მეგვარეებიც, რომლებიც თავიდან ა. ბიწაძის “ძმისშვილად” ასალებდნენ თავს, მასთან კონტაქტს ერიდებოდნენ, თუ მათ “კეთილისმყოფელებსა” და ა. ბიწაძეს შორის ანტაგონისტური დამოკიდებულება გამოჩნდებოდა), უარეს შემთხვევაში კი... მაგალითად, თ. გეგელია მოსისხლე მტრად გადაექცა, ს. შათაშვილმა სპი-ის II კურსიდან გაარიცხვინა მისი დის შვილისშვილი (რომელმაც იმავე წელს მეორედ ჩააბარა სპი-ში და არც თუ ურიგო ინჟინერი დადგა), 1964 წლის ზაფხულში ორივეს სადოქტორო დისერტაციების ოპონენტი იყო ა. ბიწაძე. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექციის შემადგენლობაში ა. ბიწაძის მიერ საბჭოთა კომუნისტური ბნელეთიდან ბრძანების ტოლფასად მიღებული “მითითებებითა” და “რეკომენდაციებით” დაწინაურებულნი და პარტიული ხელმძღვანელობა კი მისი წასვლის შემდეგ აღზევებული არარაობის კომპლექსებით გამოწვეული გაბოროტებით ისე ცდილობდნენ მისი სახელის დისკრიმინაციას, რომ მას და მისი ოჯახის წევრებს მთელი მონდომებით აფრქვევდნენ ჭორებით გაჯერებულ გესლსა და ბოდმას. თავიც ისე დაიმცირეს, რომ ამ “საქმეში” ენერგიულად აამოქმედეს საკუთარი ჩლუნგი გონებაზეზღუდულობით გამხეცებული ე. წ. “ინფორმატორების” მთელი კოჰორტა (მეთაურები – ყოველმხრივ საეჭვო რეპუტაციის ქალები – ე. წ. “პირველი განყოფილების” ბოლო გამგე და გაურკვეველი განათლების მქონე, თანამდებობით უფროსი ინჟინერი. ეს უკანასკნელი ჟურნალისტ ლუბა ელიაშვილის თანამშრომელთა მიერ არჩევნების შესახებ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში ავტომანქანიდან მოკამათე “მამაშა” გახლავთ). განსაკუთრებული გააფთრებით ცდილობდნენ ინსტიტუტიდან “ზიძამისივით გაეგდოთ” (თუმცა ამაოდ დაშვრნენ) ა. ბიწაძის ძმისშვილი, რომელიც 1969 წ. სპი -ს ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზურით ამ ინსტიტუტში განაწილებით მოვიდა და ერთადერთი იყო (ყოველ შემთხვევაში ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მომსახურე და მათემატიკური უზრუნველყოფისა და პროგრამირების საკითხებით დაკავებული განყოფილებების თანამშრომელთა შორის) ვისაც ასეთი საგზური ჰქონდა. რაც შეეხება ა. ბიწაძის “მოწაფეებსა და მიმდევრებს”, ამ სიტუაციაში მთლიანად ამართლებდნენ ბრუნო იასენსკის ცნობილ ფრაზას: “...გემინოდეთ გულგრილი ადამიანებისა, ისინი არც კლავენ და არც გასცემენ, მაგრამ მათი უსიტყვო თანხმობით ხდება ყველა მკვლელობა და გამცემლობა დედამიწაზე”. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში უკვე თითქმის ყველამ გააცნობიერა ის გარემოება, რომ ინტელექტუალური საქმიანობის ყველა სფეროში გაბატონდნენ 30-იანი წლების მღვრიე ტალღაზე ამოტივტივებული, სახელმწიფოს ფაქტიურ მმართველ სტრუქტურებთან დაკავშირებული ოჯახები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ისეთი სიტუაცია, ინდურ კასტურ დაყოფასაც შემურდებოდა (განსაკუთრებით შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში), ყველა იმ სოციალურ ნიშაში უნდა “დატეულიყო”, რომელიც ბოლშევიკური განაწილებით ერგო. ეს რომ ასე ყოფილიყო, სრული სვლით მიდიოდა “ცხოვრების ფალსიფიკაცია” (ცნობილი სოვეტოლოგის რ. კონკვესტის გამოთქმა), თუ “გარემეს” რაიმე ნიჭს შეამჩნევდნენ, გაუვალ ჯებირს აღმართავდნენ მის წინ. მხოლოდ თუ ქართული მენტალიტეტი თავისი ახლობლების მიმართ ამას კრძალავდა, ა. ბიწაძე ყველაზე მეტად თავისი მამის ოჯახის წევრებთან აკეთებდა (“...ისეთი ნიჭიერია, ისეთი კარგი მომავალი ექნებოდა, მე რომ ხელი არ შემეშალა” – ნათქვამი აქვს თავის აქაურ მძღოლთან უფროსი ძმის უფროს ქალიშვილზე ალბათ უფრო ტრაბახით, ვიდრე დანანებით; პავლიკ მოროზოვის სინდრომი). მისგან ხელმძღვანელობით, ოპონენტობით თუ სხვაგვარად “გაყვანილი” ყველა სადისერტაციო ნაშრომი რუსული ირონიული გამოთქმის – «Длинное заявление о прибавлении зарплаты», – ასოციაციას იწვევდა. “ჩანაწერებში” ერთი სიტყვაც არაა ამ “ხელდასხმულთა” მიერ გაკეთებულ რაიმე თუნდაც ოდნავ ღირებულზე. თვითონ კი

გადმოფრინდა, გადმომცა ნინოს ნაშრომი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის “მოამბეში” დასაბეჭდად წარსადგენად და დაწვრილებით მომითხრო იმ უბედურების შესახებ, რომელიც თავს დაატყვეს თბილისს. სამწუხაროა, რომ საქართველო თითქოს პერიოდულად ხდება პროვოკაციათა მსხვერპლი.

1989 წლის ზაფხულზე რუმინეთში და ბულგარეთში მიმიწვიეს სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ორივეგან პლენარული მოხსენებით უნდა გამოვსულიყავი.

...როდესაც როგორც ჩინეთის, ისე საბჭოთა კავშირის მხრივ საკმარისად მაღალ დონეზე გადაწყდა ჩინეთში ჩემი სამეცნიერო მივლინების საკითხი, უამრავი დაბრკოლების წინაშე აღმოვჩნდი. ჯერ ერთი, მიგვიანებენ სასაზღვარგარეთო პასპორტის გადმოცემას მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის ვიზა დიდხანია მაქვს. ახლა თვითმფრინავის ბილეთის შეძენა გაჭირდა. ჩემთვის ბილეთის შოვნა გამოწვეულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში გაბატონებული ბიუროკრატიაში, კერძოდ უქნარობით, რაც სისხლსა და ხორცში აქვს ჩაისრული ამ დაწესებულების ყველა ქვედანაყოფს. დაგეგმილია 13 მაისს ღამის 2 საათზე ჩემი პეკინს გამგზავრება. 12 საათისთვის, როგორც იქნა, ყველაფერი მოგვარდა. სიძნელე სიძნელეს ერთვის, 2 საათსა და 30 წუთზე უკვე თვითმფრინავში მსხდომთ კვლავ აეროპორტში დაბრუნება გვიბრძანეს უამინდობის გამო. შერემეტიევი 2-დან არ შედგა მხოლოდ ის რეისები, რომლებსაც საბჭოთა თვითმფრინავები ემსახურებიან, იმის გამო, რომ მათ არ გააჩნიათ სათანადო აპარატურა უამინდობისას ავტომატური აფრენის განსახორციელებლად. 300 მგზავრი ველოდით გამოამინდებას აეროდრომის ფოიეში, სადაც დასაჯდომი ადგილების შოვნაც კი მეტად ჭირდა. ყოველი 2 საათის შემდეგ გვატყობინებდნენ, რომ რეისი იგვიანებს. მგზავრთა შორის უდიდესი უმრავლესობა შვედ პენსიონერთა ჯგუფი იყო, რომლებიც ჩვენგან (საბჭოთა მოქალაქეთაგან) განსხვავებით გმირულად იტანდნენ მათთვის უჩვეულო სამოგზაურო გასაჭირს. 11 საათზე, როგორც იქნა, გადაწყდა ჩვენი რეისის გაშვება. პეკინის დროით, რომელიც 5 საათით უსწრებს მოსკოვის დროს, 23 საათსა და 45 წუთზე, როგორც იქნა, დავეშვით პეკინის აეროდრომზე, სადაც შევხვდი ვლადიმერ კუდინოვს, რომელიც საბჭოთა დელეგაციას ელოდებოდა. მას ჯერ კიდევ ნოვოსიბირსკიდან ვიცნობდი, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სსრკ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო და, როგორც ჩანს, გ. ი. მარჩუკის სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად არჩევისა და აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ ჩინეთში საბჭოთა საელჩოში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე გაამწესეს. მან აღმითქვა, რომ თუ აეროპორტში ჩინელები არ შემხვდებიან, ის მომიხერხებს, 2 დღე-ღამის განმავლობაში საელჩოს ხაზით შემიკედლოს. საბედნიეროდ, ეს არ დამჭირდა, პეკინის აეროპორტში საკონტროლო კორდონის გარეთ უკვე მელოდებოდნენ ჩემი ჩინელი მასპინძლები. აეროპორტიდან მიმიყვანეს სასტუმროში სახელწოდებით “მეგობრობა”, სადაც ჩემთვის საუკეთესო ნომერი დაეჯავშნათ. 1957-58 წლებშიც ამ

რა აზრის იყო მისგან (და არა მარტო მისგან) მეცნიერებაში “ხელდასხმულებზე”, ამაზე მეტყველებს მის მიერ ხშირად კერძო საუბარში (ერთხელ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის კრებაზეც) ცოტა ირონიით ნათქვამი – “რატომ ამბობენ, რომ საქართველოში მათემატიკურმა მეცნიერებამ იფეთქა და ჩაქრა”!?

სასტუმროში მომიწია ცხოვრება, მაგრამ ახლა ის გაცილებით ფეშენებელური აღმოჩნდა. აქ ყველაფერი მაღალ დონეზეა, განსაკუთრებით მომსახურება. 14 მაისს პეკინის დროით ღამის 2 საათზე დავიძინე, მაგრამ 6 საათის შემდეგ სასტუმროში მომაკითხა ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პეკინის მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ ლუმ, რომლის თანხლებითაც სასტუმროს რესტორანში ვისაუზმე, საუზმის შემდეგ კი ჩემმა მასპინძელმა ჩინეთში ჩემი მივლინების პროგრამა გამაცნო. დაგეგმილია: 15 მაისს დილის 10 საათზე ჩემი ერთსაათიანი ლექცია პეკინის უნივერსიტეტის მათემატიკოსებისთვის, 16, 18 და 20 მაისს ორ-ორ საათიანი ლექციებით უნდა გამოვიდე ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პეკინის მათემატიკის ინსტიტუტში, 22 მაისს მოხსენებით უნდა წარვდგე პეკინის ე. წ. ნორმალური უნივერსიტეტის მათემატიკოსთა წინაშე, 26 მაისისთვის ნავარაუდევია ჩემი შეხვედრა გამოყენებითი ფიზიკისა და გამოთვლითი ცენტრის კოლექტივთან. პეკინში სამწუხარო ამბავი შევიტყვე, ერთი თვის წინ გარდაცვლილა პროფესორი უ სინმო, რომელსაც მე ძალიან კარგად ვიცნობდი ჯერ კიდევ 1955 წლიდან. 22 მაისს დღის 15 საათზე შედგება უ სინმოს ხსოვნისადმი მიძღვნილი სხდომა, რომელზეც დაგეგმილია მოკლე სიტყვით ჩემი გამოსვლა. პეკინში ჩემი მუშაობის ეს პროგრამა, რაღა თქმა უნდა, უყოყმანოდ მივიღე. 27 მაისიდან გეგმით სამეცნიერო მივლინება გაგრძელდება კუნმინში, შანხაიში, სანჯოუსა და უხანში, სადაც უთუოდ მომიწევს მათემატიკოსებთან საქმიანი შეხვედრები.

14 მაისს მთელი დღე დასვენებას მოვანდომე. სადილობის შემდეგ ჩემთან სასტუმროში კვლავ მოვიდა პროფესორი ლუ პროფესორ კვანის თანხლებით. 1957-58 წლებში ეს უკანასკნელი, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, ჩემს ლექციებს ისმენდა პეკინში, ახლა კი საკმარისად ხანდაზმულად გამოიყურება. მან გამაცნო თავისი ახალი სამეცნიერო გამოკვლევა, რომელშიც ერთი ჩემი მეთოდის გამოყენებით მნიშვნელოვანი შედეგი მიუღია. დანარჩენი დრო სასტუმროს მიდამოების დათვალიერებას მოვანდომე. ახლა აქ ყველაფერი შეცვლილია. 1957-58 წლებში ირგვლივ ტრამალები იყო, დღეს კი ყველგან აღმართულია ღამაზი ნაგებობანი — საცხოვრებელი სახლები და დაწესებულებები.

გადავწყვიტე, პირველი ლექცია ჩემი იმ სამეცნიერო მოხსენებების შინაარსის მოკლე მიმოხილვისთვის მიმეძღვნა, რომლებითაც ჩინეთში მომიხდებოდა გამოსვლა. ყველაფერი ჩაწერილი მაქვს ცელულოზის გამჭვირვალე ფურცლებზე საპროექციო მანქანის გამოყენებით ეკრანზე საჩვენებლად. დანიშნულ დროს მომაკითხეს ლუმ და პეკინის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის დეკანმა ჩჟან გონჩინმა და მსუბუქი ავტომანქანით გავემგზავრეთ პეკინის უნივერსიტეტში. ჩინეთის ეს უდიდესი უმაღლესი სასწავლებელი ბაღში, ძველ და ახალ კორპუსებშია განთავსებული. 1957 წლის 7 ნოემბერს მე აქ ძალზე დიდი აუდიტორიის წინაშე გამოვედი მოხსენებით “საბჭოთა მათემატიკა ოქტომბრის რევოლუციის ორმოც წლისთავზე”, დღევანდელ ჩემს ლექციას კი მხოლოდ რამდენიმე ათეული მსმენელი ესწრება იმის გამო, რომ სტუდენტი ახალგაზრდობა დემონსტრაციაზეა წასული. ჩემს მოხსენებას რუსულიდან ჩინურ ენაზე პირდაპირ თარგმნიდა ცნობილი ჩინელი მათემატიკოსი ქალი ჩჟან ჩჟიფენი, რომელსაც 50-იანი წლების ბოლოს მოსკოვის უნივერსიტეტში ასპირანტურა გაუვლია პროფესორ ვ. ვ. ნემიციკის ხელმძღვანელობით. მას რუსული ენა საგრძნობლად დავიწყნია, მაგრამ მდგომარეობა იმ გარემოებამ შეამსუბუქა, რომ მსმენელთაგან თითქმის ყველა ფლობს, რა თქმა უნდა, სუსტად ამ ენას და მეც ვცდილობდი, რაც შეიძლება ნელა, მკაფიოდ მელაპარაკა და მთავარი აქცენტი მათემატიკურ შინაარსზე გადამეტანა.

მოხსენების შემდეგ გავაგრძელეთ საუბარი მათემატიკურ საკითხებზე, 13 საათზე ვისადილეთ რესტორანში, სადაც უხვი მასპინძლობა გამიწიეს პროფესორებმა ჩჟან ჩჟიფენმა, უ ლანჩენმა, ცენ იაძემ, ჩჟან გონჩინმა და ლიუ ჰიუნმა. სადილობისას მასპინძლებმა წამოჭრეს მთელი რიგი საჭირობოროტო საკითხებისა მათემატიკის სწავლების შესახებ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. ისინი კარგად იცნობენ ჩემს წიგნებს — “ანალიზურ ფუნქციათა თეორიის საფუძვლები” და “მათემატიკური ფიზიკის განტოლებები”, რომლებსაც სახელმძღვანელოს გრიფი აქვს. როგორც ჩანს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ისევე, როგორც საბჭოთა კავშირში და ბევრ სხვა სახელმწიფოშიც, ახალგაზრდობამ ზუსტ მეცნიერებათა მიმართ მისწრაფება შეანელა. 3 საათის განმავლობაში ვათვალიერებდით პეკინის უნივერსიტეტის ტერიტორიას და ცენტრალურ ბიბლიოთეკას. პეკინის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მდიდარია. მაჩვენეს ყველა ჩემი წიგნი. მათ ყოველ ეგზემპლარს ეტყობა, რომ კითხულობენ (ყდა და ფურცლები საკმარისად შელახულია ხშირად ხმარების გამო). 1957 წელს პეკინის უნივერსიტეტს ორჯერ ვესტუმრე. პირველად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების 8 წლისთავზე. გრილი მზიანი ამინდი იდგა. უნივერსიტეტის ეზოში გაწყობილ მაგიდეებზე ჩინელები უხვად უმასპინძლებოდნენ სტუმრებს. მე დამსვენე მაგიდასთან, რომელსაც ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პეკინის მათემატიკის ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი პროფესორი ჰუა ლოგენი ხელმძღვანელობდა. მეორედ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პეკინის უნივერსიტეტს იმავე 1967 წლის 7 ნოემბერს ვესტუმრე. მათემატიკის ფაკულტეტის იმდროინდელი დეკანი ახლა უკვე პეკინის უნივერსიტეტის რექტორია.

15 მაისს საღამოს 18 საათზე ტელევიზიით უჩვენეს მ. ს. გორბაჩოვისა და მის თანმხლებთა პეკინში ვიზიტის დასაწყისი, კერძოდ, მ. ს. გორბაჩოვსა და დენ სიაოპინს შორის გამართული პირველი საუბრის რამდენიმე ფრაგმენტი. მისასალმებელი ფრაზები ორივე მხრივ მოკლედ და გულთბილად წარმოთქვეს. მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამწუხაროდ 30 წელზე მეტია, რაც არ მომხდარა ორი დიდ სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის — წარმომადგენელთა შეხვედრა უმაღლეს დონეზე. დენ სიაოპინმა რამდენიმე სიტყვა რუსულ ენაზე წარმოთქვა, რითაც მ. ს. გორბაჩოვის დიდი სიმპათია დაიმსახურა. ჩინეთის ლიდერმა განაცხადა, რომ ახალგაზრდობის ასაკში რუსულად უფრო კარგად შეეძლო საუბარი, მაგრამ ახლა ბევრი რამ დაავიწყდა.

ცნობილია, რომ ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ გართულდა. ამ გართულებას 1957 წლიდან დაერთო წინააღმდეგობები, რაც სულ ჩქარა აშკარა მტრობაში გადავიდა. 1957-58 წლებში ამ გარემოებას კარგად ვგრძნობდით ჩინეთში მომუშავე საბჭოთა სპეციალისტები. 1959 წელს ხრუმჩოვის პეკინში სტუმრობამ ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა. მათ ძედუნი და ხრუმჩოვი იმის ნაცვლად, რომ გარკვეულ ურთიერთდათმობებზე წასულიყვნენ, გაჯიუტდნენ და ერთმანეთს პირადი შეურაცხყოფაც კი მიაყენეს. 1961 წელს გაწყდა მიწერ-მოწერა ჩემსა და ჩემს კოლეგებს შორისაც.

16 მაისს დილის 9-11 საათებში შედგა ჩემი მოხსენება ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პეკინის მათემატიკის ინსტიტუტში, რომელიც ყურადღებით მოისმინეს. მოხსენებაში დასმულმა რამდენიმე პრობლემურმა საკითხმა მსმენელთა ინტერესი გამოიწვია.

მოხსენების შემდეგ ლუს თანხლებით პეკინის ცენტრალური ნაწილი დავათვალიერე. ქუჩები სავსეა დემონსტრანტებით — ძირითადად სტუდენტებითა

და მუშა ახლაგაზრდობით. უცნაურია ის გარემოება, რომ როცა ჰუ იაობანი ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი იყო, დემონსტრანტი სტუდენტები მის თანამდებობიდან გადაყენებასა და დასჯას მოითხოვდნენ, ახლა კი, როცა ჩინეთის კომპარტიის ეს ლიდერი გარდაიცვალა, დემონსტრანტი ახალგაზრდობა გაიძახის — ჰუ იაობანს გაუმარჯოსო.

16 მაისის საღამო ლუს ოჯახთან ერთად გავატარე. მას ჰყავს ძალიან სიმპათიური მეუღლე და ერთადერთი ვაჟი — საშუალო სკოლის მოსწავლე, რომელიც, როგორც მითხრეს, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს მათემატიკისადმი. სათანადო დოკუმენტები მეტყველებენ, რომ მან უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში 7-ჯერ გაიმარჯვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მათემატიკურ ოლიმპიადებში და პირველი ხარისხის პრემიები მიიღო დიპლომებით. ლუს მეუღლემ ძალიან კარგი ვახშამი გამართა და თანაც ვახშმის შემდეგ კლასიკური რუსული მუსიკის კონცერტი მოგვასმენინა. მათ ოჯახში აქვთ ელექტრულ დისკოებზე შანხაისა და ხარბინში შალიაპინის მიერ ახალგაზრდობის დროს გამართული კონცერტების მაღალხარისხოვანი ჩანაწერები. როგორც გამოირკვა, ყველაფერი ეს გრამაფონის თუ პატეფონის შალიაპინისეული კარგად შენახული ფირებიდან გადაუწერიათ. ლუს ბინიდან სასტუმროში დაბრუნებისას ჩემი მანქანის მძღოლს დიდი დაბრკოლებების დაძლევა მოუხდა იმის გამო, რომ ახალგაზრდობის დემონსტრაციები საღამოს პეკინის თითქმის ყველა დიდ მაგისტრალს მოედვნენ. როგორც ჩანს, ზოგიერთ მაგისტრალზე შეტაკებებიც კი მოხდა დემონსტრანტებსა და წესრიგის დამცველთა შორის.

17 მაისს დილით ტელეფონით დამირეკა ემმა ტიხონოვამ და მითხრა, რომ ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით ის და მისი და მანქანით მომაკითხავენ სასტუმროში და წამიყვანენ ქალაქგარეთ პეკინის მიდამოების ზოგიერთ ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად, რაზეც დაუყოვნებლივ დავეთანხმე. ემმა და მისი და (მამის მხრით) ატარებენ გვარს ცზი, მისი სახელია სინლინ, დისა — სინჰუა.

ცზი სინლინმა და ცზი სინჰუამ დაუვიწყარი ექსკურსია მომიწყვეს. პირველყოვლისა დამათვალიერებინეს ჩინეთის დიდი კედლის ერთი უბანი. 1957-58 წლებთან შედარებით ახლა ჩინეთის დიდი კედელი სრულიად აღდგენილია (ყოველ შემთხვევაში იმ უბანზე, რომელიც ახლა მოვინახულეთ). ექსკურსანტებთან ერთად მრავალი სამხედრო პირი იყო. სწორედ ახლა ჩინეთის დიდ კედელს ათვალიერებდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობის დელეგაცია მ. ს. გორბაჩოვის მეთაურობით. ექსკურსანტებმა მათ მქუხარე ოვაციები მოუწყვეს.

ჩინეთის დიდი კედლის დათვალიერების შემდეგ რესტორანში ვისადილეთ და მცირე შესვენების შემდეგ ჩინეთის მინის დინასტიის იმპერატორთა საფლავების დასათვალიერებლად გავემართეთ. ეს საფლავები მოთავსებულია განუმეორებელი სილამაზის ადგილზე. ამ ადგილის მისასვლელელებზე მოთავსებულია მინის დინასტიის დიდებულთა მეტად მოხდენილად გამოკვეთილი ქვის ფიგურები და ჩინური მითოსიდან ცნობილ ზღაპრულ ცხოველთა გამოსახულებები. ეს ყველაფერი 1957 წლის შემოდგომაზეც ვიხილე, მაგრამ ამჟამად განუახლებიათ. 1957 წელს იმპერატორთა საფლავებს გორაკთა სიღრმეებში ეძებდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ახლა კი დიდ სიღრმეში ჩაქოლილი სავალი ხვრელების გაწმენდის შედეგად უპოვიათ უზარმაზარი მოცულობის მიწისქვეშა დარბაზები რამდენიმე იმპერატორის აკლდამით და უჩვეულო სილამაზის ძვირფასი ნივთებით. როგორც ჩანს, კვლავაც წარმოებს გათხრები იმპერატორთა სხვა აკლდამების აღმოსაჩენად. უკვე აღმოჩენილი

აკლდამები მძარცველებს გადარჩენიან იმის გამო, რომ დიდი სიფრთხილით ყოფილან შენიღბული. ამბობენ, რომ სამარხთა საიდუმლოების შენახვის მიზნით სამუშაოთა დამთავრების შემდეგ მათი მშენებლები გაუნადგურებიათ. მინის დინასტიის აკლდამები წარმოუდგენელი მონუმენტურობით და ამასთან ერთად ყველა ნაკვეთში დახვეწილი მინიატურობით ხასიათდებიან.

18 მაისს დილიდანვე განახლდა სამზადისი დემონსტრაციების ჩასატარებლად. დილის 9 საათზე მათემატიკის ინსტიტუტის შესასვლელთან შევნიშნე "ტაძიბაო", რომელშიც ჩემი გვარია რუსული ასოებით ნაჩვენები. მასპინძლებმა მისი შინაარსი რუსულად ასე განმიმარტეს: "პროფესორი ა. ბიწაძის ორსაათიანი ლექციის შემდეგ 11 საათსა და 15 წუთიდან ყველანი დემონსტრაციაზე". 11 საათსა და 15 წუთზე ინსტიტუტის ეზოში თავი მოიყარა რამდენიმე ასეულმა ახალგაზრდამ. უზარმაზარ "ტაძიბაოზე" წერია: "მეცნიერებო, თქვენ ვისთანა ხართ"? მეცნიერთა შორის ხანდაზმულებს დემონსტრაციიდან ათავისუფლებენ, მაგრამ სთხოვენ ხელის მოწერას დოკუმენტზე, რომელიც შეიცავს საყოველთაო მოწოდებას: "ძირს ბიუროკრატია, არავის აქვს დაკავებული თანამდებობის ბოროტად გამოყენების უფლება პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ყოველ თანამდებობაზე არჩევა მოხდეს ერთი ვადით და თანაც არა ხანგრძლივად". 11 საათსა და 30 წუთიდან განახლდა სტუდენტთა დემონსტრაციები. დროშები და გირლანდები ერთი შეხედვით თითქოს უფრო მეტად წითელი ფერისაა. დემონსტრანტებს მალლა აუწევიათ მარჯვენა ხელი და 2 თითით გამოსახავენ ლათინურ ასოს V, როგორც გამარჯვების (ვიცტორი) სიმბოლოს. დღეს დემონსტრანტები მოითხოვენ, რომ პეკინის მთავარ ტიანანმენის მოედანზე სტუდენტებთან შესახვედრად მობრძანდეს ჩინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ჯაო ძიანი.

ნაშუადღევს 2 საათზე ლუს თანხლებით დავათვალიერე ჩინელ იმპერატორთა საზაფხულო პარკი — იჰეიუანი. 1957-58 წლებში აქ თითქმის ყოველდღე მუშაობის დამთავრების შემდეგ ვისვენებდი და ვსეირნობდი. მაშინ კვირაობით ეს პარკი ხალხმრავალი იყო, სამუშაო დღეს კი იშვიათად თუ ვინმეს შეხვდებოდა კაცი. დღეს კი ვის არ ნახავთ აქ. ნახევარზე მეტი უცხოელია. ამ 30 წლის განმავლობაში ბევრი რამ შეცვლილა. ახლა აქ ექსპონატთა რაოდენობა ასჯერ მაინც გაუზრდიათ. აღდგენილია ბევრი პავილიონი და, რაც მთავარია, ნახატების გალერეა, რომლის სიგრძე კილომეტრს აღემატება. მეტად ლამაზია "მყუდროების კუნძული" და უზარმაზარ ხელოვნურ ტბაზე გადადგმული თაღებიანი ხიდი. ბაღის ცენტრში აღმართული ხელოვნური მთა ზღაპრულ მოჩვენებას ჰგავს. გარემოს სამზერი კოშკი მთლიანად აღდგენილია და თანაც ხალხით სავსე. უამრავია ტბაზე ნავებით მოსეირნე წყვილთა რაოდენობა. იმპერატორთა უზარმაზარი სასახლის მრავალსართულიანი სახურავი ნაირ-ნაირი ქიმერებითაა გარშემორტყმული. მცენარეული ყვავილნარით მორთულ ბაღებს ქვის ყვავილებიანი ბაღნარები და მათში მიმოზნეული ფერად ლითონში ჩამოსხმული თუ ქვაში გამოკვეთილი მითითური ცხოველები და ფრინველები ცვლიან. ჩვენს იქ ყოფნისას ჯერ დაცხა, შემდეგ გრილი შხაპუნა წვიმა წამოვიდა, რომელიც კოკისპირულში გადავიდა. გადაკარების შემდეგ მე და ლუმ ძლივს მოვძებნეთ ჩვენი მანქანა და სასტუმროსკენ გავემურეთ. 3 საათსა და 30 წუთზე უკვე სასტუმროში აღმოვჩნდით. საღამოს 6 საათზე პეკინის მათემატიკის ინსტიტუტის დირექციის სახელით ჩემს საპატივცემულოდ გამართეს ვახშამი პეკინის უნივერსიტეტის მახლობლად განთავსებულ რესტორანში სახელწოდებით "იხვი პეკინურად". ვახშამზე სტუმართა შორის ჩემს მაგიდასთან აღმოჩნდნენ აწ განსვენებული ჩინელი მათემატიკოსების უ სინმოსა და ჰუა ლოგენის ვაჟები.

გაიმართა მეტად გულთბილი საუბარი. ვახშმის მონაწილეთ რამდენიმე ეპიზოდი მოვახსენე წარსულში ამ მათემატიკოსებისა და ჩემს შორის ურთიერთობიდან.

საღამოს პეკინის ცენტრალური ქუჩები კვლავ დემონსტრატებით აივსნენ. მოხდა უმნიშვნელო ინციდენტი სამედიცინო სამსახურის ნაწილებსა და სტუდენტებს შორის, რომლებიც თითქმის ერთი კვირის განმავლობაში შიმშილობდნენ პეკინის ცენტრალურ მოედანზე — ტიანანმინზე. მოშიშმილენი იმდენად დასუსტებულნი აღმოჩნდნენ, რომ აუცილებელი გახდა მათი ჰოსპიტალიზება, რის წინაღობასაც შეეცადა სტუდენტობა. 18 მაისს მოშიშმილე სტუდენტთა უმრავლესობა საავადმყოფოში მოათავსეს.

19 მაისის პირველი ნახევარი პეკინიდან 40 კმ-ით დაშორებული პეკინის ბოტანიკური ბაღის დათვალიერებას მოვანდომე. რას არ ნახავს აქ ადამიანის თვალი. სათბურებში გაშენებულია ტროპიკული ქვეყნების როგორც კულტივირებული, ისე ველური მცენარეულობა. ბაღის დანარჩენი ნაწილი განთავსებულია მთებისა და გორაკების იარუსებად დაყოფილ ზოლებში. ზოგიერთი იარუსი ფერად-ფერადი ყვავილებითაა მოფენილი. ზოგიერთ ზოლში მცენარეებს უკვე დაუყვავილებია, ზოგან ახლა ყვავის, მაღალ ზოლებში კი კვირტები ახლა გაშლას ესწრაფიან. ბილიკებზე სიარულმა საკმაოდ მოგვდალა. თან მახლავს ლუ და მანქანის მძღოლი. ლუ რუსულ ენას სრულიად არ ფლობს, რის გამოც მასთან ჩემი საუბარი შესაძლებელია მხოლოდ ინგლისურ ენაზე, რასაც დიდი ვაი-ვაგლახით ვართმევ თავს. დღეს საღამოს მასპინძლებს სადღაც მიწვევა სურდათ, მაგრამ იმდენად მოვიქანცე ფიზიკურად, რომ იძულებული გავხდი, უარი მეთქვა, ვემზადები, შევადგინო ჩემი გამოსვლის ტექსტი აწ განსვენებული პროფესორ უ სინმოს ხსოვნისადმი მიძღვნილ, 22 მაისს დანიშნულ მიტინგზე.

ჩემი ნაცნობობა ჩინელ მათემატიკოსებთან დაიწყო უფროსი თაობის მეცნიერებით, რომელთაგან სამწუხაროდ დღეს ბევრი ცოცხალი აღარაა. პროფესორი ჰუა ლოგენი ჯერ კიდევ ჩემს მშობლიურ თბილისში გავიცანი, სადაც ის მეცნიერული მივლინებით იმყოფებოდა, 1952 წელს კი კვლავ ვიხილე მოსკოვში ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციის შემადგენლობაში გო მოჟოს მეთაურობით. პროფესორ უ სინმოს პირველად 1955 წელს მოსკოვში შევხვდი, სადაც ის ევროპიდან პეკინში მიმავალი რამდენიმე დღით გზად შეჩერდა. სწორედ ამ წელს გავიცანი ჩაპლიგინის განტოლების შესახებ მის შესანიშნავ მეცნიერულ ნაშრომს, რომელიც დინ სიასისთან თანაავტორობით გამოაქვეყნა. 1957-58 წლების განმავლობაში ჩემი როგორც საბჭოთა სპეციალისტი-მათემატიკოსის ჩინეთში მუშაობის დროს წარმოიშვა ჩემთვის ესოდენ ძვირფასი მეგობრობა ჩემსა და უ სინმოს შორის. მისი სახელი უთუოდ მიეკუთვნება მსოფლიოში ცნობილ მათემატიკოსთა რიგებს. ამასთან ერთად უ სინმოს ჰქონდა ერთი მეტად იშვიათი თვისება — ახალგაზრდა მათემატიკოსებისადმი ერთგულება, უფრო მეტიც — სიყვარული. 1957-58 წლებში მან წარმომიდგინა რამდენიმე ჩინელი ახალგაზრდა მათემატიკოსი თხოვნით, მეცადა კერძოწარმოებულიან განტოლებათა თეორიის თანამედროვე პრობლემატიკაში მათი ჩაბმა. ეს ახალგაზრდები იმდენად ნიჭიერები აღმოჩნდნენ, რომ ჩქარა მნიშვნელოვანი ახალი მეცნიერული აღმოჩენების ავტორები გახდნენ, ახლა კი ყველა მათგანი მსოფლიოში ცნობილი მათემატიკოსია. ამას უ სინმო დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. შწორედ ამის გამო მიძნელებდა უ სინმოს მსგავსი მეორე მათემატიკოსის დასახელება და თუ დავასახელებ, ეს ალბათ აწ განსვენებული მსოფლიოში ცნობილი საბჭოთა მეცნიერი მ. ა. ლავრენტიევი იქნება. უ სინმო და მე შევეთანხმდით, წელს მაისის შუა რიცხვებში კვლავ შევხვედროდით ერთმანეთს აქ,

პეკინში და კერძოწარმოებულის განტოლებათა თეორიის თანამედროვე პრობლემებზე გვესაუბრა, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი ეს განზრახვა არ შესრულდა და ახლა მე ის დამრჩენია, რამდენიმე სიტყვა მაინც მივუძღვნა პროფესორ უ სინმოს ნათელ ხსოვნას.

საღამოს სასტუმროში მომაკითხა გაზოდინამიკის ცნობილმა ჩინელმა სპეციალისტმა ტონგ ჩანგმა ზოგიერთ პრობლემურ საკითხზე კონსულტაციის მისაღებად. მისი მონოგრაფია “რიმანის პრობლემა და გაზოდინამიკაში ტალღათა ურთიერთმოქმედება” მიმდინარე წლის დასაწყისში დაბეჭდა ინგლისში პიტმანის გამომცემლობამ. საკითხები, რომლებიც ტონგ ჩანგს აინტერესებს, მჭიდროდაა დაკავშირებული ჩემს ადრინდელ გამოკვლევებთან შერეული ტიპის განტოლებათა თეორიაში. ჩვენს შორის საუბარი სამ საათს გაგრძელდა.

20 მაისს დილის 8 საათსა და 30 წუთზე სასტუმროში მოვიდა ლუ მანქანით, რომელსაც მიკრული აქვს დიდი ფორმატის ვარდისფერი საშვი სტუდენტთა კომიტეტის თავმჯდომარის ხელის მოწერით. ქუჩები სავსეა დემონსტრანტებით. ყველგან სტუდენტთა პატრულები დგანან, რომლების ჩემს მანქანას დაუბრკოლებლად აძლევენ გზას. მიუხედავად ამისა, მათემატიკის ინსტიტუტში მისვლას ერთი საათი მაინც დასჭირდა. ჩემი ორსაათიანი ლექციის მოსმენისთანავე ჩემი ყველა მსმენელი დემონსტრანტებს შეუერთდა, მე კი მანქანითვე დავბრუნდი სასტუმროში. ქალაქში შექმნილია დაძაბული მდგომარეობა. ჩემი ჩინელი კოლეგები დიდი მზრუნველობით მეკიდებიან, ცდილობენ, მარტო არ დავრჩე.

დღის 2 საათზე მანქანით სასტუმროში მოვიდა ცზი სინჰუა და წამიყვანა ქალაქგარეთ ცნობილ ბუდისტურ საკულტო დაწესებულებათა კომპლექსის დასათვალიერებლად. ეს მეტად ლამაზი ადგილია. მთავარი პაგოდა⁴² მთლიანად მწვანეშია ჩაფლული, ირგვლივ გორაკები და მთათა თხემები ტყითაა დაფარული.

სინჰუა ძალიან კარგი მათემატიკოსი გამხდარა (ჩემს მოწაფედ მიაჩნია თავი) და წარმატებით მუშაობს ჩემი სპეციალობით — შერეული ტიპის კერძოწარმოებულის განტოლებების თეორიაში; პატარა, მაგრამ მეტად მოხდენილი აგებულებისა და სილამაზის ქალია. ჩვენი საუბარი ძირითადად მათემატიკურ პრობლემებზე წარმოებს. ზოგჯერ საყოფაცხოვრებო საკითხებსაც ვეხებით. ჩინეთში, როგორც ჩანს, ახლა ცხოვრების საკმარისად მძიმე პირობებია, მაგრამ მას თავი ბედნიერად მიაჩნია. ჰყავს მოსიყვარულე ქმარი და ქალ-ვაჟი — უმაღლესი (ჩვენებურად საშუალო) სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეები.

კარგად დასვენებულები საღამოს ჩემს სასტუმროში დავბრუნდით. საკმაოდ გვიან (11 საათზე) მომაკითხა ლუმ და გამაცნო 21 მაისის გეგმა. ხვალ თუ მუზეუმების დათვალიერება არ გასურთ, კულტურისა და დასვენების პარკში მაინც გავისეირნოთ.

ავრცელებენ ხმებს, რომ ჩინეთის პარტიულ და სახელმწიფო აპარატში ცვლილებებია მოსალოდნელი, თითქოს ჯაო ძიანი გუშინ გადადგა (თუ გადააყენეს) ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტიდან და ამჟამად მთელი ძალაუფლება ლი პენის ხელშია. გვიან საღამოს ტელევიზიით აჩვენეს ლი პენის მეთაურობით პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობის (დენ სიაოპინისა და ჯაო ძიანის გარდა) შეხვედრა ხალხის წარმომადგენლებთან. ლი

⁴² პაგოდა (პორტ. pagode; სანსკ. भूपागवात _ წმინდა ადგილი, ჩინ. ბაო-ტა _ განძთა კოშკი) _ ბუდისტური საკულტო ნაგებობა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში. განკუთვნილია ბუდისტური რელიქვიების შესანახად, ასრულებს მემორიულ ფუნქციებს, აღნიშნავს წმინდა ადგილებს.

პენი, როგორც ჩანს, დიდი ნებისყოფის პიროვნებაა და მისი გამოსვლაც მეტად დამაჯერებლად და მტკიცედ გაისმა. გუშინაც დღისით ტელემაყურებლებს ალბათ მხედველობიდან არ გამორჩებოდათ ის გარემოება, რომ მოშიშშლილ სტუდენტებთან ჯაო ძიანისა და ლი პენის შეხვედრისას ჯაო ძიანი თვალცრემლმორეული თითქმის ყველაფერზე ეთანხმებოდა სტუდენტთა წარმომადგენლებს, ლი პენმა კი დიალოგის დაწყებიდან რაღაც 2-3 წუთში გულმოსულმა მიატოვა ტიანანმინის მოედანი.

21 მაისს პეკინის მუზეუმები ყველა უკლებლივ დაკეტილია და მე ლუს თანხლებით მანქანით გავემართეთ კულტურისა და დასვენების პარკისკენ. პეკინის ახალი კულტურისა და დასვენების პარკი საკმარისად დიდ ტერიტორიაზეა განლაგებული. აქ ყურადღებას იქცევს სხვადასხვა ეკონომიკური შეძლების მქონე ჩინელთა ყოფაცხოვრების ამსახავი ობიექტები წარსულიდან. როგორც ჩანს, ადრე ჩინეთის მოსახლეობა ეკონომიკურად საკმარისად განფენილი იყო და თანაც მკვეთრად. მდიდარ ჩინელთა ცხოვრების კულტურა ევროპულს არ ჩამოუვარდებოდა, ღარიბები კი ყველგან ღარიბები იყვნენ, მაგრამ ჩინეთში ისინი განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თავიანთი მრავალშვილიანობით. სასტუმროში დაბრუნებისას ჩვენი მანქანის მძღოლს გზის გაკვლევა ძალზე გაუძნელდა, რადგან გუშინდელი საშვი დღეს უკვე ძალაში აღარ აღმოჩნდა. ქუჩებში დემონსტრაციები სულ უფრო და უფრო ხალხმრავალი ხდებოდნენ. წესრიგის დამცველთა ჯგუფიდან ერთი ლამაზი გოგონა ჩვენს მძღოლს გვერდით მიუჯდა და სათანადო სიგნალებით გაგვიკავა გზა სასტუმროს მიმართულებით.

სადილობისას მაგიდასთან ჩემს გვერდით აღმოჩნდა ინდოელი ფიზიკოსი, რომელიც ფრანგულ ენაზე გამესაუბრა. გამოირკვა, რომ ის ჩინელ ფიზიკოსებთან იმყოფება ხანგრძლივი მივლინებით. მას, როგორც სხვა უცხოელთ კაპიტალისტური ქვეყნებიდან, მიაჩნია, რომ ჩინეთში საშიში მდგომარეობაა და მთავრობა ვეღარ უწევს კონტროლს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ამის გამო უცხოელ ტურისტთა რაოდენობა პეკინში მკვეთრად შემცირდაო. ამბობენ, რომ ტიანანმინზე მოშიშშლილ 2000-მა სტუდენტმა შიმშილობას თავი დაანება, მაგრამ ადამიანთა ეს მასა იმდენადაა ფიზიკურად დასუსტებული, რომ ისინი სასწრაფო დახმარების მანქანებით საავადმყოფოებში მიჰყავთ ან უკვე წაიყვანეს. პეკინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტის სტუდენტთა დელეგაცია მივიდა ჩინეთის არმიის პეკინში მყოფ ორ მარშალთან საჩივრით იმის შესახებ, რომ “ამხანაგ ლი პენს სტუდენტთა თავისუფალი დემონსტრაციები სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების წინააღმდეგ აჯანყებად მიაჩნია და მისი ინიციატივით არმიის ნაწილების ქალაქში შეყვანა შეეცდომა”. დელეგაციამ პასუხად მიიღო, რომ “ჩინეთის კომპარტია, მთავრობა და არმია ერთობლივად მოქმედებენ და იმოქმედებენ კიდევაც”.

22 მაისს 40 დღე შესრულდა პროფესორ უ სინმოს გარდაცვალებიდან და ამ თარიღს აღნიშნავენ როგორც მისი უშუალო შტამომავლები, ასევე მოწაფეები, მეგობრები და კოლეგები. ჩემი სასტუმროს რესტორანში უ სინმოს ვაჟებმა და რძალმა მოაწყვეს სადილი, რომელსაც მეც ვესწრებოდი, ხსოვნის აღმნიშვნელი ოფიციალური ცერემონია კი სასაფლაოს სპეციალური შენობის ერთ-ერთ დარბაზში შედგა. ასზე მეტი გვირგვინითა და ცოცხალი თაიგულებით გარსემორტყმულია განსვენებულის ფოტოსურათი. ცერემონიას 1000-მდე მონაწილე ესწრება, ჟღერს ჩინური სამგლოვიარო მუსიკა. ხსოვნის ცერემონიას ხელმძღვანელობს ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წარმომადგენელი. რამდენიმე გამოსვლაში აღნიშნული იყო უ სინმოს დამსახურება და მისი როგორც მეცნიერისა და მოქალაქის დახასიათება.

სიტყვის დამთავრებისას ორატორთაგან ზოგიერთი კიდეც ატირდა. მეც მომიწია ოფიციალური სიტყვით გამოსვლა, რომლის წინასწარ მომზადებული თარგმანი ჩინურად წაიკითხეს. ცერემონიის დასრულებისთანავე მის მონაწილეთაგან ბევრი მოვიდა ჩემთან და მადლობა გადამიხადა უ სინმოს დაფასებისთვის. ჩინეთის მათემატიკოსთა შორის ალბათ განსაკუთრებით ჰუა ლოგენი გამოირჩევა, მის შემდეგ კი ჩინელები ყველაზე მეტად უ სინმოს სცემენ პატივს. განსვენებულის ჩამომავლები, უკლებლივ, მაღალი კულტურით გამოირჩევიან. მისი უფროსი ვაჟი (ჩინელი მეუღლისგან) ავიაციის ცნობილი ინჟინერია, საშუალო ვაჟი (ფრანგი მეუღლისგან) და მისი მეუღლე (ულამაზესი გარეგნობის ჩინელი ქალი) ჰუმანიტარული დარგების გამოჩენილი სპეციალისტები არიან და შესანიშნავად ფლობენ ფრანგულ ენას.

ვიყავი ჩვენს საელჩოში თვითმფრინავზე ადგილის გამოყოფის თაობაზე. ელჩის მრჩეველი ვ. მ. კუდინოვი ადგილზე არ აღმოჩნდა, მაგრამ შესაძლებლობა მომეცა, მომენახულებინა მისი მეუღლე ლიუდმილა ანატოლიევნა, რომელიც ჩვენს საკონსულოში მსახურობს. მიუხედავად მისი გულწრფელი დახმარებისა 10 ივნისისთვის ჩემთვის თვითმფრინავზე ადგილის გამოყოფა არ მოხერხდა და ისლა დამრჩენოდა, მოსკოვს 8 ივნისს გაფრენაზე დავთანხმებულიყავი.

გუშინ საღამოს სასტუმროში ჩემთან მოვიდნენ დები ცზი სინლინ და ცზი სინჰუა მათემატიკის პრობლემებზე კონსულტაციის მისაღებად. ახლა ერთხელ კიდეც დავრწმუნდი, რომ ცზი სინჰუა შესანიშნავი მათემატიკოსია, მაგრამ კვლევის ობიექტად აურჩევია ძალიან რთული პრობლემა — მრავალგანზომილებიან სივრცეებში შერეული ტიპის განტოლებების შესწავლა. იმედს არ კარგავს, რომ მიზანს ადრე თუ გვიან უსათუოდ მიაღწევს. შევეცადე, რაც შემეძლო, სასარგებლო რჩევები მიმეცა.

სასტუმროში მომიტანეს პროფესორ ჰუან ტუნის წერილი ასეთი შინაარსით:

“ძალიან სასიამოვნოა, რომ თქვენ პეკინში ბრძანდებით. მე მივლინებაში ვიყავი პროფესორ ჯოუ იულინთან ერთად და ესაა დავბრუნდი პეკინში. გასულ წელს მე და ჩემმა მეგობრებმა მოგინახულეთ მოსკოვში (სანატორიუმში თუ საავადმყოფოში) თქვენი მკურნალობის დროს. ამჟამად ჩინეთში შექმნეს უებარი წამალი, რომლითაც, თქვენ რომ გაწუხებთ, იმ უროლოგიურ ავადმყოფობას აქ ოპერაციის გარეშე მკურნალობენ. მისი ჩინური სახელია ცზიან ლეკან. მას ავადმყოფები კარგად იტანენ. იმედი მაქვს, რომ ხვალ საღამოს 7 საათზე შეძლებთ ჩემს მიღებას სასტუმროში. თქვენთან ბევრ საინტერესო საკითხზე მსურს საუბარი. ჯოუ იულინსა და სუნ ხეშენს აქ, პეკინში ხშირად ვხვდები. მათგან გავიგე თქვენი მისამართიც. მიხარია, რომ თქვენი ლექციები წარმატებით ტარდება.

საუკეთესო სურვილებით თქვენი გულწრფელი მეგობარი ჰუან ტუნი”.

24 მაისს დილით შედგა ჩემი ორსაათიანი სამეცნიერო ლექცია პეკინის ნორმალურ უნივერსიტეტში. დემონსტრაციების გაძლიერების მიზეზით სტუდენტთაგან ჩემს ლექციას ძალიან ცოტა, პროფესორებიდან და ასპირანტებიდან კი თითქმის ყველა დაესწრო. მსმენელთა შორის ჩემთვის ფრიად სასურველი და საინტერესო იყო ძველი ნაცნობების, ამჟამად ცნობილი პროფესორების ჯოუ იულინის, სუნ ხეშენისა და ცაო ცენის ხილვა. მოხსენებას მოჰყვა მსმენელთა მხრიდან რამდენიმე ფრიად საინტერესო კითხვა და ჩემი პასუხები მათზე.

ნორმალურ უნივერსიტეტში სადილი საკმარისად დიდხანს გაგრძელდა იმის გამო, რომ მაგიდასთან მრავალ საინტერესო საკითხზე მოგვიხდა საუბარი. დამსწრეთაგან რამდენიმე ჩემი კოლეგა რუსულ ენას ასე თუ ისე ფლობს, რაც საუბრის შინაარსში კარგად გარკვევას მიაღვილებდა. ჩინელები მსოფლიოს დიდ ხალხს შეადგენენ და

თანაც უძველესი ისტორიით გამოირჩევიან არა მარტო მეზობელი ხალხების, არამედ ჩვენი პლანეტის ყველა ხალხისგან. ისინი განსაკუთრებით უფრო ხილდებიან ისტორიულად გამომუშავებული შრომის კულტურის შენარჩუნებას, უფრო მეტიც, რაც შეიძლება მის მაღალ დონეზე აწევას ცდილობენ. აქ, ჩინეთში ადამიანის თვალი მათხოვარს ვერსად ვერ შენიშნავს. უამრავი მსხვერპლის გაღებით შეიქმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, მასთან ერთად არსებობს კიდევ 2 ჩინური სახელმწიფო — ტაივანი და ჰონკონგი, სადაც მსოფლიოში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონეა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ 2 სახელმწიფოში შრომის ნაყოფიერება გასაოცრად მაღალია. საზღვარგარეთ სხვა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებშიც ბევრი ჩინელი ცხოვრობს და თანაც ცხოვრობს ძალიან კარგად. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში კი ისევე, როგორც ჩვენს ქვეყანაში, შრომის ნაყოფიერება ძალზე დაბალ დონეზეა. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს, მაგრამ მთავარი მათ შორის მაინც ისაა, რომ ვინც კარგად შრომობს, ის კარგად ვერ ცხოვრობს, ბევრი უქნარა კი ყელამდეა სავსე სიმდიდრით. პროტექციონიზმი, კორუპცია, მექრთამეობა მოედო უზარმაზარ ჩინეთსაც. ქვეყნის მართვის სისტემაში ყველა დონეზე უინიციატივო, ხშირად უნიჭო ადამიანები მბრძანებლობენ. სწორედ ამის წინააღმდეგ გამოდის ჩინეთის მოსწავლე ახალგაზრდობა და მზადაა ბოლომდე იბრძოდეს.

24 მაისს დილიდანვე ცზი სინლინმა (ემმა ტიხონოვამ), მისმა დამ ცზი სინჰუამ და ქალიშვილმა იაო ჰუნიანმა პეკინის ცენტრის დასათვალისწინებლად მიმიწვიეს. დემონსტრაციების გაძლიერების გამო მანქანის მძღოლმა ვაი-ვაგლახით მიგვიყვანა ტიანანმინის მოედნის აღმოსავლეთის მხრით მიმდებარე უბანში, იქიდან კი ფეხით გავემართეთ ტიანანმინისკენ. უზარმაზარი მოედანი დაფარული აღმოჩნდა მსხდომარე სტუდენტებითა და სკოლების უფროსი კლასის მოწაფეებით. მოედანზე სრული წესრიგი სუფევდა. დემონსტრანტები გარშემოვლით გადიოდნენ მოედანს და მისგან გარკვეული მიმართულებით მიემართებოდნენ. ამ ადგილებში წესრიგს წითელ თავსახვევებიანი და მკლავსახვევებიანი ჯაბუკები და ქალიშვილები იკავებენ. მიტინგის მსხდომარე მონაწილეებთან ხალხს სურსათ-სანოვაგე და გამაგრებელი სასმელები მიაქვს. აქვე მყოფი სამედიცინო ნაწილები ავადმყოფებს ავლენენ და საავადმყოფოებში მიყავთ, მათ ადგილს კი ჯანმრთელი ახალგაზრდები იკავებენ. ტიანანმინის გარშემო უამრავი მაყურებელია, მათ შორის უცხოელებიც. მე და ჩემმა თანმხლებებმა დიდხანს ვერ გავუძელით მცხუნვარე მზით გამოწვეულ სიცხეს და თავი შევავარეთ ტიანანმინის ჩრდილოეთით მდებარე ამერიკულ კაფეს, დავნაყრდით, შევისვენეთ გრილ დარბაზში და ერთი საათის შემდეგ შევუდექით სავაჭრო ობიექტების დათვალიერებას. აქ სახელმწიფო და კერძო ვაჭრობის უამრავი მაღაზიაა თითქმის ყველა ასორტიმენტის საქონლით სავსე. სწორედ აქ შევიძინე შვეიცარული სასმენი აპარატი ჩემი სიდედრისთვის, რითაც ჩემი ოჯახის ძირითადი დავალება შევასრულე. საღამოს 5 საათსა და 30 წუთზე დავბრუნდი სასტუმროში, სადაც პროფესორი ჰუან ტუნი მელოდა. მასთან მეტად გულთბილმა საუბარმა 2 საათს გადააჭარბა.

26 მაისს პროფესორ სუნ ხემენის თანხლებით გავემართე გამოყენებითი ფიზიკისა და გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტისკენ. ეს ინსტიტუტი ადრე ბირთვული კვლევის სამინისტროს ეკუთვნოდა და დაარსებული იყო დაახლოებით იმ დროს, როცა ი. კურჩატოვის ინსტიტუტი მოსკოვში. ამ უზარმაზარ სამეცნიერო დაწესებულებაში ბევრი ცნობილი ჩინელი მეცნიერია, მათ შორის რამდენიმე ჩემი ძველი ნაცნობი. აუდიტორია, რომელმაც ჩემი მოხსენება მოისმინა, ხალხმრავალი იყო. მოხსენებას არაერთი ფრიად საინტერესო შეკითხვა მოჰყვა. მოხსენების შემდეგ

მასპინძლებმა ჩემს პატივსაცემად მოაწყვეს მიღება “ჩინურ რესტორანში”. ამის შემდეგ დამათვალეებინეს პეკინში განთავსებული “ზართა ტაძარი”, სადაც მრავალი სხვადასხვა ზომის ზარია თავმოყრილი. ამ ტაძარში ჩამოკიდებულია მსოფლიოში უდიდესი მოქმედი ზარი, რომლის ხმა 15 კმ-ში გაისმის (მომასმენინეს ზარის სპეციალურად ჩაწერილი ხმა). გიღმა განმიმარტა, რომ მსოფლიოში არსებულ სამ უდიდეს ზარს (ლონდონის, მოსკოვისა და პეკინის) შორის მოქმედია სწორედ “ზართა ტაძრის” ზარი.

საღამოს სასტუმროში ცზი სინლინმა (ემმა ტიხონოვამ) მომინახულა. მომიყვა, თუ რა დიდი უბედურება გადახდა თავს მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გადმოსახლდა. ემმაზე მოსკოვში ლეგენდები დადიოდა. 1952-53 სასწავლო წლის განმავლობაში ის მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი იყო და ფრიადზე ჩამაბარა კომპლექსური ცვლადის ანალიზურ ფუნქციათა თეორიის კურსი (ლექციებს ამ სასწავლო დისციპლინაში მ. ვ. კელდიში კითხულობდა, მე კი პრაქტიკული მეცადინეობები მიმყავდა). ემმა მაშინ ტიხონოვას გვარს ატარებდა, მამა ჩინელი ჰყავდა, დედა — რუსი, ითვლებოდა ლამაზ გოგონად. როგორც მითხრა, ბავშვობიდან მამის შესახებ არაფერი არ იცოდა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების 3 წლისთავზე კი მოსკოვს მამამისი ესტუმრა სამხედრო დელეგაციის შემადგენლობაში უკვე ჩინეთის გენერლის წოდებით. უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრებისთანავე მამის ინიციატივით ემმა მოსკოვიდან პეკინს გადასახლდა, სადაც მამამისს ჩინეთის არმიის სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის უფროსის თანამდებობა ეკავა, და მისი დაჟინებული მოთხოვნით იძულებული გახდა, 1956 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე გამხდარიყო. 1957 წელს, როცა პეკინში ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით ჩავედი როგორც საბჭოთა სპეციალისტი, სხვა ჩინელ მათემატიკოსებთან ერთად აეროპორტში დამხვდა ემმაც. რუს დედასთან მოსკოვში საბჭოთა ტრადიციებზე აღზრდილ გოგონას, რომელსაც ჩინურად არაფერი არ ესმოდა, თავიდანვე გაუჭირდა პეკინში ცხოვრება მამასთან ერთად, რომელსაც მეორე ცოლად ჩინელი ქალი ჰყავდა და ოჯახიც საკმარისად მრავალშვილიანი ჰქონდა. ასეთ პირობებში ემმას უცდია საბჭოთა კავშირში დედასთან დაბრუნება, მაგრამ ეს ვერ მოუხერხებია. მამისა და დედინაცვლის გავლენით ცოლად გაჰყვა ჩინელ სამხედრო მფრინავს, საშუალო რანგის ოფიცერს იაოს, რომელიც სამხედრო აკადემიაში მამამისის ცზის მოწაფედ ითვლებოდა. ჩქარა მამის ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა თავს — კულტურული რევოლუციის მკვეთრი ამალგების დროს 1966 წელს დააპატიმრეს მამაც და დედინაცვალიც. ემმას მამის გვარი იყო ცზი და არა ლინ ბიაო, როგორც მისი მეგობარი სტუდენტი ქალიშვილები სთვლიდნენ მოსკოვში. 50-იანი წლების ბოლოს მარშალ ლინ ბიაოსთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ცზი. მარშალ ლინ ბიაოს ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ არც ცზის დაადგა კარგი დღე. 60-იანი წლების დასაწყისში მათ მე-დუნის მითითებით ცზი მოხსნეს სამხედრო აკადემიის უფროსის თანამდებობიდან როგორც საბჭოთა კავშირში სამხედრო განათლებამიღებული სპეციალისტი, გამოაცხადეს მოსკოვის აგენტად და ჩქარა კიდევ დააპატიმრეს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სიძნელეებს წააწყდა ახალგაზრდა ქალი, რომელიც მოვალე გახდა, დედ-მამის მაგივრობა გაეწია ყოველგვარ საზრდოს მოკლებული ჩინელი დებისა და ძმებისთვის (მამის მხრივ). არც სინლინსა და მის ქმარს დაადგათ კარგი დღე, როგორც ხალხის მტრების უშუალო ჩამომავლებს. ისინი იძულებით გაგზავნეს ქალაქის ტიპის პროვინციულ დასახლებაში ორი პატარა შვილით (ქალ-ვაჟით).

სამწუხაროდ სინლინს მხოლოდ შავი სამუშაოს შესრულების უფლება ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომის მიუხედავად. განსაკუთრებით გაუჭირდათ შვილებისთვის ნორმალურ პირობებში განათლების მიცემა. მათ მედუნის გარდაცვალების შემდეგ სინლინის მამამ და დედინაცვალმა რეაბილიტაცია მიიღეს, ამასთანავე 1967 წელს ჩინეთის კომპარტიიდან გარიცხული სინლინ პარტიაში აღადგინეს. ამის შემდეგ მისთვის შესაძლებელი გახდა სამსახურში — სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად მოწყობილიყო. ამჟამად სინლინ პენსიონერია, მათემატიკას როგორც მეცნიერებას ჩამოშორდა და ქმრითა და ქალიშვილით პეკინში ცხოვრობს. ქალიშვილი იაო ჰუნიანი ამჟამად ჟურნალისტიკა, შესანიშნავი გარეგნობის, ჯერ არ გათხოვილა და რატომღაც არ სურს, ჩინელი ქმარი ჰყავდეს!!

27 მაისს დღის 2 საათზე პეკინიდან კუნმინში გავფრინდი. კუნმინი იუნანის პროვინციის დედაქალაქია. აეროდრომზე დამხვდნენ იუნანის უნივერსიტეტის რექტორი იან კუანცინი და ამავე უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის გამგე პროფესორი ჩან ჰაო. იან კუანცინი 1957-58 წლებში ჩემი ხელმძღვანელობით ეწეოდა სამეცნიერო კვლევას პეკინში, ახლა კი ცნობილი მეცნიერია და მსხვილი ადმინისტრაციული პოსტი უკავია. კუნმინში საკმაოდ გრილოდა. მასპინძლებმა უნივერსიტეტში მოღვაწე უცხოელ პროფესორ-მასწავლებელთათვის განკუთვნილი სპეციალური საცხოვრებელი სახლის ოროთახიან ბინაში მომათავსეს.

კუნმინის მახლობლობაში ბევრი ღირსშესანიშნავი ბუნებრივი ნაკრძალია, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა კლდეთა ტყე. მის დათვალიერებას 28 მაისის მთელი დღე დაჭირდა. თან მახლდნენ იანი და ჩჟანი. კლდეთა ტყე უხსოვარი დროიდან არსებობს და ის შექმნილია წვიმების შედეგად მიწის გამორეცხვით. ქვის უზარმაზარი ლოდები ამხედრებული რაინდების მსგავსად განლაგებულან რამდენიმე კვადრატული კილომეტრის ფართზე. სიღრმეში წყალი დგას, წყლის გარშემო ნაპირები უხვადაა დაფარული სხვადასხვა სახეობის მცენარეულობითა და სპეციალურად გაჭრილი, მაღალ კლდეთა მწვერვალებზე აგებული მხატვრულად დიდი გემოვნებით გაფორმებული პავილიონების ერთმანეთთან დამაკავშირებელი ბილიკებით. ძნელია სიტყვებით აიწეროს, რა საოცრებას წარმოადგენს ეს ადგილი.

29 მაისს დილიდან იმავე შემადგენლობით, როგორც კლდეთა ტყის დათვალიერებისას, გავემგზავრეთ დასავლეთის მთის მწვერვალზე დრაკონის კარის მოსანახულებლად. ეს მთა 30 კმ-ითაა დაშორებული კუნმინიდან და მისი დასავლეთის მხრის კალთა თითქმის შვეულადაა ჩაშვებული უზარმაზარ ტბაში. მთის სამხრეთი თხემიდან მსვერვალისკენ მიმავალი ბილიკი ციცაბოა და შეიცავს 2500-მდე კლდეში შეჭრილ საფეხურს. ბილიკის ყოველ 200 მეტრიან მონაკვეთზე დგას კლდეში ლამაზად გამოკვეთილი და მოხატული პავილიონი. უკან დაბრუნებისას მოვინახულეთ ბუდათა უდიდესი ტაძარი.

დღის 3 საათში უნივერსიტეტში მოისმინეს ჩემი მეცნიერული მოხსენება. კუნმინის ცენტრში დიდი ტერიტორია უკავია იუნანის უნივერსიტეტს. მისი ძველი კორპუსი ფრანგულ სტილზე აუგიათ, ახალ კორპუსებს კი თანამედროვე ევროპის საუნივერსიტეტო კორპუსებიდან ვერ გამოარჩევს კაცის თვალი. მთელი უნივერსიტეტი თითქოს ჩაფლულია სუბტროპიკულ მცენარეთა მასივში. იუნანის უნივერსიტეტი დაარსებულია XX საუკუნის 20-იან წლებში ჩინეთში გომინდანის ბატონობის დროს. ამჟამად მას 14 ფაკულტეტი აქვს, სტუდენტთა კონტინგენტი 10000-ს აღემატება და ჰყავს 500-მდე პროფესორ-მასწავლებელი, რომელთა შორის ბევრი უცხოელია (ძირითადად ევროპიდან და აშშ-დან). საბჭოთა კავშირიდან აქ მუშაობს ერთადერთი სპეციალისტი ელენე დიმიტრის ასული სტრელცოვა,

რომელიც რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. ეს მოხდენილი გარეგნობის, ბალზაკური ასაკის და თანაც მეტად გონიერი ქალი ერევნიდანაა, დედით სომეხი, მამით კი რუსი.

1957-58 წლებში ჩინეთში ჩემი ყოფნისას გაგონილი მქონდა გამოთქმა — “თუ ზეცაში სამოთხეა, დედამიწაზე არის ხანჯოლ და სიჯოლ”. ახლა კი მგონია, რომ ჩინეთში ბუნების სიმშვენიერით ხანჯოლსა და სიჯოლს კი არა, ხაინანის ჩათვლითაც კი გამოირჩევა იუნანის პროვინცია. აქ მცხოვრებ ჩინელთა ეთნიკური ჯგუფიც განსხვავებულია სხვა პროვინციებში მცხოვრებ ჩინელთაგან თავისი გარეგნობით. აქ ბევრი განსაკუთრებული სილამაზის ქალიშვილი და ჭაბუკია, რომელთა შესახებ მრავალი ლეგენდაა შემორჩენილი.

დასავლეთის მთის მწვერვალზე მცხოვრები დრაკონის სამფლობელოში ბუდათა მრავალი ტაძარია. მათ შორის ყველასგან გამოირჩევა ტაძარი, რომელშიც ზის ქვაში გამოსახული ულამაზესი ქალი-ბუდა. მის ფეხთა ქვეშ რამდენიმე შანდალია, მათში თითქმის ყოველ დროს იწვიან და ანათებენ ჩინური სანთლები. ამ სანთლებს ჩინელები უნთებენ ქალ-ბუდას ვედრებით, შეეწიოს მათ, რათა დაეხადოთ ვაჟები და მხოლოდ ვაჟები. თანამგზავრებს ვკითხე, თუ რა არის ამის მიზეზი. მიპასუხეს, რომ უკანასკნელი წლებიდან მოკიდებული ჩინელები იძულებული გახდნენ, ყოველი ცოლ-ქმარი შემოიფარგლოს ერთი შვილით. ასეთ ვითარებაში ისინი უპირატესობას ვაჟს აძლევენ.

როგორც ჩანს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში რეაქტიულ დიდ თვითმფრინავთა პარკი ძირითადად ამერიკული ბოინგებისგან შედგება. მიუხედავად კოკისპირული წვიმისა ჩვენი თვითმფრინავი კუნძულის აეროპორტიდან დაუბრკოლებლად აფრინდა და ორნახევარ საათში მშვიდობიანად დაჯდა შანხაის აეროდრომზე. აეროპორტში, როგორც იქნა, მომძებნა ჩინელმა მათემატიკოსმა ხონგმა, რომელსაც ფუდანის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ევალეობდა აეროპორტში ჩემთან შეხვედრა. მანქანით ერთი საათი დაგვჭირდა, რომ დანიშნულების ადგილზე — ფუდანის უნივერსიტეტის სასტუმროში აღმოვჩენილიყავით. ამ სასტუმროში ცხოვრობენ ამერიკიდან და ევროპიდან მოწვეული სპეციალისტები და სტაჟიორები. სადამოს მომაკითხეს კოლეგებმა ფუდანის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტიდან და გადმომცეს შანხაიში ჩემი მივლინების პროგრამა: 31 მაისს და 2 ივნისს დანიშნულია ჩემი სამეცნიერო მოხსენებები, 1 ივნისი და 3 ივნისი კი განკუთვნილია ექსკურსიებისთვის. მათემატიკის დეპარტამენტს ფუდანის უნივერსიტეტში განაგებს გუ ჩაო ჰაო, რომელიც ამავე დროს ხუბეის პროვინციის მეცნიერებისა და ტექნიკის უნივერსიტეტის რექტორია და ამ დღეებში სწორედ ხუბეიში იმყოფება. 1957-58 წლებში გუ ჩაოჰაო პეკინში ჩემი ხელმძღვანელობით შეუდგა მეცნიერულ კვლევა-ძიებას, ამ რამდენიმე წლის წინათ კი ის ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) გამხდარა.

31 მაისს დილის 9-11 საათებში მოისმინეს ჩემი მოხსენება ფუდანის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტში. მოხსენებასთან დაკავშირებით მეცნიერული საუბარი დიდხანს გაგრძელდა. დღის 3 საათზე სასტუმროში ჩემთან მოვიდა პროფესორი ხონგი ახალგაზრდა მეცნიერის ქიუ ჯენციანის თანხლებით, მომიტანა ბილეთი 3 ივნისს მატარებლით შანხაიდან ხანჯოლში გასამგზავრებლად, გადმომცა ხვალ დილის 8 საათიდან მასთან ერთად მანქანით ქალაქგარეთ გასეირნების მიწვევა ისეთ ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად, რომლებიც მას, შანხაიში დაბადებულ და გაზრდილ კაცს, ჯერაც არ უნახავს, და შემომთავაზა, ყველგან თან მხლებოდა ქიუ, რომელიც კარგად ფლობს რუსულ ენას. ქიუ სპე-

ციალობით ეთნოგრაფია ფუდანის უნივერსიტეტის პოპულაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან. მას 2 წლის განმავლობაში სტაჟირება გაუვლია მოსკოვში და რუსულ ენასაც სწორედ იქ დაუფლებია. წინადადება, რასაკვირველია, სიამოვნებით მივიღე.

დილის 8 საათზე მსუბუქი ავტომანქანით სასტუმროდან გავემგზავრეთ შანხაიში მოქმედი მთავარი ბუდისტური ტაძრის დასათვალიერებლად. ეს ბუდისტური სამლოცველო ტაძარი კი არა, ტაძართა მთელი კომპლექსია, სავსე ექსკურსანტებითა და ჩინელი მორწმუნეებით. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნეფრიტის ერთ მთლიან უზარმაზარ ქვაში ლამაზად გამოყვანილი ბუდა, როგორც ჩანს, შაკია მუნი⁴³. ამის შემდეგ 3 საათი მოვანდომეთ შანხაის ცენტრალური ნაწილის დათვალიერებას. მდინარე უანფუს სანაპიროზე ქიუმ მაჩვენა უკვე ნაკრძალად ქცეული პატარა ბაღი, რომლის შესასვლელშიც დგას დაფა გარდასულ დღეთა დროინდელი, კოლონიად ქცეული ჩინეთისთვის წარსულში დამახასიათებელი წარწერით ინგლისურ და ჩინურ ენებზე — “ბაღში შესვლა ეკრძალებათ ჩინელებს და ძაღლებს”. აქვე მდინარე უანფუს პირას აღმართულია XX საუკუნის დამდეგის ცადმბჯენი, რომელშიც განთავსებულია ფემენებელური სასტუმრო “შანხაი”. სწორედ ამ სასტუმროში ვცხოვრობდი 1958 წლის მარტში ერთი კვირის განმავლობაში. მაშინ ჩემი ოთახის ფანჯრიდან ჩანდა ღამით თითქოს ცეცხლმოდებული მდინარე უანფუ — ეს იყო ათიათასობით ნავი მდინარეზე, რომლებზეც ღარიბი ჩინელები ცხოვრობდნენ ოჯახებით. ღამით მათ მიერ ანთებული სანთლების შუქი და წყლის ზედაპირიდან მისი ანარეკლი უზარმაზარი ხანძრის ილუზიას ქმნიდნენ. ახლა აქ ყველაფერი სხვანაირად, გაცილებით უკეთ გამოიყურება. მდინარე უანფუზე განუწყვეტლივ მიდი-მოდინან სამდინარო, საზღვაო და საოკეანო გემები. შანხაის ამ ნაწილში მრავალი ნავსადგურია, ერთ-ერთი მათგანი — საექსკურსიო-სამდინარო გემებისა. 2 საათის განმავლობაში ქიუ და მე ექსკურსიაში ვმონაწილეობდით. ბილეთების შესაბამისად მოგვათავსეს პირველი კლასის კაიუტაში, საიდანაც თვალწინ იშლება შესანიშნავი ხედი: უამრავი გემი, გემთმისადგომი, ჰორიზონტზე კი თითქოს ზღვად ქცეული იანძიანი — ჩინეთის უდიდესი “ცისფერი მდინარე”. ჩვენი კაიუტა საკმაოდ დიდია. აქ რამდენიმე ტურისტია ამერიკიდან და ევროპიდან. თანმიმდევრულად გაისმის მუსიკა მსოფლიოს ხალხთა სხვადასხვა ჰანგზე. როგორც ჩანს, ჩემს პატივსაცემად ჩართეს ჩერნომორის მარში ოპერიდან «Руслан и Людмила».

საღამოს ხონგმა გადმოცა შანხაიში ჩემი ყოფნის ხვალინდელი გეგმა: დილის 10 საათიდან ორსაათიანი სამეცნიერო მოხსენება ფუდანის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტში, ლექციის დამთავრების შემდეგ შეხვედრა აკადემიკოს გუ ჩაოჰოსთან, შემდეგ კი მასთან ერთად შანხაის ყველაზე საუკეთესო მუზეუმის დათვალიერება. გუ დღეს დაბრუნებულა ხუბეის პროვინციიდან.

2 ივნისს დილის 9 საათსა და 45 წუთზე ჩემი დარგის ერთი ადგილობრივი ასპირანტის თანხლებით გავემართე ფუდანის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის მიმართულებით. დილის 10 საათისთვის ჩემი მომავალი ლექციის მსმენელები უკვე ადგილზე იყვნენ. ამჯერად მათ შორის აღმოჩნდნენ ჩემი ყოფილი მოწაფეები გუ ჩაოჰაო და სუან ლილე. ეს უკანასკნელი ახლა დონგ ჩის უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის დეპარტამენტის დამსახურებული პროფესორი ყოფილა. 1957-58 წლებში სრულიად ახალგაზრდა გუ და ხუანი ახლა უკვე ხანშიშესული დინჯი მეცნიერები არიან. ჩემი მოხსენების შემდეგ მე, გუმ და

⁴³ სტატუა ჩამოტანილია ბირმიდან (ახლა _ მიანმა)

ხუანმა ბევრი რამ გავიხსენეთ პეკინში 1957-58 წლებში მოღვაწეობიდან. სასიამოვნოა, რომ ორივე ჩემს მოწაფედ მიიჩნევს თავს. გუმ საინტერესო რამ შემატყობინა: ხუბეის პროვინციის მეცნიერებისა და ტექნიკის უნივერსიტეტი, რომლის რექტორიც ამჟამად ისაა, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებობს და არა უმაღლეს სასწავლებელთა სამინისტროს ქსელში. მან სრულიად დამაჯერებლად ამიხსნა, რომ მის უნივერსიტეტში ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ახალგაზრდობა რაც შეიძლება დროულად შევიდეს მეცნიერებაში და თავი გამოიჩინოს მეცნიერული შემოქმედებით. მას სამწუხაროდ მიაჩნია, რომ აღნიშნული უნივერსიტეტი ჩინეთში ჯერ-ჯერობით ერთადერთია. გუ აპირებს, ამ ზაფხულს მონაწილეობა მიიღოს დიფერენციალურ განტოლებებს მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში ქ. რუსაში (ბულგარეთი). ამ კონფერენციაზე მეც ვარ მიწვეული პლენარული მოხსენებით.

დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე შანხაის მუზეუმმა, რომელიც გუ ჩაოჰაოსთან ერთად დავათვალიერე. მუზეუმში განთავსებულია უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში ჩინეთში მოღვაწე არქეოლოგთა მონაპოვარი.

პირველი სართული სახელწოდებით “ბრინჯაო” მოიცავს ჩინეთის ბრინჯაოს ხანას, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულიდან იწყება. რას აღარ ნახავთ აქ, მრავალი სხვადასხვა სახის საბრძოლო იარაღს, საყოფაცხოვრებო ნივთს თუ შრომისთვის საჭირო ხელსაწყოს, მუსიკალურ ინსტრუმენტს, სარკეებს და კიდევ, ვინ მოთვლის, რას. ინტერესს მოკლებული არაა ბრინჯაოსგან გაკეთებული სასმისები მითიური ცხოველებისა და ფრინველების გამომსახველი შესანიშნავი ორნამენტებით. ჩინეთის ბრინჯაოს ხანა გაცილებით უფროსია მცირე აზიის, კავკასიის, საბერძნეთის თუ ეგვიპტის უძველეს ხალხთა ბრინჯაოს ხანაზე. ბრინჯაოსგან გაკეთებული იარაღი და ნივთები ფორმითაც არსებითად განსხვავდებიან სხვა ეპოქათა და ხალხთა იარაღისა და ნივთებისგან.

მუზეუმის მეორე სართული უკავია კერამიკას, რომლის ასაკი 7000 წელს სცილდება. განსაკუთრებული ფორმისაა გამომწვარი თიხისგან გაკეთებული და მრავალფეროვნად მოხატული თუ მოვარაყებული აქაური ჭურჭელი. ძვ. წ. 6000 წლის წინათ სცოდნიათ ჩინელებს მეჭურჭლეთათვის ფრიად საჭირო მბრუნავი დისკო. არავითარი მსგავსება ბერძნულ ამფორასთან, ქართულ კეცთან, ჩაფთან თუ დოქთან. სითხის უზარმაზარი საცავი არაფრით არ მოგვაგონებს ჭურს თუ ქვევრს. ყურადღებას იქცევს თიხისგან გაკეთებული სხვადასხვა ფორმის ღვინის უამრავი სასმისი, ცეცხლგამძლე თიხის სპეციალური ფორმები ბრინჯაოს მინიატურული ნივთების, საიეროგლიფო ბეჭდების თუ სამკაულების ჩამოსასხმელად და მათ ზედაპირზე დამწერლობის და სხვადასხვა სახის (ადამიანის, ფრინველის, ცხოველის, ყვავილების) ამოსატვიფრავად.

მესამე სართული ძველისძველ ჩინურ მხატვრობასა და სახვით ხელოვნებას ეძღვნება. ბუდიზმამდე ყველაფერი ეს მეტად ნატიფია და მინიატურული. ბუდიზმი ჩინეთში ახ. წ. III საუკუნეში შემოსულა, რის შესაბამისადაც სახვით ხელოვნებას უკვე ემჩნევა მონუმენტურობა და სინატიფის საგრძნობი დაკარგვა. სამაგიეროდ ყურადღებას იპყრობს მხატვრული გამოსახულებები ფაიფურზე და, რაც მთავარია, ფაიფურის დამუშავების ტექნიკის განუმეორებელი სრულყოფა. ქაღალდის სამშობლო ხომ ჩინეთია, მაგრამ წარმოდგენილია, 1000 წლის წინათ როგორ იყენებდნენ ქაღალდს მხატვრულ ხელოვნებაში. ახლა აღარ იტყვით, ქსოვილის დამზადების ტექნიკა როგორ ადრე დაუხვეწიათ ჩინელებს? საოცრებაა ჩინური აბრეშუმიც.

გუ ჩაოჰაოსგან ბევრი საინტერესო რამ შევიტყვე, თუმცა ჩინეთი ჩემთვის სულ უფრო და უფრო გამოუცნობ ფენომენად რჩება. ისევე როგორც ჩვენს წინაპართა შორის სინანთროპი გარკვეული უპირატესობით გამოირჩეოდა, ჩინეთის მატერიალურ კულტურასა და ისტორიაში გათვითცნობიერებული ადამიანი ადვილად დარწმუნდება იმაში, რომ ცივილიზაციის უძველეს ხანაში ჩინელები წინ უსწრებდნენ სხვა ხალხებს, იყვნენ მათგან სრულიად დამოუკიდებელი, თვითმყოფადნი. ამის გამო შემთხვევითი სრულიად არაა ის გარემოება, რომ მატერიალური კულტურის უძველეს ძეგლთა შორის პირველობა ჩინურს ეკუთვნის.

დღეს მეცნიერებისა და ტექნიკის მსოფლიოში სახელგანთქმულ შემოქმედთა შორის ბევრია ჩინელი. ხუბეის მეცნიერებისა და ტექნიკის უნივერსიტეტი, რომელსაც გუ ჩაოჰაო ხელმძღვანელობს, მოწოდებულია, სამეცნიერო და ტექნიკური კადრების გეგმაზომიერი მომზადების ნამდვილი სამჭედლო გახდეს. სამწუხაროდ ახლა ისე ხდება, რომ განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეულ ჩინელთაგან ბევრი მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში გადასახლებას ცდილობს. კულტურულმა რევოლუციამ აუწერელი უბედურება მოუტანა ჩინეთს. ყველაზე მეტად ინტელიგენცია დაზარალდა და მისი მდგომარეობა დღესაც სავალალოა. ამასთან ერთად ბობოქრობს ინფლაცია, პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა შორის გავრცელებულია კორუპცია, პროტექციონიზმის გარეშე აქ ცხოვრება წარმოუდგენელია. ეკონომიურ სისტემაში ჩატარებული რეფორმის შედეგად გაჩნდა ძალზე მდიდარ ჩინელთა საგრძნობი ფენა, რომელიც არავითარ პროდუქციას არ ქმნის ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების სფეროში. გუ ჩაოჰაო მიიჩნევს, რომ სწორედ ესაა ჩინეთში სტუდენტთა მოძრაობის გამომწვევი მიზეზი.

სადამოს შანხაის ყველაზე საუკეთესო რესტორანში სახელწოდებით “ცინ ციან” ჩემმა კოლეგებმა მომიწვეეს გამოსამშვიდობებელი ბანკეტი, რომელსაც ჩინელთა მხრიდან ესწრებოდნენ გუ ჩაოჰაო მეუღლით გუ ჰოსან, სონგი და ფუდანის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სხვა წამყვანი პროფესორები. გუ ჰოსან საშუალო ასაკის, მომცრო ტანის კოპწია ქალია, გეომეტრიის პროფესორი ფუდანის უნივერსიტეტში. მას ასპირანტურა აქვე გაუვლია პროფესორ სუ ბოჩინის ხელმძღვანელობით და მნიშვნელოვანი გამოკვლევები შეუსრულებია დიფერენციალურ გეომეტრიაში. ბანკეტზე გულთბილი საუბარი გაიმართა ჩინეთში შექმნილ მდგომარეობაზე, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე, ჩინეთში მეცნიერების მდგომარეობაზე და ა. შ. მასპინძლებმა ხაზგასმულად აღნიშნეს, რომ ჩინეთის ახალგაზრდობა ამ ბოლო დროს გულცივადაა განწყობილი მეცნიერების, განსაკუთრებით მათემატიკის მიმართ. ბანკეტმა თითქმის შუადამემდე გასტანა.

ფუდანის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტიდან ჩემთან გამოსამშვიდობებლად სასტუმროში რამდენიმე პროფესორი მოვიდა, რკინიგზის სადგურზე კი პროფესორმა ხონგმა გამაცილა, ჩამსვა შანხაი-ხანჯოუს მატარებლის რბილ ვაგონში, ჩემი თავი “ჩააბარა” მედიცინის ჩინელ პროფესორსა და მის მეუღლეს, რომლებიც ამავე ვაგონით მიემგზავრებოდნენ ხანჯოუში. პროფესორმა კარგად იცოდა ფრანგული ენა (სამედიცინო ინსტიტუტი პარიზში დაუმთავრებია), ასე, რომ მასთან ამ ენაზე საუბარი შემემლო. 4 საათის შემდეგ მატარებელი დანიშნულების ადგილის — ხანჯოუს რკინიგზის სადგურს მიადგა. ვაგზალზე დამხვდნენ ხანჯოუს უნივერსიტეტის წარმომადგენლები პროფესორ ტონგ კვანგჩანგის მეთაურობით. ეს შესანიშნავი ჩინელი მათემატიკოსი თავს ჩემს მოწაფედ მიიჩნევს. 1957-58 წლებში პეკინში მან ჩემი ხელმძღვანელობით ძალიან კარგი მეცნიერული შედეგები მიიღო.

ახლა ტონგი (ჩინურად მას ტუნს ეძახიან) ხანჯოუს უნივერსიტეტის წამყვანი მათემატიკოსია.

მომათავსეს საუკეთესო სასტუმროში, რომელიც სიხუს, ჩინეთის ამ შესანიშნავი ტბის სანაპიროზე დგას. ტუნმა მოკლედ მომიტხო, თუ რა უბედურება გადახდა მას თავზე ჩინეთის კულტურული რევოლუციის დროს. ის აღმოჩენილა “ხელახლა აღსაზრდელ” იმ ინტელიგენტთა შორის, რომლებიც თავიანთ პროფესიულ საქმიანობას ჩამოაშორეს. მათ მედუნის გარდაცვალების შემდეგ ის კვლავ ხანჯოუს უნივერსიტეტში დაბრუნდა პროფესორის წოდებით. გარეგნულად ძალიან კარგად გამოიყურება. მაჩუქა მისი რამდენიმე მეცნიერული ნაშრომის ამონაბეჭდები და მონოგრაფია. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ ჩინურადაა დაბეჭდილი, მომავალში კი ამერიკულ მათემატიკოსებს დაგეგმილი აქვთ მისი ინგლისურ ენაზე გამოცემა.

4 ივნისს დილის 8 საათზე სასტუმროში ჩემთან შეთანხმების თანახმად მოვიდა უცხოელებთან ურთიერთობის სამმართველოს წარმომადგენელი, რომელიც საზოგადოების დაცვის სანჯოუს განყოფილების ოფიცერი აღმოჩნდა. ეტყობოდა, რომ რაღაცის გამო შემფოთებული იყო. მიზეზად დაასახელა სამწუხარო ფაქტი, რომელიც მომხდარა წუხელ პეკინში ტიანანმინის მოედანზე — სისხლიანი შეტაკება გაფიცულ სტუდენტებსა და ჯარის ნაწილებს შორის. ორივე მხრიდან, როგორც ჩანს, არის მსხვერპლი. პეკინში ჩინური მასშტაბით განმეორდა თბილისის 9 აპრილის სისხლიანი კვირა. დედაქალაქს სამხედრო ნაწილები აკონტროლებენ.

8 საათსა და 30 წუთზე მსუბუქი მანქანით გავემგზავრეთ ხანჯოუს ცნობილი მღვიმის დასათვალიერებლად, რომელიც ხანჯოუდან 40 კმ-ის მანძილითაა დაშორებული. ასფალტირებული გზა მდინარე ჩენტიანის გასწვრივ დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მიემართება. ჩენტიანი იანძიციანსა და ხუანხეს ჩამოუვარდება, თორემ წყალუხვობით ვოლგაზე გაცილებით დიდია. მის ერთ ადგილზე გადებულია ორკილომეტრიანი, ჯერ კიდევ ჩანკაიშის დროს აგებული ლამაზი ხიდი. მდინარეს საკმაოდ მაღალი მთები დაჰყურებენ. ერთ-ერთი მთის თხემში 10 წლის წინათ მწყემსებს კარსტული წარმოშობის მღვიმე აღმოუჩენიათ, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილებით წესრიგში მოუყვანიათ და შესანიშნავ საექსკურსიო ობიექტად გადაუქცევიათ. სიგრძით და “დარბაზთა” განვრცობით ეს მღვიმე ბიჭინთის კარსტულ მღვიმესაც ცალს არ დაუდებს. სტალაგმიტებისა და სტალაქტიტების უზარმაზარ სვეტებს შორის მრავალი პატარა ციფწყლიანი ტბაა, მღვიმის ჭერზე და კუნჭულებში ფერად-ფერადად ანთებული ელექტრონათურების შუქი, არეკლილი ამ ტბების ზედაპირებიდან, ზღაპრული სანახაობაა. მღვიმე მთის დასავლეთი თხემიდან იწყება, მიემართება აღმოსავლეთის თხემისკენ და იქ დღის სინათლეზე გადის. მღვიმის მიდამოების დათვალიერების შემდეგ გავემართეთ ერთ-ერთ გორაკზე აგებული 1500-ზე მეტი წლის პაგოდას დასათვალიერებლად. გაკვირვებას იწვევს ჩინელთა სამშენებლო ტექნიკა, რომლის წყლობითაც ადამიანის გონებასა და მარჯვენას ტყით მოსილ გორაკზე ეს 14-სართულიანი გიგანტი აღუმართავს. მისი ყოველი სართული დამშვენებულია ბრინჯაოს ზარებით, რომლებიც ქარის დაბერვით რეკენ და შესანიშნავ მუსიკას გამოსცემენ. ახლა მონასტრიდან ზარის ხმა აღარ გაისმის...

სიხუს ტბა გარშემორტყმულია მთებითა და გორაკებით, საიდანაც მრავალი მდინარე თუ ნაკადული სუფთა წყალს აწვდის ამ ულამაზეს ტბას. მათა შორის თავისი სიმაღლით გამოირჩევა ლაოჰუსან, რაც ქართულად შეიძლება ასე ითარგმნოს: “ძველისძველი მთა, რომელიც მუდამ დარაჯობს ტბას”. ყველაზე უხვწყლიანი

სწორედ ამ მთიდან მომდინარე დედეები და ნაკადულებია. ამ მთის კლდეებშია შეჭრილი მონასტერი, რომლის ბერთა საკნები ამფითეარებივით აღმართულან მონასტრიდან დაწყებული მთის მწვერვალამდე. თვით მწვერვალზე შემორჩენილია ნანგრევები, რომელსაც ძველისძველად აქ დაყუდებული მოხუცი ბერის სავანედ მიიჩნევენ. სიბერის ჟამს ყოველ დილით რიჟრაჟზე ის ცაში უშვებდა მოშინაურებულ წეროს, რომელიც სადამოს ბინდის ჟამს ბრუნდებოდა მოხუცთან, მოჰქონდა საზრდო და ყველაფერი ეს გრძელდებოდა მანამდე, სანამ ბერის სიცოცხლე არ ჩაიფერფლა⁴⁴.

ხანჯოუ დღეს სრულიად აღარ წააგავს 1958 წელს პირველად ჩემს მიერ სილულს. ყველგან წამოჭიმულია მრავალსართულიანი ფერად-ფერადი ნაგებობანი, კარგადაა მოვლილი პარკები და ხეივნები. ადამიანებიც თითქოს შეცვლილან. ხანჯოუს გაუხდია 1958 წლის უნიფორმა და ნაირ-ნაირი ყვავილებით მორთულს დამგვანებია.

ხანჯოუს ღირსშესანიშნაობათაგან ბოტანიკურ ბაღს მნიშვნელოვან როლს აკუთვნებენ ადგილობრივი მცხოვრებნი. აქ პირითადად წარმოდგენილია ტროპიკული და სუბტროპიკული ჰავისთვის დამახასიათებელი მცენარეულობა, უამრავი ფერად-ფერადი ყვავილები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც წყალში ხარობენ, განსაკუთრებით ლოტოსი. მასპინძლების სიტყვით ულამაზეს ყვავილებს ჩინელები არ ჭამენ, განსაკუთრებით — მათ ფესვებსა და ბოლქვებს, რომლებიც შხამს შეიცავენ და ადამიანს წამლავენ. ჩინურ გამოთქმას — “სილამაზეს ადამიანი ვერ ინელებს”, შესაძლოა, ორივე, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობები აქვს. ხანჯოუს ბოტანიკურ ბაღში რატომღაც დიდი ადგილი უკავიათ აკვარიუმებს. რა ლამაზ, რა მახინჯსა და რა ფერის თევზს არ ნახავს ადამიანი აქ, მინიატურულიდან დაწყებული საშუალო სიდიდის ზომების ჩათვლით. ბამბუკებს ბაღში საკმაოდ ფართო ტერიტორია აქვთ დათმობილი და ითვლიან 50-მდე სახეობას, მათ შორის შავსა და შაქრის ბამბუკებს.

14 საათსა და 15 წუთზე პროფესორ ტუნის თანხლებით წავედი ლექციის წასაკითხად ციციანის უნივერსიტეტში, რომელიც ჩემი სასტუმროდან 300 მ-ზე თუა დაშორებული. ლექცია საათნახევარს გაგრძელდა, რომლის შემდეგაც უნივერსიტეტის ყველაზე მაღალი შენობის სახურავზე მოწყობილი სამზერიდან დამათვალიერებინეს მთელი ხანჯოუ და მისი შემოგარენი. ციციანის უნივერსიტეტი მთის ფერდობზე გაშენებული პარკის ტერიტორიაზე აღმართულ რამდენიმე შენობა-შია მოთავსებული. თვალს ხიბლავს ამ ადგილების მშვენიერება, ასე ბუნებრივად კეთილმოწყობილ ტერიტორიაზე უნივერსიტეტი ან სამეცნიერო დაწესებულება არ შემხვედრია.

ხანჯოულ მათემატიკოსთა თხოვნით 6 ივნისსაც მომიხდა მათ წინაშე წარდგომა მეორე სამეცნიერო მოხსენებით. მოხსენების შემდეგ დამათვალიერებინეს უნივერსიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელზეც მათემატიკის მომავალი ინსტიტუტისთვის განკუთვნილი 6-სართულიანი სახლის მშენებლობა მიმდინარეობს. შენობას ამერიკული პროექტითა და სახსრებით აგებენ. ინსტიტუტის დაარსების ინიციატორია ახალგაზრდა სახელგანთქმული ამერიკელი მათემატიკოსი იაო, ეროვნებით ჩინელი (მამამისი ჰონკონგელია, დედა კი ხანჯოუში დაბადებულია და ქალიშვილობაში აქ უცხოვრია), რომელიც მშობლიური ხალხის კეთილდღეობისთვის იღწვის.

⁴⁴ ამ თემაზე ა. ბიწამეს ლექსიც აქვს დაწერილი (“ხანჯოუ”).

ივნისის თვე ხანჯოლში მიჩნეულია მეტეოროლოგიურ ცვლილებათა ოკეანედ. ამას ყურადღება არ მივაქციე და, ეტყობა, გავცივდი. მასპინძლებმა ჩინური მეთოდებით და თანაც წარმატებით გადაწყვიტეს ჩემი სასწრაფო გამოჯანსაღებისთვის ბრძოლა.

გუშინ საღამოს მთელი ხანჯოლს ტერიტორია ახალგაზრდობის მანიფესტაციებმა მოიცვეს პეკინის ამბებთან დაკავშირებით. სასტუმროდან აეროპორტამდე 20 კმ-ც კი არაა, მაგრამ ამ მანძილის დაძლევა 2 საათზე მეტი მოვანდომით. მოგვიხდა 10 პოსტის გავლა (8 — სტუდენტების, 2 — არმიის ნაწილების). ამის გათვალისწინებით მასპინძლებმა სათანადო საშვი იშოვეს როგორც სტუდენტთა მოძრაობის კომიტეტიდან, ასევე ჯარის ნაწილებიდან). თვითმფრინავმა 2 საათი დაიგვიანა. 15 საათზე, როგორც იქნა, ავფრინდით. პეკინის აეროდრომზე შემხვდნენ მასპინძლები, რომლებმაც სპეციალურ საშვიანი მანქანით მიმიყვანეს სასტუმროში “მეგობრობა”.

ლუმ მითხრა, რომ პეკინი მხოლოდ გარეგნულად მოჩანს დამშვიდებული. 8 ივნისს 11 საათსა და 30 წუთზე სასტუმროში მომავითხეს ჩემმა ჩინელმა მასპინძლებმა და სპეციალურ საშვიანი მსუბუქი მანქანით პეკინის ცენტრალური აეროპორტისკენ გავემგზავრეთ. ქალაქის ყველა გზაჯვარედინზე განლაგებულია სამხედრო კორდონები, რომლებიც საშვის შემოწმებისთანავე დაუყოვნებლივ გვიხსნიან გზას. აეროპორტი სავსეა ევროპელი და ამერიკელი მგზავრებით, რომლებიც თავიანთი ქვეყნების მთავრობათა მითითებით სტოვებენ ჩინეთს. საღამოს 6 საათსა და 45 წუთზე ჩვენი თვითმფრინავი მოსკოვის შერემეტიევი 2-ის აეროდრომზე დაეშვა.

ახლა, როდესაც ჩინეთში მივლინება დავასრულე, დამებადა კითხვა, რამდენად იყო გამართლებული ჩემს მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი. მაგონდება, როგორი გულისწყრომით შეხვდა 1957-58 წლებში ჩინეთში ჩემს მოღვაწეობას ზოგიერთი ჩემი ქართველი კოლეგა. ვინ რას არ ამბობდა: “ჩვენთან კაკანებს, სხვასთან კვერცხს დებს”, “სამშობლოს გაურბის, იცის, შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო”, “მაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო”. ამას, რასაკვირველია, ყურადღებას არ ვაქცევდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ შემემლო სარგებლობა მომეტანა ჩინელებისთვის როგორც მკვლევარ მათემატიკოსს. მაშინაც გეგმის მიხედვით ჩემი მივლინება იყო მეცნიერული, უნდა მეკისრა იმ ახალგაზრდა ჩინელ მათემატიკოსთა საკმარისად დიდი ჯგუფის მეცნიერული ხელმძღვანელობა, რომლებიც კერძოწარმოებულებიან განტოლებათა თეორიაში და ამ თეორიის გამოყენებებში მუშაობდნენ. 1957-58 წლებში ჩინეთში ჩემი მივლინება უკვალოდ არ გამქრალა. მეტად გამახარა იმ გარემოებამ, რომ არაერთი ჩინელი წამყვანი მათემატიკოსი ჩემს მოწაფედ თვლის თავს. ჩემს ყოფილ ჩინელ მოწაფეთა შორის 5 ჩინეთის უდიდეს უნივერსიტეტებს ხელმძღვანელობს. ახლანდელი ჩემი მივლინება დაემთხვა მეტად რთულ პერიოდს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ეჭვს გარეშეა, რომ დიდი ჩინეთი დაძლევეს მის წინაშე წამოჭრილ სიძნელებებს.

პეკინიდან დაბრუნებისთანავე შევუდექი ჩემი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას მოსკოვში. 3 დღე მოვანდომე სამივლინებო ანგარიშის ჩაბარებას მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოში. 12, 13, 14 და 15 ივნისს მომიხდა მოსკოვის უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტებისთვის კონსულტაციებისა და გამოცდების ჩატარება. ძალიან სასიამოვნოდ დამრჩა ის გარემოება, რომ ჩემს მიერ წაკითხული კურსი “კერძოწარმოებულებიან განტოლებათა თეორიის დამატებითი თავები” სტუდენტებმა კარგად აითვისეს.

გამომცემლობა “გორდონ-ბრიჩმა” ნიუ-იორკიდან გამომიგზავნა ჩემი მონოგრაფიის “კერძოწარმოებულებიან განტოლებათა რამდენიმე კლასის” ინგლისური თარგმანის 5 წიგნი. აეროპორტ შერემეტიევო 2-ის სატვირთო განყოფილებაში მთელი დღე დამჭირდა ამ წიგნების მისაღებად. საბაჟო ფორმალობათა სირთულე ზენიტში აქვთ აყვანილი ჩვენებს.

12 ივნისს თბილისიდან გვესტუმრა ჩემი ყოფილი მოწაფე სერგო ხარიბეგაშვილი, რომელიც ამჟამად ი. ნ. ვეკუას სახელობის თბილისის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელია. მან ბევრი რამ საინტერესო მომითხრო თბილისის ტრაგედიასთან დაკავშირებით. ეტყობა, საქართველოში ბევრი კარგავს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებისადმი ინტერესს, უფრო მეტი რომ არ ითქვას. ...ვიცნობ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ახალ დირექტორს ივანე კილურაძეს. ის და მისი მოადგილე ვახტანგ კოკილაშვილი საკმარისად ცნობილი მათემატიკოსები არიან, თანაც მეცნიერებისა და ცხოვრების ავ-კარგი უთუოდ იციან, მთავარია, გამბედაობა ეყოს სერიოზული ღონისძიებების დასახვისა და განხორციელების საქმეში.

8 ივნისს მოსკოვში არანაკლებ ცხელოდა, ვიდრე პეკინში. 1989 წლის ზაფხულის განმავლობაში მოსკოვში პაპანაჩევა სიცხე იდგა. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სამკურნალო-სანატორიული სამმართველოს საგულდაგულო დახმარების შედეგად გამოგვიყვეს 26 დღიანი 2 საგზური 18 აგვისტოდან სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს IV მთავარი სამმართველოს სანატორიუმში სახელწოდებით «Загорские дали», რომელიც მოსკოვიდან 120 კმ-ითაა დაშორებული და ქალაქ ზაგორსკის მიდამოში მდებარეობს. სანატორიუმი შედგება ტყეებითა და მდელოებით გარშემორტყმულ ლამაზ გორაკზე აღმართული 8-სართულიანი ძირითადი შენობისა და რამდენიმე 2-სართულიანი აგარაკისგან. ჩვენი ნაკადის დამსვენებელთა უმრავლესობას საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერები შეადგენდნენ. შიგადაშიგ გარეულია მეცნიერებისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწენი, მთავრობის წევრები და სხვ. სასადილოში ოთხადგილიან სუფრას პირველი ერთი კვირის განმავლობაში მარტო მე და ნინა ვუსხედით, მერვე დღეს შემოგვემატა ხანშიშესული მოხდენილი გარეგნობის ქალი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მარინა ალექსეევნა ლადინინა⁴⁵. დამსვენებელთა შორის მარინა ლადინინას გარდა იყვნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ნიკოლაი კრიუჩკოვი, სერგეი ობრაზცოვი და ივან პეტროვი (ნამდვილი გვარი კრაუზე). მარინა ლადინინამ თავისი ახალგაზრდობის დროინდელი მრავალი ანეკდოტი მოგვითხრო. მეხსიერებას შემორჩა ერთი მათგანი. მომყავს მისი შინაარსი:

“მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზის წინაშე წარდგენ გარდაცვლილ ქალთა სულები განსჯის მოლოდინში, სამოთხეში მიუჩენდნენ მათ ადგილს თუ ჯოჯოხეთში. მთავარანგელოზმა უბრძანა, — მარჯვნივ ჩამწკრივებულიყვენ ისინი, ვინც მეუღლეს ერთხელ მაინც უღალატა, უცოდველნი კი ადგილზე დარჩენილიყვენ. ყველა სული, გარდა ერთისა, მარჯვნივ ჩამწკრივდა, ერთი კი უძრავად დარჩა ადგილზე. მთავარანგელოზმა გამოიტანა განჩინება — ყველანი, ვინც

⁴⁵ მარინა ალექსის ასული ლადინინა _ რუსი საბჭოთა კინომსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი (1950 წლიდან). იყო სოფლის მასწავლებელი, 1923წელს დაამთავრა ПИТИС. 1933-35 წლებში МХАТ-ის მსახიობი იყო. კინოში დებიუტი ჰქონდა ფილმში “სამტრო ბილიკები” (1934 წ.). გადაღებულია ძირითადად თავისი მეუღლის ივან პირიევის კომედიურ ფილმებში. ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი ((1941, 1942, 1946, 1948, 1951). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

მარჯვნივაა ჩამწკრივებული, ჯოჯოხეთში უნდა წავიდნენ და მათთან ერთად ის ყრუც, რომელიც უძრავად დგას ადგილზეო”.

ჩვენი დასვენება სანატორიუმში ისე კარგად წარიმართა, რომ მე საკმარისად ნაყოფიერი კვლევითი მუშაობაც ჩავატარე — შევისწავლე სასაზღვრო ამოცანა ჰარმონიული ფუნქციებისთვის მრავალგანზომილებიან არეში, როცა მოცემულია საძიებელი ფუნქციის მაღალი რიგის ნორმალური წარმოებულის სასაზღვრო მნიშვნელობები.

13 სექტემბრიდან კვლავ შევუდექი ჩემს ჩვეულებრივ სამსახურებრივ საქმიანობას სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტსა და მოსკოვის უნივერსიტეტის გამოთვლითი მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტზე, სადაც ამ ბოლო წლებში ვკითხულობ სავალდებულო კურსს IV კურსის სტუდენტებისთვის სახელწოდებით “კერძოწარმოებულის განტოლებათა თეორიის დამატებითი თავები”. 26 სექტემბერს სამეცნიერო სემინარის წინაშე სტეკლოვის სახელობის ინსტიტუტში გამოვედი მეცნიერული მოხსენებით იმ გამოკვლევების შესახებ, რაც რამდენიმე კვირის წინათ შევასრულე სანატორიუმში. ეს გამოკვლევანი სტატიის სახით წარვადგინე «Доклады АН СССР»-ში დასაბეჭდად.

1989 წლის გვიან შემოდგომაზე უცხოეთიდან რამდენიმე ჩემი კოლეგის წერილი მივიღე. ერთ-ერთი მათგანი:

Freie Universität
Institut für Mathematik I (WE1)
Prof. Dr. H. Begehr

FU
BERLIN
10 Oktober 1989

პროფესორ დოქტორ ბიწაძეს
სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
ვ. ა. სტეკლოვის სახელობის
მათემატიკის ინსტიტუტი
117966 მოსკოვი
სსრკ

დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო ბიწაძე!

ამ ბარათთან ერთად გიგზავნით მოკლე ცნობებს ძმები ნიკურაძეების შესახებ, ამოწერილს სხვადასხვა ცნობარებიდან. ამით მსურს, ოდნავ მაინც დავაკმაყოფილო თქვენი ცნობისმოყვარეობა თქვენი სახელოვანი თანამემამულეების ბედთან დაკავშირებით.

ალექსანდრე ნიკურაძე

10.11.1900 სამტრედია (საქართველო) — 18.6.1981 მიუნხენი.

იოვანე ნიკურაძე

10.11.1900 სამტრედია (საქართველო) — 18.6.1979 გეტინგენი.

ყაუხჩიშვილის შესახებ ჯერ-ჯერობით ვერაფერი გავიგე. ამ საქმეში დახმარების აღმოჩენაზე სპეციალური თხოვნით მივმართე კრუპის⁴⁶ საქარხნო არქივს.

⁴⁶ “კრუპი” (Krupp, Fried. K. Hüttenwerke A. G.) _ გერ-ს ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოო მონოპოლია, მძლავრი მეტალურგიული და მანქანათმშენებლო კონცერნი კომბინირებული საწარმოო

რამდენადაც მახსოვს, თქვენ მიგაჩნიათ, თქვენი ამ თანამემამულის გერმანიაში მოღვაწეობა კრუპის საწარმოო გაერთიანებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. იმედი მაქვს, ჩემს თხოვნას დააკმაყოფილებენ.

დიდ მადლობას მოგახსენებთ იმ მასპინძლობის გამო, რომელიც მოსკოვში ჩემი ყოფნის დროს გამიწიეთ. მოუთმენლად გელით ჩემს სამშობლოში მომავალი წლის თებერვლის დამდევს.

თქვენი ჰ. ბეგერი

ამონაწერები გფრ-ს ცნობარებიდან:

ი. ქ. პოგენდორფის⁴⁷

ბიოგრაფიულ-ლიტერატურული ცნობარი მათემატიკის, ასტრონომიის, ფიზიკის, გეოფიზიკის, ქიმიის, კრისტალოგრაფიისა და ცოდნის და სხვა დარგებში
ტომი VI, 1923-1931.

ნიკურადე ალექსანდრე. საინჟინრო დარგის დოქტორი. მიუნხენის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის პრივატ-დოცენტი 1929 წლიდან, 1933 წლიდან მოღვაწეობდა ბერლინში უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის მანქანათა მცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორად. დაიბადა 1900 წ. 10 ნოემბერს, სამტრედიაში (საქართველო). კვლევით მუშაობას ეწეოდა ელექტრობაში (დიელექტრიკების თეორია). ნაშრომები გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ჟურნალებში: Ann. Physik (1931 wels r. rusiSvilTan TanaavtorobiT), Arch. Elektrotechn., Physik Z., Z. ges. Naturwiss., Z. Physik.

ნიკურადე იოვანე. ფილოსოფიის დოქტორი. 1923 წლიდან მოღვაწეობდა გეტინგენში (პრანდტლის მოწაფე) კარლ-ვილჰელმის ინსტიტუტში აეროდინამიკის დარგში. ასწავლიდა ბრესლაუს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში. დაიბადა 1894, 20 ნოემბერი, სამტრედია (საქართველო). ალექსანდრე ნიკურადის ძმა. ნაშრომები გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალებში: Forsch. Arb. Ing.-wes., Ingenieur-Arch., Verh. Int. Kongr. techn. Mech., Votr. Aerodynamik, Z. angew. Math. u. Mech.

ი. ქ. პოგენდორფის

ბიოგრაფიულ-ლიტერატურული ცნობარი ზუსტ ბუნებისმეცნიერებათა დარგში
ტომი VIIა, ნაწილი 3: L –R. 1932-1953.

ნიკურადე ალექსანდრე. სპეციალობით ელექტროტექნიკოსი. პროფესორი უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში — ბერლინი-შარლოტენბურგი. 1945 წლიდან მოღვაწეობს მიუნხენის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში. დაიბადა 1900 წ., 10 ნოემბერი, სამტრედია (საქართველო). იოვანე ნიკურადის ძმა. მისი ძირითადი მეცნიერული ნაშრომები: ელექტრობა და იზოლატორები, დიელექტრიკები, ელექტროგამტარებლობა გაზებსა და ლითონებში. დაბეჭდილია სამეცნიერო-

პროგრამით, რომელიც მოიცავს სამთამადნო, ფოლადის სადნობ, ლითონდამმუშავებელ მრეწველობას, საერთო მანქანათმშენებლობას, ავტო-, გემთ- და ავიამშენებლობას, ელექტროენერჯის წარმოებას, კომპლექტური საწარმოების დაგეგმვასა და მშენებლობას, ვაჭრობას და ა. შ.

⁴⁷ პოგენდორფ (Poggendorff) იოჰან ქრისტიან – გერმანელი ფიზიკოსი, ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1839 წ.). გამოსცემდა (1824 წლიდან) სამეცნიერო ჟურნალს “Annalen der Physik und Chemie”, რომე ლიც ასახავდა ყველა უმნიშვნელოვანეს კვლევას ფიზიკისა და ქიმიის სფეროში, აგრეთვე ცნობარს (“Biographisch-literarisches Handwörterbuch”), რომელიც მსოფლიოს მრავალი მეცნიერის ბიოგრაფიულ ცნობებს და ბიბლიოგრაფიას შეიცავდა.

ტექნიკურ ჟურნალებში — Ann. Physik, Arch. Elektrotechn., Physik Z., Z. ges. Naturwiss., Z. Physik.

ნიკურაძე იოვანე. სპეციალობით ჰიდროაერომექანიკოსი. 1940-45 წლებში მოღვაწეობდა საავიაციო-ტექნიკურ სამეცნიერო სასწავლებელში, დოცენტად ბრესლაუს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში. 1945 წლიდან მის შესახებ არაფერი არაა ცნობილი. დაიბადა 1894, 20 ნოემბერი, სამტრედია (საქართველო). ალექსანდრე ნიკურაძის ძმა. მისი ნაშრომები ჰიდროაერომექანიკაში ტურბულენტობის თეორიაში იბეჭდებოდა Z. angew. Math. u. Mech. და სხვა სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალებში.

ძნელი დასადგენია, თუ ვინ იყო რ. რუსიშვილი, რომელთან ერთადაც ა. ნიკურაძეს 1931 წელს თავისი პირველი მეცნიერული ნაშრომი გამოუქვეყნებია. არ ჩანს, თუ საიდან შეიტყო პროფესორმა ბეგერმა გარდაცვალების თარიღები და ადგილები. 1957 წელს დარმშტადტში ყოფნისას მითხრეს, რომ ალექსანდრე ნიკურაძე იმ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ბირთვული ენერგეტიკის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა მიუნხენში. მაშინ მე და ილია ვეკუას გვქონდა ალექსანდრე ნიკურაძესთან შეხვედრის შესაძლებლობა, მაგრამ ილია ვეკუამ ამ ნაბიჯის გადადგმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

იოვანე ნიკურაძეს ცოლად ჰყავდა პრანდტლის ქალიშვილი და ამბობდნენ, რომ მათ შთამომავლობაც გაუჩნდათ. სამწუხაროდ ამ უკანასკნელთა ბედის შესახებაც არაფერია ცნობილი. მეორე მსოფლიო ომის წლებში იოვანე პრანდტლის საავიაციო-სამეცნიერო-ტექნიკურ ლაბორატორიას განაგებდა. მის მოწაფედ თვლის თავს ცნობილი გერმანელი მეცნიერი გეტინგენიდან. ამ უკანასკნელს 70-იანი წლების დასასრულს კარლ-მარქს-შტადტში შევხვდი სამეცნიერო კონფერენციაზე, მაგრამ მისგან ვერაფერი ვერ შევიტყვე იოვანე ნიკურაძის შესახებ 1947 წლის შემდეგ.

როგორც პროფესორ ბეგერის წერილიდან ჩანს, ალექსანდრე ნიკურაძეს 81 წელი უცოცხლია, იოვანე ნიკურაძეს — 85 წელი. მათი ესოდენ ხანგრძლივი სიცოცხლე ბევრ რამეზე მეტყველებს, ბედით უკმაყოფილო ადამიანების სიცოცხლე არც თუ ისე ხანგრძლივია.

მაქვს გარკვეული ცნობა იმის შესახებ, რომ მიხეილ (მიხაკო) წერეთელი⁴⁸ ძმებ ნიკურაძეებს იცნობდა, მაგრამ სამწუხაროდ ვიცით რაიმე თვით მიხაკოს ცხოვრების შესახებ 1921 წლის შემდეგ? მისი ძმისწული გიორგი წერეთელი (არაბისტი) და მეზობელი დავით ტატიშვილი (ჩემი მასწავლებელი ცხრუკვეთის დაწყებით სკოლაში) საქმის კურსში უნდა ყოფილიყვნენ მიხაკო წერეთლის ბიოგრაფიის ბოლო წლების შესახებ, მაგრამ ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რომ ამის შესახებ არავითარი ცნობა არ დაგვიტოვეს. მიხაკოს ვახვახიშვილის ქალთან ჰყავდა ვაჟი, სახელად ოთარი, მაგრამ მისი ასავალ-დასავალი ჯერ-ჯერობით ცნობილი არაა. ამბობდნენ, რომ ოთარი თითქმის მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში გერმანიაში ცხოვრობდა. მეორე მსოფლიო ომის წლებში მას ნაცნობობა ჰქონდა კაკი (ირაკლი) წერეთელთან და მასთან ერთად ნაცისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ გერმანიიდან ლათინური ამერიკის რომელიღაც სახელმწიფოში წავიდა ემიგრაციაში.

⁴⁸ მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, ავტორი წიგნისა “ერი და კაცობრიობა”, სოფელ ცხრუკვეთიდან იყო. სოფლის ყველაზე შეძლებულ გლეხად ცნობილ ვასილ ბიწაძის ოჯახს ახლო ურთიერთობა ჰქონდა წერეთლებთან (ტერიტორიულადაც მეზობლები იყვნენ), განსაკუთრებით სოფლის უკანასკნელი მკვიდრი მღვდლის, დეკანოზ იოსებ წერეთლის ოჯახთან.

მნელი სათქმელია, ეს ჭორია თუ სინამდვილე?! ერთი კი აშკარაა, რომ ისინი მთელი სიცოცხლის მანძილზე კომუნიზმს ებრძოდნენ.

1985 წლის იანვარში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლებმა ჩამიშალეს სამეცნიერო მივლინება დასავლეთ გერმანიაში, სადაც ობერვოლფახის მათემატიკურ კვლევათა ინსტიტუტმა ელიფსურ განტოლებათა თეორიაში ჩემს გამოკვლევებთან დაკავშირებით ერთკვირიანი საერთაშორისო კონფერენცია გამართა. 1990 წლის თებერვალშიც ვიყავი მიწვეული ობერვოლფახში. ისე მოხდა, რომ ამჯერად გფრ-ში ჩემს მივლინებას წინ არავინ ალუდგა და 4 თებერვალს მოსკოვიდან ქალაქ მაინის ფრანკფურტში გავფრინდი. ობერვოლფახის კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მგზავრთა შორის ჩემს გარდა აღმოჩნდა კიდევ 3 მათემატიკოსი — ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ა. ჯურაევი, ლ. მიხაილოვი და იმავე აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. რაჯაბოვი.

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა თავაზიანობა გამოიჩინეს. ფრანკფურტის აეროპორტში დარმშტადტელი ახალგაზრდა მათემატიკოსი პენცელი შეგვხვდა ავტომანქანით. დარმშტადტში შემოგვიერთდა კონფერენციის ორგკომიტეტის თავმჯდომარე ერხარდ მაისტერი, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობ, თანაც საკმარისად კარგი ურთიერთობა გვაქვს.

ობერვოლფახი შვარცვალდის პატარა სოფელია გფრ-ში. გერმანიის მთავრობას აქ რამდენიმე კაპიტალური შენობა აუგია და მათემატიკურ კვლევათა ინსტიტუტი დაუარსებია. ინსტიტუტის დანიშნულებათა, ყოველკვირეულად ჩაატაროს თანამედროვე მათემატიკის დარგებისადმი მიძღვნილი კონფერენცია, სემინარი თუ სიმპოზიუმი. ამ სამეცნიერო ღონისძიებაში საორგანიზაციო კომიტეტის სპეციალური მიწვევით მონაწილეობენ აქტიურად მოღვაწე მათემატიკოსები მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოდან. სამგზავრო ბილეთის გარდა კონფერენციის მუშაობაში მონაწილეთა ყველა ხარჯს ობერვოლფახის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა იღებს. ეს ჭეშმარიტი ქველმოქმედებაა.

შვარცვალდი ალპების განშტოებათა ერთი ჯგუფია, რომლის ზოგიერთი მწვერვალის სიმაღლე 3 კმ-ს აღემატება. მოსახლეობას შეადგენს გერმანელი გლეხობა, რომელიც შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობს. შვარცვალდში გერმანელი გლეხი მოგზაურ უცხოელთან კომუნიკაბელობას არ გაურბის, საუბარში თავაზიანია, მაგრამ გაჭიანურებულ მასლაათს თავს არიდებს. თითქმის ყოველი კილომეტრის მანძილზე გზაში გვხვდება კოხტა სასაუზმე, სადაც მგზავრს საკმარისად იაფად დანაყრება შეუძლია. სურსათი სრულიად ახალია (კალმახს ჯერ კიდევ ცოცხლად დებენ ქვაბში ან ტაფაზე). შვარცვალდში ვენახი ვერ ხარობს, ღვინო სასაუზმის პატრონს რაინის მიდამოებიდან მოაქვს. ყოველ ბოთლს აწერია, ვისი მარნიდანაა და რამდენი წლისაა. აქაური ღორი თავითი გემოთი და არომატით მსოფლიოშია განთქმული.

ობერვოლფახის ინსტიტუტში 5 თებერვლიდან 10 თებერვლამდე ყოველდღიურად 2 სამეცნიერო სემინარი მუშაობდა. ჩვენს სემინარში მონაწილეთა რაოდენობა 50-ს აჭარბებდა. ორგკომიტეტის თხოვნით პირველი სამეცნიერო სხდომა ორშაბათს დილით 9 საათიდან 12 საათსა და 30 წუთამდე ჩემი პრეზიდენტობით ჩატარდა.

სემინარი მუშაობაში ქართველთაგან ჩემს გარდა მონაწილეობდნენ ელენე ობოლაშვილი და როლანდ დუდუჩავა.

ელენე ობოლაშვილი, როლანდ დუდუჩავა და მე მოხსენებებით გამოვედით. ჩემი მოხსენება სახელწოდებით "ფუნქციათა თეორიის მეთოდები ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში" ხუთშაბათს დილით შედგა. ხუთშაბათს საღამოს ერხარდ მაისტერმა წვეულება გამართა რესტორანში ქალაქ ვოლფახში. სტუმრები ამორჩევით მოიწვია. არჩევანში სემინარის სამივე ქართველი მონაწილე მოვხვდით.

ობერვოლფახში მივლინებისას დავათვალიერე შვარცვალდსა და მის მახლობლობაში განლაგებული დასახლებული ადგილები ქალაქ ოფენბურგის ჩათვლით. აშკარად იგრძნობა, როგორ კეთილმოწყობილია აქაური ცხოვრება. ვერსად ვერ შეხვდებით ვერც უსაქმოს, ვერც მაწანწალას თუ მათხოვარს. არავითარი განსხვავება არ არსებობს აქაურ ქალაქსა და სოფელს შორის შრომითი შემოქმედებისა თუ ცხოვრების თვალსაზრისით. აქ არიან ძალზე მდიდრებიც, მაგრამ მათზე უფრო დარიბები სრულიადაც არ მოგვაგონებენ პროლეტარებს. როგორც ჩანს, ყველა აქაურ მოქალაქეს აქვს საკუთრება, რომელსაც თვალის ჩინივით უფრთხილდება.

10 თებერვალს გფრ-დან მოსკოვს დავბრუნდი თვითმფრინავით. დაბრუნებისთანავე გავაგრძელე ჩემი ჩვეულებრივი სამსახურებრივი საქმიანობა: სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტსა და მოსკოვის უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტზე.

23 მარტს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამმართველოდან შემატყობინეს, რომ ერთი თვით ჩემი მივლინება იტალიაში (იტალიელთა მიწვევით) გარკვეულ დაბრკოლებას წააწყდა იმ მხრივ, რომ სათანადო ნებართვის მიცემას თავის თავზე არც ერთი ვიცე-პრეზიდენტი არ იღებდა. დაუყოვნებლივ წერილობითი განცხადებით მივმართე აკადემიის პრეზიდენტს გ. ი. მარჩუკს ჩემი გასაჭირის თაობაზე. როგორც ჩანს, ამას არ მოელოდნენ და პრეზიდენტი იძულებული გახდა, ჩემთვის იტალიაში მივლინებით დაუყოვნებლივ წასვლის ნება დაერთო. 24 მარტს შემატყობინეს, რომ ჩემი მივლინება უთუოდ შედგება. 3 აპრილს გადმომცეს პირველი კლასის ბილეთი 5 აპრილისთვის მოსკოვიდან მილანში საბჭოთა თვითმფრინავზე. ჩემი თხოვნის საფუძველზე აღმითქვეს, რომ დაუყოვნებლივ შეატყობინებენ ჩემს მასპინძლებს იტალიაში ჩემი რეისის ნომერს, რათა მილანის საჰაერო ვაგზალზე დამხვდნენ.

5 აპრილს 9 საათსა და 10 წუთზე თვითმფრინავმა შერემეტეევო 2-ის აეროდრომიდან გეზი იტალიის მიმართულებით აიღო. მგზავრთა სალონში მწერალ ჩინგიზ აიტმატოვის გვერდით აღმოვჩნდი. 3 საათისა და 20 წუთის შემდეგ მილანის აეროპორტში დაეშვა. სამწუხაროდ აეროპორტში არავინ არ შემხვედრია. ბედად აიტმატოვთან შესახვედრად მოვიდნენ საბჭოთა გენერალური კონსული და ვიცე-კონსული მილანში. ჩვენმა ვიცე-კონსულმა ალექსანდრ კალეტინკინმა დიდი პატივი დამდო იმით, რომ საკუთარი მანქანით მიმიყვანა მილანის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტში. ჩემი მასპინძელი პროფესორი ალფრედო ლორენცი ადგილზე არ აღმოჩნდა. როგორც იქნა, მოძებნეს და ერთი საათის შემდეგ ჩემი თავი "ჩააბარეს". ლორენცი სახტად დარჩა, როცა ჩემი სტუმრობის შესახებ გაიგო. მას მოსკოვიდან არავითარი დეპეშა არ მიუღია, ვარაუდით კი ჩემს სტუმრობას აპრილის შუა რიცხვებიდან მოელოდა. ლორენცი მეტად საქმიანი ადამიანი აღმოჩნდა: უპირველეს ყოვლისა მასესხა, ჩემი იტალიური ხელფასის მიღებამდე, ნახევარი მილიონი იტალიური ლირა და მომათავსა მილანის უნივერსიტეტის სასტუმროში,

რომელიც ლორეტოს მოედნის მახლობლად კანცოს ქუჩაზე მდებარეობს. მისივე თანხლებით სასტუმროს მახლობლად “სუპერმარკეტში” შევიძინე 40.000 ლირის ღირებულების სანოვაგე.

შეპირების თანახმად 6 აპრილს 8 საათსა და 30 წუთზე მომაკითხა ალფრედო ლორენციმ და ფეხით გავემართეთ მილანის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტისკენ. ამ დღეებში იტალიელები ადდგომას (პასკუას) ზეიმობდნენ, ასე რომ უნივერსიტეტში არდადეგები იყო და რამდენიმე დღის უსაქმოდ გატარება მომიწევდა. ერთი ჭირი მარგებელიაო, 6 აპრილიდან ფეხით მილანის დათვალიერებას შევუდექი. ჩემი მეგზური იყო მილანის რუკა, რომელიც პროფესორმა ლორენციმ მისახსოვრა.

7 აპრილს დილიდანვე გადაუღებლად წვიმდა. 11 საათზე შევიძინე ქოლგა და გავაგრძელე მილანის დათვალიერება ქოლგითა და რუკით ხელში. ლორეტოს მოედნიდან გეზი ბუენოს-აირესის გამზირის მიმართულებით ავიღე. ეს ქუჩა განთქმულია მაღაზიებით. ლორეტოდან დაწყებული ბუენოს-აირესის გამზირი ვენეციის კარიბჭესთან მთავრდება, ხოლო ამ უკანასკნელის ხელმარჯვნივ გადაჭიმულია მილანელთა ერთ-ერთი დასასვენებელი ადგილი — სახალხო პარკი (Giurelini Pubblici). პარკის მახლობლად მდებარეობენ რესპუბლიკისა და ელეონორა დუზეს მოედნები, გალილეო გალილეისა და ლაზარეს ქუჩები. ამ რაიონში ახალი მაღლივი შენობა იშვიათია. ვენეციის კარიბჭე ბასტიონის მსგავსი 2 შენობისგან შედგება, რომლებშიც მუზეუმის მსგავსად ისტორიის ამსახველ ექსპონატებს უკავიათ მნიშვნელოვანი ადგილი. სახალხო პარკისგან არც თუ ისე შორს მდებარეობენ არენა და მონუმენტური სასაფლაო (Cimitero Monumentale).

კვირას, 8 აპრილს დილიდანვე უკვე გადაიკარა, ვისაუბრე და გავემართე მონუმენტურ სასაფლაოსკენ ვენეციის კარიბჭის ბასტიონებისა და მონტე-სანტოს გავლით. აქედან ხელმარჯვნივაა ტამარი, სადაც ფრესკაზე გამოსახულია ლეონარდო და ვინჩის "საიდუმლო სერობა", და არენა. სასაფლაოს მთავარ შესასვლელში კედლებზე გამოხატული არიან პირველი მსოფლიო ომის დროდ გამირულად დაღუპული იტალიელები. ხელოვნების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი თითქმის არაფერია. შიგნით კი სასაფლაო მართლაც რომ მონუმენტური ძეგლებითაა მოფენილი. ხელოვანთ აქ ძირითადად გრანიტი, მარმარილო და ბრინჯაო გამოუყენებიათ. აქ ბევრია საოჯახო აკლდამა. რელიგიურ სიმბოლოთაგან გამოყენებულია ჯვარი და ანგელოზები. იშვიათად გვხვდება ექვსქიმიანი ვარსკვლავი — ისრაელთა მეფის დავითის ემბლემა.

გათენდა 9 აპრილი. კვლავ წვიმს. აქაური სამუშაო დღე 9 საათიდან იწყება და 16 საათზე მთავრდება. მეც ქოლგით ხელში დილის 8 საათზე ფეხით გავემართე მილანის უნივერსიტეტისკენ. ალფრედო ლორენციმ გუმინ თავისი სამუშაო კაბინეტის სარეზერვო გასაღები გადმომცა. ისე გამოვიდა, რომ მე ყველას მივასწარი. ჩქარა ლორენციც მოვიდა 2 ახალგაზრდა თანამშრომლით. ჩემი მეცნიერული მოხსენებები 19 და 26 აპრილისთვის დავგეგმეთ. 19 აპრილს იტალიელ მათემატიკოსთა საკმარისად დიდი ჯგუფის წინაშე უნდა წარვდგე მოხსენებით თემაზე “ფუნქციათა თეორიის მეთოდები სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში”, 26 აპრილს ადგილობრის ახალგაზრდა მათემატიკოსთა კოლექტივს მოვახსენებ ჩემს შედეგებს — "არაწრფივ კერძოწარმოებულიან განტოლებათა ერთი კლასის ზუსტი ამოხსნების შესახებ". 12 საათისთვის უკვე სასტუმროში დავბრუნდი გზაში ნაყიდი სანოვაგით სავსე პარკით ხელში.

19 აპრილისთვის გამიზნული ჩემი მოხსენების არსებითი ნაწილი ჯერ კიდევ გასული წლის დასასრულს შევადგინე და ობერვოლფახში გამართულ სემინარს მოვახსენე. ამ ბოლო ხანებში მისი საგრძნობლად გადახალისება და შევსება მომიხდა.

სამშაბათს, 10 აპრილს გადავწყვიტე, დილიდანვე მილანის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება გამეგრძელებინა. უპირველეს ყოვლისა გეზი კადორნას მოედნის მიმართულებით ავიღე მეტროპოლიტენის წითელი (N°1 ხაზით), იქიდან კი ტრამვაის საშუალებით — ღვთისმშობლის წმინდა მარიამის მოედნისკენ (Piazza Santa Maria delle Grazie), სადაც აღმართულია ამავე სახელობის დიდი ტაძარი, განთქმული კედელზე ლეონარდო და ვინჩის მიერ ფრესკის სახით გამოხატული უშესანიშნავესი ქმნილებით — “საიდუმლო სერობა” (Ultima Cena). როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის დასასრულს იტალიელებმა ვერ მოასწრეს თუ საჭიროდ არ მიიჩნიეს მილანის ღია ქალაქად⁴⁹ გამოცხადება და ამერიკის სამხედრო ავიაციამ ის მიწასთან გაასწორა, მასთან ერთად ღვთისმშობლის წმინდა მარიამის ტაძარიც. ფრესკა თითქმის მთლიანად ჩამოინგრა. ამერიკელებმა იმით იმართლეს თავი, რომ მათი ვარაუდით ჩრდილო იტალიაში და კერძოდ მილანსა და მის მიდამოებში გერმანელთა მნიშვნელოვანი სამხედრო შენაერთები იყვნენ განლაგებულნი. სინამდვილეში, როგორც გამოირკვა, იმ დროს იქ ერთი გერმანელი სამხედრო პირიც არ იყო⁵⁰. ამბობენ, რომ ამერიკელებმა არ იცოდნენ, რომ მილანში ღვთისმშობლის წმინდა მარიამის ტაძარი იყო მის კედელზე გამოსახული ლეონარდოს უკვდავი ქმნილებით. შესაძლოა, ეს ასე იყოს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დასასრულს ინგლისელებმა ხომ უღვთოდ დაბომბეს გერმანიის ქალაქი დრეზდენი ცვინგერის სასახლით (ყველასთვის ცნობილი დრეზდენის სურათების გალერეით)?⁵¹

“საიდუმლო სერობის” აღდგენა იტალიელებს ძალზე გვიან დაუწყიათ. პირველი მნიშვნელოვანი სამუშაოები აქ 1976 წელს შეუსრულებიათ არქიტექტურული ძეგლების აღდგენის რომში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თაოსნობით. 1988 წელს ამ საქმეში თავი განსაკუთრებით გამოუჩენია ქალბატონ ბრამბილა პინინის — ხელოვნებათმცოდნესა და ინჟინერს. კედელზე უკვე აღუდგენიათ ფრესკა. დღეს არდადეგები გრძელდება და “საიდუმლო სერობის” დასათვალიერებლად მოსწავლეთა უწყვეტი ნაკადი მოედინება. ყოველ ჯგუფს ჰყავს თავისი ხელმძღვანელი, რომელიც, როგორც ჩანს, მეტად საინტერესოდ და, რაც მთავარია, დამაჯერებლად მოუთხრობს “საიდუმლო სერობის” არსს. ბავშვები სულგანაბლენი უსმენენ და ჩანაწერებს აკეთებენ. გუშინწინ მონუმენტური სასაფლაოს დათვალიერებისას მის შესასვლელში ვიხილე ხელმარცხნივ აღმართული საიდუმლო სერობის სკულპტურული გამოსახულება. მისი ავტორი უდავოდ ვერ შეედრება დიდ ლეონარდოს, მაგრამ შთაბეჭდილება იქაც დიდია.

ღვთისმშობლის მოედნიდან არც თუ ისე შორსაა მოედანი სახელწოდებით “კასტელო”, რომელზეც აღმართულია ყოფილი ციხე-სიმაგრე “კასტელო სფორცესკო” (Castello Sforcesco). ამ ციხე-სიმაგრეში ახლა მოთავსებულია მეტად საინტერესო მუზეუმი, სადაც ასახულია კაცობრიობის განვითარების უზარმაზარი ხანა ჰომოჰა-

⁴⁹ მეორე მსოფლიო ომში ფრანგებმა პარიზის ღია ქალაქად გამოცხადებით ხელუხლებლად შეინარჩუნეს თავიანთი დედაქალაქი.

⁵⁰ ზუსტად ასე მოხდა მონტეკასინოს ცნობილი მონასტრის დაბომბვის დროს.

⁵¹ ამ ბოლო დროს ამბობენ, რომ დრეზდენი ინგლისელებმა საბჭოთა მხარის დაჟინებული მოთხოვნით დაბომბეს და საბჭოთა მხარე იმტკიცებოდა, რომ მისი ყოვლისშემძლე დაზვერვის მონაცემებით დრეზდენში დიდი სამხედრო ქარხნები მუშაობდნენ (რაც, როგორც აღმოჩნდა, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა).

ბილიდან დაწყებული ჰომოსაპიენსამდე მხოლოდ იმ არქეოლოგიურ ექსპონატთა მიხედვით, რომლებიც აპენინის, პირენეის, ბალკანეთის ნახევარკუნძულებზე, ხმელთაშუა ზღვის აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ და მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროებზე მოუპოვებიათ. კარგადაა წარმოდგენილი პალეოლითი და ნეოლითი (განსაკუთრებით ბრინჯაოს ხანა). ნაჩვენებია, რომ ნეოლითის პერიოდის ხმელთაშუა ზღვის ხალხების გავლენა იყო ამიერკავკასიაზეც. მუზეუმში რამდენიმე ეგვიპტური მუმიაცაა.

კასტელო სფორცესკოდან ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მდებარეობს მილანის რაიონი, დაყოფილი მსოფლიოს გამოჩენილ მწერალთა სახელობის პატარა ქუჩებად. სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიემართებიან ზოლას, მოლიერის, შექსპირის, მიცკევიჩისა და იბსენის ქუჩები, გარდიგარდმო, დასავლეთიდან აღმოსავლეთით — სერვანტესის, გოეთეს, პუშკინისა და პეტეფის ქუჩები. ეს რაიონი საკმაოდ წყნარია, მიუხედავად იმისა, რომ მას გარშემო არტყია მილანის ჩრდილოეთის რკინიგზის სადგური, კასტელოს მოედანი და მილანის ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტი.

ოთხშაბათს, 11 აპრილს დილით ჩემი შეხვედრა პროფესორ ლორენცისთან მხოლოდ ფინანსურ ხასიათს ატარებდა. მან ხელწერილქვეშ გადმომცა ჩემი ხელფასი, რომელიც 3500000 ლირას აღემატებოდა. აქედან სასტუმროს თითქმის 1000000 დასჭირდა, ისე რომ ჩემი სურვილით 2500000 ლირის დახარჯვის საშუალება მაქვს. ერთი სიტყვით, ერთი სრულიად ჩვეულებრივი საბჭოთა მოქალაქე იტალიაში "მილიონერად" ვიქეცი.

აღფრედო ლორენცისთან ერთად განვიხილეთ ჩემი ექსკურსიის საკითხი ვენეციაში. სირცხვილია, კაცი იტალიაში ერთი თვით მოხვდეს და ვენეცია არ მოინახულოს. გამოდის, რომ ამას მხოლოდ ერთი დღე უნდა მოვანდომო იმის გამო, რომ მასპინძლებმა ვენეციაში ჩემი ღამის გათევის საშუალება ვერ გამონახეს.

შუადღისას მოვინახულე მილანის კათედრალური ტაძარი (Duomo), ეს უზარმაზარი, გოტური სტილით აგებული შენობა გარედანაც კი იტაცებს თვალს. ვის არ ნახავს თვალი აქ: კაცს, ქალს, ბავშვს, ახალგაზრდას, ხნიერს, თეთრკანიანს, შავკანიანს, ყვითელკანიანს, წითელკანიანს... ტაძრის შიგნით ღვთისმსახურება უკვე დამთავრებულია და ახლა სანთელს უნთებენ ნათესავთა გარდასულ სულებს თუ საიდუმლო ჩანაფიქრს. ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ სხვადასხვა ადგილზე ათასობით სანთელი ანთია. კედლების გასწვრივ ქრისტიანულ წმინდანთა სკულპტურული პორტრეტებია ჩამწკრივებული, წმინდანთა ფერწერული გამო-სახულებები ძირითადად ვიტრაჟებში და იშვიათად ფრესკებზეა წარმოდგენილი⁵². მთავარი საკურთხევლის წინ დასაფლავებულია რამდენიმე კარდინალი და მთავარეპისკოპოსი.

კათედრალური ტაძრიდან გავემართე სამხრეთით მილანის უნივერსიტეტის ძველი შენობის დასათვალიერებლად, სადაც უნივერსიტეტის ჰუმანიტარული დარგებია განთავსებული. ეს ორსართულიანი, ხუთი ჰექტარის ფართზე გადაჭიმული შენობაა, რომელიც შიგნით დაყოფილია ნაწილებად, ყოველ მათგანს აქვს თავისი მწვანე ეზო, სადაც კარგ ამინდში ღია ცის ქვეშ სტუდენტები მეცადინეობენ ან ისვენებენ. შენობა, როგორც აღვნიშნე, ძალიან ძველია, მაგრამ სუნთქვას დღევანდელი სიახლით. აქაა ავტომატურად მოქმედი წიგნსაცავები, სამკითხველო დარბაზები, სამუშაო კაბინეტები, კომპიუტერები... დღეს მზიანი თბილი დარია და კოინდარზე ჩრდილში

⁵² კათოლიციზმში სჭარბობენ წმინდანთა სკულპტურული გამოსახულებანი, მართლმადიდებლობაში — ხეზე შესრულებული ფერწერული ხატები.

თვალი ხშირად შენიშნავს სტუდენტთა მომეცადინე წყვილებს (უფრო ხშირად ქალ-ვაჟს).

უნივერსიტეტის შენობიდან კვლავ კათედრალური ტაძრის გავლით მივადექი ვიქტორ ემანუილ II-ის ლამაზად გადახურულ გალერეას, რომელმაც Piazza alla Scalas-ს სახელწოდების მოედანთან მიმიყვანა. მოედნის ცენტრში ლეონარდოს ქანდაკება დგას. მოედანს ჩრდილოეთის მხრიდან მილანის სახელგანთქმული საოპერო თეატრი, სახელად ლა სკალა⁵³, დაჰყურებს.

ძალზე საინტერესო აღმოჩნდა მილანის კათედრალური ტაძრის მუზეუმიც. მის 21 დარბაზში გამოფენილია ტაძრის სკულპტურული და ფრესკული ექსპონატები და აღწერილია მის ისტორია: ტაძრის მშენებლობა ჯანგალეაცო ვისკონტის მფარველობით 1386 წელს დაუწყიათ უცნობი ხუროთმოძღვრის ხელმძღვანელობით. 29 წლის განმავლობაში აქ უმოღვაწიათ მრავალ ფრანგ და გერმანელ ხელოვანს და გამოჩენილ იტალიელ მშენებლებს დე გრასის, სილარის, ამადეოს, ტიბალდის და ბასის, რომლებმაც ტაძარი საბოლოოდ გოტურ სტილში ჩამოაყალიბეს. შიგა ხედს დღევანდელი სახე 1958 წელს მიუღია.

როგორც ცნობილია, წმინდა მარიამის ტაძრის შესახებ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს. ჩემთვის ყველაზე მეტად საინტერესო გამოდგა პიეტრო ს. მარანინის "Leonardo's Last Supper" ("უკანასკნელი ვახშამი" ანუ "საიდუმლო სერობა"). მასში ნაჩვენებია, თუ რა დიდხანს უმუშავნია ლეონარდო და ვინჩის "საიდუმლო სერობაზე". ღვთისმშობლის წმინდა მარიამის ტაძრის მშენებლობა დაუწყიათ 1463 წელს და დაუმთავრებიათ 1492 წელს. პირველ ხუროთმოძღვარს მის სტილში გოტური ელემენტები შეუტანია, დონატე ბრამანტეს კი მასში რენესანსის ხაზი გაუტარებია.

12 აპრილს პროფესორმა ლორენციმ დიდი ამაგი დამდო იმით, რომ მომეხმარა ბილეთების შეძენაში მილანიდან ვენეციაში და პირიქით. როგორც ჩანს, I და II კლასის სამგზავრო ბილეთები რეზერვირებული ადგილებით ძალზე ცოტაა. ცოტა ხანს რიგშიაც მოგვიწია დგომა მილანის რკინიგზის ცენტრალურ სადგურზე. ეს სადგური მუსოლინის დროს აუშენებიათ. გარეგნულად უზარმაზარ ფართობზე გადაჭიმული მისი შენობა საკმარისად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ სამაგიეროს შიგნიდან შესანიშნავადაა მოწყობილი. ფართო, მაღალი, ბუნებრივად ნათელი მოსაცდელი დარბაზები კარგი გემოვნებითაა გაფორმებული. ბილეთების შეძენის შემდეგ მე და ლორენციმ ერთი საათით ქალაქში გავისეირნეთ.

მატარებელი მილანი — ვენეცია, რომლის II კლასის ვაგონის ბილეთი 12 აპრილს შევიძინე, მილანიდან 13 აპრილს დილის 7 საათზე გადიოდა. ამის გამო ადგომა 5 საათზე მომიწია. 6 საათსა და 55 წუთზე ჩვენს ვაგონში ყველა დასაჯდომი ადგილი დავიკავეთ. უამრავი მგზავრია ვაგონის დერეფანშიც. ზუსტად 7 საათზე ჩვენი მატარებელი დაიძრა და 9 საათსა და 45 წუთზე ვენეციის რკინიგზის სადგურ სანტალუჩიაზე შევიდა.

ვენეციაში ტრანსპორტის ძირითად სახეობას, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ, "მშრალი გზის" (სახმელეთო) ავტოტრანსპორტთან ერთად პატარა გემები, კატერები, მცურავი ავტოტაქსი და გონდოლები შეადგენენ. მათი სადგურები ერთმანეთისგან 200-300 მეტრითაა დაშორებული. ერთსაათიანი გასეირნების შემდეგ კატერიდან გადმოვედი სადგურზე სახელწოდებით "ზაქარია". ვისაუზმე რესტორანში Gabriela. საუზმის

⁵³ La Scala; Teatro alla Scala; შენობა აგებულია "ს ანტა მარია დელა სკალას" ეკლესიის ადგილზე, საიდანაც თეატრმა სახელწოდება მიიღო.

შემდეგ მივაშურე ვენეციის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ ადგილს — წმინდა მარკოზის ტაძარს, მის მოედანსა და გალერეებს. ტაძარი არც სიდიდით, არც არქიტექტურით და არც შინაგანი მოწყობილობით მილანის Duomo-ს არ ჩამოუვარდება. ტაძრის წინ მოედანი, შესაძლოა, მხოლოდ პეკინის ტიანანმინის მოედანს უდებდეს ცალს. მოედანს სამი მხრით გარს არტყია ცნობილი გალერეა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში შენდებოდა. გალერეების დანიშნულება რელიგიურ ხასიათს თითქმის აღარ ატარებს. წმინდა მარკოზის ტაძარი მოედნითა და გალერეით მდებარეობს დიდი არხის (Grande Canale) სანაპიროზე დაახლოებით ვენეციის შუაგულში. დღევანდელი ვენეცია 120-მდე კუნძულისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია 400-მდე არხითა და კიდევ უფრო მეტი რაოდენობის ხიდებით. ქალაქის მთავარი საზღვაო “გზა” დიდი არხია.

საუკუნეების განმავლობაში ვენეცია მნიშვნელოვანი კომერციული ცენტრი იყო. ამ საზღვაო ქალაქისა და რესპუბლიკის სიმდიდრე და ძლიერება აისახა აისახა მისი ცადატორცნილი ციხე-სიმაგრეებისა და ტაძრების სიმშვენიერესა სიმტკიცეში, რაც დღესაც ანცვიფრებს მნახველს. წმინდა მარკოზის მოედანი და მისი შემოგარენი, დოჟთა და ჰერცოგთა პალატები აგებულია მარმარილოს, ბროლის, ოქროს, ძვირფასი ქვების უხვად გამოყენებით.

ჩემი მატარებელი ვენეციიდან 20 საათსა და 10 წუთზე უნდა გამოსულიყო. ზუსტად 20 საათზე მივადექი მატარებელს სანტა-ლუჩიას ბაქნის X ხაზზე. მე პირველი შევედი კუპეში და დავიკავე ჩემი ადგილი. მერე მოვიდა მეორე მგზავრიც — ჯერ კიდევ ახალგაზრდა, საკმაოდ კარგი გარეგნობის იტალიელი ქალი. როცა მატარებელი დაიძრა, ჩვენს კუპეში, რომ იტყვიან, ჯიქურ შემოვარდა შუახნის ვებერთელა მამაკაცი ანთებული სიგარეტით ხელში. ქალმა სიგარეტის მოწვევის შეწყვეტა სთხოვა, რადგან ჩვენი ვაგონი თამბაქოს არამწვევლთათვის იყო განკუთვნილი. ავციამ ამ თხოვნას ჯერ ანგარიში არ გაუწია და ნაფაზი ნაფაზს მიაყოლა. ახლა მგზავრმა ქალმა მკვეთრად შეუტია. ავცია იძულებული გახდა, მოწვევა შეეწყვიტა, ანთებულ სიგარეტს ჯერ დააფურთხა, შემდეგ იატაკს მიაჭირა საიმედოდ ჩასაქრობად, ნარჩენი კი სავარძლის ქვეშ შეაგდო. მგზავრის ამ საქციელმა კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა კუპეში. ქალმა ახლა ავციას სავარძლის ძირიდან სიგარეტის ნამწვავის გამოღება და კუპედან გატანა მოთხოვა. ავციამ ეს უკვე აღარ იკადრა, რაღაც სიტყვა თქვა იტალიურად და კარის გაჯახუნებით გავარდა კუპედან. დამტვრეული ფრანგულით ჩემს თანამგზავრს ვუთხარი:

“ბატონი მგზავრი ალბათ იტალიელი არ უნდა იყოს”!

“რატომ გგონიათ, რომ იტალიელი არ არის”?

“იტალიელებმა იციან თავისი ქვეყნის წესრიგი და ასრულებენ მას. მე ვფიქრობ, რაც ჩვენმა მგზავრმა ჩაიდინა, იტალიელი არ იკადრებდა”.

“სამწუხაროდ იტალიელები ახლა ბევრ რამეს კადრულობენ, კერძოდ ბევრი ჩვენთაგანი ცხოვრებაში ასე ატარებს ქვეყანაში დაწესებულ კანონებს”.

ჩვენს შორის საუბარი ამ ადგილზე შეწყდა.

სამწუხაროდ მატარებელმა დაგვიანება იწყო და ზუსტად 3 საათი დააგვიანა. ღამის 2 საათზე ძლივს მივაღწიეთ მილანის რკინიგზის ცენტრალურ ვაგზალს. მეტროს უკვე შეეწყვიტა მოძრაობა. ტაქსიც არ ჩანდა. ისღა დამრჩენოდა, კითხვა-კითხვით გამეკვლია გზა ლორეტოს მოედნის მიმართულებით. სასტუმროში 2 საათსა და 30 წუთზე აღმოვჩნდი.

15 აპრილს მთელი დრო დავუთმე მილანის ზოგიერთ იმ დაწესებულებათა დათვალიერებას, ურომლისოდაც მსოფლიო მუსიკა და საერთოდ ხელოვნება

წარმოდგენელია. მათ შორის მთავარია ლა-სკალას მუზეუმი, სადაც ისტორიულ პლანში წარმოდგენილია ლა-სკალას თეატრი. თავისი დაარსებიდან ეს თეატრი 200 წელზე მეტს ითვლის. მის სახელთანაა დაკავშირებული ბევრი მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკოსის (კომპოზიტორის, მომღერლის, მოცეკვავის და სხვ.) თუ მთელი შემოქმედება არა, შემოქმედების გარკვეული პერიოდი მაინც. პირველად აქ დაიდგა ყრმა მოცარტის "მითრიდატე პონტოელი". იმის მიუხედავად, არის თუ არა მართალი ლეგენდა მოცარტის მოწამვლის შესახებ სალიერისგან, უდავოდ სინამდვილეა ის, რომ ამ უკანასკნელს ლა-სკალაში პატივს სცემდნენ. ლა-სკალასთან განუყრელადაა დაკავშირებული რიხარდ ვაგნერის, გაეტანო დონიციეტის, კარლო გოლდონის, ვინჩენცო ბელინის, ჯაკომო პუჩინის, ჯუზეპე ვერდის, ჯოაკინო როსინის შემოქმედება.

ლა-სკალას თეატრის (ამჟამად მუზეუმის) ფონოგრაფმა შემოგვინახა სცენის სახელგანთქმულ მომღერალ ქალთა — მარია ფელიჩია მალიბრანის, იზაბელა კოლბრანის, ჯულია გრიზის, ადელინა პატის მომაჯადოებელი სოპრანო. ლა-სკალას მუზეუმშია ელეონორა დუზეს დინამიზმით გაჟღერებული სკულპტურული თუ ჩანახატი პორტრეტები. ლა-სკალას სცენიდან გაისმოდა ბენიამინო ჯილის, ტიტო სკიპას, ტიტა რუფოს, მარიო დელ მონაკოს განუმეორებელი ხმები. აქ უმღერია შალიაპინს. აქაური სპექტაკლები გაუფორმებია ალექსანდრ ბენუას და, ბოლოს, პირველი წრთობა აქ მიუღიათ ქართველ მომღერლებს დარიალსა (ნანობაშვილს) და ვანო სარაჯიშვილს.

თეატრის შენობა ლა-სკალას მოედანზე დიდი როდია, მაგრამ აგებულია ბგერათა რაც შეიძლება საუკეთესო აღქმის გათვალისწინებით. ამბობენ, რომ ადრე არა მარტო იტალიისა და ავსტრიის (რომლის გამგებლობაშიც საკმაოდ დიდხანს იყო მილანი) ხელისუფალნი, არამედ ნაპოლეონიც კი ლა-სკალას თეატრს ზრუნვას არ აკლებდნენო.

ლა-სკალას მოედნიდან ალესანდრო მანცონის ქუჩით გავემართე სახალხო პარკისკენ, რომლის სამხრეთით პალესტროს ქუჩაზე მოთავსებულია "სამეფო ვილად" წოდებული პატარა, მაგრამ ძალზე ლამაზი ბაღი. ჯერ კიდევ 1790 წელს ამ ბაღის ტერიტორიაზე აუგიათ საკმარისად დიდი შენობა, რომელშიც ახლა თანამედროვე ხელოვნების გალერეაა მოთავსებული.

19 აპრილს 16 საათსა და 30 წუთზე მილანის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტში შედგა ჩემი ლექცია სახელწოდებით "არაწრფივ კერძოწარმოებულნიან დიფერენციალურ განტოლებათა ერთი კლასის ზუსტი ამოხსნების თვისობრივი ხასიათი". ჩემს მსმენელებს ძირითადად ახალგაზრდები შეადგენდნენ. ძველი და საშუალო თაობის მათემატიკოსებიდან მხოლოდ ლორენცი და პაგანი მესწრებოდნენ. მილანი ძველი მათემატიკური ტრადიციების ქალაქი არაა, მაგრამ ამჯერად აქაური ახალგაზრდა მათემატიკოსები აქტიურად არიან ჩაბმულნი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

პროფესორი პაგანი, რომელსაც ჯერ კიდევ მოსკოვიდან ვიცნობ, მათემატიკის განყოფილებას განაგებს მილანის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში და იქაც სურდა ჩემი მიწვევა. უარი ვერ ვუთხარი, მაგრამ ის მოვიმიზეზე, რომ რამდენიმე დღით რომში წასვლა მინდა. ვუთხარი, "საქართველოში გამიგონია, რომის მოუწახლეულად კაცი სირცხვილით ვერც კი იტყვის, იტალიაში ვიყავიო". ეს გამოთქმა პაგანის ძალზე მოეწონა.

აღფრედო ლორენციმ გადმომცა, რომ შაბათისთვის (21 აპრილისთვის) ის და მისი მეუღლე ადრიანა მთხოვენ, ბინაზე ვესტუმრო. მე, რა თქმა უნდა, დავთანხმდი.

ჩემი მოხსენება 2 საათი გაგრძელდა.

20 აპრილის დილა საკმარისად “ჭინჭყლიანი” დადგა. ამჯერად ბრერას სურათების გალერეის⁵⁴ გაცნობა გადავწყვიტე. ლა-სკალას მოედნიდან ჯუზეპე ვერდის ქუჩით გავლით ბრერას ქუჩაზე გავედი. სახლი, რომელშიც ეს გალერეაა მოთავსებული, სხვა შენობებისგან განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი სიდიდითა და ფორმით. შენობის წინ ეზოში დგას ბრინჯაოსგან შესრულებული შიშველი მამაკაცის ქანდაკება, რომელიც ნაპოლეონს განასახიერებს. ბრერას გალერეა თავის არსებობას სწორედ ნაპოლეონ პირველს და ავსტრიის საიმპერატორო დინასტიას უნდა უმადლოდეს. მას სხვა მეცენატიც ბევრი ჰყავდა. გალერეის შენობის გარე ხედს ამშვენებს კედლებში შედგმული მრავალი სკულპტურული პორტრეტი ყველა იმ მოღვაწისა, ვისაც კი წილი უდევს სურათების გალერეის მეტად საინტერესო ექსპონატებით განვრცობასა და გადიდებაში.

სამწუხაროდ ბრერას ყველა განყოფილების დათვალიერება არ შეიძლებოდა იქ მიმდინარე სამუშაოების გამო, მაგრამ ის, რისი დათვალიერებაც მე შევძელი, უდავოდ შთამბეჭდავია. ზოგიერთი ექსპონატის ასლი ან ასლის რეპროდუქცია ადრეც მინახავს, მაგრამ არ ვიცოდი, რომ ორიგინალები სწორედ ბრერას გალერეაშია. რაფაელის “მარიამის ნიშნობა იოსებთან”, ვერონეზეს “იესო ზეთისხილის ბაღში”, ტინტორენტოს “წმინდა მარკოზის მოჩვენებანი”, კარავაჯოს “ვახშამი გამგზავრების წინ”, ტიცინანის “ვახშმობა” და “წმინდა იერემია” ბრერას გალერეის ნამდვილი მშვენიერებაა. აქვე წარმოდგენილია რენესანსისა და მისი მომდევნო ეპოქების სხვა გამოჩენილ ხელოვანთა ქმნილებები. მათ შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს ამედეო მოდილიანის “ქალთა სახე”, კაბლო პიკასოს ეტიუდი “ავინიონის ქალიშვილებისთვის”, უმბერტო ბოჩიონის “ელასტურობა” და ა. შ. როგორც ჩანს, ბრერას გალერეასთან ახლი კავშირში ყოფილა მოდილიანი, რის გამოც მადლობის ნიშნად ერთ კედელზე ამოტვიფრულია სიტყვები — “ვგლოვობთ ამედეო მოდილიანის უდროო გარდაცვალებას”.

იტალია მას შემდეგ, რაც გაერთიანებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, დაყოფილია პროვინციებად. ამჟამად 20 პროვინციისგან შედგება. მათ შორისაა ლომბარდია, რომლის ცენტრიც მილანია. თანამედროვე ეკონომიკით, ინდუსტრიით, კულტურით ისევე, როგორც თავისი ისტორიული წარსულით ლომბარდია საკმაოდ მკვეთრად გამოირჩევა იტალიის სხვა პროვინციებისგან თავისი უპირატესობით. მილანი კი ერთ დროს რომის იმპერიის დედაქალაქიც კი იყო. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება რომის ერთ-ერთი წმინდათა წმინდა ტაძრის დაარსება წმინდა ამბროსის (Sant’Ambrogio) ბაზილიკის სახელწოდებით. მისი საფუძვლის ჩაყრის თარიღად ახ. წ. 386 წელს ასახელებენ. ეს თარიღი ადრექრისტიანულ ეპოქას მიეკუთვნება. ამ დროს მილანის მთავარეპისკოპოსი იყო ამბროსი (Ambrogio), რომელიც თავისი ღვთისმსახურებითა და მოქალაქეობრივი თვისებებით მის სიცოცხლეშივე ხალხის თვალში იდეალად იქნა მიჩნეული. იმ დროს ეს ტაძარი ადრებერძნული ფორმის მომცრო ბაზილიკა იყო, რომელსაც მთავარეპისკოპოს ამბროსის სახელი უწოდეს, თვით ამბროსი მისი გარდაცვალების შემდეგ წმინდანად შერაცხეს. წმინდა ამბროსის გვამი კი არ დაკრძალეს, ძვირფას ზეწარგადაფარებული ღია სარეცელზე მოათავსეს. IX საუკუნეში ტაძარი განავრცეს და მის არქიტექტურაში იმდროინდელი რომანული

⁵⁴ ბრერა (Brera) _ ბრერას პინაკოთეკა მილანში, იტალიის ერთ-ერთი უდიდესი სურათების გალერეა; დაარსდა 1809 წ. აქ დაცულია XIV-XIX სს.-ის იტალიური ფერწერის დიდი ნაკრები, აგრეთვე XV-XVII სს.-ის ევროპული ფერწერის კოლექცია.

სტილი შეიტანეს. შიგნითაც ის არსებითად განსხვავდება იტალიის ტერიტორიაზე მდებარე სხვა ტაძრებისგან. შენობის მთავარი ნაწილი სტილით გოტურისგან სავსებით განსხვავებული სამლოცველოა. სამლოცველოსგან კედლებით გამოყოფილია ვრცელი აკლდამები ცნობილ სასულიერო მოღვაწეთა სარკოფაგებით. ცენტრალურ აკლდამაში კვლავ ღია სარეცელზე “წევს” წმინდა ამბროსის ზეწარგადაფარებული გვამი. წმინდა ამბროსის ტაძარი ახლაც მოქმედი საკულტო დაწესებულებაა. დიდი ყურადღებით აღვიქვი ჯვრისწერის ცერემონია. ცერემონია ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბრგე სასულიერო პირს მიყავდა. ცერემონია ნახევარი საათი გაგრძელდა და დამთავრდა ფიცით, რომელიც სასიძომ და საპატარძლომ ერთმანეთს დაუდეს. ამის შემდეგ ისინი ცოლ-ქმრად (პატარძლად და სიძედ) გამოცხადნენ. წმინდა ამბროსის ტაძარშია ქრისტეს, ღვთისმშობლის, ანგელოზებისა და წმინდანად შერაცხულთა უბადლოდ შესრულებული სკულპტურული, ფრესკული და მოზაიკური პორტრეტები. ოქრო და ვერცხლი არ დაუშურებიათ საკურთხევლის მოსავარაყებლად. დიდ შთაბეჭდილებას ტოვებენ ტაძრის მუზეუმში წარმოდგენილი ექსპონატებიც.

თითქმის 3 საათი დამჭირდა წმინდა ამბროსის ტაძრის დასათვალიერებლად. იქიდან პაპის პიუს XI-ის მოედანზე მოთავსებული ამბროზიანას გალერეის დასათვალიერებლად გავემართე, მიხდოდა, მენახა იქ გამოფენილი ფლამანდური და გერმანული სკოლების მხატვართა ცნობილი მინიატურები, ლეონარდოს “მუსიკოსები”, რაფაელის “ათენელთა სკოლა”, კარავაჯოს “ხილიანი ხონჩა”, ლომაცოს “ქრისტე გეთსამანიის ბაღში”, ტიციანის რამდენიმე ტილო, ნეოკლასიკოსთა ქმნილებები, მაგრამ სამწუხაროდ გალერეა თითქმის მთელი წლით დაკეტილი აღმოჩნდა.

მილანის ყველა ძეგლი ასეული წლების მანძილზე იქმნებოდა მათი მომავალი დანიშნულების ღრმა გაგებით, უდიდესი მხატვრული გემოვნებით. ეს საჭიროებდა მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს და, რაც მეორეხარისხოვანი სრულიადაც არ არის, მუშახელს და თანაც უამრავს. გასაგებია, თუ რა მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო მაშინ აქ არა მარტო ხელოვნება (მათ შორის საინჟინრო ხელოვნება), არამედ ტექნიკა და მეცნიერებაც.

შეთანხმების შესაბამისად ალფრედო ლორენცი ზუსტად საღამოს 6 საათსა და 30 წუთზე მოვიდა ჩემთან ვაჟის — ლუკას თანხლებით და მიმიწვია ბინაზე. მისი ოჯახი 120 კვ. მ ფართის მქონე გემოვნებით მოწყობილ ბინაში ცხოვრობს. ლორენცის მეუღლე ადრიანა საშუალო ტანის კოხტა შესახედაობის იტალიელი ქალია, რომელიც მშობლიურ ენასთან ერთად კარგად ფლობს ფრანგულს, ასე რომ მასთან ფრანგულ ენაზე მომიხდა საუბარი. ადრიანა 18 წლის წინათ მითხოვებია ალფრედო ლორენცის, მაგრამ ქალიშვილობის დროინდელი თავისი გვარი შეუნარჩუნებია. ადრიანა სტენოგრაფიის მასწავლებლად მუშაობს. მათი ოჯახი, როგორც ადრიანამ თქვა, საშუალო შეძლებისაა. ლუკამ მშობლიურ ენასთან ერთად კარგად იცის ინგლისური ენაც. ლორენცების მილანურ ბინაში მეოთხე ცოცხალი არსებაცაა — კატა ჯიოვანი. მასპინძლებს ესტუმრნენ ალფრედო ლორენცის მოწაფეები — ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გრასელები. ორივე ფლობს ფრანგულ ენას.

იტალიელ ქალებს ძალზე აინტერესებდათ საბჭოთა ქალების ცხოვრება. მათ მიაჩნიათ, რომ იტალიელი მამაკაცები არ გამოირჩევიან რაინდობით ქალის მიმართ. იმის გამო, რომ როგორც საეკლესიო, ისე სამოქალაქო კანონებით იტალიაში განქორწინება აკრძალული იყო, აქაური ქალის ცხოვრება ჯოჯოხეთად ჰქონდათ წარმოდგენილი. ახლა განქორწინება აღარაა აკრძალული, დასაშვებადაა მიჩნეული აბორტიც. იტალიელ ქალებს ეს თავიანთ დიდ გამარჯვებად მიაჩნიათ. სამაგიეროდ

ძალიან იკლო ახალშობილთა რაოდენობამ. ადრიანასა და ქალბატონ გრასელის მიაჩნიათ, რომ მათ ქმრები “საშინლად” ეპყრობიან, ოჯახური საქმიანობით თავს სრულიად არ “იწუხებენ” და თანაც თვალი სხვა ქალებზე გაურბით. მამაკაცებს ეს ცილისწამებად მიაჩნიათ. მათი აზრით, ჯერ ერთი, იტალიურ ოჯახში ყველა “საქმიანობა” ავტომატიზებულია — სარეცხი მანქანა, მტვერსასრუტი ქალებს მძიმე სამუშაოსგან ათავისუფლებენ, სანოვაგე მზა ან ნახევარფაბრიკული სახით ყოველ ნაბიჯზე და საკმაოდ იაფად იყიდება. პირიქით, იტალიელი ქალები იმდენად გათავხედდნენ, რომ შვილების გაჩენაზე უარს ამბობენ და თვალი სწორედ მათ გაურბით უცხო მამაკაცებზე. მე მგონია, რომ ჩემი მასპინძლებიც და მათი სტუმრებიც (ჩემს გარდა) აშკარად ხუმრობდნენ. 16 წლის ლუკა ყველაფერს უსმენდა და აშკარად მამაკაცების მხარეზე იდგა.

ლორენცების ოჯახში ვახშამმა ძალიან თბილად და მხიარულად ჩაიარა.

ჩემს განკარგულებაში არსებული დროის დიდ ნაწილს მილანში მეცნიერულ საქმიანობას ვახმარ. სამეცნიერო მოხსენებების მომზადების გარდა მნიშვნელოვან დროს ვუთმობ მეცნიერულ კვლევასაც. 23 აპრილს დამირეკა ალფრედო ლორენციმ, გადმომცა პროფესორ პაგანის მიწვევა, ვესტუმრო ოთხშაბათს, 25 აპრილს, საღამოს 7 საათიდან ბინაზე. პაგანის მიპატიჟება, რასაკვირველია, მივიღე.

1977 წლის შემოდგომაზე პროფესორი პაგანი საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა სამთვიანი სამეცნიერო მივლინებით. ის სამეცნიერო მოხსენებით გამოვიდა სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში სამეცნიერო სემინარზე, რომელსაც 1971 წლიდან მე ვხელმძღვანელობ. შწორედ მაშინ მზადდებოდა დასაბეჭდად ი. ვეკუას დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული ნ. ნ. ბოგოლიუბოვის, მ. ა. ლავრენტიევისა და ჩემი რედაქტორობით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კრებულის მონაწილეთაგან ნახევარზე მეტი მეტი უცხოელი იყო, მათ შორის პაგანი. სწორედ მაშინ მოხდა “უცნაური” რამ. მივიღე წერილი (არა ოფიციალური ფოსტით), რომელშიც კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ პაგანის ნაშრომი აღნიშნული კრებულიდან ამომეღო იმის გამო, რომ ის არასწორ, მცდარ შედეგებს შეიცავდა. წერილის ავტორი ანონიმი იყო. მოვახერხე, პაგანის ტელეფონით დაგვაკავშირებოდი მოსკოვიდან და მოვახსენე აღნიშნული წერილის შინაარსი (საუბარი ფრანგულ ენაზე მიმდინარეობდა). პაგანი საგონებელში ჩავარდა, ვერაფერი ვერ მითხრა გარდა იმისა, რომ მის შრომაში ერთხელ კიდევ შეამოწმებს ექვქვემ დაყენებულ შედეგს. რამდენიმე დღის შემდეგ უკვე ახლა პაგანი დამიკავშირდა მილანიდან მოსკოვში და ანონიმის წერილის “უცნაურობას” ფარდა აეხადა... პაგანის ნაშრომი აღნიშნულ კრებულში დაიბეჭდა... შრომა კარგადა მაქვს შესწავლილი და მომწონს კიდევ. 19 აპრილს პაგანი დაესწრო ჩემს მოხსენებას. მოხსენების შემდეგ მოკლე საუბრიდან გამოირკვა, რომ მას, უკვე ხანში შესულს, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა არ შეუწყვეტია. კერძოდ, მომცა თავისი უკანასკნელი ნაშრომის ამონაბეჭდი. მისმა მოკლედ გადათვალაიერებამ მაჩვენა, რომ პაგანის ამ ნაშრომში სერიოზული შედეგი აქვს მიღებული.

25 აპრილს ა. ლორენციმ ადრიანასა და ლუკასთან ერთად მომაკითხა სასტუმროში, საიდანაც საღამოს 7 საათზე ყველა ერთად პაგანისთან სტუმრად გავემგზავრეთ.

პაგანი განათლებით თეორეტიკოსი ფიზიკოსია, მაგრამ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა გამოყენებითი მათემატიკის ხაზით დაუწყია კერძოწარმოებულის განტოლებათა თეორიაში. ამჟამად ის მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი და მათემატიკის კათედრის გამგეა. კარლო პაგანი მეუღლითა და ორი ვაჟით ქალაქგარეთ, მილანიდან არცთუ ისე შორს

ცხოვრობს ორსართულიან ლამაზ სახლში მწვანით დამშვენებული ეზოთი. ეს ქონება მას მშობლებისგან მემკვიდრეობით დარჩენია. პაგანის ვაჟები ჰუმანიტარული განხრის ლიცეუმში სწავლობენ, მეუღლე ლუჩია, განათლებით მათემატიკოსი, მსხვილ ფირმაში მისი პროფესიის შესაბამის თანამდებობაზე მუშაობს. ლუჩიას ფრიაღზე დაუმთავრებია მილანის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი ალფრედო ლორენცისთან ერთად. კარლოსა და ლუჩიას ჩემს გარდა კიდევ 4 სტუმარი ჰყავდათ.

მასპინძლებმა შესანიშნავი ვახშამი გაგვიმართეს. იტალიაში, როგორც ჩანს, სადღეგრძელოები მაგიდასთან მიღებული არაა, მაგრამ მუსაიფი მრავალფეროვნებით ხასიათდება და თითქმის განუწყვეტლივ გრძელდება ნადიმის დასასრულამდე. მამაკაცები ინტერესს იჩენდნენ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებისადმი. საქართველოზე იცინან, რომ კავკასიის ულამაზესი კუთხეა, სადაც სტალინი დაიბადა, სხვა კი თითქმის არაფერი. ქართველ მოღვაწეთაგან გაუგონიათ მხოლოდ ნიკო მუსხელიშვილი, როგორც შესანიშნავი წიგნების ავტორი. მათ წარმოდგენაში სტალინი მფარველობდა საქართველოს და სწორედ მისი წყალობით თითქოს ქართველები სხვა ეროვნებებთან შედარებით უფრო კარგად ცხოვრობდნენ. შევეცადე, მეჩვენებინა ამ აზრის აშკარა მცდარობა.

სუფრასთან მსხდომ ქალებს ძირითადად საბჭოთა კავშირში ქალების მდგომარეობა აინტერესებდათ. უკვირდათ, ჩვენში არსებული ხელმოკლეობის პირობებში როგორ ართმევენ თავს სიძნელეებს. აინტერესებდათ, რა მდგომარეობაშია ქალთა ემანსიპაციის საკითხი. გამოირკვა, რომ კერძოდ ქორწინებისა და განქორწინების თვალსაზრისით საბჭოთა ქალი, მათი გაგებით, იდეალურ მდგომარეობაშია იტალიელ ქალთან შედარებით.

იტალიელები ყველაფერს აკეთებენ იმ პირობების შენარჩუნებისთვის, რომლებშიც ახლა ცხოვრობენ, და თავიანთი შვილებისა და შვილიშვილების საუკეთესო მომავლის უზრუნველყოფის — მათი მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის. ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ შვილებმაც კარგი პროფესია მიიღონ და თვითონ ამ ქვეყნიდან ისე არ წავიდნენ, რომ შვილები და შვილიშვილებიც კი კარგად მოწყობილი არ დატოვონ.

27 აპრილს გრასელის თანხლებით ავტობუსით პავიაში გავემგზავრე. პავია საკმარისად ძველი პროვინციული ქალაქია. ერთ დროს ის ცენტრი იყო იტალიის ჩრდილოეთის ერთ-ერთი რეგიონისა, სადაც მილანიც კი შედიოდა. რამდენიმე წლის განმავლობაში ამ რეგიონს განაგებდა ლეონარდო და ვინჩი. პავია განთქმულია XV საუკუნეში დაარსებული უნივერსიტეტით. დღეს ეს უნივერსიტეტი XV საუკუნეში აგებულ უზარმაზარ შენობაშია განთავსებული. მის ერთ-ერთ მოედანზე დგას გამოჩენილი იტალიელი მეცნიერის ვოლტას ძეგლი. თავის დროს ამავე უნივერსიტეტში ბევრი ცნობილი მათემატიკოსი მოღვაწეობდა, მათ შორის — ბელტრამი.

დღეს პავიას უნივერსიტეტში არსებობს მათემატიკის დეპარტამენტი სამეცნიერო დაწესებულების სახით, სადაც 40-მდე მათემატიკოსი მუშაობს. მათგან ძალიან კარგად ვიცნობ პროფესორ ენრიკო მაჯენესს. სწორედ მისი ინიციატივით აღმოვჩინდი მიწვეული პავიას უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის სამეცნიერო ლექციის წასაკითხად. ენრიკო მაჯენესი უკვე მელოდა თავის კაბინეტში და შემეყვანა მათემატიკის დეპარტამენტის საქმიანობის კურსში. ამჟამად აქ ბევრი ნიჭიერი მათემატიკოსი წარმატებით ეწევა მეცნიერულ-კვლევით მუშაობას. თვით მაჯენესი გამოყენებითი მათემატიკის განყოფილებას ხელ-

მძღვანელობს. ერთ დროს აქ უმოღვაწეა გამოჩენილ იტალიელ სპეციალისტს ვარიაციათა აღრიცხვაში ლეონიდე ტონელისაც. მასთან ძალიან კარგ ურთიერთობაში იყო ანდრია რაზმადე. ლეონიდე ტონელის მოგონებები ანდრია რაზმადეზე დაბეჭდილია თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის (ამჟამად ა. რაზმადის სახელობის) შრომების პირველ ტომში. ამ მოგონებებს მე ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან ვიცნობ.

ენრიკო მაჯენესს დიდი ხნიდან ვიცნობ. თითქმის ერთდროულად მოხდა ჩემი ჩემი პირველი შეხვედრა მაჯენესთან, სტამპაკიასა და ლიონსთან (უფროსთან). პირველი ორი იტალიელი მათემატიკოსებია, მესამე — ფრანგი. ეს უკანასკნელი უკვე რამდენიმე წელია, რაც საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საზღვარგარეთელ წევრად არის არჩეული. გვიდო სტამპაკია სამწუხაროდ ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა. ენრიკო მაჯენესსა და გვიდო სტამპაკიას დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. გვიდო პიზის უნივერსიტეტის პროფესორი იყო, მაგრამ ენრიკო რომ პავიას უნივერსიტეტში მუშაობდა, ეს არ ვიცოდი.

იტალიაში არსებობს სამეცნიერო კვლევათა ეროვნული საბჭო. იმის გამო, რომ პავიას უნივერსიტეტში მათემატიკოსთა მძლავრი კოლექტივია თავმოყრილი, აღნიშნულ საბჭოს მაჯენესის დირექტორობით პავიაში რიცხვითი ანალიზის ინსტიტუტი გაუხსნია. ეს ინსტიტუტი პერიოდულად აქვეყნებს მეცნიერულ შრომათა კრებულებს, რომლებიც კარგი ავტორიტეტით სარგებლობენ მათემატიკოსთა საერთაშორისო წრეებში. ამ ინსტიტუტის პროფესორი მისი სურვილის მიხედვით შეიძლება უნივერსიტეტშიც მუშაობდეს, ხელფასს ყოველთვიურად მხოლოდ ერთი დაწესებულებიდან ღებულობს; მისი ხელფასი 5000000 ლირაა, თუ ორდინარულ პროფესორადაა არჩეული, და 2500000 — 4000000 ლირას არ აღემატება, თუ ექსტრაორდინარული პროფესორია. ეს რამდენჯერმე აღემატება საბჭოთა კავშირში აკადემიკოსის ხელფასსაც კი.

ამჟამად მაჯენესი 66 წლისაა და ალბათ მალე გავა პენსიაზე იმავე ხელფასით, რომელსაც ახლა ღებულობს. ის ინსტიტუტის დირექტორად ითვლება, მაგრამ დირექტორის ხელფასი იტალიაში არ არსებობს, დირექტორობა ხელფასგარეშე დატვირთვად ითვლება; ხელფასს მხოლოდ მინიჭებული სამეცნიერო წოდების მიხედვით ღებულობს. მაჯენესი ჯანმრთელობას უჩივის, ამბობს, რომ სიბერე შეეპარა, მაგრამ ცხოვრების მაინც კმაყოფილია. ჰყავს ცოლი, შვილები და შვილიშვილები.

როგორც საუბარში მაჯენესმა მითხრა, ისტორიულად იტალიელები არ ყოფდნენ მათემატიკას თეორიული და გამოყენებითი მათემატიკის სახელწოდებებით იმის მიუხედავად, რომ იტალიის სინამდვილეში მათემატიკა ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო საწარმოო პრაქტიკასთან. ახლა კი მათემატიკა გვევლინება სახელწოდებებით: მათემატიკური ბიოლოგია, მათემატიკური ეკოლოგია, მუსიკის მათემატიკური თეორია და ა. შ. ეს ყველაფერი თითქოს კარგია, მაგრამ ხშირად არა მარტო ახალგაზრდა, არამედ უკვე ადრე კარგად ცნობილი მათემატიკოსებიც კი ღრმა მეცნიერულ კვლევას გაურბიან. ასე, მაგალითად, გაგლიარდო, რომელსაც თავის დროზე ს. სობოლევმა თავისი საუკეთესო მოწაფე უწოდა, გატაცებულია მათემატიკის მეთოდების მუსიკაში გამოყენებით. მათემატიკის ხაზით კარგი თანამდებობის დაკავება ამჟამად ისეთ დაწესებულებებშიც შეიძლება, რომლებიც ტრადიციულად სრულიად არ სარგებლობდნენ მათემატიკით. მაღალი კლასის კომპიუტერების პარკის და მათემატიკოსთა თანამდებობების გახსნა ყველგან პრესტიჟად იქცა, უნივერსიტეტდამთავრებული ახალგაზრდობა კი სწორედ ასეთ თანამდებობებს ეტანება.

ჩემი მასპინძლის ასეთი გულწრფელი სიტყვების შემდეგ მეც გამოვთქვი ჩემი აზრი დაახლოებით ასეთი ფორმით: “რა სახიფათოდაც არ უნდა გვეჩვენებოდეს შექმნილი მდგომარეობა, საბოლოო ჯამში ალბათ წარმოიშვება თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მეცნიერების, მათ შორის მათემატიკის საგანი და მეთოდები თავის ადგილს იპოვიან ცხოვრებაში. დღეს ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა არა მარტო ბუნება, არამედ აზროვნებაც. თუ ადამიანთა ჯიშს გადაშენება არ უწერია, ადრე თუ გვიან ყველაფერი კალაპოტში ჩადგება”.

ეს სიტყვები ისე ზოგადად წარმოვთქვი, რომ მაჯენესმა საუბარი ღიმილით ასე დაასრულა: “ღმერთმა ქნას, რომ ახდეს თქვენი სიტყვები და ყველაფერი ნორმაში მოვიდეს, პროფესორო ბიწაძე”.

ჩემთვის ყველაზე დიდი სიურპრიზი იყო ის, რომ პავიას უნივერსიტეტის პროფესორი 45 წლის განმავლობაში ყოფილა ბრწყინვალე იტალიელი მათემატიკოსი ქალი მარია ჩიმბარიო. მე საფუძვლიანად მაქვს შესწავლილი 30-იანი წლების დასაწყისში იტალიურ სამეცნიერო ჟურნალებში დაბეჭდილი მისი გამოკვლევები შერეული ტიპის განტოლებათა თეორიაში. ამ გამოკვლევების არსებითი ნაწილი ცალკე პარაგრაფის სახით სახელწოდებით “ჩიმბარიოს თეორია” შეტანილი მაქვს ჩემს მონოგრაფიაში «Уравнения смешанного типа» (Издательство Академии наук СССР, 1959), რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1964 წელს ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა გამომცემლობამ “პერგამონ პრესს”. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ მ. ჩიმბარიოს იმ შედეგს, რომელშიც მითითებული და გასწორებულია ფ. ტრიკომის მიერ დაშვებული შეცდომა. ე. მაჯენესმა მითხრა, რომ მარია ჩიმბარიო ამჟამად ღრმა მოხუცებულია, პენსიაზეა და პავიაში ცხოვრობს, მაგრამ ალბათ ვერ შეძლებს თქვენს მონახულებას, თუმცა იცის, რომ დღეს თქვენ აქ სამეცნიერო მოხსენებით გამოდიხართ. ე. მაჯენესთან ამ საუბრის დროს გაიღო კარი და მის კაბინეტში შემოვიდა ხანში შესული საკმაოდ სრული ჭადარა ქალი — მარია ქვინქვინი-ჩიმბარიო.

“ბიწაძე ალბათ თქვენ ბრძანდებით”, — მომმართა მან ფრანგულ ენაზე, — “კარგია, ისე არ წავედი ამ ქვეყნიდან, რომ თქვენს ნახვას მოვესწარი”.

მეც ფრანგულადვე რამდენიმე სასიამოვნო ფრაზა წარმოვთქვი ამ სასიამოვნო ადამიანის მისამართით. ე. მაჯენესმა გამოგვიყო სპეციალური კაბინეტი, სადაც მარია ჩიმბარიომ ბევრი რამ საინტერესო მიაჩნო თავისი ბიოგრაფიიდან:

“მე, ქალიშვილობაში მარია ჩიმბარიო, ტორინოს ვიკონტების ერთ დროს უძლიერესი გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი ვიყავი, გარეგნულად საკმარისად გამხდარი და დაუდგრომელი. გამიტაცა მათემატიკამ. ტურინის უნივერსიტეტში მე როგორც მათემატიკოსი უნივერსიტეტის გამოჩენილი პროფესორების პიანოსა და ფუბინის ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. იმ დროს ფუბინის ხელმძღვანელობით შერეული ტიპის განტოლებების თეორიაში თავისი პირველი მეცნიერული გამოკვლევები შეასრულა ფრანჩესკო გორდონე ტრიკომიმ. ამ თეორიით მეც დავინტერესდი და გარკვეულ წარმატებასაც მივაღწიე. ტრიკომი ყურადღებით ექცეოდა ჩემს მუშაობას და კიდევ “მფარველობდა”. მდგომარეობა მის მერე შეიცვალა, რაც ტრიკომის შრომებში მნიშვნელოვანი ხარვეზების შენიშვნა და გასწორება მომიხდა. ამას მოყვა ის გარემოება, რომ ტრიკომი ჩემს ცხოვრებაში უფრო ხშირად ბოროტ გენიად მევლინებოდა, ვიდრე კეთილად. ამ განცდებში მყოფ ქალიშვილს (მაშინ მე თვალტანადი, ბევრი ჭაბუკის თვალში ლამაზიც კი ვიყავი) ყურადღება მომაქცია ჩემმა თანატოლმა მათემატიკოსმა ქვინქვინიმ პავიას უნივერსიტეტიდან. ჩავუქნიე ხელი მათემატიკას და გავყევი ცოლად ამ ჩემს საბედოს. ერთი წლის შემდეგ

მეუღლის რჩევით კვლავ დავუბრუნდი მათემატიკას და დავიცავი სადოქტორო დისერტაცია. 1981 წლამდე პავიას უნივერსიტეტში ვპროფესორობდი ქვინქვინისთან ერთად. ასაკმა სრულიად გამომცვალა, სიმაღლით დავპატარავდი, მაგრამ ისე გავსუქდი, რომ ხალხში გამოჩენაც კი აღარ მინდა. დღეს კი თავი ვერ შევიკავე და ჩემს უნივერსიტეტში მოვედი თქვენს სანახავად. თუ ნებას მომცემთ, თქვენი მოხსენების მოსმენაც მსურს”.

ეს თხრობა რომ დაამთავრა, ტელეფონით დარეკა და იტალიურ ენაზე რამდენიმე ფრაზა წარმოთქვა. სულ რაღაც 10-15 წუთში ფოტოაპარატით ხელში ჩვენს კაბინეტში შემოვიდა ბრგე ვაჟკაცი, რომელმაც მე და მარია ჩიმბარიოს ჩვენი სურათის გადაღების ნება გვთხოვა. გამოირკვა, რომ ეს ჩიმბარიოს და ქვინქვინის უმცროსი ვაჟია. მათ ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავთ რამდენიმე შვილიშვილთან ერთად. კიდევ რამდენიმე წუთის შემდეგ მ. ჩიმბარიომ წარმომიდგინა თავისი ქმარი ქვინქვინი — კოხტა, ახოვანი ხნიერი მამაკაცი.

15 საათზე პავიას უნივერსიტეტის მათემატიკოსთა ფართო (მილანის უნივერსიტეტთან შედარებით) აუდიტორიის წინაშე ინგლისურ ენაზე გამოვედი მოხსენებით თემაზე “Function – Theorethik methods for singular integral equations”, რომელიც 2 საათს გაგრძელდა. სხვებთან ერთად მოხსენება ყურადღებით მოისმინეს მარია ქვინქვინი-ჩიმბარიომ და მისმა მეუღლემ. მოხსენების შემდეგ მაჯენესმა წარმომიდგინა ამჟამად პავიაში აქტიურად მოღვაწე მათემატიკოსთაგან კლაუდიო ბაიოკი (C. Baiocchi), ჯუზეპე ბუტაძო (G. Buttazzo), ფაბიო კასტალდი (F. Castaldi), ფრანკო ტომარელი (F. Tomarelli) და სხვები. ისინი კოლექტიურად გამიმასპიძლდნენ რესტორანში და შემდეგ ავტობუსის გაჩერებამდე გამაცილეს. პავიასა და მილანს შორის მანძილი სულ რაღაც 40 კმ-ია, რასაც ავტობუსი ნახევარ საათში ფარავს. მილანში დაღლილი და თანაც პავიას უნივერსიტეტის მონახულებით კმაყოფილი დავბრუნდი.

სამწუხაროდ სამივლინებო გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა რომის მონახულება. გადავწყვიტე, ეს შეცდომა პირადი ინიციატივით გამომესწორებინა. ჩემს რომაელ კოლეგას გაეტანო ფიკერას, როგორც ჩანს, ასაკი დაეტყო და ახლა მათემატიკით მაინც და მაინც “თავს არ იკლავს”.

მილანი-რომის მატარებლის მეორე კლასის საძინებელ ვაგონში აღმოვჩნდი 4 ქალი და 2 მამაკაცი. ჩემს გარდა ყველა მილანელები იყვნენ. მსურს, ხაზგასმით აღვნიშნო მათი თავაზიანობა. მილანიდან 28 აპრილს 10 საათსა და 55 წუთზე გამოვედით და 29 აპრილს 7 საათზე ჩვენი მატარებელი რომის მთავარ რკინიგზის სადგურ “ტერმინიზე” გაჩერდა. რომის დასათვალიერებლად ჩემს განკარგულებაში სულ 16 საათი იყო. გადავწყვიტე უპირველეს ყოვლისა ვატიკანის დათვალიერება. “ტერმინიდან” წმინდა პეტრეს მოედნამდე ავტობუსმა მიმიყვანა. სისხამ დილითვე მოედნის გარშემო უამრავ პოლიციელს მოეყარა თავი. გამოირკვა, რომ დღეს 11 საათიდან წმინდა პეტრეს მოედანზე გაიმართება გრანდიოზული წირვა წმინდანთა მოსახსენებლად და მთავარი ქადაგებით გამოვა რომის პაპი იოანე პავლე მეორე. ვატიკანის მუზეუმი დამთვალიერებელთათვის გაიღება დილის 8 საათსა და 45 წუთზე. დათვალიერება უფასოა. ვატიკანი გარშემორტყმულია უზარმაზარი კედლით. წმინდა პეტრეს მოედნიდან ვატიკანის მუზეუმის შესასვლელამდე 2 კმ მანძილია კედლის გასწვრივ. დილის 8 საათისთვის დამთვალიერებელთა რიგის სიგრძე ერთ კმ-ს აღემატებოდა. მეც დავიკავე რიგი და ყური მივუგდე, რომ გამეგო, რომელ ენაზე მეტად საუბრობდნენ ჩემს მეზობლად მდგომნი. ინგლისურად მოლაპარაკეთა რაოდენობა თითქოს სჭარბობდა იტალიურად მოლაპარაკეთა

რაოდენობას. რიგში წესრიგის დაცვის მიზნით ყოველ ორ-სამ ნაბიჯზე პოლიციელები იდგნენ. ზუსტად 8 საათსა და 45 წუთზე დამთვალეირებელთა უწყვეტმა ნაკადმა დაიწყო მუზეუმის, სურათების გალერეისა და ბიბლიოთეკის დათვალეირება.

დათვალეირება იწყება ძველი ეგვიპტის, ელადის და ანტიკური რომის სამუზეუმო ექსპონატების ნახვით. ვიცნობ ბრიტანეთის მუზეუმს, დიდი ბრიტანეთის სამეფო სურათების გალერეას, ლუვრს, დრეზდენის გალერეას, მაგრამ, მე მგონი, ისინი ალბათ ყველანი ერთადაც კი ვატიკანს ვერ შეედრებიან. განცვიფრებას იწვევს მიქელანჯელოს, რაფაელისა და ტიციანის შედევრთა ასეთი მდიდარი თავმოყრა. რომ იტყვიან, ნამდვილი საოცრებაა სიქსტის კაპელა. მის მთელ რიგ დარბაზებში დგას სკამები დამთვალეირებელთათვის. გიდი რადიომიმღები იტალიურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე ამცნობს დამთვალეირებელს გამოფენის ყოველი დარბაზის შინაარსს.

ვატიკანის სურათების გალერეა და საზოგადოდ მთელი მუზეუმი ჭეშმარიტად ასახავენ ადამიანის მოდემის არსებობის აზრს არა მარტო მითოლოგიური, არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც. შესაძლოა, ეს არის ადამიანის თვალწინ გადაშლილი ნამდვილი მეცნიერება ამ სიტყვის სწორი გაგებით. ვატიკანში კარგადაა გახსნილი თემა "რელიგია და თანამედროვე ხელოვნება".

მე წარმოდგენაც კი არ მქონდა, რომ ვატიკანს ასე მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს. რასაკვირველია, მის ოდნავ მაინც გაცნობასაც კი აზრი არ ჰქონდა, მით უფრო, რომ 11 საათისთვის წმინდა პეტრეს მოედანზე ყოფნის სურვილი მქონდა. 10 საათსა და 45 წუთზე ეს მოედანი ისე იყო ხალხით გაჭედილი, რომ დასადგომი ადგილის მოძებნა რის ვაი-ვაგლახით ძლივს მოვახერხე.

წმინდა პეტრეს მოედანს თავისი განვრცობილობით პეკინის ტიანანმინის მოედანი თუ შეედრება. ამფითეატრულად განლაგებული მარმარილოს საფეხურები აღმავლობით მიემართებიან ვატიკანის სადარბაზო კარიბჭისკენ, რომლის წინ რამდენიმე მოედანია. ხელმარცხნივ მოედანზე მოთავსებულია ორკესტრი და ვატიკანის ქორო, ხელმარჯვნივ — ვატიკანის სხვადასხვა რანგის მსახურთა მთელი წყებები. ჟღერს ბახის საეკლესიო მუსიკა, მას პერიოდულად ცვლის მადრიგალთა მსგავსი ქორო, რომელიც მონტევერდისა და მერკადანტეს საეკლესიო ქორალებს მღერის. 11 საათსა და 30 წუთზე მლოცველთა წინაშე ხმის შესანიშნავი ტემბრით ლათინურ ენაზე ქადაგება დაიწყო პაპმა იოანე პავლე მეორემ. პაპმა მოხერხებულად დაამყარა უკუკავშირი მლოცველებთან. მისი მოწოდებების შესაბამისად მოედანი ხმაშეწყობილ დასტურს გამოსცემდა.

ამბობენ, რომ იმ ადგილზე, სადაც ახლა წმინდა პეტრეს ტაძარია, ნერონის დროს იდგა ცირკი, რომელიც დროთა მსვლელობაში დავიწყების ფერფლმა დაფარა და ჩვეულებრივმა მიწამ უყო პირი. პირველი ბაზილიკის აღმართვას ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცეულ კონსტანტინეს მიაწერენ. დროის მომდევნო პერიოდებში ტაძარს თანდათან მიუღია თანამედროვე სახე. მისი გუმბათი მიქელანჯელოს ქმნილებაა, სვეტები ბერნინის აუგია 1613 წელს, მოედნისკენ მიმართული ფასადი კი წარწერით

IN HONOREN PRINCIPIS APOST PAVLVS-V-BVRGHES
IV ROMAN-V-S POVT MAX-AN-MDC XII PAVT VII

კიდევ უფრო გვიანდელია. ასევე გვიან აუგიათ ობელისკი მოედნის ცენტრში და მასთან ჰარმონიულად შეხამებული შადრევნები. ბაზილიკის ბრინჯაოს კარები

ბაზილიკისავე უნდა იყოს. ტაძრის შიდა ხედის დათვალიერებას, რასაკვირველია, მოკლებული ვიყავი.

რენესანსისა და მისი მომდევნო პერიოდების შემოქმედთა ნაწარმოებები რომის პაპების შეკვეთით შეუსრულებიათ, ძველი ეგვიპტური და ანტიკური ქმნილებები პაპებისავე ინიციატივით შეუძენიათ მათ აღმომჩენთაგან. საგამოფენო დარბაზებში დამთვალიერებელს შეუძლია ამოიკითხოს, თუ რომელი პაპის ინიციატივითაა შეძენილი ლაოკონის ჯგუფის, ანტინოეს, ჰერკულესის, მობანავე აფროდიტეს, აპოლონის, პერსევსის, მერკურის სტატუები და სად ან როდის არიან ისინი ნაპოვნი.

ვატიკანში 8 საათი დაგყავი, აქედან კი ფიზიკურად საკმაოდ დაღლილი ანტიკური რომის დასათვალიერებლად გავემურე. კოლიზეუმის მახლობლობაში ყველაზე მაღალ გორაკზე მოვებნე ადგილი ნახევარი საათით მაინც დასასვენებლად. სწორედ ამ ადგილიდან, რომ იტყვიან, ხელის გულსავით მოჩანს ანტიკური რომის ტერიტორია. აქ უკვე აზრი აღარა აქვს მეგზურებით, რუკებით სარგებლობას, ექსკურსანტთა უწყვეტი ნაკადი ყველაზე უკეთ მიგანიშნებს ანტიკური რომის იმ ღირსშესანიშნაობებს, რომელთა დათვალიერება უთუოდ ღირს.

როგორც ცნობილია, ანტიკური რომის ისტორია 3 ეტაპად იყოფა: რომის 7 მეფის პერიოდი (ძვ. წ. 753 — 510 წლები), რომის რესპუბლიკის პერიოდი (ძვ. წ. 510 — 87 წლები) და რომის იმპერიის პერიოდი (ძვ. წ. 87 — ახ. წ. 475 წლები).

პირველი პერიოდის ამსახველად მიუჩნევიათ პატარა მინდორი კოლიზეუმის მახლობლად, სადაც ლეგენდის მიხედვით რომის დამაარსებელ ძმებს რომულუსსა და რემს, ადამიანებისგან მოწყვეტილებს, ძუძუს აწოვებდა მგელი.

მეორე და მესამე პერიოდის ანტიკური რომის ნაგებობათაგან მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. არქეოლოგიური ძიებებისა და გათხრების შედეგად აქ ბევრი რამ უპოვიათ და ზოგიერთი მათგანი თითქმის კიდევ აღუდგენიათ პირვანდელი რეალური, მოდელის თუ ჩანახატის სახით.

გაოცებას იწვევს იულიუს კეისრის დროინდელი სენატის შენობის (კაპიტოლიუმის) ნანგრევები, რომის ფორუმი — ფორუმ რომანუმ, იმპერატორთა ფორუმები და, რაღა თქმა უნდა, კოლიზეუმი. თითქოს პირვანდელი სახით მედიდურად გამოიყურებიან ტიტუსისა და კონსტანტინეს სატრიუმფო თაღები, ტრაიანეს კოლონა. პალატინის გორაკიდან მოჩანს პანთეონი და ორი ეპოქის — მეფეებისა და იმპერატორების რომის ცენტრი, რომის პირველი ცენტრალური გზა, რომელიც ცენზორ აპიუს კლავდიუსის (Appius Klavdius) პატივსაცემად აპია-ანტიკას გზის სახელითაა ცნობილი. სწორედ ამ გზის გასწვრივ გაყვანილი იყო რომის პირველი წყალსადენიც. ბევრი საინტერესო ძეგლია ვენეციის მოედნის მახლობლადაც. დღევანდელი რომისთვის კი მშვენიერაა ვიქტორ ემანუილ II-ის მონუმენტი და საზეიმო სასახლე. ამ სასახლის ეზოდან პატარა ქუჩას “წმინდა პეტრეს დილეგის” სახელწოდებით მივყავართ იმ შენობასთან, რომლის მიწისქვეშა სარდაფებში წმინდა პეტრე ყოფილა გამომწყვდეული. სწორედ ეს ადგილია მიჩნეული რომში მისი პირველი წამების ადგილად.

ანტიკური რომის დათვალიერება ინტენსიურია და თანაც უფასო. არ შეცდები, ყველგან ნახავ არა მარტო წარსულის ნაშთს, არამედ მის ჭეშმარიტ დიდებულებასაც.

30 აპრილს იტალიის სალამოს გაზეთებმა, რადიომ და ტელევიზიამ აუწყეს, რომ ხვალინდელი 1 მაისი გამოცხადებულია უქმე დღედ და ვის როგორც სურს ან როგორ მოეხერხება, ისე შეუძლია დაისვენოს. თანაც აღნიშნული იყო, რომ ენერჯის დაზოგვის მიზნით 1 მაისს საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ იმუშავებს. ამით ხაზგასმული იყო ის გარემოება, რომ სასურველია, საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით მასობრივ თავმოყრაზე ყველამ ხელი აიღოს.

ლორეტოს მოედნის მიდამოები მილანში მოძრაობის ყველაზე გავრცელებული ადგილია. საუზმის შემდეგ სასტუმროდან ფეხით გავემართე ვენეციის კარიბჭის მიმართულებით. ქუჩებისა და შესახვევების კუთხეებში აქა-იქ გამოუკრავთ განცხადება იმის შესახებ, რომ 1 მაისის აღსანიშნავად მსურველთ შეუძლიათ თავი მოიყარონ სახალხო ბალის გარშემო და იქიდან წავიდნენ მილანის გამწვანებულ რაიონში გამართული მიტინგის მსვლელობაში მონაწილეობის მისაღებად. ჩქარა გამოჩნდა ვენეციის კარიბჭე და სახალხო ბაღიც, რომლის მიდამოებიც სავსე იყო ხალხით, დიდით და პატარით, ხელში წითელი დროშებით და ტრანსპარანტებით. სახელდახელოდ დადგმული რადიოაპარატურიდან გაისმოდა რევოლუციური მუსიკა. “მარსელიეზას” ცვლიდა “ინტერნაციონალი” და იტალიური საბრძოლო ჰანგები. მკერდს ყველას წითელი ბანტი ან წითელი ფერის ცოცხალი მიხაკი უმშვენებდა. ქალ-ვაჟმა წყვილმა მეც მიმაკრა მკერდზე წითელი ბანტი და გადმომცა ტიპოგრაფიულად საუკეთესო ქაღალდზე საერთაშორისო კომუნისტური პარტიის სახელით იტალიურ ენაზე დაბეჭდილი წერილი “კომუნისტური პარტიის პროგრამის” შესახებ. წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ასეთი პარტია არსებობდა. როგორც ჩანს, ის წელს იანვრის თვეში დაუარსებიათ და ახლა მათი ორგანიზაციები თითქმის ყველა ქვეყანაში მოქმედებენ. მათი სახელით ფართო საგაზეთო თაბახის 4 გვერდზე გამოცემული ფურცლები, რაც მეც გადმომცეს, კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ მსოფლიოში ადრე არსებულ კომუნისტურ პარტიებს, მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასაც.

მილანში 1990 წლის საპირველმასო დემონსტრაციის მონაწილენი არა მარტო გარეგნობითა და ჩაცმით, არამედ სახის იერიითაც კი აშკარად განსხვავდებოდნენ მათგან, ვინც 2 დღის წინათ წმინდა პეტრეს მოედნიდან მოუსმინა რომის პაპის ქადაგებას... წმინდა პეტრეს მოედანზე გამართულ ცერემონიაში მილიონზე მეტი მონაწილე იყო, მილანის საპირველმასო დემონსტრაციაში მონაწილეთა რიგებში — ათასები.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, 40-იანი წლების დასაწყისში იტალიაში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი ინჟინერი მ. ყაუხჩიშვილი (აკადემიკოს ს. ყაუხჩიშვილის ძმა), რომელიც მილანში ცხოვრობდა გარდაცვალებამდე. მას დარჩა ქალ-ვაჟი — ნინა (ნინო) და გიორგი (გუგულა) ყაუხჩიშვილები, რომლებიც ქართველები იყვნენ მხოლოდ მამით. ნინა ყაუხჩიშვილს უმაღლესი განათლება მილანში მიუღია და რუსისტიკაში ცნობილი სპეციალისტი გამხდარა. ის ამჟამადაც მილანში ცხოვრობს, საპროფესორო მოღვაწეობას კი ბერგამოს უნივერსიტეტში ეწევა თავისი სპეციალობით.

იტალიის თითქმის ყველა ქალაქში არსებობს სომეხთა სათვისტომოები. მილანში, როგორც ჩანს, არსებობს ქართველთა სათვისტომოც. მე ვერ გავიგე, რამდენად ძლიერია ეს ორგანიზაცია და არის თუ არა მასთან დაკავშირებული ნინა ყაუხჩიშვილი. ამბობენ, რომ ამ სათვისტომოში გაერთიანებულია მეორე მსოფლიო ომის დროს ჩრდილო იტალიაში მოქმედ პარტიზანთა რამდენიმე ჩამომავალი (დედით, რასაკვირველია, იტალიელი).

აპრილის დასასრულისთვის ბერგამოს უნივერსიტეტს დაგეგმილი ჰქონდა საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩატარება სახელწოდებით “ოპტინის უდაბნო”. უდაბნო ამ სახელწოდებით ქალაქ კოზელსკის მახლობლადაა. ის განთქმული იყო ვვედენსკის მამათა მონასტრით, რომელიც ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მთლიანად გაპარტახდა. თავის დროზე ამ უდაბნოსთან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ნ. გოგოლს,

ფ. დოსტოევსკის, ლ. ტოლსტოის, პ. ფლორენსკის და მრავალ სხვა გამოჩენილ რუს მოღვაწეს. ამჟამად ეს უდაბნო კვლავ აღსდგა.

სიმპოზიუმის მოწვევის ინიციატორი და მისი საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელია ნინა ყაუხჩიშვილი, როგორც დასავლეთის გამოჩენილი “რუსისტი”. ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა კავშირიდან მოელიან მრავალრიცხოვან დელეგაციას ოპტინის უდაბნოს წინამძღვრის არქიმანდრიტ ევლოგის მეთაურობით.

2 მაისს საქმიანი შეხვედრა უკვე არავისთან აღარ მქონია. იტალიაში მიღებული ჩემი ხელფასის დარჩენილი ნაწილით ზოგიერთი საჭირო ნივთი შევიძინე მილანის მაღაზიებში და შევუდექი სამზადისს მოსკოვში გასაფრენად. 3 მაისს ალფრედო ლორენცი და მისი მეუღლე ადრიანა 8 საათსა და 30 წუთზე საკუთარი ავტომანქანით მოვიდნენ ჩემს გასაცილებლად. რამდენადაც ალფრედო უნივერსიტეტში აღმოჩნდა სერიოზულად დასაქმებული, უნივერსიტეტის მახლობლად დამემშვიდობა და ჩემი თავი მეუღლეს “ჩააბარა”. ადრიანა შესანიშნავად მართავს ავტომანქანას. გზაში ბევრი საინტერესო რამ მიაგმო თავისი ცხოვრების შესახებ.

აეროდრომზე ადრიანას დახმარებითვე გაფრენისთვის საჭირო ყველა ფორმალობა სწრაფად გავიარე და დიდი მადლობით დავემშვიდობე ამ შესანიშნავ ადამიანს.

თვითმფრინავის გაფრენა 12 საათსა და 15 წუთზე იყო დანიშნული, ასე რომ აეროდრომზე ლოდინი მომიხდა. აღმოჩნდა, რომ ამავე რეისით მოსკოვს მოფრინავს საბჭოთა კავშირის ვიცე-კონსული ალექსანდრ კალეტინკინი. მოსაცდელ დარბაზში მან ბევრი საინტერესო რამ მიაგმო მილანელთა ცხოვრებიდან. მსხვილი სამრეწველო კონცერნები ჩვენს წარმოებაში ფესვების გადგმას ცდილობენ. მოსკოვიდან ყოველ საღამოს «Время»-ს სატელევიზიო გადაცემები იტალიური ფირმის “ოლივეტის” რეკლამით იწყება. იტალიის ქიმიური მრეწველობის მნიშვნელოვანი ცენტრი სწორედ მილანშია. იტალიელ ქიმიკოსებს სურთ, საბჭოთა კავშირი, მისი თვალუწვდენელი ტერიტორია თავიანთ “პოლიგონად” აქციონ. კალეტინკინის აზრით ამას ჩვენი ქვეყნის საგრძნობ ნაწილზე შეიძლება ეკოლოგიური მდგომარეობის მწვავე გაუარესება მოჰყვეს. საჭიროა, ყველაფერ ამას გზა გადაეღობოს.

თვითმფრინავში გამოაცხადეს, რომ ჩვენი თვითმფრინავი ჯერ ლენინგრადში დაფრინდება, ერთი საათის შემდეგ კი მოსკოვისკენ გაემართება. ლენინგრადში ერთი საათით დაგვატოვებინეს თვითმფრინავი, ერთი საათის შემდეგ კი იმავე თვითმფრინავით მოსკოვს გავემგზავრეთ და 45 წუთის შემდეგ შერემეტიევი 2-ის აეროდრომზე აღმოვჩნდით.

1990 წლის 21-29 აგვისტოს კიოტოში (იაპონია) შედგა მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა კავშირიდან საკმარისად მრავალრიცხოვანი დელეგაცია (ოფიციალური და ტურისტული შემადგენლობით) გაემგზავრა. იაპონელთა ინიციატივით დაგეგმილი იყო კონგრესის დამთავრებისთანავე 2 საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩატარება მათემატიკაში. ერთ მათგანზე, კერძოდ სიმპოზიუმზე “პოტენციალთა თეორიაში” მიწვეული ვიყავი მეც. მასპინძლებმა ითავეს ჩემი იაპონიაში ყოფნისას ყველა ხარჯის დაფარვა (გარდა საავიაციო ბილეთებისა მოსკოვსა და ტოკიოს შორის იქით-აქეთ). სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექციამ ჯერ უარი განაცხადა

ამ მგზავრობის ღირებულების (3000 მანეთამდე) ანაზღაურებაზე, მაგრამ მოგვიანებით საჭირო ბილეთები შეიძინეს და ბინაზე “მომართვეს”. სამაგიეროდ გაძნელდა ჩემთვის ვიზის მიღება. მითხრეს, რომ დაბრკოლებას ქმნის იაპონიის საკონსულო მოსკოვში. ამ საქმეში სიმპოზიუმის ორგკომიტეტის თავმჯდომარის პროფესორ ოცუკას ჩარევის შემდეგ გამოირკვა, რომ დაბრკოლების მიზეზია საბჭოთა მხარე. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამმართველოს ნოტა იაპონიაში ჩემი მივლინების თაობაზე იაპონიის კონსულის სახელზე გაიგზავნა 20 აგვისტოს. კონსულმა ჩემს პასპორტში ვიზა დაუყოვნებლივ შეიტანა, მაგრამ მაინც ისე მოხდა, რომ პასპორტი ბინიდან შერემეტიევო 2-ის აეროპორტში ჩემს გამგზავრებამდე მხოლოდ 2 საათის წინ გადმომცეს.

სიმპოზიუმზე მიწვეული საბჭოთა მათემატიკოსების ერთი ნაწილი 13 მათემატიკოსის შემადგენლობით მოსკოვიდან 28 აგვისტოს 19 საათსა და 5 წუთზე გავფრინდით. 29 აგვისტოს დილის 10 საათზე მშვიდობით დავეფრინდით ნარიტას აეროდრომზე. აეროპორტში დაგვხვდა იაპონელ მათემატიკოსთა მთელი ჯგუფი პროფესორ იოსიდას მეთაურობით. ჩქარა შემოგვიერთდა საბჭოთა მათემატიკოსების მეორე ნაწილიც და ყველა ერთად ნარიტადან ტოკიომდე კომფორტული ავტობუსით მივედით. ჩემი, ისევე როგორც სხვა საბჭოთა მგზავრების ყურადღება მიიპყრო წესრიგმა, რომელიც იაპონიაში სუფევს. აქ ყველა უდიდესი პასუხისმგებლობით ასრულებს თავის მოვალეობას. იაპონელები მეტად თავაზიანნი არიან არა მარტო სტუმრების წინაშე, არამედ ურთიერთშორისაც. სიმპოზიუმის ჩატარების ადგილამდე — ნაგოიამდე ვიმგზავრეთ მატარებლით, რომელმაც აშკარად გვაგრძნობინა თანამედროვე იაპონიაში არსებული ცხოვრებისა და საქმიანობის დახვეწილი სტილი. 600 კმ-ზე მეტი რკინიგზის მანძილი ტოკიოდან ნაგოიამდე ჩვენმა მატარებელმა სულ რაღაც 5 საათში დაფარა. მასპინძლებმა მსუბუქი ავტომანქანებით სწრაფად მიგვიყვანეს დანიშნულების ადგილზე და კარგად მოწყობილი სასტუმროს ცალ-ცალკე ნომრებში მოგვათავსეს. კონდიციონერული ჰაერი, პატარა საწერი მაგიდა, მოხერხებული საწოლი, აბაზანა, ტელეფონი და ფერადი ტელევიზორი ჩემს ნომერში კარგად მოსვენების და მუშაობის საშუალებასაც მაძლევდა. თეთრეულს, ხალათს, საპონსა და, ასე გასინჯეთ, ჩუსტებსაც კი სასტუმროში ყოველდღიურად ცვლიდნენ. სიმპოზიუმის ყოველი საბჭოთა მონაწილე 100.000 იენით დაგვასაჩუქრეს იაპონიაში ჩვენთვის საჭირო გასავალის დასაფარავად. მე თავის დროზე წარვადგინე ჩვენი აკადემიის საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამმართველოში სიმპოზიუმზე ჩემი მოხსენების არა მარტო სახელწოდება, არამედ თეზისებიც კი, მაგრამ ისე მოხდა, რომ ყველაფერმა ამან დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია და ჩემი მოხსენება სიმპოზიუმის სამუშაო პროგრამაში არ აღმოჩნდა. მხოლოდ ახლა, ჩემს აქ ყოფნაში შეიტანეს ის დაბეჭდილ და სახელდახელოდ გამოშვებულ ფურცელში სახელწოდებით “ცვლილებები პროგრამა I-ში”. მოხსენებით “Generalized Neumann problem” დაიგეგმა ჩემი გამოსვლა 3 სექტემბერს, 17 საათსა და 5 წუთზე.

სასტუმროში სახელწოდებით “გვირგვინი” გვემსახურება რესტორანი, სასადილო და სასაუზმე. სიმპოზიუმის განკარგულებაშია ამავე სასტუმროს 3 სხდომათა დარბაზი, ისე რომ აქედან გასვლა მხოლოდ სასაიროდ გვიხდება.

სიმპოზიუმის გახსნის ცერემონია 30 აგვისტოს დილის 10 საათზე შედგა, 11 საათიდან სამეცნიერო მოხსენებების მოსმენა დაიწყო. სიამოვნებით მოვისმინე ჩემი “ძველი” ნაცნობის ვ. კ. ჰეიმანის მოხსენება, რომლითაც სიმპოზიუმის მუშაობა დაიწყო. მასთან ჯერ კიდევ 1957 წლიდან მაქვს საქმიანი ურთიერთობა. მაშინ

ერთმანეთს შევხვდით ფინეთში (ჰელსინკი) გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც ფუნქციათა თეორიის საკითხებს იყო მიძღვნილი. 1962 წელს ჩემი ინგლისში ყოფნისას ჰეიმანმა და მისმა მეუღლემ ძალიან კარგად მიმიღეს ლონდონში. სადამოს სიმპოზიუმის მონაწილეთათვის საორგანიზაციო კომიტეტმა გამართა მიღება შესანიშნავი გამასპინძლებით. მის დასასრულს წარმოგვიდგინეს სიმღერისა და ცეკვის “წმინდა” იაპონური ნიმუში, რამაც უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა (ჩემზე, ყოველ შემთხვევაში).

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეთა შორის ჩემი თაობის მათემატიკოსი ძალზე ცოტაა. სამაგიეროდ კარგადაა წარმოდგენილი მეცნიერული ახალგაზრდობა, მაგრამ მათ შორისაც ჩემი ნაცნობები თითებზეა ჩამოსათვლელი. საბჭოთა მონაწილეთაგან ვიცნობ ვ. კოკილაშვილს, ი. პეტრუშკოს, ა. პრილეპკოს, ვ. სეროვს, პ. ტამრაზოვს და ი. შესტოპალოვს. ასე გასინჯეთ, თბილისელი მათემატიკოსი ა. გულისაშვილიც კი აქ — ნაგოიაში გავიცანი.

ჩვენი მასპინძელი პროფესორი ოცუკა ძალზე სიმპათიური ადამიანი აღმოჩნდა. ვ. კოკილაშვილის ინიციატივით მას გადაეცა მიწვევა 1991 წლისთვის ნ. მუსხელიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ, თბილისში დაგეგმილ სიმპოზიუმზე.

ფუნქციათა თეორია სიმპოზიუმზე ფართო დიაპაზონითაა წარმოდგენილი, თუმცა ფუნდამენტურ საკითხებს მიძღვნილი მოხსენებების რაოდენობა აშკარად სჭარბობს გამოყენებებისადმი მიძღვნილთ. ჩემი დაკვირვების მიხედვით სენსაციური ხასიათის მოხსენებები ჯერ არაა სჩანს. გარდა დაკველილ მოხსენებებს მიძღვნილი პლენარული სხდომებისა სიმპოზიუმზე მოხსენებები იკითხება A, B და C სექციებში. ჩემი მოხსენება გადატანილია B სექციაში. მის წაკითხვას ინგლისურ ენაზე ვაპირებ.

31 აგვისტოს დილით მოვისმინე კენიგის (ჩიკაგო) მოხსენება “დირიხლეს და ნეიმანის ამოცანები არაგლუვ კოეფიციენტებთან ელიფსურ განტოლებათათვის”. გადაწყვეტილი მაქვს დღესვე მოვისმინო ა. პრილეპკოს მოხსენება A სექციაში და კორნეას (აიხშტადტი), ი. შესტოპალოვის (მოსკოვი), პ. ტამრაზოვის (კიევი), ვ. სეროვის (მოსკოვი) და ა. გულისაშვილის (თბილისი) მოხსენებები B სექციაში.

ისე მეჩვენება, რომ იაპონელი დადარაჯებულია, აღიქვას ყველაფერი კარგი, რაც მის გარშემო ხდება და თანაც უდავოდ აქვს უნარი, ყოველ საქმეში ორიგინალური იყოს. ამ სიმპოზიუმზედაც ისინი სხვა ხალხთა წარმომადგენლებისგან მკვეთრად გამოირჩევიან. ჯერ ერთი, სიმპოზიუმის მონაწილეთაგან იაპონელები უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ. ყურადღებით უსმენენ და დაწვრილებით იწერენ ყოველი მოხსენების შინაარსს. ამ მიზნით სისტემატურად იყენებენ თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც მათ უხვად გააჩნიათ და თანაც მსოფლიოში ყველაზე უფრო მაღალი მაჩვენებლებით. პლენარული სხდომებისა და სექციების მუშაობაში არსად “ფანჯარა” არაა. თუ რომელიმე ადრე დაგეგმილი მოხსენება არ შედგება, მის ადგილზე სახელდახელოდ ჩასმულია სრულიად ახალი მოხსენება.

მასპინძლები ყურადღებას არ გვაკლებან სტუმრებს. გვიქმნიან მუშაობისა და დასვენების პირობებს ყოველგვარი ფორმალობის გარეშე. კვირას, 2 სექტემბერს დაგეგმილია ექსკურსია, რომელზედაც დიდ იმედებს ვამყარებ საერთო გათვითცნობიერების თვალსაზრისით.

ამ დღეებში ახლოვდებოდა 45 წელი მეორე მსოფლიო ომში იაპონიის კაპიტულაციიდან. ალბათ ამის გამოა, რომ ტელევიზიით ხშირად უჩვენებენ დოკუმენტურ კადრებს ამ არც თუ ისე შორეული წარსულიდან. 30 აგვისტოს სადამოს პირველი არხიდან ნაჩვენები იყო 1941 წელს ი. სტალინის შეხვედრა კრემლში

იმდროინდელ საგარეო საქმეთა მინისტრთან მაცუოკასთან. კერძოდ თუ როგორ მოკრძალებით გააცილა ეს უკანასკნელი ბელორუსიის ვაგზალზე მოსკოვიდან იაპონიაში დაბრუნების დროს. ამას თან მოჰყვა გენერალისიმუსის ფორმაში გამოწყობილი, უკვე მრისხანე გამომეტყველების იგივე ი. სტალინი და საბჭოთა არმიის თავდასხმა იაპონიის ჯარის ნაწილებზე 1945 წლის სექტემბერში, კვანტუნის არმიის კაპიტულაცია, ჰიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედია, სახალინის სამხრეთი ნაწილი და კურილის კუნძულები, ბ. ელცინის გამოსვლა სახალინსა და კამჩატკაზე მისი მოგზაურობის დროს და ა. შ. დიქტორის გამომეტყველება მიგვანიშნებდა, როგორ განაწყენებული არიან იაპონელები და თანაც იმედოვნებენ, რომ ბოლოს და ბოლოს დაიდება საზავო ხელშეკრულება იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

წესრიგს, რომელიც აქ სუფევს, დესპოტიზმთან არაფერი საერთო არ აქვს. სწავლა-განათლების მხრივაც იაპონელებს მსოფლიოში ვერავინ ვერ შეედრება. წერა-კითხვის უცოდინარი იაპონელი არ არსებობს. საბავშვო ბაღსა და პირველი საფეხურის საშუალო სკოლაში აქ სწავლა უფასოა და სავალდებულო. დაწყებით და საშუალო სკოლებში სწავლება მაღალ დონეზეა დაყენებული. აქაურ ბავშვს საბავშვო ბაღშიც კი აქვას კომპიუტერი და თამაშობაში ეუფლება მის ხმარებას. მეორე საფეხურის საშუალო სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში კი სწავლა ფასიანია, მაგრამ ყველასთვის ხელმისაწვდომი. თუ საშუალო სკოლადამთავრებულ ახალგაზრდას შესაბამისი ნიჭი აღმოაჩნდება, მისთვის უმაღლეს სასწავლებელში შესვლა პრობლემა არაა. უნივერსიტეტების რაოდენობით იაპონიას მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია. საბჭოთა კავშირის მოსახლეობა რაოდენობით თითქმის 3-ჯერ აღემატება იაპონიის მოსახლეობას მაშინ, როცა იაპონიაში უნივერსიტეტების რაოდენობა საბჭოთა უნივერსიტეტების რაოდენობას სჭარბობს კიდევ. იაპონელ სტუდენტთა აკადემიური მოსწრება მსოფლიოში სანიმუშოა. აქ არა დგას საკითხი იმის შესახებ, ვალდებულია თუ არა სტუდენტი, დაესწროს ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს. ერთი კია — იაპონელი პროფესორი გაცილებით უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მოვალეობას, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყნის პროფესორი. სამაგიეროდ მისი ხელფასიც დიდია. ასე, მაგალითად, ნაგოიას უნივერსიტეტის პროფესორის ერთი დღის ხელფასიც კი რამდენიმეჯერ აღემატება ჩემს ყოველთვიურ ხელფასს. იაპონელი სტუდენტი ძალზე ბეჯითია და დიდი მონდომებით ეუფლება თავის მომავალ პროფესიას. უნიჭო სტუდენტი აქ არ არსებობს, რამდენადაც უნიჭო იაპონელი სტუდენტი ვერ გახდება და არც აქვს ამის სურვილი.

მეორე მსოფლიო ომში დამარცხებამ იაპონელებს ხელი არ შეუშალა მსოფლიოში ყველაზე კეთილმოწყობილი სახელმწიფოს შექმნაში. ომის შემდეგ რამდენიმე ათეულ წელიწადში ზღაპრულ სიმაღლეზე ავიდა მეცნიერებისა და ტექნიკის დონე. იაპონიის სახელმწიფოს გამგებლებმა სპეციალისტების თანხლებით მთელი მსოფლიო შემოიარეს, რომ მოწინავე ქვეყნებში მეცნიერების მსგომარეობა და მისი განვითარების პესრსპექტივები შეესწავლათ. კერძოდ 60-იან წლებში მათი არაერთი დელეგაცია ესტუმრა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების მთავარ სამეცნიერო ცენტრს — აკადემიურ ქალაქს ნოვოსიბირსკის მახლობლად. იმ დროს მათ ამის მსგავსიც კი არ გააჩნდათ, ახლა კი იაპონიაში მრავალი სამეცნიერო ცენტრია მატერიალურად, ტექნიკურად და მეცნიერულად უზრუნველყოფილი და სწრაფად მზარდი. გამოთვლით ტექნიკასა და გამოთვლით მათემატიკაში მათ ტოლი არა ჰყავთ ისინი არ ერიდებიან თავიანთი მეცნიერების საზღვარგარეთ მეცნიერული მივლინებით გაგზავნას, არ შიშობენ, რომ ისინი სამშობლოს მიატოვებენ. ადამიანის

ჯანმრთელობაზე ზრუნვა სახელმწიფოსა და საზოგადოების წმინდათა წმინდა მოვალეობაა. იაპონელთა საშუალო სასიცოცხლო ასაკი მართლაც რომ შესაშურია (75 წელი მამაკაცებისთვის, 80 წელი ქალებისთვის). დარღვეულ-დაშლილ ოჯახს აქ იშვიათად თუ შეხვდებით. ოჯახის "შინაგან საქმეთა მინისტრი" დედაკაცია, "საგარეო საქმეთა მინისტრი" — მამაკაცი. ისე როგორც აღმოსავლეთის ხალხების სხვა ხალხებისთვის იაპონელებისთვის ადრე მრავალშვილიანი ოჯახი იყო დამახასიათებელი. ახლა ასე აღარაა, მაგრამ 3 შვილის გაჩენა მაინც აქ სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა. იაპონელები დამაბუღლად მუშაობენ, უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ნაკისრ ვალდებულებებს და თანაც დასვენების ფასიც კარგად იციან. შეუქმნიათ დასვენების შესანიშნავი პირობები როგორც შინ (ბინაზე), ისე გარეთ. მათ ყველაფერში ზომიერება ახასიათებთ.

1 სექტემბერს 15 საათსა და 15 წუთზე B სექციაში შედგა ს. ზარგარიანის (ერევანი) 20 წუთიანი მოხსენება ფუნქციათა თეორიის მეთოდების დრეკადობის თეორიაში ზოგიერთი გამოყენების შესახებ. ს. ზარგარიანი მექანიკის კათედრას განაგებს ერევნის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მისი მოხსენების შემდეგ C სექციაში რუმინელი კოლეგების თხოვნით მოვისმინე მათი თანამემამულე ქალის მარტა ბენულესკუს მოხსენება, მოგვიანებით A სექციაში დავესწარი ვ. კოკილაშვილის მოხსენებას. მეორეჯერ მომეცა შესაძლებლობა, მომესმინა ამ ახალგაზრდა ქართველი მათემატიკოსის საჯარო მეცნიერული გამოსვლა. პირველად ეს მოხდა 1980 წელს ფ. რისისა და ლ. ფეიერის 100 წლისთავს მიძღვნილ, ბუდაპეშტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე. ორივე შემთხვევაში ვ. კოკილაშვილმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

2 სექტემბრის დილის სხდომებიდან დავესწარი მხოლოდ მეორეს, რომელზედაც მოისმინეს ლენინგრადელი მათემატიკოსის ნ. მაკაროვის მოხსენება "დირიხლეს სივრცეები გეომეტრიულ ფუნქციათა თეორიაში".

ექსკურსიის მონაწილეებს თანმხლებითურთ 4 დიდი ავტობუსი გვემსახურებოდა. დათვალიერების პირველი ობიექტი იყო იყო წყნარი ოკეანის უბის ნაპირზე აღმართული ნაგოიას ციხე-სიმაგრე. ამ ადგილზე ჯერ კიდევ XIV საუკუნეში აუგიათ პატარა ციხე. მომდევნო საუკუნეებში ეს ციხე გაუფართოვებიათ და გაუმაგრებიათ წყლით სავსე ფართო და ღრმა თხრილით მის გარშემო. დღევანდელ ციხე-სიმაგრეს რამდენიმე მაღალი ქონგური აქვს ჩინურ სტილზე კრამიტით დახურული. იქ ადრე ბუდისტური სალოცავი ჰქონიათ, ახლა კი მის ვრცელ დარბაზებში განლაგებულია იაპონიის ისტორიის ამსახველი მრავალი ექსპონატი: საბრძოლო იარაღი, მუზარადები, საოჯახო ნივთები, სკულპტურული ქმნილებები და სხვ.

ნაგოიას ციხე-სიმაგრის დათვალიერების შემდეგ წავედით ტოკუგავას ხელოვნების მუზეუმში. განცვიფრებას იწვევენ იაპონური ხელოვნების აქ გამოფენილი ნიმუშები.

სასტუმროში საღამოს 5 საათზე დავბრუნდით. 30 აგვისტოს "ალაფურშეტის" სახის მიღება IBM Japan Ltd-ს ხარჯზე იყო მოწყობილი, დღევანდელ ბანკეტს სასტუმროს V სართულზე განთავსებულ საბანკეტო დარბაზში სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტი კისრულობდა. სუფრებთან დასაჯდომი ადგილები ლატარიის წესით გაანაწილეს. მე ერთ მაგიდაზე აღმოვჩნდი ფრანგებთან, რუმინელებთან და ჩინელებთან. გამასპინძლება უხვი და მრავალფეროვანი იყო. მაღალი ხარისხის იყო იაპონური თეთრი ღვინო.

საინტერესო გამოდგა საუბარი რუმინელ მათემატიკოსებთან ბობოკსა და ბუქურთან. რუმინეთის ყოფილი (უკვე დამხოზილი) ლიდერის ნ. ჩაუშესკუს ქალიშვილი ზოია ჩაუშესკუ მათემატიკოსია მეცნიერებათა დოქტორის ხარისხით.

მშობლების დახვრეტისთანავე ის დააპატიმრეს და უპირებდნენ პასუხისგებაში მიცემას ძალაუფლების უზურპირებაში ბრალდებით იმ პერიოდში, როცა მას პარტიის თუ მთავრობის ხაზით მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი ეკავა. ჯერ კიდევ 70-იან წლებში სწორედ მისი ინიციატივით დაიხურა ბუქარესტის მათემატიკის ინსტიტუტი, მიუხედავად რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის და ამავე ინსტიტუტის დირექტორის მირონ ნიკოლესკუს კატეგორიული წინააღმდეგობისა. რუმინეთის დღევანდელი სახელმწიფოს გამგებლები თურმე არ ჩქარობენ მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აღდგენას. სიმპოზიუმის მონაწილეთა შორისაა რუმინელი ბრმა მათემატიკოსი ა. კორნეა, რომელმაც 60-იან წლებში სამშობლო დატოვა და დასავლეთ გერმანიის ქალაქ აიხ-შტადტში გადასახლდა. მას გერმანელი ქალი (რომელიც აქ თან ახლავს) შეურთავს ცოლად და თავისი ბედით კმაყოფილია.

მაგიდას ჩემს პირდაპირ უსხდნენ ფრანგი მათემატიკოსები დე ლა არადელი და დე ლა შერი. მათი სიტყვებით ფუნქციათა თეორიის ფრანგული სკოლის ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორებიც არიან ანრი კარტანი, დიდონე, მალგრანჟი და დაუდი საერთაშორისო მეცნიერული ფორუმების მუშაობაში ამ ბოლო დროს უკვე აღარ მონაწილეობენ. ახლა აქ საფრანგეთიდან მხოლოდ 3 მათემატიკოსია.

ნაგოიას ფუნქციათა თეორიის 1990 წლის სიმპოზიუმის მონაწილეთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაციებია იაპონიიდან (83), სსრკ-იდან (23), აშშ-დან (15) და გფრ-დან (9). მასზე წარმოდგენილია მსოფლიოს 29 სახელმწიფოს 188 მათემატიკოსი. მომავალი 1991 წლისთვის ფუნქციათა თეორიას მიძღვნილი სიმპოზიუმის მოწყობა გადაწყდა ამსტერდამში.

3 სექტემბერს პირველი პლენარული (შეკვეთილი) მოხსენება, რომელიც სიმპოზიუმმა მოისმინა, გააკეთა ფინელმა მათემატიკოსმა ქალაქ იუვასკულიდან ო. ტ. მატომ თემაზე “პოტენციალთა თეორია და ქვაზიკონფორმული ასახვები”. ფუნქციათა თეორიის ამ მიმართულების სათავეებთან იდგნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ მ. ა. ლავრენტიევი (საბჭოთა კავშირიდან) და გრეტში (გერმანიიდან). აქ, სიმპოზიუმზე 10-მდე მოხსენება მიემდგნა ქვაზიკონფორმულ ასახვებს, მაგრამ აღნიშნული მათემატიკოსები არავის არ უხსენებია.

ჩემი მოხსენება, როგორც გამოცხადებული იყო, შედგა სამშაბათს, 3 სექტემბერს, 17 საათსა და 5 წუთზე B სექციის სხდომაზე. მოხსენების ინგლისური ტექსტი მანქანაზე ნაბეჭდი 10 გვერდის რაოდენობით საორგანიზაციო კომიტეტს გადავეცი სიმპოზიუმის შრომებში გამოსაქვეყნებლად.

ჩემს მომდევნო მოხსენება “რიმანის ჰიპოთეზის მცდარობის შესახებ” სენსაციური იყო მისი სახელწოდებით. მომხსენებელი ხვანგი ტაიბეიდან (ტაივანი) უნივერსიტეტის პროფესორია. მისი მტკიცებით რიმანის ცნობილი ჰიპოთეზა მეტა ფუნქციის ნულების განაწილების შესახებ მცდარია. ძალზე ძნელია მსმენელის დარწმუნება იმაში, ცდება თუ არ ცდება თვით მომხსენებელი. საჭიროა ღრმა ანალიზის ჩატარება, მაგრამ არა სიმპოზიუმის მსვლელობის დროს.

3 სექტემბრის საღამოს რამდენიმე საათის განმავლობაში მე და ვახტანგ კოკილაშვილმა ნაგოიას ქუჩებში გავისეირნეთ.

4 სექტემბერს დილის 2 მოხსენების შემდეგ სიმპოზიუმმა მუშაობა დაასრულა, 11 საათზე მისი მონაწილენი ერთმანეთს დავემშვიდობეთ და საბჭოთა დელეგაციის წევრები ნაგოიას ქუჩებსა და მაღაზიებში ხეტიალს შევუდექით.

ჩვენი ავტობუსი, რომელიც ნაგოიადან ზუსტად დანიშნულ დროს, 23 საათსა და 20 წუთზე გავიდა, უზარმაზარი და თანაც მეტად კეთილმოწყობილი აღმოჩნდა. მის

პირველ სართულზე მოთავსებულია საპირფარეშო, შხაპის რამდენიმე კაბინეტი, დასასვენებელი ოთახი და, რა თქმა უნდა, ავტომატები სასმელ-საჭმლის შესაძენად. მეორე სართულზე ჩამწკრივებულია მოხერხებული სავარძლები, რომლებიც მეზავრებს მოსვენების საშუალებას აძლევენ როგორც მჯდომარე, ისე მწოლარე მდგომარეობაში. აქვეა ტელევიზორი და ყურის მიკროფონები რადიომაუწყებლობის რამდენიმე პროგრამით. ნაგოიადან ტოკიომდე მანძილის დაფარვას ეს ავტობუსი 8 საათს ანდომებს. დილის 7 საათზე ჰოროზონტზე გამოჩნდა ფუძიამას მუდამთოვლიანი მწვერვალი.

ტოკიოს ავტობუსების სადგურიდან კვლავ სპეციალური ავტობუსით ნარიტას აეროპორტის მიმართულებით გავემართეთ, იქ რამდენიმე საათს მოგვიხდა მოცდა. სისუფთავე, არავითარი ხმაური, სრული წესრიგი ყველგან. ტოკიოს დროით 12 საათსა და 15 წუთზე თვითმფრინავმა გეზი მოსკოვის მიმართულებით აიღო.

7 სექტემბერს შედგა ჩემი პირველი ლექცია (მიმდინარე სასწავლო სემესტრში) მოსკოვის უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტთათვის. აღმოჩნდა, რომ აუდიტორია ხალხმრავალია, კარგია, თუ ასე გაგრძელდება სტუდენტთა დასწრება.

7 სექტემბერს ლექციის შემდეგ დიდი ვაი-ვაგლახით ძლივს შევიძინე ავიაბილეთი — მოსკოვი-ნოვოსიბირსკი და პირიქით, რათა ნოვოსიბირსკში გადავფრენილიყავი, სადაც 10 სექტემბრიდან იწყებოდა მ. ა. ლავრენტიევის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო მეცნიერული ფორუმი სახელწოდებით «Лаврентьевские чтения».

9 სექტემბერს 22 საათსა და 5 წუთზე თვითმფრინავმა ვნუკოვოდან გეზი ნოვოსიბირსკის მიმართულებით აიღო. 10 სექტემბერს 0 საათსა და 45 წუთზე დავფრინდით ნოვოსიბირსკში, სადაც მელოდებოდა მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების წარმომადგენელი მსუბუქი ავტომანქანით “ვოლგა”. ბინა მიმიჩინეს აკადემიურ ქალაქში, ეგრეთწოდებულ “სასტუმრო სახლში”, რომელიც ადრე “მარჩუკის კოტეჯის” სახელწოდებით იყო ცნობილი. დილის 10 საათზე ოფიციალურად გაიხსნა მეცნიერული ფორუმი, 10 საათსა და 30 წუთზე შევუდექით მუშაობას მეცნიერული პროგრამის მიხედვით.

ჩემი სამეცნიერო მოხსენება გამოცხადებული იყო 13 სექტემბრისთვის. რადგან თვითმფრინავის ბილეთი სწორედ ამ დღის დილის რეისზე მქონდა, ეს ვადა 11 სექტემბრისთვის გადმომიტანეს. ფორუმის მონაწილეთა შორის 30-მდე უცხოელი მეცნიერი აღმოჩნდა. სამწუხაროდ არცერთი მათგანი მათემატიკოსი არ იყო. მათი მოხსენებების უმრავლესობა “აფეთქებათა” ფიზიკისა და ქიმიისადმი იყო მიძღვნილი. ჩემს გარდა მათემატიკური მოხსენებებით გამოვიდნენ მ. მ. ლავრენტიევი, ლ. ვ. ოვსიანიკოვი, ს. ი. პოხოჟაევი და ზოგიერთი ახალგაზრდა ადგილობრივი მეცნიერი.

ჩქარა 20 წელი გახდება მას შემდეგ, რაც ნოვოსიბირსკიდან სამუშაოდ და საცხოვრებლად მოსკოვს გადმომიყვანეს. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, 1980 წელს და ისიც ერთი დღით ვესტუმრე აკადემიურ ქალაქს, როცა აქ პირველად შედგა «Лаврентьевские чтения». აქ ახლა თითქმის ყველაფერი შეცვლილა. აკადემიის წევრთა პირველი შემადგენლობიდან, რომელიც 1958 წელს მოსკოვიდან და ლენინგრადიდან ნოვოსიბირსკში გამწესდა და რომელსაც მეც განვეკუთვნებოდი, ამჯერად აკადემიურ ქალაქში მხოლოდღა ა. ა. ტროფიმუკი აღმოჩნდა. დანარჩენ-

თაგან უმრავლესობა დღეს ცოცხალი აღარაა. ამჟამად აკადემიურ ქალაქში მოღვაწეთა უდიდესი უმრავლესობა ახალ თაობათაგან შედგება. აკადემიურ ქალაქი ისეა მწვანეში ჩაფლული, შორიდან თვალი ვერც კი ამჩნევს. კოტეჯთა უმრავლესობა ქუჩაზე — «Золотодолинская» იავარყოფილი გეგონებათ. ამ ქუჩის სახლი 173, რომელიც დღესაც “ზიწადის კოტეჯის” სახელითაა ცნობილი, თითქმის ნანგრევებადაა ქცეული. ამბობენ, რომ მის ადგილას მომავლისთვის აღდგება კოტეჯი, რომელშიაც საზღვარგარეთთან საერთო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება იქნება განთავსებული.

11 სექტემბერს ჩემი მოხსენების შემდეგ ვესტუმრე ვერა ევგენიევნას, რომელიც მეუღლის — მ. ა. ლავრენტიევის ცნობილ ხის “ქოხში” ცხოვრობს განდევილად. მასპინძელი კეთილი განწყობით შემხვდა, თითქოს გაეხარდა კიდეც ჩემი ნახვა. ჩქარა მას 90 წელი უსრულდება, მაგრამ ჯერ კიდევ ყოჩაღად გამოიყურება.

მეტად რთული და საინტერესო აღმოჩნდა ამ ქალის ბედი. ვერა ევგენიევნამ 30-იანი წლებიდან ხელი აიღო პირად მეცნიერულ საქმიანობაზე და გმირულად ასრულებდა მისი ქმრის — სახელგანთქმული მეცნიერის მ. ა. ლავრენტიევის თანაშემწის მძიმე როლს. მ. ა. ლავრენტიევი მისი მეუღლითურთ განსაკუთრებულ სიკეთეს იჩენდნენ ახალგაზრდა მეცნიერთადმი, რომლებიც მ. ა. ლავრენტიევს თავის მოწაფეებად მიაჩნდა. ბედნიერება მქონდა, მათ რიცხვს ვკუთვნივოდი მეც.

ვერა ევგენიევნა არა მარტო შესანიშნავი ადამიანი და მეუღლე იყო, არამედ ის იყო მ. ა. ლავრენტიევის პირველი და უახლოესი მრჩეველიც. მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების შექმნაში და მის საქმიანობაში წლების მანძილზე. ის ქმართან ერთად 1958 წლის დამდეგიდან დასახლდა ხის პატარა ქოხში ნოვოსიბირსკიდან 40 კმ-ით დაშორებულ იმ დროს უსიერ ადგილზე, სადაც დღეს მშვენიერი აკადემიური ქალაქია გაშენებული. ძნელია, სიტყვებით აღიწეროს, რაოდენ მძიმე პირობებში აღმოჩნდნენ ცოლ-ქმარი ლავრენტიევიები ციმბირში დასახლებიდან პირველი 3 წლის განმავლობაში. ზოგიერთს ზედმეტად მიაჩნდათ მათ მიერ გაღებული ეს მსხვერპლი. მათ მაგალითს მიბაძა მრავალმა ახალგაზრდა პერსპექტიულმა მეცნიერმა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და სხვა სამეცნიერო ცენტრებიდან. ისინი ახლახან შექმნილი ოჯახებით ჩასახლდნენ ლავრენტიევიების ქოხის მიდამოში სახელდახელოდ აგებულ ხის ბარაკებში. ვერა ევგენიევნა ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ამ “აბორიგენტა” საყოფაცხოვრებო პირობების სიძნელენი შეემსუბუქებინა. სულ რაღაც 2 თუ 3 წლის შემდეგ უკვე მწყობრში ჩადგა დღევანდელი სამეცნიერო ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი მაღალი ხარისხის მომარაგებით. 1962 წლის გაზაფხულზე აქ უკვე დასახლდა 15.000-მდე მეცნიერ-მუშაკი ოჯახის წევრებითურთ და მწყობრში ჩადგა 16 სამეცნიერო-კვლევითი აკადემიური ინსტიტუტი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, რამდენიმე სკოლა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. საყოფაცხოვრებო საზრუნავისგან განთავისუფლებული ვერა ევგენიევნა სათავეში ჩაუდგა ინგლისური ენის შემსწავლელთა წრეს, რომელშიც მათემატიკისა და მექანიკის სპეციალობის ბევრი ახალგაზრდა მეცნიერი გაერთიანდა (ინგლისური ენა სინამდვილეში მშობლიური ენა იყო ამ “წმინდა” რუსული წარმოშობის ქალისთვის).

1976 წლის შემოდგომაზე აკადემიკოს ნ. ნ. ბოგოლიუბოვის ინიციატივით მ. ა. ლავრენტიევი მოსკოვში დაბრუნდა აკადემიის მათემატიკის განყოფილების ხაზით. მას სულ თანდათანობით დაეტყო მოხუცებულობა, გართულებული მძიმე ავადმყოფობით, რამაც 1980 წლის 15 ოქტომბერს კიდეც იმსხვერპლა. მისი ანდერძის

თანახმად მ. ა. ლავრენტიევის ფერფლი ნოვოსიბირსკში, აკადემიური ქალაქის სასაფლაოზე დაკრძალეს.

ფამარ⁵⁵

მიწამე მე, რამეთუ დაიმკვიდრო
საუკუნო სასუფეველი შენი!
იოანე, 6, 47

1981 წლის 13 თებერვალს დილით საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, პროფესორმა ვ. კ. ზახაროვმა ბინაზე ტელეფონით მწუხარებით შემატყობინა აკადემიკოს კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მარჯანიშვილის გარდაცვალება და თან მთხოვა, შევსულიყავი დამკრძალავი კომისიის შემადგენლობაში, რომელსაც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან უპირებდნენ შექმნას.

დაკრძალვის ორგანიზაციის საქმე თავიდანვე სიძნელეს წააწყდა. იმის გამო, რომ განსვენებულის მეუღლემ ელენა ვლადიმერის ასულმა ბულგაკოვამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქმრის ცხედარი მოსკოვიდან თბილისში გადაესვენებინათ და იქ დაესაფლავებინათ. როგორც ჩანდა, ამის შესახებ კონსტანტინე კონსტანტინეს ძეს არც წერილობითი, არც სიტყვიერი ანდერძი არ დაუტოვებია.

15 თებერვალს ინსტიტუტის კანცელარიიდან მაცნობეს, რომ დირექტორის მისაღებში იმყოფება სტუმარი, რომელსაც სურს კონსტანტინე კონსტანტინეს ძის დასაფლავებასთან დაკავშირებით ჩემთან როგორც პასუხისმგებელ პირთან შეხვედრა. სტუმარი დაუყოვნებლივ მივიღე. ის ღრმად მოხუცებული მანდილოსანი აღმოჩნდა.

“მაპატიეთ, ანდრო ვასილიევიჩ, შეწუხებისთვის”, — ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი ჩვენს შორის.

“დაბრძანდით, ქალბატონო! ხომ ვერ მეტყვით, ვინ ბრძანდებით, ან რის გამო შეიწუხეთ თავი?”

“მე ახლა უკვე აღარავინ აღარა ვარ, ერთ დროს კი მოსკოვის ჯერ კიდევ საიმპერატორო მცირე თეატრში ვმსახიობობდი. მწყალობდნენ დაუვიწყარი მარჯანოვები — კონსტანტინე ალექსანდრეს ძე და ნადეჟდა დიმიტრის ასული. სამწუხაროდ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, კარიერა გამეკეთებინა, მით უფრო, რომ 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ სოციალურ წარმოშობაც არ მიწყობდა საამისოდ ხელს. ვერ აიწყო ჩემი ცხოვრება. ერთადერთი ადამიანი, რომელთანაც მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ვმეგობრობდი, იყო კონსტანტინე ალექსანდრეს ძის ყოფილი მეუღლე, ჩემსავით უბედური და ახალგაზრდობიდანვე ცალად დარჩენილი ნადეჟდა დიმიტრის ასული მარჯანოვა (ქალიშვილობაში — ჟივოკინი), ჩემი კუზინა. მისი გარდაცვალების შემდეგ ჩემდამი დედა-შვილურ მზრუნველობას იჩენდა კონსტანტინე კონსტანტინეს ძე. უბედურებად დამატყდა თავს მისი გარდაცვალება, რაც გუშინ გაზეთის საშუალებით შევიტყვე”.

⁵⁵ პირველად მცირე შემოკლებით გამოქვეყნდა ჟურნალში «არტანუჯი», №2-3, 1994 წ.

“ამ უბედურებას დიდი მწუხარებით შეხვდა კონსტანტინე კონსტანტინეს ძის მრავალი ნაცნობი და მეგობარი”, — ჩავურთე მე.

“მამის მხრიდან, რამდენადაც ვიცი, მას ახლო ნათესავი არ დარჩენია. ჟივოკინების გვარის წარმომადგენელი რუსეთში მარტო მეღა ვარ. ახლა ამ ქვეყანაზე ნათესავთაგან აღარავინ არ დამრჩა. მოწყალეა არ მჭირდება, პენსიას ვღებულობ და ეს მასაზრდოებს. უნუგემოდ ველი მარტოობაში სულის ამოსვლას. რას ვიზამ, ასეთი აღმოჩნდა ჩემი ბედი. თქვენთან მოვედი კონსტანტინე კონსტანტინე ძის დასაფლავების თაობაზე”.

“ქალბატონო! ხომ არ იცით, დატოვა თუ არა რაიმე სურვილი განსვენებულმა ამასთან დაკავშირებით?”

“რამდენადაც ვიცი, კონკრეტულად არაფერი. ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, კონსტანტინე კონსტანტინეს ძის საბოლოო განსვენების ადგილი მის ახლო ნათესავთა საფლავების მიდამოში მოძებნილიყო”, — წარმოთქვა დაღონებით ჟივოკინის ასულმა.

“მერწმუნეთ, რომ თქვენს რჩევას დამკრძალავი კომისია უთუოდ მიიღებს მხედველობაში. მზად ვარ, ყველაფერი მოგისმინოთ”.

“თქვენ ალბათ იცით, რომ ურნა მამამისის ფერფლით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღშია დაკრძალული. კარგი იქნებოდა, შვილის ფერფლიც მის მახლობლად დაგესაფლავებინათ”!

“დიახ! მე ეგ კარგად ვიცი. კოტე მარჯანიშვილი დასაფლავებული იყო თეატრის ეზოში, როგორც უდიდესი ქართველი ხელოვანი — რეჟისორი. შვილიც სახელგანთქმული პიროვნება გახლდათ, მაგრამ მეცნიერი — მათემატიკოსი. ვშიშობ, რომ ეს გარკვეულ უხერხულობას გამოიწვევს. თქვენ ალბათ იცით, სადაა დასაფლავებული ნადეჟდა დიმიტრის ასული”.

“ჩემი ნადიას საფლავს მე რა დამავიწყებს. ის მოსკოველ კათოლიკეთა და პროტესტანტთა ვვედენსკოეს ეგრეთ წოდებულ გერმანელთა სასაფლაოზე განისვენებს ჟივოკინების საფლავთა ფრიად მცირე უბანში. კონსტანტინე კონსტანტინე ძის მშობლები სამოქალაქო ქორწინებით იყვნენ შეუღლებულნი. მართალია, ორივე სარწმუნოებით ქრისტიანი იყო, მაგრამ კოტე — მართლმადიდებელი, ნადია კი — კათოლიკე, ეროვნებით იტალიელი. რადგან არც ერთმა მათგანმა არ მოისურვა კონფესიის შეცვლა, მათი ჯვარისწერაც ვერ მოხერხდა. სიყვარულმა მაშინ ეკლესიის ნებართვის გარეშე იზეიმა, თუმცა ეს ზეიმი ხანგრძლივი არ გამოდგა. თეატრალური ხელოვნებით გატაცებული ცოლ-ქმრის ოჯახმა ქალაქიდან ქალაქში ხეტიალს ვერ გაუძლო და სამწუხაროდ დაიშალა. თბილისში დაბრუნებულმა კონსტანტინე ალექსანდრეს ძემ ცოლად ადგილობრივი მსახიობი ქალი ელენე დონაური შეირთო. ბედმა არც ეს აკმარა ნადეჟდა დიმიტრის ასულს, კონსტანტინე ალექსანდრეს ძე უდროოდ გარდაიცვალა. მამის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ კონსტანტინე კონსტანტინეს ძე თბილისიდან მოსკოვში გადმოსახლდა, რათა დედის მძიმე ხვედრი შეემსუბუქებინა. ნადეჟდა დიმიტრის ასული დარდობდა, რომ მისი ერთადერთი ვაჟი უცოლშვილოდ რჩებოდა. ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ კონსტანტინე კონსტანტინეს ძეს, მართალია, უკვე ორმოცს გადაცილებულს, მაგრამ მაინც ექორწინა. ახლაც მახსოვს, რა სიხარულით მოელოდა ნადია თავისი შთამომავლობის გაგრძელებას, ოცნებობდა, რომ რომ მისი შვილიშვილის წარმოთქმული პირველი სიტყვა ქართული სიტყვა “ბებია” ყოფილიყო. სამწუხაროდ არც აქ დაინდო ბედმა ნადეჟდა დიმიტრის ასული. მისმა ერთადერთმა შვილიშვილმა დაბადებიდან სულ რამდენიმე თვის

განმავლობაში იცოცხლა. ამ ბუნებით ბრძენმა ქალმა იცოდა, რომ ჭირს გაძლება უნდა. მას ახარებდა შვილის მეცნიერული მიღწევები. მახსოვს, როგორი აღფრთოვანებით შეხვდა კონსტანტინე კონსტანტინეს მის სადოქტორო დისერტაციის დაცვას; იმასაც მოესწრო, რომ შვილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს. თეატრალურ ცხოვრებას, მართალია, გათხოვებისთანავე მოწყდა, მაგრამ ყოველთვის თეატრით ცოცხლობდა, აქტიურად მონაწილეობდა საზეიმო საღამოების მოწყობასა და ჩატარებაში ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში და სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. სამწუხაროდ ბუნებას ასე დაუდგენია — ამ ქვეყანაზე ყველაფერი წარმავალია. ნადეჟდა დიმიტრის ასულმა ქმრის გარდაცვალების შემდეგ თითქმის ოცდაათი წელი იცოცხლა. ახლა ორივე — კონსტანტინე ალექსანდრეს ძე და ნადეჟდა დიმიტრის ასული უკვე იმ ქვეყანას ეკუთვნიან. თუმცა მათი საფლავები ერთი მეორეს ათასეული კილომეტრითაა დაშორებული, მაგრამ თუ განგება არსებობს, მჯერა, იმ ქვეყნად ერთმანეთს იპოვნიან. კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, მართალია, საქმეებით ძალზე დაკავებული იყო, მაგრამ დედის საფლავს უყურადღებოდ არ ტოვებდა. მე, როგორც ხედავთ, ღრმად მოვხუცდი, მაგრამ წელიწადში რამდენჯერმე მაინც ვნახულობ ჩემი ნადიას საფლავს. სამწუხაროდ მის მიდამოში აღარ დარჩა ადგილი ახალი სამარის გასათხრელად. გათხოვთ კარგად გამიგოთ, იქ ადგილი აღარაა არც კონსტანტინე კონსტანტინეს ძისთვის და არც ჩემთვის”.

“იქნებ გსურთ, რაიმე სხვა ვარიანტი მოგვაწოდოთ, ქალბატონო”?

“გერმანელების სასაფლაოზე არსებობს კიდევ ერთი ადგილი, სადაც მარჯანიშვილების უახლოესი ადამიანი განისვენებს, კონსტანტინე კონსტანტინეს ძის მამიდა”, — ამ სიტყვების წარმოთქმაზე ჟივოკინის ქალი თითქოს შეეოვნდა და თანაც მეტისმეტი ყურადღებით მომაპყრო მზერა.

“კონსტანტინე კონსტანტინეს ძეს თუ მამიდა ჰყავდა, არც კი ვიცოდი”(!) — გაკვირვებით წარმოვთქვი მე.

“ჩვენ კი ვიცოდით, მაგრამ ვდუმდით. სასაფლაოს ის უბანი, სადაც კონსტანტინე კონსტანტინეს ძის მამიდა განისვენებს, მოსკოვის საპატრიარქოს ეკუთვნის და თუ იქ ამჟამად ვინმეს ასაფლავებენ, უთუოდ მაღალი ჩინის სასულიერო პირს”.

სტუმარს განვუცხადე, რომ კომისია ყველაფერს გააკეთებს კონსტანტინე კონსტანტინეს ძის ღირსეულად დასაფლავებისთვის, მაღლობა მოვახსენე რჩევისთვის და დავემშვიდობე.

ცნობისმოყვარეობამ წამძლია და მეორე დღეს საგულდაგულოდ წავედი მოსკოვის გერმანელთა სასაფლაოს მოსანახულებლად. ჟივოკინების საფლავთა უბანს ვერაფრით ვერ მივაკვლიე, სამაგიეროდ ადვილად მოვძებნე მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული უბანი, სადაც სრულიად შემთხვევით წავაწყდი ერთ ძალზე უბრალოდ გაფორმებულ საფლავს, რომელზეც აღმართულია ხის დიდი ჯვარი წარწერით:

Тамара Александровна Марджанова

1.IV1869

23.VI1936

Веруя в Мя

Иметь живот вечный.

Иоан, 6,47.

ამ რამდენიმე სიტყვამ ჩემს შეგნებაში წარმოშვა ფიქრები იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდი საიდუმლოება უნდა იყოს დამარხული მოსკოვის გერმანელთა სასაფლაოზე ალექსანდრე მარჯანიშვილის ასულთან ერთად. დამკრძალავმა კომისიამ ნებართვა ვერ მიიღო კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მარჯანიშვილის მოსკოვის პრესტიჟულ ნოვოდევიჩის სასაფლაოზე დასაკრძალავად. სამაგიეროდ შემოგვთავაზეს ადგილი მეცნიერებათა აკადემიის რიგით წევრთათვის განკუთვნილ კუნცევოს სასაფლაოზე, რომელიც ნოვოდევიჩის სასაფლაოს ფილიალადაა მიჩნეული. ასეთ ვითარებაში თბილისში დაკრძალვის ვარიანტს გარკვეული უპირატესობა აღმოაჩნდა. პანაშვიდი გადახდილი იქნა ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, ხოლო კრემაცია შედგა დონის მონასტრის მახლობლად მდებარე კრემატორიუმში. მოსკოვში მიღებულია ფერფლიანი ურნის ჭირისუფლებისთვის გადაცემა კრემაციის დღიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ. დამკრძალავი კომისიის დავალებით მე დაუყოვნებლივ დავუკავშირდი საქართველოს მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველს ირაკლი ანდრიაძეს, რათა მას მოესინჯა ამ გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის საქართველოში გადასვენების შესაძლებლობა. თბილისიდან პასუხი არ დააყოვნეს. ადგილობრივმა მინისტრთა საბჭომ იქაც გამოყო დამკრძალავი კომისია, რომლის შემადგენლობაში მეც შემიყვანეს. აპრილში ურნა კ. კ. მარჯანიშვილის ფერფლით ოფიციალურად გადაასვენეს თბილისში. ა. მ. რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტში პანაშვიდის შემდეგ ის დიდუბის პანთეონში დაასაფლავეს.

ამ დღეებში, კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მარჯანიშვილის გარდაცვალებიდან თითქმის 9 წლის შემდეგ შემთხვევით მის უახლოეს ნათესავთა გენეალოგიის გაცნობის შესაძლებლობა მომეცა.

მარჯანიშვილების გვარი საქართველოში საკმარისად ყოფილა გავრცელებული ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. მათ შორის იყვნენ აზნაურებიც და გლეხებიც. აზნაური მარჯანიშვილები ქუთაისში ცხოვრობდნენ. ამ ქალაქში ბაგრატიის ტაძრის ახლოს მდებარე სასაფლაოზე დღესაცაა შემორჩენილი მიცვალებულთა საფლავებზე აღმართული ძეგლები წარწერებით: “აქ განისვენებს სეკუნდმაიორი ... მარჯანიშვილი”, “საიდუმლო მრჩეველი ... მარჯანიშვილი” და სხვ.

მარჯანიშვილებმა სამშობლოს არაერთი სასახელო შვილი აღუზარდეს. მათ განეკუთვნებოდა საკმარისად მაღალი რანგის ინჟინერი ალექსანდრე მარჯანიშვილიც. ერთხელ კახეთში თავის ყვარლელ მეგობრებთან სტუმრობისას მას გაუცვნია ადგილობრივი მდიდარი მემამულის ნიკო ჭავჭავაძის ასული ელისაბედი (ლიზა), რომელზედაც კიდევ დაქორწინებულა ერთი წლის შემდეგ. ელისაბედ და ალექსანდრე მარჯანიშვილებს ჩქარა შთამომავლობაც შექმნიათ. 1869 წელს დაბადებიათ ქალიშვილი, რომლისთვისაც თამარი დაურქმევიათ, სამი წლის შემდეგ — ვაჟი კოტე (კონსტანტინე), მოგვიანებით კი — ზედიზედ ორი ქალიშვილი.

სამსახურებრივი მდგომარეობა აიძულებდა ალექსანდრე მარჯანიშვილს, ხშირად ცოლ-შვილისგან მოშორებულად ეცხოვრა, რაც ალბათ უარყოფით გავლენას ახდენდა მისი ოჯახის ბედნიერებაზე.

1984 წელს მამის რჩევით ელისაბედ მარჯანიშვილმა ითავა, აღენიშნა თავისი პირმშოს — თამარის დაბადებიდან 15 წლისთავი. ისე მოხდა, რომ ამ ზეიმს ალექსანდრე მარჯანიშვილი ვერ დაესწრო, მაგრამ სამაგიეროდ მისი სახელით თამარმა დედისგან მიიღო საუკეთესო სურვილები და საჩუქარი. იუბილარისადმი განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა ილია ჭავჭავაძემ (ძია ილიამ), რომელიც ნიკო ჭავჭავაძის კარის მეზობლად ითვლებოდა. ზეიმის დამთავრების შემდეგ დედამ თამარს გაანდო საიდუმლო, რომელსაც 20 წლის განმავლობაში ინახავდა.

კახეთის თავადთა შორის ჭავჭავაძეების გვარი, უკვე რამდენიმე საუკუნეა, ქება-დიდებათ მოიხსენიება. ამ გვარს სამი შტო ჰქონია. პირველს შეადგენდნენ წინანდლის მფლობელი ჭავჭავაძეები, რომელთა შორის პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე ალექსანდრე ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიაში კარგადაა ცნობილი. მეორე შტოს განეკუთვნებოდნენ ყვარლისა და მიმდებარე სოფლის მებატონე ჭავჭავაძეები. ყვარელში ყველაზე მდიდარი მემამულე გახლდათ ნიკო ჭავჭავაძე. ამბობენ, რომ ჭავჭავაძეების მესამე შტო კახეთის მთიანეთიდან ჩამოსახლებულა ყვარელში. ადგილ-მამულისა და სიმდიდრის მიხედვით ისინი ჭავჭავაძეთა მეორე შტოს საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ. ჭავჭავაძეების ამ შტოთა წარმომადგენლები იყვნენ ლიზას მამა ნიკო და ილიას მამა გრიგოლი. მათმა ახლო მეზობლობამ განაპირობა ის გარემოება, რომ ბავშვობისას ლიზა და ილია ერთად იზრდებოდნენ, ყრმობის წლებში კი ერთმანეთი შეუყვარდათ. ნიკო ახალგაზრდა ქალ-ვაჟის შეუღლების წინააღმდეგი წავიდა ვითომდა იმის გამო, რომ გრიგოლ ჭავჭავაძე ხელმოკლედ ცხოვრობდა. ამ საქმის ჩაშლაში სინამდვილეში მთავარი როლი ითამაშა სწავლის გასაგრძელებლად ილიას ხანგრძლივი ვადით წასვლამ პეტერბურგში. ილია ჭავჭავაძემ პეტერბურგში რამდენიმე წელი დაჰყო. პირველი წლის განმავლობაში მას რეგულარული მიწერ-მოწერა ჰქონდა ლიზასთან ფოსტის საშუალებით. განშორების წლებმა ჭაბუკსა და ქალიშვილს შორის სიყვარული საგრძნობლად შეანელა და ბოლოს კიდევ ჩააცხრო. დედამ თამარს აჩვენა პეტერბურგიდან მისთვის გამოგზავნილი რამდენიმე წერილი, მათ შორის განსაკუთრებით სათუთად შენახული მისდამი მიძღვნილი “გახსოვს, ტურფავ”. დედის ამ საიდუმლოს გაგების შემდეგ თამარის თვალი ძია ილია სათაყვანებლ არსებად იქცა. თორმეტი წლის კოტე მარჯანიშვილმა, რასაკვირველია, არაფერი იცოდა. შემდეგ... შემდეგ კი ალბათ დედის უდროოდ გარდაცვალების გამო ყველაფერი დისგან შეიტყო.

თავისი დროის უდიდესი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის დრამატიზმით სავსე ცხოვრება ახლა კარგადაა ცნობილი. არანაკლებ დრამატული იყო თამარ მარჯანიშვილის ცხოვრებაც.

ჯერ დედ-მამის, ხოლო შემდეგ ქმრის უდროოდ გარდაცვალებამ ელისაბედ ჭავჭავაძე-მარჯანიშვილისა აიძულა, ოჯახის მეთაური გამხდარიყო. ვრცელი, მდიდარი მამული მამაკაცურ პატრონობას საჭიროებდა, კოტე ჯერ ისევ ყრმობის წლებში იდგა და თანაც მას არ გამოჰყვა მემამულეობისადმი მიდრეკილება. ასეთ პირობებში ელისაბედმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ შვილებისთვის ობლობა შეემსუბუქებინა. თბილისიდან, რუსეთიდან, საზღვარგარეთიდან მან საუკეთესო სპეციალისტები მოიწვია შვილების აღსაზრდელად და განსასწავლად. ბავშვობიდანვე თამარს აღმოაჩნდა მუსიკალური ნიჭი, ქალიშვილობაში —

საუკეთესო ხმა, კოტე სასცენო ხელოვნებამ გაიტაცა, პატარა გოგონები კი გუვერნანტი ქალების ხელმძღვანელობით იწვრთნებოდნენ.

სილამაზითა და ჭკუა-გონებით განთქმული თამარ ალექსანდრეს ასული მარჯანიშვილი მოსკოვის კონსერვატორიაში სასწავლებლად გაემგზავრა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო გადაიფიქრა და გადაწყვიტა, პეტერბურგში ქალთა უმაღლეს (ბესტუჟევის) კურსებზე შესვლა. იმ დროს პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში ხუთასამდე ქართველი ქალიშვილი და ჭაბუკი ღებულობდა განათლებას. მათ სატახტო ქალაქში სათვისტომოც კი დააარსეს, რომელსაც მზრუნველობას არ აკლებდნენ იმპერატორთან დაახლოებული ისეთი გავლენიანი პირები, როგორებიც იყვნენ მ. მ. ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი), ი. ა. ნაკაშიძე, ნ. ი. და ნ. ნ. ჩოლოყაშვილები და სხვები. ქველმოქმედებით ამ საქმეში მათ არც ქართული წარმოშობის ფრეილინები ჩამორჩებოდნენ. სწორედ ამ უკანასკნელთა მეშვეობით გაიცნო თამარმა დედოფალი მარია ფიოდოროვნა (დანიელი პრინცესა დაგმარი, იმპერატორ ალექსანდრე III-ის მეუღლე და მომავალი იმპერატორის ნიკოლოზ II-ის დედა), ცესარევიჩ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის მეუღლე ალექსანდრა ფიოდოროვნა (ჰესენ-დარმშტადტის პრინცესა ალისა), მისი და ელლა და უმაღლესი წრის სხვა მანდილოსნები და ქალიშვილები.

მეოცე წელში გადამდგარმა თამარმა პეტერბურგში შეიტყო საყვარელი დედის გარდაცვალება და განუყრელი მეგობრის, კადეტთა კორპუსის კურსანტ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის თანხლებით დაუყოვნებლივ მიაშურა ყვარელს, სადაც უკვე დახვდა ღრმა მისამძიმრების დეპეშები პეტერბურგელი და მოსკოველი მეგობრებისგან.

თეატრით გატაცებული უკვე სრულწლოვანი ძმის დაჟინებული მოთხოვნით თამარი იძულებული გახდა, მარჯანიშვილების მამულის ერთმმართველობა ეთავა. აქ ის აღმოჩნდა საქართველოში მომქმედ იმ "რევოლუციონერთა" პირისპირ, რომლებმაც ვერ დაიყოლიეს მისი ბაბუის ყოფილი ყმები — უკვე თავისუფალი გლეხები მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რის გამოც მათთან აშკარად მტრობა დაიწყო. მათ მიერ მოსყიდული ჩრდილოკავკასიელ მთიელთაგან შემდგარი ბანდები აწიოკებდნენ ყვარელს გლეხობას. თამარ მარჯანიშვილი მეზობელ გლეხთა დაცვის ორგანიზატორი გახდა. "რევოლუციონერთან" მისი დამოკიდებულება კიდევ უფრო გაართულა სამწუხარო ცნობამ იმის შესახებ, რომ ელიზავეტა ფიოდოროვნას (ჰესენ-დარმშტადტის პრინცესა ელლას) "რევოლუციონერმა" ტერორისტმა თითქმის თვალწინ მოუკლა ქმარი — სერგეი რომანოვი. ამას დაერთო მისი საყვარელი ძია ილიას — ქართველი ერის სულიერი მამის ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობა წინამურთან. ეს აქტი "რევოლუციონერთა" იმ ჯგუფს მიეწერებოდა, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში იყვნენ გაერთიანებული და რომელთა ზოგიერთ ბელადს ის ჯერ კიდევ მოსკოვსა და პეტერბურგში ყოფნისას იცნობდა და ერთ დროს თანაუგრძნობდა კიდევ. "რევოლუციონერ" ტერორისტთა წინააღმდეგ მეფის მთავრობის რეაქციას თან მოჰყვა გაუთავებელი სისხლისმღვრელი შეტაკებები. ასეთ ვითარებაში მშვიდობის აღსადგენად თამარმა განიზრახა, რელიგიას დაყრდნობოდა.

არც სიყვარულში აღმოაჩნდა ბედი თამარს. ორ ქართველ ვაჟკაცთაგან ის, რომელიც მას მოსწონდა და უყვარდა კიდევ, არ უთანაგრძნობდა, ხოლო ის, რომელსაც თამარი მოსწონდა და თავდავიწყებით უყვარდა, მასზე გაცილებით უმცროსი იყო.

ალბათ ყველაფერ ამის გამო თამარ მარჯანიშვილიმა მიიღო ყველასთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება — თავისი სიცოცხლე მონასტრულ ღვთისმსახურებაში გაეტარებინა. ის კარგად იცნობდა ბოდბის წმინდა ნინოს

სახელობის ქალთა მონასტრის ილუმენიას და სწორედ მასთან მოუხშირა სტუმრობა. ჯერ ამ მონასტერს მატერიალური და ფულადი დახმარება აღმოუჩინა, შემდეგ იქვე მონაზვნად აღიკვეცა. რამდენიმე წლის შემდეგ უკვე დედა ფამარად წოდებული თამარ ალექსანდრეს ასული მარჯანიშვილი ბოდბის მონასტრის წინამძღვარი გახდა. ამის შემდეგ ჩქარა ფამარი მოსკოვში გადავიდა და იქ შეუდგა განდევნილ ქალთა უდაბნოს ორგანიზაციის საქმეს. გავლენიანი მეგობრების მხარდაჭერით მოსკოვის მახლობლად მის განკარგულებაში აღმოჩნდა შესანიშნავი ადგილი სერაფიმო-ზნამენსკოეს სახელწოდებით. მდინარის მახლობლად ფიჭვისა და ნაძვის ტყეებით მოსილ გორაკებზე მას გამოუყვეს რამდენიმე ჰექტარი ფართობი, საგულდაგულოდ შემორაგული კირითა და აგურით ნაშენი მაღალი კედლით. რაგვის შიგნით ერთი წლის შემდეგ აღმართეს მშვენიერი ტაძარი, ხოლო მის გარშემო — 12 ცალ-ცალკე მდებარე სახლი (რიცხვი 12 ქრისტეს მოციქულთა რაოდენობას მიანიშნებდა). ამასთან ერთად იმპერატორ ნიკოლოზ II-ის განკარგულებით და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის შემწეობით გამოინახა სახსრები 33 მონაზონი ქალის მისაღებად განდევნილთა უდაბნოში (რიცხვი 33 ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების წელთა რაოდენობას აღნიშნავდა), ხოლო ილუმენიად ხელდებული იქნა დედა ფამარი.

იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა თავს. მის ერთადერთ ვაჟს ალექსის უკურნებელი სენი — ჰემოფილია აღმოაჩნდა. ვერც მეცნიერულმა და ვერც ხალხურმა მედიცინამ ვერ უშველა. ისღა დარჩათ, ექსტრასენსებისთვის მიემართათ. სწორედ ამ გზით ტობოლსკელმა გაუნათლებელმა, უმნიშვნელო რანგის სასულიერო პირმა გრიგორი რასპუტინმა (ნამდვილი გვარი — ნოვიხი) ითავა ცესარევიჩის განკურნება და შეუდგა “სასწაულმოქმედებას”. სულ ჩქარა ის აღმოჩნდა დედოფალთან “უცნაურ” სიახლოვეში, რაც “საფრთხეს უქადდა” იმპერიას. ამით შემფოთებული მაღალი წრეების წარმომადგენლები შეეცადნენ, შეემუშავებინათ ღონისძიებები მეფის სასახლიდან რასპუტინის განსადევნად. “შეთქმულთ” აკუთვნებდნენ ქვრივ დედოფალს მარია ფიოდოროვნას, სერგი რომანოვის ქვრივს ელიზავეტა ფიოდოროვნას, დიმიტრი რომანოვს (დიდ მთავარს), რუსეთის არისტოკრატთა შორის ყველაზე მდიდარს — თავად ფელიქს იუსუპოვს და სხვებს. რუსეთში მოღვაწე გავლენიან ქართველთაგან ამ საქმის კურსში იყვნენ მ. ანდრონიკოვი, ი. ნაკაშიძე და, რაც მთავარია, ილუმენია ფამარი. რასპუტინის გავლენის გასაწონასწორებლად ილუმენია ფამარმა ავადმყოფი ცესარევიჩი დაასაჩუქრა “სასწაულმოქმედი” ქართული პატარა ხატით, რომელზედაც გამოსახული იყო ღვთისმშობელი ჩვილი იესოთი ხელში. ამბობენ, რომ ეს ხატი, სადაც არ უნდა წასულიყო ცესარევიჩი, მუდამ თან დაჰქონდა და ღამით სასთუმალთან ეკიდა.

სიფხიზლე არც რასპუტინს აკლდა. მან საიდუმლოდ დაიახლოვა მ. ანდრონიკოვი და მისი საშუალებით ბალზაკურ ასაკში შესული ქვრივი დედოფალი მარია ფიოდოროვნა ინტიმურ ვითარებაში არაერთხელ შეახვედრა რუსეთის არმიის სამედიცინო სამსახურის უფროსს — ახოვან გენერალ ი. ნაკაშიძეს. ამან არანაკლები მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ვიდრე რასპუტინის “საქმემ”. საზოგადოებრივი აზრის დასაშოშმინებლად მარია ფიოდოროვნა და ი. ნაკაშიძე იძულებული შეიქნენ, მორგანატული ქორწინებით შეუღლებულიყვნენ.

ამ მდგომარეობას განსაკუთრებით განიცდიდა ილუმენია ფამარი, რომელიც ქალიშვილობაში მეტად სიმპატიურად იყო განწყობილი ი. ნაკაშიძისადმი. რასპუტინის მომხრეებმა ეს იცოდნენ და ცდილობდნენ, როგორმე ჩრდილი

მიყენებინათ ილუმენიას რეპუტაციისთვის. ალბათ ამის გამო იყო, რომ ფამარს არ სურდა, გაეხსენებინა ის მიზეზები, რომლებმაც მას ერისქალობაზე ხელი ააღებინეს, განსაკუთრებით კი საბაბი, რომელმაც ის საქართველოდან მოსკოვში გადახვეწა.

მნელია, სიტყვებით აღიწეროს ის როლი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს ფრონტებზე თუ ღრმა ზურგში განლაგებული სამხედრო ჰოსპიტალების საქმიანობაში შეასრულა ნებით თუ იძულებით ღვთის მსახურად ქცეულმა რუსეთის მართლმადიდებლურმა მონაზონებმა. მრავალი მონაზონი განგმირა მტრის ტყვიამ, როცა მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცები და ოფიცრები ზურგზე მოკიდებული გამოყავდათ ცეცხლის ხაზიდან. უშიშრად, თავდადებით, თითქოს სიკვდილმოწყურებული დატრიალებდნენ ისინი ბრძოლის ქარცეცხლში. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სერაფიმო-ზნამენსკოეს ქალთა უდაბნოს წარგზავნილები ილუმენია ფამარის ჩათვლით. სამხედრო ნაწილებში, სადაც კი გამოჩნდებოდა ფამარის ამაღლა, რომელსაც ხშირად თან ახლდნენ ნიკოლოზ II-ის უფროსი ქალიშვილები ოლგა და ტატიანა, ყველას ანცვიფრებდა მონაზვნის სამოსელში გახვეული ამ მშვენიერების გონიერება და სიმხნევე. აქ არავინ უწყდა, თუ ვინ იყო ის ერისქალობაში, ან რამ აიძულა, ხელი აეღო ამქვეყნიურ სიამეზე და ღვთისმსახურებისთვის შეეწირა თავისი ქალობა. “დედა ფამარი მობრძანდა”, “დედა ფამარი დაგვირდა”, “დედა ფამარი გვიშველის”, გაისმოდა ფრონტზე თუ ფრონტისპირეთში მოფუსფუსე მონაზონთა შორის სასოებით წარმოთქმული ეს სიტყვები. ყველგან და ყოველთვის მისი გამოჩენაც კი დიდ იმედად იყო მიჩნეული.

სერაფიმო-ზნამენსკოეს უდაბნოს მეზობლად გაშენებულ სავანეში ომის დაწყებისთანავე განათავსეს არმიის ერთ-ერთი მთავარი ჰოსპიტალი. აქ უკვე ფამარის ავტორიტეტი ჰოსპიტალის უფროსის ავტორიტეტსაც კი არ უდებდა ცალს. 1914 წლის აგვისტოში ფრონტზე დაჭრილთა პირველი ეშელონი, რომელიც ჰოსპიტალმა მიიღო, შედგებოდა ეგრეთ წოდებული “მეგრელთა პოლკის” ერთი ასაკის, გუშინ ერთნაირად ახოვან, დღეს კი დაუნდობლად დაგლეჯილ და დასახიჩრებულ ქართველ ვაჟკაც მხედართაგან. ფამარმა ყველაფერი იღონა მათ გადასარჩენად. რამდენიმე დღის განმავლობაში მათთვის ქირურგიული ოპერაციების ჩატარებისას ასისტენტობდა კიდევ. იმ დღეებში არმიის მთავარსარდლობის დავალებით ჰოსპიტალს ესტუმრა გენერალი ი. ნაკაშიძე. ის არ მოელოდა ესოდენ თითქმის საომარ ვითარებაში სერაფიმო-ზნამენსკოეს განდეგილ ქალთა უდაბნოს ახლა უკვე ილუმენია ფამართან შეხვედრას, ამ მკაცრი სამონასტრო რეჟიმის მქონე სასულიერო დაწესებულების განსაკუთრებული დანიშნულების გამო. მას მოსწონდა მაღალ გორაკზე გაუვალ ტყეთა შორის განცალკევებულად მდგარი, ციხე-სიმაგრის მსგავსი კედლებით გარსშემორტყმული სერაფიმო-ზნამენსკოეს უდაბნო. მარია ფიოდოროვნასგან იცოდა, რომ უდაბნო საგანგებო წესდებით (ტიპიკონით⁵⁶) მოქმედებს. აქ განდეგილად შეიძლება მოხვდეს მხოლოდ ის, ვინც ქალიშვილობაში შესაბამის წვრთას გაივლის კრემლის ჩუდოვის მონასტერში მოღვაწე ეპისკოპოს არსენ სერპუხოველის ხელმძღვანელობით. მისი დაარსებიდანვე (1912 წლიდან) უდაბნოს წინამძღვრობს მდიდარი სასულიერო გამოცდილების მქონე დედა ფამარი. უდაბნოს ტაძრის ირგვლივ მდგარ პატარა სახლებში იმყოფებიან თავიანთი ნებით ამქვეყნიური ცხოვრებიდან სრულიად განდგომილი დები, 3-3 ყოველ სახლში. მათი საერთო რაოდენობაა 33, ისე რომ დათა შორის უხუცესთაგან 3-ს ექვემდებარება 10-10

⁵⁶ ტიპიკონი (ბერძ. typikon) _ქრისტიანული ღვთისმსახურების გარკვეული და სავალდებულო წესის შემცველი ლიტურგიკული წიგნი. ცნობილია 2 სახის წესი _ სამრევლო და სამონასტრო.

და. ათეულში გაერთიანებული დები საუბრობენ მხოლოდ უხუცეს სულიერ დასთან, ერთმანეთს შორის კი — საგანგებო ნებართვით. ყოველ დას აქვს თავისი საკანი. დები საკანში ერთმანეთთან სტუმრობის უფლებას მოკლებულნი არიან. გარედან მოსულ ღვთისმოსავ ქალებს უდაბნოში მხოლოდ სადად ჩაცმულთ, თავსაკრავით შესვლის უფლება აქვთ. მამაკაცები შესვლის უფლებას მოკლებულნი არიან. ყოველი კვირის სამარხვო დღეებში — ოთხშაბათს და პარასკევს გარედან შემთხვევით მოსულ ღვთისმსახურ ქალთათვისაც კი უდაბნოს კარი მთლიანად ჩაკეტილია. საამისო ვადის გასვლის შემდეგ განდევნილი ქალები ნაღვლიანად აღებენ უდაბნოს კარს. მისთვის, ვისაც კი მორიგეობით გარკვეული დანიშნულებით უდაბნოდან დროებით გასვლა მოუწევს, ეს ყველაფერზე უფრო არასასურველია. განდევნილთა ღვთისმსახურება იწყება საღამოს 11 საათზე და მთავრდება ნაშუადღევის მესამე საათზე. დილის ღვთიური ლიტურგია იწყება 6 საათზე, საღამოს საერთო ღვთისმსახურება კი — წესდებით (ტიპიკონით) ნაჩვენებ, სეზონური დროის მიხედვით დადგენილ საათებში. განდევნილთა არსებობის შინაარსს შეადგენს ლოცვა მიწიერი ყოფისგან სრულიად განდგომით. მათზე ზრუნავენ მონაზვნები უდაბნოს მახლობლად სპეციალურად გაშენებულ ქალთა მონასტრიდან.

მნელი წარმოსადგენია, ერისქალობაში ისეთი რა დიდი განცდა შემთხვეოდა სიცოცხლითა და მშვენიებით სავსე თამარ მარჯანიშვილს, რომ უარი ეთქვა ქალისთვის ბუნებით დადგენილ დანიშნულებაზე და განდევნილობის ესოდენ მკაცრი რეჟიმი აერჩია, მით უფრო, რომ მას უთუოდ წაკითხული ჰქონდა ილია ჭავჭავაძის პოემა “განდევნილი”.

სერაფიმო-ზნამენსკოეს უდაბნოს დიდხანს არ უარსებია. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ჩქარა ის გაუქმდა საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებით (1924 წელს). განდევნილი ქალები მიმოიფანტნენ. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მხარდაჭერით ფამარს მოსკოვის მახლობლად სოფელ პერხუმკოვოში პატარა აგარაკი გამოუყვეს.

საბჭოთა ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან გაფრთხილების მიუხედავად ფამარმა ახალ სამყოფელშიც არალეგალურად სცადა პატარა უდაბნოს მოწყობა, რაც მას ძვირად დაუჯდა. ბოლშევიკური რეპრესიების პირველი სუსხი მან ძირითადად იმ კავშირის გამო იგემა, რომელიც მას 1924 წელს საქართველოში საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ აჯანყებულებთან დაბრალდა.

მნელია ახლა იმის დადგენა, თუ რა პოლიტიკურ თვალსაზრისზე იდგა მაშინ ილუმენია ფამარი. ერთი რამ კი ცხადია, მას ჯერ კიდევ გადატრიალებამდე არ მოწონდა რეჟიმი, რომელსაც “ბურჯად” ციმბირელი “მუჟიკი” ედგა. არ უთანაგრძობდა სოციალ-დემოკრატებსაც. პირიქით, როგორც ითქვა, მათ წინააღმდეგ სიძულვილი მას ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით შთაენერგა. მსოფლიო ომის წლებში სამშობლოსადმი ღალატად მიაჩნდა არმიის ნაწილებში ბოლშევიკების, მენშევიკებისა და ესერების სააგიტაციო მოწოდებები ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. სურდა, მათ წინააღმდეგ გაელაშქრა, ეძებდა მოკავშირეს... საქართველო? ნუთუ მან სამშობლო დაივიწყა? არა, ის ზრუნავდა საქართველოსთვის, სწორედ მის სახსენლად ესაჭიროებოდა მას მოკავშირე, მაგრამ მოკავშირე არ ჩანდა.

რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ არ მიიღო 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალება. უფრო მეტიც, ის მას ანტაგონისტურად შეხვდა. 1918 წელს ეკატერინბურგსა და ალაპაევსკში მეფის ოჯახისა და ნათესავების განურჩევლად, დიდიან-პატარიანად ამოჟლეტის შემდეგ ბოლშევიკების წინააღმდეგ ხმა აღიმალდა

თითქმის ყველა გამოჩენილმა სასულიერო პირმა. ამას თან მოჰყვა სასტიკი რეპრესიები მთავრობის მხრიდან. სასულიერო კულტის ბევრი მსახური დახვრიტეს, კიდევ უფრო მეტი საპატიმროებსა და გადასახლებაში აღმოჩნდა. დაარბიეს სერაფიმო-ზნამენსკოეს განდევნილ ქალთა უდაბნო, მისი წინამძღვარი კი, როგორც უკვე აღინიშნა, ჯერ-ჯერობით მოსკოვიდან არც თუ ისე შორს, პერხუშკოვოში გადაასახლეს.

თითქოს დაუჯერებელია, რომ ესოდენ სასტიკ დიქტატორულ რეჟიმს წინ აღუდგა მონასტრის წინამძღვარი და ისიც ქალი. 1927 წელს, ოქტომბრის “რევოლუციის” 10 წლისთავთან დაკავშირებით ზოგიერთი პოლიტპატიმარი გაათავისუფლეს, ბევრი გადასახლებიდან დაბრუნდა. ფამარმაც მოინდომა, დაბრუნებოდა სერაფიმო-ზნამენსკოეს, მაგრამ ამაოდ. ამჯერად მას დაბრალდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით საქართველოში საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ გამოსულ გლეხთადმი თანაგრძნობა, რის გამოც ის დააპატიმრეს და 1931 წელს ციმბირში გადაასახლეს.

როგორც ცნობილია, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ კოტე მარჯანიშვილი სამშობლოში დაბრუნდა და შეუდგა ახალი ქართული თეატრის შექმნას. 1922 წლის 25 ნოემბერს ქართული საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა ლოპე დე ვეგას “ფუნტე ოვეხუნას” (“ცხვრის წყაროს”) მარჯანიშვილისეულ დადგმას რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე. შემოქმედებითი წარმატებები კოტე მარჯანიშვილს ძალ-ღონეს მატებდა, მაგრამ ახლობლები ამჩნევდნენ, რომ მას რაღაც, ხელოვნებისგან სრულიად მოშორებული, მოსვენებას არ აძლევდა. არავინ არ იცოდა, რაში იყო საქმე. კოტეც დუმდა. როგორც ჩანს, ვერც მეორე ქორწინებაში (ელენე დონაურთან) ჰპოვა სულიერი სიმშვიდე.

იდგა მაისის მშვიდი, მზიანი, მაგრამ ჯერ კიდევ გრილი დილა, როცა თბილისში კ. მარჯანიშვილის ბინის ზღურბლს მიადგა საშუალო ასაკის, გახუნებული, ერთ დროს ალბათ შავი ფერის ტანსაცმლით მოსილი ფერმკრთალი ქალი. კარი ელენე დონაურმა გაუღო.

“ქალბატონო! ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, მე...” — და წინადადების დამთავრებაც კი ვერ მოასწრო უცნობმა, რომ გაისმა დიასახლისის ლმობიერი ხმა:

“აქ მომიცადეთ! მე ახლავე დავბრუნდები”, — და ის იყო, კარი უნდა მიეხურა და მოწყალების გამოსატანად ბინაში დაბრუნებულიყო, რომ კვლავ გაისმა:

“ქალბატონო! მოწყალებისთვის არ მოვსულვარ, ბატონი კოტე მინდა ვნახო”.

როგორც ჩანს, უცნობის ხმამ სასტუმრო ოთახში მყოფ კოტემდეც მიაღწია და ის მსწრაფლ მიიჭრა ბინის შესავალ კართან.

“მე ვარ კოტე, თქვენ ჩემი ნახვა გსურთ?”

“დიახ, ბატონო კოტე”!

“მაშ მობრძანდით”, — ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე კოტემ კარი ფართოდ გააღო და უცნობი ბინაში შესასვლელად მიიწვია. ელენე დონაური სტუმარს მისაღებ ოთახში შეუძღვა, კოტე მას თან მიჰყვა. დიასახლისმა მოიბოდიშა, რომ გადაუდებელი საქმის გამო იძულებულია, სტუმარი მეუღლესთან მარტო დატოვოს და სასწრაფოდ გავიდა ბინიდან.

“რა საქმის გამო გარჯილხართ და რით შემოიძლია გემსახუროთ, ქალბატონო?” — ჰკითხა კოტემ სტუმარს.

“მე ამ ქვეყნად არავითარი საქმე აღარ მაინტერესებს, გარდა ერთისა, მოვიხადო ჩემი მოქალაქეობრივი ვალი”.

“მოქალაქეობრივი ვალი? მითხარით, რა ვალი გადევთ და ვის წინაშე დაგჭირდათ მისი მოხდა?”

“მე ერთადერთი ვალი დამრჩა მოსახდელი, ვალი თქვენი დის წინაშე”.

“ჩემი დის წინაშე? ჩემი რომელი და გყავთ მხედველობაში?”

“მე ვიცი, რომ თქვენ გყავთ უფროსი და თამარი, მაგრამ ვაი იმ ყოფას, რომელშიც ის ახლათ ჩავარდნილი”.

ამ სიტყვების გაგონებისთანავე კოტე განერვიულდა, შესამჩნევი აღელვებით პაპიროსს მოუკიდა, ბოლი ღრმად შეისუნთქა და აღელვებით მიმართა უცნობს:

“ქალბატონო! თქვენ რაიმე დავალებით ხომ არა ხართ ჩემთან მოგზავნილი?”

“დიახ! ღვთის დავალებით ვარ გულდაგულ თქვენთან მოგზავნილი”.

“გააგრძელეთ, ქალბატონო, გააგრძელეთ”!

“მე გახლავართ ჭიათურის მახლობლად მდებარე მღვიმევის დედათა მონასტრის მონაზონყოფილი, მხევალი ღვთისა ნინო. 1924 წლის გამოსვლების დამარცხებისთანავე დამაპატიმრეს. ბრალად დამდეს ბოლშევიკების წინააღმდეგ აჯანყებულთა საბრძოლო იარაღით მომარაგება. ყოველგვარი გასამართლების გარეშე გადამასახლეს. ერთი წლის წინათ ჩვენთან ციმბირში მოიყვანეს სერაფიმო-ზნამენსკოეს განდევნილ ქალთა უდაბნოს წინამძღვარი, ყოვლად უწმინდესი ილუმენია ფამარ, ქალიშვილობაში თამარ მარჯანიშვილი”.

წინადადების დამთავრებაც კი ვერ მოასწრო მონაზონყოფილმა სტუმარმა, რომ უკანასკნელი სიტყვის გაგონებისთანავე კოტეს ფერი ეცვალა. ჯერ გაფითრდა, შემდეგ კი მთლად აენთო.

“თქვენ ამბობთ, რომ იცნობთ ილუმენია ფამარს, ჩემს დას? გააგრძელეთ, გააგრძელეთ”!

“დიახ, ვიცნობ ფამარს, ერისქალობაში თამარ ალექსანდრეს ასულ მარჯანიშვილს, რომელიც 1912 წლიდან მოღვაწეობდა განდევნილ ქალთა სერაფიმო-ზნამენსკოეს უდაბნოში მოსკოვის მახლობლად. საკუთარი ნიჭისა და უერთგულესი ღვთისმსახურების შედეგად მან სწრაფად მოიხვეჭა უზარმაზარი ავტორიტეტი და 1914 წელს ილუმენია გახდა. სარწმუნოებითა და სიმართლით იცავდა სამშობლოს მოძალეებულ მტრებთან ბრძოლაში. გარეშე მტრებს კიდევ გაუძლებდა ჩვენი სახელმწიფო, გაჩნდა და იმპლავრა შინაგანმა მტერმაც. მოხდა საშინელება. 1917 წელს ემმაკეული წინ აღუდგა ღვთის განგებას და რუსეთს უდიდესი უბედურება დაატყდა თავს. ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ეკონომიკურად დაეცა ერთ დროს უძლიერესი ჩვენი სამშობლო, ყველა, ვინც კი წინ აღუდგა ბოროტებას, შეუბრალებლად შემუსრეს. არ დაინდეს ისეთი უწმინდესი ადამიანიც კი, როგორიცაა ფამარ”.

“თქვენ ამბობთ, რომ ჩემი დის დავალებით მომძებნეთ? ხომ ვერ მეტყვი, რა შემთხვევა მოვიმოქმედო მის დასახმარებლად?”

“ბატონო კოტე! ორი კვირაა, რაც გადასახლებიდან გამათავისუფლეს. თქვენმა დამ არც კი იცის, რომ გადავწყვიტე, მომძებნეთ. მთელმა მსოფლიომ უწყის, თუ როგორი გავლენიანი პიროვნება ბრძანდებით. გთხოვთ, იხსნათ ფამარი განსაცდელისგან. თქვენ ეს შეგიძლიათ. გევედრებით, უარი არ მითხრათ!” — წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები, სტუმარი ქალი ფეხზე წამოდგა, მარჯვენა ხელით კოტეს პირჯვარი გადაწერა და სიტყვების — “ღმერთი იყოს თქვენი შემწე ამ საქმეშიც, ამინ!” — წარმოთქმისთანავე დატოვა მარჯანიშვილების ბინა ისე სწრაფად, რომ კოტემ მადლობის თქმაც კი ვერ მოასწრო.

ამის შემდეგ კიდევ უფრო განერვიულდა კოტე. სიჭარმაგეში გადამდგარი 60 წლის ვაჟკაცი მოტყდა კიდევ. ის ყოველთვის თავდავიწყებით შრომობდა, შეუპოვრად იბრძოდა ხელოვნების საკითხების პრინციპულად გადაწყვეტის დროს, ენერგიას არ იშურებდა, მაგრამ ახლა უკვე დაიღალა. თითქმის განუწყვეტლივ ფიქრობდა თამარზე. იცოდა, რომ მის დას სათნოებასთან ერთად ბუნებამ უხვად მისცა სიმართლისთვის ბრძოლის ჟინი და გაქანება, მაგრამ ახლა უნუგემო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

1932 წლის ზაფხულზე მოსკოვში ყოფნისას კოტემ სპეციალურად მოინახულა განათლების სახალხო კომისარი ანატოლი ვასილის ძე ლუნაჩარსკი და საიდუმლოდ გაანდო მას, რომ ჰყავს სამი წლით უფროსი და თამარი, რომლის ბედიც მას ძალზე აწუხებს. რამდენიმე ათეული წლის წინათ მონაზვნად აღკვეცის შემდეგ მან უარყო ქალიშვილობის სახელი და ფამარად იწოდება. მსოფლიო ომის დამდეგს ის უკვე სერაფიმო-ზნამენსკოეს განდევნილ ქალთა უდაბნოს იღუმენია გახდა. ცხოვრებამ არც მონასტერში გაუმართლა, ვერ აცდა რეპრესიებს და, აი, ახლა ციმბირში გადასახლებაში იმყოფება. ლუნაჩარსკი შეაწუხა კოტე მარჯანიშვილის მასთან ამ გულახდილმა საუბარმა. არ დაუძალა მდგომარეობის სიმძიმე, თუმცა კი აღუთქვა დახმარება “შესაძლებლობის ფარგლებში”. სამწუხაროდ ეს “ფარგლები” საკმარისად ვიწრო აღმოჩნდა. სერგო ორჯონიკიძემ, რომლის იმედიც ლუნაჩარსკი მოქმედებდა, კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწია ფამარის გადასახლებიდან დაბრუნებას, უფრო მეტიც, უთქვამს:

“გადაეციოთ რეჟისორ მარჯანოვს, რომ ურჩევნია, სრულიად დაივიწყოს, რომ მას და ჰყავს”.

კოტე მწუხარებით დაბრუნდა თბილისს. მეორე ქართული დრამატული თეატრი მისი ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ აგვირგვინებდა თავის პირველ თეატრალურ სეზონს ქუთაისიდან თბილისში გადმოსვლის შემდეგ. წარმატებებით ზოგჯერ შუბლგახსნილ კოტეს მაინც არ შორდებოდა სევდიანი მჭუნვარება. მოსიყვარულე ელენე დონაურმა ალბათ აღარ იცოდა, რა გზით ეამებინა ამ ყოფაში ჩავარდნილი მეუღლისთვის.

1931 წლის აპრილში სამეცნიერო მივლინებით ხანგრძლივად გერმანიაში მყოფი შვილის სამშობლოში დაბრუნებით გამოწვეულმა სიხარულმა თითქოს ახალგაზრდობაც კი შემატა კოტეს. პოლიტიკისგან შორს მდგარი მათემატიკოსი შვილი საიმედო მდგომარეობაში იგულა და ენერგიულად შეუდგა ახალ თეატრალურ პროექტებზე ოცნებას. სულიერი სიმშვიდის ეს პერიოდიც მისთვის სამწუხაროდ არ გამოდგა ხანგრძლივი.

კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მარჯანოვი ჯერ კიდევ სამშობლოში დაბრუნებამდე იყო მიჩნეული რუსული სცენის წამყვან რეჟისორად. საქართველოში მოღვაწეობის არც თუ ისე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაშიაც მან წარმატებით განახორციელა არაერთი დადგმა მოსკოვისა და ლენინგრადის თეატრებში. 1932 წლის შემოდგომიდან დაწყებული კოტე მარჯანიშვილი სპეციალური მიწვევით ამზადებდა “დონ კარლოსს” მოსკოვის მცირე თეატრის, ხოლო “ღამურას” ოპერეტის თეატრის სცენებზე დასადგმელად. ამ საქმეში მას გვერდში ედგნენ თეატრალური მხატვრობის შესანიშნავი ოსტატი ელენე ახვლედიანი და გამოჩენილი თეატრალური მუსიკოსი თამარ ვახვახიშვილი, რეჟისურაში კი ასისტენტობდნენ დავით მაჭავარიანი და სერგო ჭელიძე. მოსკოვში კოტე ჯანმრთელობას თითქოს აღარ უჩიოდა, მაგრამ მუდამ თან სდევდა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი დის ბედზე წუხილი. დიდი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, მიემართა საბჭოთა კავშირის ცენ-

ტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის აბელ ენუქიძისთვის, რომელიც ცხოველი ინტერესით ადევნებდა თვალყურს შემოქმედებითი კავშირის საქმიანობას. ის აღფრთოვანებული იყო ქართული თეატრალური ხელოვნების მიღწევებით კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო (ალექსანდრე) ახმეტელის ხელმძღვანელობით, პირადადაც კარგად იცნობდა კოტე მარჯანიშვილს. აბელი ჯერ კიდევ გასულ წელს შეიყვანა ა. ლუნაჩარსკიმ კოტეს სულიერი განცდების კურსში მისი დის საქმესთან დაკავშირებით. ახლა კი, უკანასკნელი შეხვედრის დროს მან კ. მარჯანიშვილს უთხრა:

“ჩემო კოტე! როცა წვიმს, ღია ცის ქვეშ ყველა ერთნაირად სველდება უქოლგობის შემთხვევაში. მესმის, რომ თამარის მდგომარეობა გაწუხებს. შევეცდები, რაიმე ვიღონო, მაგრამ სჯობს, ამის თაობაზე ჩემთან შეხვედრებს მოერიდო. მე უკვე პოლიტიკური ნდობა მომიხსნეს და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ვიმყოფები. საქმის კურსში მეყოლება ანატოლი ლუნაჩარსკი და მისგან ყველაფერს შეიტყობ”.

ამ სიტყვებმა კოტე თითქმის დაამშვიდა, მაგრამ არც თუ ისე დიდი ხნით. ჩქარა პარტიისა და ხელისუფლების სახელით საგანგებოდ შეთითხნილი “პოლიტიკური” პრეტენზიები წაუყენეს ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრ ნიჭიერ მოღვაწეს. მათ შორის კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა კოტეს სახელგანთქმული კოლეგა და მეგობარი ვ. მეიერხოლდიც.

კოტემ იცოდა, რომ საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ წლებში თეატრალური შემოქმედების წამყვანი თემატიკა თანამედროვეობის ამსახველი უნდა ყოფილიყო. 30-იან წლებში კი კლასიკური ხელოვნების უარყოფა მას ბოროტებად მიაჩნდა. ერთი შეხედვით, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად “დონ კარლოსსა” და “ღამურას” თანამედროვეობასთან უშუალო კავშირი არ ჰქონდათ, მაგრამ ეს იყო და არის ჭეშმარიტი ხელოვნება. თანაც სჯეროდა, რომ ქართულმა თეატრებმა რევოლუციის წინაშე ვალი უკვე მოიხადეს “ფუნტე ოვებუნას” და “ანზორის” დადგმით.

“დონ კარლოსის” დადგმის ყველა სამზადისი წარმატებით დასრულდა. დღე-დღეზე ელოდნენ გენერალური რეპეტიციის ჩატარებას, როცა ა. ლუნაჩარსკიმ 16 აპრილს საღამოს კოტე მარჯანიშვილი ბინაზე მიიწვია. 17 აპრილის თითქმის დილა იყო მოახლოებული, როცა მასპინძელმა კოტე თავისი ავტომანქანით გაისტუმრა. არავინ იცის, თუ რა მიზეზით გაგრძელდა ესოდენ დიდხანს კოტეს შეხვედრა საბჭოთა სახელმწიფოს განათლების სახალხო კომისართან. მანქანაში, რომლითაც ლუნაჩარსკის ბინიდან სასტუმროში ბრუნდებოდა, კოტე მარჯანიშვილი უეცრად გარდაიცვალა. ქართველ ხალხთან ერთად ამ უბედურებას დიდი მწუხარებით შეხვდა მთელი ქვეყნის თეატრალური საზოგადოებრიობა. გულისტკივილი გამოთქვეს აბელ ენუქიძემ და ანატოლი ლუნაჩარსკიმ. კოტეს ცხედართან გამოთხოვების შემდეგ ეს ორი სახელმწიფო მოღვაწე ერთი მსუბუქი ავტომანქანით დაბრუნებულა მოსკოვის კრემატორიუმიდან. გზაში ა. ენუქიძეს ა. ლუნაჩარსკისთვის უთქვამს:

“ანატოლი ვასილიევიჩ! გამოდის, რომ მე და შენ გავხდით კოტეს დაღუპვის საბაბი. კარგად იცი, ჩვენს თავზე რა უბედურებაც ტრიალებს. არც ჩემი საქმე მიდის კარგად, მაგრამ პირობას გაძლევ, თამარს გადასახლებიდან დავაბრუნებ”. მოგვიანებით ეს სიტყვები შინსახკომში დაბეჯითებით გაუმეორებია ა. ენუქიძის მანქანის მძღოლს.

1934 წლის გაზაფხულზე ფამარი მართლაც გაანთავისუფლეს გადასახლებიდან და სადგურ პიონერსკაიას (ბელორუსიის რკინიგზის მიმართულებით) მახლობლად

პატარა ქოხში დაბინავების ნება დართეს. ამის შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლია, ჯანმრთელობაგატეხილი გარდაიცვალა 1936 წლის 23 ივნისს.

თავის დროზე ალბათ ბევრი სინანულით შეხვდა თამარ ალექსანდრეს ასულ მარჯანიშვილის — ლამაზი, ნიჭიერი, განათლებული სასულიერო მოღვაწე ქალის ასეთ დასასრულს. მართალია, მას პირდაპირი შთამომავალი არ დარჩენია, მაგრამ მაინც არ შეიძლება უნაყოფოდ მივიჩნიოთ მისი მეტწილად მარტვილობაში გატარებული სიცოცხლე. ის პოლიტიკური მეზრძოლი იყო ერისქალობაშიც და მონაზვნობაშიც. საქართველო მას ბავშვობიდან უყვარდა, ოცნებობდა მის თავისუფლებაზე, ებრძოდა მშრომელი ხალხის მჩაგვრელებს, იზიარებდა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებს, იყო მისი მიმდევარიც კი. ევროპაშემოვლილმა ქალმა იცოდა კულტურული საზოგადოებრივი ცხოვრების არსი. ოცნებობდა, ასეთივე საზოგადოებრივი ყოფა დამყარებულიყო მის სამშობლოშიც. მას, რა თქმა უნდა, ჰყავდა თანამებრძოლებიც, რომელთა რიგებს კერძოდ მიეკუთვნებოდა მისი გულითადი მეგობარი ქიხოსრო (ქაქუცა) ჩილოყაშვილი.

გადასახლებაში ყოფნის პირველი წლის განმავლობაში ოფიციალურ მეთვალყურეთა მხრივ ფამარისადმი დამოკიდებულება აშკარად მტრული იყო. სიცივესა და შიმშილში კვლავ თავი იჩინა ახალგაზრდობის დროინდელმა სენმა. ყელის ტუბერკულოზმა სუნთქვისა და კვების შესაძლებლობა შეუზღუდა ისე, რომ მონაზონყოფილ ნინოს სიტყვები კოტე მარჯანიშვილთან შეხვედრისას ზუსტად ასახავდა სინამდვილეს.

1933 წლიდან დაწყებული ფამარისადმი განწყობილება გადასახლების ადგილზე უეცრად შეიცვალა, ლმობიერი, კეთილიც კი გახდა. სამწუხარო ცნობა საყვარელი ძმის გარდაცვალების შესახებ მას თავიდან არ გაუმხილეს, მოგვიანებით კი ამ უბედურებასთან დაკავშირებით მიუსამძირეს კიდევ, ერთი წლის შემდეგ კი გადასახლებიდან განთავისუფლება მიულოცეს. საფიქრებელია, რომ ახელ ენუქიძემ მოასწრო ანატოლი ლუნაჩარსკისთვის მიცემული დაპირების შესრულება.

ამ ბოლო წლებში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების შესაბამისად თვალსაზრისი ძირითად მოვლენებზე, რომლებსაც ჩვენში საბჭოთა წყობილების პერიოდში ჰქონდათ ადგილი, არსებითად შეიცვალა. ახლა სულ სხვაგვარია სახელმწიფოს დამოკიდებულება რელიგიის მიმართ. დევნა, რასაც რელიგიის საფუძველზე განიცდიდნენ კულტის მსახურნი, ქვეყნის ყოფილი სახელმწიფო და პარტიული ხელმძღვანელობის მიუტევებელ დანაშაულადაა მიჩნეული. ამის შესაბამისად მოხდა რეპრესირებულთა სრული რეაბილიტაცია. რეაბილიტირებულია სხილუმენია ფამარიც.

დიდ რელიგიურ სადღესასწაულო თარიღებთან დაკავშირებით მართლმადიდებლური ეკლესია ახდენს განსაკუთრებული დამსახურების მქონე სასულიერო პირთა და იშვიათად საზოგადო მოღვაწეთა კანონიზაციას ანუ წმინდანად შერაცხვას. ამ ბოლო წლებში რუსეთის მართლმადიდებლურმა საეკლესიო კრებამ (синод) კანონიზაციის საკითხი ორჯერ განიხილა. პირველად ეს მოხდა რუსეთის ქრისტეს სრწმუნოებაზე მოქცევის 1000 წლისთავის ზეიმის დღეებში, როდესაც წმინდანად შერაცხეს ანდრეი რუბლიოვი, მეორედ კი — მიმდინარე წლის 14 ივნისს სრულიად რუსეთისა და მოსკოვის უწმინდეს პატრიარქად ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტის ალექსის არჩევასთან დაკავშირებით.

საეკლესიო ყრილობის მოსამზადებელმა კომისიამ განიხილა სხილუმენია ფამარისა და მამა იოანე კრონშტადტელის კანონიზაციის საკითხი. იოანე

კრონშტადტელის შესახებ ცნობები კარგადაა შემონახული. მათ შორის ფრიად მნიშვნელოვნად ითვლება მწერალ ბორის ზაიცევის სახლვარგარეთ გამოქვეყნებული რამდენიმე ვრცელი წერილი ამ სასულიერო პირზე. ის ბ. ზაიცევს კალუგის გიმნაზიაში საღვთო სჯულს ასწავლიდა. მამა იოანე კრონშტადტელი მის თანამედროვე მორწმუნეთა თვალში სასწაულმოქმედად იყო მიჩნეული. ბ. ზაიცევის სიტყვები "...მამა იოანე კრონშტადტელი გვაფრთხილებდა, რომ "უწმინდურება შემუსრავს კეთილმეფობას და მოგვივლენს საშინელებას სისხლით და ცრემლით..." ახლაც თვალწინ მიდგას მამა იოანე ღვთისკენ ზეციური კიბით მიმავალი ისე, თითქოს კალუგაში ჩვენი გიმნაზიის კიბეზე ადიოდეს..." საკმარისი აღმოჩნდა იოანე კრონშტადტელის კანონიზაციისთვის. ფამარს კი ეს პატივი ასცდა. საეკლესიო კრების მოსამზადებელი კომისიის გადაწყვეტილებაში ნათქვამია: "სხილუმენია ფამარ, ერისქალობაში თამარა ალექსანდრეს ასული მარჯანოვა, მართლმადიდებელი ქრისტიანი, წარმოშობით ქართველი. 1912 წელს მისი თაოსნობით დაარსდა სერაფიმო-ზნამენსკოეს განდეგილ ქალთა უდაბნო, რომელსაც ის თორმეტი წლის განმავლობაში წინამძღვრობდა. სასახელოდ განვლო მონაზვნური ღვთისმსახურება იერარქიის უმაღლეს საფეხურამდე, დამსახურებულად სარგებლობდა პატივისცემითა და დიდებით, მაგრამ ჩვენთვის უცნობია მისი ადრინდელი სამოქალაქო ცხოვრება. ამის გამო კომისია მოკლებულია შესაძლებლობას, მისცეს დედა ფამარს საკანონიზაციო რეკომენდაცია".

სხილუმენია ფამარის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დღემდე მოღწეული ცნობები მართლაც ძალზე ცოტაა. ვრცელ ტრაქტატში "რუსეთის მართლმადიდებლური მონაზნობა XVIII-XIX საუკუნეებში" (აშშ, ჯორდანვილი, 1985 წ.) მონაზონმა ტაისიამ მას სულ რამდენიმე წინადადება მიუძღვნა. ამ უკანასკნელ დროს ავტორისთვის ხელმისაწვდომი გახდა მონაზონ სერაფიმას ბროშურა "დედა ფამარ", რომელიც საზღვარგარეთ რუსულ ენაზე დაიბეჭდა და გამოიცა გასულ წელს.

მონაზონი სერაფიმა, როგორც თვითონ წერს, ფამარს მისი პერხუშკოვოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში იცნობდა. სხილუმენიას დაპატიმრების შემდეგ ის ემიგრაციაში წასულა საფრანგეთში და იქ გაუგრძელებია თავისი სამონასტრო მოღვაწეობა. ცნობები, რომლებიც მას მოჰყავს, გარეგნულად თითქოს დოკუმენტური წყაროებიდანაა აღებული, მაგრამ სამწუხაროდ მის მიერ გადმოღებულ ფამარის წერილებს მხოლოდ თარიღი ახლავთ უმისამართოდ. ასე, მაგალითად:

“სამშაბათი, 26 აპრილი, 1933 წ.

მადლობა ჩემი ანგელოზის დღის მოლოცვისთვის. გუშინ მივიღე დაწვრილებითი ცნობები ჩემი ძმის კონსტანტინე ალექსანდრეს მის გარდაცვალების შესახებ. ადრე მწერდნენ, რომ ის შეუძლოდ იყო. მიმალავდნენ სინამდვილეს, ვწუხვარ, რა თქმა უნდა, თუმცა მჯერა, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა ამ ქვეყნიდან ადამიანისთვის აუცილებელი გადასახლება. ბევრ რამეს მიაჩნებოდა ის ფაქტი, რომ კონსტანტინე ალექსანდრეს ძე აღესრულა აღდგომის მეოთხე დღეს. ამაში მაინც აღმოაჩნდა ბედი ჩემს ძმას.

მწერთ, რომ თქვენთან უკვე მოვიდა გემი გადასახლებულთა დასაბრუნებლად. მეც ველოდები ამ დღეს. ო, როგორ მინდა, ვიხილო ჩემს ახლობელთაგან ვინმე.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

დედა ფამარი”.

განიცდიდა თუ არა ფამარი სინანულს იმ არჩევანის გამო, რომელიც მან, ჯერ კიდევ სიცოცხლითა და მშვენიებით სავსემ, გააკეთა? ამაზე გარკვეულ პასუხს იძლევა მონაზონ სერაფიმას ბროშურაში მოყვანილი კიდევ ერთი წერილი ფამარისა:

“შაბათი, 14/27 ოქტომბერი, 1934 წ.

დიდად ვუმაღლი ყოვლადსამღვდელო მამა სერაფიმს, რომელიც სასწაულებრივ მომეველინა ჩემი ცხოვრების მძიმე წუთებში და მაზიარა ღვთიურ ჭემმარიტებას. არ ვიცი, ვისგანა ვარ დავალებული გადასახლებაში ჩემი ხვედრის შემსუბუქებაში. ვზივარ ახლა ამ პატარა ქოხში ბელორუსიის რკინიგზის სადგურ პიონერსკაიას მახლობლად და აქედან ფეხის მოცვლაც კი არ მინდა, თუმცა ისიც ვიცი, რომ ამის საშუალებას რომ არ მომცემენ.

რა ვთქვა ჩემს თავზე? სიმძიმითა და ტანჯვით ისე აღმევსო ამქვეყნიური ცხოვრება, რომ მხოლოდ სიცოცხლედა შემრჩა. აი ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, ჩემი აზრი და გრძნობები თითქოს ყველაფრით სავსეა და თანაც ცარიელი.

დედა ფამარ”.

მონაზონ სერაფიმას უთუოდ დაეჯერება ფამარის პიროვნების დამახასიათებელი შტრიხები, როცა წერს: "დედა ფამარი იყო ტანად საშუალო, ოდნავ გამხდარი და თანაც უზარმაზარი ნებისყოფის მქონე ქალი. კანი მას ჰქონდა თეთრი, ხელები — ლამაზი, თვალები — შავი, ელვარე, მაგრამ ლოცვის დროს მიბნედილი. უყვარდა სამშობლო, მონაზვნები და ბავშვები..."

გამოჩენილმა რუსმა მხატვარმა პავლე კორინმა შექმნა ფამარის შესანიშნავი პორტრეტი, რომელიც ტრეტიაკოვის გალერეაში ინახება სერიით «Русь уходящая». პორტრეტთა სერიის ასეთი უხეირო სახელწოდების მიუხედავად უნდა ითქვას, რომ ხელოვანს კარგად გადმოუღია ფამარის მეტად შთამბეჭდავი სახე.

ა. ბიწაძე

1990 წ., 23 ივლისი, სანატორიუმი «Загорские дали».



დედა - მარიამ ბრეგვაძე-ბინაძისა



ანდრო ბინაძე – მოსწავლე



ანდრო ბინაძე – სტუდენტი




ანდრო ბინაძე, 1940 წელი, თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასპირანტი



ქართველი მათემატიკოსები
მარცხნიდან მარჯვნივ – ლ. გოციელი, ნ. ვეკუა,
ნ. მუსხელიშვილი, ასპირანტი ა. ბიწაძე



მამის – ვასილის დაკრძალვის დღეს, 1949 წ. მამისი



გრიგოლ (გრიშა) და ანდრო ბინაძეები




სადოქტორო დისერტაციის დაცვის დღეს




მთწმინდა, 1954



ედინბურგი, 1958



ვაჟის – ანდრეის პირველი სურათები




კოტეჯი ნოვოსიბირსკის აკადემიკალაქში



ნოვოსიბირსკში, პირველ რიგში მარცხნიდან მესამე ანდრო ბინაძე, ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან



ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან



ანდრო ბინაძე ლექციაზე



ანდრო ბინაძე სემინარზე

ცხრუკვეთში, 1961 წ., ფოტოები გადაიღო ა. ბინაძემ



ვასილ ბინაძის ოჯახის წევრები:
ვაჟი ვლადიმერი, სიძე ვასილ გაფრინდაშვილი, შვილიშვილი მარიამ დარ-
ბაიძე, ვასილის მეუღლის – მარიამის ძმისშვილი იროდი ბრეგვაძე, ვასილის
ქალიშვილები – ფაცია, გოგუცა, თინათინი, რძალი ნინა ბადერკო-ბინაძე,
ვლადიმერის ქალიშვილი ლეილა, ფაციას ვაჟი რაულ გაფრინდაშვილი,
თინათინის ვაჟი რამაზ ანასაშვილი



ანდროს ძმები ვლადიმერი და სერგო, იროდი ბრეგვაძე ქალიშვილით,
ლეილა ბინაძე და ნინა ბადერკო-ბინაძე



ფ. ტრიკომი და ა. ბინაძე
რუმინეთი, 1959



ედინბურგი, 1958



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, 1960 წელი.



ა. ბინაძის მოხსენება ამერიკა-საბჭოთა კავშირის სიმპოზიუმზე
1963 წ. ნოვოსიბირსკი



ანდრო ბინაძე ნოვოსიბირსკის ქუჩებში,
60-იანი წლები



ბიძაშვილები – მერი და ანდრეი ბინაძეები,
ნოვოსიბირსკი, აკადემქალაქი, 1965 წ. აგვისტო



ბანკეტი, ანდრო ბინაძის 50 წლისთავი



ანდრო ბინაძე ლექციაზე



CONGRÈS INTERNATIONAL
DES MATHÉMATIENS

THE INTERNATIONAL CONGRESS
OF MATHEMATICIANS

INTERNATIONALEN
MATHEMATIKERKONGRESSES

Nice, 1^{er}-10 Septembre 1970



ანდრო პინაძე ცნობილ მუცნიერებთან ერთად ნოვოსიბირსკში, 1972 წელი



გ. კარატოპრაკლიევი და
ა. ბინაძე, მოსკოვი დონის მონასტერი,
1989 წელი



ანდრო ბინაძე და მარია ჩიბრაძე,
პავია (იტალია), 1990 წელი





ვ. კოკილაშვილი, ა. ბინაძე, პროფესორი ოცუკა,
ნაგოია, 1990 წელი





ანდრო ბინაძე, ელენე ობოლაშვილი



შვილიშვილები



ალექსანდრა (სანდრა)



ელიზავეტა (ლიზა)



ლარს






ბოლბის მონასტერი XX საუკუნე დასაწყისში





მონაზონი იუბენალია
(თამარ მარჯანიშვილი).
XIX ს-ის 90-იანი წლები



მოსკოვი, დონის მონასტერი, კოლუმბარიუმი





“საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო უმთავრესად პოეტების ქვეყანაა და თითქმის ყოველი ქართველი ფარულად ან აშკარად ლექსებს წერს, ხან-შიშესული აკადემიკოსებიდან დაწყებული ახლად უღვამამწვანებულ კოლმეურნეებამდე; ისე რომ, თუ სასწაული მომხდარიყო და ბერძნული იდეალიზმის მამამთავარი პლატონი ამდგარიყო, ის მთელ ქართველ ერს განდევნიდა თავისი იდეალური რესპუბლიკიდან”.

(გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, ტ. 2, 1964)

ა. ბიწაძის არქივში დაცული წერილიდან (“შავი” ასლი):

“დიდად პატივცემულო ძვირფასო ნიკუშა!⁵⁷

...

გიგზავნით რამდენიმე დოკუმენტს. ძალიან გთხოვთ, ამ დოკუმენტებიდან, რომელსაც აწერია ასო “პ”, ნურავის აჩვენებთ, რადგან ისინი პირადად თქვენს წასაკითხად არიან გამიზნული... დოკუმენტებს, რომლებსაც ასო “დ” აწერია, სასურველია დამიბრუნებდეთ.

თქვენ მწერთ რამდენიმე სიტყვა ვთქვა ცხრუკვეთზე და ჭიათურაზე. ამ 27 წლის მანძილზე საქართველოდან მოწყვეტილს რომ მშობლიური ენა შემენარჩუნებია, ვიხსენებდი ჩემი ბავშვობისა და ყრმობის წლებს (როცა მე მათემატიკასთან ერთად არანაკლებ მაინტერესებდა ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია) და თავისუფალ დროს ჩემს აზრებსა და განწყობილებას სამშობლოსა და მშობელი ხალხისადმი ვლექსავდი ქართულად. რასაკვირველია, ამ ჩემს “ნახელავს” პოეტურობის პრეტენზია არ აქვს, მაგრამ, მერწმუნეთ, მასში ასახული პირადი გრძნობა-განცდები გულწრფელია. მისი წაკითხვის შემდეგ, კარგია, თუ არ იტვით ჩემზე — “თუ ისეთივე მეცნიერი ხარ, როგორც პოეტი, შენზე გამოჭრილია ქართული ანდაზა — კამეჩი მყავდა ნიკორა, ვაქებდი, არა იყო რა”-ო.

თქვენდამი კეთილი სურვილებით და მეგობრული სიყვარულით:

ანდრო ბიწაძე”

⁵⁷ სავარაუდოდ ა. ბიწაძის ცხრუკვეთელი მეზობელი, ცნობილი იურისტი ნიკოლოზ (ნიკუშა) წერეთელი.

ავტორისაგან

ლექსების წერა ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში დავიწყე. ბევრი მათგანი არ შემომრჩა — ზოგი კერძო პირთა ალბომებში მაქვს ჩაწერილი, ზოგიც — უკვე დაკარგულ წიგნთა არშიებზე. მე განათლებით და პროფესიით მათემატიკოსი ვარ და, რა თქმა უნდა, პოეტობაზე პრეტენზიის განცხადების არც სურვილი მაქვს და არც საფუძველი.

ამ ლექსების შინაარსი ასახავს ჩემს პირად განცდებს ჩემი ცხოვრების სხვადასხვა მომენტში. ჩემი, ისევე როგორც ყველა მოქალაქის, სულიერი განწყობა, არ შეიძლება, ყოველთვის ერთნაირი ყოფილიყო, ამის შესაბამისად ლექსებსაც დაჰკრავს ოპტიმისტური თუ პესიმისტური ელფერი.

რამდენადაც ლექსები არ არის დაწერილი მკითხველთა ფართო წრისათვის, მე არ მიცდია, მათში ამესახა მხოლოდ ოპტიმისტური სულისკვეთება, რაც ესოდენ საჭიროა ხალხისათვის. კრებული შედგენილია პირადად ჩემთვის, ზოგიერთი ჩემი მეგობრისა და ნათესავისათვის, ვისაც ცოტა თუ მეტად აინტერესებს ჩემი ცხოვრების გზა.

ანდრო ბიწაძე
ნოვოსიბირსკი

მზესუმზირა

სოფლის გარეთ
ტყის ნაპირას
ნაზად თავი
დაუხრია
მზესუმზირას,
ვით ასული
დილის ნამით
პირნაბანი,
მომღიმარი
სიხარულით
თავზე ივლებს
ყვითელ ალამს
და დილის მზეს
მოკრძალებით
აძლევს სალამს.

1940 წლის აგვისტო, ცხრუკვეთი

წუთისოფელი

ყოვლის მომქმედო უღმობელო ბუნების ძალავ,
რატომ ინებებ მატერიის ასე წვალებას?!
ტირილით შობას, ტანჯვით გაზრდას, მტრობას და ძალვას
და ტირილითვე დაუნდობელ გარდაცვალებას?!

რატომ დასტოვა თვისი მშვიდი და მყუდრო ბინა,
რისთვის მოვიდა შენი სული წუთით სოფელში,
აქცია ხორცად მიწის გროვა და დაადგინა
ადამიანთა გვარტომობა წუთისოფელში?!

მხოლოდ იმიტომ, რომ გარდიქცეს კვლავ ქარტეხილად,
დაგვატყდეს თავზე ვით ხანძარი ხორცთა მმუსვრელი,
შემდეგ კი გრგვინვით უკუ იქცეს თავაწყვეტილად
ამა სოფელში დაბრუნების კვლავაც მსურველი?!

ასე ივსება და იცლება სიცოცხლის თასი,
უსულოდ ქმნილნი კვლავ განვაგრძობთ ქვეყნად ძრაობას,
ადამიანის არსებობას მაშინ აქვს ფასი,
თუ სიცოცხლეში ის არ უდრის არარაობას.

1940 წლის ნოემბერი
თბილისი

ბულბულს!

შენ ყოველ ღამეს
საამურად
უსტვენ და გალობ,
ბუჩქიდან ბუჩქზე
შეუმჩნევლად
ფრინავ და ხტუნავ.
ვინ არის ნეტავ
შენი სატრფო,
უმღერი ვისა?
მინდა, ვიცოდე,
ნუ მიმაღავ,
მითხარ, ჩიტუნავ.

1941 წლის მაისი
ცხრუკვეთი

ფიქრები ახლგაზრდა სტუდენტის დასაფლავების დროს

«Оборвана цепь жизни молодой,
Окончен путь, бил час пора домой»

М. Ю. Лермонтов

აჰა, გამწყდარა ახლგაზრდა სიცოცხლის ძაფი,
ქვეყნად სავალი გზები მისთვის დამთავრებულა,
უკანასკნელად მოუწოდებს ზარის ხმა მძაფრი
მკვდარ სამყაროსკენ, სადაც ყველა გაქვავებულა,
სად ჩაკლულია სიხარულის ყოველი გრძნობა,
სულის სიმშვიდე, სიყვარული, შვება, სიამე,
უაზრო ქმნილა ცნება — სივრცის დროთა მსვლელობა,
ქრონიკებს არ სწერს უწყინარი მემატთანე.
გონებას მისას არაფერი არ აგონდება,
აღარ აშფოთებს დატანჯულ სულს ბედი წყეული,
ერთ დროს მგზნებარე გულიც არ კრთის, აღარ ღონდება
უკვე გახრწნილი, მატლთა საზრდოდ გადაქცეული.
მისთვის უდროოდ დაცლილია სიცოცხლის თასი,
ჩონჩხთა აჩრდილნი განაგრძობენ მუდმივ ძრაობას,
ამ ქვეყანაზე არსებობის რაღაა ფასი,
თუ არსებული წარმოადგენს არარაობას?!

1941 წლის მაისი
თბილისი

დღეობაზე წარმოთქმული სადღეგრძელო⁵⁸

დღეს მეც შევსვამ სხვებთან ერთად
ბროლის ჭიქით ღვინოს,
თუნდაც მომკლას და წვეთები
ცრემლად დამედინოს.
დღეგრძელობა ადამიანს,
ვინც ბედს თვითონ სჭედავს,
მოწყალემა შესთავაზოს,
ვერვინ გაუბედავს.
ბრძოლის ცეცხლში გააქარწყლებს
მწუხარებას, სევდას;
გაუმარჯოს მართალ ქალის
მართალ გამოხედვას!

1941 წ., აგვისტო
თბილისი

⁵⁸ სამედიცინო სამსახურის კაპიტანს ნ. დანელიას

1941 წელი

ახლა, როცა ცეცხლის ხაზზე
ჩემი ქვეყნის ბედი წყდება,
როცა ბევრი ჩემი ტოლი
ფაშისტ ურჩხულს ზედ აკვდება,
მე ღრმა ზურგში უხვად ვახმარ
ჩემს სიცოცხლეს, არსს და გრძნობას
ფორმულებში ჩაქსოვილი
საიდუმლოს გმოცნობას.
რომ ეს საქმე საჭიროა,
თუმცა ვიცი, ბევრს არ სჯერა,
ზოგს არაფრად მიაჩნია
მეცნიერულ შრომის წერა,
მაგრამ მაინც გულს არ ვიტებ,
დამიფასებს მომავალი,
იტყვიან, რომ მეც კაცურად
მოვიხადე ჩემი ვალი.
არ ვუდრკები სიღარიბეს,
არც სიცივეს და არც შიმშილს,
პატიოსან შრომის ნაყოფს
ჟამთა სრბოლა ვერ წამიშლის.

1941 წ., დეკემბერი
თბილისი

9 მაისი, 1945 წელი

“დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლის დაღვარა”
გ. ტაბიძე

მშობლიურად ვინც მუდამ გვაფრთხილებდა,
გვარწმუნებდა, დენთი მშრალი გვექონოდა,
ვისაც სურდა, საბოლოოდ მოესპო
ხალხთა შორის არსებული მონობა,
ვინც ქვეყანას ასე ბრძნულად მართავდა,
ვინც ფხიზლობდა, რომ ჩვენ ტკბილად გვეძინა,
ვინც შეგვიქმნა ყველა შესაძლებლობა,
ახლგაზრდებს ცოდნა რომ შეგვეძინა,
ვინც ებრძოდა შემოსეულ ურდოებს,
ვერაგობა ვინც მტერს არ შეარჩინა,
ვინც მსოფლიო მიხაკისფერ ჭირისგან
ვაჟკაცურად იხსნა, გადაარჩინა,
რაიხსტაგზე ვინც გმირულად აღმართა
გამარჯვების ალისფერი ალამი,
ვინც ფაშიზმი ძირიანად აღმოფხვრა,
ჩემგან ყველას მოწიწებით სალამი.

1945 წ., 9 მაისი
თბილისი

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის კოლექტივს

ერთ დროს ტამარი ქართლის კულტურის,
ტურფად ჰყვოდა მესხეთის მხარე,
მაგრამ მძვინვარე ვერაგმა მტერმა
მოსრა, ცეცხლს მისცა ეს არე-მარე.
დროთა დინება ბუნებასაც ცვლის,
ტყეს დაუფარავს კვლავ მთა და ველი,
მედიდურად დგას თამარის ციხე,
ქვეყნის წარსულის გამომსახველი.
ყანობილის მთის მაღალ მწვერვალზე
აგებულია სულ სხვა დიდება,
მიწაზე მოაქვს ცის საიდუმლო,
როცა მზე ჩავა და დაბინდდება.
ისე მიზიდავს, ისე მიტაცებს
კოშკთ ქონგურები სიცოცხლით სავსე,
რომ მათი საქმით გახარებულმა
მსურს, მთელ კოლექტივს მივმართო ასე:
მე გისურვებდით, ტკბილად გეცხოვრათ,
ისე გეშრომით, ვერ გეგრძნოთ დაღლა,
მეცნიერული შემოქმედების
დროშა გჭეროდეთ ყველაზე მაღლა!

1945 წ., აგვისტო
ყანობილი (აბასთუმანი)

ჩერქეზიშვილის საფლავზე ყანობილზე

რომ ვუყურებ მე შენს საფლავს,
ფიჭვთა შორის ობლად მზირალს,
ან ყვავილებს მის გარშემო
დანამულს და თითქოს მტირალს,
თვალის უპეს ცრემლი ავსებს,
კაეშანი სულს ედება,
“შემიბრალე”, მესმის თითქოს
იდუმალი მოწოდება.
და მეც სმენად გადაქცეულს
მაგიური მიპყრობს ძალა,
თითქოს ქალის უცხო ლანდი
გამოჩნდა და დაიძალა.
თვალს სინათლე მოემატა,
ბნელი ფარდა აიხადა,
ვერაფერი დავინახე
ირგვლივ ტყის და ხავსის გარდა.
ის ლანდი კი შეუმჩნევლად
მიყრდნობია ირგვლივ ხესა,
მოდარაჯე სმენას წვდება
გულმოკლული დედის კვნესა.
სევდისმომგვრელ შენს საფლავს კი
არაფერი ეყურება,
ფიჭვის ქერქში მონაჟონი
სითხე ცრემლად ეპყურება.

1945 წ., აგვისტო
ყანობილი (აბასთუმანი)

ვაჟა-ფშაველას დაგვიანებულ კრიტიკოსებს

“არწივი ვნახე დაჭრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა”
ვაჟა

ამას რას სჩადით, მოყმენო,
რა დაგიშავათ მგოსანმა,
რა დაგიშავათ ვაჟამა,
ამ დაფნის გვირგვინოსანმა.
იმისი შეურაცხყოფა,
ვაი, რა ცუდი რამეა,
ხომ იცით, კაცის ცხოვრება
ერთი პატარა წამია.
ჩვენი თაობაც გადავა,
დრო გაასწორებს ყველასა,
ნამოქმედს დაგიწუნებენ,
ჭიქას შეგაბმენ ყველასა.
თვენისთანებზე იტყვიან,
“იყო და არა იყო რა”,
უსაქმო ნაცარქექიამ
იჩალიჩა და იგორა.

1951 წელი, თბილისი

ჩერჩილს!⁵⁹

რომ ბრიტანელი მოკავშირე ჩვენ მუდამ გვმტრობდი,
კარგად ვიცოდით, მაგრამ მაინც ჩუმად ვიყავით,
მტერთან ბრძოლებში განაჭედი გმირთა დიდება
გამარჯვების დროს მეგობრულად შენც გაგიყავით.
დღეს უსირცხვილოდ და უზნეოდ იმაზე დარდობ,
რომ ჩვენ ძლიერნი გამოვედით ცხარე ომიდან,
ამის მნახველი მოუწოდებ მსოფლიოს ხალხებს
რკინის ფარდებით გამოგვთიშონ ჩვენ ევროპიდან.
ჩვენდამი ზიზღი, ვერაგობა, შუღლი და მტრობა
მემკვიდრეობით, გსურს, გადასცე ახალ თაობას,
მაგრამ გახსოვდეს, რომ ამგვარი სამსახურისთვის
სამართლიანად მოგიზღავენ წყევლას და გმობას.
იცოდე, ჩქარა მთელ ქვეყანას დაისაკუთრებს
თავისუფლება, სიხარული, ერთობა, ძმობა,
ამას მოელის უახლოეს მომავლისაგან
შრომისმოყვარე კულტურული კაცობრიობა.

1946 წ., თბილისი

⁵⁹ ფულტონში წარმოთქმული სიტყვის გამო

ილია ვეკუას

მარტოობაში ალბათ ხშირად მოგაგონდება
ბავშვობის წლები, შეშეღეთში გატარებული,
ბაბუა თედოს მართებული და მკაცრი სახე,
ძვირფასი დედის სათნოებით აღსავსე გული.
ახალ ცხოვრების განთიადის მომსწრე ხარ სიყრმით,
სისხლის ღვრა, მტრობა მძვინვარებდა გარეთ და შინა,
გზამ ეკლიანმა, მომავლისკენ ძნელად სავალმა
სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ვერ შეგაშინა.
მეგრელი გლეხის მართებულმა და ფიცხმა შვილმა
მეცნიერებას შეაღიე ახალგაზრდობა,
წარმატებებით ფრთაშესხმული წინ ისწრაფოდი,
ვერ გაშინებდა უგუნურთა შური და მტრობა.
ბევრს ალბათ ახსოვს, უსამართლოდ როგორ ასტეხეს
ცრუმკვლევარებმა ერთობლივი სტვენა, განგაში,
ბოლოს კი მაინც გაიმარჯვა, როგორც ყოველთვის,
მართალმა საქმემ სამართლიან ჩვენს ქვეყანაში.
კვლავაც მძიმეა დღევანდელი ჩვენი ცხოვრება,
ჩვენი ხვედრი ხომ მუდამ შფოთი და ჭიდილია,
მრავალჯამიერ მოყვასთათვის სასიხარულოდ
გამარჯვებული და დღეგრძელი იყავ, ილია!

1952 წლის ნოემბერი
მოსკოვი

გვიანი შემოდგომა ჩრდილოეთში

«Роняет лес багряный свой убор...»

А. С. Пушкин

ტყეს უკვე ფერი გადასვლია და იხდის სამოსს,
ყინვა განაგებს თვალუწვდენელ გადამჭუნარ მინდვრებს,
მზე თვალს გაახელს და ისწრაფვის, კვლავ მიეფაროს
დასავლეთის მხრივ ჩამწკრივებულ შიშველ გორაკებს.
უდაბნოდ ქცეულ ჩემს საკანში დავანთე ცეცხლი,
ღვინოვ მჩქეფარევ, მოვლენილო დარდიანთ მხსნელად,
იქნებ შენ შეძლო, ჭმუნვის ალი რომ გამინელო
და აღარ მექნეს წუთით მაინც მოსაგონებლად.
დღეები რბიან უსიცოცხლოდ მარტოობაში,
სევდით მოსილი, დაღვრემილი შევცქერ მთას და ბარს,
შვება რით ვპოვო, აღარ ვიცი, ამ ქვეყანაში
მე უიმედომ, მოკლებულმა სულის მეგობარს.

1952 წლის ნოემბერი
მოსკოვი — ზვენიგოროდი

ჩემს თანასოფლელებს!

ექვსი წელია, რაც დავტოვე
სამშობლო მხარე,
ჩემს ძვირფას ცხრუკვეთს
ბავშვობიდან გამოვეთხოვე,
შემოვიარე დედამიწის
დიდი ნაწილი,
მისი ფასი კი მე, უგნურმა,
ვერა რა ვპოვე.

1954 წ., 17 იანვარი⁶⁰, მოსკოვი

ჩემი ცხოვრების ტკბილი ზმანება

სარკეში ზოგჯერ როცა ვუყურებ
თმებში უდროოდ შერთულ ჭაღარას,
გული ღონდება, მომავლისაგან
აწ საიმედოს ველი აღარას.
არ მიგემია სიჭაბუკეში
სულის სიმშვიდე და ნეტარება,
ვაი, რა ვუყო, რომ ჭარმაგობაც
უსიხარულოდ მიიპარება.
ბავშვობის წლები, მხოლოდ ესაა
ჩემი ცხოვრების ტკბილი ზმანება,
წარსულ დროთაგან მე ამის მეტი
სხვა არაფერი დამენანება.

1954 წ., იანვარი, მოსკოვი

⁶⁰ 1948 წლის 17 იანვარს გადმოვსახლდი თბილისიდან მოსკოვში

“ვატერლოოს ხიდი”⁶¹

ღამე მიდის,
ყველგან ქრება
სინათლე,
ახლა ალაბთ
უკვე ძილის დროა,
მე კი ვდარდობ,
რომ საყვარელ
მაირას
ველარასდროს
ვერ იპოვის რა.

1954 წ., მოსკოვი

“მარინიკე”⁶²

ჟამთა სვლისაგან
ნადგურდება ყველა ნაშენი,
არვის ასცდება
მუხთალ ბედის ეს სისასტიკე,
დიდი ხანია,
თუმცა ჩაქრა მშვენება შენი,
ისევ ტკბილ ხმაზე
გიმღერიან დღეს, მარინიკე.

1954 წ., აგვისტო, სოჭი

⁶¹ შთაბეჭდილება ფილმის “ვატერლოოს ხიდის” ნახვის შემდეგ

⁶² შთაბეჭდილება გ. გასპარიანის კონცერტის შემდეგ, რომლის დროსაც მან წარმატებით იმღერა “მარინიკე”

დამჭუნარი ყვავილი

«Цветок засохший, бездыханный...»

А. С. Пушкин

უძველეს წიგნის ფურცელთა შორის
როცა ვიხილე ყვავილი მჭუნარი,
ვერც კი შევნიშნე, დროთა სიღრმეში
როგორ შეიჭრა ოცნება ჩქარი.
ვხედავ, რომ წიგნის დაბეჭდვის დღიდან
წელი გასულა ძალიან ბევრი
და ამის გამო დამჭუნარ ყვავილსაც
გადადებია სიძველის ფერი.
მინდა, ვიცოდე, რომელ გაზაფხულს,
რომელ მხარეში ჰყვავდა ნეტავ,
ვინ შეიყნოსა სურნელი მისი
ან სასიკვდილოდ ვინ გაიმეტა.
ყვავილს რომ სწყვეტდა, რაზე ფიქრობდა,
როგორი ერგო მას თვითონ ბედი,
ან დღეს ცოცხალი თაობებიდან
თუ იყო ვინმეს წინამორბედი.
ვინ იცის, იქნებ ამ ქვეყანაზე
ვერ გაიჩინა ოჯახი, შვილი
და გადავიდა უშთამომავლოდ
და უნაყოფოდ, ვით ეს ყვავილი.

1954 წ., მოსკოვი

ნადირობის ქალღმერთსა და ადამიანს

როს ჭაბუკი, ტრფობის ცეცხლით განახელი,
სანადიროდ გავიდოდა მთა-ველად,
იმედს გვრიდა დალი, თურმე ეს სახელი
შენ გვედრებდა, შენ გიხმობდა მფარველად.
რაღაც ძალამ სიყვარულის ფიალებით
შენ, ღვთის ასულს, ალერსი გამოგტაცა
და ქალწულმა, მოხიბლულმა ტრფიალებით
შობე გმირი, ღმერთს რომ ცეცხლი მოსტაცა.
ის მხედარი, მუდამ მსრბოლი გამალებით,
შემოჭრილი შენთან როგორც ცდუნება,
ქურდულად რომ დაგჭრა ოქროს დალალები,
ლამაზმანებს დღესაც ეფსალმუნება.

*

* *

დედის გული, ნეტარებით დანაკვნესი,
შენს ჩამოსვლას მოუთმენლად ელოდა
და ცრემლები, სიხარულის დანაკვესი,
მის შავ თვალებს თითქოს კიდევ შვენოდა.
ლაწვთ სიმკრთალე, რაღაც სევდით წანალეკი,
ბრინჯაოს ფერს ნათელს რომ ფენს წამიერს,
დედის ეშხი, წარბ-წამწამში ანარეკლი,
ამშვენებს და ალაზათებს შენს იერს.
ქალღმერთების თუ არა ხარ შენ მნახველი
და არც იცი, მათი ბინა სად არის,
ნუ იკითხავ, რად შეგარქვეს ეგ სახელი,
და ნურც გინდა, იყო მათი სადარი.

1955 წ., მოსკოვი

დედის გარდაცვალებაზე

“არას გავრგებს სიმძიმისი, უსარგებლო ცრემლთა დენა,
არ გადავა გარდუვლელად მომავალი საქმე ზენა”
რუსთაველი

რომ დავხედე ტელეგრამას
შორით მოსულს, გულმოსაკლავს,
სულშემხუთველ მოკლე ფრაზას —
“მივაბაროთ დედა საფლავს”,
მივაშურე ჩემს სამშობლოს,
თოვლით მოსილ მთებს და მდელოს,
ძვირფას მიწას ცხრუკვეთისას,
წინაპართა სამფლობელოს.
ზაფხულობით აქ ჩამოსულს
ის მმატებდა სიხალისეს,
რომ დედაჩემს თითქმის მუდამ
ვნახულობდი ჯანმრთელს და მხნეს.
ის ცოცხალი რომ არ იყო,
არ მინდოდა დამეჯერა,
არ ველოდი, დამხვდებოდა,
ცეცხლჩამქრალი ჩვენი კერა.
როცა თვალწინ გადმეშალა
ჩემი სოფლის არე-მარე,
მაშინ ვიგრძენ ერთი ათად
უდედობა და სიმწარე.
მდუმარეა კარ-მიდამო,
მდუმარეა დედის ბინა,
ახლა კი მწამს, რომ საბრალოს
სამუდამოდ დაეძინა.
სადღა არის ძვირფას მშობლის
ცისფერ თვალთა შემოხედვა,
ან ალერსით წარმოთქმული —
“გენაცვალოს, შვილო, დედა”.
სარეცელთან თაყვანი ვეც
უსულოქმნილ იმის სხეულს,
იმის ლამაზ ფერმკრთალ სახეს,
უკვე დამცხრალს და დალეულს.
ცივ სამარეს დავადინე
თვალთა ჩემთა ცრემლი ცხარე,
მე კი დამრჩა სამუდამოდ
მარტოობა და სიმწარე.

1955 წ., 11 დეკემბერი, მოსკოვი

ჩემი სტუდენტობის მეგობრებს

ჩაკვრიხართ გულში ძვირფას სამშობლოს,
მე კი რუსეთმა მიშვილა თითქმის,
ჩემს არსებაზე, ჩემს ცხოვრებაზე,
მჯერა, გახარებთ, თუ კარგი ითქმის.
მოწადინებით, ახლგაზრდულად
ემსახურებით საქვეყნო საქმეს,
წარმატებები, ნაყოფი ღვაწლის
გმატებთ სიმხნევს და სიმამაცეს.
მე გისურვებდით, რომ ასე დიდხანს
ინარჩუნებდეთ ჭაბუკურ იერს
და ატარებდეთ ლამაზ ცხოვრებას
საქართველოში მრავალჟამიერ.

1956 წ., მარტი, მოსკოვი

ჩანაფიქრის პროლოგი

“არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა.
არ გავცვლი მე ჩენმს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა”.
რ. ერისთავი

გესალმებით, კავკასიის
მშობლიურო მთებო,
თოვლიანო მწვერვალებო,
მუდამ საოცნებო,
სტუმრად მოველ, მოქანცულმა
დავისვენო, მინდა,
თქვენს კალთაში, თქვენს უბეში,
გთხოვთ, მომეცით ბინა.
თქვენ მოგმართავთ როგორც მშობელს
უმაღური შვილი,
ლანდად ქცეულს, ღონემიხდილს
შემხვდით ხელგაშლილი.
იქნება, თქვენ განმიკურნოთ
სევდიანი გული,
უძილობით დალდასმული,
შრომით მიღეული.
იქნება, თქვენ მომიხმაროთ,
აღვსდგე მომაკვდავი,
ჩემი ქვეყნის დიად საქმეს
რომ შევწირო თავი.

1956 წ., ივლისი
მოსკოვი

ნინას ალბომში

“ვითა მიჯნური სატრფოს ამაცსა...”

ნ. ბარათაშვილი

ხშირად, როცა ოცნებისგან
მიბნედილი დავალ ობლად,
არ იქნება, არ მოგძებნო,
არ აღმოვჩნდე შენს მახლობლად.
მწარე ფიქრებს ხშირად ფანტავს
მაგ თვალების შმაგი ვნება,
მიქანცულ გულს აატოკებს,
გამსჭვალავს და გამორდება.
მე კი მრჩება შენთან ყოფნის
ეს წამები ვით ზმანება,
ჟამთა სრბოლას თან წაჰყვება
ყმაწვილური გატაცება.
ეს ფურცელი თუ გადარჩა
დამღუპველი ბედისწერას,
ვიცი, ბევრჯერ ჩაგაფიქრებს,
წარიტაცებს წუთით მზერას.
ეს სიტყვები, ვიცი, ბევრჯერ
ააღელვებს ალბათ შენს გულს,
მოგაგონებს ბედკრულ ავტორს,
ყველასაგან დავიწყებულს.

1957 წ., ივლისი
სოჭი

ნინას

«Ты доброй ночи пожелала,
Но если б ночь была добра,
Она бы нас не разлучала,
Когда нам вместе быть пора».

П. Б. Шелли

ჰიმენეიმ თუ აღმითქვა,
შენთან ერთად მექნეს ბინა,
მე ლექსს, აბა, რად დავზოგავ,
რომ შეგაქო, ჩემო ნინა.
მაგრამ რა ვქნა, თუ არ შემწევს
პოეტური გაქანება,
თუ კი ენაც ხელს არ მიწყობს,
შევასრულო შენი ნება.
შენს სინაზეს ვით შეჰფერის
სტრიქონები ლექსად თქმული,
აზრი აზრთან შეუსიტყვი,
უთავბოლოდ გაბნეული.
აღარ ვიცი, რა ვიღონო,
რით აღვწერო ეგ ღიმილი,
რომ შენ დარჩე ჩემგან ამით
ერთხელ მაინც კმაყოფილი.
სიტყვებში ვერ ჩავაქსოვე
შენი ეშხი და მშვენება,
სადღა ვპოვო ამის შემდეგ
სიმშვიდე და მოსვენება?
ამის გამო კალამს ძირს ვდებ,
თავს ვანებებ ლექსის წერას
და მივანდობ ჩემს მომავალს
შენს ნებას და ბედისწერას.

1958 წ., მარტი
პეკინი

ხანჯოლუ

გზის ნაპირზე
ქალაქია,
ირგვლივ მწვანე მთები,
ცელქ გრილ სიოს
შორით მოაქვს
საოცარი ხმები —
ზარის მოთქმა
მონასტრიდან,
ფრინველთ სიმღერები;
რომ ზმანება
ეს არ არის,
როგორ დავიჯერო —
მთვარის შუქზე
სიხუს ტბაზე
გაწოლილი ჩერო,
განდეგილის
საკანიდან
აფრენილი წერო.

1958 წ., მარტი, ხანჯოლუ, ჩინეთი

რად მდუმარებ?

აგრე წარბებშეჭმუხვნილი რადა ხარ,
შავი ფერის ტანსაცმელით რად დახვალ,
რა გისევდებს ეშხიან ლამაზ თვალებს,
რად არ გინდა, ჰგავდე მხიარულ ქალებს?
რად მდუმარებ, რად არ გინდა, ხმა გამცე,
ულმობელად, რად გსურს, გულს დანა დამცე,
გახსოვდეს, რომ სულ ყველაფერს აქვს ბოლო,
ტრფიალია ცოცხალ არსთა სიმბოლო,
რომ სიცოცხლე სიყვარულზე ჰკიდია,
რომ ეს გრძნობა ყველაფერზე დიდია,
ვინც მას ჰმონებს, ქვეყნად ბედნიერია,
მახინჯიც კი მისგან მშვენიერია.

1958 წლის მარტი
მოსკოვი

კორდელიას მონოლოგი “მეფე ლირიდან” (მიზაძვა)

“რას ამოვობ, რასა, კორდელიავ, კილო შესცვალე,
თუ რომ არ გინდა, ბედსა შენსა გამოესალმო”.
შექსპირი

როცა იყავი
დიდებული,
გაბრწყინებული,
ვერაგმა ენამ
დაგარწმუნა შენ
ჩემს ღალატში.
მე არ გიყვარდი.
როცა დიდება
შენი გაჰქრა,
მეფე აღარ ხარ,
ვინც შენ სიყვარულს
გეფიცებოდა,
ყველას სძულხარ,
მე კი მიყვარხარ.
შენში ვხედავდი
განა კაც-ღმერთს,
ზენაარს ვინმეს,
ქვეყნად მოვლენილს,

ვისაც მლიქვნელნი,
ავის მქმელნი
გარს ეხვევიან?
არა, მხოლოდ ბრძენ
ადამიანს —
მმართველს გონიერს,
ვინც წინ უძღვის ერს
ცხარე ბრძოლებში,
მშვიდობის დროს
თუ გასაჭირში.
გულს მიკლავს სევდა,
როცა გხედავ
გონებამიხდილს
მშობელს წამებულს,
ასე უღმერთოდ
ყველასაგან
დღეს მიტოვებულს.

1961 წ., ნოვოსიბირსკი

ვერლენიდან

“Et ie m'en vais
Au vent mauvais
Qui m'emporte
Deca, dela
Pareil a la
Feuille morte”
Verlaine

სამშობლოს მიწამ,
სამხრეთის ცამ
მე ვერ მიშველეს;
გულს დაწყლულელებულს
სად ვუშოვო
აწ სხვა მალამო?
მე ვინაც მწამდა,
არ მიწამა,
გამაგდო გარეთ;
შენ უცხო ხარო,
უსახლკარო
და მაწამწალა.
ვისლა მივმართო?
წარვიმართო
უცხო უცხოელს,
თუ უიმედო
და უბედო
გადვუდგე ჩემს ღმერთს?
ეს გაზაფხული
და ზაფხულიც
გაფრინდებიან,
დავრდომილ სხეულს,
დაოსებულს
უშველონ ვერა.
უძილო ღამემ,
ხამ მთვლემარემ,
ხან სააისომ
ჩაჰკლა სიამე,
სათნოება
სამარადისოდ.
საბრალო თვალებს
სვე გამქრალეებს,
ვნება მოკლებულთ
უკანასკნელად
ცრემლს მოადენს

ეს შემოდგომა
და როგორც ქარი
საზიზღარი
მოგლევად ფოთოლს
ჩემს სულს წამებულს
წარიტაცებს
ჟამთა სიავე.

16 თებერვალი, 1971 წ.
თბილისი

საქართველოს

“ტანი უსულო და უგრძნობიარე
თუ გინდ შინ იყოს და თუნდა გარე,
მაგრამ როგორღაც, დედაშვილობამ,
სანატრელია სამშობლო მხარე.”

გ. ჭალადიდელო

თუ ვერ მოვესწრო,
დავუბრუნდე
მე შენს მიწა-წყალს,
შენს მკერდს მოწყვეტილს
ჩრდილოეთში
ამომხდეს სული,
დედასამშობლოვ,
გევედრები,
გთხოვ, დამიჯერო,
შენს სადიდებლად,
მხოლოდ შენთვის
ძგერდა ეს გული!

1971 წლის 20 მაისი
მოსკოვი

ჭიათურას

არა უთქვამთ რა შენს ძველ წარსულზე
დიდ ჰეროდოტეს, პლინიუსს, სტრაბონს,
სდუმს მატიანე ქართლის ცხოვრების,
ჟამთააღმწერიც არაფერს ამბობს.
ეს სულ არ ნიშნავს, რომ შენი მიწა
ველურ ტომების იყო მშობელი,
რომ შენს მთა-ბარში დაძრწოდა მუდამ
ხალხი ბნელი და დაუნდობელი.
ვინც დაინახავს შენს ნაჭრილობებს,
კლდეებში შეჭრილ ციხეებს, ქვაბებს,
ის უსათუოდ ამოიკითხავს
გარდასულ დროთა დიდებულ ამბებს.
აბა, შეხედე სპეთს, კაცხის ტაძარს,
მოქანდაკებულს მხატვრულ სისრულით,
ჯრუჭის მონასტრის ბერთა ნახელავს
ოთხთავს, დაწერილს ასომთავრულით.

თუმც კლდოვანი ხარ, ჩემო სამშობლოვ,
ღარიბიაო, შენზე ვინა თქვა,
რადა ღირს მარტო შენი წიაღის
მარგანეცი თუ მარმარილოს ქვა.
წლების მანძილზე ისე შრომობდი,
სულ არ იცოდი, რა იყო ძილი,
ქვეყნის სიმდიდრის დაგროვებაში
შეტანილი გაქვს საგრძნობი წვლილი.
მუდამ, ყოველთვის მომხიბლველია
შენს შვილთა საქმე და სილამაზე,
დღეს აღტაცებით ისმენს მსოფლიო
იმერულ ჰანგებს “სულიკოს” ხმაზე.
ყვირილას შხუილს, ჩიხურას ჩუხჩუხს,
ტურფა გაზაფხულს შენი ბუნების,
საჩხერის თავზე მდგარ მოდინახეს —
უძლეველ დარაჯს ხოდაბუნების,
წინსოფელს, ჭალვანს, რგანს, პერევისას,
კეკლუცად მორთულ შუქრუთს თუ ითხვისს,
შემოგარენთა შენთა მშვენებას
რა ლექსი აღწერს, რა ენა იტყვის?
ძნელია ჩემთვის, მხატვრული სიტყვით
გადაგიხადო, რაც დამდე ვალი,
იყოს დღეგრძელი და ბედნიერი
შენს შვილთა აწმყო და მომავალი.

1971 წ., 25 მაისი
ნოვოსიბირსკი

ცხრუკვეთი

“მე დავიბადე აპრილის თვეში
ვაშლის გაშლილი ყვავილებიდან,
მათოვს სითეთრე და წვიმის თქეში
მოდის ცრემლებად ჩემს თვალებიდან”.
ტიციან ტაბიძე

ღრმა ხევთა შორის მაღალ გორაკზე
შეფენილია ჩემი სოფელი,
მამა-პაპათა ჩემთა სამშობლო,
სახნავ-სათესი და სამყოფელი.
აქ ცხოვრობს ხალხი დიდად მშრომელი,
სტუმართმოყვარე, საქმით მართალი,
ვისაც მიუჩანს წმინდათა წმინდად
ქვეყნის ნამუსი და სამართალი.
დავბადებულვარ აქ, ამ სოფელში
ჩემი მშობლების მე მერვე შვილად,
აქ გავუზრდივარ ლამაზ აკვანში
ჩემს ძვირფას დედას წყნარად და მშვიდად.
პირველი ცრემლი აქ დამდენია,
აქ შემიგრძვნია პირველი ლხენა,
აქ მისწავლია სოფლის სკოლაში
“ბუნების კარი” და “დედა ენა”.
დიდიხანია, დავემშვიდობე
მის მწვანე კალთებს, კლდეებს, ჩანჩქერებს,
მაგრამ მერწმუნეთ, დრო და მანძილი
მათზე ოცნებას ვერ შემიჩერებს.
ჩემი ცხოვრების შორ და ვრცელ გზებზე
დარდი დამყვება მე ყველგან ერთი,
რომ ვერ გავაცან ჩემს ერთადერთ შვილს
ჩემი სოფელი, — ჩემი ცხრუკვეთი.

1971 წ., 22 მაისი
ნოვოსიბირსკი

კავკასიონი თერთმეტთა თავშესაფრიდან

«Кавказ подо мною...»

А. С. Пушкин

“სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხეზიან”

ი. ჭავჭავაძე

მზიან ამინდში
უნისლო ცაზე
კავკასიონი
მე მინახავს
შორ მანძილიდან
ვით სიზმარში
უცხო ჩვენება,
მაგრამ არასდროს
არ შემიგრძნია
ასე ძლიერად
როგორც ახლა
მისი უსაზღვრო
სილამაზე,
მისი მშვენება.
თოვლით მოსილი
სხვადასხვა ფორმის
ცად აზიდული
მწვერვალები,
მხილველს ჰგონია,
სდგანან რიგში
შესაჯიბრებლად
და იყოს თითქოს
ყველაფერი ეს
მთები კი არა
ბუმბერაზი
აბჯარასხმული
რაინდები,
გაჭრილნი ველად.
როცა ბუნების
ამ საოცრებით
მოჯადოებულს
თვალწინ მედგა
გამარჯვებულის
მომხიბლველი
მშვენება სრული,
მაშინ ვიფიქრე,
მხოლოდ იალბუზს
თუ ჰქონდა ნება,
ალბათ ეთქვა:

ჩემს ქვეშ არისო
კავკასია მოთავსებული.

1971 წ., ივლისი, იტკოლი,
ყაზარდო-ბალყარეთი

გოეთედან

მთათა მწვერვალებს
მოჰფენიათ
ღამის წყვილიადა,
გრილი ნიავი
შეუსუნთქავთ
მდუმარე ველებს;
ფოთოლთშორიალი
ყურს არ ესმის,
მტვერიც ჩამცხრაღა,
ეს მყუდროება
შენც დაგიპყრობს
ალბათ სულ ჩქარა.

1971 წ., ივლისი, იტკოლი, ყაზარდო-ბალყარეთი

ნუ-მეთქი, ტურფავ, ნუ მიგალობებ
(პუშკინიდან)

ნუ-მეთქი, ტურფავ, ნუ მიგალობებ
ქართულ სიმღერებს ჰანგზე მწუხარის,
მე სმენადქცეულს მაგით მაგონებ
სულ სხვა ცხოვრებას შორეულ მხარის.
ეგ ხმა სასტიკი ბინდსა ჰფენს ჩემს სულს,
მკრთალი ნათელი მთვარიან ღამის
თვალწინ მიხატავს ვაებით მოცულს
მწუხარე სახეს ღამაში ქალის.
გიმზერ და წუთით მავიწყებ თითქოს
ჩემი საბედოს აჩრდილს შორეულს,
რომ კვლავ მაჩვენო ვნებით სათუთით
შენი სიმღერით სევდამორეულს.
ნუ-მეთქი, ტურფავ, ნუ მიგალობებ
ქართულ სიმღერებს ჰანგზე მწუხარის,
მე სმენადქცეულს მაგით მაგონებ
სულ სხვა ცხოვრებას შორეულ მხარის.

1974 წ., 24 მაისი
მოსკოვი

ზამთრის საღამო
(პუშკინიდან)

გრიგალმა თოვლის მანდილით
ჩამოაბნელა ზეცა,
ხან თითქოს მოთქვამს ბავშვივით,
თითქოს იყმუვლა მხეცმა.
შეარხევს ისლის სახურავს
თივის შრიალის ხმაზე,
თითქოს ჰგავს გზააბნეულ მგზავრს,
უდროოდ მომდგარს კარზე.

* *

*

ჩვენი ქოხი ძველისძველი,
ბუდე მწუხარებისა,
ბნელი ბინა, მოუვლელი
ჩემი დედაბერისა.
შიგნით სევდის მორევია
და ქარბუქის გრიალში,
ძიძავ, თვლემა მოგრევია
თითისტარის ტრიალში.

* *

*

ღვინით სავსე შევსვათ თასი,
გავიქარვოთ დარდები,
სხვა ვინა მყავს შენი ფასი,
სხვას ვის შევუყვარდები?!
თან მიმდერე ძველებურად,
გამაგონე ტკბილი ხმა,
შიგ ჩაქსოვე შენებურად
ჯადოსნური თილისმა!

* *

*

გრიგალმა თოვლის მანდილით
ჩამოაბნელა ზეცა,
ხან თითქოს მოთქვამს ბავშვივით,
თითქოს იყმუვლა მხეცმა.
ღვინით სავსე შევსვათ თასი,
გავიქარვოთ დარდები,
სხვა ვინა მყავს შენი ფასი,
სხვას ვის შევუყვარდები?!

1976 წ., სექტემბერი
ჭიათურა

გრიგოლ ბაკურიანს!

“ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები!
ვინ შეაქოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები”!

აკაკი

წინაპართა მიწას,
ტაოს, კლარჯეთის ცას
რა ძალამ მოგწყვიტა,
რატომ გადაგხვეწა
უცხოთ სამყაროში?
იქნებ მართლაც დედამ
მამით ობლის სევდამ,
გულზე მოდებულმა,
გადაგაწყვეტინა,
ავ ბედისტრიალში
გამგზავრებულყავ
შორს, ბიზანტიაში
ჯერ სულ ახალგაზრდა?
ეგებ სხვა ოცნებამ,
სიმხნემ, შემართებამ
წაგაქეზიანა
ალბათ ამის გარდა!
ცეცხლისმფრქევ მახვილით,
“ჰკა მაგას” ძახილით
შენს მკვიდრ ძმასთან ერთად
ბიზანტიის მტრები
დალახვრე, შემუსრე
და შენი სახელი,
ძლევის ამსახველი,
ქვეყანას მოედო
გმირობის ემბლემად.
დიდი სარდლის ბედი
თავზე დაგდგომოდა
ვით შარავანდედი
ბრწყინვალე გვირგვინად.
რისთვის იბრძოდი,
განა არ იცოდი?
მაგრამ ვის შერჩაო
ყოფნა ბოლოს ლხინად?
კეისრის ასულმა,
სარძლოდ არ დასმულმა,
ასე უსამართლოდ
რარიგ გაგიმეტა?
უცხოთ შთაგონებით

“ალექსიადაში”
ატეხა განგაში;
რა ხერხს არ მიმართა,
რადა არ იღონა,
ყოვლად საზიზღარი
ჭორი მოგიგონა,
ორლესულ მახვილად
გულში გაგიყარა.
სომხობა დაგწამა,
ღმერთი არ იწამა
და ნაამაგარი
წყალში ჩაგიყარა.
მოდმე ბულგარეთში,
როდოპის ძველ მთებში
მხოლოდ სამვალეა
შენი შენახული
მტრისგან ხელუხლები.
პეტრიწონს რაც ჰქონდა
თუმცა მტერს გაჰქონდა,
მაგრამ დამერწმუნე,
ჩვენც დაგვჩა ნაწილად.
შენი ძველი ერი,
მრავალ ჭირნახული,
მაგრამ ბედნიერი,
თუ დღესაც ერია,
მტერთა შემჩვენებელს,
ქველმოქმედს, მშენებელს
მარად მოგიგონებს
შენი ივერია.

1975 წ., სექტემბერი
ბაჩკოვო (ბულგარეთი)

მლიქვნელს

“ზოგი კაცია ეშმაკის მუშა,
ეშმას ნაშენი ღმერთმა დაფუშა.”
საიათნოვა

«...А ты мне душу предлагаешь,
На кой мне чёрт душа твоя»
М. Ю. Лермонтов

საზღაურად რომ შენს სულს მთავაზობ,
ვფიქრობ, არ ვარგა ეგ განაჩენი,
გირჩევ, სჯობია, რომ ეშმაკს მისცე,
მე ის მეყოფა, რაცა მაქვს, ჩემი.

1979 წ., 12 აგვისტო
წყნეთი

მას

«Я был в России. Грачи кричали.
Весна дышала в моё лицо»

К. Бальмонт

გახსოვს, რუსეთში დაწყვილებულ ფრინველთ ალიანსს
ჩვენ აღვიქვამდით გაზაფხულის სუნთქვასთან ერთად,
ალბათ იმიტომ მომაპყრობდი მზერას ნაღვლიანს,
რომ ვერ ვხედავდი ოქროს ბეჭედს ჩვენს შემაერთად!
შემოვიარე ცა და მიწა, კვლავ დაგიბრუნდი,
მაგრამ უბრები მუნჯებით რადა ვართ კვლავაც,
რატომ გამოდგა ჩვენ ორისთვის ცხოვრება მრუდი,
რისთვის მიყურებ ასე უღვთოდ გულმოსაკლავად?
ის, რაც რომ ბედმა მე მარგუნა, რასაც ვმსახურებ,
რად გეჩვენება ასე უქმად, ასე საცილოდ,
ან ჩვენს ცხოვრებას დამცინავად რისთვის უყურებ,
რატომ გახადე სხვის თვალეში ის სასაცილოდ?
მჯერა, დადგება ჩვენი ყოფის კვლავ გაზაფხული,
კვლავაც სიამით ჩვენ მივაპყრობთ ერთმანეთს მზერას
და ორი გული, სიყვარულით გალადებული,
დაადებს სასჯელს უსამართლო ჩვენს ბედისწერას!

1979 წლის ოქტომბერი
წყნეთი

გახსოვდეს მარად

დავიწყების ზღვას
დაუფარავს
ყველაფერი
ამქვეყნიური,
მხოლოდ რჩეულებს
ვერას აკლებს
ისტორიის
ეს სისასტიკე.
სიბრძნის,
გმირობის
მწვერვალები,
შემკობილნი
ყვავილებით,
ცადაზიდულნი,
მარადიულად
დაჰყურებენ
კუნძულებად
დავიწყების ზღვას.

1981 წ., თებერვალი
წყნეთი

ომარ ხაიამიდან

ყველანი, ვინც კი
მოვლენილან
სიბრძნის მშვენიებად,
ბრწყინავდნენ ერთ დროს
მედიდურად
ცოდნის გუმბათზე,
ვერარას გახდნენ,
რომ აეხსნათ
საგანთა არსი,
უშინაარსოდ
დაშთენილან
ზღაპრულ ჩვენებად.

1981 წლის თებერვალი
წყნეთი

რექვიემი

“მაგრამ ვერასდროს ვერ გივიწყებ და ისიც ვიცი,
ვერსად, ვერასდროს, ვერც ერთი გზით ვეღარ შეგხვდები.”

გ. ტაბიძე

გამიძნელდა შენი ნახვა,
განწირული ავადმყოფის,
დავსწრებოდი ორთა ბრძოლას
შენი ყოფნის და არყოფნის.
ჩემთვის ალბათ კიდევაც სჯობს,
სულთმობრძავი რომ ვერ გნახე,
ხსოვნაში რომ ვერ შთავბეჭდე
ფერმიხდილი შენი სახე.
დაკრძალვასაც ძლივს მოვუსწარ,
შორი მქონდა გზა სავალი,
ვესწრაფოდი, მომეხადა
შენს წინაშე ჩემი ვალი.
ჩქარა ალბათ თოვლიც მოვა
და დაბარდნის არე-მარეს,
თეთრ სუდარად დაედება
მიწამიყრილ შენს სამარეს.
ზამთრის სუსხი ბილიკს შეჰკრავს,
შეაფერხებს მნახველთ დენას,

ვერვინ ნახავს ხორციელი
გარდასულ სულთ წარმოდგენას.
რადგან მუდამ ასეთია
მოკვდავ კაცთა ბედისწერა,
გადავწყვიტე, რომ ეს ლექსი
რექვიემად დამეწერა.
და მე მჯერა, ეს სიტყვები,
მოდებული მთელ ქვეყანას,
აღბათ შეცვლის შენს საფლავთან
წარმოუთქმელ სულთათანას.

1981 წ., დეკემბერი
წყნეთი

ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 145-ე წლისთავზე

“მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!...”

ი. ჭავჭავაძე


შორს ჩრდილოეთში ალბათ ხშირად გაგონდებოდა
ახალგაზრდობა, ყვარლის მთებში გატარებული,
ქინძმარაულში გაზაფხულზე ვაზის ტირილი,
ძვირფასი დედის სათნოებით აღსავსე გული.

სამშობლო მხარის მოყვარულმა და დინჯმა შვილმა
სახალხო საქმეს შეაღიე ახალგაზრდობა,
წარმატებებით ფრთაშესხმული წინ ისწრაფოდი,
ვერ გაშინებდა უგუნურთა შური და მტრობა.

მადლობის ნაცვლად არაერთხელ მოგისმენია
ცრუ პატრიოტთა ერთობლივი სტვენა, განგაში,
მაგრამ გჯეროდა, გამარჯვების დღე დადგებოდა
მტრისგან შელანძლულ, დამონებულ შენს ქვეყანაში.

კაცობრიობას ასე მოსდგამს, ჩვენი ცხოვრება
როგორც ყოველთვის ახლაც ბრძოლა და ჭიდილია,
შენი სახელი ჩაუქრობელ ლამპრად ანთია
სამარადისოდ ქართველთ გულში, დიდო ილია!

1982 წ., წყნეთი



Prof. A. BITSADZE

22.05.1916 - 06.09.1994

EDUCATION AND SCIENTIFIC DEGREES

- | | |
|-----------|---|
| 1923-1926 | Pupil of village Tskhrukveti Primary School for Working Youth |
| 1926-1931 | Pupil of Chiatura Nine-Year School |
| 1935-1940 | Student of Tbilisi State University , Faculty of Physics and Mathematics |
| 1940-1943 | Post-Graduate Student of Tbilisi Mathematical Institute of the Georgian Academy of Sciences |
| 1944 | Cand. Sci.(Phys.& Math.) |
| 1948-1951 | Doctorate of V.A. Steklov Mathematical Institute of the USSR Academy of Sciences |
| 1951 | Dr. Sci. (Phys.& Math.) |

POSITION HELD AND ACADEMIC EXPERIENCE

- | | |
|-----------|---|
| 1932-1935 | Teacher of Physics and Mathematics of shortened secondary schools in villages Tskhrukveti, Chala and Nigozeti |
| 1944-1945 | Junior Researcher of Tbilisi Mathematical Institute of the Georgian Academy of Sciences |
| 1945-1948 | Senior Researcher of Tbilisi Mathematical Institute of the Georgian Academy of Sciences |
| 1951-1959 | Senior Researcher of V.A. Steklov Mathematical Institute of the USSR Academy of Sciences |
| 1959-1971 | Head of Department of the Theory of Functions of Mathematical Institute (Siberian Branch of the USSR Academy of Sciences) |

1971-1994 Head of Department of Partial Differential Equations
of V.A. Steklov Mathematical Institute of the USSR
Academy of Sciences

OFF-HOUR JOB

1941-1945 Assistant of the Physical and Mathematical
Faculty of Tbilisi State University
1945-1947 Docent of the Physical and Mathematical Faculty
of Tbilisi State University
1952-1955 Docent of Moscow M.V. Lomonosov State University
1959-1971 Head of the Chair of the Theory of Functions of
Novosibirsk State University
1971-1978 Head of the Chair of Higher Mathematics of Moscow
Physical-Engineering Institute
1979-1983 Director of I. Vekua Institute of Applied
Mathematics of Tbilisi State University
1983-1994 Professor of the Faculty of Computational
Mathematics and Cybernetics of Moscow M.V.
Lomonosov State University

RESEARCH INTERESTS

Elliptic equations and systems, mixed type equations, theory of analytical functions,
mathematical physics

MEMBERSHIP IN SCIENTIFIC ACADEMIES

1958 Corresponding Member of the USSR Academy of Sciences
1969 Academician of the Georgian Academy of Sciences

PRIZES AND AWARDS

1946 Medal for Labour Valour in 1941-1945 during the
Great Patriotic War
1954 Medal for Labour Heroism
1966, 1975 Order of the Red Banner of Labour
1970 Jubilee Lenin's Medal
1971 Order of Lenin
1982 N.I. Muskhelishvili's Prize of the Georgian Academy
of Sciences
1983 Honorary title of Honoured Scientist of the Georgian SSR
1986 Order of October Revolution

MAIN PUBLICATION

(i) Monographs

1. Mixed type equations. (Chinese) Peking, 1955.
2. Some linear problems for linear partial differential equations. (Chinese) Peking, 1958.
3. Mixed type equations. Itogi Nauki, 1959, vol. 2, 1-164.
4. Gleichungen vom gemischten Typus. (Russian) Moskau: Verlag der Akademie der Wissenschaften der UdSSR. 164 p. (1959).
5. Equations of the mixed type. (English) Pergamon Press, Oxford-London, New-York, Paris, 1964, 1-160.
6. Randwertaufgaben für elliptische Gleichungen zweiter Ordnung (Russian) Moskau: Verlag 'Nauka'. Hauptredaktion für physikalisch-mathematische Literatur. 203p . (1966).
7. Boundary value problems for second order elliptic equations. Translated from the Russian by Scripta Technica, Ltd. Translation edited by M.J. Laird North-Holland Series in Applied Mathematics and Mechanics. 5. Amsterdam: North-Holland Publishing Company. 211 p. (1968).
8. Some classes of partial differential equations. (Russian) Moskva: "Nauka". 448. p. (1981).
9. Some classes of partial differential equations 504 p. (1988).
10. Partial differential equations. Series on Soviet and East European Mathematics. 2. Singapore: World Scientific. xiii, 227 p. (1994).
11. Integral equation of first kind. Series on Soviet and East European Mathematics 7, Word Scientific Publishing Co., Inc., River Edge, NJ, 1995.

(ii) Dissertations

1. General representation of solutions of elliptic systems of differential equations and some of their applications. Dissertation for the degree of candidate of the phys.-math. sciences. Tbilisi, 1944.
2. To the problem of mixed type equations. Dissertation for the degree of doctor of the phys.-math. sciences. Moscow, 1951.

(iii) Text Books and School Supplies

1. Lectures in the theory of analytic functions of a complex variable. Novosibirsk: Novosibirsk State University, 1967, 1-226.
2. Grundlagen der Theorie der analytischen Funktionen einer komplexen Veränderlichen (Russian) Moskau: Verlag 'Nauka'. Hauptredaktion für physikalisch-mathematische Literatur. 239 p. (1969).
3. Essentials of the theory of analytical functions of a complex variable. 2nd edition. M.: Nauka, 1972, 1-264.
4. Lectures in equations of mathematical physics. Moscow Physical Engineering Institute, 1972.
5. Grundlagen der Theorie analytischer Funktionen. Academic Verlag. Berlin, DDR, 1973.
6. Approximate collection of exercises in the course of equations of mathematical physics. M.: MIFI, 1975.

7. Arrangement of teaching of mathematics in MIFI. In: Scientific organization of the teaching process. M.: MIFI, 1975, 2nd edition.
8. Equations of mathematical physics. M.: Nauka, 1976.
9. Collection of problems in equations of mathematical physics. M.: Nauka, 1977 (jointly with D.F. Kalinichenko). Transl. Moscow: Mir Publishers, 1983.
10. Equations of mathematical physics. Moscow, "Mir", 1980.
11. Equations of mathematical physics. M.: Nauka, 1982.
12. Essentials of the theory of analytical functions. 3rd edition. Text book. M.: Nauka, 1984.

(iv) Scientific papers

1. Tangential derivative of a simple layer potential. In: N.I. Muskhelishvili. Singular Integral equations. M.: 1946, No. 13, Ch.I.
2. Über lokale Deformationen in zusammengedrückten elastischen Körpern. (Russian) Soobshch. Akad. Nauk Gruz. SSR 3, 419-424 (1942).
3. Über eine allgemeine Darstellung der Lösungen linearer elliptischer Differentialgleichungen. (Georgian. Russian summary) Soobshch. Akad. Nauk Gruz. SSR 4, 613-622 (1943).
4. Boundary value problems for systems of linear differential equations of elliptic type. Bull. Acad. Sci. Georgian SSR, 1944, vol. 5, No. 8.
5. On some applications of a general representation of solutions of elliptic differential equations. Bull. Acad. Sci. Georgian SSR, 1946, vol. 7, No. 6.
6. Problems of oscillation of uniformly compressed thin elastic plate. Proc Tbilisi State University. Tbilisi, 1947, vol. 30a.
7. General representations of solutions of a system of elliptic second order differential equations, and their application. In: I.N. Vekua. New methods of solution of elliptic equations. M.-L. 1948.
8. Über die Eindeutigkeit der Lösung des Dirichletschen Problems für elliptische partielle Differentialgleichungen. (Russian) Usp. Mat. Nauk 3, No. 6(28), 211-212 (1948).
9. Über die sogenannten areolar-monogenen Funktionen. (Russian) Dokl. Akad. Nauk SSSR, n. Ser. 59, 1385-1388 (1948).
10. Über ein Funktionensystem. (Russian) Usp. Mat. Nauk 5, No.4(38), 154-155 (1950).
11. Über die Eindeutigkeit der Lösung eines allgemeinen Randwertproblems für eine Gleichung von gemischtem Typus. (Russian) Soobshch. Akad. Nauk Gruz. SSR 11, 205-211 (1950).
12. Zum Problem der Gleichungen von gemischtem Typus. (Russian) Dokl. Akad. Nauk SSSR, n. Ser. 70, 373-376 (1950) (with Lavrent'ev, M.A.).
13. Über einige Probleme von gemischtem Typus. (Russian) Dokl. Akad. Nauk SSSR, n. Ser. 70, 561-564 (1950).
14. Zu einem allgemeinen Problem von gemischtem Typus. (Russian) Dokl. Akad. Nauk SSSR, n. Ser. 78, 621-624 (1951).
15. Zum Problem der Gleichungen vom gemischtem Typus. (Russian) Tr. Mat. Inst. Steklova 41, 59 S. (1953).

16. Über die Gleichung von gemischten Typus. (Russian) Usp. Mat. Nauk 8, No.1(53), 174-175 (1953).
17. Ein räumliches Analogon des Integrals vom Cauchyschen Typus und einige seiner Anwendungen. (Russian) Izv. Akad. Nauk SSSR, Ser. Mat. 17, 525-538 (1953).
18. Ein räumliches Analogon des Integrals vom Cauchyschen Typus und einige seiner Anwendungen. (Russian) Dokl. Akad. Nauk SSSR, n. Ser. 93, 389-392 (1953).
19. Die Umkehrung eines Systems von singulären Integralgleichungen. (Russian) Dokl. Akad. Nauk SSSR, n. Ser. 93, 595-597 (1953).
20. On two-dimensional Cauchy type integrals. Bull. Acad. Sci. Georgian SSR, 1955, vol. 16, No. 3, 177-184.
21. On a Frankl's problem. (Russian) Dokl. Akad. Nauk SSSR 109, 1091-1094 (1956).
22. Linear mixed type partial differential equations. Proc. of the III All-Union Mathematical Congress. M.: Acad. Sci. USSR Publishers, 1956, vol. 3, 36-42.
23. Zum Problem der Gleichungen vom gemischten Typ in mehrdimensionalen Gebieten. (Russian) Dokl. Akad. Nauk SSSR 110, 901-902 (1956).
24. On the uniqueness of the solution of Frankl's problem for Chaplyguin's equation. (Russian) Dokl. Akad. Nauk SSSR 112, 375-376 (1957).
25. On elliptical systems of second order partial differential equations. (Russian) Dokl. Akad. Nauk SSSR 112, 983-986 (1957).
26. Über ein elementares Verfahren zur Lösung einiger Randwertaufgaben der Theorie der holomorphen Funktionen und der mit ihnen zusammenhängenden singulären Integralgleichungen. (Russian) Usp. Mat. Nauk 12, No.5(77), 185-190 (1957); corrections 13, No.2(80), 270 and No.4(82), 232 (1958).
27. Incorrectness of Dirichlet's problem for the mixed type of equations in mixed regions (Russian) Dokl. Akad. Nauk SSSR 122, 167-170 (1958).
28. Zur Theorie der Gleichungen gemischtzusammengesetzten Typus (Russian) Sib. Mat. Zh. 2, 7-19 (1961) (with Salakhitdinov, M.S.).
29. On the mixed-composed type equation. Certain problems of mathematics and Mechanics. Novosibirsk, 1961, 47-49.
30. To the theory of harmonic functions. Proc. Tbilisi State University. Tbilisi, 1961, vol. 84.
31. Mixed type equations in three-dimensional regions Sov. Math., Dokl. 3, 510-512 (1962); translation from Dokl. Akad. Nauk SSSR 143, 1017-1019 (1962).
32. A homogeneous problem for the slant derivative for harmonic functions in three-dimensional regions (Russian, English)Sov. Math., Dokl. 4, 156-159 (1963); translation from Dokl. Akad. Nauk SSSR 148, 749-752 (1963).
33. Über ein dreidimensionales Analogon des Problems von Tricomi (Russian) Sib. Mat. Zh. 3, 642-644 (1962).
34. To the problem of an oblique derivative for harmonic functions in three-dimensional domains. Materials of the Soviet Symposium in Partial Differential Equations. Novosibirsk, 1963.
35. A homogeneous problem for the slant derivative for harmonic functions in three-dimensional regions Sov. Math., Dokl. 4, 156-159 (1963); translation from Dokl. Akad. Nauk SSSR 148, 749-752 (1963).

36. A particular case of the problem of the slant derivative for harmonic functions in three-dimensional regions (Russian, English) *Sov. Math., Dokl.* 5, 477-478 (1964); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 155, 730-731 (1964).
37. The problem of the oblique derivative with polynomial coefficients (Russian, English) *Sov. Math., Dokl.* 5, 1102-1104 (1964); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 157, 1273-1275 (1964).
38. A class of multidimensional singular integral equations (Russian, English) *Sov. Math., Dokl.* 5, 1616-1618 (1964); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 159, 955-957 (1964).
39. Normally solvable elliptic boundary value problems *Sov. Math., Dokl.* 6, 1347-1349 (1965); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 164, 1218-1220 (1965).
40. A criterion for the convergence of the gradients of a sequence of harmonic functions (Russian, English) *Sov. Math., Dokl.* 7, 708-709 (1966); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 168, 733-734 (1966).
41. To the Schwartz lemma. *Proc. Tbilis. Math. Inst. Tbilisi*, 1967, vol. 33, 15-20.
42. On some simple generalizations of linear elliptic boundary problems (Russian, English) *Sov. Math., Dokl.* 10, 398-400 (1969); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 185, 739-740 (1969) (with Samarskij, A.A.).
43. Zur Theorie der Gleichungen gemischten Typs (Russian) *Differ. Uravn.* 6, 3-6 (1970).
44. Zur Theorie der nichtfredholmschen elliptischen Randwertprobleme. (Russian) *Differ. Uravn. Chastn. Proizvodnymi; Tr. Simp. posvjasc. 60-let. Akad. S. L. Sobolev*, 64-70 (1970).
45. Zur Theorie der Gleichungen vom gemischten Typus (German) *Ellipt. Differentialgl., Kolloquium Berlin 1969*, 91-96 (1971).
46. Zur Theorie einer Klasse von Gleichungen gemischten Typs. (Russian) *Nekot. Probl. Mat. Mekh., k Semidesyatiletiju Akad. M.A.Lavrent'ev*, 112-119 (1970).
47. Sur la théorie des problèmes aux limites elliptiques nonfredholmiens. (On the theory of non-Fredholm elliptic boundary value problems). (French) *Actes Congr. internat. Math.* 1970, 2, 685-690 (1971).
48. To the theory of non-Fredholm elliptic boundary value problems. *Proc. Intern. Math. Congress in Nice*, 1972.
49. To the theory of one mixed type equation. In: *Beitrage zur Analysis*, 4 (Berlin, DDR, DVM), 1972, vol. 4.
50. On the theory of quasilinear ordinary differential equations of first order. *Proc. Steklov Inst. Math.* 112, 94-104 (1971); translation from *Trudy Mat. Inst. Steklov* 112, 95-104 (1971).
51. Zur Theorie der Gleichungen gemischten Typs, deren Ordnung längs der Linie der Typusänderung entartet. (Russian) *Meh. splosn. Sredy rodstv. Probl. Analiz.*, 47-52 (1972).
52. On a system of linear partial differential equations. *Sov. Math., Dokl.* 13, 766-769 (1972); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 204, 1031-1033 (1972).
53. Theory of degenerate hyperbolic equations in multidimensional domains. *Sov. Math., Dokl.* 13, 807-810 (1972); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 204, 1289-1291 (1972) (with Nakhushev, A.M.).

54. Correct formulations of problems for equations of mixed type in multidimensional domains. *Sov. Math., Dokl.* 13, 857-860 (1972); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 205, 9-12 (1972) (with Nakhushev, A.M.).
55. Zur Theorie einer Klasse von Gleichungen gemischten Typs. (Russian) *Beitr. Analysis* 4, 39-45 (1972).
56. Partial differential equations. *Mathematical Encyclopaedia*, vol. 2. M.: Soviet Encyclopaedia, 1973.
57. Boundary value problems. *Large Soviet Encyclopaedia*, 3rd edition, 1973, vol. 13.
58. To the linearized Navier-Stokes problem. *Proc. Intern. Symp. in Karl-Marx Stadt*, 1973.
59. Modern state of the theory of mixed type equations. *Proc. Intern. Symp. in Kjulungsberg (DDR)*, 1973.
60. On the theory of the Maxwell-Einstein equation. *Sov. Math., Dokl.* 15, 762-764 (1974); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 216, 249-250 (1974) (with Pashkovskij, V.I.).
61. On an application of function-theoretical methods in the linearized Navier-Stokes boundary value problem. *Ann. Acad. Sci. Fenn., Ser. A I* 571, 9 p. (1974).
62. To the theory of mixed type equations in multi-dimensional domains. *Differential Equations*, 1975, vol. 10, No. 12, 2184-2191.
63. Über gewisse Klassen von Lösungen der Maxwell-Einsteinschen Gleichung. (Russian) *Tr. Mat. Inst. Steklova* 134, 26-30 (1975) (with Pashkovskij, V.I.).
64. On an equation of the gravitational field. *Sov. Math., Dokl.* 16, 693-696 (1975); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 222, 765-768 (1975).
65. On the question of formulating the characteristic problem for second order hyperbolic systems. *Sov. Math., Dokl.* 16, 1062-1066 (1975); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 223, 1289-1292 (1975).
66. The influence of the minor terms on the correctness of the formulation of characteristic problems for hyperbolic systems of second order. (Russian, English) *Sov. Math., Dokl.* 16, 1437-1440 (1975); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 225, 31-34 (1975).
67. Der moderne Stand der Theorie der Gleichungen gemischten Typs. (Russian) *Beitr. Analysis* 8, 59-65 (1976).
68. On the theory of systems of partial differential equations. *Proc. Steklov Inst. Math.* 142, 67-77.
69. On a class of nonlinear partial differential equations. *Funct. theor. Meth. part. Differ. Equat., Proc. int. Symp., Darmstadt 1976, Lect. Notes Math.* 561, 10-16 (1976).
70. The theory of non-Fredholm elliptic boundary value problems. *Am. Math. Soc., Translat., II. Ser.* 105, 95-103 (1976).
71. On a class of quasi-linear partial differential equations. (Russian) *Problems of mathematical physics and numerical mathematics, Work Collect., Moscow 1977*, 63-70 (1977).
72. On some classes of exact solutions of the gravitational field equations. *Sov. Math., Dokl.* 18, 411-412 (1977); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 233, 517-518 (1977).
73. Über einige Klassen exacter Lösungen des Systems der Maxwell-Einsteinschen Gleichungen. *Restakt. 200 Weiderkehr des Geburtstages vom Carl Friedrich Gauss.* Berlin, 1977.

74. On the Dirichlet and Neumann problems for nonlinear elliptic equations of second order. *Sov. Math., Dokl.* 18, 615-619 (1977); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 234, 265-268 (1977).
75. On the Tricomi problem for nonlinear equations of mixed type. *Sov. Math., Dokl.* 18 (1977), 999-1003 (1978); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 235, 733-736 (1977).
76. Theory of a class of nonlinear partial differential equations. *Differ. Equations* 13, 1388-1399 (1977).
77. Waves in the flow of a liquid of variable density. *Differ. Equations* 14, 750-754 (1978).
78. On a boundary value problem for the Helmholtz equation. *Sov. Math., Dokl.* 19, 494-496 (1978); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 239, 1273-1275 (1978).
79. A system of nonlinear partial differential equations. *Differ. Equations* 15, 903-905 (1980).
80. On exact solutions of a version of the gravitational field equations. *Sov. Math., Dokl.* 22, 53-54 (1980); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 253, 266-267 (1980).
81. On exact solutions of a class of systems of quasilinear partial differential equations. *Sov. Math., Dokl.* 23, 319-322 (1981); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 257, 780-783 (1981).
82. Exact solutions of certain nonlinear partial differential equations. *Differ. Equations* 17, 1100-1104 (1982); translation from *Differ. Uravn.* 17, 1774-1778 (1981).
83. Exact solutions of some variants of the equations of the gravitational field. *Proc. Steklov Inst. Math.* 157, 19-24 (1983).
84. On a nonlinear equation of parabolic type. *Sov. Math., Dokl.* 25, 856-858 (1982); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 264, 1293-1295 (1982).
85. On the Cauchy problem for a class of nonlinear first-order partial differential equations. *Sov. Math., Dokl.* 26, 5-7 (1982); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 265, 14-16 (1982).
86. A new class of exact solutions of Yang's equations for SU(2) gauge fields. *Sov. Math., Dokl.* 27, 396-399 (1983); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 269, 781-784 (1983).
87. On the theory of self-dual SU(3) gauge fields. *Sov. Math., Dokl.* 27, 523-525 (1983); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 270, 21-23 (1983).
88. On the theory of nonlocal boundary value problems. *Sov. Math., Dokl.* 30, 8-10 (1984); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 277, 17-19 (1984).
89. On a class of exact solutions of Lorentz-covariant equations. *Sov. Math., Dokl.* 30, 65-66 (1984); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 277, 274-276 (1984).
90. Some problems of dynamics of the Georgian Black Sea Shore. *Bull. Acad. Sci. Georgian SSR*, 1984, vol. 113, No. 1.
91. On the construction of exact solutions for some classes of nonlinear equations describing non-stationary processes. (Russian) *Current problems of mathematical physics and numerical mathematics, Collect. Artic., Moskva* 1984, 34-40 (1984).
92. On a class of conditionally solvable nonlocal boundary value problems for harmonic functions. *Sov. Math., Dokl.* 31, 91-94 (1985); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 280, 521-524 (1985).
93. Cauchy problem for harmonic functions. *Differ. Equations* 22, 8-14 (1986); translation from *Differ. Uravn.* 22, No.1, 11-18 (1986).
94. On some integral equations of the first kind. *Sov. Math., Dokl.* 33, 270-272 (1986); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 286, 1292-1295 (1986).

95. Singular integral equations of the first kind with Neumann kernels. *Differ. Equations* 22, 591-604 (1986).
96. The multidimensional Hilbert transform. *Sov. Math., Dokl.* 35, 390-392 (1987); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 293, 1039-1041 (1987).
97. On polyharmonic functions. *Sov. Math., Dokl.* 35, No.3, 540-544 (1987); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 294, No.3, 521-525 (1987).
98. Partial differential equations. *Proc. Steklov Inst. Math.* 176, 263-300 (1988); translation from *Tr. Mat. Inst. Steklova* 176, 259-299 (1987) (with Vinogradov, V.S.; Dezin, A.A.; Il'in, V.A.).
99. On integral equations of the linear theory of contact problems. *Sov. Math., Dokl.* 38, No.3, 496-500 (1989); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 303, No.2, 265-270 (1988).
100. Integral equations of the first kind with singular kernels generated by the Schwarz kernel. *Sov. Math., Dokl.* 38, No.1, 188-194 (1989); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 301, No.6, 1289-1294 (1988).
101. Some properties of polyharmonic functions. *Differ. Equations* 24, No.5, 543-548 (1988); translation from *Differ. Uravn.* 24, No.5, 825-831 (1988).
102. On the Neumann problem for harmonic functions. *Sov. Math., Dokl.* 41, No.2, 193-195 (1990); translation from *Dokl. Akad. Nauk SSSR* 311, No.1, 11-13 (1990).
103. Singular integral equations of the first kind. *Proc. Steklov Inst. Math.* 200, 49-59 (1993); translation from *Tr. Mat. Inst. Steklova* 200, 46-56 (1991).
104. On the generalized Neumann problem. Potential theory, *Proc. Int. Conf., Nagoya/Jap.* 1990, 155-160 (1992) (with Andrej. V.)
105. Function-theoretic methods for singular integral equations. *Complex Variables, Theory Appl.* 19, No.1-2, 1-13 (1992).
106. On a hyperbolic system of first-order quasilinear equations. *Russ. Acad. Sci., Dokl., Math.* 46, No.3, 454-457 (1993); translation from *Dokl. Akad. Nauk, Ross. Akad. Nauk* 327, No.4-6, 423-427 (1992).
107. Two-dimensional analogues of the inversion formulas of Hardy and Hilbert. *Russ. Acad. Sci., Dokl., Math.* 48, No.3, 635-639 (1994); translation from *Dokl. Akad. Nauk, Ross. Akad. Nauk* 333, No.6, 696-698 (1993).
108. To the theory of quasilinear partial differential equations. *Differ. Equations* 30, No.5, 749-754 (1994); translation from *Differ. Uravn.* 30, No.5, 814-820 (1994).
109. On structural properties of solutions of hyperbolic systems of partial differential equations of the first order. (Russian. English summary) *Mat. Model.* 6, No.6, 22-31 (1994).

PUBLICATIONS

1. Monograph on mathematics (Referee's report). *Nature*, 1957, No. 10.
2. Mathematical life in the USSR. Michael A. Lavrent'ev. *Uspekhi Mat. Nauk*, 1061, vol. 16, 4(100) edition, 211-221 (jointly with A.I. Markushevich, B.V. Shabat).
3. Ilya N. Vekua. Tbilisi: Metsniereba, 1967.
4. Ill'ja Nesterovic Vekua. (Zum 60. Geburtstag) (Russian) *Differ. Uravn.* 4, 160-187 (1968).

5. Sergei L'vovic Sobolev (zum sechzigsten Geburtstag) (Russian) Usp. Mat. Nauk 23, No.5(143), 177-186 (1968) (with Kantorovich, L.V.; Lavrent'ev, M.A.).
6. Generosity of talant (On the occasion of S.L. Sobolev's 60th birthday). In the newspaper: "Nauka v Sibiri", 1968.
7. Mikhail Alekseevich Lavrent'ev (zum siebzigsten Geburtstag) (English) Izv. Akad. Nauk SSSR, Ser. Mat. 34, 1195-1199 (1970).
8. V.S. Vladimirov (On the occasion of his 50th birthday). Differential Equations, 1973, vol. 9, 389-391 (jointly with N.N. Bogoljubov, N.P. Erugin).
9. V.D. Kupradze (On the occasion of his 70th birthday). Differential Equations, 1973, vol. 9, 2105-2111 (jointly with N.P. Erugin, V.I. Krylov).
10. Boundary value problems. Large Soviet Encyclopaedia, 3rd edition, 1973, vol. 13.
11. Zaid I. Khalilov. Uspekhi Mat. Nauk, 1974, vol. 29, No. 5, 211-214 (jointly with N.N. Bogoljubov, I.N. Vekua, F.G. Maksudov, Ju.A. Mitropol'skii, S.L. Sobolev).
12. Andrej Nikolaevich Tikhonov (on his seventieth birthday). (English) Russ. Math. Surv. 31, No.6, 1-11 (1976) (Il'in, V.A.; Samarskij, A.A.; Sveshnikov, A.G.).
13. Il'ya Nestorovich Vekua (zum siebzigsten Geburtstag). (Russian) Usp. Mat. Nauk 32, No. 2(194), 3-21 (1977) (Aleksandrov, P.S.; Vishik, M.I.; Olejnik, O.A.).
14. Ilya N. Vekua (On the occasion of his 70th birthday). Complex analysis and its applications. Proc. MIAN, 1978, 3-21 (jointly with N.N. Bogoljubov, M.A. Lavrent'ev).
15. A.A. Samarskii (On the occasion of his 60th birthday). Uspekhi mat. nauk, 1980, vol. 35, No. 1, 223-232 (jointly with A.N. Tikhonov, V.A. Ilyin, A.G. Sveshnikov, A.A. Arsen'ev). Engl. transl. Russ. Math. Surv. 1980, vol. 35, No. 1, 241-253.
16. A. I. Kalandiya. Uspekhi mat. nauk, 1982, vol. 37, No. 2, 175-178 (jointly with N.P. Vekua, A.Ju. Ishlinskii, L.I. Sedov, B.V. Khvedelidze). Engl. transl. Russ. Math. Surv. 1982, vol. 37, No. 2, 197-200.
17. N. P. Erugin (On the occasion of his 80th birthday). Differential Equations, 1987, vol. 23, No. 5 (jointly with A.A. Dorodnitsin, V.A. Ilyin, A.A. Samarskii, A.N. Tikhonov).
18. A.N. Tikhonov (On the occasion of his 80th birthday). Uspekhi mat. nauk, 1987, vol. 42, No. 3 (jointly with V.A. Ilyin, O.A. Oleinik, Ju.P. Popov, A.A. Samarskii, A.G. Sveshnikov, S.L. Sobolev).
19. Ju.S. Bogdanov. Differential Equations, 1988, vol. 24, No. 6, 1091-1097 (jointly with A.F. Andreyev, N.P. Erugin, V.I. Zubov, N.A. Izobov, V.A. Ilyin, I.T. Kiguradze, N.N. Krasovskii, L.D. Kudryavtsev, V.M. Millionshchikov, V.A. Piss, A.A. Samarskii, K.S. Sibirskii, A.N. Tikhonov).
20. The Great Native Temple of Knowledge and Education (On the occasion of 50th Anniversary of Tbilisi State University). In the newspaper "Kommunisti", 1988, July 17.
21. A.A. Samarskii (On the occasion of his 70th birthday). Differential Equations, 1989, vol. 25, No. 12, 2027-2043 (jointly with A.A. Arsen'ev, A.A. Dorodnitsyn, S.V. Emel'janov, N.P. Erugin, V.A. Ilyin, S.P. Kurdjumov, A.N. Tikhonov).
22. And will born again (On the occasion of N.I. Muskhelishvili's birthday). In the newspaper "Sakartvelos Respublika", 1991, No. 113(133), June 8.
23. M.S. Salakhitdinov (On the occasion of his 60th birthday). Uspekhi mat. nauk, 1993, vol. 48, No. 6(294) (jointly with Sh.A. Alimov, Sh.A. Ajupov, et al.).
24. A.A. Dezin (On the occasion of his 70th birthday). Differential Equations, 1993, vol. 29, No. 8 (jointly with V.S. Vladimirov, V.A. Ilyin).

25. A.A. Samarskii (On the occasion of his 75th birthday). *Differential Equations*, 1994, vol. 30, No. 7 (jointly with A.A. Arsen'ev, A.A. Dorodnitskii, et al).
26. I.N. Vekua. Tbilisi: "Metsniereba", 1997 (in Georgian, Russian, English).

PUBLICATIONS ON THE LIFE AND SCIENTIFIC ACTIVITY OF A. V. BITSADZE

1. A.V. Bitsadze. *Mathematics in the USSR for 40 years from 1917 to 1957*, vol. 1.
2. A.V. Bitsadze. *Mathematics in the USSR for 40 years from 1917 to 1957*, vol., 79.
3. A.V. Bitsadze. *Mathematics in the USSR 1958-1967*, vol. II, First Edition, 1969, 142-143.
4. A.V. Bitsadze. *History of mathematics in our country*. Kiev, "Naukova Dumka", 1966, vol. 1, 27.
5. A.V. Bitsadze. *History of mathematics in our country*. Kiev, "Naukova Dumka", 1968, vol. 3, 169-170, 559.
6. A.V. Bitsadze. *History of mathematics in our country*. Kiev, "Naukova Dumka", 1970, vol. 4, Books I and II.
7. A.V. Bitsadze. *Encyclopaedic Dictionary*. State Scientific Publ. "Soviet Encyclopaedia", 1963, vol. 1, 125.
8. A.V. Bitsadze. *Large Soviet Encyclopaedia*. 1970, vol. 3, 3rd edition, 1197.
9. A.V. Bitsadze. *Georgian Soviet Encyclopaedia*. Tbilisi, 1977, vol. 2, 422.
10. A.V. Bitsadze. *Soviet Encyclopaedic Dictionary*. Moscow, "Soviet Encyclopaedia" Publ. House., 1987, 144.
11. A.I. Borodin, A.S. Bugai. *Andrei Vasilyevich Bitsadze*. - *Biographical Dictionary of Scientists in Mathematics*. Kiev, "Radjanska Shkola", 1979, 56-57.
12. A.N. Bogoljubov. *Andrei Vasilyevich Bitsadze*. *Biographical Reference Book: Mathematicians, Mechanicians*. Kiev. "Naukova Dumka", 1983, 51-52.
13. S.L. Sobolev, A.N. Tikhonov, N.P. Erugin. *Andrei Vasilyevich Bitsadze (On the occasion of his 50th birthday)*. *Differential Equations*, 1966, vol. 2, No. 5, 716-719.
14. L.V. Kantorovich. *Andrei Vasilyevich Bitsadze (On the occasion of his 50th birthday)*. *Siberian Mathematical Journal*, 1966, vol. 7, No. 4, 729-730.
15. G. Mania, R. Babunashvili. *Pleasure Granting*. Newspaper "Tbilisis Universiteti", 1969.
16. N.P. Erugin, A.N. Tikhonov, V.A. Ilyin. *Andrei Vasilyevich Bitsadze (On the occasion of his 60th birthday)*. *Differential Equations*, 1976, vol. 12, No. 5, 947-951.
17. N. Vekua, J. Gvazava. *Prominent Scientist, Tutor*. Newspaper "Komunisti" 1976, No. 128, June 2.
18. T. Ebanoidze. *On the occasion of Academician A.V. Bitsadze's 60th birthday.*, 1976, No. 6.
19. A.M. Nakhushev, A.Ch. Gudiev. *People of Soviet Science*. A.V. Bitsadze. (On the occasion of his 60th birthday). In: *Math. Reference Book*. Orjonikidze, 1976, 3rd Edition.
20. T.A. Ebanoidze. *Essays on Georgian Mathematicians*. "Metsniereba" Publ. House, Tbilisi, 1981, 109-114.
21. A.A. Dorodnitsyn, N.P. Erugin, V.A. Ilyin, A.A. Samarskii, A.N. Tikhonov. *Andrei Vasilyevich Bitsadze (On the occasion of his 70 birthday)*. *Differential Equations*, 1986, vol. 22, No. 12, 2032-2040.

22. A.M. Nakhushev, M.S. Salakhitdinov, A.I. Janushauskas, D.K. Gvazava, A.I. Prilepko. People of Soviet Science. A.V. Bitsadze (On the occasion of his 70th birthday). In: Nonlocal problems for partial differential equations and their applications to modelling and automation of designing of complex systems. Collected papers of High Educational School. Nal'chik, 1986, 3-16.
23. To the 70th Birthday Anniversary of Academician Anadrei Vasilyevich Bitsadze. Bull. AN GSSR, 1986, No. 1, 213-216 (in Georgian and Russian).
24. B. Khvedelidze, J. Gvazava. Years saturated with works and search. Newspaper "Komunisti", 1986, June 23.
25. B. Khvedelidze, J. Gvazava. Years saturated with work and search. Newspaper "Samshoblo", 1986, August.
26. T. Ebanoidze. Accept me, my native land. Newspaper "Dilis Gazeti", 1994, June 13.
27. T.A. Ebanoidze. Immortality of mathematician. Newspaper "Svobodnaya Gruzia", 1994, September 13.
28. D. Lominadze, J. Gvazava. A large contribution of the scientist. Newspaper "Sakartvelos Respublika", 1996, No. 98, May 22.
29. L. Bitsadze. Light Trace. Kutaisi, 2004.
30. J. Gvazava, O. M. Jokhadze, S. S. Kharibegashvili. Some details to the creative portrait of A.V. Bitsadze (On the occasion of his 90th birthday). Proc. of I. Javakhishvili Tbilisi State University, 2005, vol. 354.

სარჩევი

ანდრო ბიწაძე — ცხოვრება და მოღვაწეობა;
Андрей Васильевич Бицадзе (к семидесятилетию со дня рождения);
Отзыв о научных трудах кандидата в действительные члены (в академики) АН СССР
Бицадзе Андрея Васильевича;
Кисточка золотого руна;
ავტობიოგრაფიული ჩანაწერები;
ცოდნის, განსწავლის მშობლიური დიდი ტამარი;
ფამარ;
ლექსები;
ავტორისაგან;
მზესუმზირა;
წუთისოფელი;
ბულბულს!;
ფიქრები ახლგაზრდა სტუდენტის დასაფლავების დროს;
დღეობაზე წარმოთქმული სადღეგრძელო;
1941 წელი;
9 მაისი, 1945 წელი;
აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის კოლექტივს;
ჩერქეზიშვილის საფლავზე ყანობილზე;
ვაჟა-ფშაველას დაგვიანებულ კრიტიკოსებს;
ჩერჩილს!;
ილია ვეკუას;
გვიანი შემოდგომა ჩრდილოეთში;
ჩემს თანასოფლელებს!;
ჩემი ცხოვრების ტკბილი ზმანება;
“ვატერლოოს ხიდი”;
“მარინიკე”;
დამჭკნარი ყვავილი;
ნადირობის ქალღმერთსა და ადამიანს;
დედის გარდაცვალებაზე;
ჩემი სტუდენტობის მეგობრებს;
ჩანაფიქრის პროლოგი;
ნინას ალბომში;
ნინას;
ხანჯოუ;
რად მდუმარებ?;
კორდელიას მონოლოგი “მეფე ლირიდან”;
ვერლენიდან;
საქართველოს;
ჭიათურას;
ცხრუკვეთი;
კავკასიონი თერთმეტთა თავშესაფრიდან;
გოეთედან;
ნუ-მეთქი, ტურფავ, ნუ მიგალობებ;

ზამთრის სადამო;
გრიგოლ ბაკურიანს!;
მლიქვნელს;
მას;
გახსოვდეს მარად;
ომარ ხაიამიდან;
რექვიემი;
ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 145-ე წლისთავზე;
Prof. A. BITSADZE.